ლიონ ფოიხტვანგერი

ჰერცოგის უსასრული ასული მარგარიტა ძაელტაში

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი—1975

И (Нем)
83-31
ф 782

„ჰერცოგის უსახური ასული მარგარიტა მაულტაში“ ლიონ ფოიხტვანგერის პირველი ისტორიული რომანია. ამ წიგნით ავტორს შუა საუკუნეების გერმანიაში გადავყავართ.

XIV საუკუნეში პატარა მთაგორიან ქვეყანას — ტიროლს მართავდა ქალი — ჰერცოგის ასული მარგარიტა, რომელსაც ხალხმა „მაულტაში“ („დრუნჩიანი“) შეარქვა. მისი მძიმე და მოუსვენარი ცხოვრების ფონზე მწერალი ხატავს დაქუცმაცებულ გერმანულ სახელმწიფოთა რთული და შეუთანხმებელი ურთიერთობის, ცბიერი და თაეკერძა ფეოდალი მმართველების წინააღმდეგ ბრძოლის მართალ სურათს.

გერმანულიდან თარგმნა
ემა კვახაძემ

ЛИОН ФЕЙХТВАНГЕР

Безобразная герцогиня
Маргарита Маульташ
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1975

Ф $\frac{0734-016}{М\ 601(08)-74}$ 241-75

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1975

წიგნი პირველი

ქალაქ ინსბრუკსა და ვილტენის მონასტერს შორის, ერთ ვრცელ მინდორზე კარვები გაეშალათ და ფლაგშტოკები ჩაემწკრივებინათ. წარჩინებულთა ასპარეზობისა თუ სხვა სპორტული თამაშობებისათვის საჯირითო მოედნები შემოეღობათ და ტრიბუნებიც აეგოთ. თავშესაქცევად მოსულ უამრავ ხალხს დაიტევდა ეს ადგილი. უკვე მეორე წელი იწურებოდა, რაც ვილტენის მინდვრებზე გაშლილი კარვები დიდებულ ქორწილს ელოდნენ. ქორწილი კარინთიის ჰერცოგს, ტიროლის გრაფს, ბოჰემიის მეფე ჰაინრიხს უნდა გადაეხადა. მონასტრის ძმები თვალყურს ადევნებდნენ, რომ ქარს კარვები არ წაექცია, საასპარეზო მინდორს ბალახი არ მოსდებოდა და ხის ტრიბუნებს სიდამპლე არ შეჰპარვოდა. მაგრამ ზეიმის ლოდინი უზომოდ გაჭიანურდა და მეორე ქორწილის გეგმაც, ეტყობოდა, ისევე ჩაიშალა, როგორც პირველის. ინსბრუკის მოქალაქეებსა და ვილტენის ბერებს ჩუმ-ჩუმად ეცინებოდათ, მთები კი გულგრილად დასცქეროდნენ მინდორს. ინსბრუკელთა ცოლები ნატიფად მოჩითულ ტილოს კედლებს შორის დასეირნობდნენ, ბავშვები ტრიბუნებზე დაჭერობანაჰ თამაშობდნენ, შეყვარებულთა წყვილები განცხრომით ნებიკრობდნენ მყუდრო კარვებში.

უკვე საკმაოდ ხანში შესული მეფე ჰაინრიხი, რომელსაც ბთელმა ევროპამ კეთილმოწყალედ და დაუყვედრებლად შეუნარჩუნა ეს წოდება, თუმცა მას რახანია დაკარგული ჰქონდა ბოჰემიის სამეფო და ახლა მხოლოდ ტიროლის საგრაფოსა და კარინთიის მფლობელი იყო, შუბლშეკრული იჯდა ცხენზე და კარვებს შორის მოსეირნობდა. ეს-ესაა ვილტენის სააბატოში წასაუზმება ინება: ჯანჯაფილის საწებლიანი შემწვარი კალმახი, ნუშის რძეში ჩაწყობილი ქათამი მიირთვა,

ბოლოს ჩაროზი და კამფეტი დააყოლა, და მაინც, ვილტენში არ იციან კარგი საქმლის კეთება: ლაზათი აკლდაო მათ სუფრას. აბატი კეთილი და ჭკვიანი წინამძღვარი იყო, დიპლომატობასაც უქებდნენ, მაგრამ სამზარეულო ხელოვნებისა არა გაეგებოდა რა. ყოველ შემთხვევაში მეფეს საუზმე არ მოეწონა და დანაყრების შემდეგ უკეთეს გუნებაზე კი არ დადგა, როგორც საერთოდ სჩვეოდა ხოლმე, პირიქით, უფრო მოიღუშა. ინსბრუკამდე შორი გზა აღარ იყო და უაბჯროდ მიდიოდა. ვიწრო, მოდური ტანსაცმელი მეტისმეტად შემოსხუტოდა ტანზე, რადგან დღითი დღე სუქდებოდა, მაგრამ დარბაზისელი კაცი გახლდათ, მაინც მოხდენილად იჯდა თავის მდიდრულად შეკაზმულ ჯიშიან ცხენზე და უზომოდ გრძელი და ფარფარა სახელოები თითქოს სულაც არ აწუხებდა.

ქარმა წამოუბერა, თოვლის კორიანტელი დააყენა, კარვების კალთებს ეძგერა, გაბერა და აატლაშუნა. მცირე ამალა უკან ჩამორჩენილიყო და მეფე მარტო მიდიოდა, ტაატით მიჰყავდა ცხენი. ბრაზმორეული გასცქეროდა სადღესასწაულოდ გამართული ნაგებობებით მოფენილ დიდ მინდორს. სუფთად გაპარსული მსუქანი ლოყები ჩვარივით ჩამოჰკიდებოდა, წინწამოწეულ, დიდ, ისედაც ულაზათო პირს კიდევ უფრო უუშნოებდა მეტისმეტად სქელი ქვედა ტუჩი. წყალწყალა თვალებით გასცქეროდა ტილოსაგან ნაგებ ქალაქს, ტრიბუნებს, საასპარეზო მოედნის მესერს. რა თქმა უნდა, დამყოლი კაცია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მის მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი. იოჰან ლუქსემბურგელმა ამჯერადაც გაასულელა: მეორედ დაჰპირდა საპატარძლოს, საზეიმოდ აღუთქვა ყოველივე — და კვლავ მშრალზე დატოვა.

მეფე ქშინავდა, ჰატარა, ჩაქყლეტილი ცხვირიდან ბოლქვა-ბოლქვად უშვებდა თბილ ჰაერს, რომელიც ცივ ნისლში ორთქლის ქულებად იქცეოდა. კაცმა რომ თქვას, ნაწყენი არც კი იყო იოჰან ლუქსემბურგელზე, საერთოდ ვინმეზე წყენას იშვიათად თუ ჩაიდებდა გულში. იოჰანმა სამარცხვინოდ გამოაძევა ბოჰემიიდან; ასე რომ, ჰაინრიხმა სამეფო დაკარგა და ცარიელი ტიტულიღა შერჩა; მაგრამ მერე ადვილადვე შეურიგდა ამ თავაზიან, ელეგანტურ კაცს, როდესაც მან ფულადი ანაზღაურება შესთავაზა და თავისი ლამაზი ახალგაზრ-

და დის, მარიამის ხელი აღუთქვა. მაშინაც კი, როდესაც ლუქსემბურგელმა სიტყვა არ შეასრულა და თავისი და გათხოვებაზე ვერ დაიყოლია, ჰაინრიხს დიდი ამბავი არ აუტეხია და მეორე საპატარძლოზე დათანხმდა. ამჯერად ლუქსემბურგელმა თავისი ბიძაშვილი, ბეატრისა ბრაბანტელი ურჩია ცოლად. მაგრამ ახლა არც ეს საქმე გამოდიოდა. ეს კი უკვე მეტისმეტი იყო. წმინდა ბართლომეობა, როდესაც საპატარძლოს მოელოდნენ, დიდი ხანია გავიდა. იოჰანის ბრაბანტელი ბიძაშვილი კი არსად ჩანდა. ვილტენის მინდვრებზე გაშლილი ლამაზი კარვები ამაოდ ელოდნენ დღესასწაულს. ლუქსემბურგელი, რა თქმა უნდა, ახლაც მოიგონებს რაიმე ოსტატურ ტყუილს თავის გასამართლებლად, მაგრამ მეფე ჰაინრიხი ასე ადვილად აღარ დაშოშმინდება. მრავალჭირნახული ქრისტიანი მეფის მოთმინებასაც აქვს საზღვარი.

მხედარმა გახელებით მოიქნია ძვირფასი თვლებით მოქედილი მათრახი. საოცარი სიცხადით წარმოუდგა თვალწინ უკანასკნელი შეხვედრა იოჰანთან. ეს იყო მაისში. მაშინ ყველაფერზე დაწვრილებით მოილაპარაკეს. სიმართლე უნდა ითქვას, ლუქსემბურგელი საარაკოდ იყო გამოწყობილი. როგორც მისი ამალის ყველა დარბაისელს, მასაც უახლესი ყაიდის ტანსაცმელი ეცვა, ისეთი, როგორსაც უკვე ატარებდნენ კატალონიასა და ბურგუნდიაში, გერმანიაში კი ჯერ არც ენახათ: ეს უზომოდ ვიწრო და მოსხუტული სამოსელი, რომლის ჩაცმა-გახდისას ორი მსახური უნდა მიხმარებოდა კაცს, სხვადასხვა ფერის ქსოვილისაგან, იყო შეკერილი, კუბოკრული ნაქარგი ამშვენებდა, განიერი სახელოები თითქმის მუხლებამდე სწვდებოდა. მეფე ჰაინრიხს უყვარდა მოდური ჩაცმა, მაგრამ თქმა არ უნდა, რომ ლუქსემბურგელმა აჯობა. თანაც ბოჰემია-ლუქსემბურგის ყველა დარბაისელი თმასაც ახლებურად იყენებდა. ან კი როგორ მოესწროთ ასე მოკლე ხანში თმა და წვერის გრძლად მოშვება, მათ შორის ვინღა ნახავდა წვერგაპარსულსა და მოკლედ თმაშეკრეჭილს, რაც მაღალ საზოგადოებაში ძველთაგანვე იყო მიღებული. მას აოცებდა და მოსწონდა კიდეც, როგორ იოლად შეეთვისა ლუქსემბურგელი ახალ მოდას ლამის ერთ ღამეში. და ამ ფარული აღტაცებით შეპყრობილი ჰაინრიხი იო-

ჰანს მხოლოდ მოდებზე ემასლაათა. ჰო, კიდევ ქალებზე, ცხენებზე და სპორტზეც ესაუბრა, პოლიტიკური თუ მის ქორწინებასთან დაკავშირებული გადაუდებელი საკითხები კი თავის მრჩევლებს მიანდო. მისი ამალის წევრები—წინდახედული და ერთგული აბატი ვილტენელი, განსწავლული და ტკბილმოუბარი აბატი იოჰანეს ვიქტრინგელი, წარმოსადეგი ბურგგრაფი ფოლკმარი, ფრიად გონიერი და ზრდილი თავადები ფონ ვილანდერსი და ფონ შენა მასზე გაცილებით უკეთ ერკვეოდნენ მოსაწყენ და უსიამოვნო ფულად საქმეებში და ამიტომ უფრო გონივრულად ჩათვალა, რომ წინასწარი პროექტის შედგენა ამ ერთგული და გაწაფული ადამიანებისათვის მიენდო. იგი ზერელე საუბრით დაკმაყოფილდა, მაგრამ როდესაც მეფე იოჰანი თავისი სამიჯნურო ამბების თანამონაწილე პარიზელი და ბურგუნდიელი მანდილოსნების სიკეკლუცის ქებას შეუდგა, ჰაინრიხი ვალში არ დარჩა და თვითონაც მოჰყვა ფაშფაშა ტიროლელი ქალების სიმშვენიერეთა აღწერას. იგი ფრიად კარგად იცნობდა მათ, თანაც დღითი დღე იღრმავებდა ამ ცოდნა-გამოცდილებას. ბოლოს მისმა ძვირფასმა მდივანმა — აბატმა იოჰანეს ვიქტრინგელმა საქორწინო გარიგების პროექტი დაუდო წინ, თან ლათინური ლექსი დააყოლა: „იყავნ ესე, რამეთუ კეთილად დასრულდეს ამბავი ესე"; მერე ახარა—საქმეს კარგი პირი უჩანს, წმინდა ბართლომეობას თქვენს ბრწყინვალებას უცილობლად მოჰგვრიან პატარძალსაც და ვერონული ვერცხლის ოცდაათი ათას მარკასაც მოართმევენო. მერედა რა გამოვიდა. აი, ახლა იგი სადღესასწაულოდ გაწყობილ მინდორში დაეხეტება. კარვებიც ადგილზეა, ფლაგშტოკებიც, საასპარეზო მოედნებიც, მაგრამ არც პატარძალი ჩანს სადმე და არც ფული.

გზად მიმავალ მეფეს ანაზდად პატარა ბიჭი შეეჩეხა. მას ცხენის ფლოქვების ხმა ვერ გაეგონა, ერთ-ერთი კარვის კუთხეში საქმიანად ჩაცუცქულიყო, პერანგი აეწია და გაძაგრული ბუხებრივ მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა. მეფე საშინლად განარისხა საქორწილოდ გამზადებული ადგილის ასე წაბილწვამ და ბიჭს მათრახი გადაუჭირა. მაგრამ იმწამსვე შეეცოდა აჩხავლებული ბავშვი და ფული გადაუგდო.

მართლაცდა, აბა რას ჰგავს ეს ამბავი. ამ კარვების გაშლა და

ფუქი ლოდინი ხომ შეურაცხყოფს მეფის ბრწყინვალებას. ბოლო უნდა მოუღოს ლუქსემბურგელსაც და მის ქარაფშუტულ გეგმებსაც. ინსბრუკში იგი შეხვდება ავსტრიელს, კოქლ ჰერცოგ ალბრეხტს. მასთან შეკრავს პირობას, დაე, ავსტრიელმა უშოვოს საცოლე. ნუთუ მას ლუქსემბურგელის იქით გზა არა აქვს? ღმერთო დიდებულო! რასაც ლუქსემბურგელი არ, ან ვერ უკეთებს, იმას ჰაბსბურგისაგან მიიღებს.

მეფეს გულში ჯავრის ჩახვევა არ სჩვეოდა. როგორც კი ასე გადაწყვიტა, შვებით ამოისუნთქა და ქმუნვა ზეცით მონაბერ ცივ და საამო ნიავს გაატანა. ახლა სულ სხვა, მხიარული თვალით გადახედა სადღესასწაულო ნაგებობებს. იცინეთ, იცინეთ! სულ მალე გამოიყენებს ამ არემარეს სამხიარულოდ. ნელში გასწორდა, უდარდელად მოჰყვა სტვენას და ცხენს ისე შემოჰკრა დეზები, რომ მისმა თანმხლებმა დიდებულებმა სადავეები მიუშვეს, სანამ წამოეწეოდნენ.

მეფის უახლოესი ამალის ხუთი წევრი სულ ამ გაჭიანურებულ ქორწილზე ქირდაობდა, ისე გაიარეს კარვების ქალაქი. ხუთივენი ბევრად უფრო წინდახედულები იყვნენ, ვიდრე მათი ბატონი, შეძლებისდაგვარად ყვლეფდნენ მას (განსაკუთრებით გაიწაფა ამ საქმეში დაუზოგველი ბურგგრაფი ფოლკმარი) და წამდაუწუმ ახალ ლენებსა და საიჯაროებს სცინცლავდნენ. ამავე დროს მათ თავისებურად უყვარდათ კიდეც ოავიანთი თვინიერი, ჯან-ღონით სავსე ბატონი. გულუხვს, ღვთისმოსავს, კარგ თანამეინახეს, ლხინისა და სპორტის დიდად მოყვარულს, ქალების მოტრფიალეს, სული მისდიოდა მოდურ ჩაცმა-დახურვასა და დროსტარებაზე, თან არც ფანტაზია აკლდა და თავშექცევისას კარგი ამყოლი იყო, თუმცა მოყირჭებაც მალე იცოდა. ისეთ ეპოქაში, როდესაც პოლიტიკა მთლიანად ხელმწიფის პიროვნებაზე იყო დამოკიდებული. ასეთ მმართველს წარმატების დიდი იმედი ვერ ექნებოდა. ბოჰემიის ინცინდენტის შემდეგ კი იგი ევროპის დიდი პოლიტიკისათვის სამუდამოდ მკვდარი იყო. მეფე ამას ვერ მიმხვდარიყო, მაგრამ შექმნილ მდგომარეობას ნათლად ხედავდნენ მისი უახლოესი ამალის წევრები. მათ იცოდნენ: იგი კი არ ქმნიდა პოლიტიკას, პოლიტიკას მისი საშუალებით აწარმოებდნენ.

ამ თვალსაზრისით აფასებდნენ ისინი ჰაინრიხის საქორწინო გეგმებს და, მათი კეთილი მეფისაგან განსხვავებით, სულ სხვაგვარი, ირონიული თვალით შესცქეროდნენ ზეიმის ამაოდ მომლოდინე კარვებს.

რომის იმპერიის სადავეები სამ ხელმწიფეს ეპყრა ხელთ: მარჯვე, დარდიმანდ და ორპირ იოჰან ლუქსემბურგ-ბოჰემიელს, გონებაბრჯგუ, მუდამ მერყეე ლუდვიგ ვიტელსბახს, უჯიათ და შორსმჭვრეტელ ალბრეხტ ჰაბსბურგს, რომელიც ღამბლამ ისე გააბოროტა, რომ სახელმწიფოს მართვაში თანამონაწილე ძმები ხელქვეითებად გაიხადა. სამივე მეფე თანასწორუფლებიანი იყო, სამივე ეპოტინებოდა იმპერიას, მთელი საქრისტიანოს ბატონობას, სამივე ფხიზლად უთვალთვალებდა ერთმანეთს. ისინი ხარბად შესცქეროდნენ მთაგორიან ქვეყანას — კარინთიასა და ტიროლს, რომლის საკმაოდ ხანშესულ ქვრივ მეფე ჰაინრიხს მემკვიდრე ვაჟი არ გააჩნდა. აქ და მხოლოდ აქ იყო შესაძლებელი ძალაუფლებისა და მიწების საგრძნობლად გაფართოება. ეს მთაგორიანი, მდიდარი, ნაყოფიერი, სახელგანთქმული ქვეყანა ბურგუნდიის საზღვრებიდან ადრიატიკამდე, ბავარიის ზეგნიდან ლომბარდიამდე გადაჭიმულიყო. ეს იყო ხიდი ავსტრიასა და შვაბიაში მდებარე ჰაბსბურგების სამფლობელოებს შორის, ხიდი გერმანიასა და იტალიას შორის, ანუ გასაღები მთელი რომის იმპერიისა. სამივე მეფეს ცალ-ცალკე სავსებით შესაძლებლად მიაჩნდა მისი ბატონის, ამ კეთილი და უკვე ხანდაზმული, ცხოვრების მფლანგველი კაცის გულის მოგება და მის მემკვიდრედ გახდომა. ისინი მარჯვედ იყენებდნენ ამ ბერიკაცის დაუოკებელ ნატვრას, რომ მრავალი უკანონო ვაჟიშვილისა და ორი კანონიერი ქალიშვილის შემდეგ კანონიერი მემკვიდრე ვაჟი გასჩენოდა. ამიტომ იყო, რომ მომხიბვლელი საქორწინო გეგმებით ცდილობდნენ მისი გულის მონადირებას.

მეფის უახლოესი ამალის ხუთი წევრი, სამი თოროსანი რაინდი და ორი კიდევ სამგზავრო ტანსაცმელში გამოწყობილი აბატი, გულში იცინოდა იმის გახსენებაზე, თუ როგორი მონდომებით ცდილობდა მეფე ჰაინრიხი თვალი დაეხუჭა ამ საქორწინო ხლართების ნამდვილ მიზეზზე. თავი ისე ეჭირა, გეგონებოდათ ეს ლუქსემბურგი, ვიტელსბახი და ჰაბსბურგი

მხოლოდ სიყვარულისა და ერთგულების დასამტკიცებლად ურჩევენ ასე მეგობრულად უკეთესის უკეთეს საპატარძლოსო.

ყველაზე გულწრფელად მაინც იოჰან ლუქსემბურგელი იქცეოდა. პირველად თავისი ახალგაზრდა, ლამაზი დის მარიამის ხელს და ოცი ათას ვერონული ვერცხლის მარკას შეჰპირდა. სამაგიეროდ ჰაინრიხის ერთ-ერთი ქალიშვილის დაქორწინება მოითხოვა ერთ ლუქსემბურგელ ხელმოკლე თავადზე. ავხორცი ქვრივი მოხუცი მან მართლაც მოხიბლა მარიამის პორტრეტებით, თუმცა მშვენიერ პრინცესასთან ერთი სიტყვაც არ დასცდენია ამის თაობაზე. ადვილი გასაგებია, რომ ეს ნორჩი, მომხიბლავი ლუქსემბურგელი პრინცესა, ასული იმპერატორისა, ყველა ღონეს ხმარობდა, რათა თავიდან აეცილებინა გამუდმებულ ქეიფებში ნათრევი ბეხრეკი კაცის ცოლობა. ისიც კი განაცხადა, აღთქმა მაქვს დადებული და ქალწულად უნდა დავბერდეო. ამის გახსენებაზე ერთის ამბით ხორხოცობდნენ ხოლმე კაცები. და მართლაც, ვისღა მოჰგონებია ეს აღთქმა, როცა რამდენიმე თვის შემდეგ ქალმა საფრანგეთის მეფესთან იქორწინა.

უეჭველია, იოჰანმა წინდაწინვე კარგად იცოდა, რომ მისი და არასოდეს დათანხმდებოდა კარინთიელთან დაქორწინებაზე, მაგრამ მაინც გულით ეწადა ლამაზი მემკვიდრის მოლოდინით ბავშვურად აცუნდრუკებული ხნიერი მეფის გაპამპულება. ისიც უდავო იყო, რომ მან მეორედაც მოახერხა ჰაინრიხის ჩათრევა ქარაფშუტულ საქორწინო გეგმაში, როდესაც ბეატრისა ბრაბანტელის ხელს დაჰპირდა. ამჯერად მან მეფეს უფრო დიდი მზითევი აღუთქვა და სანაცვლოდ პირობა გამოსტყუა — მისი მცირეწლოვანი ქალიშვილი მარგარიტა იოჰანის უფროსი ვაჟისთვის გაეყოლებინა. და თუ ჰაინრიხი უმემკვიდრეოდ დატოვებდა ტახტს, სამეფო მისთვის გადაელოცათ. ამით მას საშუალება ეძლეოდა მეფის უძეოდ გადაშენების შემთხვევაში კარინთიას, ჰერცსა და ტიროლს წაპოტინებოდა. გულდაგულ გაიკითხა ჰაინრიხის სამიჯნურო ამბები და დარწმუნდა, რომ ნაადრევად დაბერებულ მეფეს უკანასკნელი ოთხიხუთი წლის განმავლობაში არც ერთ საყვარელთან შვილი აღარ ჰყოლია. თუმცა ასეთ საქმეში ვერც ექიმი და ვერც ცხოვრებაში დიდად გამოცდილი კაცი წინასწარ ვერაფერს იტყო-

და სარწმუნოს. რაც უფრო აქიანურებდა იგი მეფის ქორწინებას, მით უფრო უიმედოდ შესცქეროდა მეფე ჰაინრიხი კანონიერი მემკვიდრე ვაჟის გაჩენას და ამდენად უფრო საიმედო ხდებოდა ლუქსემბურგელის ლტოლვა თავისი პატარა ვაჟის მეშვეობით მთაგორიანი ქვეყნისა და ამ გზით რომის იმპერიის ხელში ჩასაგდებად.

მეფის კართან დაახლოებული დიდებულები ძალიან კარგად ხედავდნენ ამ ხრიკებს, ძალიან კარგადაც იცოდნენ, რომ სწორედ ეს იყო ამ ცარიელი და სევდისმომგვრელი კარვების ფუჭი ლოდინის მიზეზი. და თუ ლუქსემბურგელის ძვირფასი ბრაბანტელი ბიძაშვილი — ლუვენისა და ჰესბექსის მებატონის ასული, აწ გარდაცვლილი ჰაინრიხ მეშვიდის დისწული ჯერაც ყოყმანობდა, მშობლების ერთადერთი იმედი ვარ და შენანება ჩემი ლამაზი ფლანდრიის გაცვლა ამ უცხო და საშიშ მთაგორიან ქვეყანაზეო, ლუქსემბურგელი, ეტყობა, არც კატანდა ძალას მას.

მეფის დიდგვაროვანი ამალა ამრეზილი იყო ამ საქორწინო გეგმით, რომელიც სინამდვილეში ალპიური ქვეყნების მთელი პოლიტიკის ქვაკუთხედი გახდა. მართალია, მძიმე აბჯარში გამოწყობილი, დიდი და მოუხეშავი ბურგგრაფი ფოლკმარი გაუპოხავი ურემივით აჭრიალდა—კარგი იქნებოდა ლუქსემბურგს ან ჰაბსბურგს, ერთი სიტყვით, რომელიმეს, დროულად ჩაეგორებინა პატარძალი მეფის ლოგინში, თორემ სიცილიიდან მოკიდებული ვინემ ჩრდილოეთის საზღვრამდე ყველანი დასცინიან არა მარტო მის ბრწყინვალება მეფეს, არამედ მის მრჩევლებსაც და კარისკაცებსაც ქორწილის ამ გაუთავებელი გადადების გამოო. მაგრამ მისი ნათქვამი, ცოტა არ იყოს, ყალბად, ნაძალადევად ეღერდა და სიტყვაძვირმა, ეშმაკმა ტეგენ ფონ ვილანდერსმა და მრჩეველთა შორის უმრწემესმა, ხმელ-ხმელმა და სალუქმა იაკობ ფონ შენამ, რომლის სკეპტიკურ, მოქანცულ სახეს სულაც არ უხდებოდა აბჯარი, უნდობლად გადახედეს მოლაპარაკეს. მეფე ჰაინრიხი ფრიად უვიცი გახლდათ ფინანსურ საქმეებში; მართვა-გამგეობასაც მთლიანად მრჩევლებს ანდობდა ხოლმე. და როდესაც ისინი ინგარიშსწორების დროს წუწუნებდნენ, დიდი ჯაფა ვნახეთ,

საშინლად ბევრი ფული დაგვეხარჯაო, მეფე მადლიერებით აღსავსე სიტყვებით უმასპინძლდებოდა მათ და თავისი მუდამ ცარიელი სალაროს მიუხედავად გულუხვად ურიგებდა ღენებს, პრივილეგიებსა და იჯარებს. ლაღად და უზრუნველად ცხოვრობდნენ დიდგვაროვანი კარისკაცნი, მამულებს იმრავლებდნენ და სკივრებს ივსებდნენ. ამიტომაც წუწუნებდნენ ახლა, ვაითუ ამ მყუდრო ჭაობში უცხო ვინმემ შემოაბოტოს, მაშინ ხომ ძველებურად ვეღარ ვიპარპაშებთ, ადვილად ვეღარ შევძლებთ გამდიდრებასო.

გულწრფელად კმაყოფილნი იყვნენ მხოლოდ პრელატები: ცბიერი, ხმელ-ხმელი აბატი ფონ ვილტენელი და მკევრმეტყველი, თავაზიანი იოჰანეს ფონ ვიქტრინგელი. „საამო და შეგონებით აღსავსეა დიდთა ამა ქვეყნისათა საქმეთა მზერა“, — გაიხსენა ვიქტრინგელმა ანტიკური ხანის კლასიკოსის სიტყვები. ორივე აბატი წმინდა სპორტული გატაცებით ჩუმად უთვალთვალებდა ლუქსემბურგელის დიპლომატიურ ხრიკებს. ორივემ კარგად იცოდა, რომ ჰაინრიხი იქნებოდა ეს, ლუქსემბურგელი, თუ ჰაბსბურგელი, სულერთია, იოლად გამოსტყუებდნენ ყველაფერს, რაც კი რამ საჭირო იქნებოდა მათი გალაღებული, მდიდარი საბატოებისათვის. ამიტომ ისინი თითქმის სრულიად მიუკერძოებელი გულისყურით ადევნებდნენ თვალყურს იმას, თუ რით დამთავრდებოდა ბრძოლა ავსტრიის მეფე ალბრეხტსა და ბოჰემიის მეფე იოჰანს შორის. თან შემწყნარე ღიმილით შესცქეროდნენ ამ ჩასუქებულ, ღვთისმოსავ, გულმხიარულ ჰაინრიხს, რომელიც მეფედ კი იწოდებოდა, მაგრამ ისე ჭადრაკის პაწაწინა ფიგურა იყო ს

ტარძლად სულ სხვა ბეატრისა იჯდა. ბეატრისა სავოიელი, რომელიც ალბრეხტ ავსტრიელმა გამოუნახა ჰაინრიხს. იოჰან ლუქსემბურგელმა კი მაინც მოახერხა საქმეში ჩარევა — მეფე-დედოფლის გარიგება მან ითავა, თავდებადაც ხელი მოაწერა საქორწინო სიგელს, მანვე გაიღო მზითვი, ყოველ შემთხვევაში პირობა დადო, რომ გაიღებდა, ხოლო მისი პატარა ვაჟი იოჰანი მარგარიტა კარინთიელის საქმროდ და მთაგორიანი ქვეყნის მემკვიდრედ აღიარეს.

*

თორმეტი წლის მარგარიტა, პრინცესა კარინთიისა და ტიროლისა, თავისი საგვარეულო სასახლიდან, რომელიც ქალაქ მერანის შემოგარენში მდებარეობდა, ინსბრუკს მიემგზავრებოდა, სადაც ჯვარი უნდა დაეწერა ბოჰემიის პრინც, ათი წლის იოჰანზე. მამამისმა, მეფე ჰაინრიხმა, ურჩია, მოკლე გზით წასულიყო, იაუფენის უღელტეხილზე გადავლით. მაგრამ პატარა პრინცესამ ბოცენსა და ბრიქსენზე გამავალი უშორესი გზა აირჩია, რათა ხალხმრავალი სოფლების თაყვანისმცემელი მისალმებით დამტკბარიყო.

დიდი ამალა ახლდა პრინცესას. თავადებს ტაატით მოპყავდათ ცხენები. კოხტად შემკული ფურგონები, რომლებშიც ქალები ისხდნენ, ჭრიალით მიიზლაზნებოდნენ ხან აღმა და ხან დაღმა, უღმერთოდ რახრახებდნენ ოღრო-ჩოღრო გზებზე და უმოწყალოდ ანჯღრევდნენ მგზავრებს. ზოგი მანდილოსანი ჯორით მგზავრობას არჩევდა, თუმცა ეს მიღებული არ იყო მაშინ, ზოგი იმასაც თანხმდებოდა, რომ ცოტა ხნით მამაკაცს ცხენზე შემოსჯდომოდა.

მარგარიტა ცხენშებმულ ტახტრევანში იჯდა. თან ახლდა სეფექალი, ქალბატონი ფონ ლოდრონი და კარის მოახლე, ქალიშვილი ჰილდეგარდ ფონ როტენბურგი, ერთი კაფანდარა, შეუბედავი და მეტისმეტად თავაზიანი არსება. ქალები განუწყვეტლივ ოხრავდნენ და წუწუნებდნენ, აუტანელია ეს საშინელი გზის მტვერი, გაოფლილი ცხენების სუნი, გაუთავებელი ჯან-

ჯღარიო; პრინცესა კი უდრტვინველად ურიგდებოდა ასეთი მგზავრობის ყველა გასაჭირს.

წარბშეუხრელად, დინჯად იჯდა იგი თავის ადგილზე, საზეიმოდ მორთული და მოკაზმული. კაბა ისე ვიწროდ ჰქონდა წელში გამოყვანილი, რომ სულს უხუთავდა; მწვანე მძიმე ატლასის სახელოები მოდის მეტისმეტი მიბაძვით მიწამდე სცემდა; თმის ასაკონი ახალი ძვირფასი ბადე მალემსრბოლმა ჩამოუტანა ფლანდრიიდან, სადაც ის-ის იყო იწყებდნენ მის ტარებას. კაბის გულისპირში ჩაცურებული მძიმე ჯაჭვი ყელს უმძიმებდა, თითებზე დიდრონი ბეჭდები ეკეთა. ძვირფასი სამკაულებით დახუნძლული, მთლად ოფლში გაწუწული მარგარიტა დინჯად იჯდა უთავბოლოდ მოწუწუნე ქალებს შორის.

თორმეტი წლისა იყო, თუმცა უფრო ასაკოვანი ეგონებოდა კაცს. საკმაოდ ჩასუქებულს მოკლე ფეხები ჰქონდა, ჯირკივით ტანი, დიდი და ყოვლად უშნო მოყვანილობის თავი. შუბლი კი ლამაზი ჰქონდა, ნათელი, თვალებიც ჭკვიანი, ცოცხალი და გამჭრიახი; მაგრამ პაჭუა ცხვირი, მაიმუნის დრუნჩივით წინგამოშვერილი უზომოდ სქელი ქვედა ტუჩი, ვეებაკბა, მქრქალი, სპილენძისფერი ხეშეში თმა, ნაცარივით ჩაყენებული მომჩვარული პირისახის კანი — სწორედ რომ ვერაფერი სამკაული გახლდათ პატარძლისათვის.

კარინთიიდან გამომგზავრებულ ბავშვს სექტემბრის მოწმენდილი ცა დაჰნათოდა თავზე. სადაც კი შეჩერდებოდა გზად მიმავალი, ყველგან ბუკითა და საყვირით ხვდებოდნენ, ზარებს აგუგუნებდნენ, დროშებს უფრიალებდნენ. ბრიქსენში ეპისკოპოსი და მთელი მისი კაპიტული ზეიმით შეუერთდა მათი სიუზერენის მემკვიდრე ქალიშვილის ამალას. დიდგვაროვანი ფეოდალები თავიანთი სამფლობელოების საზღვრებთან ეგებებოდნენ. ქალაქების მიჯნებთან კი ადგილობრივი თავკაცნი გამოფენილიყვნენ და მდაბლად უკრავდნენ თავს.

დახვეწილი ლათინურით, მედიდურად და დინჯად პასუხობდა მარგარიტა ქვეშევრდომთა უღრმესი პატივისცემის გამომხატველ მისალმებებს. ხალხი მოწიწებით უპვრეტდა თავის მომავალ დედოფალს, წმინდანივით ეთაყვანებოდა, ხელში ატატებულ ბავშვებს ზევით სწევდნენ, რათა მათაც დაენახათ იგი.

ახოვან და ბრწყინვალე მეფე იოჰანს. აი, კაცი ამას ჰქვია! ლუქსემბურგელმა კი, ამ გამოცდილმა პოლიტიკოსმა, თავს სძლია, იხტიბარი არ გაიტეხა, ძლიერი მკლავებით ხელში აიტაცა მახინჯი გოგო, რომელსაც მისი შვილისათვის კარინთია, კრაინა, ტიროლი და ჰერცი უნდა მოეტანა მზითვად, და ყველას დასანახავად აცახცახებულ, ბედნიერებისაგან მოსავებულ მარგარიტას მაიმუნივით წინგამოშვერილ სქელ ტუჩებში აკოცა. სიხარულით გულაჩუყებულ ხანდაზმულ მეფე ჰაინრიხს ღია ფერის თვალები ჩვეულებრივზე უფრო წყალ-წყალა გაუხდა. ლოთი კაცის შეშუპებული, ოდნავ აკანკალებული ხელით თავისი პატარა სიძის ცივი, გაოფლილი, გამხდარი და უღონო ხელი შეანჯღრია და, თითქოს ტოლ კაცს ელაპარაკებაო, ისე გაუბა საუბარი. მაგრამ აი ბუკს ჩაჰბერეს, ნაღარას დაჰკრეს და საზეიმო ნადიმიც დაიწყო; ძოწეული და ოქრო ლაპლაპებდა კარავში, სადაც ბავშვებს საზეიმო ტრაპეზი უნდა მიეღოთ. სამი გაწყობილი მაგიდა საგანგებოდ მომზადებულ საქმელ-სასმელს ვერ იტევდა. ტრიენტისა და ბრიქსენის საეპისკოპოსოებმა მაგიდის საუკეთესო თეთრეული გამოგზავნეს, ქალაქებმა ბოცენმა, მერანმა, შტერცინგმა, ინსბრუკმა და ჰალმა კი უძვირფასესი ჭურჭელი ათხოვეს მოზეიმეებს. ნეფე-დედოფლის თავთით მძიმე და ძვირფას დროშებზე მოუქნელი ჰერალდიკური მხეცების გამოსახულებანი მოჩანდა. მუსიკის ხმების თანხლებით მოჰქონდათ მექორწილეებისათვის სანოვაგე მდიდრულად დარახტულ, მაღალ, ღონიერ საბრძოლო ტაიჭებზე ამხედრებულ ბოჰემიის, კარინთიისა და ტიროლის რჩეულ რაინდებს. ყოველი ახალი თავი საქმლის მირთმევის შემდეგ თავადებს შემოჰქონდათ ხელის დასაბანი წყალი და პირსახოცები, ასხამდნენ ღვინოს, ჭრიდნენ ხორცეულს. ნაადრევად დაბერებული სახეებით, მაგრამ მოზეიმე იერით შესცქეროდნენ ბავშვები სამეფო სუფრის ბრწყინვალებას.

გულკეთილი მეფე ჰაინრიხი ნეტარების ზღვაში ცურავდა. ფეხზე წამოდგა, მიეახლა თავის ახლად შერთულ ახალგაზრდა მეუღლეს — გაუბედავ და მუდამ სიცივისაგან აბუზულ ბეატრისა სავოიელს, რომელიც თავადის ქალთა სუფრას ხელმძღვანელობდა. მივიდა, ხელი ხელზე მოუთათუნა და მისი სადღეგრძელო შესვა. მერე ისევ თავის ადგილზე დაბრუნდა,

ლუქსემბურგელს მიუჯდა — რაინდთა შორის უპირველესს, ეთელ საქრისტიანოში დარდიმანდობით განთქმულს. სიამოვნებდა მასთან გვერდიგვერდს ჯდომა, მისთვის თავის გატოლება. ლუქსემბურგელი არ ჰგავდა დღენიადაგ დაფიქრებულ, აბეზარ ბავარიელს, მეფე ლუდვიგს, რომელიც მუდამ პოლიტიკასა და ომზე ლაპარაკობდა. ლუქსემბურგელი მისი ყაიდის კაცი იყო. თვითონ მას, ჰაინრიხს, ხომ შინ ჯდომა არ უყვარდა, დადიოდა და დაარშიყობდა თავის სასახლეებში: ცენობერგში, გრიზში, ტრიენტში. ქვეშევრდომების სასახლეებსაც ეწვეოდა ხოლმე და თავადის ქალები დიდად მოხარულნი იყვნენ, თუ შემთხვევა მიეცემოდათ და უღრმეს მორჩილებას დაუმტკიცებდნენ თავიანთ მეფეს. არც მოგზაურობის დროს გაურბოდა თავშექცევას და კმაყოფილი იყო, თუ რომელიმე ქალაქის მაგისტრატი საზეიმო ვითარებაში სამხიარულო სახლში მიიპატიჟებდა ქალებთან. მაგრამ იოჰანი — მოწამეა ზეცაც და ცხრაკუდიანი ეშმაკიც! — ბევრად მასზე უარესი გამოდგა. ესპანეთის საზღვრიდან ვიდრე უნგრეთის ბოლომდე, სიცილიიდან შვედეთამდე არ დარჩენილა ქალაქი, სადაც ოინები არ დაეტრიალებინოს. სხვის ტანსაცმელს გადაიცვამდა ხოლმე და ხვადი კატასავით ჟინმორეული დაძვრებოდა წყვდიადით მოცულ ქუჩებში. უღმერთოდ არშიყობდა ქალაქელ მანდილოსნებთან და თუ მათი შეურაცხყოფილი საყვარლები ხმას ამოიღებდნენ, ერთ აყალმაყალს ატეხდა. მთელ ევროპას მოედო მისი უტიფარი, თავბრუდამხვევი, წარმტაცი თავგადასავლების ამბავი. სიამოვნებისაგან გაბრუებული, უკვე მაგრად შეზარხოშებული ჰაინრიხი თითქმის ზედ მიეკრა ლუქსემბურგელს. გულწრფელად, უშურველად მოსწონდა ყოველი მისი საქციელი. რა თქმა უნდა, თვითონ უფრო ასაკოვანი იყო, ოდნავ ხანგადასულიც, მაგრამ სხვაფრივ კი იოჰანში თავის ორეულს ხედავდა, თითქოს იგი მისი უმცროსი ძმა ყოფილიყოს. გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ სხვებსაც ისევე მოსწონდათ იოჰანი, როგორც მას.

ჰაინრიხმა ჭიქა ბოლომდე გამოსცალა, თვალებმინაბულმა მეგობრულად მუჯლუგუნი წაჰკრა იოჰანს, ერთი ჩაიხითხითა და ჩურჩულით უწმაწური ამბების მოყოლა დაიწყო. ფრიად გონიერი გახლდათ ბრწყინვალე იოჰანი, მოთმინებით ისმენდა

დამოყვრებული მეფის გაუთავებელ ბებრულ ჩლიფინს და თუმცა გამოთაყვანებულ ბერიკაცად მიაჩნდა იგი, სტუმრების ზინაშე მაინც არაფრით გაუმხელია გულში ნადები. მეფეები მკლავგადახვეული ისხდნენ, ტკბილად ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს უწმაწურ ამბებს და ფხუკუნს ვერ იკავებდნენ.

დანარჩენებიც შეზარხოშდნენ, ჟინჟღლივით წამოწითლდნენ. ბოჰემიის, ლუქსემბურგისა და ტიროლის მკვიდრნი თითქმის ვერ იგებდნენ ერთმანეთის ლაპარაკს და იყო ამაზე ერთი ხუმრობა და სიცილი. წამდაუწუმ გაისმოდა მეფის უკანონო ძმების, ჰაინრიხ ფონ ეშენლოს და ალბრეხტ ფონ კამიანის, ყურთასმენის წამღები ომახიანი ხარხარი.

გაოცებული ქკვიანი თვალებით შეჰყურებდა პატარა მარგარიტა თავის მხიარულ ბიძებს. მისი სეფექალები—ფრაუ ფონ ლოდრონი და ფრეილინა ფონ როტენბურგი კეკლუცად ეევდრებოდნენ მამაკაცებს — ხმადაბლა მაინც ილაპარაკეთ საჩუმათო ამბებზე, ბავშვებმა არ გაიგონონო. სამეფო კარის ამ ორ, უკვე ასაკმოკიდებულ მანდილოსანს, როგორც ჩანს, საკმაოდ გასჯდომოდათ ტკბილი ღვინო და აპარხლებულ სახეებზე აგზნებული ღიმილი დასთამაშებდათ.

ქალების სუფრასთან იჯდა მარგარიტას უმცროსი დაც — სნეული ხეიბარი ადელჰაიდა. საცოდავი ბავშვი ხალხს გაურბოდა და, მისთვის რომ ეკითხათ, სიამოვნებით დარჩებოდა მონაზვნებთან ფრაუენხიმზეეს მონასტერში. მაგრამ მარგარიტამ ჯიუტად მოითხოვა, რომ იგი აუცილებლად დასწრებოდა მის ქორწილს. და აი, ახლა, დროშებით, საგანგებოდ დამზადებული საპმელებითა და რაინდების როხროხით ავსებულ დარბაზში იჯდა ქვეყნის ძლევამოსილ დამპყრობთა უმწეო ნაშიერი, კუზიანი არსება, რომელიც ძალიან ჰგავდა სამეფო კარის მასხარებსა და ქონდრისკაცებს, მის წინ რომ იმანჭებოდნენ და უხიაგი ხუმრობით ართობდნენ დამსწრეთ. სათნო ბეატრისა სავოიელი, მისი დედინაცვალი, ნაზად უღიმოდა და ხელზე ხელს უთათუნებდა.

მეფისწული იოჰანი, უასაკო ნეფე, მოღუშული და გახევებული იჯდა. ყველაზე საპატიო ადგილზე წამოსკუპებული თავს უხერხულად გრძნობდა. ბავშვებს ერთმანეთისთვის ჯერ სიტყვაც არ ეთქვათ და იოჰანი დროდადრო ქვეშქვეშად გახ-

ედავდა ხოლმე თავის საცოლეს, რომელიც მშვიდად, ზვიადად იჯდა თავის ადგილზე. მორცხვობის დასაფარავად პატარა მეფისწული ბევრს ჭამდა, განურჩევლად ეტანებოდა ყველაფერს და სანელებლებით შეზავებულ ღვინოს აყოლებდა. უეცრად იგრძნო, რომ გული ერეოდა; ჯერ თავის შეკავება სცადა და გამწარებით მოკუმა ტუჩები, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და ოლმიუტცის ეპისკოპოსი იძულებული გახდა გარეთ გაეყვანა. აქეთ-იქიდან ხუმრობა, სიცილი და ოხუნჯობა ისმოდა. მარგარიტას თავიც არ მოუბრუნებია: ცივად, ვულგარულად იჯდა და ერთ ადგილს მისჩერებოდა.

როდესაც იოჰანი მობრუნდა, აბჯარი აღარ ეცვა. თავისუფლად ამოისუნთქა. ჯიუტად კვლავ მიეძალა ტკბილეულობას: ფსტას, ლეღვს, თაფლის კვერებს, ხილფაფას, კამფეტს. მთელი ეს მოგზაურობა, ეს უსახური ამაყი გოგონა — მისი საცოლე, ქორწილი, მამა, ეს ბებერი სქელი კაცი, რომელიც ახლა მისი სიმამრი გახდა, — ყველაფერი უზომოდ სძაგდა. იქ ერჩივნა ყოფნა, თავის ბოჰემიაში, პატარა ჭუქყიან სოფელში, რომელიც დედამისის სასახლეს ეკვროდა, ერჩივნა სოფლის ბავშვებთან ჭიდაობა-ღლაბუცი; მოენატრა ვენცესლავებთან, ბოგუსლავებთან, პროკოფებთან თამაში. მაღალი იყო იგი, ღონიერი, მაგრამ მხდალი. თამაშობისას გამეტებით კბენდა და ურტყამდა ხოლმე თავის ამხანაგებს. თუ ისინი თავს იცავდნენ, ამას ითმენდა, მაგრამ როგორც კი შეატყობდა, რომ დამარცხებას უპირებდნენ, მეფისწულობის ძალაუფლებას მოიმარჯვებდა, გაავდებოდა, დამნაშავეს აბეზღებდა და მის სასტიკად დასჯას მოითხოვდა. დედასთან იზრდებოდა, ელისაბედ ბოჰემიელთან, რომელმაც მთელი სამეფო მოუტანა ლუქსემბურგელს მზითვად. ელისაბედი ისტერიული ქალი იყო, გაგიჟებით უყვარდა თავისი დარდიმანდი ქმარი და უზომოდ ეჭვიანობდა მის საკმაოდ მრავალრიცხოვან საყვარლებზე. განსაკუთრებით სძაგდა განსვენებული მეფე რუდოლფის ქვრივი, ჰერცის დედოფალი. ამ ქალის უხამსმა კავშირმა იოჰანთან ბევეყანა სამოქალაქო ომში ჩაითრია და გააღატაკა. გრძნობათა ჭიდილის ამ ცვალებად ატმოსფეროში, ქმრისადმი ხან უზომო სიყვარულით აღტყინებულმა, ხან ზიზღით აღვსილმა და მისი წყევლა-კრულვით მოქანცულმა, აღზარდა მან პატარა იოჰა-

ნი. მამა-შვილი ერთმანეთს თითქმის ვერაფერს აგებინებდა. მამას ბოჰემიური არ ესმოდა, შვილს კი — ფრანგული. ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ გერმანულად, რომელიც ხეირიანად არც ერთმა არ იცოდა. თანაც ბავშვი მამას იშვიათად ხედავდა, რადგან მხოლოდ დღესასწაულებზე თუ ჩამოვიდოდა იგი საქეიფოდ თავის სამეფოში, რომელიც ჭირივით ეჯავრებოდა და მხოლოდ ფულის გამოსაძალავად უნდოდა. მას თავისი ლუქსემბურგი და რაინის ლამაზი სამფლობელოები ერჩივნა მთელ ამ ქვეყანას. ასეთ დროს დედა აიძულებდა იოჰანს ხან სიძულვილით შეხვედროდა მამას და ხან სიყვარულით, იმის მიხედვით, თუ თვითონ რა გუნებაზე იყო. ასე მიეჩვია ბავშვი პატარაობიდანვე ცბიერებას, გულჩახვეულობას, ჯიუტობას, მორცხვობას.

მთაგორიანი ტიროლი, სადაც ყველაფერი ჩახჩახა მზით იყო განათებული, არ მოეწონა, გული უკან მიუწევდა თავის ნისლიან და ღრუბლიან ბოჰემიაში. თვალები ელულებოდა, გრძნობდა, რომ ყელამდე მაძღარი იყო. ღვინომ ააფორიაქა და ახლა მბრძანებლობა ნებავდა, ვინმეს წვალება.

ზურგსუკან მდგომმა ახალგაზრდა პაემა ოქროს სურიდან წყალი დაუსხა ხელებზე, იოჰანმა მკაცრად შეუტია, ფრთხილად იყავი, სახელოები დამისველდაო. პაეი აჭარხლდა, პატარა ტუჩები აუცახცახდა, პასუხის გაცემა უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა და იყუჩა.

მარგარიტამ მსწრაფლ მოიხედა, მკვირცხლი თვალი შეავლო პაეს. ტანაშოლტილი ჭაბუკი სამი-ოთხი წლით უფროსი ჩანდებოდა იოჰანზე. ვაჟკაცურ, მზემოკიდებულ სახეს მოზრდილი ცხვირი და სქელი ტუჩები შვენოდა. გრძელი, წაბლისფერი თმა ლაღად ჩამოშლოდა.

— რა ჰქვია თქვენს პაეს, მოწყალეო ხელმწიფევ? — წარმოთქვა მარგარიტამ თბილი და საამო ხმით.

იოჰანმა უნდობლად, ცერად გადახედა პატარძალს.

— კრეტიენ დე ლაფერტი,—ბუზღუნით ამოღერღა პასუხი.

აგერ უკვე ერთი წელია, რაც სამეფო კარმა თამაშობა-გართობაში უფროს ამხანაგად და მეგობრად მიუჩინა მას კრეტიენი. ჭაბუკი მას უნდა მომსახურებოდა და თან ფრანგული და ბურგუნდიული ეთიკეტის წესებში გაეწაფა.

— ერთი ის კამფეტი მომართვით, კრეტიენ! — გულგრილად წარმოთქვა მარგარიტამ და პაუს შეხედა.

კრეტიენმა უმალ მიაწოდა ტკბილეულობით სავსე ლანგარი. გოგონამ დინჯად, აუჩქარებლად აიღო ერთი ნაჭერი, სამ ნაწილად გაყო, ერთი თვითონ აიღო, მეორე იოჰანს მისცა და მესამე თავჩაქინდრულ კრეტიენს მიაწოდა.

დიდებულებს ბავშვების არც ერთი მოძრაობა არ გამოჰპარვიათ და ოხუნჯობას მოჰყვნენ ამ ამბავზე — ხედავთ, როგორ ბაძავენ ისინი უფროსებს სალუქ ზრდილობაშიო. ხუმრობამ თანდათან უხეში ხასიათი მიიღო: მოურიდებლად ხითხითებდნენ პატარძლის იშვიათ სიმახინჯეზე. „საწყალი ბიჭი!“ — თქვა ერთ-ერთმა ბოჰემიელმა. — „სიმწრის ფასად დაუჯდება ახალი სამფლობელოები“. „მე კი მახვილით დაპყრობას ვარჩევდი ამას“, — მიუგო მეორემ. — „ასეთი დრუნჩი რომ მოგეწონოს, კარგი რამ მაინც უნდა ეცხოს ზედ“, — დასძინა მესამემ. ტიროლელი ბარონები ჯერ ჩუმად იყვნენ, ბაგრამ ბოლოს უნებურად ისინიც აჰყვნენ სხვებს. პატარა მარგარიტამ მათკენ მოიხედა. რაინდები დარწმუნებული იყვნენ, რომ გოგონას მათი ლაპარაკი არ ესმოდა, მაგრამ მის დიდ, მეტყველ თვალებში იმდენი მიხვედრილობა გამოსჭვიოდა, რომ შეცბნენ და მყის მიჩუმდნენ.

რაინდების წრეში იჯდა აგრეთვე იაკობ ფონ შენა. იგი ყველაზე ახალგაზრდა იყო მეფე ჰაინრიხის მრჩეველთა და ორწმუნებულთა შორის. ხშირად დადიოდა სტუმრად მის სასახლეებში და პატარა მარგარიტას იქ ხვდებოდა. იგი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც გოგონას უყვარდა, ვისაც ენდობოდა. ფონ შენა სხვებივით ენამოჩლექით, მოწყალე კიდოთი როდი ელაპარაკებოდა, რაც ბოღმით ავსებდა მარგარიტას. ისე გაუბამდა ხოლმე საუბარს, როგორც ასაკსრულს, როგორც თავის ტოლს.

იაკობი ხედავდა, თუ როგორ მედიდურად იჯდა საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული პატარა პატარძალი, გრძნობდა, რაოდენ შორს იყო მისგან ეს გაუთლელი ბოჰემიელი უფლისწული. კარგად დაინახა, გაცნობის მიზნით როგორ გაესაუბრა მარგარიტა კრეტიენს. ფონ შენას აქეთ-იქიდან გამუდნებით ესმოდა, რა უმოწყალოდ დასცინოდნენ პრინცესას გონჯ

სხეულს. იგი წამოდგა და, როგორც საერთოდ სჩვეოდა, ჩხრებში მოხრილი, ზლაზვნით გაეშურა ნეფე-დედოფლის მაგიდისაკენ. მარგარიტას წინ გაჩერდა, მოწიწებით გაუსწორა ფოლადისფერი, მეტყველი, კეთილმოსურნე თვალები და დინჯი მასლაათი გაუბა. ერთი შეხედეთ, რა კარგად გამოიყურება თქვენი სიმამრი, ბოჰემიის მეფე; სულ არ ეტყობა დაღლილობა ამდენი ჯაფის შემდეგ. და რადგან სამხრეთ ტიროლის ნონახულებას აპირებს, ბევრ საზრუნავს გაგიჩენთ, ვინაიდან ყველა აქაური სასახლე, ალბათ, მეფის ამალითა და ჯარით გაივსებაო... შემდეგ იმაზე ჩამოუგდო სიტყვა, ნეტავ რამდენი ფული დასჭირდება ლომბარდიაში ლაშქრობას, თუ ეს ამბავი მართლა გადაწყდაო... პატარა იოჰანი ალმაცერად შეჰყურებდა მათ, საშინლად აოცებდა მარგარიტას ჭკვიანური და გაახრებული სიტყვა-პასუხი.

მალე სუფრაც აიშალა. წასვლის წინ მარგარიტა კიდევ ერთხელ გაესაუბრა თავის მომავალ ქმარს. ჰკითხა, რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ტიროლმა, მამაჩემის სამეფო კარმა; სიხარულით თუ მოელით ტურნირებზე დასწრებასო. უსურვა მალე შეჰგუებოდა ახალ სამფლობელოში ცხოვრებას. მკვახედ, უმეცრად, ძალდატანებით პასუხობდა ბიჭი და მთელი ამ ხნის განმავლობაში უბირი სიჯიუტის გამომეტყველება არ მოსცილებია მის არცთუ ულამაზო სახეს.

მარგარიტა გასასვლელისაკენ გაემართა. წინ კრეტიენი დახვდა, კარვის კალთას ეცა, გადახსნა. მშვიდად, ცივად, მედიდურად, მეფურად გადაუხადა მადლობა პრინცესამ.

თავის კარავში ინება წაბრძანება ტახტრევანით; ახლა კი უწია დაღლილობამ. სეფექალებმა ტანსაცმელი გახადეს. სულმოუთქმელად ქაქანებდნენ, იცინოდნენ, წვრილად არჩევდნენ ნადიმის მონაწილეთა საქციელს. დედოფალი უკვე ლოგინში იწვა, ქალები კი თავისას არ იშლიდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, წავიდნენ. ესიამოვნა გოგონას ვიწრო და მძიმე საზეიმო ტანსაცმლის გახდა. შვებით ამოისუნთქა და სიამით გაიზმორა, ახლა კი გააბამს ძილს. დიახაც რომ დაიმსახურა კარგი დასვენება. საკუთარ თავს ვერაფერს უსაყვედურებს. ნამდვილი დედოფალივით იქცეოდა, თავი არაფრით შეურცხვენია

ლუქსემბურგელი და ბოჰემიელი დიდებულების წინაშე. იოჰანი კი, რა თქმა უნდა, ვერაფერი შვილია.

— ეს თქვენი პრინცი ვერაფერი შვილია, — ჩაიხითხითა სწორედ ამ დროს მოახლემ კარვის გარეთ, სადაც ნადიმის სუფრას ალაგებდა.

— თქვენს პრინცესასთან შედარებით ცით მოვლენილი ანგელოზია! — სიტყვა არ შეაწია ბოჰემიელმა მსახურმა, რომელიც სუფრის ალაგებაში ეხმარებოდა და თან ეკურკურებოდა ქალს. — თქვენს გოგოს ხომ ნუღა იკითხავთ! რა დრუნჩი აქვს, რა კბილები! ჩვენთან რომ ასეთი გაჩენილიყო, უმალ წყალში დაახრჩობდნენ კატასავით.

მეფე ჰაინრიხი ამასობაში ქორწილის ხარჯს ისტუმრებდა. ქორწილი მართლაც სანაქებო გამოვიდა და სულაც არ იყო გასაკვირი, რომ ბევრი დაჯდა; მომჭირნეობა რა საკადრისია. კარისკაცებმა მსწრაფლ წარუდგინეს უზარმაზარი გადასახადი და მანაც ასეთი ერთგულების საფასურად არხეინად მისცა გირაოდ მდიდარი სოფლები, მამულები, სამფლობელოები, საბაჟოები და შემოსავლის სხვა წყაროები. ან კი რატომ არ უნდა მიეცა, მაგალითად, ვიზიაუნი და მოლტერნი სარგებლობაში საყვარელ ბურგგრაფ ფოლკმარისათვის? ადგა და ამათ რატენბერგიც ზედ მიაყოლა. ანდა ვილტენის აბატმა, რომელმაც საკმაო ხნის განმავლობაში ასე გულმოდგინედ უპატრონა საქორწილო კარვების ქალაქს, საფასურად იგლსა და ვილს შორის მდებარე ტბა რომ მიიღოს, განა ეს ბევრია? ვიქტრინგის მონასტერსაც ხომ უნდა ერგოს რამე; მარტო ვილტენი რომ დაასაჩუქროს, ხომ ეწყინება მის ერთგულ მდივან იოჰანესს. ერთი სიტყვით, ვიქტრინგმაც მიიღო რამდენიმე კარმიდამო და საბეგრო. „იმაზე დიდი სიხარული არ არსებობს, ვიდრე მეგობრის დასაჩუქრება“,—ანტიკური კლასიკოსის ნათქვამი გაუმეორა ენაწყლიანმა აბატმა.

ლუქსემბურგელი იმის მოწმე გახდა, თუ როგორ მოწყალედ, გულხალვათად, უდარდელად, მხიარულად აწერდა ხელს შეზარხოშებული მეფე ჰაინრიხი საიჯარო და ნაჩუქრობის სიგელებს. თვითონაც გულუხვი იყო, მაგრამ ასეთი თავხედური და უსირცხვილო სათხოვარით ვერ მობედავდნენ მასთან ბარონები. ამ ჭკუამხიარულ მოხუცს ნამდვილად მოუხდება

ფრთების შეკვეცა, თორემ ადგება, მთელ ქვეყანას გაასაჩუქრებს და მერე მადლობასაც ეტყვის, მისი საჩუქარი რომ მიიღეს. პატარა იოჰანს კი მხოლოდ პრინცესა შერჩება ხელში, ეს იქნება და ეს! პირმკრთალი, უწყინარი ბეატრისა, მეფე ჰაინრიხის ახალგაზრდა ცოლი, შიშით შეჰყურებდა თავის მეუღლეს, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ არიგებდა მდიდარ მამულებს. თავისიანებმა, სანამ გაათხოვებდნენ, მომჭირნეობას მიაჩვიეს; აქ კი, თუ ჰაინრიხს აჰყვა, მოახლის პერანგიც კი დასაგირავებელი გაუხდებათ. ამიტომ მტკიცედ გადაწყვიტა ამიერიდან თვითონ განეგო ფინანსების საქმე; ფერმკრთალ, თვინიერ სახეზე ანაზდად სასტიკი გამომეტყველება აესახა.

უახლოეს დღეებში ტურნირი ტარდებოდა. ამასთან დაკავშირებით მრავალი ახალგაზრდა თავადი რაინდად უნდა ეკურთხებინათ. მარგარიტამ არ დააყოვნა და თავის ბიჭუნა-მეუღლეს სთხოვა მისი პაჟი კრეტიენ დე ლაფერტიც დაელოცათ რაინდად. იოჰანს თვალები დაუპატარავდა; ჯიუტად ჩაიბურტყუნა რაღაც. მარგარიტამ უფრო დაბეჯითებით გაუმეორა თხოვნა. მეფისწულმა ბოროტად გამოსცრა კბილებში— მე ეს არ მწადსო. პატარა, გამხდარი მუშტი ძალუმად წაჰკრა ფერდში კრეტიენს და დამცინავად მიაძახა:

— ესეც შენი კურთხევა! — თან გრძელი სახე ეშმაკურად ბობრიცა.

— უღრმეს მადლობას გწირავთ მოწყალებისათვის, თქვენო უმაღლესობავ! — მიმართა სახეაჭარხლებულმა კრეტიენმა მარგარიტას. — მაგრამ თუ მას არ სურს...

— სამაგიეროდ მე მსურს, მე!—წარმოთქვა მარგარიტამ და მის დაბალ, ლამაზ ხმას მგზნებარება დაეტყო. შემდეგ იგი მამასთან და მეფე იოჰანთან გაიქცა სათხოვნელად. იმათაც ღიმილით აღუთქვეს სურვილის შესრულება. ერთიერთსაწინააღმდეგო გრძნობებით შეპყრობილმა კრეტიენმა მადლობა გადაუხადა მარგარიტას. ამხანაგები ისედაც მასხრად იგდებდნენ: ასეთი ნარნარი სატრფო სად იშოვეო.

დათქმულ დღეს ზარ-ზეიმით დაიწყო ტურნირი, რომლისთვისაც ტიროლი მრავალი წლის განმავლობაში ემზადებოდა. დიდად გაიხარა ყველამ. ოთხი რაინდი დაეცა ბრძოლაში, შვი-

დი მძიმედ დაიჭრა. ქვეყანა იმას ამბობდა, ასეთი სიამოვნება ოახანია არ მოგვსწრებიაო.

შერკინებაში მეფე იოჰანმაც მიიღო მონაწილეობა. მაგრამ რაკი შეიტყო, რომ რაინდები ერიდებოდნენ მასთან მთელი ბონდომებით ბრძოლას, აქაოდა, მეფეს არაფერი დავუშავოთო, სხვაგვარად გადაწყვიტა საქმე და ვინმე შილტჰარტ ფონ რეხბერგის გერბით გამოვიდა საასპარეზოდ. ალპიური ქვეყნების მცხოვრებლებსა და უცხოელებს შორის ხშირად იჩენდა ხოლმე თავს შუღლი. ახლა ამას ისიც ზედ დაერთო, რომ კარინთიისა და ტიროლის თავადები შიშობდნენ, ვაითუ ლუქსემბურგელების გავლენით გულმოწყალე მეფე ჰაინრიხი ხელიდან გამოგვეცალოს და ამით ჩვენი კეთილდღეობა შეირყესო. ამიტომ ლაღი სპორტული თამაშების მიღმა საშინელი ქიშპობა და შური იმალებოდა. მაყურებლებს კი დიდად სიამოვნებდათ, როცა მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ნეკნებს ამტვრევდნენ. შემთხვევით იყო, თუ იცნეს სხვის გერბს ამოფარებული მეფე იოჰანი, ეს კია, რომ მას შებრძოლება მოუხდა ტიროლელთა შორის ყველაზე ზორზოხ და მძვინვარე რაინდთან, კეება ბურგგრაფ ფოლკმართან. გაშმაგებით ეკვეთნენ ერთმანეთს. ბოლოს მეფე, რომელსაც მთელი წინა ღამე თავაშვებულ ქეიფში გაეტარებინა, ცხენიდან გადმოვარდა. როდესაც ტალახში ამოგანგლული რის ვაი-ვაგლახით წამოაყენეს, საკმაოდ დაშავებული იყო. თანაც იოჰანი იძულებული გახდა თავისი ცხენი ბურგგრაფისაგან გამოესყიდა და ამისათვის სამოცი ვერონული ვერცხლის მარკა მიეცა მისთვის. არ იმჩნევდა, თორემ ბოღმა ახრჩობდა, სწორედ იმ საზიზღარმა, ხეპრე და ხარბმა ადამიანმა რომ სძლია. სხვაფრივ კი ღირსეულად ეჭირა თავი, ვითომ სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა თავისი დაკოჭლება და ეს უსიამოვნო ფათერაკი, თავაზიანად და საქმიანად მსჯელობდა სპორტულ თამაშობებზე და ათასნაირი საქებარი სიტყვებით ამკობდა ტიროლელთა კარგ მომზადებასა და მამაცობას.

იმ საღამოს მეფე ჰაინრიხი დაღლილი იჯდა თავის კარავში; მშვენივრად ჩატარებული ზეიმის სიხარული თანდათან გაუქარწყლდა. უამრავი ხარჯი იყო გასასტუმრებელი: ბოცენელი ყასბები ფულს ითხოვდნენ, ინსბრუკის მოქალაქეთა-

თვისაც საკმაოდ დიდი თანხა იყო გადასახდელი; კეთილი, განსწავლული აბატი მარიენბერგი მოვალეებს თავს ვეღარ აღწევდა, თუმცა იოლად შეეძლო მათი გასტუმრება, მეფეს საკუთრივ მისი ვალის ნაწილი მაინც რომ დაებრუნებინა. ჰაინრიხი სიამოვნებით გადაიხდიდა მთელ ვალს, მაგრამ ვაგლახ, რომ სალაროები ცარიელი იყო. მართალია, მეფე იოჰანს მზითვის ფული — ორმოცი ათასი ვერონული ვერცხლის მარკა ემართა მისი; ამ უზარმაზარი თანხით იგი მთელ ვალებს გაისტუმრებდა, მაგრამ ახლა უხერხულად მიაჩნდა ამის შეხსენება მეფისათვის. ყოველ შემთხვევაში დღეს ნამდვილად არ შეეძლებოდა. გამოცდილებით გრძნობდა, რომ ამას მართლაც შეეძლო ზეიმის ჩაშხამება.

დიდ საგონებელს მისცემოდა მეფე, არ იცოდა რა გზას დადგომოდა. ამ დროს დიდებულებმა აჩრდილებივით უჩინარი სამი კაცი წარუდგინეს. სამივე მეტისმეტად სიტყვაძვირი, მორიდებული და უთვალადო იყო. მათი მკვირცხლი თვალები უღრმეს ერთგულებაზე მეტყველებდნენ. სამივენი ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. ისინი მეფეს თითქოს ადრეც ენახა სადღაც, მაგრამ ვერაფრით ვერ მოიგონა, სად. და არც იყო გასაკვირი. აბა როგორ უნდა დახსომებოდა ეს ჩია, ლამის უჩინარი არსებანი. მოსულები წამდაუწუმ თავს უკრავდნენ მეფეს, ძლივს გასაგონი ხმით ლაპარაკობდნენ. ესენი გახლდნენ ფლორენციელი მესერე არტეზი, მერანში ფულის მოჭრის იჯარის მფლობელი, და მისი ორი ძმა. ისინი ახლაც მზად იყვნენ თავისი უმნიშვნელო კაპიტალით დახმარებოდნენ სიქველით განთქმულ ქრისტიან მეფეს, მხოლოდ ერთი პატარა პირობით: დაე, მისმა უდიდებულესობამ ინებოს და ჰალის მარილის საბადოების შემოსავალი დაუთმოს მათ, ამ პატარა საბადოების შემოსავალი.

მეფე ჰაინრიხი გაშრა. როგორ, ჰალის საბადოები? ქვეყნის შემოსავლის უდიდესი წყარო? მართლაც რომ ძვირი უჯდება ქალიშვილის ქორწილი. თვით მისი უზრუნველი მრჩევლებიც კი შეცბენ. გადაწყდა — მოლაპარაკება ჰაინრიხის ახალგაზრდა ცოლს ეწარმოებინა. მან კი იმას მიაღწია, რომ მარილის საბადოები მხოლოდ ორი წლით გადასცეს იჯარით ფლორენციელებს. მრავალჯერ სცეს მათ თაყვანი მეფესა და

მის კარისკაცებს. ფული ჩაუთვალეს, იჯარის სიგელები ჩაიბარეს და ფეხაკრეფით გაილალნენ — აჩრდილებივით ნაცრისფერნი, ლამის უჩინარნი, ერთმანეთის უცნაურად მსგავსნი.

მარგარიტამ თავად ფონ შენას ასეთი რამ ჰკითხა:

— გჯერათ, რომ კრეტიენ დე ლაფერტი ჩემზე ძვირს ლაპარაკობდეს? გულწრფელად მითხარით, ბატონო ფონ შენა, გჯერათ, რომ სხვებთან ერთად დასცინოდეს ჩემს გარეგნობას, ჩემს სიმახინჯეს?

იაკობ ფონ შენამ საკუთარი ყურით მოისმინა, თუ როგორ აღიზიანებდნენ კრეტიენს ამხანაგები, საქრისტიანოს ყველაზე მახინჯი ქალის კუროო-რაინდი ხარო, როგორ იკავებდა ჭაბუკი პირველად თავს; მერე კი ისე მოჰყვა მარგარიტას გაქიაქებას, რომ ყველას გადააჭარბა. იაკობი ხედავდა პასუხის მოლოდინში მისკენ მიპყრობილ დიდ, მეტყველ, ბავშვურ თვალებს.

— არ ვიცი, ჩემო ქალბატონო, — მიუგო მშვიდად. — კარგად არც კი ვიცნობ ჭაბუკ კრეტიენს, მაგრამ არა მგონი ოქვენზე ძვირი ელაპარაკოს. — ეს უთხრა და თავისი დიდი, გამხდარი, უღონო ხელი ალერსით თავზე დაადო მარგარიტას. გოგონას ამჯერად კი ესიამოვნა ბავშვივით რომ მოექცნენ და ეალერსეს.

*

ცენობერგის სასახლეში მეფე იოჰანი ტიროლელ ბარონებს ეთათბირებოდა. რაკი ჩემი მცირეწლოვანი შვილის მეურვე გახლავართ და ჰაინრიხის სიკვდილის შემთხვევაში ფიცი უნდა დადოთ ჩემს წინაშე, მოდით და ახლავე შემომფიცეთო. ბარონები თანახმანი იყვნენ, მაგრამ ამის სანაცვლოდ საკუთარი პრივილეგიების დაცვას მოითხოვდნენ. ლუქსემბურგელი იმას უნდა დაჰპირებოდა, რომ უცხო ქვეყნის ხალხს არ დასვამდა გამგებელთა თანამდებობებზე. გარდა ამისა, ყოველი მათგანი აშკარად თუ სიტყვაშეფარვით თხოულობდა ფულს, ახალ სამფლობელოს, მამულს, საბაჟოს.

დაპირებებისა და აღთქმების მიცემაში იოჰანი გულუხვი

იყო. ფრიად ეადვილებოდა რაიმე საბუთზე ხელის მოწერა და ბეჭდის დასმა. ბოჰემიაში მიღებული გამოცდილებით იცოდა, რომ თავიდათავი ამბავი ძალაუფლების მოხვეჭაა. თუ იმარჯვებს და ფულსა და ჯარს მოუყრის თავს, ხომ გაიხარებს და ფრანგებს, ბურგუნდიელებს და რაინის ნაპირზე მცხოვრებთ დაუსვამს მმართველებად ამ თავხედ მთიელებს. ხოლო თუ ღმერთი გაუწყრა და ვერც ჯარი და ვერც ფული ვერ იგდო ხელთ, რაღას იზამს, ღვთის შეწევნით შეასრულებს თავის დანაპირებს. ჯერჯერობით კი მის ნოტარიუსებს თითებზე ბებერები დაასხდათ ბევრი წერისაგან: „ჩვენ, იოჰანი, ღვთის წყალობით, მეფე ბოჰემიისა და პოლონეთისა, მარკგრაფი მორავიისა, გრაფი ლუქსემბურგისა ამით ნათელვყოფთ და ვაუწყებთ ყველას და წერილობითა და ბეჭდის დასმით ვადასტურებთ...“ ფულის გაცემისას კი იოჰანი უფრო ფრთხილობდა. ყოველ შემთხვევაში, ხარბ, გაუმაძღარ და მატყუარა ფეოდალებს იმას მაინც აგრძნობინებდა, რომ ხვდებოდა მათ ზრახვებს. საბოლოოდ რაინდული მედიდურობით მაინც მიუგდებდა ხოლმე, რასაცა სთხოვდნენ. ნაღდ ფულს კი არავის აძლევდა, არც გააჩნდა; მხოლოდ გრძელვადიანი თამასუქებით ისტუმრებდა მთხოვნელთ.

სამწუხაროდ, გულკეთილი მეფე ჰაინრიხიც მიხვდა, რომ მალე ვერ მიიღებდა აღთქმულ ორმოცი ათას ვერონულ ვერცხლის მარკას. შინაურულად, გულღიად, მხიარულად მოხვია ხელი ლუქსემბურგელმა, დაუფიქრებლად გადაულოცა კუფშტაინისა და კიტცბუჰელის სასამართლო შემოსავალი, რომელიც თავისი სიძის, ქვემო ბავარიის ჰერცოგისაგან მიეღო და სანაცვლოდ რაღაც სხვა მიეგირავებინა, მერე ახალ-ახალი დაპირებები აღუთქვა საგაზაფხულოდ, მოდური, წაწვეტებული ფეხსაცმელები მოუწონა და ის გათქვირული ქალიც შეუქო, რომელთანაც იცეკვა მეფემ. ჰაინრიხს გამბედაობა არ ეყო, რომ ყოველივე ამის შემდეგ ფულზე ჩამოეგდო ლაპარაკი.

საღამოს მეფე იოჰანმა კამათლის თამაში გაბა კარინთიელ და ტიროლელ ბარონებთან. ურიცხვ ფულს გადადიოდა. ვეღარავინ გაუძლო და საბოლოოდ მხოლოდ კისერჩარეშებული ფოლკმარი შერჩა თამაშს. ლუქსემბურგელს სძაგდა ეს ზორზოხი, უხეში კაცი, რომელმაც სასტიკად დასჯაბნა ასპარე-

ზობაში. აი, ახლაც იმოდენა ფული დათქვა ჩასასვლელად, რომ მეფე ჰაინრიხმაც კი სული განაბა. გააგორა და წააგო. ცივად, ზერელედ გამოსცრა კბილებში, ვალი ჩემზეაო. ბურგგრაფი ფოლკმარი აბუზღუნდა, აიფხორა; იოჰანმა ორლესული ოხუ-ნჯობით მოიგერია და ხმა ჩააწყვეტინა.

საოცარი ამბავი მოხდა: ბოჰემიაში მღელვარება დაიწყო, იოჰანი კი მაინც არ დაბრუნდა შინ. ქვეყანამ შვებით ამოისუ-ნთქა. მეფის ჩამოსელა შიშის ზაფრას უტეხდა ყველას. მოკ-ლე ხნით კი დასდებდა ხოლმე პატივს თავისი გამოჩენით, მაგ-რამ დღენიადაგ იმას ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ფული წაეგლიჯა ხალხისათვის. ჰოდა, რაკი ვერ მოიცალა ჩამოსას-ვლელად, მით უკეთესიო.

დიახ, იგი ტიროლში დარჩა. ტრიენტის ეპისკოპოსის სამფლობელოს ესტუმრა. იჯდა იქ უქმად ეს ნათელმოსილი მეუფე, მთელი საქრისტიანოს უპირველესი რაინდი და ელოდა რაღაცას. რას? ორპირი ქარივით ცვალებადს აბა ვინ მიუხვ-დებოდა განზრახულს.

ტრიენტის ეპისკოპოს ჰაინრიხს ფრიად უმძიმდა მისი სტუ-მრობა. რანაირად უნდა ეგორებინა მისთვის წითელი კოჭი, რომ პაპი ან იმპერატორი არ განერისხებინა თავისი ამგვარი საქციელით? მაინც რა ავდრის მომასწავებელი ჯანყი დას-დევს მუდამ ამ ბოჰემიელ მეფეს? მისი სადმე ჩასვლა და იქ ერთი ვაი-უშველებლის ატეხა ერთია, ევროპის ყველა სამე-ფო კარის შიკრიკნი თავქუდმოგლეჯილნი დასდევენ და ვერსად პოულობენ, რადგან მეფეს ერთ ადგილას დიდხანს გაჩერება არა სჩვევია. მდინარის წყალივით მოუხელთებელია. რას დადის ამდენს? სად? რისთვის? გაიგებ? დაბრუნებულიყო მაინც ღვთისშერისხული თავის ქვეყანაში! მაგრამ არადა არ-აო. რას დაეძებს თავის ქვეყანას. არც კი უყვარს ეს პირქუ-ში, ნისლიანი მხარე. თურმე ნუ იტყვით, ნათელი და მზიანი დასავლეთი ურჩევნია, რაინი, თავისი საგრაფო ლუქსემბურ-გი, პარიზი მოსწონს.

ეპისკოპოსი, კარგად მოსული, ჩასხმული კაცი, რომელსაც ბ,აფიოდ გამოკვეთილი, შავგვრემანი, იტალიური სახე ჰქონ-და, ბონკონზილის სასახლეში იჯდა და თავის მეგობართან,

ჭკვიან და გულისხმიერ ვიქტორინგელ აბატთან საუბარში იქარვებდა დარდს. ღვთის მსახურებმა გული იჯერეს მეფის ლანძღვა-გინებით: ო, ეგ წარმართი ეგა! იერობოამი! როგორ უღვთოდ ძარცვავს თავის ეკლესიებსა და მონასტრებს. წმინდა ალბერტის საფლავიც კი არ დაინდო — განძის ძებნაშ., ისიც გადაათხრევინა. ეკლესიის წამბილწველი! ღვთის გარეგანი! „მაგრამ დადგება ჟამი და შურისმგებელი აღდგება ნეშტისა ჩვენისაგან!“ — გაიხსენა განსწავლულმა აბატმა ანტიკური ხანის კლასიკოსის ნათქვამი.

მართლაც, წელთა მანძილზე ესოდენ საშიში და შემაწუხებელი სტუმარი არ ჰყოლია ტრიენტის საეპისკოპოსოს. ნაკურთხი მეფეა, მაგრამ გაიძვერაა და ავაზაკი, — მოურიდებლად დაასკვნა ეპისკოპოსმა. ეჰ, თავის გვირგვინს უნდა უმადლოდეს, თორემ ამდენ ხანს ასჯერ ჩამოახრჩობდნენ. თამაშშიც ხელმრუდია. აბატმა კვერი დაუკრა, ახლახან ინსბრუკში კვლავ იეშმაკაო. დღესდღეობით იგი ყველაზე აღვირახსნილი მფლანგველია, ვალის გადახდაზე ხომ ნუღარ იტყვით. ამას ზედ დაუმატეთ მისი ყოვლად უმსგავსი კავშირი ბოჰემიის ორივე დედოფალთან. სწორად მოიქცნენ პრაღაში ამ ორი წლის წინათ. მაშინ მან დიდი ტურნირის მოწყობა გადაწყვიტა. ადრევე შეუდგა სამზადისს: ბაზრის მოედანზე სახლებიც კი დაანგრევინა და ზედ კარვები და ტრიბუნები გაამართვინა. მერე კი ორი ათასი მოწვეული სტუმრის, იმპერატორის, მეფის, წარჩინებულებისა და თავადების ნაცვლად შვიდად შვიდი გასაცოდავებული საეკვო რაინდი მოეხეტა და ერთიც კიდევ გენუელი ბანკირი.

საუბედუროდ, ასეთი ოინის მოწყობას ახლა ვერავინ გაუბედავს. გულდასაწყვეტი კია. მისი დიდება და სახელი ცვალებადია, ვითარცა მთვარე. რამდენიმე კვირის წინ ისე გაურბოდნენ, როგორც კეთროვანს, დღეს კი ისე აჰყავთ ზეცაში, თითქოს ქრისტიანული სამყაროს უპირველესი გმირი ყოფილიყოს, და თვით მისი საცოდავი, მისგანვე გაღლეტილი ბოჰემიაც კი დაბრმავა ბრწყინვალე გამარჯვებათა შემდეგ დაბრუნებული მეფის შარავანდედმა.

აბატი დაბეჯითებით აფრთხილებდა ეპისკოპოსს, არამც და არამც არ ჩაუდგე ჯიბრში ლუქსემბურგელს, ვინაიდან მი...

პოლიტიკა საბოლოოდ უაზრო თამაშია და სხვა არაფერია. „გრილი ტალღები კამკამით უხმობენ ყარიბსა ვისმე; მინდობილად გადაეშვება იგი წყალში და უმალ ვერაგულად შთანთქავს ზღვა“, — კვლავ სხვათა სიტყვა მოიშველია აბატმა. შემდეგ სიამოვნებითა და ლიტერატურის მოყვარულისათვის ჩვეული გულმოდგინებით დაახასიათა ლუქსემბურგელი, გაარჩია მისი საქციელი: თუმცა ნაქები რაინდია იოჰანი, მაგრამ სულაც არ ესწრაფვის უღრან ტყეში გოლიათებისა და თოროსანი ვაჟკაცების ძებნას. მას პოლიტიკის სფეროში მრავალფეროვანი თავგადასავლები უფრო იზიდავს. წარმატება კი არ სწყურია, სახიფათო არეულობა ხიბლავს. თუკი ამ წყეულ ევროპაში სადმე შფოთი ატეხილა, თუკი იმპერატორი და პაპი, მეფე და ტახტის მაძიებელი, საფრანგეთი და ინგლისი, ლომბარდიის სხვადასხვა ქალაქები, მავრები და კასტილიელები ერთმანეთს წაჰკიდებიან, ყველგან აუცილებლად ლუქსემბურგელის ხელი ურევია. ემარჯვება ხელშეკრულებებისა და კავშირების შეკოწიწება, მაჭანკლობა, ხლართების შეკვრა, მათი გაწყვეტა, ომი, ზავის დადება, ალიაქოთის შუაგულში ტრიალი, ახალი მეგობრებისა და ახალი მტრების გაჩენა, ჯარისკაცებისა და ქვეყნების მიტაცება, დარიგება...

— მხოლოდ არა ფულისა, — ამოიხვნეშა ეპისკოპოსმა.

აბატმა, ფრიად ნასიამოვნებმა იმით, რომ ასეთი ბრწყინვალე მჭევრმეტყველება გამოიჩინა, საბოლოოდ დაასკვნა: ეს გენიალური პროექტიორი გამორჩენის სულ მცირე შესაძლებლობასაც კი წინასწარ საზღვრავს, ხელს იწვდის მთელ დასავლეთზე, ხან მოიპოვებს რამეს, ხან ისევ კარგავს. ბოჰემია დღითი დღე ჩანაგდება, იგი კი ახალ-ახალ პრივილეგიებს, საზღვარს მიღმა მიმოფანტულ ქვეყნებს, ქალაქებს ნთქავს, უზომოდ იბერება. დარბაისელი, გულღია აბატი წელში გასწორდა და, თითქოს ქადაგებას იწყებსო, ისე განაგრძო:

— მაგრამ როგორადაც არ უნდა ეცადოს ფონს გასელას ეს პირმცინარე, მოდურად გამოწკეპილი, მომხიბლავი, თავაზიანი, ჯიბეცარიელი, ყოვლად ფლიდი იოჰანი, ვერადა ვერ მოესწრება თავის გულის ნადებთა განხორციელებას, რამეთუ ყოველი მისი ზრახვა უბადრუკია, ვითარცა უღვთო. ზოგჯერ ასე მეჩვენება, რომ სათამაშო ტიკინაა იგი ანდა უსხე-

ულო რამ აჩრდილი. „ყოველ საგანს აქვს თავისი ზომა, ყველაფერი ზღვარდადებულია“, — უძველესი დროის მწერლის სიტყვებით დაასაბუთა თავისი ნათქვამი აბატმა.

ეპისკოპოსსაც სჯეროდა ყოველივე ეს. მაგრამ შეიძლება კიდევ კარგა ხანს გაევლო ამ ყოფაში. ვინაიდან ჯერ არსად ჩანდა ღვთის მიერ ბოჰემიელისათვის დადგენილი საზღვარი. მანამდე კი ეს კაცი საცოდავ ეპისკოპოსს აწვა კისერზე. ენაწყლიან აბატს აღარაფერი ჰქონდა დასამატებელი, ორივე პრელატი ფანჯრიდან მდუმარედ, ფიქრიანად გაჰყურებდა პოხიერ მიწას, ლაღად ატყორცნილ, ბარაქიანი ბაღ-ვენახებით მოფენილ მოყავისფრო-მოიისფრო მთებს...

არა, ბოჰემიელს ჯერ ნამდვილად არაფერში ეტყობოდა ზღვარის დადება. პირიქით, მტკიცედ დამკვიდრებულიყო მზიან ტრიენტში და ნებიერად სიამტკბილობდა. მცონარობდა, განცხრომაში ატარებდა დროს. გრძელ თმასა და ლამაზ, ფაფუკ წვერს სამხრეთული შემოდგომის საამო ნიავს მიუშვერდა ხოლმე, ტიროლელ მანდილოსნებს ეარშიყებოდა. ამასობაში მთელ ლომბარდიას, მის ძლევამოსილ, მდიდარ ქალაქებს, ამაყი ბარონების ზვიად სასახლეებს მოედო ამბავი: აქ ბრძანდებაო იოჰან ბოჰემიელი, მეფე იოჰანი, ჰაინრიხ მეშვიდის, რომის იმპერატორის ვაჟი, მთელს დასავლეთში რაინდთა შორის უპირველესი, ვარსკვლავი გიბელინებისაო. ბურგუნდიელმა, ბოჰემიელმა, რაინისპირეთის რაინდებმა და ლაშქართმთავრებმა ამ კურთხეულ შემოდგომაზე თავისი პატარა რაზმები ბრენერზე გადმოატარეს. მიუნხენიდან ეჭვის თვალით უჭვრეტდა მთელ ამ ამბავს იმპერატორი ლუდვიგი. პაპი იოჰან ოცდამეორე მოუსვენრობამ შეიპყრო ავინიონში. მთელი დასავლეთი კვლავ აღტაცებით შეჰყურებდა ამ გასაოცარ კაცს, ამ ბრწყინვალე რაინდს.

მდინარე პოს დაბლობის თავადნი თუ პარტიათა მეთაურნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მის გადმობირებაში და ელჩებსა და საჩუქრებს უგზავნიდნენ. ორი შესანიშნავი არაბული ბედაური მოართვეს ვერონის მბრძანებლებმა, მასტინო დელა სკალამ და მისმა ძმამ. მაგრამ ბრეშიამ თავისი ვიკარის, ფრიდრიხ ფონ კასტელბარკოს პირით ცხენები კი არა, საკუთარი

თავი შესთავაზა სამუდამო მფლობელობაში. ალდრიგეტო ფონ ლიზანამ ბრძანა იოჰანის მოლარეთუხუცესისათვის ოთხი ათასი ვერონული ვერცხლის მარკა ებოძებინათ და თან მეფეს — როგორც ტოსკანისა და ლომბარდიის მფარველს — სთხოვა მისთვის გარდას ტბის ბრეშიანული სანაპირო მიეცა ლენურ მფლობელობაში. ამ დროს სრულიად მოულოდნელად ფლორენციელი ბანკირი მესერე არტეზეც ჩამოვიდა აქ, და ამ თითქოსდა უჩინარმა, აჩრდილივით მოფარფატე კაცმა თან საოცრად მსგავსი თავისი ორი ძმა და უამრავი ფული ჩამოიყოლა.

და, აი, ამ დროს მოხდა, რომ იოჰანი ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ანაზდად გზას გაუდგა. მხოლოდ რამდენიმე ათასი მხედარი იახლა, მაგრამ როგორ ბრწყინავდა მათი თორ-აბჯარი! როგორი ნარჩევი ვაქკაცები იყვნენ! ლაღად მიაჭენებდნენ ისინი ცხენებს მთაგორიანი ქვეყნის ბარაქიან მიწაზე. ტკბილი, მსუყე, ოქროსფერი მწიფობის ხანა იდგა, თვალს ახარებდა მძიმე მტევნები, ჩაშაქრული ხილეული. იისფერი, მზით გარუჯული მთებიდან რკინა-ვერცხლის ბზინვარე ნაკადი დაეშვა ლომბარდიის დაბლობზე და ისიც პატარძალივით მორჩილად გაეგო ფეხქვეშ ჩამოსულთ. ბერგამო, პავია, კრემონა ხმლის ამოუღებლად ნებდება იოჰანს. ყველგან დროშებითა და ზარ-ზეიმით ხვდებიან. მუხლმოდრეკილი ხელისუფლების წარმომადგენლები მოწიწებით აბარებენ თავიანთ ქალაქთა გასაღებებს. დიდგვაროვანი თავადები კრძალვით შესთხოვენ მათი ლენური უფლებების დამტკიცებას. ნოვარას, ვერჩელს, მოდენას, რეჯიოს იკავებენ რაინდები. ზეიმით შედიან ქალაქებში. ჭრელ-ჭრელი სახლების აივნებზე გამოფენილი, კეკლუცად ჩაცმული ქალები გაოცებით შესცქერიან გამარჯვებულს, რომელმაც ოფლითა და ჯაფით კი არა, ზეიმითა და თითქოს ცეკვა-ცეკვით დაიპყრო ეს ვრცელი და მდიდარი ქვეყანა. იმპერატორი ძლიერ შეშფოთებულია და საგანგებო ელჩებს უგზავნის, — ჯერ ბურგგრაფ ფონ ნიურნბერგს, შემდეგ გრაფ ფონ ნაიფენს, იმის გასაგებად, თუ რისთვის მოსულა ბოჰემიელი იტალიაში. გულუბრყვილო პასუხს იძლევა იოჰანი: ლუდვიგის წინააღმდეგ გულში ოდნავი ხინჯიც კი არა მაქვსო; თურმე — რაც

რამ ხელჰყო, იმპერიას ეკუთვნის ყოველივე, მას კი მხოლოდ მ'ობლების საფლავთა მონახულება სწადია. უნდა ნახოს რომის იმპერატორის, ჰაინრიხ მეშვიდის საფლავი პიზაში, თავისი დედის საფლავი გენუაში და, თუ ეს შესაძლებელი იქნება, მათი ნეშტები სამშობლოში გადაასვენოს. შობა ღამით, როდესაც მიუხხენში არ რეკავდნენ პაპის ინტერდიქტით დადუმებული ზარები, როდესაც ლუდვიგი, გაშიშვლებული მახვილით ხელში, რომელიც საქრისტიანოს დაცვის იარაღს განასახიერებდა, პატარა ამალის წინაშე საშობაო სახარებას კითხულობდა თავისი სასახლის სამლოცველოში, აი, ამ დროს იოჰანი ზეიმური ბრწყინვალებით ბრეშიაში შედიოდა. იმპერატორის გულისთვის ჩამოვიდა? პაპის გულისთვის? საკუთარი თავისთვის? არავინ უწყოდა ეს. თვით კი იცოდა რა უნდოდა? იმპერატორის შთამომავლად აცხადებდა თავს, მშვიდობისმყოფელის როლში გამოდიოდა. გონზაგები მანტუაში, ვისკონტები მილანში თაყვანს სცემდნენ. ლომბარდიის მთელი სამეფო მწიფე ვაშლივით ხელში ჩაუვარდა იოჰანს.

მდინარე პოს გაღმა-გამოღმა ნაპირებზე დაიდო ადგილსამყოფელი; რომის არც ერთ იმპერატორს არ ჰყოლია ესოდენ ბრწყინვალე სამეფო კარი. ადრიატიკიდან მოყოლებული ვიდრე ლიგურიამდე ყველა ქვეყანას ფიცს ადებინებს. მაძღრად იღიმება, მრავალმნიშვნელოვნად, ამოუცნობლად. რაიმე გარკვეული გეგმა კი ჰქონდა, დაბლობში რომ ჩამოდიოდა? დღეს იგი საქრისტიანოს უძლიერესი მეფეა. მას ეკუთვნის რაინის ზედა და ქვედა წელის სანაპირო მხარე და საფრანგეთის უმეტესი ნაწილის მიწებიც მის მფლობელობაშია. დაეპატრონა ბოჰემიას, მორავიას, სილეზიას, ღრმად შეიჭრა პოლონეთში; ქალიშვილის გათხოვების შემდეგ ქვემო ბავარიაზე განავრცო თავისი ძალაუფლება, ხოლო ვაჟიშვილის დაქორწინებით — კარინთიაზე, კრაინასა და ტიროლზე. მარწუხივით შემოეჭდო ვიტელსბახს, მარყუჟივით შემოეკვალთა ჰაბსბურგს. ახლა კიდევ მდიდარი, თვალწარმტაცი ზემო იტალიის სამეფოც შემოიერთა. სრულ ნეტარებას მისცემია, მთელი გულმკერდით სუნთქავს. ზეიმებს მართავს. თავის კარზე ულამაზეს ქალებს უყრის თავს. ზოგჯერ ჩუმად, აჩრდილივით ეწვევა ხოლმე ფლორენციიდან მესერე არტეზე, რომელსაც თან ახლავან ძმები; მეფის შორიახლოს ჩერდება იგი, მდაბლად უკრავს თავს.

მარგარიტამ ბავშვობა ცენობერგის, გრიზისა და ტიროლის სასახლეებში გაატარა. იგი ბევრს სწავლობდა, ხალისიანად ეწაფებოდა ცოდნას. ფრიად გონიერ, თავაზიან და ტკბილად მოუბარ აბატ იოჰან ვიქტრინგელს ნანახისა და მოსმენილის თაობაზე წამდაუწუმ ეკითხებოდა,—„რატომ“, „რისთვის?“. შტამისა და ზონენბურგის მონაზონ ქალებთან თეოლოგიას სწავლობდა. აღტაცებული იყო ლიტურგიის მშვენიერებითა და ზეიმური წყობით. გოგონა თავისუფლად ლაპარაკობდა და წერდა ლათინურად და იტალიურად. ცხოველ ინტერესს იჩენდა პოლიტიკისა და ეროვნული ეკონომიკის საკითხებისადმი. გულმოდგინედ ისმენდა დიდად განსწავლული აბატის საუბარს ისტორიულ თემებზე და, სხვები რომ მოსაწყენად და ოდნავ სასაცილოდაც კი მიიჩნევდნენ მის განყენებულ პოლიტიკურ თეორიებს, გოგონა უზომოდ ტკბებოდა მათი მოსმენით. მამამისთან ჩამოსული უცხოელი სტუმრების მეშვეობით დაწვრილებით ეცნობოდა სხვა ქვეყნების, იქაური სამეფო გვარეულობის ცხოვრებას. გამქირდავად ჩაიცინა, როდესაც შეიტყო — ლუდვიგ ფონ ვიტელსბახი, ბავარიელი, რომის იმპერატორის რჩეული, ამ სახელის მეოთხე მატარებელი, ლათინურად ვერ ლაპარაკობსო.

უყვარდა თავის ქვეყანაში მოგზაურობა. დადიოდა ეტლით ან ცხენშებმული ტახტრევნით. ხან მთაში იყო, ხან ბარში. ვენახებით შეფენილ ტერასებსა და ხეხილის ბაღებზე გადიოდა გზა. ცოცხალი, ჭკვიანი, ცნობისმოყვარე თვალებით ათვალიერებდა ნაირფერად აჭრელებულ ქალაქებს მერანსა და ბოცენს. აცქერდებოდა ქალაქის მცხოვრებთ, ქვით ნაგებ სახლებს, რატუშას, ბაზარს, გალავნებს, სამარცხვინო ბოძს, ფუნდუკებს, აბანოებს, ქალაქის კარიბჭესთან დასჯილთა გვამებს. მოურიდებლად, მეფური სითამამით შედიოდა გლეხის ქოხში, ან მეზვრის კარავში.

გულმოწყალე მეფე ჰაინრიხი თავს არ იწუხებდა შვილის აღზრდაზე. თავის ნებაზე ჰყავდა მიშვებული ბავშვი. მხოლოდ დროდადრო ჰკითხავდა დაყვავებით — კაბები ხომ არ გაკლია, ახალი სამკაულები, ცხენები ან მსახურები ხომ არ გჭირდებაო. ათასში ერთხელ შეეკითხებოდა — მოგწონს თუ არა

ჩვენი ახალი ფლანდრიელი მზარეული, ანდა ახალი გენუური ბოსასხამი, ახლახან რომ შევიკერე, შენი აზრით, როგორ მადგას ტანზეო. მეფეს მხოლოდ და მხოლოდ მოდური ტანსაცმელი, მონასტრებისთვის შეწირულებათა გაცემა, დღესასწაულები, ქეიფები, ტურნირები, ქალებთან დროსტარება იტაცებდა. ეს კია, რომ როდესაც მარგარიტა მის მდივანთან, განსწავლულ აბატ ფონ ვიქტრინგელთან საუბარს გააბამდა, გულაჩუყებული შეჰყურებდა გოგონას და თან თავის მეუღლე ბეატრისას ან კიდევ სტუმრებს ეუბნებოდა:

— კარგი გოგოა! მეტისმეტად ჭკვიანი!

მონაზვნებისაგან გოგონამ სიმღერა ისწავლა. და გასაოცარი იყო, რომ ამ ჩაჰყლეტილი ცხვირის ქვემოდან, ამ მაიმუნივით წინგამოშვერილი დრუნჩიდან ასეთი ლამაზი, თბილი და მგზნებარე ხმა ამოდიოდა. მარგარიტა სულაც არ ერიდებოდა თავისი ცოდნის გამომჟღავნებას სხვების თანადასწრებით და ყველაფერზე დაუმორცხვებლად მსჯელობდა, მაგრამ არამც და არამც უცხოსთან არ იმღერებდა. საღამოხანს ხეხილის ბაღში მღეროდა იგი რთულ იტალიურ და პროვანსულ, ან უბრალო გერმანულ ხალხურ სიმღერებს, რომლებსაც ყოველდღიურად ისმენდა. მაგრამ ზოგჯერ განმარტოებით მყოფიც კი უეცრად წყვეტდა სიმღერას: ხომ შეიძლებოდა, რომ მისი ხმა ქონდრისკაცებს გაეგონათ! ისინი ხომ ყველგან არიან, ბოის ყველა გამოქვაბულში სახლობენ. ადამიანებთან ერთად ჭამენ და სვამენ, ლაღობენ და ცეკვავენ, მაგრამ მაინც უჩინარნი არიან. მარტო უფლებამოსილ მეფეს შეუძლია მათი დანახვა, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მართებულად ფლობს იმ ქვეყანას, სადაც იმხანად იმყოფებიან ქონდრისკაცები. მამამისს ქონდრისკაცები ნანახი ჰყავს, ბრიქსენის ეპისკოპოსმაც ნახა ისინი, როცა მის სამფლობელოებს ეწვივნენ. იაკობ ფონ შენა დაწერილებით უამბობდა გოგონას ყველაფერს ამ პაწაწინა კაცუნებზე. მათ წერილების წერა იციან, საკუთარი სახელმწიფო და თავიანთი კანონები აქვთ, ჰყავთ მეფე და კათოლიკურ სარწმუნოებას მისდევენ, ადამიანთა სახლების იდუმალი სტუმრები ხდებიან და მათდამი კეთილად არიან განწყობილნი. თან ძვირფას ქვებს ატარებენ და, როდესაც მოისურვებენ, მათი საშუალებით უჩინარდებიანო.

მარგარიტამ ჰკითხა იაკობ ფონ შენას, რატომ იუჩინარებენ თავს ქონდრისკაცებიო. იაკობმა მიუკიბ-მოუკიბა პასუხი. შემთხვევით მოახლისაგან შეიტყო გოგონამ სიმართლე: ქონდრისკაცებს თავისი სიმახინჯისა რცხვენიათო. გოგონას გაეფითრდა ისედაც უფერული სახე. სუნთქვა შეეკრა.

მარგარიტა დაუცხრომელი ზრუნვით უვლიდა და ასათუთებდა თავის სხეულს. ყოველდღიურად ორთქლის აბაზანას იკეთებდა, ქატოს ნაყენით და ფრანგული საპნით იბანდა ტანს, კბილის ფხვნილს ახლად გაპარსულ ცხვრის მატყლში ახვევდა და ისე იხეხავდა თავის დიდ, ირიბად წინგამოშვერილ კბილებს. კანს ღვინის ქვის ზეთით იზელდა, ბრაზილიური ხისაგან დამზადებულ ფერსა და ყოჩივარდას ყლორტებისაგან შეზავებულ უმარილს ხმარობდა. ღამით სანთლის ნიღაბს იდებდა სახის კანის მოსავლელად. დიდი გულისყურითა და მონდომებით მისდევდა მოდის ყოველ სიახლეს.

და როდესაც ხედავდა, რომ კაცები უფრო სიამოვნებით უყურებენ ვიღაც ჩათქვირულ, პირდაუბანელ დედაკაცებს, ვიდრე მას, უცებ გულიდან გადაიყრიდა ხოლმე ყველა ამაო ფიქრს და გატაცებით ჩარგავდა თავს სწავლასა და პოლიტიკაში. მეათედ, მეასედ აწონ-დაწონიდა, ერთმანეთს შეუდარებდა ჰაბსბურგების, ვიტელსბახების, ლუქსემბურგების ძლიერებას, შესაძლებლობებს, გავლენის სფეროებს, ვინაიდან ჰაბსბურგები, ლუქსემბურგები, ვიტელსბახები მისთვის შიშველ პოლიტიკურ ცნებებს როდი წარმოადგენდნენ. ადამიანები, რომლებიც ამ სახელებს ატარებდნენ, დროშები, რომლებიც მათ აერჩიათ, ცხოველები, რომლებიც თავიანთ გერბებზე გამოესახათ, მთები, მდინარეები, ეკლესიები, რომლებიც მათ სამფლობელოებს შეადგენდნენ, ყველაფერი ეს საოცარ მთლიანობაში ჰქონდა წარმოდგენილი. ალბრეხტ ფონ ჰაბსბურგელი, მაგალითად, მეტისმეტად ჭკვიანი იყო, ენერგიული, გესლიანი, მაგრამ იგი კოჭლობდა და მასთან ერთად კოჭლობდნენ მისი სამფლობელოებიც: დუნაი, ქალაქი ვენა. მის გერბზე გამოსახული ლომიც კი კოჭლობდა; მეფე იოჰანი, ლუქსემბურგელი, წანა მარტო გალანტური რაინდი გახლდათ: ტოსკანა და ლომბარდია მარგარიტას იოჰანის ფეხებად ესახებოდა, რაინი და ელბა — მის

სისხლძარღვებად, მზით გაკაშკაშებული ლუქსემბურგი კი — მფეთქავ გულად; ბავარია ვერ წარმოედგინა იმპერატორ ლუდვიგის გრძელი ცხვირისა და დიდრონი, უსიცოცხლო ცისფერი თვალების გარეშე. როდესაც ეს სამი მეფე ერთმანეთს უთვალთვალებდა, უსაფრდებოდა, ეთათბირებოდა, ომობდა, მაშინ ომობდა და საკუთარ თავს დასცინოდა მათში განსახიერებული მთელი სამყარო, მაღლა ღრუბლებში კი საშინელი მისტიკური შერკინება გაემართათ მათ დროშებზე გამოსახულ ჰერალდიკურ მხეცებს.

თავის მეუღლეს, მეფისწულ იოჰანს, მარგარიტა იშვიათად ხედავდა. მაღალი, აწოწილი ყმაწვილი თავის წლოვანებასთან შედარებით განუვითარებელი ჩანდა. მისი გამხდარი, საკმაოდ ლამაზი სახე უფრო და უფრო უხეშ და ჩლუნგ გამომეტყველებას ღებულობდა, ღრმად ჩამჯდარი პატარა თვალები კი ბოროტად უელავდნენ. ბიჭს საშინლად ეჯავრებოდა წიგნები. ძლივძლივობით ისწავლა ცოტაოდენი წერა. უყვარდა ფიზიკური ვარჯიში. გამუდმებით ჭიდაობდა თავის ტოლ ბიჭებთან. ინფსონებად მსახურთა ნაშიერნი ერჩია დიდგვაროვანთა შვილებს. ბევრს ნადირობდა, ჯირითობდა. ჩიტებს კაკანათებს უგებდა და მიმინოთიც კარგად ნადირობდა. იცოდა მხეცებისთვის ხაფანგების დაგება. უყვარდა ცხოველების წვალება და გლეხის ბიჭებსაც ხშირად ამწარებდა ბოროტი, უხიაგი ხუმრობით. ერთხელ ერთმა გლეხის ბიჭმა მაგრად მიბერტყა მეფისწული, რომელიც ვერ იცნო. იგი დაიჭირეს, შებორკეს და უმოწყალოდ გაშოლტეს. მეფისწული იქვე იდგა, გაფაციცებით შეჰყურებდა ამ ამბავს და ჯალათებს აგულიანებდა.

მარგარიტას იგი დასცინოდა მონაზვნის შესაფერი და უმაქნისი ნასწავლობისათვის, მუდამ ეძებდა ხელსაყრელ შემთხვევას, რომ მისი ნაწერები მიეფანტ-მოეფანტა, აეწეწა მისი საგულდაგულოდ დაკარცხნილი თმა, გოგონა უთქმელად იტანდა ყოველივეს. ალბათ საჭირო იყო ლუქსემბურგელზე რომ დააქორწინეს, ჰოდა, ამიტომ მისი უხეშობაც უნდა მოითმინოს. მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში ბრაზი და ზიზღი უგროვდებოდა. კრეტიენ დე ლაფერტიც, მეფისწულის ადიუტანტი და მსახური, იმის ნატვრაში იყო მხოლოდ, ახალგაზრდა

პატრონს ფეხქვეშ მიწა გაუსკდეს და თან ჩაიტანოსო. მარგარიტა იშვიათად ხედავდა ამ ტანკენარ ახალგაზრდა კაცს. მაინცა და მაინც დიდ ყურადღებას არც აქცევდა. თავაზიანი, სიტყვაუხვი სკეპტიკოსი აბატი ვიქტორინგელი, რომელიც საპირიდან თვლიდა ყველაფერი მსჯელობის საგნად გაეხადა, ხშირად ახელებდა გოგონას ამ ჰაბუკის გამო. მარგარიტას ასეთ დროს ჩვეული სიმშვიდე ღალატობდა და აბატს საკმაოდ მკვახე პასუხებს აძლევდა.

ყველაზე მეტად მარგარიტას მაინც იაკობ ფონ შენასთან ყოფნა სიამოვნებდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ხმელ-ხმელი, მხრებში ოდნავ მოხრილი თავადი, რომელსაც ნატიფი სახე ნაადრევად მობერებოდა, გულით გაიხარებდა ხოლმე მარგარიტას დანახვაზე. გოგონა თხუთმეტი წლისა იყო, ფონ შენა კი თითქმის ოცდაათისა, მაგრამ მათ შორის აზრთა რაღაც სასიამოვნო ურთიერთგაგება დამყარებულიყო. რაც უნდა ეთქვა ან მოემოქმედა იაკობ ფონ შენას, მარგარიტაც იმავეს გრძნობდა და ფიქრობდა, შინაგანად შეხმიანებული იყო მასთან. გოგონასა და სხვა ადამიანებს შორის კი ცივი დამოკიდებულება სუფევდა. ისინი დასცინოდნენ, ზიზღით უყურებდნენ, ზოგჯერ იბრალებდნენ, რადგან მახინჯი იყო. მეფის ქალიშვილს, რაღა თქმა უნდა, აშკარად ვერ აკადრებდნენ ამის თქმას, მაგრამ მარგარიტა ბნელით მოცულსაც ნათლად ჭვრეტდა, გამჭრიახი თვალები ჰქონდა, ძალიან გამჭრიახი და ვაი, რომ კარგად ხედავდა ყველაფერს. იაკობ ფონ შენა გულთბილად და მეგობრულად ექცეოდა. მისი დიდი, სათუთი ხელები, ნაცრისფერი ჭკვიანი და კეთილი თვალები, მთელი მისი არსება გულითადობასა და ამხანაგურ თანაგრძნობას გამოხატავდა.

იაკობ ფონ შენა თავის ძმებზე ესტლაინსა და ჰეტერმანზე უფრო მდიდარი და გავლენიანი იყო. მას შვიდი მკვიდრად ნაგები ციხე-კოშკი ჰქონდა, ცხრა სასამართლო ოლქის შემოსავალი, უზარმაზარი ვენახები, საბაჟოები, დიდძალი ფული. თავის ქონებაზე აგდებულად და გარკვეული ირონიით ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც უყვარდა საკუთარი მამულები, ალერსიანად ესალბუნებოდა თავის ვაზს, ციხე-კოშკების მზით გამთბარ ქვებს. ეს ხომ მ ი ს ი ვაზი იყო, მ ი ს ი ციხე-კოშკები. რა თქმა უნ-

და, საკუთრების მოხვეჭა და გავლენისათვის ბრძოლა დასაგმობია, მაგრამ, საუბედუროდ, ადამიანთა მოდგმა არ გაგახარებს, თუ ეს ორივე არ გაგაჩნია. იგი ხშირად ესაუბრებოდა გოგონას იმაზე, თუ რა ბოროტად იყენებდნენ ტიროლისა და კარინთიის ფეოდალები მეფე ჰაინრიხის სიკეთეს. რა გაეწყობა, იძულებული ვარ მეც ავყვე მათ, თორემ ჩემს წილს სხვა, უფრო უღირსი მიიტაცებსო. ასე სკეპტიკურად, აღუშფოთველი სინანულით, თვითონაც ცდილობდა გამორჩენას და გული თანაგრძნობით ევსებოდა ქვეშევრდომთაგან გაძარცული მეფის ბიმართ.

ამ მთიან ქვეყანაში ყველაზე ლამაზი და ყველაზე მოვლილი ციხე-კოშკები მას ჰქონდა. სხვები მხოლოდ იმაზე ზრუნავდნენ, რომ მათი სასახლეები მკვიდრად და შეუვალად ყოფილიყო ნაგები; შიგნით ოთახები კი პატარა იყო, მიუსაფარი, ნესტიანი, ბნელი, უჰაერო, სარდაფის მსგავსი, ირგვლივ საჯინიბოს აუტანელი სუნი ტრიალებდა. იაკობ ფონ შენას ციხე-კოშკები, განსაკუთრებით მისი უსაყვარლესი სავანეები— შენა და რუნკელშტაინი, ნათელი იყო და მზიანი; ისინი იტალიელმა არქიტექტორებმა აუშენეს. იქაურობა ლამაზი ნივთებით, ხალიჩებით, სამკაულებით იყო გავსებული. სხვებს თუ კედლები ნაუცბათევად ჰქონდათ შეთეთრებული და მხოლოდ სამლოცველოებს ამშვენებდნენ წმინდანთა გამოსახულებები, მას გერმანელმა და იტალიელმა მხატვრებმა ფრესკებით მოუხატეს დარბაზები. სამხრეთის გარეთა კედელიც კი ასე იყო მოხატული: ერთგან ნათელი და ჩახჩახა ფერებით გამოხატული რაინდი მოაბიჯებდა ლომთან ერთად, მეორეგან ტრისტანი მიჰქროდა ზღვაში თავისი გემით; აყვავებული ველის მკვიდრის, გარელის თავგადასავალიც გამოესახა მხატვარს.

ბატონ ფონ შენას ძალიან უყვარდა ლექსად გამოთქმული ეს ზღაპრები. მარგარიტას კი არაფერი გაეგებოდა მათი. გოგონას კარგად ესმოდა სინატიფე ლათინური ლექსებისა, რომელთა ციტირება ეგზომ უყვარდა ენაწყლიან აბატ ვიქტორინგელს, მისთვის გასაგები იყო ჰორაციუსი, ენეიდა. ეს იყო ბრძნული, ჭეშმარიტების ამსახველი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მაღალგონივრული ლექსები. შენას მოწონებული გერმანული ლექსები კი ქარაფშუტულად ეჩვენე-

ბოდა, აბა რით სჯობდნენ ისინი სამეფო კარის მასხარათა და ჯუჯათა გამონაგონ სისულელეებს. განა შეეფერება ჭკუადამჯდარ კაცს შეთხზას ათასნაირად ჩახლართული ლექსი იმაზე, რაც არასოდეს მომხდარა და არც მოხდება? ბატონი ფონ შენა ცდილობდა აეხსნა მისთვის, რომ ეს ტრისტანები, პარციფალები და კრიმჰილდეები ხორცს ისხამდნენ იმათთვის, ვინც წაიკითხავდა და ირწმუნებდა ამ ამბებს. მაგრამ მარგარიტას არ ძალუძდა ამის დაჯერება. იაკობ ფონ შენას ზღაპრები მისთვის უშნოდ აჭრელებულ სიცრუედ რჩებოდა. ვერ წარმოედგინა, რა სიამოვნება უნდა ენახა ესოდენ ჭკვიან და დინჯ კაცს ამ ქარაფშუტულ ბოდვაში.

*

იმპერატორი მეტად შეაშფოთა იოჰანის ხელდახელ მოპოვებულმა წარმატებებმა იტალიაში. უფროსი ჰაბსბურგელი, კოპლი, ჭკვიანი და ავგული ალბრეხტიც კბილთა ღრჭენითა და დაუოკებელი სიბრაზით შეჰყურებდა ლუქსემბურგელის ახლად გამომცხვარ სამეფოს — ბრწყინვალე ლომბარდიას. რას ჰგავს ეს, ნუთუ ქარაფშუტა, ფუქსავატი ლუქსემბურგელი ამ ერთი თავხედური ნაბიჯით იმას მოახერხებს, რომ ესოდენ ჭკვიან და დარბაისელ ხალხს ძალაუფლება წაართვას და თავზე წამოაჯდეს? ზანტი, გონებაბრჯგუ ბავარიელი და გულბოროტი, უჯიათი ჰაბსბურგელი ეშმაკურად თვალს უკრავდნენ ერთმანეთს. მუდამ სძაგდათ ერთიმეორე, მაგრამ რა ნახეს — მესამე უპირებდა დაჩაგვრას, გულში ჩამარხული სიბოლვილი ერთობლივად მისკენ მიმართეს. მალულად შეხვდნენ ერთმანეთს: ახმახი, გრძელცხვირა, კისერჩაგორგლილი, თვალებგადმოკარკლული ლუდვიგ ვიტელსბახი და კოპლი, მუდამ ტუჩებმოკუმული ალბრეხტი. ერთმანეთი დაყნოსეს, თავის კანტურით მორიგდნენ.

გადაწყდა, რომ სამხრეთის სამეფო ლუქსემბურგელს უნდა წართმეოდა. მეფე ჰაინრიხის სიკვდილის შემთხვევაში კარინთია ჰაბსბურგელებს ერგებოდა, ტიროლი კი—ვიტელსბა-

ხებს. იმპერატორმა ლუდვიგმა ახლა ისეთივე ზეიმურობით აღუთქვა კარინთიაში დამკვიდრების უფლება ჰაბსბურგელებს, როგორც ერთი წლის წინ დაპირდა ეს ლუქსემბურგელებს. რაც შეეხება ლომბარდიას, დათქვეს, რომ ერთობლივად დაესხმოდნენ თავს მეფე იოჰანს. იმპერატორმა თავისი პფალცელი ბიძაშვილები წააქეზა — იოჰანის კუთვნილ რაინის სამფლობელოებს დაემუქრეთო. ასეთივე დარიგება მისცა მან თავის ბაისენელ სიძეს და შვილებს — ლუდვიგ ბრანდენბურგელსა და სტეფანს. ავსტრიის ჰერცოგი და უნგრეთისა და პოლონეთის მეფეები კი მორავიას დალაშქრავდნენ.

ლუქსემბურგელი მეფურად მბრძანებლობდა ტოსკანაში გაზაფხულის ამ მშვენიერ ჟამს. უფროსი ვაჟიშვილი კარლოსი და უმცროსი იოჰანი იხმო. მაგრამ უმცროსმა არ ისურვა მამასთან ჩასვლა და მარგარიტამ იკისრა მისი მაგივრობა.

მცირე ამალის თანხლებით, რომელსაც კრეტიენ დე ლაფერტი მეთაურობდა, პრინცესა მარტის თვეში ჩავიდა ლომბარდიაში. შუქ-ციმციმით პირსავსე ტბები გადაეშალა თვალწინ, ზეთისხილით მოვერცხლილი ფერდობები, ფორთოხლითა და ლიმონით დაბურული ჭალები, ნარგიზებით გადაპენტილი მინდვრები, ვარდისფრად აფეთქებული ნუშის ხეები. იხილა ჭრელი, რუზრუზა ქალაქები, სასახლეები, მკვირცხლი და ხმაურიანი ხალხი. აქვილეის ეპისკოპოსის სარეზიდენციო ქალაქთან, რომლის საპატიო მფარველად მამამისი ითვლებოდა, გოგონას თვალწინ ზღვა გადაეშალა. ამაყად ირწეოდნენ გემები, ზღვის შორეთი უნაპირო იყო, მომხიბლავი და ფათერაკებით აღსავსე...

იოჰანის ბრწყინვალე ტრიუმფს საზღვარი არ ჰქონდა. ღია ცის ქვეშ გამართული ზეიმები მხიარულებას და სულის მოლხენას აორკეცებდა. უზომოდ გაამაყებული, წარმტაცად ჩაცმული ქალების გუნდი ნაირფერად გაფურჩქნილიყო. გოგონა მიუსაფრად გრძნობდა თავს მათ შორის. ახალგაზრდა ქალებს გაურბოდა, ხანშესულებს უფრო ეტანებოდა, მაგრამ არც ისინი წყალობდნენ დიდად, უკეთეს შემთხვევაში ეცოდებოდათ. მართალია, ახლა თვითონაც დამჭკნარან და დაჩაჩანაკებულან, მაგრამ ერთ დროს ხომ საამურად ყვაოდნენ! მისი ყვავილობის ხანა კი მწირი იყო და უღიმღამო. ლომბარდიის ამ კაშ-

კაშა ცის ქვეშ ჩირადაც არ ღირდა მისი გონიერება, მეფური სისხლი და განსწავლულობა. აქ ერთს ხედავდნენ მხოლოდ: ისევ და ისევ — მის სიმახინჯეს.

ამას კი მიხვდა, მაგრამ მხდალი არ იყო და ჩრდილს არ ეფარებოდა. ნადიმებსაც ესწრებოდა, ტურნირებსაც უყურებდა თავისი ლოჟიდან, საცეკვაოდაც დადიოდა. ხედავდა, როგორ გამომწვევად უელავდათ ქალებს თვალები, როდესაც მის უკან ფეხდაფეხ მიმავალ კეთილშობილ ჭაბუკ კრეტიენს აათვალიერ-ჩაათვალიერებდნენ, შემდეგ მედიდურად გადახედავდნენ ხოლმე მარგარიტას, იშმუშნებოდნენ მაიმუნივით წინგამოშვერილი ყბის, უქმური სახის კანის ხილვაზე. მას კი არც ერთხელ არ დაუხრია თვალები ამ დამცინავი მედიდურობის წინაშე; ცივ, გამჭრიახ მზერას ისეთნაირად შეაგებებდა ხოლმე ამ ბანოვანთა თვალებს, რომ ისინი ზოგჯერ თითქმის დარცხვენით თავს დაბლა ხრიდნენ.

ბრეშიაში მარგარიტა პირველად შეხვდა მეფისწულ კარლოსს, იოჰანის უფროს ვაჟიშვილს. თექვსმეტი წლის ბიჭი წლოვანებასთან შედარებით უფრო ასაკოვანი ჩანდა. ბოჰემიაში მას უკვე რამდენიმე სახელმწიფოებრივი საქმე მოეგვარებინა დამოუკიდებლად, დინჯად და თავშეკავებულად იქცეოდა. დედის დარიგება ახსოვდა და მამის ყალბი ბრწყინვალებით თავს არ იტყუებდა. თავისი უშფოთველი თაფლისფერი თვალებით შეათვალიერა მარგარიტა, შეამჩნია, რომ მეტისმეტად შეუხედავი იყო, მაგრამ ჭკვიანი. იგრძნო, რომ მასთან საუბარი ღირდა. და ვიდრე იოჰანი სენიორიის სასახლეში მომხიბლავ ჯუდიტა ფონ კასტელბარკოსთან ერთად პირველ წყვილში ცეკვავდა, ვიდრე ენთო სადღესასწაულო კელაპტრები, ისეთი მძიმე, რომ სამი კაცი ძლივს ასწევდა, ტკბილად საუბრობდა ეს ორი ბავშვი — მეფის ვაჟი და მეფის რძალი; მუსიკის ხმების, დროშების, ვერცხლოვანი რაინდების, მლიქვნელი ქვეშევრდომების აღრეულ ორომტრიალში საუბრობდნენ ისინი გონივრულად და საქმიანად იმაზე, თუ როგორ იმოქმედებდა ტრიენტის ეპისკოპოსის სუვერენიტეტზე ლომბარდიის ამბები და რომ შექმნილი ფინანსური მდგომარეობა დამაფიქრებელი იყო.

ივნისამდე გაგრძელდა იოჰანის ზეიმური ბრძანებლობა

იტალიაში. თუმცა მარგარიტა კრიტიკულად აფასებდა ყოველივეს, მაგრამ მაინც მოიხიბლა ამ ტრიუმფალური მსვლელობის თეატრალური სიმშვენიერით. შემდეგ კი გერმანიასა და ბოჰემიიდან ისეთი შემაშფოთებელი ცნობები მოვიდა, რომ იოჰანი უმალ გაემზადა წასასვლელად, ვაჟიშვილი კარლოსი თავის სანაცვლოდ დატოვა და სასწრაფოდ გაჰქუსლა ბოჰემიაში. მის ზურგს უკან კი მოულოდნელად და ერთბაშად დაიქცა დიდებულად გათამაშებული ავანტიურის შედეგად მითვისებული მისი იტალიური სამეფო. შიშისაგან გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა მარგარიტა ლომბარდიელ ფეოდალებს, რომლებიც, რაკი მეფე გაიგულეს, მყის აფუსფუსდნენ, თითქოსდა სიმთვრალის შემდეგ გამოფხიზლდენო, ერთმანეთთან კავშირი შეკრეს, რობერტ აპულიელიც შემოიერთეს და მეფისწულ კარლოსის ოსტატური და მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად სულ რამდენიმე კვირაში გააძევეს ქვეყნიდან ლუქსემბურგელები. განადგურებულნი, დაღონებულნი, შერცხვენილნი, ოფლში გაწუწულნი გარბოდნენ ვერცხლოვანი რაინდები ლომბარდიიდან ამ გაგანია ზაფხულში. სამეფო უკვე დაკარგული ჰქონდა, მაგრამ იოჰანმა მაინც მოახერხა, გულისგამაწვრილებელი ვაჭრობის შემდეგ, ზოგიერთი გულუბრყვილო გერმანელი ფეოდალისათვის მიეგირავებინა იტალიური ქალაქები. თუმცა ეს კია, რომ ამ გზით ნაშოვნი ფულით მხოლოდ ნაწილობრივ დაფარა ის უზარმაზარი ხარჯები, რაც დაუჯდა მას ტოსკანაში ლაშქრობა. და მრავალი წლის შემდეგ, პარიზში, პრაღაში, ტრირში, სადაც კი უხდებოდა იმხანად ცხოვრება, მალიმალ ეწვეოდა ხოლმე აჩრდილის მსგავსი, შეუხედავი მესერე არტეზე თავის ორ ძმასთან ერთად, მდაბლად დაუკრავდა თავს და შემდეგ გადმოულაგებდა ხელწერილებსა და თამასუქებს, ლომბარდიის სამეფოს ამ ერთადერთ მოსაგონარს.

საოცარი იყო, მაგრამ იოჰანის იტალიურ თავგადასავალს სწორედ კატასტროფით დამთავრების გამო მიეცა მარგარიტას თვალში სიცხადე და მნიშვნელობა. ყველაფერმა უკვე ჩაიარა, მთელი ეს თავგადასავალი ისტორიად, მოგონებად იქცა. თვით ბატონ ფონ შენას ლექსები, მისი დაუჯერებელი ნამბობიც კი თითქოსდა უფრო ნამდვილი, გასაგები ეჩვენა ახლა.

ის, რაც მეფე იოჰანმა ლომბარდიაში მოიმოქმედა, სწორედ რომ ამ ფანტასტიკური არაკების მსგავსი რამ იყო. და მაინც ხომ სინამდვილე გამოდგა ეს ზღაპრული ამბავი, მან ხომ საკუთარი თვალით იხილა ყოველივე.

მთავარი ის იყო, აზრის სიცხადე არ დაჰკარგვოდა. სიმართლე რომ ითქვას, იოჰანმა უსახსრობის გამო განიცადა მარცხი. ფული არაა მთავარი, მაგრამ მაინც ძალიან დიდი ძალა ყოფილა. სამწუხაროა, რომ მამამისს ისევე არ ესმოდა ეს, როგორც მის მამამთილს. ხშირად საუბრობდა მარგარიტა იოჰან ვიქტრინგელთან ამის თაობაზე. ამ მხრივ სულ სხვანაირი იყო პაპი. იჯდა იოჰან ოცდამეორე, ჯუჯა ბერიკაცი თავის სასახლეში — ავინიონში და აგროვებდა და აგროვებდა ფულს. აგროვებდა მონეტებს, ვერცხლისა და ოქროს ზოდებს, თამასუქებს, გირავნობის საბუთებს. ორბის თვალს გამოიბამდა ხოლმე, გადასახადისა და მეათედის გადახდა არავინ დამიგვიანოსო. თუ ამ საქმეში რომელიმე ეპისკოპოსი შესცოდებდა, პაპი მაშინვე ექსორიით დაემუქრებოდა. საბრალო ჰაინრიხ ტრიენტელი! აბა, რის მაქნისი გამოდგა მისი თავდადებული ბრძოლა პაპობის კანონიერი კანდიდატის დასაცავად! ვერ გადაიხადა ექვსას ორმოცი დუკატი, რომელსაც ავინიონი სთხოვდა, და განკვეთის მეხი დაატყდა თავს. იმას აღარ იკითხავთ, მაღალ საეკლესიო თანამდებობებს როგორ მოხერხებულად ანაწილებდა პაპი! ყოველი ახლად დანიშნული ეპისკოპოსი ვალდებული იყო მთელი თავისი წლიური შემოსავალი კურიაში შეეტანა. თუ რომელიმე ეპისკოპოსი გარდაიცვლებოდა, მის ნაცვლად ახალს კი არ დანიშნავდა—არა და არა—სხვა საეპისკოპოსოს პრელატს დასვამდა განსვენებულის ადგილზე. ასე თავისუფლდებოდა პაპის მრავალი ლენი. ამრიგად, მაღალ იერარქიაში გამუდმებული მონაცვლეობა იყო გამეფებული. ისე მიდიოდნენ და მოდიოდნენ, თითქოს ფუნდუკი ყოფილიყოს იქაურობა. წმინდა ტახტი კი კარგა მსუყე შემოსავალს ღებულობდა. „ბრუნვა, ბრუნვაა საჭირო!“—გაიძახოდნენ პაპი და მისი მოლარეები. იოჰანმა შესანიშნავად იცოდა ეს საქმე, ან კი რა გასაკვირია: იგი ხომ წარმოშობით კაგორიდან იყო, ბანკირებისა და ბირჟის მოსაქმეთა ქალაქიდან. დასავლეთ ევროპის ოქროს უდიდესი ნაწილი მის სალაროებში მოედინე-

ბოდა. პაპს უზომოდ უყვარდა ფული და ძალი არ შესწევდა ისევე საქმეში დაებანდებინა. თუმცა მისი მეშვეობით შეეძლო კვლავ დაებრუნებინა რომიცა და იტალიაც. მაგრამ იმდენად უყვარდა თავისი ფულები, რომ ვერა და ვერ ელეოდა. ავინიონში იჯდა ეს გადაღძუებული, ჯუჯა ბერიკაცი, დაჰკანკალებდა თავის სიმდიდრეს, ეალერსებოდა თამასუქებსა და საგირავნო ხელწერილებს, თავისი პატარა, დალეული თითებით აჩხრიალებდა ოქროებს.

თუ ჭკვიანი და ენერგიული პაპი ბევრს აგებდა პოლიტიკაში თავისი სიძუნწით, იმპერატორის, ისევე როგორც ლუქსემბურგელისა და კარინთიელის მთელი დიპლომატია სწორედ იმიტომ იყო ფუჭი და უმაქნისი, რომ ისინი არად აგდებდნენ ფულის ძალას და ზერელედ უყურებდნენ მას. ყურადღებით უსმენდა მარგარიტა აბატს, რომელმაც აუხსნა, თუ როგორ აზრიანად და ყაირათიანად მოაწყო ბაბუამისმა მაინჰარდმა თავისი ფულადი მეურნეობა. დაფიქრებული, შუბლშეკმუხნილი შეჰყურებდა გოგონა, რარიგ ადნებოდა ხელში შემოსავალი მის გულკეთილ მამას. ხედავდა, როგორ ცდილობდა ზოგჯერ ჰაინრიხი ერთი გირაოს გადარჩენას და სამაგიეროდ უფრო დიდსა და მნიშვნელოვანს კი კარგავდა.

მარგარიტას დედინაცვალი, ფერმიხდილი და მუდამ დამფრთხალი ბეატრისა სავოიელიც ძრწოლით შეჰყურებდა მეფე ჰაინრიხის მერყევ ფინანსურ მდგომარეობას. მშობლებისაგან მეურნეობის მომჭირნეობით მართვას შეჩვეული ქალი ადრე თუ ჩუმი და მორიდებული იყო, ახლა გამუდმებით ჩასჩიჩინებდა ქმარს, მოეშვი ფულის უანგარიშოდ ფლანგვასო. ბეატრისა ავადმყოფური აღნაგობის ქალი იყო; ჰაინრიხი გრძნობდა, რომ ვერც ეს ქალი გაუჩენდა ტახტის მემკვიდრეს და უდრტვინველად შეურიგდა თავის მწარე ხვედრს. დედოფალი კი იმედს არა ჰკარგავდა. ფულს ზოგავდა, აგროვებდა, ზოგიერთი გადასახადისა და ბაჟის აკრეფის უფლება გამოსთხოვა ქმარს, იმასაც კი მიაღწია დიდი ბრძოლითა და ვაი-ვაგლახით, რომ ფლორენციელი მესერე არტეზეს ვალის გასტუმრების შემდეგ ჰალეს მარილის საბადოების შემოსავალი თვითონ დაესაკუთრებინა. გულღრძო გახდა, ძუნწი, ხელმოჭერი-

ლი, ყველაფერს თავის ვაჟს უნახავდა, რომლის აძქვეყხად ჭოელენის იმედი მის მეტს აღარავის ჰქონდა.

ხშირად მარგარიტასთან ერთად მსჯელობდა, როგორ მოეგვარებინა აწეწილ-დაწეწილი ფულადი საქმეები. გოგონა თანაუგრძნობდა მის მიზნებს, მაგრამ მაინც ზიზღით უყურებდა დედინაცვალს. როგორი უბადრუკია, ყოვლად შეუფერებელი დედოფლობისთვის, მტვრიანი და გამოფიტული, ახალგაზრდა მაინც არ იყოს! თავის თავს არ უტყდებოდა მეფის ასული, რომ მარტო ეს არ იყო დედინაცვლისადმი მისი სიძულვილის მიზეზი. ბეატრისა გულისხმიერად ეპყრობოდა გოგონას, ეფერებოდა, ორივენი, მისი აზრით, ერთ ბედ ქვეშ იყვნენ: მას შვილი არ უჩნდება, საბრალო მარგარიტა კი უსახურია. ღმერთმა ერთნაირად იავარყო მათი ქალობა. მაგრამ მარგარიტას გული მისკენ არ მიუწევდა, მოსაფერებლად გამოწვდილ მის ხელს თავისას არ აგებებდა. დედოფალი ხომ წინ ეღობებოდა ქალიშვილის სწრაფვას მეფური ძალაუფლებისაკენ, ხოლო თუ არა ძალაუფლების, სხვა რისი იმედი უნდა ჰქონოდა მას, ბედისაგან ასე დაჩაგრულს? და ეს იმედიც გამოეცლებოდა ხელიდან, თუ ბეატრისას მაინც გაუჩნდებოდა ვაჟი.

მეფე ჰაინრიხი სიცილსა და ხუმრობაში ატარებდა მეუღლის მეურვეობას და თან უწყინრად ბუზღუნებდა. მხოლოდ ერთ რამეში ვერ ითმენდა შეზღუდვას, თუმცა ბეატრისა არც ცდილობდა ასეთ საქმეში ჩარევას: ეს იყო მისი უსაზღვრო გულუხვობა მრავალრიცხოვანი საყვარლებისა და მათი შვილების მიმართ.

როგორი პატივისცემითაც ეექცეოდა იგი თავის უკანონო ძმებს ალბრეხტ ფონ კამიანსა და ჰაინრიხ ფონ ეშენლოს, როგორი ხელგაშლილობითაც ურიგებდა მათ ტიტულებს, წოდებებსა და მიწებს, ასეთივე ფუფუნებაში იზრდებოდნენ მის სასახლეებსა და მამულებში ქორწინების გარეშე გაჩენილი მისი შვილები. იმდენად გულკეთილი იყო, რომ ბეატრისას არც კი საყვედურობდა. თანაც უზომოდ სიამოვნებდა, რომ მისი ბრალი არ იყო უშვილობა. ალბათ ეს მიწერია ბედისაგან, უბედური ვარსკვლავისაგანო, ფიქრობდა. და მაინც ამაყი და თვითდარწმუნებული მიმოდიოდა ძველი ლოთი-ფოთი კაცი თავის ქერა

და შავტუხა ბავშვების რუზრუზა გუნდში. გულაჩვილებული ხან ერთს მოუთათუნებდა ხელს, ხან მეორეს: „ამ პატარას ჩემი თვალები აქვს! ამ ბიჭუნას კი ჩემი ცხვირი!“ წამოჩიტულ ბიჭს თვალს გააყოლებდა და დაასკვნიდა: „მთლად ჩემი სიარული აქვს! ნახეთ რამდენი ჯილდო მოიპოვოს ტურნირებში!“ სულ პაწაწინა ქმნილებას, რომელიც ჯერ არც კი ჰგავდა ადამიანს, ჰაერში აიტაცებდა და გაიძახოდა: „გამოსახული მე ვარ!“ ანებივრებდა ამ ბავშვებს, ასაჩუქრებდა ტკბილეულით, სათამაშოებით, აგრეთვე ველ-მინდვრებით, ტყეებით, სასახლეებით.

მარგარიტა მეგობრულად ექცეოდა თავის უკანონო და-ძმებს. განსაკუთრებით უყვარდა უკვე დავაჟკაცებული ალბერტი. მეფე ჰაინრიხმა ჭაბუკი რაინდად აკურთხა და მას ანდრიონში სასამართლო უბოძა ლენად. ქერათმიან ახალგაზრდას მამამისის გულკეთილობა გამოჰყოლოდა, თანაც მის ყოველ მოქმედებაში ძლიერი, ხალისიანი თავდაჯერებულობა, ცინცხალი მხიარულება გამოსჭვიოდა. მარგარიტას მიმართ ერთი გამქირდავი სიტყვაც კი არ წამოსცდენია არასდროს. არავითარი მისწრაფება არა ჰქონდა წიგნებისა და სხვადასხვა თეორიისადმი, გულწრფელად აღტაცებული იყო მეფის ასულის გონიერებითა და განსწავლულობით. მარგარიტა მადლიერი იყო ჭაბუკისა, რადგან იგი აინუნშიაც არ აგდებდა მის უსახურობას და მუდამ გულისხმიერებით ექცეოდა.

მარგარიტა გულისყურით აკვირდებოდა მამამისის ახალ-ახალ საყვარლებს. ეს გერმანელი ან იტალიელი ქალები სულ სხვადასხვა წოდებისა და ტემპერამენტისანი იყვნენ: ზოგნი პეპლებივით დაფრინავდნენ დერეფნებში, ზოგნი მძიმე, ზანტი ნაბიჯით მიმოდიოდნენ; ერთნი რომ წკრიალა ზარებივით კისკისებდნენ, მეორენი ხმადაბლა დუდუნებდნენ. პრინცესასთან შეხვედრისას ქალები ფრთხებოდნენ, უხერხულად იმრიზებოდნენ, მტრული თვალებით შესცქეროდნენ მას, თანაც აშკარად გამოხატავდნენ სიბრალულს მახინჯი გოგოს მიმართ. ნეტავი იმას, ვისაც მათსავით შეეძლო ლაღად ცხოვრება! მას კი არ ჰქონდა ამის უფლება—იგი უსახური იყო და თანაც მეფის შთამომავალი. საკუთარი თავის ყადრი მართებდა. ჭრიჭინასავით აქეთ-იქით ხტუნაობას ვერ დაიწყებდა.

მას განუხრელად წინ, სულ პირდაპირ უნდა ეევლო თავისი ოფელად სავალი, ციცაბო გზით, ვით მორთულ-მოკაზმულ, ძვირფასეულობითა და განძეულობით დატვირთულ სასაპალნე ცხოველს, რომელსაც ეს საჩუქრები რომელიღაც ძლევამოსილ ბატონთან მიაქვს.

მარგარიტა ხშირად ფიქრობდა ამაზე. აბატ ვიქტრინგელთანაც საუბრობდა. ნუთუ ღმერთმა დასაჯა, ასეთი მახინჯი რომ გააჩინა? რას ერჩის იგი, რა სწადია მისგან? აბატმა ანსელმის გამონათქვამი გაიხსენა: „უმცირეს ქამთა სვლაზე უსწრაფეს ცვალებადია საგანთა გარეგანი სახე, მიწიერი სილამაზე არარაობაა და არარაობად ჩააგდე". როდესაც მიხვდა, დიდ ნუგეშად არ მიიჩნია ეს სიტყვები მარგარიტამ, დაურიდებლად ჰკითხა: ეგებ გერჩია დაბალი წოდებისა ყოფილიყავ, მაგალითად, გლეხის ქალიშვილი, მაგრამ კაცებისთვის მოსაწონიო. „არა! — მსწრაფლ მიაგება გოგონამ პასუხი: — არამც და არამც ამას არ ვინატრებდი!" მერე კი, როცა მარტო დარჩა, მწარე კვნესა აღმოხდა: „ვინატრებდი, დიახაც რომ ვინატრებდი! მირჩევნია მთელი დღე ნაკელი ვზიდო და სიტურფით აღსავსე ვიყო, ვიდრე ამ სასახლეში ვცხოვრობდე და ასეთი კბილები, ასეთი პირი, ასეთი საშინელი კანი მქონდეს."

ფრაუენხიმზეეს მონასტრის წინამძღვარ ქალსაც ესაუბრა ამის შესახებ. ამ მონასტერს იგი თავისი უმცროსი დის, სნეული ხეიბრის ადელჰაიდას სანახავად ეწვია. პაწაწინა კუნძულის ნაპირზე იჯდა ახლა იგი ამ ნატიფ, დამჭკნარ და უწყინარ წინამძღვარ ქალთან ერთად.

— დედაჩემი არ იყო ლამაზი, — წარმოთქვა ბავშვმა. — მაგრამ მახინჯიც არ ყოფილა.

მოხუცმა მანდილოსანმა თავისი პატარა, მსუბუქი ხელი სპილენძისფერ, ხეშეშ თმაზე გადაუსვა.

— მე არაფერს გეტყვი ღმერთსა და საიქიოზე, სადაც გარეგნულ სილამაზეს როდი აქვს ფასი, — ღიმილით დასძინა მან.—მაგრამ საქაოშიაც ხომ სწრაფად ნაოჭდება თვით წარმტაცად გადატკეცილი პირისახეც! კიდევ თხუთმეტი, დიდი-დიდი ოცი წელი შეგენარჩუნებინა სილამაზე! მე ახლა ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ არასოდეს ვბრწყინავდი სიტურფით,— დაასკვნა მან.

ორივემ მკრქალ, ფართოდ გადაშლილ ტბას გახედა. მზე ოდნავ ანათებდა, სადღაც თოლია ჰყიოდა.

ერთი წლის შემდეგ მარგარიტას დედინაცვალი ბეატრისა ლოგინად ჩავარდა და აღარც ამდგარა. სუსტი აღნაგობისა იყო იგი და ამას უშვილობით გამოწვეული ჭმუნვა-ნაღველიც ზედ დაემატა. ზიარება უკვე მიღებული ჰქონდა ქალს და ძაინც მოახერხა ქმრისთვის ეთქვა, მაგრად მიაბეგვინე შენი მკერავი და კინწისკვრით გააგდე აქედანო. მისი ფიქრით, მკერავი აშკარად იპარავდა ძვირფას ქსოვილებს, რომლებიც მეფის გარდერობისთვის იყო განკუთვნილი. ისიც ურჩია მეუღლეს, თავისი საზეიმო საპურველისათვის ტყავის ახალი ბუდე გაეკეთებინა. ესა თქვა და სული ღმერთს მიაბარა.

დარჩნენ იოჰანი და მარგარიტა ამ მთაგორიანი ქვეყნის უცილობო და ერთადერთ _ მემკვიდრეებად, რადგან არავინ იცოდა ჰაბსბურგებისა და ვიტელსბახების საიდუმლო შეთანხმების ამბავი. ბიჭუნა იოჰანსაც კი ფრთები შეესხა, როცა გაიგო, რომ სრულუფლებიანი მემკვიდრე ხდებოდა. გულში იმეორებდა ტიტულებს, რომელთა მფლობელი უნდა გამხდარიყო: ჰერცოგი კარინთიისა, ჰერცისა, კრაინისა, გრაფი ტიროლისა. მეფისნაცვალი ხურის, ბრიქსენის, ტრიენტის, გურკის, აქვილეის საეპისკოპოსოებისა. თვალწინ ეხატებოდა ტახტის გადაცემის ძველი, კარინთიული ადათ-წესების აღსრულება, რომელიც ძალიან მოსწონდა. აი, მობრძანდა გლეხის ტანსაცმელში გამოწყობილი ხელმწიფე, ქვაზე წამომჯდარი გლეხი წამოაგდო ადგილიდან. თვითონ შედგა ამ ქვაზე, ხმალი იშიშვლა და მოიქნია. აი, იგი გლეხური ქუდიდან ცივ წყალსა სვამს. ბიჭუნა იოჰანმა საკუთარი თავი დიდად პატივსაცემ პიროვნებად წარმოიდგინა.

დედინაცვლის სიკვდილით აღელვებულ და მემკვიდრეობის უწილადო მიღებით გულდაჯერებულ მარგარიტას ერთხელ წინ შემოხვდა კრეტიენ დე ლაფერტი. ქალიშვილი ჩვეულებრივზე უფრო გულითადად და თბილად ელაპარაკა. ო, როგორ უნდოდა ვაჟისგანაც ალერსიანი, ადამიანური სიტყვები მოესმინა! იგი კი მდაბლად თავდახრილი, ღრმა პატივისცემით გამსჭვალული ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ

ზრდილობიან პასუხებს აძლევდა, ისე ელაპარაკებოდა, როგორც პრინცესას მიმართ შეჰფეროდა ხელქვეითს.

გულმოწყალე მეფე ჰაინრიხი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო ღვთისმოშიში გახდა. მართალია, ჭამით თითქოს მეტსაც ჭამდა, სვამდა კიდეც, ქალებიც უფრო მეტი ჰყავდა, მაგრამ წინანდელზე მეტს ლოცულობდა, აღსარებისთვისაც უფრო ხშირად დადიოდა, თანდათან დაძაბუნდა, ახლა წინანდელზე მეტ შესაწირავს აძლევდა მონასტრებსა და ეკლესიებს.

*

ხურის საეპისკოპოსოში ადგილ-მამულები ჰქონდა ვინძე პეტერ ფონ ფლავონს, ხურის ეპისკოპოსის ვასალს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბატონი ფონ ფლავონი მსხვერპლად შეეწირა მეფე ჰაინრიხის ერთ-ერთ იტალიურ ლაშქრობას. მას დარჩა ოცდაათ წელს მიახლოებული ქვრივი და სამი ქალიშვილი. დღემდე სადავო გამხდარიყო, თუ ვის ეკუთვნოდა დატოვებული მამულები — გვარის მხოლოდ მამაკაცთა შტოს, თუ ქალთა შტოსაც. ხურის ეპისკოპოსმა იოჰანესმა და მისმა კაპიტულმა გადაწყვიტეს წაერთმიათ ქვრივისათვის მამულები. ქალბატონმა ფონ ფლავონმა თავისი სამი მცირეწლოვანი ქალიშვილი თან წაიყვანა და მეფე ჰაინრიხს ეახლა მფარველობის სათხოვნელად. მეფის წინაშე დაიჩოქა და ტირილით მოჰყვა, რომ აღარა ჰყავს კეთილი, მამაცი, ახალგაზრდა ქმარი! იგი ხომ მეფე ჰაინრიხის სამსახურში დაიღუპა. ახლა კიდევ ამ მოძალადე ხურის ეპისკოპოსმა მოინდომა ქვრივის საკუთრების დაპატრონება. ასე რომ მოხდეს, იგიცა და მისი საცოდავი ობლებიც ხომ საშინელ გაჭირვებასა და სიღარიბეში ჩაცვივდებიან. შავ კაბებში გამოწყობილი, დედის გვერდით ჩამუხლული სამი პატარა, კოტა, ლოყებლაჟღაჟა გოგონა მწარედ ზლუქუნებდა. მეფე ჰაინრიხს გული აუჩუყდა.

წერილი მისწერა ხურის ეპისკოპოსს. თავგამოდებით იცავდა ქალბატონ ფონ ფლავონს. ეპისკოპოსმა მოკლე და გულნა-

წყენი პასუხი მოსწერა. იოტისოდენადაც არ დათმო თავისი პრეტენზიები. ქვრივი, რომელიც ამასობაში თავის შვილებთან ერთად ცენობერგის სასახლეში სტუმრობდა, მეფე ჰაინრიხს დღითი დღე უფრო და უფრო მოსწონდა. ეპისკოპოსთან უთანხმოებამ უხეში შეხლა-შემოხლისა და მტრული გამოხდომების ხასიათი მიიღო. ბოლოს მეფემ, როგორც იქნა, მიაღწია შეთანხვებას, რომელიც ქალბატონ ფონ ფლავონისათვის დიდად სახარბიელო არც იყო.

ამ დროისათვის მეფემ აღიარებულ მეგობრად გაიხადა მანდილოსანი. უხერხული იქნებოდა მისთვის მცირე გასაკითხის შეთავაზება. ნუთუ ამ უსუსურ არსებებს წვრილ მემამულეთა ქალიშვილების მსგავსი ცხოვრება მოელით, მაშინ, როდესაც მათმა მამამ მისი გულისათვის დალია სული? არა, მეფე ჰაინრიხი არც ასე ძუნწია. მან ობლებს ტაუფერსისა და ველტურნსის სამფლობელოები უბოძა. მართალია, ამის გამო დავა მოუხდა ბრიქსენის ეპისკოპოსთან, რომელსაც ეს განთავისუფლებული ლენები სათავისოდ უნდოდა, მაგრამ მეფე ჰაინრიხი მტკიცედ იდგა თავის ნათქვამზე. ბოლოს ეპისკოპოსს ფული გადაუხადა და მანდილოსანი ორივე მამულის მფლობელად დარჩა.

ქვრივიცა და მისი ქალიშვილებიც მეტისმეტად გამომწვევად იქცეოდნენ. მეფის მფარველობის ქვეშ ქალი თავს ლაღად გრძნობდა. სანდომიანი იყო, თეთრი, ქერათმიანი, მკვრივი და კოხტად ჩამრგვალებული. სიცილი უყვარდა, არც ცეკვებსა და ტურნირებს აკლდებოდა. მის სასახლეებში დღეიადაგ საზეიმო რუზრუზი იდგა. მუდამ რაღაცით იყო გართული, უნდოდა ყველაფერს ჩასწვდომოდა, წვრილმანებზეც დიდმნიშვნელოვნად ლაპარაკობდა, ყველგან არეულობა შეჰქონდა. ერთხელ აზრად მოუვიდა თავისი მეუღლის ნეშტი ტაუფერსის სასახლის სამლოცველოში გადმოესვენებინა. რამდენიმე წელი მოანდომა ამ საქმის მოგვარებას. ბოლოს ლომბარდიაში გაემგზავრა, სახელდახელოდ დამარხული მიცვალებული მიწიდან ამოიღეს, გვამი, როგორც წესი მოითხოვდა, მდუღარე წყალში ჩააგდეს, რათა ხორცი ძვლებს მოსცილებოდა, ძვლები ტაუფერსში ჩამოიტანეს და ფონ ფლავონის ქალების მოთქმა-ტირილში საზეიმოდ დამარხეს. თუმცა

დაბეჯითებით არც კი შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ეს ძვლები ბატონ ფონ ფლავონს ეკუთვნოდა.

სამი პატარა გოგონას აღზრდით დიდად არავინ იწუხებდა თავს, ამიტომაც იქცეოდნენ თავნებად. წარამარა ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს, სულ პატარა რამეზედაც კი საკმაოდ დაუნდობელ ცემა-ტყეპას მართავდნენ. მეფე ჰაინრიხს ყოველ მოსვლაზე მათი გაშველება და დაშოშმინება უხდებოდა. დედასაც არ ეპუებოდნენ და ზოგჯერ შეერთებული ძალით მის წინააღმდეგაც ილაშქრებდნენ. მეფესთან ხან დედა აბეზღებდა შვილებს და ხან შვილები — დედას. ასევე უმიზეზოდ შერიგდებოდნენ ხოლმე და ახლა იმით მოჰქონდათ თავი ყველასთან, რომ ტკბილი ოჯახური ცხოვრება ჰქონდათ. ბავშვები დაჰქროდნენ თავიანთ უზარმაზარ მამულებში, მსახურთ ხელს უშლიდნენ მუშაობაში, გლეხებს საშველს არ აძლევდნენ, აწვალებდნენ ცხოველებსაც და ადამიანებსაც.

სამივე კოხტა იყო, თეთრი, ფუნჩულა, ლოყებლაჟღაჟა და ქერათმიანი. ყველას მაინც შუათანა, აგნესა ფონ ფლავონი ჯობდა. დებზე უფრო მაღალს ოდნავ მათზე მუქი და უფრო ბზინვარე თმა ამშვენებდა, სახე მოგრძო ჰქონდა დებისაგან განსხვავებით, ცხვირი უფრო ლამაზი და ტუჩებიც თამამად მოხაზული. სამივე და განუზომლად პატივმოყვარე იყო. აგნესა, ჯერ ძალიან ნორჩი და მარგარიტაზე სულ რაღაც ორიოდ წლით უფროსი, ულამაზეს ქალად ითვლებოდა ეჩიდან მოყოლებული ვინემ ინამდე. ტურნირებზე გამარჯვებას რაინდები მისი გულის მოსაგებად ნატრობდნენ: ჯილდოებს ხომ იგი ახაწილებდა. თუ ვინმე იტალიელი ქალების ქებას მოჰყვებოდა, გერმანელი თავადები, როგორც ერთი, აგნესა ფონ ფლავონის სახელს ახსენებდნენ და იტალიელები მყის დუმდებოდნენ. ტრიენტში, სადაც დედამისი რაღაც საპირო საქმეზე ეწვია ეპისკოპოსს და თან აგნესაც წაიყვანა, სასახლის წინ ჯარად მოგროვილი ხალხი აღფრთოვანებით გაიძახოდა: „ანგელოზი მოგვეელინა! დაგვლოცე, მშვენიერო ანგელოზო!“

აგნესამ კარგად იცოდა თავისი სილამაზის ფასი. სავსებით ბუნებრივად მიაჩნდა, რომ მეფეც, თავადებიც და საერთოდ მთელი ხალხი ყოველ სურვილს უსრულებდნენ. თავი ტიროლის ქალბატონად მიაჩნდა.

კეთილი მეფე ჰაინრიხი ყოველნაირად ცდილობდა, რომ მისი ქალიშვილი ლამაზ გოგონებს არ შეხვედროდა, თუმცა ზოგჯერ ამის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. აგნესა ზუსტად კი იცავდა ზრდილობის ყველა წესს, მაგრამ მარგარიტას მისი დამცინავი შეწყალება სასტიკად ახელებდა. ერთხელ გოგონები, რომელთაც მხოლოდ კრეტიენ დე ლაფერტი ახლდათ, თითქმის მთელი ნახევარი საათის განმავლობაში გესლიანად ქირდავდნენ ერთმანეთს, მერე კი აგნესამ წასვლა დააპირა და ლაფერტს მიუბრუნდა:

— გამაცილეთ, ბატონო კრეტიენ!

— ბატონი კრეტიენი აქ დარჩება! — გაისმა მარგარიტას ეჩვეულოდ მშრალი და მკვახე ხმა. მაგრამ როდესაც აგნესამ მხრები აიჩეჩა, ცბიერად, ორაზროვნად ჩაიცინა და გავიდა, პრინცესამ დასძინა: — წაბრძანდით, კრეტიენ, წაბრძანდით! — დაბნეული და შეცბუნებული ჭაბუკი ფონ ფლავონის ქალიშვილს გაჰყვა. მარტო დარჩენილ მარგარიტას სახე მოექცა, სუნთქვა შეეკრა, გაიფხორა.

ერთხელ მარგარიტა ბატონ შენასთან ერთად დასურათებული ლექსების ხელნაწერს უჯდა. ბლანშფლერი გამოსახული აგნესა იყო. ბატონი შენა და მარგარიტა ფერად სურათს დასცქეროდნენ.

— დიახ, — მცირე ხნის დუმილის შემდეგ წარმოთქვა ფონ შენამ, — იგი მართლაც ჰგავს აგნესას.

— შეუდარებლად ლამაზია, — შეგუებებული, საოცრად მიმქრალი ხმით დაუდასტურა მარგარიტამ.

— მაგრამ ფლავონის ქალიშვილს ბევრად უფრო სულელური თვალები აქვს, — დასძინა ბატონმა ფონ შენამ.

— განვაგრძოთ კითხვა! — წარმოთქვა მარგარიტამ. მისი დაბალი, საამო ხმა წინანდებურად ეღერდა.

მეფე ჰაინრიხს სიბერე ადრე შეეპარა და თვალსა და ხელს შუა ღონე ეცლებოდა. ხელები უკანკალებდა, ხშირად მეტყველების უნარს კარგავდა და ენა ებმოდა. მოსვენებას არ აძლევდა საიქიოში დასჯის სულისშემხუთველი შიში. ეკლესიების მოხატულ კარიბჭეებზე ხშირად ენახა საშინელი სამსჯავრო, ჯოჯოხეთის უფსკრული, მოგიზგიზე ცეცხლსა და გოგირდის

კვამლში გახვეული, კბილებდაკრეჭილი, საზიზღარი ეშმაკები. ყოველივე ამის შემაძრწუნებელ მოახლოებას გრძნობდა. ამიტომაც გააორკეცა ღვთისმოსაობით ნაკარნახევი შეწირულებანი, მდიდრულად დაასაჩუქრა მარიენბერგი, შტამსი, როტენბუხი, ბენედიქტენბაიერნი. მაგრამ ამან ვერ დაამშვიდა მეფე, ვერც აბატ ვიქტორინგელის მანუგეშებელმა დაპირებებმა გაჭრეს. ხორცის მოსაკვდინებლად ცენობერგის სამლოცველოში საცხედრე დაადგმევინა და შიგ ზამთრის ერთი გრძელი ღამე გაატარა. და აი, გამოეცხადნენ მის მიერ გაძარცული, ნაწამები, დახოცილი ადამიანები; მეფე ჰაინრიხი გულჩვილი კაცი იყო, მაგრამ ხალხი მაინც ერთობ ბევრი მოგროვდა. გამოცხადდნენ ქალები, რომლებთანაც ემრუშა; მოლიმარი სახეები ჰქონდათ. მაგრამ როგორც კი შებრუნდებოდნენ, მოფუთფუთე ჭიებისაგან შეჭმული ზურგები მოუჩანდათ. მთელი სამლოცველო გაივსო უსაძაგლესი ეშმაკებით, რომლებიც მეფისაკენ იწვდიდნენ ბრჭყალებს. ყვირილი მორთო, მაგრამ თვითვე ჰქონდა ნაბრძანები, რომ სამლოცველოს კარი ჩაერაზათ და მთელი ღამე ახლოს არ გაჰკარებოდნენ — უნდოდა პირისპირ დარჩენილიყო თავისი ცოდვებისა და მონანიების წინაშე და ასე შეხვედროდა ცისკრის წირვას. ბოლომდე მაინც ვერ გაძლო. კედელზე აცოცდა — შიშმა სიმარჯვე შემატა — და ფანჯრიდან გადახტა. აკანკალებული, ცივ ოფლში გაწუწული შეძვრა თავის ლოგინში.

იმ დღის შემდეგ საშინლად დაძაბუნდა. ხშირად თავისთვის რაღაცას ლაპარაკობდა, ყრუდ და უილაჯოდ ახველებდა. მარგარიტა თითქმის გვერდიდან არ სცილდებოდა მამას, მაგრამ ნაკლებად თანაუგრძნობდა. მართალია, მისი სიკვდილის ჟამი მოახლოვდა, მაგრამ დიდად დასანანი არაფერი აქვს, ცხოვრება თავის გემოზე გაატარა.

ჰაინრიხი დიდი სიამოვნებით იკრებდა გარშემო თავის შვილებს, განსაკუთრებით პატარებს. მოგრეხილ პატარა ფეხებზე მოტანტალე, მოკუნტრუშე ბავშვების მარაქაში დაფრატუნებდა. ერთს პატარა ცინგლიან ცხვირს მოწმენდდა, მეორეს — ტირილით დაოსებულ, ლოყებღაჟღაჟა, ბუთხუზას — დააშოშმინებდა. ზოგს ხელში აიტაცებდა, ზოგს ახლოს მიუჯდებოდა და აზრსმოკლებული სიდინჯით გატრუნულ უასაკო

მსმენელს ესაუბრებოდა თავისი ფულადი გაჭირვების, საეკ-
ლესიო აღსარებებისა და მაღალი პოლიტიკის თაობაზე.

მოვიდა აპრილი. ფირუზისფერი ცის ქვეშ გაშლილი ქვეყანა აფეთქებული ნუშისა და ატმის ყვავილების მტვერში გაეხვია. ახლა კი იგრძნო მეფე ჰაინრიხმა, რომ მისთვის მოზომილი დრო ამოიწურა. ბრძანა—წმინდა პანკრატიუსის სამლოცველოში გადამიყვანეთო. სათნო, ცისფერი მარიამი მანუგეშებლად უღიმოდა, სამლოცველოს ჭრელად მოხატული ფანჯარა მიმზიდველად ელავდა მზის ჩახჩახა სხივებში, თვალებდაჭყეტილი პატარა ბავშვების ჯარი გარს მოსდგომოდა მეფეს. აქვე იყო უწყინარი და ზრდილი აბატი ვიქტორინგელიც. უკანასკნელად აქ ჩაექცა სისხლი ჰაინრიხს და მოიგუდა კიდეც.

გვამი გამოშიგნეს, დააბალზამეს, გული და შიგნეული ტიროლის სასახლეში მიიბარეს მიწას, დანარჩენი ნაწილები კი უფრო მოგვიანებით უნდა დაემარხათ დიდი პატივით შტამში, წმინდა იოჰანის მონასტერში, მეფის აკლდამაში.

შეიტყო თუ არა ბრიქსენის ეპისკოპოსმა მეფე ჰაინრიხის გარდაცვალება, მაშინვე ტიროლის სასახლეში გაემგზავრა. ღამით გზად მიმავალს უცებ ურიცხვი ნაბიჯების ხმა მოესმა. თანმხლებთ ჰკითხა, ხომ არაფერს ხედავთო. მათაც გაიგონეს უცნაური ხმაური, მაგრამ ვერაფერი დაინახეს. ეპისკოპოსი დაჟინებით იცქირებოდა ღამის სიბნელეში და ბოლოს მაინც გაარჩია ქონდრისკაცები, რომლებიც უწყვეტ ნაკადად მიიჩქაროდნენ ჩრდილოეთისკენ. მათ თითებზე ძვირფასი ქვები ეკეთათ და ამიტომ მხოლოდ ეპისკოპოსს შეეძლო მათი დანახვა. ერთ-ერთი ქონდრისკაცი შეაჩერა და ამბავი ჰკითხა. კაცუნამ უპასუხა, რახან გულმოწყალე მეფე ჰაინრიხი მოკვდა, ამ ქვეყანაში თავს მიუსაფრად ვგრძნობთ და ამიტომ უნდა გავეცალოთ აქაურობასო.

იმავე დღეს გაფრინდნენ მალემსრბოლნი სხვადასხვა მხარეს, რათა მთელი ქვეყნისათვის ეცნობებინათ მეფის სიკვდილი. ერთმა მათგანმა იტალიის დაბლობს მიაშურა და ვერონაში ჩავიდა. დიდად გაიხარეს ძმებმა დელა სკალებმა: ახლა მთაში არეულობა დაიწყება და ერთხელ კიდევ მოგვეცემა შესაძლებლობა, რომ ხელი ჩრდილოეთისკენ გავიწვდინოთ, მი-

წები მივისაკუთროთო. მეორე ვენაში წავიდა. მცივანა კოკლი ჰერცოგი ალბრეხტი ბუხართან იჯდა წვერგაუპარსავი, გამხდარი, სნეული. მაშინვე დაფაცურდა, ძმას გამოუძახა, მდივნებს უხმო. გეგმების შედგენასა და მუშაობაში ისე გაერთო, ჭამაც კი ავიწყდებოდა. მესამე შიკრიკი შიუნხენში გაემგზავრა მეფე ლუდვიგთან, რომელმაც ამბის მომტანს მიამიტი ცისფერი თვალებით შეხედა და, წესისამებრ, დალაგებული, ღირსეული სიტყვებით მწუხარება გამოთქვა უსაყვარლესი ბიძის დაკარგვის გამო. თან თავს ძალას ატანდა და ცდილობდა რაიმე ხრიკი მოეგონებინა თავისი პატარა ბიძაშვილისათვის ადგილ-მამულების წასაგლეჯად.

მარგარიტა სარკეში იყურებოდა. სპილოს ძვლის ჩარჩოს რელიეფზე სიყვარულის ქალღმერთის სასახლის აღება იყო გამოხატული. რაც მართალია, მართალია, არც სახითა და არც ტანით იგი სიყვარულის ქალღმერთს არა ჰგავს. სამაგიეროდ კარინთიის ჰერცოგისა და ტიროლის გრაფის ასულია. მაშასადამე, აი, როგორი შეიძლება იყოს ჰერცოგის ასული? გამკილავი მზერით ათვალიერებდა იგი საკუთარ თავს, აბა, ვნახოთ! თვალებსა და შუბლს კიდევ არაუშავს რა. პირია რაც არის — მაიმუნის დრუნჩს მიუგავს. სამაგიეროდ იგი კარინთიას ფლობს. ლოყები ისე უშნოდ ჩამოფლაშვია — უარესი რაღა იქნება! მაგრამ განა ამას ტიროლის საგრაფო არ გადაწონის? სახის კანი მიწისფერი და ლაქებიანი აქვს, მაგრამ ტრიენტი, ბრიქსენი, ხური, ფრიული რომ გავიხსენოთ, განა გადატკეცილი და სუფთა არ გაუხდება?

იოჰანი, მისი მეუღლე, საშინლად იბღინძება: ახლა იგი ხელმწიფე და მბრძანებელია. იმდენად კარგ გუნებაზე დადგა ამის გამო, რომ თავაზიანიც კი გახდა. მეფის ასული ქმარს აკვირდებოდა: სიმართლე რომ ითქვას, მოხდენილი ყმაწვილია: მოგრძო, მბრძანებლური სახე აქვს, მშვენიერი თმა, თვალებიც უფრო თბილი და გაბედული ეჩვენა დღეს. იოჰანი კი ფიქრობდა: ეს გოგო ლამაზი არაა, მაგრამ ლამაზია ის ქვეყნები, რომლებიც მზითვად მოჰყვა. „აბა, შენ იცი, გრეტლ!“—მიუბრუნდა მეუღლეს და გულიანად აკოცა გადმობრუნებულ ტუჩებში. ესეც არ იკმარა და შევარდნით ნადირობაზე მიიპატიჟა.

შემდეგ დასხდნენ ერთად და სახელმწიფოს მართვის თავიანთი პირველი ღონისძიებების თაობაზე დაიწყეს მსჯელობა. შედგომარეობა სულაც არ იყო სახარბიელო. ბარონების მოთოკვა გაჭირდებოდა, ვინაიდან ისინი ალბათ შეეცდებოდნენ, მმართველის გამოცელასთან დაკავშირებული გართულებები თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ბიჭუნა იოჰანმა თავისი ამპარტავნობა მოიმარჯვა: ისე მოვუელი, როგორც ჯერ ერსო. მას ხომ გარეული ცხენების გახედნაც კი არ გასძნელებია. უპირველეს ყოვლისა მამამისი უნდა გამოიძახოს, მეფე იოჰანი; ის ალბათ ჯერაც პარიზშია, ტურნირზე, თავის ცოლისძმასთან, საფრანგეთის მეფესთან. შემდეგ საჭირო იქნება დესპანების გაგზავნა იმპერატორთან და ავსტრიის ჰერცოგებთან. ბავშვებმა აბატი ვიქტრინგელი იხმეს, ეს საქმე მას მიანდვეს და საზეიმოდ და მოჩვენებითი მედიდურობით შოუწერეს ხელი რწმუნების სიგელზე: იოჰანი, ღვთის შეწევნით გრაფი ტიროლისა, და მარგარიტა, Dei gratia Carinthiae dux, Tyrolis et Goritiae comes et ecclesiarum Aquilensis, Tridentinae et Brixensis advocata[1].

მაგრამ როდესაც აბატმა ვიქტრინგელმა რწმუნების სიგელი ადგილზე მიიტანა, ჩამოთვლილი ქვეყნების დიდი ნაწილი დაკარგული აღმოჩნდა. იმპერატორი ლინცში იყო: კოჭლ ჰაბსბურგთან ერთად მსჯელობდა იმ ხელშეკრულების შედგენაზე, რომლითაც მთაგორიანი ქვეყანა ჰაბსბურგსა და ვიტელსბახს შორის უნდა განაწილებულიყო. მოუხეშავი, ტლანქი ბავარიელი ყველაფრის მისაკუთრებას ცდილობდა, სულ პატარა სოფელსაც კი არ თმობდა. კოჭლი ჰერცოგი დაჟინებით, ჯიუტად ითხოვდა თავისას, კაპიკსაც არ ელეოდა. ისხდნენ, გასცქეროდნენ ადიდებულ დუნაის ტალღებს და თან ფიქრით თავიანთ რუკებსა და რეესტრებს ვერ ცილდებოდნენ. წვიმდა. მოლაპარაკების ორივე მონაწილე მსუყე ნაჭერს გადაჰფაფროდა, ორივენი თავისკენ ეწეოდნენ საკბილოს. დიდი ვაჭრობის შემდეგ, როგორც იქნა, შეთანხმდნენ: კარინთია, კრაინა,

---

[1] ღვთის შეწევნით ჰერცოგი კარინთიისა, გრაფი ტიროლისა და გორიციისა და დედა-მოსარჩლე აქვილეისა, ტრიენტისა და ბრიქსენის ეკლესიებისა (ლათ.).

სამხრეთ ტიროლი ავსტრიელს ერგო, ჩრდილოეთ ტიროლი— ბავარიელს. ის-ის იყო დააბოლოვეს ეს საქმე და აბატი ვიქტორინგელიც ეწვია, თან ბავშვების წერილები და რეკომენდაციები მოიტანა. ორივე მეფე თავაზიანად შეხვდა დესპანს. ყურადღებით წაიკითხეს წერილები. ავსტრიელმა ფარული ირონიით ღრმა მწუხარება გამოთქვა ძვირფასი ბიძის, ბრწყინვალე და სახელოვანი მეფის, მთელი ნათესაობის თავკაცისა და მათთვის მზრუნველი მამის გარდაცვალების გამო. ძალიან მეცოდება ჩემი პატარა ბიძაშვილი და მისი ნორჩი მეუღლე, მაგრამ კრაინა ახლა მე მეკუთვნისო. კარინთია კი იმპერატორის გულუხვობის წყალობით მერგო, ჯარები უკვე გზაშია და მალე ქვეყანას ჩემი სახელით დაიკავებენ. სხვაფრივ კი თუ რამეში გამოვადგები ან დავჭირდები ჩემს პატარა ბიძაშვილს, ყოველთვის მზადა ვარო. იმპერატორმაც დაახლოებით იგივე თქვა, თან თავისი დიდი, ცისფერი, ალალმართალი თვალებით შესცქეროდა აბატს. რა თქმა უნდა, უფრო მაღალფარდოვნად, კეთილხმიანად ლაპარაკობდა, იგი ხომ იმპერატორია. სინანული გამოთქვა, რომ ბავშვებმა გვიან მიმართეს თხოვნით, ვინაიდან თავის ძვირფას ავსტრიელ ბიძებთან ერთად ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი აქვს. ყოველ შემთხვევაში, დასაინა ბოლოს, მოწყალებას მოვიღებ და შეეცდები როგორმე ვუშველო ამ საქმესო.

ბავშვები, რაკი მიხვდნენ, რომ მათი საქმე ცუდად იყო, ტიროლის სასახლიდან შიკრიკს შიკრიკზე აგზავნიდნენ პარიზში, მამასთან და მეურვესთან, მეფე იოჰანთან. მაგრამ იგი მძიმედ დაშავებულიყო ტურნირში, უსასოოდ იწვა თითქმის დაბრმავებული, დოლბანდებით შეკოჭილი და ისღა შეეძლო, რომ ნუგეშის ლიტონი სიტყვები შეეთვალა ტიროლში — გული არ გაიტეხოთო. როგორც კი გამოვმთელდები და ძალ-ღონეს მოვიკრებ, ტიროლში გავჩნდები და თქვენც დაგიცავთ და თქვენს ქვეყნებსაც. ეს ხომ რაღაც ბედუკუღმართობაა, რომ იგი უილაჯოდ გდია ლოგინში, როდესაც მისი ხანგრძლივი და მოხერხებული დიპლომატიური მოღვაწეობის ნაყოფს იმპერატორი და ჰაბსბურგელი იმკიან და მდიდარ ქვეყნებს, რომლებიც სინამდვილეში მას უნდა რგებოდა, თვითონ ისაკუთრებენ. ბუნებით ფატალისტი და თავგადამკვდარი

ბანქოს მოთამაშე იოჰანი დიდად არ განიცდიდა ამ ხელმოცარვას. ბედის ცვალებადობას ნაჩვევი გულს არ იტეხდა და თუმცა ახლა დავრდომილი საწოლს იყო მიჯაჭვული, მაინც უდარდელად ოხუნჯობდა მისთვის აწ მიუწვდომელ ქალებსა და სამფლობელოებზე და ბანქოს მოთამაშის წარბშეუხრელი რწმენით ელოდა ბედის წაღმა შემობრუნებას.

ამასობაში კარინთია და კრაინა წინააღმდეგობის გაუწევლად დანებდნენ ჰაბსბურგელებს, ქალაქებმა ქედი მოიხარეს მათ წინაშე, იმპერატორის საბატონო სიგელები ყველგან ზეიმით იკითხებოდა. ფეოდალმა ბარონებმა და მოხელეებმა ფხიზელი გონებით შეაფასეს მომხდარი ამბები და ერთგულების ფიცის დადებაზე უარი არ უთქვამთ. გავლენიანმა თავადობამ და მათ სათავეში მდგომმა დიდებულმა კონრად ფონ აუფენშტაინმა, აწ გარდაცვლილი მეფის ნაცვალმა; მისგან დიდად დასაჩუქრებულმა და წყალობით ავსებულმა, ამ დროს ფრიად ორაზროვანი როლი ითამაშა. ორი ბავშვის მიმართ ღალატი მოსახლეობას გადაავიწყა ჰერცოგმა ოტო ავსტრიელმა, თავისი კოჭლი ძმის ნაცვალმა. მან კარინთიაში მიღებული ტახტზე ასვლის ის ძველი, პატრიარქალური ადათი შეასრულა, წინასწარ რომ ახარებდა პატარა პრინც იოჰანს. ოტო ავსტრიელმა გლეხური ტანსაცმელი ჩაიცვა, ქვაზე სპეციალურად დასკუპებული გლეხი წამოაგდო ადგილიდან, გლეხის ქუდით მოწოდებული წყალი შესვა და სხვაც ბევრი ძველებური ცერემონია ჩაატარა. მაგრამ ჰერცოგი ოტო ერთი კოპწია, მოდას აყოლილი ყმაწვილი კაცი იყო და გრძნობდა, რომ გლეხურ ტანსაცმელში სასაცილოდ გამოიყურებოდა. თვითონაც და მისი ახლობელი თავადებიც მერე დიდხანს ოხუნჯობდნენ ამის გახსენებაზე. მაგრამ ხალხს ძალიან მოეწონა მამა-პაპათა ტრადიციების ასე ზუსტად დაცვა, გულაჩუყებული მოსახლეობა ახალ მეფეს ერთგულებას უცხადებდა.

მარგარიტა არასოდეს ყოფილა პათეტიკური ბუნების ადამიანი. იგი არც მოელოდა, რომ მეფეთა კანონიერი დინასტიისადმი ერთგულების სურვილით ამოძრავებული კარინთია აღდგებოდა და დედოფლის დასაცავად თავს დასდებდა. მაგრამ ასე იოლად დათმო ხალხმა კანონით დაწესებული უფ-

ლებები, ისე სასწრაფოდ გადავიდა ძლიერის მხარეზე და თანაც ცდილობდა თვითონაც რაიმეს გამორჩენოდა, რომ ამან მარგარიტა ზიზღითა და აღშფოთებით აღავსო. ამიტომ წარბიც არ შერხევია, როდესაც სიბრაზისაგან ხმაჩახლეჩილმა ჰერცოგმა იოჰანმა ფეხების გამეტებული ბაკუნით ბრძანება გასცა კარინთიის მოღალატე მეფისნაცვლის საგვარეულო სასახლე, მატრეიას მახლობლად მდებარე აუფენშტაინი, ძირფესვიანად მოესრათ. თუმცა საზრიანი ბატონი ფონ შენა ფიქრობდა, რომ უფრო გონივრული იქნებოდა ეს სასახლე პატრონისათვის ჩამოერთმიათ და არკი დაენგრიათ.

მართალია, კარინთია დაკარგეს, მაგრამ ტიროლში ფრიად ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნათ ბავშვებს. აქაურ ბარონებს ლუქსემბურგელისაგან მტკიცე პირობა ჰქონდათ მიღებული, რომ მაღალ თანამდებობებზე არც ერთ უცხოელს არ დაუსვამდნენ. ყოველ შემთხვევაში, ბავშვებთან უფრო ადვილი იქნებოდა საერთო ენის გამონახვა, ვიდრე ფულის საქმეში მეტისმეტად მომჭირნე ვიტელსბახთან. ერთი სიტყვით, ტიროლელმა თავადებმა ერთმანეთს თვალი უყვეს, მოითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ ძველთაგანვე ნაცადი ტიროლური ერთგულება დაეცვათ კანონიერი დედოფლის მიმართ. ამავე დროს დაიწყეს მზადება შეიარაღებული წინააღმდეგობის გასაწევად და ქვეყნის შიგნით ამისათვის ხელსაყრელი აზრების გასაღვივებლად.

ამრიგად, ჰერცოგ იოჰანის უფროს ძმას, მარკგრაფ კარლოსს, რომელიც მეფე იოჰანმა თავის მაგივრად დროებით გამოგზავნა ტიროლში, თავდაცვისათვის მომზადებული დახვდა ქვეყანა და სამმა ბავშვმა ხანმოკლე, კარგად მოფიქრებული და სასტიკი ომის შედეგად შეძლო ტიროლის შენარჩუნება. ამ ომში პატარა ჰერცოგმა იოჰანმა ჯიუტი პირადი მამაცობით თავი გამოიჩინა, რაც ფრიად ეამა მარგარიტას.

ამასობაში მეფე იოჰანმაც შეძლო სარეცლიდან წამოდგომა, თუმცა მხედველობის დაბრუნებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. სამყაროს ნაცვლად იგი ახლა მხოლოდ ბუნდოვან ლიცლიცს ხედავდა და ისიც იცოდა, რომ ამასაც მალე მოეღებოდა ბოლო. ამიტომ მოთენთილობა შეეპარა, თანაც ფილოსოფიასა და პაციფიზმზე მსჯელობა დასჩემდა. ჰაბსბურგელი კოპლი

ალბრეხტიც მოიღალა ბრძოლით; იგი ხედავდა, რომ კარინთიის გარდა ჯერჯერობით ხელს ვერაფრით მოითბობდა და, თუკი ომს განაგრძობდა, მხოლოდ იმპერატორს მოუტანდა ამით სარგებლობას; იმპერატორი კი, როგორც ყოველთვის, ფულის გადახდის დროს განზე გადგა და ხმის ამოუღებლად, მედიდურად და მზაკვრულად თავის მეფურ ღირსებას ამოეფარა. ამის გამო ალბრეხტმა მალე გამონახა საერთო ენა იოჰანთან, ლუქსემბურგელები ტიროლის კანონიერ ბატონ-პატრონებად სცნო, სამაგიეროდ იოჰანმა სრული თანხმობა განაცხადა კარინთიაში ჰაბსბურგთა ბატონობაზე. და, რა თქმა უნდა, ფულადი ანაზღაურება მოითხოვა: ათი ათასი ვერონული ვერცხლის მარკა.

იოჰანმა ეს ერთი მორიგება დაამთავრა თუ არა, მაშინვე იმპერატორსაც შესთავაზა ხელშეკრულება: ბრანდენბურგი ტიროლის სანაცვლოდ. ლუდვიგი, რომელსაც ძალიან უყვარდა ყოველგვარი პირობის მიღება, მყის დათანხმდა და ორივე მეფე ცხარე დავას შეუდგა ცალკეული მუხლების ირგვლივ. მაგრამ ამ დროს ცეცხლივით ააღდა ტიროლელთა ერთგულება თავიანთი დედოფლის მიმართ — ფეოდალი ბარონები ხომ ფინანსურად ძალზე დაზარალდებოდნენ ვიტელსბახთა ბატონობის დამკვიდრებისას; საქმე საკმაოდ მწვავე შეხლა-შემოხლამდე მივიდა და ხალხი იმდენად აღელდა, რომ მეფე იოჰანი იძულებული გახდა საჯაროდ განეცხადებინა — არც კი მიფიქრია რაიმე გაცვლა-გამოცვლაზე ხელშეკრულების დადებაო. მისი ვაჟი და მეფისნაცვალი მარკგრაფი კარლოსი ისე დააფიქრა შექმნილმა მდგომარეობამ, რომ მამას სასტიკი ფიცი დაადებინა — ტიროლის გაყიდვაზე ამიერიდან არაფერი გაევლო გულში. იოჰანმა მხრები აიჩეჩა და ღიმილით დაეთანხმა ყველაფერზე.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, სხვათა შორის, სულაც არ ფიქრობდა იოჰანის მიერ კარინთიის თაობაზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მარგარიტა აღშფოთებით ლაპარაკობდა იმაზე, თუ ფეხქვეშ როგორ გასთელა მეურვემ მისი ინტერესები; დედოფალსა და მის მეუღლეს მიაჩნდათ, რომ წინანდებურად სრული უფლება ჰქონდათ კარინთიისა და კრაინის ხელმწიფობაზე. ახალგაზრდა ჰერცოგ იოჰანს ამით ხელ-

საყრელი პირობები შეექმნა, რომ დიდებული, პათეტიკური ცერემონია ჩაეტარებინა. შეკრიბა ტიროლის წარჩინებულნი და ხმალამოღებულ თავადებს ჯვარზე დააფიცა — მანამდე არ მოვისვენებთ, სანამ მარგარიტასა და მის მეუღლეს კარინთიას არ დაუბრუნებენო.

უსინათლო მეფე იოჰანმა თავის ვაჟიშვილს ჩოჩორი უწოდა, რადგან ამ დიდებული წამოწყების ერთადერთი შედეგი ის იყო, რომ ავსტრიამ ვერონული ვერცხლის დაპირებული ათი ათასი მარკა არ გადაიხადა. სინამდვილეში კარინთია ავსტრიელების მფლობელობაში დარჩა, საზეიმოდ ფიცდადებულმა თავადებმა ხმლები კვლავ ქარქაშებში ჩააგეს, ხოლო მეფე იოჰანის სასახლეს კვლავ მოეევლინა აჩრდილივით უჩინარი, უზომოდ მოკრძალებული მესერე არტეზე.

*

ჰერცოგი იოჰანი მოიწიფა, დავაჟკაცდა. სახეზე კვლავ სიავე და გულღვარძლიანობა ეწერა, მაგრამ ტანად აღარ იყო წინანდებურად აწოწილი და მოუხეშავი; გამკვრივდა, ჩამოიქნა. ცქვიტი არ ეთქმოდა, მაგრამ მიხრა-მოხრაში თავდაჯერებულობა დაეტყო. კარგი მონადირე იყო, შევარდენით ნადირობაში გაწაფული. ომშიაც სანაქებო ვაჟკაცობას იჩენდა. მარგარიტას მოსწონდა იგი. უფრო ლამაზი, უფრო ჭკვიანი, უფრო ბრწყინვალე მამაკაცებიც მოიძევებოდნენ, მაგრამ იოჰანმა ქვეყნის დაცვისას თავი ისახელა. იგი ბავშვი აღარ არის, ადრე შეება კაცობის ჭაპანს. თანაც მისი მეუღლეა. მაგრამ ქმარი გაურბოდა. ისედაც არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი: სიამოვნებით და გულწრფელი ნდობით მხოლოდ თავის ამფსონ მონადირეებს ემუსაიფებოდა; ქალს ბრძოლით უნდა მოეპოვებინა ქმარი. ცდილობდა, რაც შეიძლება ხშირად ეტრიალა მის თვალწინ. მაგრამ ფუჭი იყო მისი მოწადინება. იოჰანი თითქოს ვერც კი ამჩნევდა მის არსებობას.

დღისით მარგარიტა ათასნაირი საქმით ირთობდა თავს: კაბებს იზომებდა, წარმომადგენლობდა, პოლიტიკაზე მსჯელ-

ობდა, კითხულობდა. მაგრამ მისი გონება ისევ და ისევ ქმარს უბრუნდებოდა. ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ გახდა ეს კაცი მისთვის ასე მიუწვდომელი? ღამე მისი სიახლოვის წადილით იტანჯებოდა. თითქმის მომაბეზრებლად ცდილობდა მუდამ ქმრის გვერდით ყოფილიყო. როგორც კი დროს მოიხელოებდა, წინ დაუსკუპდებოდა ხოლმე. იგი კი სულ ჩქარობდა, გაურბოდა ყოველგვარ გულთბილობას. მარგარიტა ქმრის უგუნებობით როდი ხსნიდა ამას. ერთი წუთითაც არ მოსდიოდა მასზე გული, თავის თავს აბრალებდა ყველაფერს, თავის უნიათობას.

უნდოდა ვინმეს განდობოდა, ვინმესგან რჩევა მოესმინა. მაგრამ ვინ ჰყავდა ასე ახლობელი? მისი უცხვირპირო და გამოთაყვანებული სეფექალები ვერაფერს მიუხვდებოდნენ, გულკეთილი აბატი ვიქტრინგელი კი მაღალ ზნეობაზე საუბარს არჩევდა და სხვათა ნათქვამის გამეორებას მოჰყვებოდა. ერთი უძილოდ გატარებული ღამის შემდეგ მარგარიტამ ბატონ ფონ შენასთან წამოიწყო ამაზე ლაპარაკი.

აწოწილი თავადი მხრებში მოხრილი იჯდა მის წინ, ფეხი ფეხზე გადაედო და ოდნავ შემჭკნარი სახე ხელის დიდ მტევნებში ჩაერგო. ლოჯიის მსუბუქ ბოძებს შორის შორეული მთები და ათასფრად აჭრელებული დოვლათიანი, მზით მოვარაყებული არე-მარე მოჩანდა. ლოჯიის კედლებზე მეტისმეტად ჭრელი, მეტისმეტად ტანწერწეტი ტრისტანი მიაბიჯებდა. იზოლდა იდგა აშოლტილი, უარის ნიშნად ხელაწეული. ჰერცოგის ასულის ფერხთით ფრთებგაფოფრილ მოშინაურებულ ფარშევანგს მოეკალათებინა. მარგარიტას ვარდისფერი კაბა ეცვა, სპილენძისფერ თმას დღის კაშკაშა სინათლეზე ზიმზიმი გაუდიოდა, მაგრამ იმავ სინათლეს შეუბრალებლად გამოჰქონდა სააშკარაოზე მისი უგვანი სახის ყოველი ნაკვთი. ქალიშვილი ბორძიკით ლაპარაკობდა, ხვაშიადდამალულად. წინასწარ მოიფიქრა სათქმელი, მაგრამ ჩვეულმა მჭევრმეტყველებამ უმტყუნა და ახლა მინიშნებით საუბრობდა. ბოლოს და ბოლოს იოჰანი ხომ ქმარია მისი. ვინმემ უნდა შეახსენოს ეს ამბავი. თვითონ რომ დაუწყოს ამაზე ლაპარაკი, ლამაზი არ იქნება.

მარგარიტამ ბატონ ფონ შენას შეხედა. იგი გარინდული

იჯდა, მზის სხივებზე თვალები მოეპუტა, ხმას არ იღებდა. ჰერცოგის ასულმა უფრო დაიმორცხვა. ძაინც განაგრძო ლაპარაკი. წინათაც ხომ მომხდარა, რომ ბავშვობაშიევე დაწინდულ ბეფის შვილებს მოგვიანებით ხელახლა მოუწყვიათ ამის აღმნიშვნელი ზეიმი. და რახან იოჰანს ძალიან უყვარს ცერემონიალები, მიზანშეწონილი ხომ არ იქნება ასეთი ზეიმის მოწყობა რომ შევთავაზოო.

ბატონმა ფონ შენამ პასუხი დააყოვნა. მზით გამთბარი ჰერის მყუდროებას ფარშევანგის ქყივილი არღვევდა, დაბლა ვენახებში, ძალიან შორს, თამაშით გართული ბავშვების ყივილ-ხივილი ისმოდა. თავადმა კარგად იცოდა, რომ ქაბუკი ჰერცოგი სხვა ქალებთან არც გაუბედავი იყო და არც უმაქნისი. ნელა, მეტისმეტი სიფრთხილით დაიწყო საუბარი. რამდენადაც ახალგაზრდა, თავნება, ძალაუფლების მოყვარულ ჰერცოგს იცნობს, იგი არ დაჰყვება სხვისგან ჩაგონებულ აზრს. ეგებ ეს აზრი შეუმჩნევლად ჩაწვეთებოდა ყურში, რომ თავისად ჩაეთვალა. მაგრამ ამისათვის ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. სიფრთხილე და აუჩქარებლობაო.

შემდეგ გახარებულმა, რომ შესაძლებლობა ეძლეოდა ლაპარაკი სხვა საგანზე გადაეტანა, ხელი გაიშვირა მცხუნვარე მზით გაჩახჩახებული გზისაკენ, რომელზედაც ცხენოსანი გამოჩნდა: „აი, ბატონი ბერხტოლდი მოდის“.

მოწიწებით მიუახლოვდა ჰერცოგის ასულს ბერხტოლდ ფონ გუფიდაუნი. ეს წარმოსადეგი რაინდი, რომელსაც ვაქკაცური შავგვრემანი სახე, ცისფერი თვალები და შავი თმა ჰქონდა, იაკობ ფონ შენას საუკეთესო მეგობარი იყო. „მე მასზე ორჯერ უფრო ჭკვიანი ვარ, იგი კი ჩემზე ათჯერ უფრო პატიოსანია“,—ხშირად იტყოდა ხოლმე ბატონი შენა. მარგარიტა მოწყალე თვალით უყურებდა ამ მტკიცე ხასიათის, პატიოსან და მეტად ვრთგულ კაცს.

ბატონმა ფონ შენამ ღვინო და ხილი მოატანინა. საღამოვდებოდა, მშვიდად მასლაათობდნენ. ერთი წამით სიჩუმე ჩამოვარდა და ანაზდად მარგარიტამ ასე მიმართა მოსულს:

—ბატონო ფონ გუფიდაუნ, თქვენ ხომ მრავალ ადამიანთან გიხდებათ ურთიერთობა და გეცოდინებათ, რას ფიქრობს ხალხი ჩემზე?

პირდაპირობას ნაჩვევი ბატონი გუფიდაუნი დაიბნა, უხერხულად მიკიბ-მოკიბა: „ხალხს უყვარს თავისი პრინცესა, პატ'ვსაც სცემს, როგორც ჯერ არს". თავადს ოფლმა დაასხა, როდესაც გოგონას წრფელ, უშმაკო მზერას შეეფეთა. ფონ შენა მიეშველა გასაჭირში ჩავარდნილ მეგობარს: „ქვეყანამ იცის, რა ჭკვიანი და საზრიანი ბრძანდებით, როგორ გადაარჩინეთ ქვეყანა ჰაბსბურგისა და ვიტელსბახის ბატონობას".

მარგარიტა კარგად გრძნობდა, რომ სიფრთხილე, რომელსაც ბატონი შენა ურჩევდა, აუცილებელი იყო, უფრო მეტად საჭირო, ვიდრე ამას თავაზიანი ბატონი ამქღავნებდა. მაგრამ განგებ არ სურდა ეს რჩევა ყურად ეღო. აღარ ძალუძდა იოჰანის გულგრილობის მოთმენა. სახით უმსგავსია, ტანითაც უშნო, მაგრამ ჯანმრთელი ხომ არის, ძარღვებში მეფური სისხლი ხომ უჩქეფს. მას სურს, შეუძლია და უფლებაც აქვს თავადური შთამომავლობა ჩაისახოს და შვას. მამაკაცები ბრიყვები არიან, ელოდებიან, რომ ვინმემ წააქეზოს. ნამდვილად ასეა. ჭაბუკი თვითონ ვერც კი მიხვდება, რა უნდა მოიმოქმედოს, თუ ვინმემ გზაზე არ დაუყენა.

ფრთხილად, ძნელად დაოკებული მღელვარებით, თითქოს სლვათა შორის ჰკითხა ქმარს, სად გიჯობს ჩვენი შეუღლების აღმნიშვნელი ზეიმის გადახდა — ვილტენის მონასტერი, ქალაქი ინსბრუკი თქვენი გადაწყვეტილების მოლოდინში არიანო. იოჰანს სიბრაზისაგან სახე მოექცა, თვალები დაუწვრილდა, ავად აათვალიერ-ჩაათვალიერა მარგარიტა. რაო, ზეიმი? ცოლად ხომ შეირთო, რაღა უნდა! ერთხელ უკვე იზეიმეს. მორჩა და გათავდა. მეორედ კი სულაც არ ეზეიმება. ისღა აკლია იქორწილოს. არა. კეთილ ინებოს და დასჯერდეს ერთ ზეიმს. გამეტებით ყვიროდა იგი, ხმა მალიმალ უწყდებოდა. შემდეგ დამცინავი ქირქილით თვალი შეაკლო ქალის სპილენძისფერ ხეშეშ თმას, ჩაჯირკვებულ ტანს, ფეხებს. პატარა ბრაზიან მაიმუნს წააგავდა ამ დროს ბიჭი. მარგარიტამ ნერვიულად გადაყლაპა ნერწყვი, ზურგი შეაქცია და გაეცალა.

მარტო დარჩენილ ჰერცოგის ასულს უზომო აღშფოთება დაეუფლა. რას წარმოადგენს ბოლოს და ბოლოს ეს იოჰანი? ფიქრობდა გაცეცხლებული. უმსგავს ფინიას ჰგავს

და სხვას არაფერს. ზედაც არავინ შეხედავდა, ჰერცოგი რომ არ იყოს. მაგრამ ჰერცოგობა ხომ მან — მარგარიტამ უბოძა. ახლა კი უნდა ითმინოს ეს უხეში დაცინვა, მშველელიც არავინ ჰყავს! განა ეს შეჰფერის ჰერცოგის ასულს? ანდა სად, რომელი ქალი ყოფილა ასე შერცხვენილი და უარყოფილი? მთელი გულმკერდი და უგვანი სახე ჩამოიხოკა, ოხრავდა, კბილებს აკრაჭუნებდა, მოთქვამდა. ისე საშინლად ბობოქრობდა, რომ სეფექალები შეშფოთებულნი შეცვივდნენ მის ოთახში.

მეორე დღეს მარგარიტამ გულგრილობის ყინული შემოისალტა. პოლიტიკაში ჩაეფლო. მარკგრაფი კარლოსი, იოჰანის უფროსი ძმა, რაინის მხარეში იყო წასული და ქვეყანას ფაქტიურად ტრიენტის ეპისკოპოსი ნიკოლაუსი მართავდა ენერგიული და საზრიანი ადამიანი, მარკგრაფის ყოფილი კანცლერი ბრიუნში, ჭკვიანურად წარმართავდა იოჰანის ყოველ მოქმედებას და ლუქსემბურგებს თავდადებულად ემსახურებოდა. მარგარიტა ყოველ წვრილმან საქმეშიც კი ერეოდა და თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ აიძულებდა ეპისკოპოსს, ქვეყნის მმართველობის ყველა საკითხი მისთვის გაენდო.

იოჰანს ქალი გულცივი რიდით ექცეოდა, ბატონობითა და ყველა ტიტულის მოხსენიებით მიმართავდა. არც ერთი პოლიტიკური საკითხი ჰერცოგის გარეშე აღარ წყდებოდა, მაგრამ ეს კია, გარეგნულად თავაზიანი მარგარიტა თავის მოქმედებით იმას ახერხებდა, რომ იოჰანი ტიროლელი თავადების თვალში კვლავ უპკუო და ჭირვეულ ბავშვად დარჩენილიყო. საქმეს ისე წარმართავდა ხოლმე, რომ იოჰანის თანხმობა უბრალო ფორმალობად ქცეულიყო, თან სიბრაზისაგან გამძვინვარებულ ჰერცოგს ისეთი გულუბრყვილო და გაოცებული თვალებით შეჰყურებდა, რომ იგი კრინტსაც ვერ ძრავდა ასეთი უდიერი მოპყრობის სამხილებლად.

ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა ახლა უკეთესი იყო, ვიდრე მეფე იოჰანის დროს, მაგრამ მოწესრიგებული მაინც არ ეთქმოდა. იგი განუწყვეტლივ საჭიროებდა გეზის ფრთხილ შეცვლას და ათასნაირი ხრიკების მოფიქრებას. ამ დაძაბული საქმეებით თავმობეზრებულმა იოჰანმა ფლორენციიდან იხმო ყოვლისშემძლე მესერე არტეზე, რომელსაც ჯერ კიდევ მამისაგან იცნობდა. ძლევამოსილი ბანკირი მყისვე გა-

მოცხადდა ტიროლის სასახლეში. იგი წინანდებურად უთვალადო, აჩრდილივით შეუმჩნეველი და უზომოდ მოკრძალებული იყო. რაღა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით დათანხმდა, ხელი გაემართა მისთვის. მხოლოდ პატარა, სულ მცირე სამაგიერო მოითხოვა საწინდრად: ახლახან აღმოჩენილი ვერცხლის საბადოები.

იოჰანი მზად იყო მყისვე დათანხმებულიყო. მარგარიტამ ყაირათიანი შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა და მაშინვე როდი უარყო ფლორენციელის წინადადება, შეიცადა, სანამ ქმარი კარგად გაეხვეოდა დაგებულ მახეში, და როცა დაწვრილებით განიხილეს მისი გეგმა, მხოლოდ მაშინ განაცხადა მტკიცე უარი. უკვე ყველაფერი გათვალისწინებული იყო ამ მოლაპარაკებაში და მარგარიტას ცივი უარით გაბოროტებული იოჰანი საშინლად აენთო, ძარღვები გველებივით აშოებურცა:

— იტალიელი მიიღებს საბადოებს! — იწივლა მან.

— ვერ მიიღებს! — შეეპასუხა გამარჯვებით წინასწარვე გახარებული, აცახცახებული მარგარიტა.

ჰერცოგი წამოჭარხლდა. როგორ? ბანკირს აღუთქვა ვერცხლის საბადოები და ახლა სიტყვის გამტეხი გამოვიდეს? ხოლოდ იმიტომ, რომ ეს ესმა, ეს საზიზღარი მაჯლაჯუნა არ ეთანხმება? იტალიელი მიიღებს საბადოებს! მიიღებს! — ეს წარმოთქვა, მივარდა მარგარიტას, სახეში სთხლიშა, კბილებით ჩააფრინდა.

ქალი ნეტარებდა, ზეიმობდა ქმრის ასეთ გამწარებას და მისი ლამაზი, ხაევრდოვანი ხმა იოჰანის ხრინწიან ყვირილს უერთდებოდა:

— არ მიიღებს! არასოდეს არ მიიღებს! არა!

აქოშინებული, მეტისმეტი სიბრაზისაგან ღონემიხდილი ჰერცოგი განერიდა მეუღლეს.

მარგარიტამ შიკრიკები აფრინა მარკგრაფ კარლოსთან. გაბრაზებულმა მარკგრაფმა სასწრაფო საქმეები მიატოვა და ტიროლში დაბრუნდა საქმის გასარჩევად. სიმართლე აშკარად მარგარიტას მხარეზე იყო; მართლაც არ იყო მიზანშეწონილი ფლორენციელისთვის ვერცხლის საბადოების მიცემა. მარგარიტა ჭკვიანურად მოიქცა და ქმარი აშკარა დამარცხე-

ბეს გადაარჩინა. მაგრამ როდესაც მარტონი დარჩნენ, უფროსმა ძმამ ისეთი დღე აყარა ჰერცოგს, რომ მას სიბრაზისაგან კინაღამ გული გაუსკდა.

საქმიანი, დინჯი მარკგრაფი იძულებული იყო თავისი ახალგაზრდა რძლის ბრძნული მმართველობა დაეფასებინა. მარგარიტას დიპლომატიური გონიერების ამბავი ლუქსემბურგისა და ბოჰემიის გარდა ევროპის მეფეთა კარზეც გავრცელდა. მართალია, ოფიციალურად მოლაპარაკებას იოჰანი აწარმოებდა, მაგრამ სახელმწიფოთა ყველა კანცელარიაში ცნობილი იყო, რომ მთიან ქვეყანას სინამდვილეში ჰერცოგის ახალგაზრდა უსახური ასული მარგარიტა მართავდა ერთპიროვნულად.

*

მეფე ჰაინრიხის სიკვდილის შემდეგ დიდ დროს არ გაევლო, რომ სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა ტაუფერსისა და ველტურნსის მფლობელი, ქალბატონი ფონ ფლავონი. თავის უმცროს ქალიშვილთან სეირნობის დროს, როდესაც აღტაცებული შეძახილებით ალპიურ ყვავილებს აგროვებდა, კოხტა, ჩათქვირებული მანდილოსანი უფსკრულში გაღაიჩეხა და სული მიწამდე არ დაჰყოლია. საერთო თანაგრძნობით გარემოსილმა ქალიშვილებმა დიდი ფუფუნებით დამარხეს დედა მის მიერ იტალიიდან ჩამოტანილი პეტრე ფონ ფლავონის საეკვო ნეშტის გვერდით. სამი კოპწია ქალიშვილის მდგომარეობა ნამდვილად დამაფიქრებელი იყო. ახლა, როდესაც მათი მფარველი. კეთილი მეფე ჰაინრიხი ცოცხალი აღარ იყო, ხურის ეპისკოპოსმა კვლავ წამოაყენა თავისი ძველი პრეტენზიები მათ კუთვნილ დასავლეთის სამფლობელოებზე, ბრიქსენის ეპისკოპოსი კი არცთუ უსაფუძვლოდ აცხადებდა თავის უფლებას ტაუფერსისა და ველტურნსის სასახლეებსა და მიწებზე.

სამი ქერათმიანი, მშვენიერი, უმწეო ახალგაზრდა. მანდილოსანი გაუთავებელ მოლაპარაკებას აწარმოებდა ეპისკოპოსების ფინანსურ მრჩევლებთან. ბევრნი მზად იყვნენ დახმა-

რებოდნენ ქალიშვილებს, მაგრამ ძლევამოსილ ეპისკოპოსთა კანონიერი მოთხოვნების წინააღმდეგ გამოსვლა ძნელი იყო. ბოლოს საქმე ისე წარიმართა, რომ უკანასკნელი ინსტანციისათვის — ჰერცოგისათვის უნდა მიემართათ.

აგნესა ფონ ფლავონი ტიროლის სასახლეს ეწვია და მუხლი მოიდრიკა ახალგაზრდა ჰერცოგის წინაშე. იოჰანი ტუჩებმოკუმული იდგა დაჩოქილი ქალის წინ, ჯერ კიდევ ბიჭურ ტოგრძო სახეზე კუნთიც არ შეტოკებია. მის პატიემოყვარე ბუნებას საამოდ ესალბუნებოდა მზერა ამ ძაძებით მოსილი ნაზი და მწუხარე არსებისა, რომელიც მის წინ მორჩილად დაჩოქილიყო და მიმზიდველი, მეტყველი ცისფერი თვალებით შესცინებდა. ასეც უნდა იყოს. ეს ღმერთმა დააწესა. რამდენიც სურს, იმდენი უყეფოს უგვანმა მარგარიტამ. ეს ნაზი, სანდომიანი, სილამაზით მთელ ქვეყანაში განთქმული ქალი მის წინაა დაჩოქილი და უწყინარი, ერთგული, მიმნდობი თვალებით შესცქერის. ჰერცოგი ფრიად მოწყალედ მოექცა მას.

აგნესამ მარგარიტაც მოინახულა. მამაცურად გაუძლო მან ცდუნებას და ტურფა ასული არაფრით დაუმცირებია. კეთილმოწყალედ ექცეოდა, გულთბილი სამძიმარი უთხრა ქალბატონ ფონ ფლავონის გარდაცვალების გამო. მამაჩემი, მეფე ჰაინრიხი, ყოველთვის განსაკუთრებულ გულშემატკივრობას იჩენდა ფლავონების ოჯახის მიმართო; დასძინა ისე, რომ სახეზე ერთი ძარღვიც არ შესტოკებია. დიდად სამწუხაროა, რომ თურმე კანონით, საქმე ქალიშვილებისათვის არახელსაყრელი მიმართულებით მიდის. თავის მხრივ იგი, რასაკვირველია, ყოველთვის მზადაა საკუთარი სახსრებით დახმარება გაუწიოს მათ.

აგნესამ იმთავითვე გადაწყვიტა, ჰერცოგის ასული არ გაეღიზიანებინა. მაგრამ ამ ფარული და თან ორლესული დაცინვის გაგონებაზე წამოენთო. როგორ? ეს ყოვლად უმსგავსი სახისა და უზარმაზარი დრუნჩის პატრონი გომბიო ბედავს მის გაკენწვლას? რომის დედოფალიც რომ იყოს იგი და აგნესა კი ყმა გლეხის ქალი, ასეთ რამეს მაინც არ შეარჩენს. ქალიშვილმა დაუფარავი ქედმაღლობით კარგა ხანს უყურა ჰერცოგის ასულს და ბოლოს დასძინა, საქმე არც ასე უიმედო უნდა იყოს,

ყოველ შემთხვევაში ჰერცოგმა ძალიან მოწყალედ მიმიღო და დამაიმედა კიდეცო. მარგარიტამ საკმაოდ ცივად განაცხადა:

— ჰო, რა თქმა უნდა, ყურად ვიღებთ საქმეში კარგად ჩახედული ადამიანების აზრს და სათანადო გულისხმიერებით მოგეკიდებით.

სასახლიდან წამოსელის დღეს აგნესას კრეტიენ დე ლაფერტი შეხვდა და წესისამებრ თანაგრძნობა გამოუცხადა. ქალმა დინჯად მოუსმინა მას, ღირსეული მადლობა მოახსენა. კრეტიენმა შინ გაცილების ნებართვა სთხოვა. აგნესა თავისი მდგომარეობის კვალობაზე თითქოსდა უგუნებოდ იყო, მაგრამ საუბარში აქა-იქ ისეთი ეშმაკური ხუმრობა ჩაურთო, რომ გუნების ასეთი შეცვლით ფრიად გააოცა ახალგაზრდა კაცი.

კრეტიენი არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა ტიროლის სამეფო კარზე. სანამ მეფისწული იოჰანი პატარა იყო, იგი, როგორც მორჩილი მსახური და მეგობარი, მუდამ ცდილობდა გამოესწორებინა სამეფო კარის წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ უფლისწულის უდიერი გამოხდომები. მეფე იოჰანი დარწმუნებული იყო, რომ ამ ლამაზ და ამავე დროს უაღრესად მორიდებულ ყმაწვილ კაცზე უკეთეს მეაბჯრეს ვერ მოუძებნიდა თავის რეგვენ შვილს. თვითონ ახალგაზრდა მეფისწული კი ყოველთვის ათვალწუნებით უყურებდა თავის გულღია და ლამაზ მეგობარს. ხიმანკლობდა, ულმობლად აწვალებდა და ამცირებდა, თან მგლურ თვალებს არ აშორებდა და უცდიდა, როდის დაჰკარგავდა მოთმინებას შისი თვინიერი მხლებელი, როდის გამოამჟღავნებდა დაუფარავად თავის აღშფოთებას, რომ ამის საპასუხოდ მყისვე გაეძევებინა სამეფო კარიდან.

კრეტიენი უმცროსი ვაჟი იყო ერთი კეთილშობილი გაღარიბებული ფრანგული ოჯახისა. ამიტომ იძულებული გახდა ბედი მეფის კარზე ეძია. ტიროლში საუკეთესო წლების უომედოდ გატარებას მისთვის არავითარი აზრი არ ჰქონდა. მეფე იოჰანის ლაშქარში იგი თავგანწირვითა და მამაცურად იბრძოდა, მაგრამ შესაძლებლობა არ მისცემია, რომ თავი განსაკუთრებით გამოეჩინა. ახლა კი რას აქნევდა ამ ანჩხლ ახალგაზრდა ჰერცოგთან ყოფნას, რომელიც მუდამ ამცირებდა

ღა აშკარად ვერ იტანდა? ამიტომ სულ იმის ფიქრში იყო, როგორმე მეფე იოჰანის სამეფო კარს დაბრუნებოდა ან საფრანგეთს წასულიყო, ანდა, მთლად უკეთესი, კასტილიის მეფეს ხლებოდა. მოსალოდნელი იყო, რომ მავრებთან ბრძოლაში სახელსა და ფულს მოიხვეჭდა.

კარგა ხანი გავიდა ისე, რომ მარგარიტას ახალგაზრდა რაინდისადმი განსაკუთრებული ყურადღება აღარ გამოუჩენია. მხოლოდ მას შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ იოჰანისაკენ მიმავალი ყველა გზა მოეჭრა, კრეტიენის გულის მონადირება დაიწყო. საიდუმლოდ ავალებდა მცირე, მაგრამ საგანგებო დიპლომატიურ საქმეებს, ხან კიდევ სულ უბრალო რამეს შეეკითხებოდა, მაგრამ ისეთი კილოთი, რომ ნათქვამს დიდმნიშვნელოვან ელფერს აძლევდა. ვაჟი თავს შორს იჭერდა, გულზიარობას ერიდებოდა, თითქოს ვერაფერს ხვდებოდა. დიდი ბედნიერებაა სამეფო გვირგვინით მოსილმა მანდილოსანმა კეთილგანწყობილება გაგრძნობინოს, მაგრამ ამ ბედნიერებას მეორე მხარეც აქვს: ყოველად წარმოუდგენელია ასეთი მახინჯი ქალისათვის ვინმესთან შერკინება. თუმცა ეს კია, ახლა ვეღარავინ გაუბედავს წინანდებურად აშკარა დაცინვას; მაგრამ გული ეკუმშებოდა იმის გახსენებაზე, რომ მის ზურგს უკან აუცილებლად ატყდებოდა საზიზღარი ქირქილი და უწმაწური ამბების როშვა. ხოლო როდესაც ესმოდა, თუ სხვადასხვა სამეფოთა მაღალ წრეებში როგორი პატივით იხსენიებდნენ მარგარიტას წინდაზედულებასა და ჭკუაგონებას, გული სიამაყით ევსებოდა, რომ ასეთმა ქალმა სწორედ იგი გამოარჩია სხვებში. ჰერცოგის ასულმა მოინადირა მისი გული, კრეტიენი მადლიერებით აღივსო მის მიმართ, აღარ გაურბოდა. ნელ-ნელა აჰყვა მის იდუმალ წადილს, ქალის დანახვაზე თვალები ენისლებოდა, მასთან ლაპარაკის დროს ხმა უთრთოდა.

ერთხელ, საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ სასახლეში დაბრუნებული კრეტიენი ჰერცოგის ასულს ეახლა ციხე-კოშკში. მარგარიტა თავის სავანეში არ იყო და კაფანდარა ფრეილინა ფონ როტენბურგი ბაღის ერთ-ერთი შორეული კუთხისაკენ წაუძღვა მას. ბინდდებოდა. ხეებს იქიდან ხალხური სიმღერა მოისმოდა. სეფექალმა მოკუმულ ტუჩებთან თითი მიიტანა და

ამით ანიშნა კრეტიენს, შეჩერდი და ხმა არ ამოიღოო. თბილი და ლამაზი ხმა ხან ლაღად თრთოდა, ხან უბედობას მოთქვამდა გულდათუთქული, დარდიც იგრძნობოდა, მადლიერებაც, შეუცნობელი სამყაროს ხილვაც. თითქოს სადღესასწაულო წირვისას ლოცვად დადგაო, ისე შეჩერდა ჭაბუკი. ქუდი მოიხადა. „ნუთუ ჰერცოგის ასულია?" — მოსწყდა ჩურჩული მის ტუჩებს, — „ნუთუ მართლა..." მაგრამ აი, გამოჩნდა იგი ხეივანში, მისკენ მომავალი. დიდი, გულიდან ამომხდარი მღელვარება წაიკითხა მარგარიტამ ახალგაზრდა კაცის წრფელ გამოხედვაში. უხმოდ გაუწოდა ხელი. ეაჟი უხმოდვე ეამბორა.

ამასობაში ქალბატონ ფლავონის მემკვიდრეობის ირგვლივ ატეხილმა დავამ იმ საფეხურს მიაღწია, რომ მისი გაჭიანურება აღარ შეიძლებოდა. არსებობდა იმის იურიდიული და პოლიტიკური საფუძველი, რომ ეს ლენები ლუქსემბურგელთა საქმისათვის თავდადებული ეპისკოპოსებისათვის გადაეცათ. მრჩევლებს კი მოჰყავდათ ყოვლად უსუსური დასაბუთებანი, რომლებიც ფლავონის ქალიშვილების სასარგებლოდ მეტყველებდნენ. თავი და თავი ამბავი ის გახლდათ, რომ აგნესამ ყველა ისინი ცალ-ცალკე მოინახულა, ეშმაკურად მოიმარჯვა თავისი სინორჩე, განცდილი მწუხარება, უსასოობა და იმდენს მიაღწია, რომ დაბორკა მრჩევლები. იოჰანმა ბოლოს ბრძანა, დაუტოვეთო ეგ მამულები ფლავონის ქალიშვილებს. მარგარიტა წინ აღუდგა ასეთ გადაწყვეტილებას. ისეთი საბუთები მოიყვანა, ისე დაიჩემა, რომ ძნელი იყო მასთან კამათი. ბოლოს ასე შეთანხმდნენ: ველტურნსის მამული და სასახლე ქალიშვილებს უნდა დარჩენოდათ, დასავლეთის სამფლობელოები — ხურს, ტაუფერსი — ბრიქსენს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ბრიქსენის ეპისკოპოსი ტიროლის სასახლიდან წარმოგზავნილს გადასცემდა მას ლენურ მფლობელობაში.

დები, რომლებმაც ერთმანეთში უკვე დიდი ხანია გაიყვეს უზარმაზარი მამულები, მხოლოდ ველტურნსით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. ეს ანჩხლი, თავნება ქალიშვილები მუდამ მზად იყვნენ საჩხუბრად. ველტურნსის სასახლეში გესლიანი კინკლაობა არა წყდებოდა. საოცარი ის იყო, რომ ახალგაზრდა ქალების საამო ხმები ჩხუბის დროს უჩვეულოდ

მკვეთრად ეღერდა, ფარშევანგის ჩხავილს წაგავდა. ხალხში კი დები ყოველთვის უერთგულესი მეგობრებივით ხელიხელგადახვეულნი; მოღიმარნი და ყვავილებივით მშვენიერნი დაფარფატებდნენ.

განთავისუფლებული ტაუფერსის კანდიდატად მარგარიტამ კრეტიენ დე ლაფერტი დაასახელა. ჰერცოგი გაშმაგებით წინ აღუდგა ამ წინადადებას. როგორ? ეს მსუყე ნაჭერი ამ ულუკმაპუროს უნდა ჩაუვარდეს ხელში? ამ გაღლეტილ მანჭიას, რომელიც თითქოს ბუზს არ ააფრენსო. მორიდებით კედელს ეკვრის და სულ კი იმის მოლოდინშია, ძალაუფლება ჩაიგდოს ხელში, რომ შემდეგ ზურგში მახვილი ჩამცეს? მარგარიტა თავისას არ იშლიდა. კარინთიის ჰერცოგსა და ტიროლის გრაფს არ შეჰფერის ასეთი ხელმომჭირნეობა. არ შეჰფერის ამდენი ხანი იმსახუროს ვინმე და მერე ძუნწობა გამოიჩინოსო. ახლა კრეტიენი რომ ასე, გასამრჯელოსა და მადლობის გარეშე სხვა მეფის კარზე წავიდეს, თვით მარგარიტასაც ხომ გაამტყუნებენ ასეთი უგვანი წუწურაქობისთვის! ჰერცოგი კვლავ ჯიუტობდა. ბოლოს მარგარიტა დაემუქრა, მარკგრაფ კარლოსს ვიხმობ, დაე იმან გაარჩიოს, ვინაა ჩვენს შორის მტყუანიო. იოჰანმა ბუზღუნით განაცხადა თანხმობა.

მარგარიტამ თვითონვე ამცნო ეს გადაწყვეტილება.

— ბრიქსენის ეპისკოპოსი ლენურ მფლობელობაში გადმოგცემთ ტაუფერსის მამულსა და სასახლეს. აბა, თქვენ იცით, ბატონო ფონ ტაუფერს! თუ კარგ სახელს მოიხვეჭთ, ეს ჩემოვისაც სასახელო იქნება, ხოლო თუ ხელი მოგეცარებათ, სირცხვილს ვერ ავცდები.

კრეტიენს გამხდარი, მზემოკიდებული სახე თმის ძირებამდე შეუფაკლდა. ნელა დაეშვა მუხლებზე. ახლა ვეღარ ამჩნევდა, რომ ამ ქალს ტუჩ-კბილი მაიმუნივით წინ გამოსჩროდა, სახის კანი კი რუხი ჰქონდა და მომჩვარული.

— ჰერცოგის ასულო, მოწყალეო ქალბატონო! — აღმოხდა ძლივს გასაგონად. — უმოწყალესო, სათაყვანებელო ჩემო, — და მის ტუჩებს მოწყდა მადლიერებით აღსავსე ნაცადი სიტყვები: „Pour toi mon âme, pour toi ma vie“[1]

---

[1] „შენ — ჩემი სული, ჩემი სიცოცხლეც შენ!“ (ფრანგ.).

ტიროლის ლანდესჰაუპტმანის ფოლკმარ ფონ ბურგშტალის ტლანქად ნაგებ მამაპაპისეულ სასახლეში ყველაზე გავლენიანი შვიდი თუ რვა ტიროლელი ბარონი სუფრას შემოსხდომოდა. იშვიათად, რომ ამ ვეება ტანის ბარონს სახლში სტუმრები დაეპატიჟა, და თუკი დაპატიჟებდა, ისე მკვახედ, რომ ბრძანებას უფრო ჰგავდა ეს. დარბაზი, რომელშიც სტუმრები ისხდნენ, უჰაერო იყო და დაბალი. კედლებს არაფერი ამკობდა, მაუდი მხოლოდ იატაკს ფარავდა და ისიც გაჭირვებით. მოდურ სიახლეს — ფანჯრის მინას — საერთოდ კონსერვატიულად განწყობილი მასპინძელი არ სცნობდა და ახალგაზრდა, ხალისიანი ალბერტ ფონ ანდრიონი, მარგარიტას უკანონო ძმა, უზომოდ გამხიარულდა, როდესაც დაინახა, რომ სიცივისაგან თავის დასაცავად ფანჯრები ფიცრებით აეჭედებინათ. მეინახენი თითქოს სარდაფში ისხდნენ. ყველაფერი გაემშვარტლა ბუხრის, სანთლებისა და ფისის ჩირაღდნების ბოლს. ძნელი იყო ასეთი დარბაზის გათბობა! ბარონები ადგილზე ვერ ისვენებდნენ: ერთ გვერდს რომ გაითბობდნენ, მეორე ეყინებოდათ. ნერვიული ბატონი ფონ შენა წამდაუწუმ ახველებდა, ქშუტუნებდა, თავიც კი ასტკივდა ამ უგვან, გაბოლილ სადგომში, სადაც ცივი ჰაერი თავლის საძაგელი სუნით იყო გაჟღენთილი. მაგრამ სამაგიეროდ საჭმელები: ნანადირევი და თევზი საგანგებოდ იყო მომზადებული, გულუხვად ეწყო სუფრაზე და ღვინოც, სიმართლე რომ ითქვას, დიდებული გახლდათ. ბარონები კარგად იცნობდნენ ლანდესჰაუპტმანს და გრძნობდნენ, რომ თავისი სტუმართმოყვარეობის დასამტკიცებლად როდი მოიპატიჟებდა მათ. მაგრამ იგი სიტყვაძუნწი და თანაც უკმეხი იყო. ამიტომ სტუმრებმა ლოდინი ამჯობინეს, დაე, თვითონვე თქვას სათქმელიო. სვამდნენ, საჭმელს შეექცეოდნენ, მასლაათით ირთობდნენ თავს.

ამ საუბარში მძიმედ, ბურტყუნით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაურთო ფოლკმარმა რამდენიმე წინადადება პოლიტიკაზე. უხეშად აიძულა ბარონები იმაზე ელაპარაკათ, რაც მას სურდა დიახ, ისინი მართლაც არ მალავენ, რომ ლუქსემბურგებით უკმაყოფილონი არიან. პირველმა ეს აზრი მკაფიოდ გამოთქვა ჰაინრიხ ფონ როტენბურგმა. ტანდაბალი, ჩასკვნილი ბარონის უხეშნაკვთებიან ღაჟღაჟა სახეს შავი ჯაგარა წვერი

ამშვენებდა. იგი გახელებით ურტყამდა მაგიდას მუშტს და ყვირილით იმუქრებოდა. განა მას არ დაუნგრიეს მშვენიერი ლაიმბურგის ციხე-კოშკი კალტერნთან, მხოლოდ იმიტომ, რომ მცირეოდენ გადასახადზე უარი თქვა? ეს კოშკი კი მისი მამის, პაპის და პაპისპაპის აშენებული იყო. ასე ინება ახალგაზრდა ჰერცოგმა, ამ პატარა მუხანათმა მგელმა. ბრძანება კი გასცა ტრიენტის ეპისკოპოსმა, პირქუშმა ბოჰემიელმა, რომელსაც პირზე სულ „ავტორიტეტი" და „მორჩილება" აკერია! წაელოთ, ბატონო, ჩემი მინდვრების ნაწილი, ან ვენახი, ან რომელიმე სოფელი, ანდა სამრეკლო. მაგრამ ეს რასა ჰგავს, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი გულზე გაეხეთქათ, ადგნენ და მკვიდრად ნაგები ციხე-კოშკი მოსრეს საკუთარ ქვეყანაში. ეს ხომ სრული უაზრობაა, წარმართობაა და სხვა არაფერი. ქალბატონმა მარგარიტამაც არ მოიწონა ეს ამბავი, ჰერცოგის პატარა ასულმა. იმიტომ, რომ იგი ნამდვილი დედოფალია და თავისი ქვეყნისთვის გული შესტკივა. აბა რა მოეკითხებათ ამ უცხოელებს — ბოჰემიელებს, ლუქსემბურგელებს? განა ისინი რაიმეს განიცდიან? მათ მხოლოდ ის უნდათ, რომ ტიროლიდან ფული გამოწურონ, ისე როგორც ამას ლუქსემბურგელი სჩადის ბოჰემიაში. მას კი, ჰაინრიხ ფონ როტენბურგს, ახლაც ვერ დააჯერებთ, რომ იოჰანს მაშინ ტიროლის გაცვლა არ უნდოდა ბრანდენბურგში, თუმცა კი იფიცება, ასე არ იყოო.

მდუმარედ ისმენდნენ დანარჩენები ამ სახიფათო თემაზე ლაპარაკს. სიჩუმე ფრთხილად დაარღვია გასათუთებულმა და მეტად წინდახედულმა ტეგენ ფონ ვილანდერსმა. ლუქსემბურგელები ფორმალურად ასრულებენ ხელშეკრულებას და უცხოს არავის ნიშნავენ მაღალ თანამდებობებზე. ის ხომ უდავოა, რომ ბატონი ფონ როტენბურგი ლანდესჰოფმაისტერია, ბატონი ფონ ფოლკმარი — ლანდესჰაუპტმანი. ასეა თუ არა? გასათუთებული, უწვერულვაშო, ოდნავ ძველმოდური ბატონი ორივეს ისეთი თვალით მიაჩერდა, რომ ვერც როტენბურგი და ვერც ფოლკმარი ვერ მიხვდნენ, დასცინოდა იგი თუ არა, ანდა საერთოდ რა უნდოდა მათგან?

პატარა როტენბახმა უცებ იფეთქა: პატივცემულ ბატონს იგი სულელი ხომ არ ჰგონია? ჰოფმაისტერიო? ჰაუპტმანიო? დღეს ყოველი უმეცარი გლეხიც კი ხვდება, რომ ეს ცა-

რიელი ტიტულებია მხოლოდ. ვინ მართავს სინამდვილეში ქვეყანას? ტრიენტის ცხვირგაბრტყელებული ეპისკოპოსი ნიკოლაუსი, ბოჰემიელი, რომელსაც ტიროლურის არც ერთი სიტყვა არ გაეგება.

კეთილსინდისიერი ბერხტოლდ ფონ გუფიდაუნი ოფლში იწურებოდა, შეცბუნებულს წარბები ზეაეწია და ცისფერი თვალებით უკმაყოფილოდ შესცქეროდა ჯიუტ და თავნება ბარონებს. ასეთი ლაპარაკი დიახაც არაა საკადრისი ღვთით კურთხეული სამეფო გვარის მიმართო. ჭაბუკი ალბერტ ფონ ანდრიონიც შეფიქრიანდა. ლუქსემბურგებმა, მართალია, ცუდი ოინი უყვეს და კეთილი მეფე ჰაინრიხისაგან თავისი მრავალრიცხოვანი უკანონო შვილებისათვის ნაბოძებ საუკეთესო ლეგატებს საკმაოდ დიდი ნაწილი ჩამოაშრეს, მაგრამ ახალგაზრდა, გულღია ალბერტი კეთილსინდისიერი ყმაწვილი იყო და აზრადაც არ მოსდიოდა შფოთის ატეხა. იგი თავის პატარა დას, ჰერცოგის ასულს, უღრმეს თაყვანსა სცემდა. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, არავის წაუქეზებია შეკრებილნი, ბატონ ფონ ბურგშტალს ხელშესახები არაფერი უთქვამს, გონიერ ბატონ ფონ ვილანდერს ერთი სიტყვაც არ დასცდენია ამისდაგვარი. უადგილო მუქარა მხოლოდ პატარა როტენბურგმა წამოიყრანტალა, ისიც კარგა გვარიანად შეზარხოშებულმა. და მაინც ამ შეკრებასა და ამ ლაპარაკს ოდნავ ამბოხის სუნი ასდიოდა.

ფრთხილმა ტეგენ ფონ ვილანდერსმა კვლავ გამოსწია საცეცები. დიახ, აწ ყველასათვის ნათელია, რომ საკუთარ მიწაზე, საკუთარი ჰაერით გამოზრდილი სამეფო გვარის მემკვიდრეობითი ბატონობა ტიროლში თვით ღმერთს დაუწესებია, ესა თქვა და გაჩუმდა. საუბრის ამ ძაფს წვერგაფანჩული ფიცხი როტენბურგი ჩაეჭიდა. ლუქსემბურგებმა დაე იქ იბატონონ, სადაც ღმერთმა თუ ეშმაკმა დაუწესა: ლუქსემბურგში; ხოლო თუ ბოჰემიელები უარზე არ იქნებიან, ბოჰემიაც მათი იყოს. ტიროლში ბატონობა კი მათი მოგონილია და არა ღვთის მიერ დაწესებული. ამიტომ ეს შეცდომაა. მათ სურვილზე, დიდებულთა ნებაზე იყო დამოკიდებული ქვეყანაში ჰაბსბურგების, ვიტელსბახების, ლუქსემბურგების შემოშვება. ცხადზე უცხადესია, რომ ტიროლში მხოლოდ იმან უნდა იბა-

ტონოს, ვისაც თვით ტიროლელები ინდომებენ. ღმერთმა ისე განალაგა ამ ქვეყანაში მთები, ველ-მინდვრები და ხეობები, რომ უცხო ვერა ძალით ვერ დაეუფლება მას. ჩვენ, განაგრძო როტენბურგმა, მარგარიტას მხარე გვიჭირავს, მისი ერთგულნი ვართ. მაგრამ ლუქსემბურგელთან მხოლოდ პირობითა ვართ შეკრულნი და არა ღვთის განგებით. ჰერცოგმა იოჰანნმა და სხვა ბოჰემიელებმა პირობა რიგიანად ვერ შეასრულეს, ამიტომ ხელშეკრულება დარღვეულია, ბათილია.

ბარონები პირში მისჩერებოდნენ როტენბურგს, მძიმედ სუნთქავდნენ. ეს კი ნამდვილი ჯანყია. უცილობლად ჯანყია.

მერედა როგორ მოვახერხოთ ეს, კბილი მოუსინჯა შეკრებილთ ბატონმა ფონ ვილანდერსმა. როგორ გამოვაცალკეოთ მარგარიტა და ქვეშევრდომელი ერთგულების წმინდა ვალი ლუქსემბურგებისაგან?

ფონ შენამ ნართაულად გამოთქვა თავისი მოსაზრება: მე მგონია, დიდად ბედნიერი არ ეთქმისო ჰერცოგის ასულს. მეტკვიდრის იმედი კი ჰერცოგ იოჰანისაგან არც მასა აქვს და არც ქვეყანას. ამის მიზეზი ქალი არ უნდა იყოს, დასძინა მან და ღიმილით გადახედა ალბერტ ფონ ანდრიონს, მეფე ჰაინრიხის მრავალშვილიანობის ამ ცოცხალ მოწმეს, რომელიც სახეაღაჟღაჟებული იჯდა მათ შორის, მოღიმარი და ფრიად ნაამები.

ბატონმა ფონ ვილანდერსმა დაასკვნა: არაფერი არ გვითქვამს, არაფერი არ გადაგვიწყვეტიაო. ისე კი, შეგვეძლო გვეფიქრა უფრო უკეთეს ეროვნულ მთავრობაზე, ვინემ ეს უცხოელი ლუქსემბურგები არიან. ყველანი მტკიცედ ერთგულნი ვართ ღვთით კურთხეული ჰერცოგის ასული მარგარიტასი. ურიგო ხომ არ იქნებოდა, პირადად მისი მოსაზრებები და სურვილები რომ შეგვეტყო. მე მგონი, ამისთვის ყველაზე შესაფერისი პიროვნება თვით ბატონი ალბერტ ფონ ანდრიონი ბრძანდებაო.

ხმაური ატყდა, ყველამ მოიწონა ნათქვამი. მხოლოდ კეთილსინდისიერი ბერხტოლდ ფონ გუფიდაუნი დუმდა, ეპევებს ვერ მორეოდა. ჭაბუკი ალბერტი ჯერ ყოყმანობდა, მაგრამ ღვინომ თავისი გაიტანა, წაქეზებას ვერ გაუმკლავდა და ბოლოს დათანხმდა, რომ თავისი დისათვის ეცნობებინა ამ ბა-

მარგარიტას ბოლო ხანებში მარტოობა დასჩემდა. სახეზე ხშირად მშვიდი, კმაყოფილი, სეფექალებისათვის გაუგებარი ღიმილი დასთამაშებდა. მისი მწირი სიყვარულის პაწაწინა საძირკველზე ფანტაზია აგებდა ულამაზეს ოცნებას: პატარა, ბრიყვი, გულღრძო ბიჭი — საკუთარი კანონიერი მეუღლე — მრისხანე ტირანად აქცია, რომელსაც მასთან გულზიარობა არ ძალუძდა, თანაც მისი ბნელით მოცული პატივმოყვარეობა საშინლად აწამებდა. ჭაბუკი კრეტიენი კი ყოველგვარი ხორციელი და სულიერი სიკეთით შემოსა. ერიკიც გახადა იგი, პარციფალიც, ტრისტანიც, ლანცელოტიც, ლომოსანი რაინდიც. ყველა სახელოვანი გმირობა, რომელსაც იცნობდა ისტორია ან პოეზია, მისი ნამოქმედარი იყო, ანდა შეეძლო მას ჩაედინა.

ბედნიერებაა, ნამდვილი წყალობა, ასე მკაცრად რომ მოექცა მარგარიტას ზეცა და სახისა და ტანის ბანალური სილამაზე არ მიანიჭა. მის ირგვლივ მყოფ ქალებს ჰყავთ ქმრები, საყვარლები, ისინი ჩახუთულ ოთახებში ან ბუჩქებში იკმაყოფილებენ ცხოველურ ვნებას. მისი სიყვარული კი კაძკამაა, ამაღლებული; ბინძური და მიწიერი გაჩენის დღიდანვე აღკვეთილი აქვს. სად მისი ნათელი, სრულიად გამორჩეული ტრფობა და სად სხვების უბადრუკი სურვილები და საზიზღარი ხორციელი მრუშობა. დიდად საამოა, საკუთარი თავის წინაშეც რომ ინარჩუნებ სიმტკიცესა და სისპეტაკეს და ხალხის წინაშეც. დიდად საამოა, რომ არ გაბმულხარ ადამიანთა პირუტყვულ, ბინძურ ხორციელ ხლართებში.

ავადმყოფურად აღიზიანებდა ყველაფერი ზორზოხა, ხმაურიანი, ხორციელი და ბინძური, ზიზღსა ჰგვრიდა ვინმეს შეხება, ადამიანის სუნსაც ვეღარ იტანდა.

მარტის თვე იყო. იტალიიდან თბილი ქარები უბერავდა, მოლოდინის სევდით ავსებდა სისხლის ძარღვებს. მთებს ჯერაც თოვლის ქუდები ეხურათ, მაგრამ ფერდობებზე უკვე კეკლუცობდნენ ყვავილების ნაზი ფიფქებით შემოსილი ნუშისა და ატმის ხეები. ფონ შენას სასახლის აივნიდან გასცქეროდა

მარგარიტა აფერადებულ მთაგორიან პეიზაჟს. იქვე, მის თავთან, ჭრელი, მეტისმეტად ტანკენარი ლანცელოტი და ჯინევრა დააბიჯებდნენ, ზღვაში ტრისტანი მიცურავდა, დიდონა ცეცხლის ალში ვარდებოდა. ახლა მარგარიტაც მათი მსგავსი გამხდარიყო. ლექსები, რომლებიც აქამდე ფუჭი და უაზრო ეგონა, ყვავილებივით გაიშალნენ მის თვალწინ და იგი ხარბად დაეწაფა მათ სურნელებას.

ჰოი, მაღალო და მკაცრო განგებავ, სალამი შენდა! ჰოი, უგვანობავ, სალამი შენდა! გვირგვინო და კვერთხო, სალამი შენდა!

მადლობელიც კი იყო იგი, ასეთი მტარვალი თანამეცხედრე რომ შეხვდა, რადგან მისმა პირქუშობამ აპოვნინა გულის სწორი, ტკბილი მეგობარი! მან ჩაიხედა ქალის სულის სიღრმეში და იგრძნო, რომ ეს რუხი, მომჩვარული, ფოროვანი კანი, ეს საშინელი დრუნჩი, ეს ხეშეში თმა მხოლოდ გარეგნული გარსი იყო, რომლის შიგნითაც სინაზე და მშვენიერება სუფევდა.

მარგარიტა იშვიათად ნახულობდა მას. თითქმის არ ელაპარაკებოდა. არასოდეს უთქვამთ ერთმანეთისათვის ისეთი რამ, რისი ხმამაღლა, სხვათათვის გასაგონად წარმოთქმა არ შეიძლებოდა.

და მაინც მტკიცედ სჯეროდა, რომ ვაჟს იგი უყვარდა. მარგარიტას არ დავიწყებია მისი აგზნებული მზერა, რომელიც შეაგება ვენახის ფანჩატურში სიმღერით მომავალს, ახლაც ესმის მისი ხმა, ისიც ახსოვს, როგორ შეცბა კმაყოფილებით, როცა მარგარიტამ ამცნო, ტაუფერსის მამული მიბოძებია საშუალმო მფლობელობაშიო. დიახ, ეს სხვაგვარი სიყვარული იყო და არა ისეთი უხამსი, კოცნა-ხვევნით, დაშაქრული სიტყვებითა და მანჭვა-გრეხით აღსავსე, როგორსაც ხედავდა ირგვლივ. ამ შემოხედვამ, ამ თრთოლვამ აგრძნობინა, რომ ვაჟი მას ეკუთვნოდა. ეკუთვნოდა უჩვეულო, ღრმა გრძნობით, ასეთი განცდა იშვიათად ეუფლება ხოლმე ვაჟს საყვარელი ქალისადმი. დაე, სხვა ქალები ხორციელად დაეუფლონ თავიანთ საყვარლებს. ეს ხომ უბრალო ყოველდღიურობაა, თანაც იაფი, როგორც სასმელ-საჭმელი. მას კი, ჰერცოგის ასულს, სხვაგვარი სიყვარული შეჰფერის, უფრო ამაღლებული,

უფრო მკაცრი. ალბათ იოლია ქვენა გრძნობად დახურდავებული სიყვარულის წარამარა გაღვივება გარეგნული სილამაზით, ბნელი, პირუტყვული, ავხორცული ტკბობით. იგი კი დღენიადაგ უნდა ებრძოლოს თავის გარეგნობას, მუდმივი ჭიდილით უნდა გამოჰგლიჯოს მეგობრის სიყვარული მისი სიმახინჯისადმი ვაჟის ზიზღს.

დაილოცოს ასეთი ბრძოლის სიმწარე! იგი მადლობას სწირავდა ღმერთს, ღვთისმშობელ მარიამს ესოდენ რთული, მკაცრი, ჭეშმარიტად მეფური სიყვარულისათვის.

დაუზარებლად, სულ ახალ-ახალი შარავანდედით ამკობდა იგი კრეტიენს. კრეტიენი არ იყო პატივმოყვარე. მის ნაცვლად მარგარიტა იყო პატივმოყვარე. კრეტიენის ელვარებას იმიტომ ვერა ხედავენ სხვები, რომ მარგარიტას იგი ტიროლში ჰყავს გამომწყვდეული, აქ კი მას თავის გამოჩენის შემთხვევა არ მისცემია. მარგარიტას ბრალია, რომ დიდკაცების თვალში იგი ჯერაც არარაობაა და ვერ აღზევდა. ქალს ვალად აწევს ეს. ამიტომ მან განდიდების გზაზე უნდა დააყენოს მეგობარი.

*

კრეტიენი ტაუფერსის მამულების მეპატრონე რომ გახდა, მის მფლობელობაში შევიდა სოფლები ლუტახი, ზანდი, კემატენი, ნევსტალი, რაინტალი. მანდილოსან ფლავონების ხელში მთელი ეს არემარე დაკნინებულიყო. კრეტიენს სიამეს ჰგვრიდა იმის შეგნება, რომ შესაძლებლობა მიეცა თავისი საშფლობელოების კეთილდღეობაზე ეზრუნა.

სამეფო კარზე ხანგრძლივი სამსახურის შემდეგ უნაპირო სიხარულს განიცდიდა იმით, რომ კვლავ თვითონ იყო საკუთარი თავის უფალი. აუტანელი ეჩვენებოდა ჰერცოგ იოჰანთან უშინაარსოდ გატარებული ცხოვრება: სავალდებულო ცერემონიები, მუდმივი ქირდვა, როცა კრინტის დაძვრის უფლებაც კი არ ჰქონდა, განუწყვეტელი თავის კანტური, მუხლის მოდრეკა, შეჯიბრებაზე საზიზღარი ვაჭრობა, თავმოყვარეობ-

ის გაქელვა, ვითომ ბრწყინვალე, სინამდვილეში კი მათხოვრული არსებობა, გაუნელებელი შიში მეეალეების წინაშე.

გამხდარი, მზემოკიდებული სახე ამაყად აეწია ზევით, გრძელი თმა ტალღებივით ჩამოშლოდა, ხარბად ისუნთქავდა ჰაერს, მის საკუთარ ჰაერს. სოფლებში დადიოდა, გლეხები პატივისცემით, კეთილმოსურნედ შესცქეროდნენ ტანკენარ, თავდაჯერებულ მებატონეს. მანდილოსნები და ქალიშვილები ისეთი სასოებით უმზერდნენ, თითქოს ეკლესიაში ყოფილიყვნენ.

ტიროლის სასახლეში დიდხანს ვეღარ გაძლებდა, ცოტაც და, ალბათ მოახტებოდა თავის ცხენს, ფათერაკების საძებნელად გაქუსლავდა. ახლა კი სხვაგვარად წარიმართა მისი ცხოვრება. შესანიშნავ გუნებაზე იყო. მოსაქმეობის წყურვილს იმით იკლავდა, რომ თავისი სამფლობელოს მეურნეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავდა დღენიადაგ. სამეფო კარზეც ივლის, სამხედრო ლაშქრობებშიც მიიღებს მონაწილეობას, არც ტურნირებს გამოაკლდება. მაგრამ აფრიკაში წავიდეს მავრებთან საბრძოლველად, ანდა თურქებსა და სარაცინებს წმინდა საფლავის გულისათვის ეომოს? დიდად მადლობელია. ჯერჯერობით ასეთი სურვილი არა აქვს. ისედაც კარგად გრძნობს თავს. კმაყოფილი, ვაჟკაცურად შემართული დადიოდა თავის მიწა-წყალზე, ტკბებოდა თავისი ახალგაზრდული ძალაუფლებით.

ერთხელაც ჰერცოგის ასული ესტუმრა. კრეტიენი უმწიკვლოდ ერთგული იყო მისი. აზრადაც არ მოსვლია, რომ რომელიმე ქალთან თავისი წუთიერი, მაგრამ ფრიად რეალური ურთიერთობანი მარგარიტას მიმართ გულში ჩაბუდებულ გრძნობებთან გაეთანაბრებინა. მარგარიტა მისთვის ისეთი ხატი გახდა, რომლის შექმნაში გარკვეული როლი შეასრულა ნოხეტიალე მომღერლებისა და შპილმანებისაგან მიღებულმა შთაბეჭდილებებმა. ჰერცოგის ასულთან მისი ურთიერთობა პოეტური და ჰაეროვანი იყო. მართალია, უაღრესად ხელშესახები ნაყოფი მიიღო მისგან — ტაუფერსის მამული მსუყე ღღვენი გახლდათ, მაგრამ სხვა მხრივ ისინი ძალიან შორს იყვნენ ერთმანეთისაგან. ჭაბუკმა არ იცოდა, რაოდენ ძვირფასი იყო მარგარიტასათვის, რა დიდ როლს ასრულებდა მის ცხოვრებაში.

სიხარულით შეეგება ჰერცოგის ასულს, გულწრფელი ერთგულება გაუმჟღავნა. ვაჟის ხმაში ისეთი იდუმალი, მრავლისმეტყველი თრთოლვა ისმოდა, რომ მარგარიტას სისხლს უჩქროლებდა, თუმცა გონივრულად, საქმიანად ესაუბრებოდა. უამბობდა იმ ცვლილებებზე, რომელთა განხორციელება განეზრახა თავის მამულში, მიწათმოქმედების უფრო რაციონალურ მეთოდებზე. ისიც უთხრა, ერთ გროშსაც არ შევარჩენ გლეხებსო. ანაზდად მარგარიტამ სიტყვა შეაწყვეტინა და შორეთში გაახედა, სადაც განმარტოებული ლაპლაპა გლეტჩერები ბასრი თეთრი კბილებით ლაჟვარდოვან ცას ჩასჭიდებოდნენ.

— კრეტიენ, ნუთუ არაოდეს მოგსურვებიათ გლეტჩერზე ასვლა? — ჰკითხა მან ჭაბუკს.

კრეტიენი შეცბა, უაზროდ მიაშტერდა ქალს. პასუხი გასცა, მაგრამ ახლა მის ხმაში იოტისოდენა იდუმალებაც კი აღარ იყო:

— არა, რა მინდა ზევით? — და ისევ იმაზე გააბა ლაპარაკი, თუ რაოდენ ნაყოფიერია დაბლობი.

რამდენიმე დღის შემდეგ აგნესა ფონ ფლავონი ეწვია. აღრეც რამდენჯერმე იყო იგი ტაუფერსის სასახლეში. თითქოსდა ბევრი წვრილმანი საკითხი ჰქონდა მოსაგვარებელი. კრეტიენიც ათასგვარ საბაბს იგონებდა ხოლმე, პირადად უნდა მოვითათბიროთ ამაზეო. ქერათმიანი აგნესა გულჩვილი და უმწეო იყო. ყოველ ჩამოსვლაზე ხელახლა ემშვიდობებოდა სასახლეს, ნაღვლიანი თვალებით შესცქეროდა მთებს.

მისი უფროსი და, მარია ფონ ფლავონი, ვიღაც ბავარიელ რაინდს გაჰყვა და ველტურნსის სასახლე თავის უმცროს დებს დაუტოვა. მაგრამ ბავარიელი დიდ მზითევს მოითხოვდა. ველტურნსის მამულებს კი ისედაც ვალები ედებოდა. აგნესას დიდრონი ცისფერი თვალები გულუბრყვილოდ შესცქეროდნენ კრეტიენს. ქალმა რჩევა ჰკითხა მას. კრეტიენი ველტურნსში ჩავიდა, გაიკითხ-გამოიკითხა ამბავი, შეიტყო, რომ დები დაუდევრად ფლანგავდნენ ქონებას. მომჭირნეობა ურჩია. საქმიანი იყო ეს რჩევა, მხოლოდ ეგაა, რომ ამის შედეგად ეს ადგილ-მამული ჩვეულებრივ შემოსავლიან გლეხურ მეურნეობად იქცეოდა. აგნესას შურდა დის ბედი — სილარიბეს თავი დააღწიაო. მართალია, ბავარიელი უხეში და გაუთ-

ლელი იყო და ბავარიის უღიმღამო ველიც ვერაფრით სჯობდა მშვენიერ ტიროლს; მაგრამ ალბათ მანაც ასეთი გზა უნდა აირჩიოს. ქალი ცისფერი მეტყველი თვალებით თამამად შეჰყურებდა მზემოკიდებულ ტანკენარ კრეტიენს, რომელიც გულუბრყვილოდ შეცბუნებული იდგა მის წინაშე.

შეთქმულება ლუქსემბურგების წინააღმდეგ მომწიფდა. ფოლკმარ ფონ ბურგშტალმა, ტეგენ ფონ ვილანდერსმა, იაკობ ფონ შენამ უკმაყოფილება დათესეს და მერე განზე გადგნენ, ჩრდილს შეაფარეს თავი. წინა პლანზე აღმოჩნდნენ ფიცხი ჰაინრიხ ფონ როტენბურგი და ამ საქმეში თითქმის ძალად ჩათრეული ხალისიანი და კეთილი ალბერტ ფონ ანდრიონი, მარგარიტას ძმა. თვით მარგარიტამ დიდი მოწადინებით, გულმოდგინედ შეკრა შეთქმულების ხლართები. ახლა მაინც ეძლეოდა საშუალება, შესაფერისი ადგილი მიეჩინა კრეტიენისათვის, რათა დიადი საქმეები ეკეთებინა, რაინდული ვალი მოეხადა ჰერცოგის ასულის წინაშე.

ბარონები ყოყმანობდნენ, ვერ გადაეწყვიტათ, გაენდოთ თუ არა შეთქმულების ამბავი კრეტიენისათვის. მით უფრო უჭირდათ ამ საქმეში პასუხსაგები ადგილის მიცემა მისთვის. იგი აქაური არ იყო. აბა განსაჯეთო, ამბობდნენ ისინი, უცხო კაცი და ისიც ჰერცოგ იოჰანის უერთგულესი პაჟი. მარგარიტა იძულებული გახდა ეთქვა, რომ გულღვარძლიანი იოჰანი მუდამ აბუჩად იგდებდა კრეტიენს და მას სიცოცხლე ჰქონდა გამწარებული ჩემი მტარვალი ქმრის ხელშიო.

კრეტიენი დიდად გაოცდა, როცა მარგარიტამ სიტყვა ჩამოუგდო შეთქმულების გეგმაზე. რაღა თქმა უნდა, იგი რაინდი იყო და მაშინვე დათანხმდა მონაწილეობა მიეღო მჩაგვრელთაგან მანდილოსნის განთავისუფლებაში, მით უმეტეს, რომ უაღრესად დიდ პატივს სცემდა მას და დიდად იყო მისგან დავალებული. მაგრამ განსაკუთრებული აღტაცება მაინც არ გამოუთქვამს. ახლა იგი უფრო მამულის საქმით იყო გართული და ამიტომ, მისი ფიქრით, აჯობებდა, მოგვიანებით შომხდარიყო ყოველივე. ეს რაინდული მოვალეობა, თუმცა ამ მომენტში რამდენადმე მძიმე, ერთ მცირე სარგებლობას მაინც მოუტანდა. ამ გზით მას შეეძლო თავისი მდგომარეობის განმტკიცება ადგილობრივ ფეოდალებში: ბატონი ფონ

ტაუფერს-ლაფერტი, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა ტიროლის ადგილობრივ შეთქმულებაში, ძველებურად უცხო კაცად აღარ ჩაითვლებოდა.

მარგარიტა საშინელმა მოუთმენლობამ შეიპყრო. შეთქმულთ აქეზებდა, ცეცხლზე ნავთს ასხამდა, თავისი ცოცხალი, ჭკვიანი თვალებით ზვერავდა ხელსაყრელ შესაძლებლობას. ისე მოახერხა, რომ ალბერტ ფონ ანდრიონთან და ჰაინრიხ ფონ როტენბურგთან ერთად კრეტიენიც მოექცა თავში შეთქმულებას.

სწორედ ამ ხანებში ველტურნსის სასახლეს ვინმე პადუელი ჯულიო ეწვია. ერთი შეუხედავი, დონდლო, სიტყვაძვირი, მუდამ მოღიმარი კაცი გახლდათ ეს ბატონიშვილი, ცოტა ჭკუანაკლებიც უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეგაა, რომ ბიძამისი პადუის კაპიტანი გახლდათ და თვითონ კი კომოს ტბის სანაპიროზე უმდიდრეს ადგილ-მამულებს ფლობდა. ძაღლივით ერთგული იყო აგნესასი, და კრეტიენს შიშმა გაუელვა გულში—ვაითუ ლომბარდიაში გაჰყვეს ქალი ამ კაცს, როგორც შარშან მისი და აედევნა ბავარიელსო. ამაზე ფიქრმა ტაუფერსის სასახლეც გადაავიწყა და თავისი სოფელი ადგილებიც.

მაგრამ, ჩანს, აგნესას სხვა ქალებივით ვერ მოექცევა, ადვილად ვერ ჩაიგდებს ხელში. ისეთი ნაზია, იქნებ შიშით გული გაუსკდეს კიდეც, მკლავებში რომ მოიმწყვდიოს. გულთბილად გაესაუბრა ქალს. თუ ვალებში ჩაფლულ ველტურნსის სასახლეში ცხოვრება არ გეამებათ, ჩემს ტაუფერსში ხომ არ დაიდებთ ბინასო.

ვითომცდა ძალიან გაიკვირვა ქალმა. თვალები განგებ მილულა, ტუჩებზე ღიმილი აისახა, ხელი ისე გაიქნია, უარის ნიშანიც იყო ეს და თანხმობაც, ძლივს ამოილუღლუღა რამდენიმე სიტყვა, მის კილოში შიშიც იგრძნობოდა და დაპირებაც.

ლამაზი ყმაწვილია, სულაც არა ჰგავს ტიროლელ ხეპრე ბარონებს. ვაჟკაცური სახე აქვს, პატარა, სქელი ტუჩები, მოზრდილი ცხვირიც შვენის. საამო იქნება მის ტალღებად ჩამოშლილ წაბლისფერ გრძელ თმაში თითების შესრიალება. ტაუფერსიც ბარაქიანი მამულია. მაგრამ არც ქალი დაუდებს ტოლს კრეტიენს. მისი თმა. თვალები, გადატკეცილი კანი, სი-

ნაზე და სიმშვენიერე განა, ეშმაკმა დალახვროს, ათიოდ ასეთ ადგილმამულად არა ღირს. როცა გაახსენდა, რა ემართებოდათ იტალიელებს მისი თავთუხისფერი სილამაზით თვალმოჭრილთ, როგორ ფითრდებოდნენ მის ერთ შემოხედვაზე, აგნესამ გულში გაიცინა, კრეტიენზე უკეთესი რაინდი, მასზე ბევრად უფრო მდიდარიც არ დამიწუნებდა ლომბარდიაშიო. განა გაცილებით უფრო სასახელო ტრიუმფი არ იქნებოდა, რომელიმე ვისკონტის მეუღლის როლში რომ ემეფა მილანში, ან რომელიმე სკალას რომ გაჰყოლოდა ვერონაში და ამ ბრწყინვალე ქალაქების აღტაცების მორევში ელივლივა, ვინემ ტიროლის სასახლეში მეუღლედ გახდომოდა ბატონ ტაუფერს-ლაფერტს?

კრეტიენი ხედავდა, რომ ქალი ჩუმანობდა, პასუხს აყოვნებდა. რაიმე ისეთი უნდა მოვიმოქმედო, ფასი მომემატოს მის თვალშიო, გადაწყვიტა ვაჟმა, და ისღა იღონა, რომ ლუქსემბურგების წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ამბავი გაანდო მას.

აგნესა იდუმალი, სულელური, საოცრად კმაყოფილი ღიმილით უსმენდა ვაჟს. ქალი მყის მიხვდა, რომ კრეტიენის ცოლობა ბევრად უფრო დიდი მონაპოვარი იყო; ვიდრე მასტინო დელა სკალას ან მილანელი ვისკონტის მეუღლეობა. ნეტავ გამარჯვება თუ ეთქმის იმას, რომ ეს ვაჟი ხელიდან გამოგლიჯოს უსახურ, კანმომჩვარულ, დრუნჩიან ჰერცოგის ასულს? დიახაც რომ გამარჯვებაა! და ახლაღა მიხვდა იგი, რომ თურმე დიდი ხანია ელოდა ამ გამარჯვებას, ყოველი ღონით ცდილობდა მის მოპოვებას. თურმე ნუ იტყვით და მასაც და უსახურ მარგარიტასაც ერთი ნაკადი მიაქანებს, ერთ საქანელაზე მსხდარან თურმე ორთავენი. მართალია, მარგარიტა საშინლად უსახურია, მაგრამ მის ხეშეშ თმას ჰერცოგის გვირგვინი ამშვენებს, მის უშნო, მახინჯ სახეზე ჭკვიანი, დაუშრეტელი ენერგიით აღსავსე თვალები კრთიან. ჰერცოგის ასულის დამარცხება ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ნებისმიერი ულამაზესი ქალისა. აგნესასა და მარგარიტას შორის ძლიერი სიძულვილი ჩამოვარდნილიყო და ერთსაც და მეორესაც ეს სიძულვილი ცხოვრების სტიმულად გახდომოდა. ო, როგორ თავგამეტებით იბრძოდა ჰერცოგის ასული საყვარელი ქაცის მოსანადირებლად! მან ხომ უყოყმანოდ გამძარცვაო,

ფიქრობდა აგნესა, და მერე ეს ნაძარცვი კრეტიენს უბოძა, თან კიდევ განგებ ისე დახლართა მოვლენები, რომ აღზევებული ვაჟი მწვერვალზე აეყვანა. მაგრამ დახეთ, არასმქონე აგნესამ, რომელსაც ერთადერთი სიმდიდრე — თავისი სილამაზეღა შერჩა განძად, მხოლოდ ანიშნა ჭაბუკ რაინდს და იგი მაშინვე გადმოეშვა მარგარიტას მიერ ესოდენი მოწადინებით აღმართული კვარცხლბეკიდან და აგნესას ფერხთით მოიყარა მუხლი. აგნესამ ბოლო წვეთამდე შესვა ეს სიამოვნება. არა, იგი დარჩება ტიროლში, უშიშრად შეერკინება ჰერცოგის ასულს, რომელიც ჭირის დღესავით ეჯავრება. ვნახოთ, ეგებ მხოლოდ კრეტიენი კი არა, სხვა უფრო დიდი რამ წაართვას მას. ო, რა დიდი სიამოვნებაა საოცნებო სიმაღლეზე რომ აფრინდები შენი საქანელათი და იქიღან დაინახავ უფსკრულში პირქვე დამხობილ, იავარქმნილ მეტოქეს.

კრეტიენი ისე ჩაება ლუქსემბურგების წინააღმდეგ დაწყებულ სახიფათო ბრძოლაში, თითქოს ტურნირი ყოფილიყო ეს. იგი ბედნიერი იყო იმით, რომ აგნესამ თანხმობით უპასუხა მის გულისწადილს. იმაზე კი არ უფიქრია, აგნესასთან შეკავშირებით გულს ვატკენ, შევურაცხყოფ ჰერცოგის ასულსო. მარგარიტა სულ სხვა იყო, აგნესა კიდევ სხვა. სრულიად სხვადასხვაგვარი გრძნობა ჰქონდა მას ამ ქალების მიმართ. მოვლენები მომწიფდა და ამიტომ კრეტიენი ჩქარობდა დაქორწინებას. აგნესამაც მხარი აუბა, არც მას სურდა ამ საქმის გადადება. გული სიამით ევსებოდა, როცა გაიფიქრებდა, რომ სწორედ მისი ქმრის შემწეობით მოიპოვებდა მარგარიტა თავისუფლებას.

ჰერცოგ იოჰანსა და მარკგრაფ კარლოსს ბოჰემიელ-ლუქსემბურგელთა ჯარის დიდი ნაწილი ამ კვირის ბოლოს რამდენიმე თვით უნდა წაეყვანათ პოლონეთის ომში ჩაბმული მამის დასახმარებლად. აგნესამ კრეტიენს ჰკითხა, როდის ან როგორ გინდა მარგარიტას ამცნო ჩვენი დაქორწინების ამბავიო. ქორწილში მოვიპატიჟებ ჰერცოგის ასულსო, მიუგო ვაჟმა. მაგრამ ქალწულ ფონ ფლავონის მუქი ცისფერი თვალების დაჟინებულ, გულუბრყვილო-დამცინავ მზერას რომ წააწყდა, შეყოყმანდა და დაიბნა. ჯერ თქვა — ქორწილის შემ-

დეგ ვეტყვი ამ ამბავს შეთქმულების საქმეებით გართულ მარგარიტასო, მერე კი გადაიფიქრა: აჯანყების სამზადისის უკანასკნელ თათბირზე რომ მიხმობს, ეგებ მაშინ აჯობოსო თქმამ. მაგრამ როცა ისინი ერთად განიხილავდნენ შეთქმულების უკანასკნელ წვრილმანებს, კრეტიენმა საბოლოოდ გადაწყვიტა, მხოლოდ მას უკან გაემხილა თავისი დაქორწინების ამბავი, როცა საბოლოოდ გარეკავდნენ ლუქსემბურგელ მმართველებს, გადასახადთა ამკრეფთ და ჯარს და მარგარიტა ქვეყნის ერთმმართველი გახდებოდა. გამოთხოვებისას, როცა დათქვეს, რომ ისინი ერთმანეთს სახელმწიფო გადატრიალების წარმატებით დაგვირგვინების შემდეგ შეხვდებოდნენ, კრეტიენის მთრთოლვარე და მრავლისმეტყველმა ხმამ მარგარიტას უდიდესი სიამოვნება განაცდევინა.

კრეტიენის წასვლის შემდეგ დიდ დროს არ გაევლო და ახლა თავით ფეხებამდე იარაღასხმული ჰერცოგი იოჰანი ეახლა მარგარიტას დასამშვიდობებლად. მარკგრაფ კარლოსს უკვე წაეყვანა სალაშქროდ ლუქსემბურგელთა გვარდიის ძირითადი ნაწილი. გულცივად, ზიზღით ისმენდა მარგარიტა იოჰანის გესლიან ლაპარაკს. ბოლოს ეს უთხრა ჰერცოგმა:

— წარმომიდგენია, რა ამბავი ატყდება აქ, როცა უჩემოდ იბატონებთ. ტაუფერსის მაგალითი ფრიად თვალსაჩინოა, ხომ ხედავთ, რა შედეგი მოსდევს ჩემი გადაწყვეტილების უგულებელყოფას.

— ტაუფერსის? — თავშეუკავებლად შეეკითხა მარგარიტა.

— დიახ, სწორედ რომ ტაუფერსია მრავლისმეტყველი მაგალითი. ასეა თუ ისე, აგსენამ მაინც დაიბრუნა თავისი სასახლე. ჰოდა, რაღა საჭირო იყო წართმევა. — მარგარიტას მეტი აღარაფერი უკითხავს. ერთბაშად მიხვდა ყველაფერს. სანამ ჰერცოგი იქ იყო, თავს იკავებდა. არც გული წასვლია, არც ხმა აკანკალებია. მშვიდი, დამცინავი მზერა შეაგება იოჰანის პატარა, ბოროტად დადარაჯებულ თვალებს.

მარტო რომ დარჩა, მაშინ კი ამოანთხია ბოღმა. ოდესმე ვინმე თუ მოუტყუებიათ ასე? განა იდუმალი ხმით არ ეგაასებოდა კრეტიენი? მეტყველი, უერთგულესი თვალებით შესცქეროდა, ყოველი მოძრაობით თანაუგრძნობდა. იმის რწმენაც კი

შთაუნერგა, რომ ამ საზიზღარი გარსის ქვეშ მისი შინაგანი სამყაროს სილამაზეს ჭვრეტდა. თვალთმაქცობდა, თითქოს მასთან ერთად განდგომოდა ამ სოფელს, თითქოს მასთან ერთად იბრძოდა ტანჯვით მოსაპოვებელი გამარჯვების მისაღწევად, მასთან ერთად მიილტვოდა საყოველდღიურო სიხარულის მყუდრო სავანეებიდან ცივი, მიუსაფარი, მრისხანე მწვერვალებისაკენ. ახლა კი უცებ უღალატა და ერთ ფუტურო, ლამაზ ნიღაბში გასცვალა. ვინ იცის, იქნებ ამ წუთსაც ერთად არიან და ერთად დასცინიან მას?

ეშმაკურად მოიქცა ეგ ვაჟბატონი. მეტისმეტად დიდი საფასური აიღო თვალთმაქცობაში, ყალბი აღტაცებით შენიღბულ მანშვა-გრეხაში, მოჩვენებით ერთგულებაში. ისეთი საფასურით, როგორიც ტაუფერსის ადგილ-მამულია, მთელი ქვეყნის ჯამბაზებს, მომღერალ-მოლეექსებს იყიდიდა. კრეტიენმა მოწყალებაც კი მოიღო და თვინიერად დათანხმდა, რომ მარგარიტას იგი ლუქსემბურგელთა წინააღმდეგ მოწყობილი ბეთქმულების სათავეში მოექცია. ალბათ იმის იმედი ჰქონდა — ბურგგრაფიც გავხდები, ლანდესჰაუპტმანიც, ტიროლის ფაქტიური რეგენტიც. ამიტომ მალავდა აგნესასთან დაქორწინების ამბავს. გადატრიალება წარმატებით რომ დაგვირგვინებულიყო, ძალაუფლება მის ხელთ აღმოჩნდებოდა. მაშინ მარგარიტას რისხვისაც კი აღარ შეეშინდებოდა. იპარპაშებდა ქვეყანაში, აქაოდა უცხოელთაგან მე დაგიხსენითო. აინუნშიც აღარ ჩააგდებდა ჰერცოგის ასულის ნება-სურვილს.

ვინ იცის, კრეტიენიც და მისი ლამაზი მიჯნურიც როგორ იგდებდნენ მასხარად, როგორ დასცინოდნენ ჩერჩეტ, უსახურ ჰერცოგის ასულს, რომელმაც გულუბრყვილოდ დაიჯერა, რომ ძვირფასი საჩუქრებითა და ნაზი განცდებით შეძლებდა თავისი სიმახინჯის წარხოცვას კრეტიენის თვალში! მაგრამ განა მამაკაცს ძალუძს თვალი დახუჭოს და ჭეშმარიტად ნათელი სულისათვის ყურადღება არ მიაქციოს ქალის დრუნჩა ყბასა და მომჩვარულ ლოყებს? ჰერცოგის ასული ბობოქრობდა. ბრაზი ახრჩობდა. რა უმალ დაინგრა ესოდენი გულმოდგინებით ნაგები ოცნების კოშკი, რომელშიც სასოებით თავს აფარებდა. ტყუილად უოცნებია თავის მაღალ მისიაზე, ფუჭი ყოფილა ლოცვა-კურთხევა, რომლითაც თავის სიმახინჯეს

ამკობდა! სასაცილო ყოფილა იგი, მოდური ტანსაცმლით მორთულ-მოკაზმული, ამაღლებული გრძნობების ტალღებში მოლივლივე. ღმერთმა დაჰგმო იგი, როცა ასეთი შემზარავი გარეგნობა მისცა და მერე იმითაც დასცინა, რომ სამეფო ტახტი მიუბოძა.

თავანკარა სიმაღლიდან დასცქეროდა იგი აგნესას, ამ პატარა, ჭრელ, ბრიყვ პეპელას! ახლა კი თვითონ გდია მყრალ წუმპეში. დიახაც, რომ სწორედ ეგაა საზიზღარი მწერის ადგილსამყოფელი, აგნესა კი ცისფერ სიმაღლეზეა ასული და თავისი თხელი, შინდისფერი, ვაი, რომ ნატიფად მოხაზული ბაგეებით იღიმება.

ნეტავ თუ ეჯავრება აგნესა? არა, მის მიმართ სიძულვილი არა აქვს. იგი სხვანაირი ვერც იქნებოდა. ანკი რატომ არ უნდა იღიმებოდეს სილამაზე, როცა ქედმაღლურად შესცქერის სიმახინჯეს. მაგრამ კრეტიენი? რა ფლიდი ყოფილა! როგორ უმზერდა მარგარიტას, მზემოკიდებული, ვაქკაცური სახე უბრწყინავდა, ლაქუცა ძაღლივით ერთგული თვალებით შესციცინებდა! ხმაც კი უთრთოდა მღელვარებისაგან! ასეთ წრფელ სახეს როგორ შეეძლო ამდენი სიცრუე! მერედა, ღმერთმა რად მისცა ამის ნება? მიწა რად არ გაუსკდა ფეხქვეშ ამ ძაღლს, თაღლითს, საზიზღარ მატყუარას!

ბობოქრობდა ჰერცოგის ასული, ბრაზი ახრჩობდა, იწყევლებოდა, ილანძღებოდა უშვერი სიტყვებით, რომლებიც შემთხვევით სადღაც გაეგონა.დიდხანს ბორგავდა, ბოლოს კი ძალმიხდილი დაეცა ხალიჩაზე. კარგა ხანს იწვა ასე, მოსხეპილ, კოჟრიან ტოტებს უგავდა უმარილწასმული ტლანქი მკლავები, ზღარბის ეკლებივით აშლოდა სპილენძისფერი ხეშეში თმა, ქანცმილეულს განძრევის თავი აღარ ჰქონდა. ხმა ჩახრიჩნოდა წივილ-კივილისაგან.

ჟამი გამოხდა, და როცა წამოდგა იგი, თითქოს სრულიად სხვა მარგარიტა ყოფილიყოს. დაუოკებელი ენერგიით, მიზანდასახულად მიეძალა საქმეს. კარნახობდა წერილებს, ზოგს თვითონ წერდა, აქეთ-იქით აგზავნიდა შიკრიკებს. კვლავ წერდა, კვლავ ხელს აწერდა, ისევ აგზავნიდა შიკრიკებს. ასე გაგრძელდა ორი დღე. და ამ დაძაბული მუშაობის შემდეგ უეცრად ხელი აიღო ყველაფერზე და სრულ უსაქმურობას მიეცა. აღა-

გახსნილ ტუჩებზე საოცრად ავხორცული, მრისხანე ღიმილი ეხატებოდა. ელოდა. არ ჭამდა, არ ლაპარაკობდა. ელოდა.

•

*

საზღვრამდე არც კი იყვნენ მისული მარკგრაფი კარლოსი და ჰერცოგი იოჰანი, რომ მალემსრბოლი წამოეწიათ და წერილი გადასცა ტრიენტის ეპისკოპოსისაგან, რომელიც ბრმად ერთგულებდა ლუქსემბურგებს. ეპისკოპოსი ნიკოლაუსი იტყობინებოდა, სხვადასხვა კუთხიდან ანონიმური გაფრთხილებები მომივიდა, ქვეყანაში შფოთია. ხმა დადის, რომ შეთქმულებას სათავეში უდგანან კრეტიენ ფონ ტაუფერსი, ჰაინრიხ ფონ როტენბურგი, ალბერტ ფონ ანდრიონიო. ნიკოლაუსი დაჟინებით ურჩევდა ჰერცოგსა და მის ძმას სასწრაფოდ მობრუნებულიყვნენ უკან და თან წამოეყვანათ ლაშქარი.

ლუქსემბურგები მყისვე გამოემართნენ უკან. მაშინვე შეიპყრეს სამალავში თავშეფარებული ალბერტ ფონ ანდრიონი და კრეტიენ ფონ ტაუფერსი. აჯანყება ჯერ არც კი დაწყებულიყო და უმალ ჩაიშალა. მეამბოხე ბარონებმა თავიანთ ციხე-სიმაგრეებს მიაშურეს. თითქოს არც თვითონ იცოდნენ და არც სხვებისგან სმენოდათ რაიმე ლუქსემბურგთა მმართველობით გამოწვეულ უკმაყოფილებაზე, მით უმეტეს მოსალოდნელი შეიარაღებული აჯანყების თაობაზე. ამ საქმის ნამდვილი მოთავეები — ბურგშტალი, ვილანდერსი, ფონ შენა — თავიდანვე გონივრულად იქცეოდნენ და ამიტომ ახლაც მარჯვედ შეაფარეს თავი ჩრდილს. თითქოს მზემ დააცხუნა თოვლსო, ისე აორთქლდნენ მეამბოხეები ლუქსემბურგელთა ლაშქრის გამოჩენისთანავე. ჰაინრიხ ფონ როტენბურგმაც სცადა მიმალვა, მაგრამ კეთილმა მეგობრებმა უყოყმანოდ გასცეს და ამით ერთგულება დაუმტკიცეს ლუქსემბურგებს.

რაკი ასე იოლად და სწრაფად ჩააქრეს ამბოხება, მარკგრაფმა კარლოსმა გადაწყვიტა კვლავ გადგომოდა გზას. თავ-

ის ძმასა და ტრიენტის ეპისკოპოსს ურჩია—წვრილფეხა ხალხს ნუ გამოეკიდებით, მოთავენი კი სასტიკად დასაჯეთო. ტიროლის სასახლესა და მთავარ ციხე-სიმაგრეებში ძლიერი დაცვა დატოვა და დანარჩენი ლაშქრით მამის მისაშველებლად გაეშურა პოლონეთში.

ინსბრუკის მახლობლად, ზონენბურგის სასახლეში ტრიენტის ეპისკოპოსი ნიკოლაუსი შუბლშეკმუხნილი, გულისყურით ისმენდა ოქმს, რომელსაც ჰერცოგ იოჰანის მდივანი უკითხავდა. იოჰანიც იქვე იდგა, მაგიდას დაყრდნობოდა და ბოროტი, მოზეიმე, ფარული ღიმილით შესცქეროდა მის წინ მჯდომ კოპებშეკრულ პრელატს.

ახლა კი ცხადია, რომ მართალი ყოფილა ეპისკოპოსი. იგი ამ ამბავს პოლიტიკურ სიბეცედ თვლიდა, ხოლო თუ ყოველივე ეს უშედეგოდ დამთავრდებოდა, ავნებდა კიდეც საქმეს. მაგრამ იოჰანი მტკიცედ იდგა თავის ნათქვამზე. მერე რა, რომ ჰერცოგის ასულის ძმა ბრძანდება იგი! მერე რა, რომ კანონიერი დინასტიის სისხლი უჩქეფს ძარღვებში! სახელმწიფო დამნაშავეა, მეამბოხე, მოღალატე, ფიცის გამტეხი! ამიტომაც ბრძანა, აწამეთო ალბერტ ფონ ანდრიონი.

ყოველთვის ზიზღსა ჰგვრიდა ეს ქერათმიანი ლამაზი დარდიმანდი. თურმე ანდრიონსაც მუდამ ეჯავრებოდა ჰერცოგი, მარგარიტასთან ერთად ხრიკებს აწყობდა მის წინააღმდეგ. აქამდე მოუხელთებელი იყო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ახლა კი აეხადა ნიღაბი და სააშკარაოზე გამოვიდა.

ჰერცოგი თვითონ ესწრებოდა დაკითხვას, კმაყოფილებით უმზერდა წამებას. ერთხანს ვაჟკაცურად ითმენდა გვემას ალბერტი, ჯიუტად დუმდა. ფეხებზე ტყვიის მძიმე ბურთები მიაბეს, ზურგს უკან შეკრული ხელებით ხან ზევით ასწევდნენ, ხან კი ქვევით უშვებდნენ. მოვარდისფერო თეთრ კანზე ალმური მოეკიდა, ოფლი ღვართქაფად ასხამდა. მაგრამ მაინც დუმდა. ცერებზე გირაგების მოჭერაც გადაიტანა. კბილებს აკრაჭუნებდა, სისხლმა წამოფეთქა, გულიც აერია, მაგრამ საიდუმლო მაინც არ დასცდენია. როცა გავარვარებული მაშებით ტანის შუშხვა დაუწყეს და თანაც იღლიებში მუგუზლებით უხიცინებდნენ, მაშინღა ალაპარაკდა.

აი, ესეც მისი ჩვენებანი. კარგი ჩვენებებია, ძვირფასი საბუთი. მართალია, ეპისკოპოსის აზრით, როტენბურგი გამოუსწორებული რეგვენია, ხოლო კრეტიენი და ალბერტი ჭკუაქერქეტა ლაწირაკები არიან და მათ ზურგს უკან უფრო გონიერი ხალხი იმალება, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი შეიტყვეს მათზე, თუმცა ჩვენების ოქმი ხელთა აქვთ. ერთი კი ცხადზე უცხადესია: მეამბოხეებმა თავიანთი გეგმები მარგარიტას გაანდვეს. მაშასადამე, ჰერცოგის ასულიც შეთქმულების მონაწილეა.

შუბლშეკრულმა ეპისკოპოსმა გესლიანად ჰკითხა იოჰანს, ნუთუ ოდესმე ეჭვი გეპარებოდა ამაშიო. არა, უპასუხა იოჰანმა, მაგრამ დიდად ბედნიერი ვარო იმით, რომ ახლა ხელთა მაქვს ამის დამამტკიცებელი საბუთები: ამ ოქმს სახეში მივახლი მარგარიტას. ეპისკოპოსი კვლავ შეეკითხა, დარწმუნებული თუ ხარ, რომ შენი ასეთი მოქმედებით ლუქსემბურგების გვარეულობა ძალაუფლებას განიმტკიცებსო.

ტიროლის სასახლეში წასვლამდე იოჰანმა განაჩენი გამოუტანა აჯანყების მოთავეებს. საშინელი წამებისაგან დასახიჩრებულ ალბერტს, რომელიც სულს ძლივსღა ღაფავდა, ლენები ჩამოართვა. ვილტენელი ბერები ცოტათი რომ მოასულიერებდნენ, მერე ბოჰემიაში გაგზავნიდნენ და იქ იქნებოდა სამუდამო პატიმრობაში. ტანდაბალი, ჯმუხი ჰაინრიხ ფონ როტენბურგი კი ძონძებში შემოსილი მოაყვანინა. მაგრამ შეკოჭილს, პირში ალიკაპჩაჩრილს, წვერებში სწედა და ისე ათრია, მწარედ ულაწუნა ლოყებში, მერე ამ თვალებგადმოკარკლულ, სუნთქვაშეკრულ ბარონს გამოუცხადა—კიდევ ორ ციხესიმაგრეს დაგიქცევ, გადაგიბუგავ, მიწასთან გავასწორებ, ისე მოვსრავო. თვითონ როტენბურგი ლუქსემბურგში გაგზავნა და დილეგში ჩაამწყვდევინა. კრეტიენი კი თან წაიყვანა ტიროლის სასახლეში.

ჰერცოგი დარწმუნებული იყო, რომ სასომიხდილს, მუმუნვარეს იხილავდა მარგარიტას. იგი კი საოცრად ილაჯგაწყვეტილი მიმჯდარიყო კუთხეში. იოჰანს ასე ეგონა, უზომოდ გაგიღარი გველია, ღორმუცელობით გამოლენჩებული და გახევებული. ამას ახლა ყოველგვარი იმედი გადაწურული ექნება და იქნებ შიშმაც აღარ იმოქმედოს მასზეო. ჰერცოგი წინ და

უკან დარბოდა, ცხვირწინ იარაღს უყლარუნებდა, ბიჭურად იბღინძებოდა აბჯარასხმული, ყვიროდა, იმუქრებოდა, უწმაწურად იგინებოდა. ფიქრადაც არ გაივლოს გაქცევა, ყველა გასასვლელი დაცულია სამმაგად — თხრილებიც, ჭიშკრებიც, გალავნებიც. თვე თვეს გაჰყვება და იგი ფეხსაც ვერ მოიცვლის ამ ოთახიდან. იოჰანი მერე მოიფიქრებს, თუ ვის მისცემს მასთან შესვლის უფლებას. ამაოდ დაშვრა უფლისწული, მისმა ბობოქრობამ ნირიც ვერ უცვალა ჰერცოგის ასულს. ზანტად, ჩლუნგი ცნობისმოყვარეობით უსმენდა ქალი. ახლაღა მიხვდა იოჰანი, რომ ვერც ცემით, ვერც სახეში ფურთხებით ვერას გახდებოდა მასთან. პატარა მგლურ თვალებს ავად უბრიალებდა, მაგრამ მთელი ეს მძვინვარება რატომღაც არაბუნებრივი და თანაც ფუჭი იყო. და რაკი ამან არ გაუმართლა, ბოლოს მიატოვა იქაურობა და გაეცალა.

დიდხანს იწვა მარტოდმარტო მარგარიტა. ისეთი განძარცული ეჩვენა თავი, თითქოს გულ-ღვიძლიც კი ამოეცალოთ. ღრუბლიანი, ნესტიანი დღე იყო. საშინლად აურჟოლებდა. ცეცხლის დანთებას ვუბრძანებო, გაიფიქრა ბოლოს. დარეკა. არავინ ეახლა. ძლივს მილასლასდა კარამდე. ორი შეიარაღებული მცველი დახვდა იქ, მდუმარედ გადააჯვარედინეს შუბები.

მწუხრი ჩამოწვა. ოთახში ვიღაც შემოიძურწა, მაგიდაზე ახთებული კელაპტარი დადგა, სანთლის გვერდით უსიტყვოდ დადო გრაგნილი და კიდევ რაღაც შეხვეული და ისევ უჩუმრად გავიდა გარეთ.

მარგარიტას კიდევ უფრო შეამცივნა. თვალმოჭუტული შეჰყურებდა სანთლის ციმციმს. გაჭირვებით მივიდა მაგიდასთან, პაწაწინა ალზე ხელების გათბობა უნდოდა. გრაგნილზე საღვთო წერილის რამდენიმე თავი იყო გადაწერილი. შეფუთულ საგანს კი სიდამპლის მოტკბო სუნი ასდიოდა. უცნაურად მიიზიდა ამ იდუმალმა საგანმა, მისდა უნებურად ბოლო აუწია თავსაფარს. თავსაფარი ოდნავ განზე გადაცურდა. ძაფები, წაბლისფერი ძაფები გამოჩნდა. არა, ადამიანის თმა ყოფილა, გრძელი წაბლისფერი თმა, აი შუბლიც. მოკვეთილი თავი მიურთმევიათ მისთვის. თავზარდაცემული მარგარიტა უკუიქცა. კრეტიენის თავი გაყინული თვალებით მისჩერებო-

და ჰერცოგის ასულს. მის წინ თავი იდო, აგერ ცხვირიც, პირსა და ნიკაპს კი თავსაფარი ფარავდა.

ყელი გაუშრა. ცივმა ოფლმა დაასხა, თითქოს გული ყელში მოებჯინა, კუთხეში მიიყუჟა და ახროტინდა. ისევ იმ თავს მიაშტერდა, რომელიც ალის ციმციმზე საზიზღრად თრთოდა, უგვანოდ ლიცლიცებდა. თვალები დახუჭა. მეწამული ღამე აცეკვდა მის წინ.

მერე კვლავ მიაშტერდა თავს, ნეტავ შთაინთქას ეს სანთელიც და მისი გიჟური თრთოლვაც. უნდა ჩააქროს. მაგრამ ძალა არ ჰყოფნის. ეშინია? არა, არ ეშინია. იგი ხომ ჰერცოგის ასულია. იქნებ კარის ღრიჭოდან უთვალთვალებენ. წამოდგა: გაშეშებული წინ იყურება, თითქოს ოჩოფეხებზე იყოს შემდგარი, ისე მიეშურება მაგიდისაკენ, სანთელს აგდებს. იატაკზე ეცემა.

დიდხანს წევს გაუნძრევლად. მხოლოდ სიცივეს გრძნობს და კიდეც უხარია ეს. ღამემ ისევ დაიწყო როკვა და თრთოლვა. მოკვეთილი თავიც თრთის და ცახცახებს. უსასრულოდ გრძელდება და წვრილდება. გამხდარი ლოყები შხამიან მოყვითალო-ლურჯ ფერად ლივლივებს. ნიკაპზე ამოშვერილი პუპყიანი მოშავო თმა ეკლებსა ჰგავს და თითქოს მის საჩხვლეტად მოიწევს. მოკვეთილი თავი მგონი თვალებს აპაჭუნებს წყვდიადში. არავითარი გამომეტყველება არა აქვთ ამ თვალებს, უსულო ცხოველის თვალებს ჰგვანან ისინი. ოჰ, ნეტავ გათენდებოდეს! რატომ ჩააქრო სანთელი. უკუნი ღამე მაჯლაჯუნასავით ზედ აწევს მარგარიტას, სულს უხუთავს. ამ წყვდიადში ისე წევს იგი, თითქოს კუბოში ესვენოს. უსულო კრეტიენი კი კვლავ ახელს და ხუჭავს უსიცოცხლო თვალებს.

საზიზღარი შესახედავია იგი. საზიზღარი. მაგრამ ცოცხალი ისე საზიზღარი არ იყო, როგორც ახლაა, მკვდარი.

მარგარიტას მოტყუება განიზრახა? უკვალოდ არ ჩაიარა ამან. ვეღარც ის ლამაზმანი ნახავს მისგან სარგებელს. უთავო ქმარი რა დასაკვეხნია.

თვითონ ხომ დაიღუპა, სხვებიც გაიყოლია. საბრალო ალბერტი! სათნო, გულკეთილი, ალერსიანი ძამიკო. ყოვლად უწყინარი, კეთილი მეგობარი იყო მარგარიტასი. ალბათ იმიტომ აჰყვა მათ, რომ ამხანაგებს არ გამოჰკლებოდა. ახლა

აღარას მქონია, მათხოვრად ქცეული, შიშველ-ტიტველი. ციხეში ზის ეს მკვირცხლი, ხალისიანი ჭაბუკი.

მაგრამ კრეტიენი მაინც სულ სხვა იყო. ვაჟკაცური, გამხდარი, შავგვრემანი სახე ჰქონდა. ეს მკვდარი თავი აწ აღარ დააფრთხობს. თვალჩაციებით დააშტერდება მისი სახის ყოველ ნაკვთს. აწ და მარადის მარგარიტას კუთვნილება იქნება კრეტიენი და არა იმ ლამაზმანისა. რატომ იგვიანებს განთიადი, ნეტავ მალე ინათებდეს, რომ უფრო თვალნათლივ იხილოს იგი. ბატონი ფონ შენა თავისი სულელური ლექსებით მუდამ ღამის ჯადოქრობას უმღერის, ღამე ხომ სიყვარულის წილხვედრილიაო, წყევლა-კრულვით იხსენიებს დღეს — ნურაოდეს გათენდებაო. სისულელეა. ჰერცოგის ასულის ჟამი კი დღეა. მოვედ შენ, დღეო! მაჩუქე ჩემი მკვდარი მეგობარი, რომელიც მე მეკუთვნის, დღეო!

და როცა დილა ზლაზვნით შემოიპარა ოთახში და პირველი თალხი სხივები მოჰფინა მკვდარ თავს, მარგარიტა თვალდახუჭული იწვა. ფოთოლივით ცახცახებდა, ბოდავდა.

ორი თვე ისე გავიდა, მცველებს თვალი არ მოუშორებიათ მარგარიტასათვის, მერე კი ნება დართეს რამდენიმე დღით წასულიყო ფრაუენხიმზეეს მონასტერში სნეული დის ადელჰაიდას მოსანახულებლად. ხეიბარი გოგონა ძველებურად გულჩათარობილი დაუხვდა.

საშინლად ძალმიხდილი იყო მარგარიტა. ჭამდა, სვამდა, დალასლასებდა. მონაზონივით მუხლს იყრიდა მონასტრის ეკლესიაში. თაყვანისმცემელთ ესალმებოდა, მოსაუბრეთ ეპასუხებოდა. ახალგაზრდა იყო, ვით ეს სამყარო, და აჰ სამყაროსავით ბებერიც. ბევრად უფროსი და გამოცდილიც იყო, ვინემ ეს თვინიერი, სახეჩამომჭკნარი აბატისა, და მასზე უკეთ იცოდა, რომ ამ ქვეყნად ყოველივე არარაობაა და ოცნება მინდორში ქარის გამოდევნებასა ჰგავს.

თავაზიანმა, ალერსიანმა ვიქტორინგელმა აბატმა მოინახულა. „გი არასოდეს ყოფილა ლუქსემბურგების თავგამოდებული მომხრე. მეფე იოჰანი თავისუფალ მოაზროვნედ და ღვთის მგმობელად მიაჩნდა. ამიტომაც დასაჯა ღმერთმა და დაობრმავაო. მარგარიტა მათ წინააღმდეგ რომ ამბოხდა, აბატი

ფრიად გაახარა ამან. ჩვეულებისამებრ ახლაც ბევრს ლაპარაკობდა, წამდაუწუმ იშველიებდა სხვათა ნათქვამს; ჰერცოგის ასული უსმენდა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ დასცდენია.

საათობით იჯდა აბატისასთან ერთად ერთი მტკაველა კუნძულის სანაპიროზე, გასცქეროდა მკრთალად მოცრაგეტების შორეთს. წყალი ზანტად ტყლაშუნობდა ლელიანში, მცხრალი მზე მშვიდად ანათებდა არემარეს. შორს, ძალიან შორს ძველებურ ნავში მეთევზე იწვა. აბატისა ყურადღებით შესცქეროდა მარგარიტას, სქელ, აწ უმარილწაუსმელ ხელებზე ეალერსებოდა.

— ჰერცოგის ახალგაზრდა ასულო! — მიმართა ერთხელ მშვიდი, ჩამქრალი, დაბრძენებული ხმით. — ახალგაზრდა ასულო!

— ახალგაზრდა? — კითხვა შეუბრუნა მარგარიტამ. მის ხმაში მხოლოდ უზომო დაქანცულობა იგრძნობოდა. — მე და ახალგაზრდა? თქვენ ათჯერ უფრო ახალგაზრდა ხართ, ღირსნეტარო ქალბატონო.

აბატისამ მიუგო:

— ხე ხომ არ კვდება, როცა ზამთარში ფოთლებშემოძარცული დგას. — და მერე დასძინა: — არაფერი ისე მტანჯველი და თანაც ისე სანეტარო არაა, როგორც გარინდების შემდეგ კვლავ ცხოვრებას რომ დაუბრუნდები. — დაბოლოს ურჩია:— მონაზვნებთან ერთად იგალობეთ, ჰერცოგის ასულო.

*

ტიროლის სასახლეში რომ ბრუნდებოდა მარგარიტა, ლუდვიგ ბავარიელმა ბრწყინვალე საიმპერატორო დაცვის რაზმი აახლა საზღვრამდე მისაცილებლად. მდიდრული ეტლების საზეიმო ქარავანს წინ მიუძღოდნენ დიდგვაროვანი კარისკაცები, სულ თავში კი ვიტელსბახთა ლომი ამაყად აქნევდა კუდს ბავარიის აფრიალებულ ალამზე. მთელ გზაზე ჩამწკრივებულიყვნენ ფეოდალი ბარონები და ხელისუფლების წარმომადგენლები.

ჰერცოგის ასული ანგარიშმიუცემლად ესალმებოდა დიდებულებს, ჩვეულებრივი ზვიადი თავდაჯერებულობა აღარ გამოსჭვიოდა მის ქცევაში. ყველაფერზე გულაყრილი და ძალმიხდილი არც კი დაფიქრებულა, თუ რა იყო მიზეზი იმპერატორის ესოდენ გაზვიადებული პატივისცემისა მისდამი.

ვიტელსბახს კი დიახაც რომ ჰქონდა საამისო მიზეზი. სწორედ ეს-ესაა უტიფრად მოაგონეს, რაოდენ არახელსაყრელი იყო მისთვის ლუქსემბურგების ბატონობა ტიროლში. როცა სამხედრო ლაშქრობით მოიწადინა ლომბარდიის საქმეებში ჩარევა, ეს გეგმა მყის ჩაუშალა ტრიენტის ეპისკოპოსმა, რომელმაც მიუკიბ-მოუკიბავად, ცივად და უბოდიშოდ აუკრძალა მის ჯარს თავის სამფლობელოზე გავლა. იმპერატორის ეს უკმაყოფილება მარჯვედ გამოიყენეს ტიროლელმა ბარონებმა. ბურგშტალს, ვილანდერსს, შენას, რომლებიც ლუქსემბურგელთა წინააღმდეგ მოწყობილი პირველი შეთქმულების დროს მარჯვედ გასხლტნენ განზე, სულაც არ აუღიათ ხელი თავიანთ განზრახვაზე. ხელმოცარული შეთქმულნი ახლაღა მიხვდნენ, რომ რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს მხარდაჭერას საჭიროებდნენ. ამიტომ, ბუნებრივია, ლუქსემბურგების მოძულე ვიტელსბახს მიმართეს. წინა შეთქმულებაში მარგარიტას მონაწილეობამ არავითარი სარგებლობა არ მოუტანა. ახლაც არ იცოდნენ მათ, თუ კონკრეტულად რა მიზეზით ჩაიშალა აჯანყება. ერთი რამ კი ცხადი იყო: მარგარიტას უცნაურმა აჩემებამ, გინდა თუ არა კრეტიენიც გავხადოთ მოთავედო, სულ აწეწ-დაწეწა ესოდენი ოსტატობით დახლართული ქსელი. უფრო გონივრული იქნება, თუ ამჯერად არაფერს გავუმხელთ მარგარიტას და მხოლოდ უკანასკნელ წუთს გავენდობით, ვინაიდან ჰერცოგ იოჰანის თავიდან მოცილება ყოველთვის ხსნა იქნება მისთვისო.

სრულიად საიდუმლოდ წერილი გაუგზავნეს იმპერატორს. ბარონები ატყობინებდნენ, რომ დღითი დღე იზრდებოდა უკმაყოფილება ლუქსემბურგების წინააღმდეგ. ყველანი ძალიან ვწუხვართ, რომ ტრიენტის ეპისკოპოსის უხიაგი ჯიუტობის მიზეზით ვერ ილაშქრეთ იტალიაშიო. იმპერატორს სიტყვა შეაპარეს — დათანხმდებოდით თუ არა, თქვენს ვაჟს, ბრანდენბურგელ მარკგრაფს, ტიროლის ჰერცოგის ასული რომ შეერთოო. სამფლობელოების შემომატებაზე დახარბებულ ვიტელსბახს

ტიროლის ხელში ჩაგდების შესაძლებლობამ მადა აღუძრა. ნართაულადვე უპასუხა ბარონებს, ჯერ ჩემს ვაჟს მოველაპარაკები ამის თაობაზე. ისე კი, სანამ ქვეყანაში ლუქსემბურგები ბატონობენ, ყოველგვარი გეგმები ფუჭი ოცნებაა.

ტიროლელ ბარონებს უკეთესი პასუხი არც უნდოდათ. მათ შესანიშნავად ესმოდათ, რომ ფრთხილ ვიტელსბახს მეტს ვერაფერს დააცდევინებდნენ. ძნელი ამოსახსნელი არ იყო პასუხის ქარაგმა—აშკარა თანხმობას ნიშნავდა იგი. ეს ბრწყინვალე ბადრაგიც, რომელიც ჰერცოგის ასულს აახლა მან, თავისთავად „ჰოს" მთქმელი იყო. როტენბურგის სასახლეების დანგრევამ, კეთილი მეფე ჰაინრიხის ვაჟიშვილ ალბერტის წამებამ, კრეტიენ ფონ ტაუფერსის სიკვდილით დასჯამ — ყოველივე ამან საბოლოოდ გაუტეხა სახელი ლუქსემბურგებს.

ბარონები თანდათან სახმილს უმატებდნენ ცეცხლს, განდობილთ აქეზებდნენ. მარგარიტას კი ჯერ არაფერს ატყობინებდნენ.

აგნესა ფონ ფლავონი ადგილზევე გაშეშდა, როცა აჯანყების ჩაშლის ამბავი ამცნეს. გონების თვალით მაშინვე გაიბა ძაფები მოვლენათა შორის. მაშ ასეთი მრისხანე, შემმუსვრელი დარტყმით უპასუხა უსახურმა ჰერცოგის ასულმა მის დარტყმას! შიშისაგან ცხოველურად დამფრთხალი, შეძრწუნებული აგნესა თითქოს დამუნჯდაო, ხმას აღარ იღებდა, გაქცევის გეგმებს აწყობდა.

მერე კი, როცა მიხვდა, რომ პირადად მას ხელი არ ახლეს, თანდათან გაუქრა შიში. გაიკითხ-გამოიკითხა ამბები. უმოწყალოდ მოექცნენ მარგარიტასო, რომ უთხრეს, შეცბა. ისეთი რა გააკეთა უსახურმა, რომ ყველაფერი მის წინააღმდეგ შეტრიალდა? შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში ჭკუა-გონება არ აკლია მას. ალბათ, მისივე ნებით მოხდა ყოველივე. აგნესამ ვერ ახსნა მტრის ქცევა. შიშს სიძულვილიც ემატებოდა. იქნებ უსახური მარგარიტა უფრო მწვავე დარტყმას უმზადებს, რათა საბოლოოდ გააცამტვეროს იგი და ამით დატკბეს.

მაგრამ არაფერიც ამ მომხდარა. ყურადღებასაც არავინ აქცევდა მას. სამარცხვინოდ დასჯილის ცოლს ყველა ერიდებოდა. მაგრამ რატომ არ ჩამოართვეს მამულები? ძნელი ასატანი

იყო ეს დუმილი, ირგვლივ მყოფთა გულცივობა. თან კიდევ გაუნელებელი შიში — ვაითუ სრულ დაღუპვას მიმზადებენო. გადაწყვიტა ტიროლის სასახლეში წასულიყო.

ქალაქ მერანის ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, დაინახა სარზე წამოცმული თავი. მისი ქმრის, კრეტიენ ფონ ტაუფერსის თავი იყო ეს. მოყვითალო-ლურჯი თავი გაშტერებით უმზერდა აგნესას. თბილი ნიავი უდარდელად უწეწავდა გრძლად ჩამოშლილ ხუჭუჭა წაბლისფერ თმას. სახეზე ბუზები ასხდნენ. ელდა ეცა. ცხენებშებმულმა ტახტრევანმა ნელი რწევით ჩაუარა თავს და ქალაქ მერანში შევიდა. ავის მომასწავებელი ნიშანია? მაგრამ ახლა გულჩვილობის დრო არ არის. ჰერცოგ იოჰანთან შეხვედრა ელის და სათანადოდ უნდა მოემზადოს. ეს კი იოლი როდი გახლავთ ამჯერად. ძაძებში მოსილი ერთხელ უკვე დაემხო მის ფერხთა წინაშე. განმეორება მოსაბეზრებელია. თანაც ახლა მისთვის ფრიად არახელსაყრელი ვითარებაა.

იოჰანი მართლაც დაცინვით შეხვდა. გესლიანად ჰკითხა, იარაღი ხომ არ გაქვთ თან, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. ნაღვლიანი, საყვედურით აღსავსე თვალებით შესცქეროდა აგნესა. გულამოსკვნით ატირდა: კეთილშობილი ახალგაზრდა ჰერცოგი, რომელიც ადრე გულმოწყალედ მოექცა, ახლა ალბათ აღარ ენდობა და ამის საფუძველიც აქვს. მაგრამ, ირწმუნებოდა ქალი, არაფერი ვიცოდი ჩემი ქმრის მუხთალი გეგმებისა, ანკი როგორ წარმოვიდგენდი, რომ სახელმწიფო მოღალატე გახდებოდა. კიდევ კარგი, მოკვდა, თორემ ვინც ასე უნამუსოდ უღალატა თავის ხელმწიფეს, ცოლს როგორღა დაინდობდაო. ეშმაკური მიამიტობით ისიც გაუმხილა, არასოდეს მყვარებია კრეტიენი და მხოლოდ იმიტომ გავყევი ცოლად, რომ ტაუფერსი შემენარჩუნებინა და თქვენს ახლოს ვყოფილიყავიო. ძალიანაც ესიამოვნა ქალის ნათქვამი, მაგრამ მაინც უნდობლად უსმენდა იოჰანი. ქალი უფრო ახლოს მივიდა მასთან, რათა მამაკაცს ეგრძნო მისი ტანის სურნელება. იოჰანმა ჩაიბუზღუნა, არც ერთი შენი სიტყვა არ მჯერა, მაგრამ მე ქალებს არ ვეომები და შეგიძლია ჯერჯერობით კვლავ შენად იგულო ტაუფერსიო. შემდეგ დამცინავად, უხეშად, ავხორცულად კისერზე ხელი მოუთათუნა თვინიერად და მომლოდინედ ქედმოხრილ ქალს, უბოდიშოდ ზურგი შეაქცია და აგდებით უთხრა—ამ დღეებში

ტაუფერსში ჩამოვალ და თვითონვე შევამოწმებ, კიდევ ხომ არ აპირებენ აჯანყებას; მაგრამ იცოდე, მარტო ჩამოვალ — სულაც არ მეშინიაო. ეს სიტყვები რომ მიუგდო ქალს, ხმამაღლა, არაორაზროვნად გადაიხარხარა, უზრდელად მიატოვა იგი და სანადიროდ გაეშურა.

ამასობაში თავადების შეთქმულებაც მომწიფდა. განდობილებმა მოითათბირეს, რომ იოჰანის იქ არყოფნის დროს დაეუფლებოდნენ ტიროლის ციხე-სიმაგრეს. მარგარიტას ამას ვეღარ დაუმალავდნენ. ამავე დროს საჭირო იყო მისი თანხმობაც ვიტელსბახთან დაქორწინებაზე. ბატონმა ფონ შენამ იკისრა ჰერცოგის ასულთან მოლაპარაკება.

და აი, მარგარიტას წინაშე ზის გამხდარი, ულაზათო, მხრებში მოხრილი ფონ შენა. ზანტი, გაბზარული ხმით ემასლაათება აქეთურზე, იქეთურზე. ბებრული, ჭკვიანური თვალებით მისჩერებია. იგი ერთადერთი ადამიანია, ვისაც კარგად ესმის მომხდარი ამბების იდუმალი აზრი, ფრთხილად, თითქოსდა სხვათა შორის, ჩაურთო საუბარში: გულში შიში არ გაივლო, თუ ამ დღეებში ციხე-სიმაგრე ახალმა, უფრო ძლიერმა გარნიზონმა დაიკავოს. იქნებ ყვირილი, ხმაური, იარაღის ჟღარუნიც შემოგესმას. ოღონდ ეგაა, შენი ოთახიდან ნუ გამოხვალ. პირადად შენ საფრთხე არ მოგელისო. ეს უთხრა მარგარიტას და გაჩუმდა, პასუხს დაელოდა. ჰერცოგის ასული თითქოს არც კი უსმენდა. ფონ შენამ ისევ განაგრძო, ეგებ რაიმე წამოვაცდენინო, გულის ზრახვას მივუხვდე, ნუთუ არ მკითხავს, რას ნიშნავს ყოველივე ესაო. მარგარიტა დუმდა. არაფერს ეკითხებოდა.

ფონ შენამ საუბრის თემა შეცვალა. ახლა აგნესაზე ჩამოაგდო სიტყვა. უცნაური ამბავია, ყოველი თავს დატეხილი ახალი უბედურება კიდევ უფრო ალამაზებს. აი, ახლაც, ძაძით მოსილი მობრძანდა სასახლეში და ყველამ აღიარა, რომ თურმე ძალიან უხდება შავები. ამის გაგონებაზე ყურები დაცქვიტა მარგარიტამ. გონიერი კაცი იყო ფონ შენა და უმალ მიხვდა, რომ ახლა მისი უგულისყურობა მხოლოდ ნიღაბი იყო. ისევ უბრალო წვრილმანებზე გაუბა ლაპარაკი, მერე კვლავ აგნესაზე გადაიტანა საუბარი. ამჯერად, ალბათ, დიდიხნით ჩამობრძანდა

აქ; ასეთ ამბებში ჰერცოგი იოჰანი კეთილ მეფე ჰაინრიხს არ ჩამოუვარდებაო. მარგარიტა მსწრაფულ გაიმართა წელში. ფონ შენა ხომ მუდამ მეგობრულად ექცეოდა მარგარიტას. მაშ ეს, რაც ახლა მან თქვა, მართალია? მარგარიტა ტყვეა, ის ქალი კი იქაურობის ბატონ-პატრონი? აქ, ამ ჰერქვეშ მოუწევთ ყოფნა? დაუშვებელია. ღვთის გულისათვის, ბოლომდე მითხარით სრული სიმართლე, სთხოვა ჰერცოგის ასულმა.

ფონ შენამ მიუკიბ-მოუკიბავად უპასუხა: დიახ, იოჰანმა მართლაც მოიპატიჟა აგნესა ფონ ფლავონი; და ვინაიდან მე კარგად ვიცნობ იმ მანდილოსანს, უარზე არ დადგებაო. მარგარიტამ თვალები დახუჭა, სახე მოექცა. ფონ შენამ მისი დამშვიდება სცადა: ჯერ კიდევ ყველა გზა როდი გვაქვს მოჭრილიო, უთხრა და განზრახული გეგმების თაობაზე დაიწყო საუბარი. ჰერცოგის ასულმა თავი გაიქნია, არც კი ისურვა მოსმენა.

მყის იხმო ჰერცოგი იოჰანი. მართალია? ნუთუ მართლა განიზრახე ასეთი რამ? — ცოფებს ყრიდა მარგარიტა. ნუთუ თავს ნებას მისცემ, რომ გარყვნილების ბუდედ აქციო ეს სასახლე? იოჰანი: დიახ, ეგეთია ჩემი განზრახვა. დიახ, ვაძლევ ჩემს თავს ამის ნებას. იოჰანმა მიაგნო ხერხს — ხომ აღაშფოთა, ააღელვა. დაე, ეწამოს. თავისი პატარა, მრგვალი, ანთებული, მგლური თვალებით მიაჩერდა ჰერცოგის ასულს. მხეცივით დაიღრიალა; რა თავხედობაა ეს! ნუთუ ფიქრობ, რომ ძალგიძს დამიშალო იმ ქალთან ყოფნა? მერედა ვინ? შენ? ეგეთმა მათხოვარმა? ჰერცოგის ასულს თითქოს რაღაც გაეჩხირა ყელში, ძლივს მოითქვა სული. მაგრამ ძალა მოიკრიბა და მაინც მშვიდად უპასუხა: მე მხოლოდ იმას გთხოვ, რომ დაფიქრდე. ხომ იცი, რას ილაპარაკებს ხალხი, რას იტყვიან მეზობელი სახელმწიფოების სამეფო კარზე, თუკი სწორედ აქ, მამაჩემის სასახლეში, რომელიც მზითვად მოგართვი, ტყვეობაში გამომამწყვდევ და იმ ქალს კი ქალბატონად დამისვამ. ჰერცოგის ასულმა ისიც შეახსენა იოჰანს, რომ სწორედ მისი საყვარლის ქმარი იყო შეთქმულების მოთავე, ამ საქმეში კრეტიენთან ერთად აგნესაც განდობილი იყო და იქნებ სულაც მან წამოიწყო შფოთი. განა შეიძლება, ასე ადვილად დავიწყებოდა თავისი ქმრის სამარცხვინო სიკვდილი! ამიტომ სიფრთხილე გმართებსო. იოჰანმა

ბოროტად ჩაიცინა: ასეთი ხრიკები ჩემთან არ გაგივა, ეპვიანი გომბიო ხარ და იმიტომ მეუბნები მაგასო. მერე თავისებურად გაიფხორა და კვეხნით დასძინა:

— შენ რა იცი, ეგებ სწორედ აგნესამ გამაფრთხილა და ამით ჩაგიშალა მზაკვრობა?

— სხვამ კი არა... მე გაგაფრთხილე! — მიაძახა ჰერცოგის ასულმა. — მე, მე!

იოჰანი ანაზდად ერეოლამ აიტანა: მაშინვე ის გაახსენდა, ამას წინათ როგორ იწვა მარგარიტა მის წინაშე, ვითარცა გამაძღარი გველი. მიხვდა, რომ კვლავ დამცირდა მის თვალში, რადგან თავი ვერ შეიკავა და ტრაბახს მოჰყვა, მაგრამ უმალ გონს მოეგო. არა, ცხადზე უცხადესია, რომ მარგარიტა ეშმაკურად და უტიფრად ტყუის, რათა შეაცბუნოს და თვალი აუხვიოს მას.

— შენი ტიროლელი მუტრუკები გააბი მაგ მახეში, მე კი დამეხსენ. — ნაძალადევი, ზიზღიანი გულცივობით უთხრა ქალს, მერე კი თანდათან ბრაზი მოეკიდა და განაგრძო: — აჰა, ხომ მოგხვდა გულში? ლამაზი ქალი გავაგდო არა? ეკალივით გესობა გულში მისი აქ ჩამოსვლა? ჰოდა, მით უკეთესი. სწორედ შენ ჯიბრზე ჩამოვიყვან! შენ ჯიბრზე დავტოვებ აქ! მერე უყურე, ცხენებზე რომ შევჯდებით და ერთად ვისეირნებთ! ერთად მოვივლით ბოცენს, მერანს, ტრიენტს! თუ კაცი ვყოფილვარ, გასწავლი ჭკუას, შე გომბეშო! მახინჯო! ქვეწარმავალო! საზიზღარო ქმნილებავ!

იოჰანი წავიდა, ჰერცოგის ასული კი ერთ ადგილზე იჯდა გაჰეეებული. ხომ კეთილინდისიერად, წრფელად ელაპარაკა იგი ჰერცოგს, კიდეე ერთხელ გაუღო თავისი გული. თავხედი ყოფილა, ყრუ, თორემ როგორ ვერ გაიგონებდა მის შინაგან ხმას. მორჩა და გათავდა. იოჰანმა თვითონვე გადაწყვიტა ჭიდილის ბედი.

მეორე დღეს მარგარიტას კვლავ ეახლა ფონ შენა. მოკლე ბარათი გადასცა ხელმოსაწერად. ამ ბარათით იმპერატორი შეიტყობდა, რომ ჰერცოგის ასული მფარველობას სთხოვდა მას და იწონებდა თავისი ბარონების გადაწყვეტილებას. მარგარიტამ უყოყმანოდ მოაწერა ხელი. შენამ მოკლედ უამბო, რომ ხვალ,

როცა სანადიროდ წავიდოდა იოჰანი, ციხე-სიმაგრეს ბარონების ჯარები დაიკავებდნენ და იოჰანს შიგ აღარ შემოუშვებდნენ. ჰერცოგი რომ ჭიშკრის გაღებას მოითხოვდა, მარგარიტა თვითონვე ამცნობდა ყოველივეს. ჩვენ კი, განაგრძო ფონ შენამ, ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ უკანონობა არავინ ჩაიდინოს, ჰერცოგს ვაგლახად თითიც არავინ დააკაროს. ეგ კია, რომ მთელ საგრაფოში არვინ გაუღებს კარს. ხოლო თუ იოჰანი ამის შემდეგ აიბარგება ჩვენი ქვეყნიდან, ღიმილით დაასრულა ფონ შენამ, არავინ დაუშლის ამას. ბოლოს ალერსიანად და იმედიანად ისიც დასძინა, ყველა ზომა მივიღეთ, რომ თუნდაც ვინმემ გააფრთხილოს, ჩვენი საქმე მაინც არ ჩაიშალოსო. ეს რომ უთხრა, ხელმოწერილი ბარათი გამოართვა მარგარიტას, თავი დაუკრა და, როგორც ყოველთვის, ახლაც ფეხების ფლატუნით გავიდა გარეთ.

მეორე დღეს, პარასკევს, იოჰანი მცირე ამალის თანხლებით სანადიროდ გაეშურა. ნოემბერი იდგა. მოწმენდილი, მზიანი დილა გათენდა, მაგრამ მცირე ხანსაც არ გაეელო, რომ ჯანყი წამოვიდა და ნესტიანმა, სუსხიანმა ქარმა დაუბერა. ჰერცოგი ფრიად უგუნებოდ იყო, გულში მაინც ხინჯად ჩარჩენოდა, რაც მარგარიტამ უთხრა აგნესაზე. ამას სხვა უსიამოვნებაც ზედ დაერთო. მისი ლამაზი, მოთეთრო ფერის საყვარელი ნორვეგიული შევარდენი რომელიღაც დიდმა ფრინველმა დააფრთხო და შეშინებული უკვალოდ გადაიკარგა. ჰერცოგი ბაზიერს ეცა, ერთი ამბავი დაათია, ბრაზმორეული წრიპინებდა, ანჩხლობდა.

ნადირობას აღარ შეჰყვა და საღამოხანს უკვე შინ დაბრუნდა. ხიდი აწეული დახვდა, ჭიშკარი დაკეტილი. იოჰანმა ბუკ' ჩაბერა. ციხის მცველი გამოვიდა და შეშვებაზე უარი უთხრა. ასე მაქვს ნაბრძანებიო. ჰერცოგი წამოენთო. ყოვლად უწმაწური სიტყვებით შეამკო მცველი. ერთ-ერთი გოდოლიდან მარგარიტამ გამოიხედა და გაისმა მისი თბილი, დაბალი ხმა: უფლისწულო, რა გაღრიალებთ. თქვენი ადგილი აქ არ არის, სხვაგან ეძებეთ თავშესაფარი, ეგებ ტაუფერსში ინებოთ წაბრძანება. იოჰანმა მშვილდი მოიმარჯვა, მაგრამ დროზე განერიდა მარგარიტა მის ისარს.

და აი იდგა იგი, სანადირო ტანსაცმელში გამოწყობილი ჰერ-
ცოგი, ამ მაგრად ჩარაზული ჭიშკრის წინ, ბრაზით ცეცხლ-
მოკიდებული და სასაცილო. მის ზურგს უკან შეჯგუფებულ
მხლებელთ ერთი ჩურჩული აეტეხათ. ცივი ქარი უბერავდა,
წვიმა წამოვიდა. რამდენიმე ბოჰემიელი ეახლა ციხე-სიმაგრ-
იდან, შიშისაგან გაფითრებულებმა ძლივს უამბეს, კბილებამ-
დე შეიარაღებულმა ტიროლელთა ურიცხვმა ლაშქარმა
დაიკავა ციხე და ჩვენ კი კინწისკვრით გამოგვყარეს გა-
რეთო.

ჰერცოგმა უხამსი ლანძღვა-გინებით აიკლო ბოჰემიელები,
ლაჩრები, დიაცნი უწოდა მათ. უმწეოდ იდგა აწეულ ბოგირ-
თან. ციხიდან კი ხარხარი და გამქირდავი შაირი მოისმოდა:

ვინ აბრახუნებს ჭიშკარზე? ეს ვინ ცახცახებს ქარში?
შინაყმა, თუ ებრაელი? მთხოვნელი არის რამის?
ტიროლის მფლობელი ყოფილა, ერთი შეხედეთ ამას!

წყევლა-კრულვით განერიდა იოჰანი იქაურობას. ცენობერგს
ეწვია. იქაც იგივე ამბავი დახვდა. გრეიფენშტეინს მიადგა. იქ-
აც იგივე განმეორდა. შუაღამე მოახლოვდა. არაქათი გამოე-
ლია, ილაჯგაწყვეტილს ხმა ჩაეხლიჩა ყვირილისაგან. უმწეოდ
დარჩენილმა, მთლად აცახცახებულმა ღია ცის ქვეშ გაათია
ღამე.

ოდნავ ინათა თუ არა, ისევ მოაჯდა ცხენს. თავით ფეხამ-
დე მტვერში ამოგანგლულს, უძილოს საშინლად აჟრჟოლებდა,
შიმშილისაგან კუჭი უწრიალებდა. ექვსად ექვსი მხლებელიღა
შემორჩა, დანარჩენები ჩუმ-ჩუმად გაეპარნენ.

გადაუღებლად წვიმდა. გულშემატკივრებმა უთხრეს, ხალხი
სავსებით იწონებს, რაც მოხდა, ერთი სიცილ-კისკისი აქვთ, ზე-
იმობენ, დაგვცინიან, გვაქიაქებენო. თითქოს აბეზარი ჭიანჭვე-
ლები შესეოდნენ ყურში, ისე ჩაესმოდა წუხანდელი შაირი:

შინაყმა, თუ ებრაელი? მთხოვნელი არის რამის?
ტიროლის მფლობელი ყოფილა, ერთი შეხედეთ ამას!

შორი ბილიკებით იარა და ისე ეწვია ხან ერთ, ხან მეორე
თავადს, რომლებიც დიდად დავალებული იყვნენ მისგან. ყველ-
გან უნუგეშო პასუხი დაახვედრეს: ბატონი შინ არ ბრძანდება,

მეკუჭნავესათვის არაფერი დაუბარებია, ჭიშკარი დაკეტილიაო. ოთხი მხლებელიღა შემორჩა.

უმიზნოდ იხეტიალა ზვრებში, ტყე-ტყე. წვიმდა და წვიმდა. ასე ეგონა, მომდევენ, ალყაშიც მოიმიწყვდიესო. ბრძოლაში შიში არ იცოდა, ახლა კი რაღაც ბილწი მოედო გულზე. ნეტავ ვინმე ტეტია გლეხი ან აყროლებული ქალაქელი ჩააძღლებდეს სადმე. მთისკენ აიღო გეზი. ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია ტეგენ ფონ ვილანდერსის განმარტოებით მდგარ ციხე-სიმაგრეს. მელაკუდა, ფრთხილმა ბარონმა, რომელსაც არც მწვადის დაწვა სურდა და არც შამფურისა, ზურგი არ შეაქცია ლუქსემბურგს. თავშესაფარი კი მისცა იოჰანს, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით და ისიც იდუმალებით. ვითომც იოჰანი კი არა, ვიღაც რაინდი ეკეჰარდი ყოფილიყოს. ასე სხვის სახელს ამოფარებულმა რამდენიმე დღე გაატარა მის სასახლეში, თვალიც არავის მოუკრავს მისთვის, ისე იმალებოდა. ის შაირი კი მაინც უწამლავდა სიცოცხლეს: ...შენაყმა ხომ არ მოსულა? ტიროლის მფლობელი ყოფილა, ერთი შეხედეთ ამას!

წყვდიადი ღამე იყო, ვილანდერსის სასახლიდან რომ წამოვიდა, დაღლილობისგან მუხლები ეკეცებოდა. მხოლოდ ორი მსახურიღა ახლდა. ისევ ის ჭუჭყიანი, ოფლით აქოთებული საბადირო ტანსაცმელი ეცვა, ქანცგაწყვეტილ ცხენზე იჯდა. საბრალო პირუტყვმა რის ვაივაგლახით ატარა მხედარი ჭაობების უკაცრიელ ბილიკებზე. მალულად დაეხეტებოდა თავის ქვეყანაში განკიცხული ჰერცოგი. ამ ტიალ წვიმას მაინც გადაეღო! გზადაგზა-ყველაფერი გაჰყიდა, რაც კი რამ ებადა: იარაღი, ბუკი, ბოლოს ცხენიც!

ფოთოლივით აცახცახებულმა, მთლად ილაჯგამოცლილმა, მარტოდმარტომ ძლივს მიაღწია აქვილიელი პატრიარქის სამფლობელოს. ფრიულის სასახლეში ეწვია პატრიარქს. მსახურებმა ერთი გნიასი და სიცილ-ხორხოცი ატეხეს, როცა ამ ვიღაც ჩამოძონძილმა, ტილიანმა კაცმა კარინთიის ჰერცოგობა, ტიროლის გრაფობა, რომის იმპერატორის შვილიშვილობა დაიჩემა. ტიროლელი ფეოდალების მოძულე პატრიარქმა, რომელიც ლუქსემბურგთაგან დიდად დავალებული იყო, მოკრძალებული

პატივისცემით მიიღო იოჰანი, გულშიც კი ჩაიკრა. მრავალმა დღემ განვლო, სანამ განაწამები, ილაჯგაწყვეტილი ხელმწიფე გონს მოეგებოდა და შვებით მოითქვამდა სულს. მერე კი კბილების ხრჭიალს მოჰყვა და მზაკვრული გეგმების შედგენა დაიწყო, გესლს ანთხევდა, წყევლა-კრულვით, მუქარით იკლებდა იმ ქვეყანას, საიდანაც ცოლმა გამოაძევა.

წიგნი მეორე

იმპერატორი ლუდვიგი მიუნხენში თავის შვილს, ბრანდენ-ბურგელ მარკგრაფს ესაუბრებოდა, მხარზე ხელი მოეხვია მის-თვის და ორივენი ოთახში ბოლთას სცემდნენ. ალერსიანად არწმუნებდა რაღაცას მამა მჭმუნვარე, უკმაყოფილო ვაჟს. სულ ოცდახუთი წლისა იქნებოდა ბრანდენბურგელი, მაგრამ უკვე დასრულებული ვაჟკაცი გეგონებოდათ. ქერა ულვაშები შვენოდა, ლეგლურჯა თვალები სუსხიანად იმზირებოდნენ, გა-მხდარ სახეზე მზე მოჰკიდებოდა, ღონიერი, ძარღვიანი კისე-რი ვიტელსბახთა გვარეულობიდან გამოჰყოლოდა. ჯმუხი იმპე-რატორი მაინც ბევრად მაღალი იყო მასზე, ფანჯრებში ჩასმუ-ლი ფერად-ფერადი მინებიდან თოვლიანი დღის მქრქალი სი-ნათლე შემოდიოდა. ოთახში რომ ბოლთას სცემდნენ ასე ხელ-მოხვეულნი, კაცს ეგონებოდა, ეს მთა-კაცი სადღაც მიათრევს საგონებელში ჩავარდნილ, გაჯიუტებულ ვაჟიშვილსო.

არა, არა! ამას ვერ იზამს. მორჩა და გათავდა. არ შეუძლია აიძულოს თავი, რომ ჰერცოგის ასული მარგარიტა შეირ-თოს ცოლად. ხუთ წელიწადს დანიელი პრინცესა ელისაბეღი იყო მისი ცოლი. ყოვლად თვინიერი და უსუსური არსება. გა-რდაიცვალა, ღმერთო, აცხონე მისი სული. მარკგრაფს სურს, ორი-სამი წელიწადი მაინც იცხოვროს უცოლოდ. ბრანდენ-ბურგში უამრავი სახელმწიფო საქმე აქვს მოსაგვარებელი, უნდა გააუმჯობესოს სახნავ-სათესი მიწების დამუშავება. ქალაქების ცხოვრება, დაძლიოს ვენდები. ან კი რატომ უნდა შეირთოს ტიროლელი მარგარიტა, რომელმაც ასე უცნაურად გააძევა თა-ვისი ქმარი? დიდად დავალებულია მამა-იმპერატორისაგან, მა-გრამ ამ ექსტრავაგანტურ ქალბატონს ცოლად ვერ მოიყვანს. დიახ, მამის ურჩი არაა იგი, მაგრამ მარგარიტას ქმრობა არ სურს!

არაა საჰარბიელო საცოლე. ლუდვიგის ადგილას თვითონაც ასე მოიქცეოდა. მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ მისი ლუდვიგი დამჯერი შვილი იყო, გონიერი ხელმწიფე, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ ქორწინება პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მარჯვე იარაღია. ასეთი შემთხვევა მეორედ შეიძლება არც კი მიეცეს. მიიღებენ ვიტელსბახები ტიროლს და მათი სამფლობელო ჩრდილოეთის ზღვიდან ადრიატიკამდე გადაიჭიმება. მამამ მშვენივრად იცოდა, რომ ლუდვიგს რამდენიმე წელიწადი ქვრივად ყოფნა ერჩია, რათა ლაღად ეცხოვრა ამ ქვეყანაზე. მაგრამ იგი თავადი იყო, თანაც ვიტელსბახი. ამიტომ ასეთი სიამოვნების უფლება არც კი ჰქონდა.

კოპებშეკრული ლუდვიგი სულ ახალ და ახალ მიზეზებს იგონებდა. ჯერ ერთი, მარგარიტაცა და მასთან დაკავშირებული ყველა ამბავი გულს ურევს, პაპიც არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება მარგარიტასა და იოჰანის განქორწინებაზე. მთელი ქრისტიანული სამყარო აყაყანდება, სხვისი ცოლი რომ შეირთოს.

იმპერატორმა მშვიდად უპასუხა, რომ მან მთელი ცხოვრების მანძილზე ტვირთად ზიდა ეკლესიიდან განკვეთა და პაპის ინდერდიქტი. შვილიც უნდა შეეგუოს ამას. სამწუხაროდ, ვიტელსბახები იოლად ვერაფერს აღწევენ.

საშინლად აღელვებული ლუდვიგი ხელიდან დაუსხლტა მამას, მაგიდას მიეყრდნო, უნებურად პატარა ულვაშებზე ისვამდა ხელს. დანიელი ელისაბედიც არ ყოფილა, რასაკვირველია, მშვენიერი ელენე. მან კარგად იცის, რომ ხელმწიფე გარეგნულ სილამაზეს ვერ გამოეკიდება. მაგრამ მარგარიტა! მისი გონჯი ტანი! — „კარინთიაა!“ — მიუგო იმპერატორმა. მისი დრუნჩა ტუჩები! — „ტიროლი!“ — მიუგო იმპერატორმა. მისი მომჩვარელი ლოყები, წინგამოშვერილი მეჩხერი კბილები!— „ტრიენტი! ბრიქსენი!“ — მიუგო იმპერატორმა.

იმ ხანებში ტიროლელი ბარონები, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ მოლაპარაკების წარმოება, გზად მიუნხენში გაჩერდნენ. ბრწყინვალე დესპანებმა მოიყარეს აქ თავი. მათი მეთაურები ხომ ქვეყნის პირველი არისტოკრატები გახლდნენ: ბურგ-

ნად იყვნენ დარწმუნებული წარმატებაში, რომ სრულიადაც არ ჩქარობდნენ, სიამოვნებით ათვალიერებდნენ ამ მშვენიერ, აფერადებულ ქალაქს, ლუდვიგის დროს ასე სწრაფად რომ გაზრდილიყო, ახალ მყუდრო რეზიდენციას, რომელსაც თავისთვის იშენებდა იგი. თადარიგიანი, მტკიცე ხალხია ეს ვიტელსბახები. ამიტომ ტიროლელებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რომ ვიტელსბახებმა არ გააცურონ. ასეც იქცევიან. აიძულებენ ვიტელსბახებს, რომ დაამტკიცონ მათი ყველა უფლება, სიგელები, პრივილეგიები. არ თაკილობენ გამოძალვას, მითვისებას, ხელიდან წაგლეჯას. ხელისუფლების ყველა ღონისძიების ვეტოსა და კონტროლის უფლება მოიპოვეს. სასოწარკვეთილი ლუდვიგი ფრიად შემოწყრა ბოლოს: რა თავში ვიხლი ისეთ ძალაუფლებას, რომელსაც ხელ-ფეხი შებორკილი აქვსო. გულმართლად გაუსწორა თვალი იმპერატორმა შვილს: „ჯერ ჩაიცვი ტანსაცმელი, ხოლო თუ გრძელი მოგივა, შეგიძლია მერე დაიმოკლო“.

მირქმამ გაიარა, შუა ზამთარი იყო, ცა ლურჯად კაშკაშებდა, თვალისმომჭრელად ქათქათებდნენ მთები. ტიროლის ციხე-სიმაგრისაკენ ზანზალაკების წკრიალით მიეშურებოდა ვიტელსბახების ჭრელი ქარავანი. თოვლი ხრაშუნებდა; ყღარუნებდა იარაღი, აკაზმულობა; ოქრო და ვერცხლი წკარუნებდა. ბაწარივით გაჭიმულიყვნენ საპალნიანი ცხენები, ჯორები, საზიდრები, ტახტრევნები, ფეხით მავალნი. ჩამონათოვ ჰაერში ყრუდ გაისმოდა მგზავრთა ხმაური. ტიროლისაკენ მიეშურებოდნენ მხიარული იმპერატორი, მისი ვაჟიშვილი — ბრანდენბურგელი მარკგრაფი ლუდვიგი, ბრაზმორეული ჯერაც რომ ორპოფობდა, მაგრამ ამ მსუყე ქვეყანას ლამის უკვე მოეჯადოვებინა, მისი ძმა სტეფანი, მდიდარი შვაბიელი თავადი ბატონი კონრად ფონ ტეკი — ბრანდენბურგელის უახლოესი მეგობარი, პირქუში ფანატიკოსი, გამრჯე კაცი, უზომოდ ერთგული ვიტელსბახებისა; ამათ მოსდევდნენ ტიროლელი ბარონები, ბავარიელი, შვაბიელი, ფლანდრიელი, ბრანდენბურგელი არისტოკრატები; ფრაიზინგის, რეგენსბურგის, აუგსბურგის ეპისკოპოსები, ორიც კიდევ იმპერატორის მიერ სამეფო კარზე მო-

წვეული ცნობილი თეოლოგი—ვილჰელმ ოკამი და მარსილიუს პადუა.

მთელი ამ მოგზაურობის დროს იმპერატორი სწორედ ამ ორ სულიერ მამას არ იცილებდა გვერდიდან. მთელი ევროპა აღშფოთდა, როცა ბრანდენბურგელისა და მარგარიტას მოსალოდნელი დაქორწინების ამბავი შეიტყვეს. მარგარიტა რომ სხვისი ცოლი იყო, ეს კიდევ არაფერი. თავი და თავი ამბავი ის გახლდათ, რომ იგი თავისი ბებიის, ელისაბედის, მხრიდან მესამე მუხლის ნათესაად ერგებოდა ლუდვიგ ბრანდენბურგელს. პაპს ფიქრადაც არ მოსვლია მარგარიტას განქორწინება პირველ მეუღლესთან. პირიქით, მყის განკვეთითა და ინტერდიქტით დაემუქრა. მოსახლეობა დიდად შეაშინა ამ მუქარამ. მაგრამ იმპერატორი სულაც არ აპირებდა უკანდახევას კურიის წინაშე. მან თავისი თეოლოგები დაუპირისპირა პაპს. მართალია, იმპერატორი დიდ ცოდნას ვერ დაიტრაბახებდა, ლათინურიც კი არ იცოდა, მაგრამ უდიდესი პატივისცემით იხრიდა ქედს სხვათა განსწავლულობის წინაშე. იგი გულწრფელად ნანობდა, რომ მისი ბავარიელები ხეპრეები და უვიცნი იყვნენ, სათოფედაც არ ეკარებოდნენ მეცნიერებას. იმპერატორის სამეფო კარის მეცნიერნი, დიდად განსწავლული ვილჰელმ ოკამი და მარსილიუს პადუა მთელ მსოფლიოში იყვნენ აღიარებულნი, მაგრამ ვაგლახ, რომ ბავარიაში არავინ იცოდა მათი ფასი!

ღვთისმოსავი გახლდათ იგი, სინდის-ნამუსის დამფასებელი. გულწრფელად პატივს სცემდა თავის თეოლოგებს, სჯეროდა მათი, სწამდა საღვთო საქმეებში მათი ჩახედულობა. ცისფერი თვალები მიაპყრო მათ და ისე შეეკითხა, სწორად თუ მიგაჩნიათ პაპის უარიო. მარსილიუსმა და ვილჰელმმა დაუდასტურეს, ვინაიდან იოჰანი ქმრობისათვის უმაქნისი მამაკაცი გამოდგა და მარგარიტა არც არასოდეს ყოფილა მისი ფაქტიური ცოლი, ამდენად მათი ქორწინება ბათილიაო. ამის გამო ფრეიზინგელმა ეპისკოპოსმა ლუდვიგ ფონ ხამშტეინმა იმპერატორის დაჟინებითი მოთხოვნით დასტური თქვა მარგარიტასა და იოჰანის განქორწინებაზე. სწორედ ამიტომ გაეშურნენ ალპებს გადაღმა ბავარიელი ეპისკოპოსნი. ფრიად სახიფათოდ თვლიდნენ ისინი ამ მისიას. თავიანთი თავი კი მამაცებად მიაჩნდათ. დაფიქრებულნი იყვნენ, მშმუნვარენი, ოფლად იღვრებოდნენ.

ბრანდენბურგელი კონრად ფონ ტეკის გვერდით მიდიოდა. დიდად დაინტერესა ამ ქვეყანამ, მისი მმართველობის უცნაურობამ. იმდენად გაიტაცა ეკონომიკამ, რომ არც ბუნების სილამაზე შეუმჩნევია, არც ხალხის თავისებურება. მკაფიოდ, ცივი ხმით ლაპარაკობდა სახნავ-სათესად ვარგის მიწებზე, ხალხის დასახლებაზე, სავაჭრო გზებზე, ოლქებად დაყოფაზე, დაბეგვრის მეთოდებზე. ბრანდენბურგი იქნებოდა თუ ტიროლი, მისთვის ეს იყო მხოლოდ ტერიტორია, სადაც მეურნეობა უნდა განმტკიცებულიყო. აქ კი იგი მხოლოდ გაპარტახებას ხედავდა. როცა მისი გახდებოდა აქაურობა, იგი მტკიცედ მოჰკიდებდა ხელს საქმეს, გონივრულად წარმართავდა მეურნეობას.

ბატონი ფონ შენა ვილჰელმ ოკამის გვერდით მოდიოდა. გზა აღმართს მიუყვებოდა და ისინი წინ მიმავალი იმპერატორის ვეება ზურგსა და ღონიერ კისერს შესცქეროდნენ. მგზავრები ლუდვიგზე საუბრობდნენ. ამ ცხოვრებაში ბევრის მნახველი კაცი იყო თეოლოგი, ფიცხად ლაპარაკობდა, დიდად აქებდა ხელმწიფის მაღალ ზრახვებს, მის სიყვარულსა და რიდს განსწავლულობის მიმართ, იწონებდა ქალაქ მიუნხენის არქიტექტურას, ეტალის რაინდთა ორდენის შექმნას მსგავსად პარციფალის ვოლფრამის ორდენისა. შორსმჭვრეტელ ფონ შენას ყოველივე ეს ნაკლებად ეკარებოდა გულს. ვიტელსბახი მას იმიტომ მოსწონდა, რომ თანამედროვე ყაიდის მმართველად მიაჩნდა. იმპერატორს ქალაქები უფრო უყვარს, ვიდრე ციხე-კოშკები, ვაჭრებს მეტად აფასებს, ვიდრე ჯარისკაცებს; გარიგების ხელშეკრულება ურჩევნია ბრძოლებს, რაინდობაზე უფრო მეტად სარგებლიანობას სცემს პატივს. მართალია, დროდადრო რომანტიზმის სენი შეიპყრობს ხოლმე, მაგრამ ეს მხოლოდ ტრადიციაა და არა მისი გულისხმა. მეფე იოჰანი, ლუქსემბურგელი, თუმცა მერყევი კაცია, მაგრამ მაინც კონსერვატორია. ძველი ყაიდის რაინდია, თავგადასავალთა მაძიებელი. იმპერატორი კი, პირიქით, უფრო ქალაქელს ჰგავს, იგი დღევანდელი დღის ადამიანია, ანგარიშის კაცია. ამიტომ ლუქსემბურგელი მეტს მოიხვეჭს, მაგრამ ნაკლებს შეინარჩუნებს, და საბოლოოდ გამარჯვებული მაინც იმპერატორი დარჩება, რამეთუ იგი ეპოქის შვილია. თეოლოგი დაფიქრებული უსმენდა ფონ შენას, უნდობლად ეკიდებოდა ლიტერატურული ფორმით გა-

მოთქმულ მის ჭკვიანურ, მართებულ აზრებს. ორივენი ისევ წინ მიმავალი ვიტელსბახის ფართო, ზორზოს ზურგს მისჩერებოდნენ, არც ერთს არ გაუმხელია ნაფიქრალი: ამ კაცის მოქმედება მუდამ საკუთარი გამორჩენისათვის ზრუნვა იქნება, მხოლოდ და მხოლოდ გამორჩენისათვის. იგი მუდამ გულღიად გაუსწორებს თვალს სამყაროს, სხვა ადამიანებს, მუდამ წრფელად და თავდაჯერებულად გააიგივებს სამართლიანობას, მორალს, ღვთის ნებას საკუთარ, პირადულ გამორჩენასთან.

ღამე შტერცინგში გაათიეს. მეორე დღეს კი იაუფენის უღელტეხილს შეუდგნენ, მოკრიალებული ცა დაჰყურებდათ თავზე, ხარბად ისუნთქავდნენ მთის სუსხიან, გამამხნევებელ ჰაერს. ქედი გადალახეს და ის იყო თავქვე დაეშვნენ, რომ ანაზდად ფრაიზინგელი ეპისკოპოსის ცხენი დაფრთხა, განზე გახტა და ყირამალა გადმოაგდო მხედარი. ეპისკოპოსი კლდეს დაენარცხა და სული განუტევა. და აი, ეს ტანმორჩილი მოუსვენარი კაცუნა უსულოდ გდია გაყინულ თოვლზე და უსიცოცხლო თვალები მოწმენდილი, მხიარული ცისთვის მიუპყრია. პაპს მისი ადგილი სხვისთვის ჰქონდა შეპირებული, მაგრამ მან მაინც მოახერხა ფრაიზინგის ეპისკოპოსად გახდომა, ახლაც პაპის ნების წინააღმდეგ აპირებდა ქორწინების წმინდა აღთქმის დარღვევას. ჰოდა, გაშოტილი გდია, ყვითელი, გაშეშებული, უსულო. ჭრელი, ხმაურიანი, ზარ-ზანზალაკებიანი ქარავანი შედგა. „ღვთის განგებაა!“ — აჩურჩულდნენ ყოველი მხრიდან. შიშით შეძრწუნებული რაინდები გარს შემოეხვივნენ ცხედარს. მერე სუდარაში გაახვიეს, საკაცეზე დადეს და მერანისაკენ განაგრძეს გზა. უხმაუროდ ჩავიდა ეს პატივმოყვარე კაცუნა ქალაქში, სადაც თავის სიცოცხლეში ყველაზე გაბედული, კადნიერი რამ უნდა მოემოქმედა. აუგსბურგისა და რეგენსბურგის ეპისკოპოსები ისე იყვნენ დამფრთხალი, რომ უარი განაცხადეს პირველ ქმართან მარგარიტას განქორწინებაზე.

და მაინც, როცა იმპერატორი ტიროლის სასახლეში მობრძანდა, მას კვლავ მხნე განწყობილება დაეუფლა. შორსაა ავინიონი, დაე იბობოქროს იქ ბენედიქტემ და უსუსური წყეულაკრულვა უგზავნოს მას. სიტყვების მეტი რა აბადია პაპს, იგი კი მიწის მფლობელია. ქრისტიანული სამყაროს რომელი ხელ-

მწიფე შეედრება მას ძლევამოსილებაში? ორივე ბავარია გაერთიანა, ბრანდენბურგი მისი კუთვნილებაა, უცილობელი უფლება აქვს მემკვიდრეობით დაეპატრონოს ჰოლანდიას, ფრისლანდიას, ზელანდიას, ჰენეგაუს. ახლა ამას ზედ ემატება ეს მთაგორიანი ქვეყანა, ძველთაძველი, მდიდარი, ლამაზი მხარე. მის გადაღმა კი დაუძლურებული, დაქუცმაცებული იტალიაა. რაკი იგი ალპების მწვერვალების ბატონ-პატრონი გახდა, თუნდაც უკვე ხელთა ჰქონოდეს იტალია. ჰოი, ლამაზო ტიროლო! კეთილო, მტკიცე ციხე-ქალაქო!

გაოცებით ისმენდნენ მოსაცდელში თავშეყრილი ახლობლები, როგორი მკაფიო, წკრიალა ხმით მღეროდა თავის სავანეებში იმპერატორი. „იგი ისე მღერის, როგორც დავითი კიდობნის წინ!“ — თქვა აუგსბურგის ეპისკოპოსმა. იმპერატორი, რომელმაც იმ დღეს მარტო ყოფნა ინება, ხშირ-ხშირად გასცქეროდა თეთრად გადაპენტილ არემარეს, ბარძაყებზე ხელს ირტყამდა, მხიარულად მღეროდა ისეთ სიმღერებს, რომლებიც მისი ბავარიის სოფელთა ტრაქტირებში გაისმოდა ხოლმე.

ორი დღის შემდეგ იმპერატორმა ვიტელსბახმა თვითონ დააქორწინა მარკგრაფი ლუდვიგი ჰერცოგის ასულ მარგარიტაზე. ამან ფრიად გაანაწყენა ტიროლი და საერთოდ მთელი ევროპა. მეორე დღეს ქალაქ მერანში ახლად დაქორწინებულთ სალენო მფლობელობაში გადასცა კარინთია და ტიროლი. მას საიმპერატორო სამოსელი ეცვა, კონრად ფონ ტეკს იმპერიის მახვილი ეპყრა ხელთ, არნოლდ ფონ მასენჰაუზენს — სკიპტრა, ბატონ ფონ კრაუსს — სფერო. მარგარიტა დიდებულად იყო მორთულ-მოკაზმული, ძვირფასი თვლებით მოოქვილი მძიმე ტანსაცმელი უშნოდ გაფხოროდა ტანზე, ჰერცოგის ასული მონუსხულივით ერთ ადგილს მისჩერებოდა.

ვენის სასახლეში დიდხანს საუბრობდნენ კოჭლი ალბრეხტი და იოჰან ბოჰემიელი. ვიტელსბახის მიერ ტიროლის ხელში ჩაგდებამ კვლავ შეარიგა და დაახლოვა ლუქსემბურგი და ჰაბსბურგი. ამ სინდისგარეცხილმა იმპერატორმა ტიროლი ხომ შესანსლა. გარდა ამისა, თავის ვაჟს სალენო მფლობელობაში მიუბოძა მთელი კარინთია, რომელიც ადრე თვით იმპერატორის

მეოხებითა და შეწევნით ჰქონდა დამკვიდრებული ჰაბსბურგს. ორთავე ხელმწიფე აღშფოთებული და გაოცებული იყო, მაგრამ არა იმდენად ვიტელსბახის უტიფრობით, რამდენადაც მისი სულელური მოქმედებით.

კოპლმა ალბრეხტ ჰაბსბურგმა ყველა ღონე იხმარა, რათა თავისი კარინთია ხელიდან არ გამოსცლოდა. ამიტომ კიდევ ერთხელ ჩაატარა კარინთიის ტახტზე აბრძანების ძველი ცერემონია. მისთვის ხომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სახელის განმტკიცებას.

უსინათლო ლუქსემბურგს ფიცხი ფანტაზია ჰქონდა და უფრო გაბედულ გეგმებს აწყობდა. ტიროლში, ამ სანატრელ, უგემრიელეს ნაყოფში, ზორზოხა ყეყეჩმა ვიტელსბახმა რომ მოწყვიტა, ჭია იყო ჩაბუდებული. კოპლი ალბრეხტი, რომელიც ნაკლებად ზრუნავდა თავის ჩაცმულობასა და ვარცხნილობაზე, ყურადღებითა და უნებური აღტაცებით შესცქეროდა უსინათლო ხელმწიფეს, მის წინ რომ იჯდა მოხდენილი, ტანგამართული, თავით ფეხებამდე სალუქი. დახვეწილად, ფრთხილად, ნართაულად ლაპარაკობდა თავის თამამ, ფანტასტიკურ გეგმებზე. ო, არა, დიდ სიხარულს არ მიანიჭებს ეს ახალი ქვეყანა. კაცმა რომ თქვას, იოჰანი საკმაოდ დამყოლია. აქამდე იგი ყოველთვის კვერს უკრავდა ლუდვიგს, როცა გამორჩენას მოელოდა მისგან, თუმცა არც არასოდეს ჰქონია სიძულვილი და შური მის მიმართ. ამიერიდან იგი სრულიად გამოიცვლება. ვიტელსბახის ესოდენ ბილწმა თაღლითობამ, ასეთმა თავდაჯერებულობამ, სიხარბემ და თავხედობამ სიძულვილით, ბრაზით აღავსო იგი. რაინდისა და ავანტიურისტის გაუნელებელი ღვარძლით განიმსჭვალა მეშჩანის წინააღმდეგ.

ახალი პაპი კლიმენტ მეექვსე სულაც არაა ისეთი თეორეტიკოსი, როგორიც ნეტარხსენებული ბენედიქტი იყო. იგი დარბაისელი, ბრწყინვალე თავადი და პოლიტიკოსია, იოჰანთანაც ახლო მეგობრობა აქვს და მის ვაჟიშვილ კარლოსთანაც. თანაც კარლოსის მოძღვარი და მისი ნდობით აღჭურვილი უახლოესი პიროვნებაა.

ბრანდენბურგელის ქორწინებამ საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია იმპერატორისადმი. ახალი პაპის ბრძანებით ყველა ეკლესიის კათედრამ რომ გამოაცხადოს ახლა—იმპერატო-

რი ეკლესიიდან განიკვეთა და ინტერდიქტი დაედოო, ასეთ ანათემას პოლიტიკურ ღონისძიებად როდი მიიჩნევენ, მთელი ქრისტიანული სამყარო მოწონებითა და თანაგრძნობით შეხვდება ამ ამბავს. კურფიურსტები, ქალაქები, ხალხი აღარ მოუხრის ქედს ვიტელსბახს. უკვე უარი უთხრეს მორჩილებაზე. როდესაც მისი ვაჟიშვილი კარლოსი ავინიონის შემწეობით რომის ხელმწიფე გახდება, იოჰანი უძლეველ ლიგას შექმნის ლუდვიგის წინააღმდეგ.

ალბრეხტი უაზროდ ისვამდა ხელს გაუპარსავ სახეზე, გულისყურით უსმენდა იოჰანს. ლუქსემბურგელის ადრინდელი ზრახვანი მუდამ ქარაფშუტული იყო, ამჯერად კი გონივრული ეჩვენა მისი გეგმები, თუმცა ეს მაინც თავდასხმასა და ბრძოლას გამოიწვევდა. ალბრეხტს სულაც არ უნდოდა ასეთ საქმეში გარევა. ჭაბუკი როდიღა იყო იგი, საკმაო გამოცდილება ჰქონდა მიღებული და მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში თუ ამოიღებდა ქარქაშიდან სატევარს.

ასე საუბრობდა ეს ორი ძლევამოსილი მეფე, რომელთა ძალაუფლება შუა ევროპის უმეტეს ნაწილზე ვრცელდებოდა. დიდხანს უჩიჩინა უსინათლომ კოპლს, მაგრამ მხოლოდ თავდაცვით კავშირზე შეიპირა იგი.

საუბარი რომ დაამთავრეს, იოჰანი ერთი ლაზათიანად გაიზმორა, წამოდგა და წასასვლელად მოემზადა. უსინათლო ხელმწიფე ხელების ცეცებით გაჰყვა კედელს, მაგრამ კარს მაინც ვერ მიაგნო. მართალია, ალბრეხტს შეეძლო მიესწავლებინა კარისაკენ, მაგრამ ხეიბარს ძალა არ შესწევდა ბრმას დახმარებოდა. ბოლოს ორივეს გულიანი სიცილი აუვარდა და მანამდე ხითხითებდნენ, სანამ ერთმა მხლებელმა გარედან არ გაუღო კარი.

დიდი უბედურება დაატყდა თავს მთიან ქვეყანას, ღვთის მსახვრალი ხელი აღიმართა მის წინააღმდეგ, რადგან ასე უსეშად წაბილწა ჰერცოგის ასულმა ქორწინების წმინდა აღთქმა. „ღვთის რისხვაა!“ — გაჰყვიროდნენ მთელ ევროპაში პაპის მომხრენი. „ღვთის რისხვაა!“ — ლაპარაკობდა დამფრთხალი ხალხი, ოხრავდა, მკერდში მუშტებს იცემდა, მარხულობდა.

მეორედ რომ დაესაჯა ადამიანები ცოდვისათვის, ჯერ იყოდ:

ისეთი წვიმები ატყდა, თითქოს ცა ჩამოიქცაო, ხელმეორე წარღვნა დაიწყო.

„ვაი ჩვენს უბედურ თავს! დევკალიონების წვიმას გვაწვიმს მერწყულე!“ — გაიხსენა ვიქტორინგელმა აბატმა ძველი ლათინი ავტორი. თითქოს მთელი ევროპის მდინარეები გადმოიღვარნენ ამ მხარეშიო, წყალმა ძირფესვიანად დათხარა ხეები, დატბორა ნათესები, სოფლები, წალეკა ხალხი. ინმა თავის ზვირთებზე წამოიკიდა ხიდები, წაიღო კოშკები, სახლები, ეჩის დაბლობი დიდ ტბას დაემსგავსა, ნოიმარკტიდან ტრამინსიქითა ადგილ-მამულებში ნავებით დადიოდნენ.

მერე ხანძარი მოედო იქაურობას, ზედიზედ გადაიბუგა მერანი, ინსბრუკი, ნოიმარკტი.

მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება იყო კალია, რომელიც ზაფხულში მთელ მხარეს მოედო. კალია აღმოსავლეთიდან მოფრინავდა.

პირწმინდად გადაჭამა მთელი უნგრეთი, პოლონეთი, ბოჰემია, მორავია, ავსტრია, ბავარია, ლომბარდია, მერე კი აყვავებულ ტიროლსაც შეესია.

მზეც კი დააბნელა ლეგა ღრუბლების დარად აშლილმა. ბოლო არ უჩანდა შავ ქარავანს, მოფრინავდა დღისით, მოფრინავდა ღამით, მთელი ოცდაშვიდი დღე კალიების წყვდიადში იყო გახვეული ეჩის დაბლობი.

საშინლად დამფრთხალი ხალხი პროცესიებზე დააკონწიალებდა წმინდანების გამოსახულებებს, ზეცისკენ ხელაპყრობილი ლოცულობდა. კალტერნის მოძღვარმა ნაციფ მსაჯულებს განაჩენიც კი გამოატანინა კალიის წინააღმდეგ, მაღალ კათედრაზე შემდგარმა ეკლესიიდან განკვეთა იგი. ვეებერთელა მწერებს ძვირფასი თვლებივით მოელვარე კბილები ჰქონდათ. ქალები თავიანთი კაბების მოსართავად დაეშურნენ მათ. კალიათა გუნდებს, რომელთაც ძირფესვიანად გააპარტახეს მდინარე ინის სანაპიროები, ორი ფრიად საგულისხმო ამბავი შეამჩნიეს. გუნდის მეთაური და რამდენიმე თანმხლები ერთი დღის საფრენზე დაწინაურდებოდნენ ხოლმე და უკან მომავალთათვის წინასწარ არჩევდნენ ადგილს; კალიის გუნდები გადაფრენას იწყებდნენ ჯგუფ-ჯგუფად, თითქოს გაწვრთნილი სამხედრო შენაერთები ყოფილიყვნენ. ერთი ფოთოლი არ და-

უტოვებიათ ბუჩქებსა და ხეებზე, ძირისძირობამდე გადაჭამეს ბალახი, ჭვავი, ფეტვი. კალიამ გადაიარა და დარჩა მიწა გადახუნებული, გადაშავებული, გამომშრალი და ნაცრად ქცეული.

*

ჰერცოგის ასული მარგარიტა თავის მხლებლებთან ერთად არლის მთებს გადადიოდა. სანკტ-ანტონში შეგროვილ ცნობისმოყვარეთა ბრბოში ერთი თერთმეტ-თორმეტი წლის გოგონა დედამისს აჰკვროდა. დიდებულებმა რომ ჩაუარეს, გოგონამ ხმამაღლა წამოიყვირა:

— დედი! დედი! რომელია მოწყალე ქალბატონი ჰერცოგის ასული — მაღალი და გამხდარი რომაა, თუ მეორე — დრუნჩიანი.

ხეპრე, მაგრამ კეთილი ახალგაზრდა ქალი უშნოდ დაიკრიჭა, აწარხლდა, თავში წამოარტყა ბავშვს.

— ხმა ჩაიწყვიტე, საძაგელო!

ირგვლივ ხალხი იცინოდა, გოგონა აღრიალდა, მისი ნათქვამი კი აიტაცეს. ჯერ ის მხარე მოიარა, მერე სხვა ქვეყნებსაც მოედო და მალე მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ დრუნჩიანი შეარქვა ჰერცოგის ასულს. მარგარიტამაც შეიტყო ეს და, თითქოს ადრევეც ელოდაო, ნაღვლიანი მდუმარებით მიიღო ეტსახელი. ჰო, რა უნდა დაარქვას თავის ახალ ციხე-კოშკს? ბრუნეკი? ნოიგრაფენბურგი? არა, „მაულტაშს"[1] უწოდებს მას.

მარკგრაფი ლუდვიგი თავის მეგობარ ჰერცოგ კონრად ფონ ტეკთან ერთად ხარჯებისა და გადასახადების ნუსხებს ჩაჰკირკიტებდა. ახალგაზრდა მარკგრაფი საქმიანად, გამჭრიახად უპირისპირებდა ერთმანეთს ცხადზე უცხადეს ფაქტებსა და ციფრებს. ასაკით მასზე უფროსი, ჯმუხი, ბრგე ჰერცოგი ფონ ტეკი ყურადღებით უსმენდა. აბჯარასხმული გახევებული იჯდა. მარკგრაფი კი, თუმცა გულისყურით ეკიდებოდა საქმეს, მაინც

[1] მ ა უ ლ ტ ა შ ი—გერმანულად: დრუნჩიანი.

შეოთავდა და მალიმალ მუშტს ურტყამდა მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს.

ლუდვიგის ცისფერი თვალებიდან ცივი, მკაცრი მზერა გამოსჭვიოდა. მოდის წაუხედავად შეეკრიჭა ქერა ულვაშები, კანაქერცლილ, გარუჯულ, ენერგიულ სახეზე ბრაზი და მღელვარება აღბეჭდოდა. ტიროლელი ბარონები მას მუდამ მატყუარებად და წამგლეჯებად მიაჩნდა, მაგრამ მაინც ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი მმართველობის დროსაც გაბედავდნენ ასე უტიფარ და აშკარა თაღლითობას. ვითომცდა აქ არაფერიაო, ისე იჯიბავდნენ მისი შემოსავლის ცხრა მეათედს და თავსაც არ იწუხებდნენ, რომ როგორმე მიეჩქმალათ საკუთარი სიხარბე, ეს კია, რომ ბარონებმა ეშმაკურად დაიზღვიეს თავი. ასეთი სიყალბისათვის წინასწარვე უზრუნველყოფილი ჰქონდათ შეწყალება. მხოლოდ ადგილობრივ მკვიდრთ შეეძლოთ მათი კეთილსინდისიერების შემოწმება, მაგრამ რადგან ყველანი ერთი ჯურის ავაზაკები იყვნენ, რა ფასი ჰქონდა ასეთ ზედამხედველობას.

ბრგე, რიხიანმა, უწვერულმა კონრად ფონ ტეკმა სათქმელი ათქმევინა მარკგრაფს და შემდეგ დასძინა:

— ჭკუა უნდა ვასწავლოთ! ხელშეკრულებები და შეწყალებები სისულელის მეტი არაფერია! უბრძანე, რომელიმე მათგანი გათოკონ! დაე, მერე სხვებმა მოითხოვონ, იყვირონ! როცა დარწმუნდებიან, რომ ფუჭია მათი გულისწყრომა, მყისვე მოთვინიერდებიან!

მარკგრაფს ღიმილი გაუკრთა სახეზე, როცა თავის მეგობარს რაღაც ქაღალდი გაუწოდა. ეს იყო ჯერ ხელმოუწერელი ბრძანება ფოლკმარ ფონ ბურგშტალის დაპატიმრებაზე.

— ნამდვილად ვიცი, რომ მამაჩემი ამას არ ჩაიდენდა, — თქვა მან. — ეშმაკმა უწყის, რა მოჰყვება ამას. ზურგი არა მაქვს დაცული.

კონრად ფონ ტეკმა უაზრო თაფლისფერი თვალებით შეხედა მას და წრიპინა ხმით მიუგო.

— ჰოდა, გაიმაგრე ზურგი.

ლუდვიგმა ისე შეხედა, თითქოს თვალებით უთხრა, მიგიხვდიო. ზარი დარეკა და მსახურს უბრძანა:

— ჰერცოგის ასულს სთხოვე.

ჰერცოგის ასულის მოსელამდე ორივენი დუმდნენ. ლუდვიგი არაფერს უმალავდა თავის მეგობარს. ამიტომ კონრად ფონ ტეკმა შესანიშნავად იცოდა, როგორი ურთიერთობაც იყო მასსა და მარგარიტას შორის. პირვანდელი უნდობლობა და სიძულვილი თანდათან შეცვალა კეთილმოსურნე ამხანაგობის მშვიდმა გრძნობამ. მარგარიტა გონიერი ქალი გახლდათ, სრულიადაც არ იყო მაბეზარი, არც თვითონ სჩვეოდა სანტიმენტალობა და არც სხვისგან მოითხოვდა ამას. ვიტელსბახსაც სწორედ ეს უნდოდა. ჰერცოგის ასულს კი ფრიად მოსწონდა მისი პირდაპირობა და ფხიზელი გონება. მხოლოდ ეს მამაკაცური თვისებები არ აღიზიანებდნენ მარგარიტას იმ წლებში. ლუდვიგი თანდათან შეეჩვია მის უცნაურ გარინდებასა და განმარტოებას. აღარც მისი სიმახინჯე ხვდებოდა თვალში. ხანდახან კონრადთან საუბრის დროს იგიც, ისევე როგორც მთელი ქვეყანა, „დრუნჩიანად“ მოიხსენიებდა ხოლმე მარგარიტას, მაგრამ ზიზღის ნატამალიც არ იგრძნობოდა ამაში.

ჰერცოგის ასულს შეაგვიანდა. ასე სჩვეოდა — სანამ თავით ფეხამდე დედოფალივით არ მოირთვებოდა, მანამდე არავის ენახვებოდა. აი ახლაც მძიმე ყავისფერი ქსოვილისაგან შეკერილი კაბა ჩაეცვა, მთლად ოქრომკედით ნაქარგი. ფერ-უმარილით შეღებილი გახევებული სახე ნიღაბს მიუგავდა, ხელებიც კი გაეთეთრებინა უმარილით. მარკგრაფმა წინ დაუწყო საბუთები და მოკლედ განუმარტა, თუ რაოდენ უტყუარი იყო მასალა, რომელიც აშკარად ამხელდა ფოლკმარ ფონ ბურგშტალის თაღლითობას. მარგარიტას მაშინვე თვალწინ დაუდგა გონებაჩლუნგი, ზორზოხა ფოლკმარი, მხეცური გაუმაძღროებით გაბოროტებული მისი სახე. დაუნდობელი ხელით ყოველივეს აცამტვერებდა იგი, ლუქსემბურგების წინააღმდეგ წამოწყებულ ბრძოლაში წინ წაიმძღვარა ჭაბუკი როტენბურგი, ხალისიანი, უწყინარი ალბრეხტი, თვითონ კი არამზადულად მიიმალა თავის აშმორებულ ციხე-კოშკში. მარგარიტას უმარილწასმულ სახეზე ძარღვიც არ შეტოკებია.

— დააპატიმრეთ! — წარმოთქვა მან.

საერთოდ უნდილმა კონრად ფონ ტეკმაც კი მსწრაფლ გაკვირვებით ასწია თვალები.

— მამაცი ბრძანდებით, ჰერცოგის ასულო! — მიუგო მან.

ნდენბურგელმა, — თქვენი თანამემამულეები მალე მოთვინიერდებიან, რადგან მე ყურად ვიღებ მაგ თათბირს. — ლუდვიგმა ბრძანებაზე ხელის მოწერა სთხოვა ჰერცოგის ასულს. მარგარიტამ არ დააყოვნა.

ბურგგრაფი ფოლკმარი დააპატიმრეს და გაასამართლეს. ქვეყნის უდიდესი არისტოკრატის დასჯამ დიდი აურზაური გამოიწვია. დამფრთხალი ბარონები გაერთიანდნენ: სამხრეთში შფოთს სთესავდა ტრიენტის ეპისკოპოსი ნიკოლაუსი, დასავლეთში — ხურის ეპისკოპოსი. მაგრამ კონრად ფონ ტეკი, რომელსაც მიენდო ეს საქმე განსასჯელად, უკან არ იხევდა. ჯერ ბრალდება წაუყენა ფოლკმარს, მერე ქონება ჩამოართვა, წარამარა დაკითხვებს უწყობდა, აწამებდა, მაგრამ დამნაშავემ განაჩენის გამოტანამდე ვერ გაძლო. იგი უეცრად გარდაიცვალა საპყრობილეში. ქვეყანა აფორიაქდა, აჯანყებაც კი სცადეს, მაგრამ გამბედაობა არ ეყოთ, ბედს შეურიგდნენ, დამორჩილდნენ და გაყუჩდნენ.

მარგარიტა ტუალეტის მაგიდას უჯდა, როცა ფოლკმარის უეცარი სიკვდილის ამბავი შეატყობინეს. მოახლე ქალს, როტენბურგს, რომელიც სწორედ ამ დროს თმას უვარცხნიდა ჰერცოგის ასულს, სავარცხელი გაუვარდა ხელიდან.

— დამვარცხნე, რაღას უდგეხარ! — ხმაც კი არ შეცვლია, ისე წარმოთქვა მარგარიტამ.

ჰერცოგის ასული ფონ შენას ციხე-დარბაზის ლოჯიიდან მზით გაჩახჩახებულ მიდამოს გასცქერიდა. იაკობ ფონ შენა მარგარიტას პირისპირ იჯდა. მათ თავს ზევით, კედელზე, ნაირფერად გამოწყობილი რაინდები სადღაც მიეშურებოდნენ.

საამო მოსასმენი იყო შენას საუბარი. დაღლილი ხმით ლაპარაკობდა, გონივრულად მსჯელობდა. მკაფიოდ, შეულამაზებლად გამოთქვამდა თავის აზრებს. მისი საუბარი ისეთ სიამოვნებას განაცდევინებდა მარგარიტას, თითქოს თბილ აბაზანაში ელიელიოს. მარკგრაფმა ბევრჯერ მოიწადინა თავის სამსახურში ჩაეყენებინა ფონ შენა, მაგრამ მან დიპლომატიური თანამდებობებიც, ოქროს საპატიო ძეწკვებიც თავის ძმებს პეტერმანსა და ესტლაინს გადაულოცა. თვითონ არასოდეს და-

როგორც სხვა დროსაც ხშირად მომხდარა ხოლმე, ახლაც მარკგრაფის პიროვნებას შეეხო იგი.

არა, მას არაფერი აქვს საერთო აი ამათთან, — დასძინა მან და კედელზე გამოხატულ რაინდებზე მიუთითა. — როცა იგი ტყეს ხედავს, ურჩხულებზე კი არ ფიქრობს, რომლებიც შეიძლება ამ ტყეში იმალებოდნენ, არც იმ მზეთუნახავზე, რომელსაც გოლიათი იცავს და განთავისუფლებას ელის. მარკგრაფი სარგებლიანობის თვალსაზრისით შეაფასებს ტყეს, გამოიანგარიშებს — სარფიანი იქნება თუ არა ხე-ტყის შეზიდვა მახლობელ ქალაქში, რათა ახალი შენობებით დამშვენდნენ ქუჩები. მარკგრაფს არასოდეს უნახავს ქონდრისკაცები. მისი მმართველობის დროს გაძევებულნი, ვერც გაბედავენ უკან მობრუნებას. არც მეფე იოჰანს უდგას ჯიბრში. სულაც არაა მოწადინებული, რომ წელიწადში თვრამეტჯერ ან ოცჯერ გაიმარჯვოს ტურნირებში, მოდური საჭურველი ატაროს, ხშირ-ხშირად იაროს პარიზში. მაგრამ იმას კი შეეცდება, რომ მისი სახელი რაც შეიძლება იშვიათად მოიხსენიოს ფლორენციელმა მესერე არტეზემ ვალების წიგნში, და რომ ვაჭრებმა უხიფათოდ ატარონ თავიანთი ტვირთი გზებზე, ქალაქებშიც პატიოსანი, კეთილსინდისიერი ჩინოვნიკები ისხდნენ.

შენა თავის ამოჩემებულ თემაზე საუბარს არ ეშვებოდა. სადღაა ძველი დრო. რაინდობა და რაინდული ზნე-ჩვეულებანი გაუფასურდა, ბუტაფორიად იქცა. ვის მოუვა ახლა ჭკუაში, რომ ადგეს და შორეულ ქვეყნებში სამოგზაუროდ გაემგზავროს, რათა მარჯვნივ და მარცხნივ იქნიოს ხმალი. ნურას უკაცრავად. მაშინვე თავზე წამოადგება პოლიცია. ჩვენს უფერულ დროში ფათერაკების მაძებარი ვერც სიმდიდრეს მოიხვეჭს, ვერც სახელს. ვინ იცის, იქნებ ძველი დრო სჯობდა, უფრო მეტი პატიოსნება იყო, მეტი სიცხადე. ახლანდელი ცხოვრება ბევრად უფრო რთულია. ციხე-კოშკების ადგილი ქალაქებმა დაიკავა, ცალკეული ძლიერი პიროვნებები ორგანიზაციებმა შეცვალა. და თუ მოხეტიალე რაინდს ვახშამი ან ღამის გასათევი მოუნდება, ღმერთო ძლიერო, ამაში საფასურსა სთხოვენ. ხვალინდელი დღე რაინდს აღარ ეკუთვნის, იგი მოქალაქემ და-

ისაკუთრა, აბჯარი და საჭურველი ფულმა — აღებ-მიცემობის საქონელმა განდევნა. როგორი ზარ-ზეიმითაც უნდა იმოგზაურო, ისეთმა დიდებულებმა, როგორიც მეფე იოჰანია, ყოველი მათი ნამოქმედარი უსუსურია და წარმავალი. მტკიცეა მხოლოდ ქალაქების აუჩქარებელი, ფრთხილი, ანგარიშიანი საქმიანობა; რა ვუყოთ, რომ ისინი ნელ-ნელა, დიდი სიფრთხილით აშენებენ, სამაგიეროდ უჯრედი უჯრედს მტკიცედ ეკვრის, ქვა ქვას ედუღაბება და მთელი ეს მუშაობა მუდმივია, დაუცხრომელი.

მარგარიტას გულმხურვალედ სჯეროდა ფონ შენას ასეთი მსჯელობისა. განა მან თვითონ საკუთარ ზურგზე არ იწვნია მთელი სიმძაფრით ყოველივე ეს? სიყვარული რას მიქვია, თავგადასავალი რის მაქნისია! ყოველივე ეს მხოლოდ აუძლურებს ადამიანს, გულს უკოდავს, სულიერად აპარტახებს. მარგარიტას ადრეც უფიქრია ამაზე, მაგრამ ახლა ამ აზრებმა უფრო ღრმად გაიდგეს ფესვი, უფრო გამოიკვეთნენ, სისხლსა და ხორცში გაუჯდნენ. მისი უსახურობა წყალობაა, ნიშანსვეტია, რომლის მეოხებითაც ღმერთი სწორ გზას მიანიშნებს. რაინდობა, ფათერაკიანი თავგადასავლები კი ხრწნა და დამყაყებაა. ჰერცოგის ასულის მთელი საქმიანობა მომავალს უნდა ემსახურებოდეს. მომავალი კი ასე ესახება: ქალაქები, ხელოსნობა და აღებ-მიცემობა, კარგი გზები, წესრიგი და კანონიერება. არცა ზარ-ზეიმები, არცა სიყვარული არაა მისი წილხვედრილი, მისი საქმე და მიზანი საღი და მშვიდი პოლიტიკაა.

მარკგრაფის გულს ესალმუნებოდა მარგარიტას ასეთი შეხედულებები. ჰერცოგის ასულმა მშვენივრად იცოდა, გრძნობდა, თუ რაოდენ შეზღუდული და პედანტური იყო ლუდვიგი. მაგრამ ამავე დროს დიდად აფასებდა მის ბეჯითობას საქმეში, მის კეთილსინდისიერებას. ისე შეესისხლხორცა მარკგრაფის ამ თვისებებს, როგორც ღვიძლსა და განუყოფელს. ცოლ-ქმარი უმეტეს დროს ერთად ატარებდა. ერთად ჭამდნენ, ერთად ეძინათ, ერთად მუშაობდნენ. მათ შორის მადლიანი თანხმობა სუფევდა. აზრებიც კი ერთნაირი ებადებოდათ. პირველ ბიძგს მარგარიტა იძლეოდა, მაგრამ ისე შეუმჩნევლად ახერხებდა ამას, რომ ძნელად გაარჩევდა კაცი, ვინ იყო წამომწყები და ვინ ამყოლი. კონრადთან საუბარში მარკგრაფი ხშირად კვეხნით

იტყოდა ხოლმე: „დიახ, ჩემი ცოლი დრუნჩიანია!“ დრო გადიოდა, მაგრამ მარგარიტა უწინდებურად იყო ჩაკეტილი თავის ნაჭუჭში, ცოლ-ქმრის ურთიერთობა გულთბილი, წრფელი თავაზიანობით შემოიფარგლებოდა.

ქორწინების მეორე წელს მარგარიტა დაორსულდა. ამან ცოტაოდენი სინაზე დააჩნია ქალს, მის დაბალ, ლამაზ ხმას თითქოს გულზიარობა დაეტყო, მაგრამ ქალი მაინც განდგომილი იყო, კვლავაც მონუსხულსა ჰგავდა. დაუოკებელი სურვილები არ იპყრობდა, გრძნობას არ აჰყვებოდა, ზომიერების საზღვარს არ სცილდებოდა. გოგონა შეეძინა, დედამ დახედა ჩვილს და მიხვდა, რომ არც ლამაზი იყო იგი და არც გონჯი. მკაცრი, ოთხკუთხა შუბლით მამას ჰგავდა, ტუჩებიც, მადლობა ღმერთს, დედისა არ გამოჰყვა. ჰერცოგის ასული კეთილსინდისიერად, დედობრივი მზრუნველობით უვლიდა ბავშვს, მაგრამ გულითად სითბოს მაინც ვერ ამჟღავნებდა.

პაპმა ხელკავი გამოსდო ახალგაზრდა მარკგრაფ კარლოს ლუქსემბურგელს და მასთან ერთად ბოლთის ცემას მოჰყვა მყუდრო ოთახში, გულმოდგინედ ჩასჩიჩინებდა რაღაცას, არწმუნებდა. ფანჯრებიდან მოჩანდა მცხუნვარე მზით გაჩახჩახებული ქალაქი ავინიონი. პაპის სასახლეში სასიამოვნო ბინდი იდგა, არც ძალიან ცხელოდა. კლიმენტი მეექვსე — წარმოსადეგი, შავგვრემანი კაცი, რომლის ენერგიული სახის ნაკვთებს პარსვისაგან დარჩენილი მოლურჯო ჩრდილები ვაკკაცურ იერს მატებდა, — მამაშვილური გრძნობით იყო გამსჭვალული ამ ჭაბუკის, თავისი გონიერი აღზრდილის მიმართ. კარლოსმა კლიმენტის ტიარი უწინასწარმეტყველა, კლიმენტმა კი მას — რომის იმპერატორის გვირგვინი.

და აი ახლა უნდა აღსრულებულიყო ეს უკანასკნელი წინასწარმეტყველება. ვიტელსბახმა, ამ გულხარბმა, თათებმოჩორთვილმა დათვმა მოხერხებულად იცის ხოლმე ნადავლის ხელში ჩაგდება. ტიროლი კი დიდი ლუკმაა, ვინძლო ყელში გაეჩხიროს და დაახრჩოს. უნდობლად, იქნებ მტრულადაც კი იყვნენ განწყობილნი კურფიურსტები, რომის იმპერიის ქალაქები კურიას კონტროლის მიმართ, მაგრამ ტიროლის ამბავი ისე ყარდა, რომ მათ, რაღა თქმა უნდა, არ შეეძლოთ ლუდვიგ ბა-

ვარიელის მხარეზე ყოფნა. ახლა კი თავმოკატუნებული მობრძანდა ვიტელსბახი, ლამის ფეხქვეშ გაეგო პაპს, აღიარა ყველა თავისი დანაშაული, მორჩილებაზე თავს დებს. კლიმენტიმ გაიღიმა, უფრო მაგრად მოჰკიდა ხელი მხრებში თავის ჭაბუკ მოწაფეს. ბავარიელმა დაიგვიანა. კლიმენტიმ უკვე განკვეთა იგი ეკლესიიდან კონსისტორიის საზეიმო კრებაზე, უკვე ურჩია კურფიურსტების კოლეგიას შედგომოდნენ ახალი იმპერატორის არჩევას. თუ მისი საყვარელი მოწაფე კარლოს ლუქსემბურგელი ხვალ რაინზე გაეშურება და რენზეში არჩევნებს დაესწრება, იგი დარწმუნდება, რომ პაპმა ყოველივე მოიმოქმედა, რაც საჭირო იყო, არც წყეევლა დაუკლია და არც ლოცვა-კურთხევა, რათა გამართლებულიყო მისი წინასწარმეტყველება, მან ხომ იმპერატორის გვირგვინი აღუთქვა ჭაბუკს.

რამდენიმე დღის შემდეგ კურფიურსტებმა ხმების უმრავლესობა ლუქსემბურგელს არგუნეს. მისი მომხრე ხუთი ხელმწიფიდან ერთი მამამისი იყო, მეორე—ბიძა, მესამე—ეპისკოპოსი, რომელსაც არც საეპისკოპოსო გააჩნდა და არც ადგილმამული, მეოთხესა და მეხუთეს კი დიდძალი ოქრო მისცეს და ისე მოისყიდეს.

კოლეგიის თავმჯდომარემ, ტრირის ეპისკოპოსმა ბალდუინმა, არჩევნების შედეგები რომ გამოაცხადა, მამამ გულში ჩაიკრა კარლოსი, კურფიურსტებმაც მიულოცეს. მან მყის შიკრიკი აფრინა პაპთან. მარტო რომ დარჩა, მაშინ კი გასწორდა მხრებში ეს სარივით აწოწილი ყმაწვილკაცი, შვებით ამოისუნთქა. გერმანიის მეფედ აირჩიეს, მალე რომის იმპერატორიც გახდება. არა, მამას არა ჰგავს იგი, მამამისი ერთი უსინათლო რაინდია და მეტი არაფერი. ბრეყვიალა სახელს არ გამოეკიდება, მამის ნაშოვნს ქარს არ გაატანს. სულ იმის ცდაში იქნება, რომ მეტი მოიხვეჭოს, მოხვეჭილი დაზოგოს, იბატონოს. არც ბავარიელსა ჰგავს იგი, გონებაბრჯგუ პედანტს, მეშჩანს. ციხე-კოშკები და ქალაქები, ჯარი და მმართველობა — აი რა არის მისი ოცნება. მიწების მარტო მიტაცება რის მაქნისია. მიწა უნდა დამუშავდეს, მიწას მოვლა-პატრონობა სჭირდება. ეკლესია, ხელოვნება, მეცნიერება, ქალაქების მშენებლობა. მოხვეჭა, დაგროვება, შენარჩუნება. რაც შეიძლება მეტი უნდა ჩაიგდოს ხელში, მერე ყოველივე შეინარჩუნოს: ქვეყნები, ქა-

ოაქები, ტიტულები, ციხე-კოშკები, მეცნიერები, რელი-
ჯიები, ხელოვნების ნაწარმოებები. განა იგი პატივმოყვარეა?
ანა ხარბია? სრულიადაც არა. მაგრამ ასეთია ღრმად გააზრე-
ული, ბოლომდე შეცნობილი მოვალეობა მეფისა. გამხდარი,
ოაძარღვული მარკგრაფი საწერ მაგიდას მიუჯდა. მოხაზა თა-
ისი მმართველობის ძირითადი პრინციპები, შეადგინა სქემა,
ანონები. მეცნიერული კლასიფიკაციის მიხედვით დააჯგუფა
ოდვა-მადლი, მოთხოვნები, გეგმები. სვეტების მიხედვით გა-
ნაწილა: ერთი, ორი, სამი. დიდხანს, ლამის შუაღამემდე იმუ-
ავა შეუსვენებლად.

გადაიკითხა თავისი ჩანაწერები. პატივმოყვარეობა ხომ არ
ამოსშვივის ყოველივე ამაშიო. ღვთისმოსავია იგი, პატივმო-
ვარეობა კი ცოდვად ითვლება, ამიტომ მონანიება მოუწევს.
ოავგამოდებით აგროვებდა რელიკვიებს: ქრისტეს გვირგვინის
კლებს, წმინდანების ტანსაცმელს, თავის ქალებს, კიდურებს.
ავიიდან შემოუთვალეს, წმინდა ვიტის ნეშტს ხომ არ ინებებ-
ო. მაგრამ მეტისმეტად დიდი საფასური მოითხოვეს. ძვირია,
აგრამ ცოდვის მოსანანიებლად ახლა კი აუცილებლად შეი-
ენს ამ ნეშტს.

მარგარიტას წინ თვინიერად იდგა ერთი ჩაგოდრებული კა-
ბუნა, რომელიც ნერვიულად იქნევდა ხელებს და ხრინწიანი
მით რატრატებდა. მენდელ ჰირშად გააცნო თავი ჰერცოგის
სულს. ებრაელი იყო. „ტყავის ხელთათმანიანთა ძმობის“ წე-
რებისაგან დევნილი ბავარიიდან რეტენსბურგში გამოქცეუ-
ლა, სადაც ქალაქის მცხოვრებთ შეუფარებიათ. ას ოცდაშვიდ
ოემში ხომ ყველა ებრაელი ამოხოცეს, მენდელი ერთ-ერთი
მ თემიდან იყო და თითო-ოროლა კაცთან ერთად რაღაც ბე-
ბად იგიც გადარჩენილიყო. მერე მფარველობის სიგელი მი-
ელია იმპერატორისაგან და იმდენი სიფრთხილე და წინდახე-
ულება გამოუჩენია, რომ ასეთივე საბუთი მოუპოვებია იმპე-
ატორის მოწინააღმდეგე კარლოს მეფისგანაც.

ჰერცოგის ასულს არასოდეს ენახა ასე ახლოს ცოცხალი
ებრაელი. გულისყურით, ცოტაოდენი ზიზღითაც ათვალიერე-
და ყავისფერ ხიფთანსა და წვეტიან ქუდში გამოწყობილ
ოუნჩულა კაცუნას, რომელიც მოუსვენრად წრიალებდა, ცმუ-

ტავდა, გაუთავებლად ბუყბუყებდა, დორბლს ყრიდა, სასაცილოდ იქნევდა ხელებს. აი, თურმე როგორები ყოფილან ეს ადამიანები, რომლებიც ბილწავდნენ ზიარებას, მხეცურად აწამებდნენ უმანკო ბავშვებს. აი, როგორი ყოფილა ეს მამაზეციერისგან შეჩვენებული მოდგმა, ქრისტე ღმერთის მკვლელი. მარგარიტას ხშირად სმენოდა ამ უცნაური, საშიში ხალხის ამბავი. ამას წინათაც დიდხანს ესაუბრა იგი აბატ იოჰან ვიქტრინგელს ებრაელთა უკანასკნელი დარბევის თაობაზე. აბატი არც იწონებდა და არც ძრახავდა ამ ამბავს. მისი აზრით, ამ დევნილ ხალხს იმ ძველთაძველმა წყევლამ უწია, რომელიც საკუთარი ბაგეებით წარმოთქვეს თავის თავზე: „სისხლი მისი კისერზე გვაწევს ჩვენ და შვილთა ჩვენთა!“ აბატმა მხრები აიჩეჩა, ძველი დროის კლასიკოსის ნათქვამი გაიხსენა: „ო, ბედკრულო ჩემო თავო! ბევრი რამ მაშინებს მე მრავალცოდვილს“.

მარგარიტამ მეტისმეტად მიამიტურად მიიჩნია საკითხის ასეთი გადაწყვეტა. ადამიანი, რომელიც აქეზებს ებრაელთა დევნას, იქნებ მართლაც ღვთისმსახურების გულისათვის სჩადის ამას. მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ ფრიად სარგებლიანი საქმეა ეს. განა მევალე ებრაელის თავიდან მოშორების ყველაზე უტყუარი გზა მისი მოკვლა არაა? ხოლო თუ ებრაელთა განადგურება სასარგებლო და დასაშვებია, რატომღა იცავენ მათ ყველაზე გონიერი სამოქალაქო სასულიერო პირნი? ფრიდრიხ მეორე ჰოჰენშტაუფენის კანონები, ინოკენტი მეოთხის ბულები სრულიად სხვა თვალსაზრისზე მიუთითებენ და არ ეთანხმებიან ამ სათნო, კეთილი აბატის შეხედულებებს. ახლანდელი პაპი კლიმენტი — მერე რა, რომ იგი მარგარიტას მტერია, ხომ უაღრესად ჭკვიანია, — აი, იგიც ექომაგება ებრაელებს და იცავს თავისი ბულებითა და მკაცრი კანონებით.

მარგარიტა შესცქეროდა ამ კაცს, რომელიც კვლავ ცმუტავდა მის წინ. ებრაელი თავის ავბედით თავგადასავალს უამბობდა ჰერცოგის ასულს. ჰყვებოდა, თუ როგორ შერეკეს მისი თვისტომნი სამლოცველო სახლებში და დაწვეს, ზოგნი თურმე ქვებიან ტომრებში ჩასვეს და ისე დაახრჩვეს რაინში, შეუბრალებლად აწამებდნენ, გუდავდნენ, ქალებს შებოჭილი მამაკაცების თვალწინ აუპატიურებდნენ, ალმოდებული სახლე-

ბიდან დროშებივით გამოჰკიდებდნენ თურმე შუბზე ჩამოცმულ ბავშვებს. ებრაელი მოუსვენრად იქნევდა ხელებს, სულმოუთქმელად ქაქანებდა, ფერადოვნად ჰყვებოდა წვრილმანებს, სიტყვებს ისე სხაპასხუპით აფრქვევდა, თითქოს ეშინია, უთქმელი არაფერი დამრჩესო, დამნაშავესავით, თვინიერად, თანაც საყვედურით იღიმებოდა, საოხუნჯო ნართაულ ამბებსაც ჩაურთავდა ხოლმე, ღმერთს უხმობდა, ნერვიულად იფარცხავდა ჭრელ წვერს, თავს აკანტურებდა. ჰერცოგის ასული მდუმარედ უსმენდა. კუთხეში ფონ შენა იჯდა, წელში მოხრილიყო და გულმოდგინედ შესცქეროდა ამ პატარა, მძვინვარე, ახირებულ კაცუნას. მენდელ ჰირში ბოცენში დასახლების უფლებას ითხოვდა. ჯერ თურმე ლივორნოში აპირებდა წასვლას ერთმორწმუნეებთან, მაგრამ როცა იხილა ტიროლის აყვავებული ქალაქები და სოფლები, იფიქრა, აქ უფრო უკეთესი, თანაც ახალი სამოქმედო ასპარეზი მექნებაო. ტრანზიტული ვაჭრობა, კეთილმოწყალე ქალბატონო ჰერცოგის ასულო! — წრიპინებდა იგი. ტრანზიტული ვაჭრობა! ბაზრობა! ბაზრები! აქ გადის ლომბარდიიდან გერმანიაში და სლავური ქვეყნებიდან რომანულ ქვეყნებში მიმავალი დიდი საქარავნო გზები. რით ჩამოუვარდება ტრიენტი, ბოცენი, რივა, ჰალი, ინსბრუკი, შტერცინგი, მერანი აუგსბურგს, სტრასბურგს? ბრიქსენისა და ტრიენტის ეპისკოპოსები უკვე აღუთქვამენ მფარველობას ებრაელებს, პრივილეგიებსაც პირდებიან. ჰერცოგის ასულის მწყალობელი ნებართვით იგი სულ მალე გააცხოველებს აქ ვაჭრობას. ქვეყანაში უწყვეტ ნაკადად შემოვა ფული, ბევრისბევრი ფული, დიდი თანხები. მას აურაცხელი კაპიტალი აქვს. გაცილებით ნაკლებ სარფს იღებს, ვინემ ვენეციელი ან ფლორენციელი ვაჟბატონები. სხვა ქვეყნებიდან შემოზიდავს ღვინოს, ზეთს, ხე-ტყეს, აბრეშუმს, ბეწვეულს, ხმლებს, ესპანურ მატყლს, ძვირფას სამკაულებს, მავრიტანულ ოქროს ნაკეთობებს; სლავური აღმოსავლეთიდან — ტყავეულს და პირველ რიგში მონებს. რაო, მონები არ გჭირდებათ? თქვენი ყმა გლეხებიც გყოფნით? კეთილი. მაგრამ მინა ხომ გჭირდებათ, სიცილიური მინა. მას ბევრი ნაცნობი ჰყავს ყველგან. შეღებილი მაუდიც საჭიროა. ჯანჯაფილიც, პილპილიც, სანელებლებიც

გამოსადეგია. ოღონდ ხელი არ შეუშალონ და ყველაფერს იშოვნის.

მარგარიტამ მიუგო, მოვიფიქრებო. და როდესაც მენდელ ჰირში გაისტუმრა, ჰერცოგის ასულმა შენასთან ითათბირა ამის თაობაზე. ფონ შენას ძალიანაც მოეწონა ებრაელის გეგმები. დავთანხმდეთ და ხელიც შევუწყოთ. დროის, ეპოქის ყივილია ეს, ასეთი რამ ქვეყანას გამოაცოცხლებსო. მართალია, ბატონი მენდელ ჰირში დიდ შთაბეჭდილებას არ მოახდენს ტურნირებზე, ბარონები და ბიურგერები დიახაც რომ აიმრიზებიან მის დანახვაზე, მაგრამ სწორედ ამ დახავსებული ქედმაღლობის საპასუხოდ უნდა ჩაუსვა უბეში ამ ზარმაც ხალხს ეგეთი ფუთფუთა არსება.

ასე და ამრიგად, მენდელ ჰირშმა ბინა დაიდო ბოცენში. მაგრამ მარტო როდი ჩამოვიდა იგი, თან ჩამოჰყვნენ ვაჟიშვილები, ქალიშვილები, რძლები, სიძეები, შვილიშვილები, სამი ძუძუთა ბავშვი, გადახჩუებული ენაჩლიფინა დედაბერი. ჭიანჭველებივით შეესიენ ბოცენის ქუჩებს ეს ფეხმარდი, ლაქლაქა არსებანი, ნუშურა თვალებით ხარბად ათვალიერებდნენ ნაირფერ სახლებს, კედლებს, ჭიშკრებს, მოედნებს, ადამიანებს, სულმოუთქმელად მსჯელობდნენ ყოველიეს ავ-კარგზე, ზოგ რამეს იწონებდნენ, ზოგსაც იწუნებდნენ, მეტისმეტად ხმამაღლა ხორხოცობდნენ, ლაპარაკის დროს განუწყვეტლივ ხელებს იქნევდნენ.

დიდი აღფრთოვანებით როდი შეხვდნენ ბოცენელი მოქალაქენი ებრაელ მენდელ ჰირშს. თავშესაფარიც მხოლოდ მაშინ მისცეს, როცა თვით მარკგრაფი ჩაერია საქმეში. მამასავით ისიც დიდად აფასებდა ებრაელებს და მფარველობდა მათ, რადგან ქალაქების განვითარების ხელშემწყობებად მიაჩნდა ისინი. მაგრამ ამის შემდეგაც მეტისმეტად უხეშად და უნდობლად ექცეოდნენ მენდელ ჰირშს. ქუჩაში მიმავალს თვალს მოჰკრავდნენ თუ არა, მაშინვე შინ შერეკავდნენ ხოლმე თავიანთ ბავშვებს, სახელოებს იბერტყავდნენ, თუკი შემთხვევით შეეხებოდნენ მას, დაცინვას, ლანძღვა-გინებას მიადევნებდნენ უკან, ტალახის გუნდებს ესროდნენ. მკვირცხლი, ჩაგოდრებული კაცუნა კი ისე იქცეოდა, თითქოს ვერც ვერაფერს ხედავდა და არც არაფერი ესმოდა. ვითომც აქ არაფერიაო, ისე ჩამოიბერტყავდა ჭუჭყს, გაიღიმებდა და თითებით ჩაივარცხნი-

და ჭრელ წვერს. მაგრამ თუ ქალაქელნი ზომას გადავიდოდ-ნენ, წყენით გადააქნევდა ხოლმე თავს: „აბა, აბა!“ საერთოდ კი თავდაჭერილი იყო; თუ გააძევებდნენ, ისევ უკან შემობრუნ-დებოდა. ჯერ ერთი სახლი იყიდა, მერე მეორე, მესამე. მის სახელზე აურაცხელი საქონელი მოდიოდა, ზვინებად ეწყო ლამაზი, ჯერ თვალით უნახავი ფართლეული, ათასგვარი სხვა რამ. ამდენი საქონელი, ერთად დაგროვილი, არასოდეს ენახათ ამ კუთხის მცხოვრებთ, თანაც მეძვირე არ ეთქმოდა ამ ებრაელ ვაჭარს. თუ გასაყიდად შესთავაზებდნენ რამეს, თვალისდახამ-ხამებაში შეაფასებდა, ხელს თუ აძლევდა, უყოყმანოდ შეისყი-დიდა, ჯიბეზე მუდამ ჰქონდა ფული, მაშინვე ჩაუთვლიდა ნაღდს. ადგილობრივი ვაჭრები ალმაცერად უყურებდნენ, ქალაქელე-ბი კი თანდათან შეეჩვივნენ. მართალია, ლანძღვა-გინებას არც ახლა აკლებდნენ, მაგრამ ამას უბოროტოდ აკეთებდნენ, უფ-რო ადრინდელის წამხედურობით.

როდესაც მენდელ ჰირში განსაკუთრებით ლამაზ, ძვირფას საქონელს, ვთქვათ, მაუდს, ბეწვეულს, პატიოსან თვლებს მი-ღებდა ხოლმე, პირველ რიგში ჰერცოგის ასულსა და ბატონ ფონ შენას სთავაზობდა. მარგარიტაცა და შენაც ხალისით ება-ასებოდნენ ამ კაცს, რომელსაც შემოვლილი ჰქონდა მთელი დედამიწა, კარგად იცოდა ყველა ქვეყნის შარაგზები, შეუმ-ცდარად ფასს სდებდა საქონელს, იცნობდა უამრავ ხალხს, ცხოვრების პირობებს და სრულიად სხვაგვარად, უცნაური თვალთახედვით აფასებდა ყოველივეს. თუ მასთან ბაასის დროს მოსაუბრე მაღალფარდოვანი სიტყვების კორიანტელს და-აყენებდა, ებრაელს წყენა გამოეხატებოდა სახეზე. რაინდუ-ლი წეს-ჩვეულებები, ტურნირები, ბაირაღები და ამის მსგავ-სი სხვა ზიზილ-პიპილები უბოროტო, დამცინავ ღიმილს ჰგვრიდა. ფონ შენას ეს მოსწონდა და ართობდა კიდეც. მენ-დელ ჰირში ასე მსჯელობდა:

— რა საჭიროა წარამარა იარაღის ჟღარუნი და ერთმანეთ-ზე გაწევ-გამოწევა? ცოტაოდენი მოთმინება და ყოველივე მოგვარდება. — შუბის, მახვილის, აბჯრის დანახვაც კი შიშის ზარს სცემდა. ერთხელ თურმე ჰერცოგის ასულთან უხმეს, მა-გრამ ვერ მივიდა, რადგან ქუჩაში იარაღასხმული ხალხი ირე-ოდა.

— მხდალია, — წარმოთქვა მარგარიტამ.

— რა თქმა უნდა, — მიუგო ბატონმა ფონ შენამ. — მაგარ რომ მახვილს მოჰკიდოს ხელი, პირველ რიგში თვითონვე წამოეგება ზედ. მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ სრულიად უიარაღოდ ტრიალებს იმ ადამიანთა შორის, რომლებსაც ეჯაერებათ იგი. მისი ერთადერთი აბჯარი მარკგრაფის მიერ გაცემული მფარველობითი სიგელია.

მარგარიტამ შეიტყო, რომ იგი თურმე ყოველ საღამოს კითხულობდა უცნაურ ძველებრაულ წიგნებს და თავის შვილებსაც ამ წიგნებით ასწავლიდა. გაგონილი ჰქონდა მისი საოცარი ჩვეულებების, სამლოცველო მოსასხამის, სამლოცველო თასმების, განსაკუთრებული საპმლის ამბავიც. ჰერცოგის ასულს სურდა დაწვრილებით შეეტყო ყოველივე. მენდელი თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ აერიდა პასუხს. მარგარიტას მოეწონა მისი ქცევა. მეტისმეტად უგვანი იყო იგი, თავისებური. ყველასაგან შორს ეპირა თავი. მარგარიტა მახინჯი იყო, იგი — ებრაელი.

თანდათან მომრავლდნენ იმ მხარეში ებრაელები. დასახლდნენ ინსბრუკში, ჰალში, მერანში, ბრიქსენში, ტრიენტში, როვერეტოში. ურიცხვი შვილები ჰყავდა ყველას, ნუშისთვალება შვილები. ოციოდ ოჯახი ჩამოსახლდა. ქვეყანაში მოზღვავდა ფული, გაიზარდა, გამდიდრდა ქალაქები, გალამაზდა ქუჩები, დუქნები აივსო უცხო ქსოვილებით, ხილით, ტკბილეულით, ათასგვარი საქონლით. მთაგორიანმა ქვეყანამ ლაღად გაშალა მხრები, ფუფუნებით იწყო ცხოვრება.

სისხამ დილიდან გვიან ღამემდე მოსვენება არ ჰქონდათ ებრაელებს. არა საქმეს არ იწუნებდნენ, საათობით, ჯიუტი მოთმინებით ელოდნენ მყიდველს. ყოველგვარ დამცირებას იტანდნენ, ქედს იხრიდნენ, თავსაც კი არ იცავდნენ, როცა პანღურს ურტყამდნენ, აფურთხებდნენ. პარასკევ საღამოს კი შინ ჩაიკეტებოდნენ და მთელი შაბათი დღე გამომწყვდეულები იყვნენ სახლში. გინდ დიდებული სტუმრებოდათ, გინდაც დიდად სარფიანი გარიგება შეეთავაზებინა ვინმეს, კარს არავის უღებდნენ. ხალხი ჯარად იდგა მათი ჩარაზული კარების წინ და ბობოქრობდა: „აი, ხედავთ, როგორ ჯადოსნობენ, ეს ეშმაკის კერძნი, კუდიანები. ღვთისსაგმობ, შავბნელ საქმეებს სჩა-

დიან“. მაგრამ ებრაელები აინუნშიაც არ აგდებდნენ მუქარას, მაგრად ჰქონდათ გადარაზული კარ-ფანჯრები.

ასეთ დღეებში მენდელ ჰირში უამრავ სადღესასწაულო სანთელს ანთებდა, საყოველდღიურო ყავისფერი ხიფთანისა და წვეტიანი ქუდის ნაცვლად ძველებური ქსოვილებისაგან შეკერილი მდიდრული ტანსაცმლით მოირთვებოდა, თავზეც მშვენიერი ქუდი ეხურა, ასევე ძვირფას კაბებში იყვნენ გამოწყობილი მისი ცოლიც, ქალიშვილებიც, რძლებიც. მკვეთრი, ხორხისმიერი ხმით მღეროდა იგი ფსალმუნებსა და ლოცვებს, მისი შვილებიც მასთან ერთად ლოცულობდნენ. გულდამტკბარი ბოლთას სცემდა თავის ოთახებში, ხან ერთგან ჩამოჯდებოდა განცხრომით, ხან მეორეგან, სვამდა და ჭამდა მაძღრისად, ხარობდა შვილებით, ხარობდა თავისი სიმდიდრით. ნაწყვეტებს კითხულობდა საღმთო წერილიდან, ალაგ-ალაგ განმარტავდა კიდეც, აი ესა და ეს ამბავი ახლანდელ მოვლენებს უკავშირდებაო. საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული სახლი ზიმზიმებდა, ოთახებში ძვირფასი ზეთების თავბრუდამხვევი სურნელება იდგა. მენდელ ჰირში თავზე ხელს უსვამდა შვილებს, ლოცავდა — მენასესა და ეფრაიმს დამსგავსებოდეთო. მედიდურად ბოლთას სცემდა, წვერზე ხელს ისვამდა, ხანაც გაჩერდებოდა, ადგილზე ირწეოდა და მოზეიმე ხმით წარმოთქვამდა: „შაბათობით ძენი იზრაელისანი დიდებულთა შვილები არიან“.

მარკგრაფმა თავისი მოსაზრება გაუზიარა ჰერცოგის ასულს:

—კარგი ვქენით, ებრაელები რომ დავასახლეთ ჩვენს ქვეყანაში. უამრავი ფული დატრიალდა ხალხში, ყველაფერი გამოცოცხლდა, მათ მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. მაგრამ ხალხი მაინც მართალია, მათ სუნს რომ ვერ იტანს. აი ცხოვრობს ჩვენში ვიღაც მენდელ ჰირში. ეკლესია მაგან არ იცის და რელიგია. წარმართზე უარესია, პირუტყვზე უარესიც.

ბატონმა ფონ ტეკმა წრიპინა ხმით დასძინა:

— ყველაზე უფრო საზიზღარი ისაა, რომ ასეთ ადამიანს პირადი ღირსების ნატამალიც არ გააჩნია! ძაღლივით ლაქუცაა, მუცელზე მხოხავი ქვეწარმავალია! ბაღლინჯო! ტილი!

მარგარიტა დუმდა. „ჰირში ებრაელია,—ფიქრობდა იგი,— მე კი — მახინჯი“.

*

უსინათლო მეფე იოჰანი დაბალჭერიან, გლეხურ, უბადრუკ ოთახში იჯდა, პირადი დალაქი თმასა და წვერს უვარცხნიდა. წინადღეს აუტანლად ცხელოდა, ახლა კი ჩრდილო-დასავლეთიდან გრილმა სიომ დაუბერა. დილის ოთხი საათი იქნებოდა, მზე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ ცას უკვე შეპარვოდა აისის შუქი. მეფესთან იყვნენ ორი თავით ფეხამდე შეიარაღებული ოფიცერი, კამერდინერი, ადიუტანტი, ორიც პაჟი. თუმცა უკვე სამოცი წლისა გახლდათ ლუქსემბურგელი და თანაც უსინათლო, მაინც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ბჯარსა და ტანსაცმელს. კამერდინერმა და პაჟმა ნელსაცხებლებით დაუზილეს თეთრი გადატკეცილი კანი, მოწიწებით ჩააცვეს პერანგი, ტანსაცმელი, ვერცხლის აბჯარში გამოაწყვეს.

ორიოდ საათი თუ ეძინა მეფეს, მაგრამ მაინც დასვენებული სახე ჰქონდა, ჩინებულ გუნებაზე იყო. ოთახიდან წარაფები მოჩანდა, წარაფების გადაღმა ინგლისელები იდგნენ. მაშ ასე, დღეს დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. უბრალო შეტაკება კი არ იქნება ეს, ცხარე ომი გაიმართება. ინგლისელი მოელ იმედებს ამაზე ამყარებს.

კოპწიად გამოწყობილი, სათუთად დაბანილ-დავარცხნილი, თავით ფეხამდე შეიარაღებული ბრმა ხელმწიფე გაზაფხულის დილის სუფთა ჰაერით ტკბება, თითქოს აღარც კი ახსოვს მელანქოლიის ფარული შეტევები, რომლებიც კვამლივით გაფანტული, მდინარის წყალივით ჩავლილი ცხოვრების მიწურულში ღამღამობით ესტუმრება ხოლმე. ბაგაში გამოზამთრებული ცხოველი გაზაფხულის დადგომას რომ იგრძნობს და მოუსვენრობს, ისეთი სიხარბით ელოდა იგი ბრძოლას, მოელ ტანში ომის ჟინი შედგომოდა.

აივანზე გამოვიდა, ისაუზმა, თანმხლებ შინაკაცებს გაეხუმრა. საამო ნიავი უბერავს. საცაა მზეც ამოიწვერება. მამამი-

სი რომის იმპერატორი იყო, მთელი ქრისტიანული სამყაროს მეუფე. იოჰანი კი ვინაა. აი, ახლა იგი საფრანგეთის სამსახურშია და დაქირავებული ჯარისკაცივით უნდა იომოს. რისთვის ჩაება ინგლის-საფრანგეთის ამ გაცხარებულ დავაში? მხოლოდ და მხოლოდ ომის ჟინისათვის. თანაც, თვალსა და ხელს შუა შემოეფლანგა ფული, რომელიც საფრანგეთმა მისცა ჯარის დასაქირავებლად. უიღბლოა, ყველაფერში ხელმოცარული. ეგრეა და ეგრე იყოს, ახლა ამას აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მორჩა და გათავდა — უნდა იომოს. იგი კმაყოფილია.

ერთი ნაჭერი თეთრი პური, კარაქი, თაფლი, თაფლის სასმელი მიართვეს. ირგელივ ფუტკარი ზუზუნებდა. იოჰანი ნაზ ომაზე ხელს უსვამდა პაჟებს.

დიახ, ჯარის დასაქირავებლად მიღებული ფული შემოეხარჯა. სახეზე ღიმილმა გადაუარა. თუ მისი ვაჟი კარლოსი გერმანიის მეფედ დაჯდება, სწორედ ამ გაფლანგული ფულის მეოხებითაა ეს. მაგრამ კარლოსმა ეს არ უნდა იცოდეს. იქნებ ჩვეება კიდეც, მაგრამ გუმანი ერთია და ცოდნა მეორე. ასეთ საქმეში მეტისმეტად ალალმართალია და იწყენს. რაც არის, არის. იოჰანს უყვარს საფრანგეთი. ცოტა სამსახური როდი გაუწევია მას საფრანგეთისათვის. დარწმუნებულია, რომ ახლაც ასკეცად ამოიგებს დანახარჯს. ამ აზრმა მხნეობა შემატა. მზე თუ ამოვიდაო, იკითხა.

ცხენებზე შესხდნენ, გზას გაუდგნენ. გზა ჭალაზე გადიოდა, ჭალის ბოლოში ამტვერებულ მინდორზე მოწინააღმდეგე იყო დაბანაკებული. ზარადი ჯერაც არ ჩამოეფარებინა, ჩიტები ჟღურტულებდნენ, ხის ტოტები ნაზად ეალერსებოდნენ სახეზე. ჰაერში ფოთლების სუნი იდგა. რა ტკბილია სიცოცხლე, რა სიამოვნებაა ახალგათენებულზე ტყეში გავლა, თუნდაც რომ ტყის გადაღმა მტერი იყოს ჩასაფრებული.

აჰა, ჩიტებიც დადუმდნენ. გაისმა ჭიხვინი, ყვირილი, ფლოქვების თქარა-თქური, საყვირების ჭყივილი, ღრუბელივით წამოიშალა მტვერი. ბორცვზე ავიდნენ. მეფე და მისი თანმხლებნი შეჩერდნენ. „როგორ მიდის ბრძოლა?“ — მოთამაშის ჟინით იკითხა მან. მხლებლებმა დაწვრილებით მოახსენეს ყოველივე. იოჰანი მეთაურობდა ომს, ბრძანებებს იძლეოდა, ხან აქეთ, ხან იქეთ აგზავნიდა ახალ-ახალ ათასეულებს. მაგრამ

უსინათლო მხედართმთავრის სტრატეგია მხოლოდ სიტყვად რჩებოდა. ოფიცრები თუმცა მორჩილად ეთანხმებოდნენ, მაგრამ ან სხვაგვარად ახორციელებდნენ მის მითითებებს, ანდა საერთოდ არ ასრულებდნენ მათ. ბრძოლის ველზე ამდგარ ნაცრისფერი მტვერი ახლა ისევ დაბლა დაეშვა და სქელად ეფინებოდა ხეებს, ფოთლებს, თავთავებს, ცხენებს, მეომართა საჭურველს. საერთო შეტაკება დანაწევრდა, ახლა ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი მებრძოლები. მოხუცმა რაინდმა თავი ვეღარ შეიკავა. იქნებ ახლაღა იგრძნო, რომ მისი ბრძანებები რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, ან იქნებ იმასაც მიხვდა, რომ სულაც ყურად არ იღებდნენ მის ნათქვამს ხელქვეითნი. ანაზდად უზანგებს დაეყრდნო, ზე წამოიმართა, ყალყზე შეაყენა თავისი ქურანი, ცხენმა დაიჭიხვინა, მხედარმაც ხალისიანი ყიჟინა დასცა და ომში გადაეშვა. ოფიცრები ცდილობდნენ შეეჩერებინათ, აგზნებული პაქები კი, პირიქით, უფრო აქეზებდნენ. ბევრი დაბრკოლება გადალახა, მაგრამ მაინც მიაღწია ბრძოლის შუაგულს. მტერმა მაშინვე თვალი დაადგა რაინდის საჭურველს, მისი ცხენის აკაზმულობას. გარს შემოერტყნენ, ძლივს გამოაღწია ალყას, ისევ შუაში მოიქცეს. განსაკუთრებით თვალში მოუვიდა მისი მორთულობა და შესანიშნავი აბჯარი ორ გაღლეტილ შოტლანდიელ რაინდს. ჭარმაგი უსინათლო მეფე ყვიროდა, იცინოდა, გამეტებით იქნევდა ხმალს, აქეთ და იქით ჩეხავდა მტერს. ოფიცრები შორ მანძილზე ჩამორჩნენ, პაქები კი გვერდიდან არ ცილდებოდნენ. იოჰანი დროდადრო ხან ხუმრობით, ხან ბრაზით, ხანაც გზნებით ან დაცინვით ესიტყვებოდა ერთ მათგანს, ქერა, ლამაზ იეჰანს, თავის რჩეულ პაქს, იეჰანი კი აჩეხილი ეგდო სადღაც. ბრმა მეფე აბა ამას როგორ შეიტყობდა, ამიტომ მალიმალ სიტყვას მიუგდებდა ხოლმე მას. დაჭრილმა ცხენმა ძირს მოისროლა უსინათლო მხედარი, მტრები მაშინვე დააცხრენ, მუზარადი ააგლიჯეს, თავი გაუჩეხეს. სიცოცხლის მოტრფიალე კაცი ერქვა, ხელმწიფე, თავისი ეპოქის მეუფე. და აი, გდია მტვერში ამოგანგლული, უძრავად, უმწეოდ. ამ დილით საგულდაგულოდ დავარცხნილი წვერი სისხლით მოთხვრია. გაღლეტილი რაინდები მისდგომიან და ვერცხლის აბჯარს აგლეჯენ მკერ-

დიდან. მომუჭული გაშეშებული ხელიდან ბეჭედი რომ ვერას გზით ვერ წააძვრეს, მთელი თითი მოჭკვეთეს. ბრძოლამ ამ ადგილიდან სხვაგან გადაინაცვლა. ფრანგები, რომლებსაც უმიზნოდ და უაზროდ შესწირა სიცოცხლე უსინათლო მეფემ, დამარცხდნენ და გაიფანტნენ.

მკვდარი ხელმწიფე მარტო დარჩა. ვეებერთელა, ბზინვარე ბუზები დაეხვივნენ სახეზე.

გერმანიის მეფე კარლოს ლუქსემბურგიც დაიჭრა ამ ომში, მაგრამ მაინც მშვიდობიანად დააღწია თავი ბრძოლის ველს. ინგლისის მეფემ, რომელიც ქედმაღლურად ამაყობდა ხოლმე, რაინდულად ვომობო, საპატიო დაცვის თანხლებით გაუგზავნა მას მამის ცხედარი. და აი, შვილის წინ იდო იოჰანის დასახიჩრებული გვამი. კარლოსს არასოდეს ჰყვარებია მამა. ამ ბედოვლათმა კაცმა, რომელიც მუდამ საოცრად ღვარჭნილი გზით დადიოდა ამ ქვეყანაზე და ზედმეტი თავდაჯერებულობით, უაზროდ ათამაშებდა თავის სამეფო გვირგვინებს, ნაცვლად იმისა, რომ განემტკიცებინა ისინი, წყალი შეუყენა ვაჟიშვილის სახელზე დატოვებულ მემკვიდრეობას. მაგრამ კარლოსს მაინც ბლომად ერგო უფლებებიცა და ტიტულებიც. ადგილ-მამულებიც, რომლებიც, ვინ იცის, რაგვარად ჩაეგდო მამამისს ხელში. კარლოსი ქარაფშუტულად არ მოიქცევა, მფლანგველობას არ მოჰყვება, მაგრამ არც იმას აიკვიატებს, აუცილებლად ყოველივე უნდა დავინარჩუნოო. შეეცდება ნაწილ-ნაწილ ერთმანეთს მიადუღაბოს, შემოიმტკიცოს ადგილ-მამულები, საქმის არსზე იზრუნებს და არა გარეგნულ ბრწყინვალებაზე. აი, მის წინ წევს მეფე იოჰანი, მამამისი. რაინდი იყო იგი, — მთელი ქრისტიანული სამყაროს პირველი ვაჟკაცი. თვალისმომჭრელად კიაფობდა. მერედა რა დარჩა ყოველივე ამისგან. აი, ეს ნაკუწ-ნაკუწ დაჩეხილი, მყრალი მძორი, უნაყოფოდ იბრძოდა და უნაყოფოდ გარდაეგო. დასცინოდა ეკლესიას, მღვდლებს, წმინდანებს, მაგრამ ფეხქვეშ ვერ მოიქცია სამყარო, ვერც ზეცას დაეპატრონა, ვერც მიწას. „მშვიდად იძინე, მამაჩემო! მე შენისთანა არ ვიქნები!“

კარლოს მეფის ბრძანებით გული ამოიღეს გვამიდან, მდულარე წყალში ხორცი და ძვლები გააცალკევეს. მერე ეს ძვლები მშობლიურ ლუქსემბურგში გადაიტანა, საზეიმოდ მიაბარა

მიწას წმინდა რელიკვიების გვერდით. და ვინაიდან აახენმა ჭიშკარი გადაურაზა, ბონში გერმანიის მეფის გვირგვინი დაიდგა, პრაღაში კი ბოჰემიის მეფედ ეკურთხა. იმპერატორმა ლუდვიგმა იფიქრა, რაკი ფრანგები დამარცხდნენ, სწორედ დროა საპროტესტო ნოტა გავუგზავნო კარლოსსო. მტკიცედ მოსთხოვა, პრეტენზიებზე ხელი აიღე და ვითარცა უძლიერესს მე დამმორჩილდიო. კარლოსმა იმავე კილოთი უპასუხა — ჩემი ძალა ჯარი კი არა, უდიდესი მოკავშირე ღმერთიაო.

მაგრამ პირველ რიგში მაინც მიწიერი მოკავშირეების ძებნას შეუდგა. მყისვე გაბა ურთიერთობა უნგრეთთან, კოქლ ალბრეხტთან. კარლოსს ზურგს უმაგრებდა კანონიერება, ტიტული, ეკლესია, რელიგია, სიმპათიები, ლუდვიგს — ძლევამოსილება. მათი სამფლობელოები ერთმანეთს ემიჯნებოდა, მაგრამ ორივე გონიერი იყო, ფრთხილი და საზღვარზე ომს ერიდებოდა. შორსმჭვრეტელი კარლოსი გუმანით ხვდებოდა, რომ ვიტელსბახის სუსტი ადგილი სხვაგან .იყო. სად? ტიროლში.

ტრიენტისა და ხურის ეპისკოპოსები, რომლებსაც საშინლად სძაგდათ მარკგრაფი ლუდვიგი, დღენიადაგ იმის ცდაში იყვნენ, რომ წყალი აემღვრიათ მისთვის. ვიტელსბახების უხეშობითა და ხელმოჭერილობით აღშფოთებული ფეოდალი ბარონები ლუქსემბურგების დაბრუნებას ნატრობდნენ. იმპერატორ ლუდვიგის მეზობლობა დიდად აშინებდათ აგრეთვე ლომბარდიის ქალაქების მფლობელთ — კარარას, ვისკონტის, დელა სკალას, გონზაგას.

შიკრიკს შიკრიკზე უგზავნიდნენ კარლოს მეფეს, უთვლიდნენ, შენს განკარგულებაში იქნება ეპისკოპოსთა ჯარები, ლომბარდიის დაქირავებული მებრძოლები, ბარონების კონტინგენტებიო. ბოლოს და ბოლოს დაიყოლიეს კარლოსი. ვითარება განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო. მარკგრაფი ლუდვიგი ჩრდილოეთში, პრუსიაში, ლაშქრობდა. წარმართების წინააღმდეგ ბრძოლაში სახელს იხვეჭდა. ტიროლში იმხანად არც ჯარი იდგა, არც მეფე იყო.

თითქოსდა მამის ავანტიურიზმი აფუსფუსდა კარლოსის არსებაში. ფარულად გაუდგა გზას, მხოლოდ სამი სანდო კაცი იახლა თან. ვაჭრულად გადაიცვეს, ლომბარდიელთა საბუთები ჩაიწყვეს ჯიბეებში. სუსხიან ყინვაში მოუხდათ მგზავრობა,

ლოდნელად გამოცხადდა კარლოსი ტრიენტში. საზეიმო წირვა გადაიხადა ტაძარში. იმპერატორულად იყო მორთულ-მოკაზმული. მაგრამ ეგაა, რომ იმპერატორის რეგალიები—კვერთხი, მახვილი, სფერო, სამწუხაროდ, მხოლოდ იმიტაციას წარმოადგენდა. ორიგინალებს გულმოდგინედ იცავდა ვიტელსბახი. იყო ერთი ზარების რეკვა და საკმევლის კმევა. „Gloria in excelsis"[1], — ფანატიკოსის ხმით გალობდა ეპისკოპოსი ნიკოლაუსი, გალობდნენ გუნდის წევრი ბიჭუნებიც. კარლოსმა აღლუმი მიიღო. მის წინ ჩაიარეს ეპისკოპოს ნიკოლაუსის, იტალიის ქალაქების, ხურის ეპისკოპოსის, პატრიარქ აკვილეის, შურისძიების მონატრული ძმის იოჰანის, სამხრეთ ტიროლელი ბარონების ჯარებმა. მრავალრიცხოვანი ძალებით ილაშქრა კარლოსმა, აიღო ბოცენი, აიღო მერანი, მოულოდნელად რკინის სალტესავით შემოეკედო ტიროლის ციხეს.

მარგარიტას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდა. მარკგრაფი და კონრად ფონ ტეკი შორეულ პრუსიაში იყვნენ. წვრილ-წვრილი მეთაურები დაიბნენ და მერყეობდნენ. შეკითხვაზე — შევძლებთ თუ არა ციხის შენარჩუნებასო, ორპოფულად პასუხობდნენ: თუ კი ღვთის ნება იქნებაო. გადაწყვეტილებათა მიღებისას ნარის გლეჯას მარგარიტას აკისრებდნენ. მოალყეები თანდათან ავიწროებდნენ რკალს.

მარგარიტა პირქუშად დუმდა, მღელვარებას არ იმჩნევდა. მისი ქმარი, ცბიერი მგლის ლეკვი ერთხელ უკვე იდგა ამ გადარაზული ჭიშკრის წინ და ჰერცოგის ასულმა არ შემოუშვა. ახლა იგი ურიცხვი ფეხოსნითა და ცხენოსანი ლაშქრით ხელახლა ეწვია, ომს უპირებს, რათა ძალით შემოაღწიოს ციხეში. მარგარიტას ერთხელ უკვე დაენგრა ცხოვრება, მერე რის ვაივაგლახით შეაკოწიწა ნარჩენები, ახალი ოჯახი შექმნა. რამდენადმე მოაწესრიგა თავისი ცხოვრებაც და ქვეყნის ცხოვრებაც. თუმცა არაფერი საშური, მშვენიერი, ბრწყინვალე არ ღირსებია. მისი ცხოვრება უმწეო არსებობას უფრო ჰგავდა, დაგლეჯილს, საკერებელდადებულს. მუდამ უკმარობას განიცდიდა, სასურველს უარობდა. და მაინც საკუთარი იყო ყოველივე ეს, ბრძოლით მოპოვებული, სიბინძურისაგან, არარაობისაგან გა-

[1] „დიდება ზენაარსს" (ლათ.).

დარჩენილი. ეს იყო მისი განუყოფელი, ჯებირით შემოზღუ-
დული საკუთრება. და აი, კვლავ გამოეცხადა ეს ეშმაკის ნაში-
ერი და ცდილობს მისი კუთვნილება წაართვას მარგარიტას.
ჩუმჩუმა, პირფერ კარლოსსაც და ამ გულბოროტ ცბიერ
შგელსაც სამაგიეროს მიუზღავს ჰერცოგის ასული!

მარგარიტამ იცოდა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონ-
და პირველ დღეებს. მის განკარგულებაში იყო მცირერიცხო-
ვანი, მაგრამ საიმედო ჯარი. ჰერცოგის ასულმა თვითონვე მო-
აწყო თავდაცვა. მშიშარა არ იყო იგი. ყველა კარგად ხედავდა,
რომ ერთი წუთითაც არ უფრთხოდა საშიშროებას. მისი ძლი-
ერი ნებისყოფა, გონივრული ენერგია ჯარსაც გადაედო. პირ-
ველი შემოტევა მტკიცედ მოიგერიეს, არც დიდი ზარალი ენა-
ხავთ. ციხის მცველ ჯარისკაცებში თავისებური უღიმღამო სა-
ხუმარო განწყობილება სუფევდა. მარკგრაფის მეუღლე გულ-
ნრფელ პატივისცემასა და აღტაცებას იმსახურებდა. „ჩვენი
დრუნჩიანი!" — ასე იხსენიებდნენ მას ჯარისკაცები.

ოფიცერთა შორის იყო ერთი ახალგაზრდა ბავარიელი,
ყოვლად შეუხედავი ალბინოსი, კონრად ფონ ფრაუენბერგი.
ძალად მოიძებნებოდა უფრო უტიფარი, გულღრძო, უზნეო
კაცი. ყველა ერიდებოდა, გაურბოდა. სწორედ ამიტომ მოხ-
ვდა იგი თვალში მარგარიტას. ჰერცოგის ასულმა თავდაცვის
მეთაურობა დააკისრა. იოლად გამონახა მასთან საერთო ენა.
თუ სხვების აზრით, ამ ადამიანს პირქუში თავდაჯერებულო-
ბის გარდა სხვა რამ ღირსება არ გააჩნდა, მარგარიტამ იგი
მტკიცე ხასიათის ადამიანად მიიჩნია, რომლის სიტყვა და საქ-
მე ერთი იყო. კონრად ფონ ფრაუენბერგი ტლანქი, ხრინწიანი
ხმით აქებდა მის განკარგულებებს, იწონებდა მის დაუცხრო-
მელ ენერგიულობას.

დღე დღეს მისდევდა, მოალყენი უფრო და უფრო შფო-
თავდნენ. ცხადი გახდა, რომ ერთბაშად, ერთი შეტევით უხდა
აეღოთ ეს ქვეყანა, თუ არადა, სხვაგვარად არაფერი გამოუვიდო-
დათ. ისინი კი უქმად იდგნენ ამ მოულოდნელი დაბრკოლების
წინაშე, ალყად შემომწყვდეოდნენ ერთ ყოვლად უსახურ,
საზიზღარ ქალს, ჰერცოგის ასულ მაულტაშს, და ბიჯსაც ვერ
დგამდნენ წინ. კარლოსს აცოფებდა ეს გაუთვალისწინებელი
დაბრკოლება, ტუჩებს იკვნეტდა, ბოღმით ივსებოდა. ნეთუ

დასაშვებია, რომ მისმა ბრწყინვალედ შეიარაღებულმა ლაშქარ-მა ეს კედლები ვერ გადალახოს და ხელმოცარული გაბრუნ-დეს უკან? ვინ მისცა ამდენი ძალა ამ საფრთხობელა ქალს, ამ დრუნჩიან დედაკაცს? სულის სიღრმემდე შეშფოთებული იყო კარლოსი, თავგამოდებით ლოცულობდა, ბორგავდა. სინდისის ქენჯნაც აწუხებდა, რადგან ტრიენტში წმინდა ნიკოლაუსის თითი აჩვენეს. მან მაშინვე მოინდომა ამ ძვირფასი რელიკვიის შესყიდვა (ამ წმინდანის ერთი მკლავი ადრე ჰქონდა შეძენილი), მაგრამ არ დაანებეს, კარლოსმა კი ცთუნებას ვერ გაუძლო, ანაზღად დაშნა ამოიღო, ერთი სახსარი მოაჭრა თითს და თან წამოიღო. ვინ იცის, იქნებ ამან განარისხა წმინდანი, ეგებ სწორედ ამიტომ არ იმეტებს გამარჯვებას მისი დროშ-ბისათვის, მოწინააღმდეგის მხარეს იჭერს? კარლოსმა უკანეე გააგზავნა თითის ნაწილი, მონანიების წერილიც მიაყოლა ზედ.

ესეც ამაო გამოდგა, დააგვიანა მონანიება. დღეს არა ჩვალ-მარკგრაფი დაბრუნდებოდა. ბრძოლას თუ გაუმართავდა მას, იქნებ ისე წარმართულიყო საქმე, რომ იტალიისაკენ უკანდასა-ხევი გზა აღარც კი დარჩენოდა. კარლოსმა ალყა მოხსნა ტირო-ლის ციხე-სიმაგრეს. ბოღმა გულში ჩაიმარხა და სამხრეთისაკენ გაქუსლა. იოჰანი კბილებს აკრაჭუნებდა, უკმაყოფილოდ ბუზ-ღუნებდნენ იტალიელი ბარონებიც. გზად მიმავალმა კარლოს-მა უმოწყალოდ დალაშქრა ქვეყანა, გაძარცვა, გადაწვა. ნაკარ-ტუტად აქცია მერანი, ბოცენი, ეჩის მთელი პროვინცია გა-აპარტახა, ვენახები აჩეხა, სახლები დააქცევინა.

მარკგრაფი იარაღის ჟღარუნით შემოვიდა ტიროლის ციხე-ში. წრფელად, გზნებით გადაეხვია მარგარიტას. ასეთი გულ-თბილი ადრე არასოდეს ყოფილა იგი. მარგარიტამ, მხოლოდ მან ერთმა იხსნა ტიროლი.

— ჩვენი მაულტაში! — წამდაუწუმ ეუბნებოდა მარკგრა-ფი კონრად ფონ ტეკს და თან მხარზე ხელს ურტყამდა მარ-გარიტას. — ჩვენი მაულტაში!

კონრად ფონ ტეკმა ისარგებლა შემთხვევით და მისდგა -დგილობრივ დიდებულებს. მარგარიტა მაშინვე მიუხვდა, რა აზრიც იმალებოდა ამ დაუნდობელ ღონისძიებებში, მაგრამ სი-ტყვაც არ დასცდენია, თავის ნებაზე მიუშვა კონრადი. მას შემ-დეგ, რაც მან ტიროლი გადაურჩინა ვიტელსბახს, გულითადი

სიახლოვე იგრძნო თავისი ქმრისადმი. ეს ქვეყანა და მარგარიტა ერთ მთლიანობაში გაერთიანდნენ. ჰერცოგის ასულისათვის, მისი პირადი ფიზიკური წონასწორობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი იყო, რომ ქვეყნის მმართველობა წარმართულიყო ვიტელსბახების პრინციპით: ფეოდალები მოედრიკათ, ქალაქები და ბიურგერები აღზევებულიყვნენ. ქვეყანასთან ერთად იგიც თანდათან წელში გაიმართა, ბარონების უღელს თავი დააღწია.

ჰერცოგის ასული მაულტაშის ციხე-კოშკში ცხოვრობდა. მაგრად გაედგა ფესვები ამ ქვეყანაში. ახლა უკვე სამი შვილი ჰყავდა, ორი გოგონა და ერთიც ბიჭი, მაინჰარდი. კეთილსინდისიერად ზრდიდა მათ, მაგრამ დედასა და შვილებს შორის სულიერი სიახლოვე მაინც არ იგრძნობოდა. მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ეს ქვეყანა, ეს მხარე გამხდარიყო. მდინარეები, ველ-მინდვრები, ქალაქები, ციხე-კოშკები მისი არსების შემადგენელ ნაწილად იქცა. მთის ნიავი სუნთქვა იყო მისი, მდინარეები — არტერიები მისი.

ერთხელ, შუადღეს, მდინარე პასეიერის ნაპირებს გაჰყვა პარტოდმარტო სასეირნოდ, ერთი კლდის ძირას წამოწვა დასასვენებლად, ჩათვლიმა. ანაზდად ნაზი ჩურჩული ჩაესმა და ამან გააღვიძა: „გამარჯობათ, ქალბატონო ჰერცოგის ასულო!“ — შეკრთა, კლდის ნაპრალში პაწაწინა, ბალნიანი, წვეროსანი არსება დაინახა. იმ არსებამ სასაცილო მანჭვა-გრეხით რამდენჯერმე თავი დაუკრა და გაქრა. ქონდრისკაცი! ქონდრისკაცები დაბრუნებულან ჩვენს ქვეყანაში! ქონდრისკაცები კი მხოლოდ ისეთ ადგილებს ეტანებიან, სადაც უხიფათოდ გრძნობენ თავს, ისინი ხომ მხოლოდ კანონიერ ხელმწიფეს ენდობიან. რაკი ასეა, მარგარიტა ნამდვილი მეუფე ყოფილა ამ მთაგორიანი ქვეყნისა.

*

ტიროლის ციხე-სიმაგრეს ალყა რომ მოხსნა, კარლოსი მალე სულ გაეცალა იმ მხარეს. მრავალი რელიკვია მოიპოვა ამ ლაშქრობაში, ნადავლით კი ვერ დაიტრაბახებდა. უკან დახევი-

სას ბრანდენბურგელს მაინც წაუსისინა გრაფი ფონ გერცი. მამის მაგალითს მიბაძა და აზნაურებსა და თავადებს უხვად დაურიგა ტიროლის ქალაქები და ადგილ-მამულები, რომლებიც სულაც არ ეკუთვნოდა მას, მაგრამ ამით შფოთი ჩამოაგდო ვიტელსბახების წინააღმდეგ.

როცა გერმანიაში დაბრუნდა, იმპერიისათვის ატეხილ ბრძოლის ბედი ისე მოულოდნელად შეტრიალდა, რომ ერთი ასად აინაზღაურა, რაც ტიროლში დაკარგა. თავისი დედაქალაქის — მიუნხენის შემოგარენში დათვებზე ნადირობისას მოულოდნელად გარდაიცვალა იმპერატორი ლუდვიგ ვიტელსბახი. დამბლამ უმალ ბოლო მოუღო ამ სისხლსავსე კაცს. იგი ერთბაშად გადმოვარდა ცხენიდან და მყის განუტევა სული. მოხუცმა გლეხის ქალმა დაუხუჭა საცრისოდენა, გულუბრყვილო ცისფერი თვალები. ბერებმა მალულად წაასვენეს ცხედარი, რათა, მიუხედავად ეკლესიიდან განკვეთისა და ინტერდიქტისა, ღირსეულად და მოწიწებით მიეგებინათ მიწისათვის.

ასე ჩამოეცალა კარლოს ბოჰემიელს მთავარი მტერი, რომელიც უამრავ ქვეყანასა და უამრავ ქალაქს ფლობდა. წმინდანები მაინც შეეშველენ კარლოსს. საუკუნის მიჯნაზე იგი გერმანიის უცილობელი მეფე გახდა, მოქიშპეც კი აღარავინ ჰყავდა.

კარლოს ბოჰემიელსა და ვიტელსბახებს შორის გამართულ ხანგრძლივ ბრძოლაში ორივე მხარე მოიქანცა. კოჭლმა ალბრეხტმა შუამავლობა იკისრა მათ მოსარიგებლად. კარლოსმაც და მისმა ძმამ იოჰანმაც საბოლოოდ დათმეს ტიროლი და კარინთია, მარკგრაფს სალენო მფლობელობაში გადასცეს ისინი, თანაც აღუთქვეს, პაპთან შეგარიგებთო. ვიტელსბახებმა ამის სანაცვლოდ კარლოსი გერმანიის მეფედ აღიარეს, ფიციც დასდეს მის წინაშე, საიმპერატორო რეგალიებიც მიუბოძეს.

ო, ეს რეგალიები! რამდენჯერ უნატრია ისინი კარლოსს. ბევრისბევრი ძვირფასი რელიკვია ჰქონდა მას, ძალაუფლებაც მის ხელთ იყო, მაგრამ არ მოეპოვებოდა ამ ძალაუფლების უმთავრესი ემბლემები. ასე ეგონა, რომ თვითონაც და მისი ღირსებაც განძარცულია, სანამ ამ რეგალიებს არ დაპატრონებია და იძულებულია მათი ნაყალბევით დაკმაყოფილდეს. სა

ზეიმოდ გადაიტანა პრაღის განძთსაცავში ეს ძვირფასი, გულის მოსაფონებელი საგნები. მათ შორის — წმინდა შუბი, ქრისტეს ჯვრის ლურსმანი, აგრეთვე წმინდა ანას მკლავი. მაგრამ უმთავრესი მაინც ძველებური სამეფო კვერთხია, ღია ფერის ოქროსაგან ნაკეთი სფერო — ნიშანი ხელმწიფეთა, დაკბილული გვირგვინი, ხმალი, რომელიც ანგელოზმა აჩუქა კარლოს დიდს წარმართების წინააღმდეგ საბრძოლველად. კარლოსმა პრაღის ტაძარში აკურთხა რეგალიები. მერე კი საკუთარი ხელით შეინახა მიწისქვეშა განძთსაცავში. ახლა ეს რეგალიები საგულდაგულოდ ინახებოდა წმინდა წამებულთა გამომშრალი ძვლების, პატიოსანი თვლების, იშვიათი წიგნებისა და გამოსახულებების, აქტებისა და ხელშეკრულებების, წმინდა ხმლების, ქრისტეს გვირგვინის ეკლების, ქრისტეს ჯვრის ნაფოტების გვერდით. აწოწილი მეფე დასცქეროდა ყოველივე ამას, თხელ ტუჩებზე ღიმილი ეხატა, გამხდარი ხელით ეალერსებოდა გვირგვინის დაკბილულ კიდეებს, ოქროს სფეროს — ნიშანსა ხელმწიფეთა, დაბლაგვებულ, დაჟანგულ ხმალს კარლოს დიდისას, პირველი იმპერატორისას, მისი სახელის მოზიარე იმპერატორისას.

აგნესა ფონ ტაუფერს-ფლავონი იშვიათად ჩამოდიოდა მის კუთვნილ ტიროლის მამულებში. მისი უმცროსი დაც გათხოვილიყო, ვიღაც დელ კასტელბარკოს გაჰყოლოდა, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, ფრიად საეჭვო პოლიტიკური როლი ეთამაშა. იგი თურმე მოხერხებულად ცრუობდა და ხან ტრიენტის ეპისკოპოსს ემხრობოდა, ხან ზოგიერთ იტალიელ მმართველსა და ხანაც ტიროლის სამეფო კარს. დელ კასტელბარკოს მდიდარი ადგილ-მამულები და პრივილეგიები ჰქონდა. აგნესა ბევრს მოგზაურობდა, ხშირად სტუმრობდა უფროს დასთან ბავარიაში, უმცროსთან კი იტალიაში. მას აქეთ, რაც ტიროლელებმა ჰერცოგი იოჰანი გააძევეს, აგნესას აღარავინ უხირდებოდა. თუკი რაიმე სადავო გაუჩნდებოდა მარკგრაფის ადმინისტრაციასთან, აგნესას რწმუნებულნი მის კეთილგონიერ რჩევას მიჰყვებოდნენ და, სანამ საქმე გართულდებოდა, მყის დათმობაზე მიდიოდნენ. სამეფო კარს იგი მხოლოდ მაშინ ეწვეოდა ხოლმე, როცა ამას აუცილებლად მოი-

თხოვდა წესი და ზრდილობა. სხვა დროს კი ერიდებოდა იქ ყოფნას, რათა მაბეზრობად არ ჩაეთვალათ მისი ხშირი სტუმრობა.

საოცრად გამშვენიერებულიყო, ამაღელვებელი, ლამის დამთრგუნველი სილამაზით ბრწყინავდა. იტალიაში მამაკაცები ფეხქვეშ ფიანდაზად უგებდნენ ქალაქებსა და საბატონო ადგილ-მამულებს, ერთმანეთს არ ინდობდნენ, ოღონდ კი მისი გული მოენადირებინათ, გაუთლელი ბავარიელებიც კი ენას აწლაკუნებდნენ, ბარძაყებზე ხელს ირტყამდნენ და გაიძახოდნენ: „ასეთი ქალისათვის რას დაიშურებს კაცი!“ ათასგვარ სისულელეს სჩადიოდნენ მისი გულისათვის, იგი კი იდუმალი, ნაზი ღიმილით მიმოდიოდა თაყვანისცემის, ორთაბრძოლების, თვითმკვლელობათა ამ დაუცხრომელ კორიანტელში.

სამეფო კარზე იშვიათად დადიოდა, თუმცა ფრიად აინტერესებდა ყოველივე, რაც კი ტიროლში ხდებოდა. ოდნავ გახსნიდა ხოლმე ბაგეებს და ხარბად ისმენდა მარგარიტას მოღვაწეობის ამბებს. დაწვრილებით იცოდა გამოკითხვა. ყველაფერი მიამბეთო — როგორ ავიწროებენ თავადებს, როგორ ზრუნავენ ქალაქების განვითარებაზე და მფარველობენ ებრაელებს, ტიროლის ციხე ვით გადაურჩა ლუქსემბურგებს, მარგარიტას ცხოვრებისა სულ უმნიშვნელო წვრილმანებიც კი არ გამოგრჩეთო.

კარჩაკეტილობას ვერ დასწამებდით, სულაც არ ერიდებოდა ხალხს, მაგრამ თავი კი ქედმაღლურად ეჭირა, სალამს არ ეპასუხებოდა. არასოდეს გაუღია საქველმოქმედო განსაკითხავი არც სოფელში და არც ქალაქში. თავის მამულებში მომუშავე გლეხკაცებს მკაცრად ექცეოდა. ხალხს კი მაინც სწყუროდა მისი ხილვა. გზაზე რომ გაივლიდა, ცნობისმოყვარენი მაშინვე გარეთ გამოეფინებოდნენ, ტკბებოდნენ მისი მზერით, ყიჟინით ეგებებოდნენ, ყოველნაირად გამოხატავდნენ თავიანთ სიყვარულს.

ფლორენციელი მესერე არტეზე ხშირი სტუმარი იყო მისი. აგნესა ხელგაშლილად ცხოვრობდა და ამიტომ წარამარა უხმობდა დასახმარებლად ამ უთვალტანადო, თავქიცინა ბანკირს, რომელსაც მთელ მის ადგილ-მამულზე ჰქონდა უკვე მიღებული გირავნობის სიგელი. მესერე არტეზე ტიროლის სა-

მეფო კარის შინაურ ამბებსაც წვრილად უამბობდა ხოლმე მას. ღვარძლიანად იხსენიებდა მარკგრაფსა და დრუნჩიანს. მართალია, მარკგრაფი მუდამ ფულის ნაკლებობას განიცდიდა, რადგან უამრავი თანხა სჭირდებოდა მის ომებს, მაგრამ იგი მხოლოდ თავისი ბავარიელებისა და შვაბებისაგან სესხულობდა ფულს და შიშით ირიდებდა გულკეთილი მესერე არტეზეს შემწეობას. რაც ადრე ჰქონდა დაგირავებული მასთან, ისიც კი გამოისყიდა, თუმცა გვარიანად იზარალა ამით. სიტყვაძვირ, მეტისმეტად თავაზიან ფლორენციელს არც ის ეფონებოდა გულს, მარკგრაფის მარჯვენა ხელი კონრად ფონ ტეკი ძალმომრეობით, კონფისკაციებით, ხაზინის მეშვეობით რომ შოულობდა ავლადიდებასა და ფულს. რაც მართალია, მართალია, ფული იმიტომ არსებობს, რომ იშოვნო; თუ ნაპარავი არაა, ფული ღვთის წყალობაა, პირგატეხილი, ურჩი მევალეები დასანდობნი არ არიან, გირავნობას ყავლი თუ გაუვიდა, შენ შენი უნდა მიიღო. ამას იწილო-ბიწილო რად უნდა. მაგრამ ყოველივე ეს უნდა მოიმოქმედო მართებულად, თავაზიანად, ისე რომ წესი და ადათი არ დაარღვიო. ციხეში გამომწყვდევა და თავის მოკვეთა? ფუჰ! აბა, ეგ რა საქციელია, რა საკადრისია.

მაგრამ ყველაზე მეტად იმან გააშმაგა მესერე არტეზე, რომ მენდელ ჰირში ამჯობინეს მას. ამ მშვიდ, თვინიერ, განაოლებულ კათოლიკს, ჭეშმარიტ ქრისტიანს ის აყროლებული, ღალანა, უტიფარი, მაბეზარა, ცმუტი ებრაელი, ნამდვილი ეშმაკის კერძი არჩიეს? განა ის არ კმარა, რომ ეს ღვთით შეჩვენებული ხალხი, რომელმაც აწამა და ჯვარს აცვა ჩვენი სათაყვანებელი, მხსნელი იესო, ჰაერს ბილწავს გერმანიისა და იტალიის ქალაქებში? ამ თავხედმა მარგარიტა მაულტაშმა კიდევ მთიანი ქვეყანა ჩაუგდო ხელში სისხლის საწოვად. ისე ქიაღუებივით მოედვნენ ისინი აქაურობას, ისე გაიდგეს ფესვი, რომ ვერა ძალა ვეღარ ამოძირკვავს მათ. ათას ადგილას ჩაიბუდეს ამ საზიზღარმა ქვეწარმავლებმა, ყველას წინ უსწრებენ, ყველას სთავაზობენ ფულად შემწეობას, იმასაც კი ბედავენ ეს ჭირიანები, რომ უფრო ნაკლები საურავი მოითხოვონ ვალში, ვიდრე ამას თხოულობს იგი — ყველასაგან პატივცემული, ყველა მეფისა და ბარონის კარზე სასურველ კაცად მიჩნეული ფლორენციელი. საერთოდ ხომ უაღრესად თვინიერ-

ზარდილი, თავშეკავებული ადამიანი გახლდათ, მაგრამ ასეთ აზრებს რომ გამოთქვამდა, ბოლმით, უსაზღვრო მძვინვარებით ემანჭებოდა სახე.

აგნესა მდუმარედ უსმენდა. ყოველივეს ისმენდა და იმარსოვრებდა, დახსომებულს სათუთად ინახავდა, მეტისმეტი თავაზიანობით ექცეოდა მესერე არტეზეს. მესერე კი ერთბაშად გონს მოეგებოდა ხოლმე, გაუთავებელ ბოდიშებს მოჰყვებოდა, სიბნელეში შთაინთქმებოდა.

მეფე კარლოსთან შეთანხმების შემდეგ მარგარიტასა და მარკგრაფს აღარავინ შედავებია ტიროლის მფლობელობაზე. შამის, იმპერატორის, გარდაცვალების შემდეგ ლუდვიგი გაება მემკვიდრეობის თაობაზე ძმებთან ატეხილ დავაში. ბოლოს და ბოლოს იმაზე შეთანხმდნენ, რომ ამ მემკვიდრეობიდან იგი მიიღებდა ზემო ბავარიას, ხოლო ბრანდენბურგის მარკგრაფობიდან — მხოლოდ ტიტულსა და კურფიურსტის წოდებას. რაკი ბრანდენბურგის მეუფეობა აღარ ეკისრებოდა, მთელი გულისყური ტიროლის მართვა-გამგეობას მიაპყრო. მისი სამფლობელოები გადაჭიმული იყო გერციდან ბურგუნდიამდე და ლომბარდიიდან დუნაიმდე. ახლა იგი იწოდებოდა ბრანდენბურგისა და ლაუზიცის მარკგრაფად, წმინდა რომის იმპერიის ობერკამერერად, რაინის პფალცგრაფად, ბავარიისა და კარინთიის ჰერცოგად, ტიროლისა და გერცის გრაფად, აგლეის, ტრიენტის, ბრიქსენის საეპისკოპოსოების ფოგტად.

მარგარიტა შეხმატკბილებულად ცხოვრობდა მასთან, გულითადად, ლამის დედაშვილურად ექცეოდა. ახლა იგი მტკიცედ იყო დარწმუნებული, ღმერთმა იმიტომ არ გაიმეტა მისთვის ქალური მომხიბვლელობა, რომ მთელი თავისი ძალ-ღონე ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის მოეხმარა. რაკი ეს აზრი ღრმად შთაინერგა გულში, კმაყოფილება იგრძნო. ისე მშვიდად იყო, ვითარცა უქარო ამინდში წყლის ზედაპირი. მის გადაწყვეტილებებში იგრძნობოდა ღრმა და კეთილსინდისიერი თანმიმდევრულობა. ქალი და მმართველი შედუღაბდნენ მის არსებაში. არც მისი რჩევა, არც კიდევ საქციელი არასოდეს ყოფილა ცივი გონებით ნაკარნახევი, ორაზროვანი. მისი სიტყვაც და საქმეც ნაზაზრდოები იყო გულისხმიერი, კეთილშო-

ბილური დედობის გრძნობით, ბრმად არ მიჰყვებოდა წესსა და ადათს, მაგრამ მუდამ შინაგანი კეთილგონიერი აზრით კი იყო გამსჭვალული.

მეტისმეტად ძნელი მმართველობა არგუნა ბედმა, ნარეკლიან გზაზე უხდებოდა სვლა. ომს ომი მოსდევდა: ხან ლუქსემბურგთან, ხან ეპისკოპოსთან, ლომბარდიის ქალაქებთან, აჯანყებულ ბარონებთან, დიდი ჯაფითა და მზრუნველობით აგებული ხელახლა ინგრეოდა, პარტახდებოდა. ამას ზედ ერთოდა მიწისძვრები, წყალდიდობა, ხანძრები, ჭირიანობა, კალიის შემოსევა, გამუდმებული ომებით გამოწვეული ფულადი სიძნელეები. ასეთი ბედუკუღმართობის დროს ჭირდა ქვეყნის გაღონიერება. მაგრამ მარგარიტას ძლიერი და იმედის მომცემი ქალურობა მოეფინა ქვეყანას, ფეხზე წამოაყენა იგი, ახალი ძალები შთაბერა განვითარებისა და მომძლავრებისათვის. ქვეყანას ჭრილობებს უშუშებდა, გადასახადთაგან ათავისუფლებდა ომებისა და ხანძრებისაგან დაზარალებულ ქალაქებს. ჭირვეული ბარონების წუწუნს ყურს არ უგდებდა და აიძულებდა ნაწილობრივ მაინც გაეღოთ კუთვნილი გადასახადი. ყოველივე ეს ისე კეთდებოდა, როგორც ბუნებრივი კანონზომიერება, უხმაუროდ, ძალდაუტანებლად.

როცა განსაკუთრებით რთული ფინანსური საკითხები წამოიჭრებოდა ხოლმე, ჰერცოგის ასული მენდელ ჰირშს იხმობდა რჩევისათვის. ყავისფერ ხიფთანში გამოწყობილი მენდელიც მყისვე ეახლებოდა. ყურადღებით უსმენდა მარგარიტას ეს დაუდგრომელი, თავაზიანი, გვარიანად ჩათქვირებული კაცი, თავს აკანტურებდა, იღიმებოდა. მერე მოხსნიდა გუდას პირს, აღაღანდებოდა და არწმუნებდა, მაგაზე იოლი არაფერიაო. თანაც ისეთ მოულოდნელ რამეს ურჩევდა, კაცი მართლაც რომ განცვიფრდებოდა. ყველასგან დევნილი ჩია კაცუნა დიდად დავალებული იყო მარგარიტასაგან, მისმა კეთილგანწყობილებამ თავშესაფარიც გაუჩინა და ბევრი ხიფათიც ააცილა თავიდან. მენდელ ჰირშს უყვარდა ეს ქალი, ცდილობდა ჩაწვდომოდა მისი სულის სიღრმეს, თავს არ იზოგავდა, რომ რაიმე სარგებლიანი რჩევა მიეცა მისთვის.

ტიროლის მმართველნი ნებივრად ვეღარ პარპაშობდნენ, ისეთი ქაოსი იყო გამეფებული ქვეყნის ეკონომიკაში. მართა-

ლია, ფეოდალების თვითნებობას ლაგამი ამოსდეს, გულბოროტ მესერე არტეზესთან საქმიანი ურთიერთობაც შეწყვიტეს, მაგრამ მარკგრაფი მაინც ვალებში ეფლობოდა, რადგან აურაცხელ ფულს სესხულობდა თავისი შვაბებისა და ბავარიელებისაგან. ისინი კი სულ იმის ცდაში იყვნენ, მეტი სარგებლობა ენახათ, ამიტომ ურცხვად სტყუებდნენ გირავნობის სიგელებს, ათასგვარ ვალდებულებებს, ზღვარი აღარ ედო მათ მომხვეჭელობას. ასე რომ, მარკგრაფი საბოლოოდ ვერაფერს იგებდა. პირიქით. თუ ადრე ქვეყნის მთელი ნექტარი ტიროლელებისა იყო, ახლა გარეშეები — ბავარიელები და შვაბები დაეპატრონენ აქაურ დოვლათს. ყველა დიდი თანამდებობა მათ ხელთ იყო, ხარბმა მოძალადე კონრად ფონ ტეკმა აურაცხელი სიმდიდრე ჩაიგდო ხელში, ჰადმარ ფონ დიურენბერგი მარილის მონოპოლიას დაეუფლა ჰალში, რამდენიმე მიუნხენელი — იაკობ ფრეიმანი, გრიმოალდ დრექსლერი და სხვა ბიურგერები კი ლანდეკის საბადოებს დაეპატრონენ. უმთავრესი ბაჟებისა და გადასახადების აკრეფა იჯარით ბავარიელებს, შვაბებსა და აესტრიელებს გადაეცათ. მარკგრაფი ამ საქმეში არავის არ უგდებდა ყურს. იგი ენდობოდა თავის ბავარიელებსა და შვაბებს, ისინი კი აშკარად სარგებლობდნენ ამით. მენდელ ჰირში მარგარიტას მფარველ კალთას ეფარებოდა და ჩუმჩუმად მაინც ახერხებდა ისეთი პუნქტების შეტანას ხელშეკრულებებში, რომ ნაწილობრივ მაინც დაეფარა მარკგრაფი ბავარიელების აღვირახსნილი თვითნებობისაგან.

მარგარიტა კვლავაც არ ენდობოდა თავისი ქმრის ბავარიელ მეგობრებს. მხოლოდ ერთ მათგანს დაუახლოვდა იგი. ეს გახლდათ ის უსახური ოფიცერი, რომელიც ლუქსემბურგელთა თავდასხმის დროს ტიროლის ციხის დაცვაში დაეხმარა მას. ეს ალბინოსი, გვარიანად ჩასუქებული, თვალებჩაწითლებული კონრად ფონ ფრაუენბერგი ერთი შეუხედავი, უკარებვინმე იყო. ჰერცოგის ასული გრძნობდა, რომ განგებამ ამით ისინი ერთ ბედ ქვეშ მოაქცია, ამიტომ სხვებთან შედარებით მას მეტი ნდობით ეპყრობოდა, გამორჩეული ჰყავდა. ეს ხმახრინწიანი, პირქუში კაცი უცებ აღზევდა, ადგილ-მამულის

მფლობელი გახდა. მარგარიტამ ისიც კი შეძლო, რომ ლანდეს-ჰოფმაისტერად დანიშნეს იგი.

ჰერცოგის ასულმა სხვა რამესაც მიაღწია: გამოსცა კანონთა დებულება და წესრიგი დააფუძნა ქვეყანაში. მტკიცე ბაჟი დააწესა, კიდევ უფრო შეზღუდა ბარონების თვითნებობა და სასამართლო უფლებები, გააძლიერა ცენტრალური ხელისუფლება, განამტკიცა მოქალაქეთა მდგომარეობა, ვაჭრობა, ხელოსნობა. გაიფურჩქნენ აფერადებული ქალაქები, ლაღად გაშალეს მხრები, გამდიდრდნენ. ახლა ბარონების ციხე-კოშკები კი აღარ განსაზღვრავდნენ ქვეყნის ბედიღბალს, არამედ მაგისტრატები, ზვიადი ქალაქური ბაზრობები. გამოცოცხლდნენ პატარა დაბებიც — ბრუნეკი, გლურნსი, კლაუზენი, არკო, ალა, რატენბერგი, კიტცბიუგელი, ლინცი. სამიმოსვლო და სავაჭრო გზებით მთელ ქვეყანას დაუკავშირდნენ მსხვილი ბირჟები და ბაზრები, ტრიენტი, ბოცენი, რივი, ბრიქსენი. გაცხოველდა აღებ-მიცემობა. მენდელ ჰირშის ნათესი ბარაქიანად აჯეჯილდა.

ჰერცოგის ასულს უყვარდა თავისი ჭრელი, ხმაურიანი ქალაქები. ეს ლამაზი, სიცოცხლით სავსე დასახლებები ხომ მისი შექმნილი იყო. რაა მამაკაცი! რაა სიყვარული! განა შეიძლება უფრო მეტი მჩქეფარება, ყვავილობა, განტოტება, უფრო მდიდრულად ცხოვრება? განა ეს მოქცევა და უკუქცევა, ეს ცოცხალი, მიზანსწრაფული მოძრაობა თვით არსების შემადგენელი ნაწილები არ არის? სულითა და გულით ჩაეფლო საქმიანობაში, ძირფესვიანად შეესისხლხორცა ქვეყანას. ქვეყანა ბრმა ხომ არ იყო, ეს არ დაენახა, უგულო ხომ არ იყო, ეს არ ეგრძნო, განა შეეძლო არ გამოპასუხებოდა ასეთ სიყვარულს, არ ჩაეკრა გულში? დიახაც! დაიხაც! დიახაც! ქალაქთა შენობები მოსიყვარულედ, თანაგრძნობით შესცქეროდნენ მას, მოკირწყლული გზების ქვები სხვაგვარად ხმიანობდნენ მისი ცხენების ფლოქვთა ქვეშ. ყინულის საფარველი გალხვა, იგი შეეზარდა ქვეყანას, მთლად გაითქვიფა მასში. ქმაყოფილი იყო, ბედნიერი.

თბილი საღამო იდგა. ბატონი ფონ შენა და ბერხტოლდ ფონ გუფიდაუნი გატკეპნილი ბილიკით აუჩქარებლად მიეშურებოდნენ შენას ციხე-კოშკისაკენ. ისინი მოემგზავრებოდ-

ნენ ქალაქ მერანიდან, რომელსაც უკვე არსებული დიდი საბ-ჭოს გარდა ჰერცოგის ასულმა საზეიმოდ მცირე საბჭოს შექ-მნის უფლებაც მიუბოძა და ამით მნიშვნელოვნად გააფართო-ვა ბიურგერთა უფლებები. ჭეშმარიტად ძვირფასი საჩუქარი იყო ეს, რადგან ამისათვის ჰერცოგის ასულმა მსხვერპლად გა-იღო საკუთარი გავლენაცა და ფულადი შემოსავლის დიდი ნა-წილიც. ხალხი, ვითარცა წესია, მოწიწებით მადლობას უხდი-და, ყიჟინით ესალმებოდა. „ჩვენი მაულტაში", — ამბობდნენ მასზე.

ერთ ადგილას მხედრები იძულებული გახდნენ გზა დაეთ-მოთ მცირე, მაგრამ ლამაზად აკაზმული ქარავნისათვის. ფონ შენამაც და ფონ გუფიდაუნმაც მდაბლად დაუკრეს თავი შე-მხვედრთ. ტახტრევნით აგნესა ფონ ფლავონი მობრძანდებო-და. ირგვლივ ჯარად მოსდევდა ხალხი: „ნამდვილი მზეთუნახა-ვია! ანგელოზივით ლამაზია!" აღტაცებით ესალმებოდნენ ყვე-ლანი და ეს თავშეუკავებელი შეძახილები სრულიად სხვაგვა-რად ეღერდა, ვიდრე ის ყიჟინა, რომელიც გაისმოდა ჰერცო-გის ასულის პატივსაცემად ცოტა ხნის წინ გამართული ცერე-მონიის დროს.

ბატონი ფონ შენა იტალიურ სიმღერას უსტვენდა. ბერს-ტოლდ ფონ გუფიდაუნი ჩაფიქრებული იყო. ვაკაცური, შავ-გვრემანი სახე ჰქონდა, ცისფერი თვალები. დაძაბულად იმ-ზირებოდა შორეთში, თუმცა ვერც ვერაფერს ხედავდა. გა-მჭრიახობას ვერ დაიკვეხნიდა ეს კაცი.

ქალაქის მისადგომებთან მუშაითების მცირე დასს წამო-ეწივნენ, რომელიც ცნობისმოყვარეთა ჯგუფს თავის სიჩაუქეს უჩვენებდა. ერთმა წითურმა ჯამბაზმა ვეებერთელა მაიმუნი გამოიყვანა. სასაცილოდ იჯდა სევდიანი მაიმუნი სალტეში და ნასროლ ვაშლებს იჭერდა. ახლა გოგონამ დაიწყო ცეკვა, ბურთებით ჟონგლიორობა. მერე ისევ მაიმუნის ჯერი დადგა. ცისფერ აბრეშუმში გამოაწყვეს, ზიზილ-პიპილებით მორთეს. იჯდა ეს გრძელკიდურა, ავი, ტლანქი, ნაღვლიანი ცხოველი და წინგადმოყრილ ჩაყვითლებულ კბილებს აკრაჭუნებდა. ხალხი ერთხანს მდუმარედ შესცქეროდა. ანაზდად ისეთი ხარხარი ატყდა, გეგონებოდათ სიცილისაგან გაიგუდებიანო. დაოსე-

ბულნი ბარძაყებზე ხელებს ირტყამდნენ, სულმოუთქმელად ღრიალებდნენ: „ეს ხომ ჰერცოგის ასულია! დრუნჩიანი!".

მხედრებმა გზა განაგრძეს. ბრაზით ამოიქშინა ბერხტოლდმა. ყურძნის მკრეფავი შემოხვდათ, ფეხშიშველა მოდიოდა, შავგვრემანი ლამაზი ქალი იყო. მხედრებს მორჩილად დაუკრა თავი, გაუღიმა. ბერხტოლდს ზედაც არ შეუხედავს მისთვის. ფონ შენამ ერთი-ორი სახუმარო სიტყვა მიუგდო. მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ ნაძალადევად გამხიარულდა. მერე იმანაც ჩამოუშვა ცხვირი. მდუმარედ განაგრძო გზა, მხრებში მოხრილი იჯდა უნაგირზე, ბებრულ გრძელ სახეზე ზიზღი ეხატა.

*

ქალაქ ალაში, სადაც ლიცანოელ ბარონებს აცოსა და მარკაბრუნს მოლაპარაკება გაემართათ ტრიენტის კაპიტულის წევრთან, უფროსი ძმა, ბატონი აცო, ლაპარაკის დროს შუა სიტყვაზე უეცრად დაბარბაცდა. სახეზე ჯერ სიყვითლემ გადაუარა, მერე მოლურჯო-შავი ფერი დაედო და წაიქცა, იღლიების ქვეშ, საზარდულის არეში, თეძოებზე კვერცხისოდენა შავი, ჩირქიანი კვანძები ამოებურცა. ხროტინებდა, უგონოდ იყო, რამდენიმე საათში სული განუტევა. ტრიენტელმა ცხენს მათრახი გადაუკრა და თავისი ქალაქისაკენ მოქუსლა. აი, ესეც შავი ჭირი. ამ მთაგორიან ქვეყანაშიც შემოუღწევია შავი სიკვდილის მთესველს, ჩანს, მართალს ამბობდნენ, ვერონაში ოთხი-ხუთი კაცი უკვე მოკვდაო. მაშ მთებსაც მოედო ეს ავა სენი. ღმერთო დიდებულო, გვიხსენ ყველანი!

შავი ჭირი აღმოსავლეთიდან მოვიდა. ჯერ ზღვის სანაპიროზე მძვინვარებდა, შემდეგ ქვეყნის სიღრმეშიც შეაღწია. რამდენიმე დღეში, ზოგჯერ რამდენიმე საათშიც ხოცავდა იგი მსხვერპლს. ნეაპოლში, მონპელიეში მოსახლეობის ორი მესამედი მოისრა. მარსელში ეპისკოპოსიც მოკვდა და მთელი მისი კაპიტულიც გაწყდა, არც ერთი ქადაგი-ბერი და მინორიტი არ გადარჩენილა. ზოგიერთი მხარე პირწმინდად გაუკაც-

რიელდა. საქონლით დატვირთული მრავალნიჩბიანი გემები თავის ნებაზე დაცურავდნენ ზღვაში. ხომალდებზე ყველანი აბოწყვეტილიყვნენ. შავი ჭირი განსაკუთრებით მძვინვარებდა ავინიონში. ჭიანჭველებივით იხოცებოდნენ დასნებოვნებული კარდინალები, გაჭყლეტილი ბუბონებიდან გადმონთხეული ჩირქში ეთხვრებოდათ ძვირფასი ტანსაცმელი. პაპი ყველაზე მოშორებულ ოთახებში ჩაიკეტა, აღარავის იკარებდა, მთელი დღის განმავლობაში გიზგიზა ცეცხლი ენთო, ჰაერის გამასუფთავებელ ბალახს წვავდა და ახრჩოლებდა. პრაღაში, მიწისქვეშა განძთსაცავში, ოქროულობასა, იშვიათ ნივთებსა და რელიკვიებს შორის მოკალათებულიყო კარლოს მეფე, ხელმწიფე გერმანიისა, მარხულობდა და ლოცულობდა.

განსაკუთრებით დააცხრა ეპიდემია ტიროლის ველებს. ვიპტალში მოსახლეობის მხოლოდ ერთი მესამედი გადარჩა, ხალხმრავალ მარიენბერგის მონასტერში კი — მხოლოდ წინამძღვარი ვიზო, მღვდელი რუდოლფი, ერთიც მორჩილი და კიდევ ჟამთააღმწერელი მამაო გოსვინი. ზოგიერთ ველზე ყოველი ექვსი კაციდან მხოლოდ ერთი გადარჩენილიყო. რაკი შავი ჭირის სენი სუნთქვით, ტანსაცმლისა და ნივთების მეშვეობით გადადიოდა, გაბოროტებული და რწმენადაკარგული ადამიანები სიახლოვეს არავის იკარებდნენ, მეგობარი მეგობარს გაურბოდა, საცოლე — თავის შეყვარებულს, შვილები— მშობლებს. ადამიანები იხოცებოდნენ უზიარებლად, ქალაქებში ავეჯით გაწყობილი სახლები სრულიად უპატრონოდ დარჩენილიყო, მაგრამ სიახლოვესაც არავინ ეკარებოდა. ეკლესიებში წირვა-ლოცვა აღარ ტარდებოდა, სასამართლოში საქმე აღარ ირჩეოდა. ექიმები ათასგვარ რამეს ლაპარაკობდნენ, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ იმის თქმაღა შეეძლოთ, რომ ყოველივე ღვთის ნებით ხდებაო. შემწეობა მათ არ ძალუძდათ. შიშისაგან შეძრწუნებული, ლამის გონს გადასული ადამიანები თავს ისაჭურისებდნენ, მოწამეობდნენ, ქალები თეძებში ერთიანდებოდნენ. წამოვიდა ფლაგელანტთა, წინასწარმეტყველთა, ქადაგად დაცემულთა მთელი პროცესიები. ზოგ-ზოგმა კი ღორმუცელობას მიჰყო ხელი, ზომაგადასულად იქცეოდნენ, ქეიფობდნენ, ღრეობდნენ, მრუშობდნენ. გასისხლიანებული,

ილაჯგაწყვეტილი ფლაგელანტები გზადაგზა ხვდებოდნენ გალეშილ ადამიანებს, საკარნავლო ჭრელ-ჭრელ ნიღბებს.

მარგარიტას სამი შვილიდან მხოლოდ ერთი გადარჩა, ვაჟიშვილი მაინჰარდი, ქალიშვილები კი ორთავენი დაეხოცნენ. უზარმაზარი შავი სიმსივნეებით დამახინჯებულნი, საზიზღრად გაბერილები ესვენენ ისინი. მარგარიტას თავში გაუელვა: „ისეთივე უგვანი შესახედავები არიან ახლა, როგორც მე".

მაგრამ ამაზე ფიქრის თავი არ ჰქონდა. თავგადადებული მუშაობდა, უშიშრად დადიოდა ყველგან, სავსებით მშვიდად იყო, საღი გონებით მოქმედებდა. ამ შემზარავ შიშსა და ძრწოლაში, საშინელ არეულ-დარეულობაში ჰერცოგის ასულის მხოლოდ ზოგიერთი განკარგულება თუ სრულდებოდა და ისიც ნაწილობრივ. მაინც უფრო მეტ წესრიგს ინარჩუნებდა მარგარიტა თავის ქვეყანაში, ვიდრე სხვა მმართველები ასეთი საყოველთაო უბედურების დროს. და როგორც კი ჩაცხრომა დაიწყო შავმა ჭირმა, მარგარიტამ მაშინვე მოზიდა სადავეები და შეეცადა მმართველობა მიესადაგებინა მოსახლეობის შემცირებისაგან უფრო გახალვათებული, მაგრამ მოშლილი ცხოვრებისათვის. მტკიცედ აღუდგა წინ უპატრონოდ დარჩენილი მრავალრიცხოვანი ადგილ-მამულების დატაცებას, თანაც ისარგებლა შემთხვევით და იაფად, მაგრამ მართებული გზით შეიძინა მრავალი ადგილ-მამული და სიმდიდრე.

მესერე არტეზეს გახურებული მუშაობის დრო დაუდგა, ყელამდე საქმეებში იყო ჩაფლული. ვინ მოთვლის, დედამიწის ზურგზე რამდენი სახლი და უძრავი ქონება, უფლებები და პრივილეგიები რჩებოდათ მემკვიდრეებს, რომელთაც არ იცოდნენ, როგორ გამოეყენებინათ ისინი. მესერე ყოველივეს ყიდულობდა, ქონებას იხვეჭდა. მაგრამ, აი, ტიროლში წინააღმდეგობას წააწყდა. აქ ისეთი კანონები არსებობდა, რომლებიც ზღუდავდნენ მარტო მას კი არა, სამეფო კარსაც, ჩინოვნიკებსაც. მკაცრი, გვერდაუვლელი პარაგრაფები ჩაეწერათ იქაურ კანონებში. ტაუფერსის ციხე-სიმაგრეში აგნესას თანდასწრებით გუდას პირი მოხსნა და მთელი ბრაზი ამოანთხია. ყველაფერში ის ებრაელი, მელაკუდა მენდელ ჰირშია დამნაშავე! ებრაელი ხელს უშლიდა მესერეს, ხელს უშლიდა ამ კეთილი გულის ქრისტიანის ფინანსურ გარიგებებს. ყოველნაირად კვანტს

მაგრამ როგორც კი ჩაივლიდა ტახტრევანი, მაშინვე ქირქილს იწყებდნენ. „რას უგავს ტუჩი! მაიმუნივით არა აქვს გადმობრუნებული!“ — ჩურჩულებდნენ ჭნავი და შეუხედავი ქალები; ლამაზნი და სანდომიანნი კი თანაგრძნობას იჩენდნენ: „საწყალი, რა უშნოა!“

ასე მოგზაურობდა თავის მომავალ სამფლობელოში ეს ჩასუქებული, ჟამისფერსახიანი, დინჯი ბავშვი, კერპივით რომ მოერთოთ ძვირფასი სამკაულებით.

ვილტენთან გაშლილი ტილოსკედლებიანი ქალაქის მთავარ კარავში ძვირფასი გობელენები და ხალიჩები იტაცებდნენ მნახველის თვალს, საზეიმოდ შრიალებდნენ დროშები, თავს იწონებდნენ ლუქსემბურგის, კარინთიის, კრაინის, ჰერცის, ტიროლის გერბები. ათი წლის პრინცი იოჰანი ელოდა დანიშნულს, რომელზედაც ჯვარი უნდა დაეწერა. გამხდარ, ათი წლის ასაკისათვის შეუფერებლად მაღალ ბიჭუნას საკმაოდ ლამაზი მოგრძო, თხელი პირისახე ჰქონდა, მაგრამ ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი პატარა თვალები ბოროტად უელავდა. მოდურად ვიწრო ტანსაცმელში გამოსხუტული ბავშვი უსიამოდ იშმუშნებოდა. დეკორატიული აბჯარი, რომელიც დღეს პირველად ჩაეცვა ზეიმის აღსანიშნავად, საშინლად უხუთავდა ისედაც ვიწრო გულმკერდს. შეცბუნებული, ოფლში გაწუწული ცდილობდა როგორმე ამოფარებოდა თხუთმეტი ბოჰემიელი და ლუქსემბურგელი თავადისაგან შემდგარ თავის ამალას.

გაისმა ბუკის ხმები, ძირს დახარეს დროშათა ტყე. ასე შეხვდნენ პრინცესას მოსვლას. წინ წამოდგა არქიეპისკოპოსი ფონ ოლმიუტცი და ტკბილი მჭევრმეტყველებით მიესალმა მას უფლისწულის სახელით. და აი, ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი ბავშვი — დეკორატიულ აბჯარში საზეიმოდ გამოწყობილი ბიჭი და თვალმარგალიტით დახუნძლული პატარა გოგო. გამომცდელად შეჰყურებდნენ ერთმანეთს. იოჰანს ბოროტად მოეჭუტა პატარა თვალები და ბრაზნარევი სიმორცხვით უმზერდა თავის უსახურ საცოლეს; პრინცესა კი ცივად, თითქმის დამცინავად ათვალიერებდა უშნოდ აწოწილ, დაბნეულ ყმაწვილს. გაუბედავად, ნაძალადევი თავაზიანობით გაუწოდეს ერთმანეთს ხელი.

მობრძანდნენ მამები. აღტაცებით მიაშტერდა მარგარიტა

ულებდა მას, იგონებდა ათასგვარ ჯოჯოხეთურ შეზღუდვებს.

აგნესა მდუმარედ უსმენდა ფლორენციელს, დაჟინებით მისჩერებოდა თავისი დიდი ცისფერი თვალებით. და როცა მესერე არტეზემ სათქმელი მოილია, მერე ალაპარაკდა იგი. ცივი და ამაღელვებელი ხმით მოჰყვა ათასგვარ ამბებს. რაინის სანაპიროებზე ვიყავიო. ბევრ ქალაქში თურმე ებრაელები მოუხვეტიათ და ცეცხლში დაუწვიათ. ბეჯითად ვიცი, შავი ჭირი მათი დათესილია. ჭები მოუწამლავთ. ცოფინენში ხალხს მართლა უპოვია საწამლავი. ბაზელში საკუთარი თვალით ვნახე, როგორ გამოამწყვდიეს ებრაელები რაინის კუნძულზე ერთ ხის შენობაში და შიგ გამოხრუკეს. საშინელი წივილ-კივილი ისმოდა და მერე კი დიდხანს ყარდა იქაურობა. ახია მათზე, ძალიანაც კარგი, რომ ასე მოექცნენ. ამ სამგზის წყეულთა ბრალია შავი ჭირის გაჩენა. თუმცა ეგეცაა, რომ ის კოპლი ალბრეხტ ავსტრიელი, მაინცის ეპისკოპოსი და ჰერცოგის ასული მაულტაში დიდად მფარველობენ თავიანთ ებრაელებს. „მაგრამ ამ ბატონებს ალბათ რაღაც დიდი მიზეზი აქვთ, ასე რომ იქცევიან", — დასძინა აგნესამ დინჯად, გულგრილად, თვალს არ აშორებდა ფლორენციელს.

მესერე არტეზე მორჩილად უსმენდა, შესაკამათებელი ერთი სიტყვაც არ დასცდენია. თავისი საქმეები არც კი ჰქონდა დამთავრებული, ისე გაბრუნდა უკან, ფლორენციაში.

ასე აზვირთდა იტალიაში და მერე ტიროლის ველებს მოედო ჯერ ჭორად ნათქვამი, მერე კი უტყუარად მიჩნეული ამბავი: ებრაელებმა შეგვყარეს შავი ჭირი. ამიტომ სანამ მათ არ გავაძევებთ ქვეყნიდან, სენი არ ჩაცხრებაო. აზავთდა მრისხანე მუქარა, დაიწყო მათი დევნა და აწიოკება.

ებრაელები კი ამასობაში თავქუდმოგლეჯილი დაქროდნენ აქეთ-იქით. გულმოდგინედ საქმიანობდნენ. საქმე კი უამრავი იყო, კაცს თავბრუ დაესხმოდა. ჩია ტანის მენდელ ჰირში მოუსვენრად წრიალებდა, ხელებს იქნევდა, განუწყვეტლივ კრიახობდა. მისი ნუშისთვალება მრავალრიცხოვანი შვილებიც ფუსფუსებდნენ, მათი ჩლიფინა დედაბერიც კი გამოცოცხლდა, ენას ძლივს აბრუნებდა და მაინც წამდაუწუმ კითხულობდა: „როგორაა საქმე?" საქმე კი, ღვთის შეწევნით, ჩინებულად იყო. შავი ჭირი თანდათან ჩაცხრა. თვალი არ ეცეს! უამრავი

საზრუნავი გაუჩნდათ. აღებ-მიცემობა გაცხოველდა, ისინიც ღაუცხრომლად ვაჭრობდნენ, შუამავლობდნენ, სავაჭრო გარიგებებს აწყობდნენ. თუ ღვთის წყალობა იქნა, ბოცენში ალბათ მალე გამართავენ პირველ დიდ ბაზრობას. ყოვლად მწყალობელ ჰერცოგის ასულს — ღმერთი იყოს მისი შემწე! — ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ ძალუძს მენდელის გარეშე.

ამასობაში კი თანდათან მოცოცავდა ის საშინელი, კბილებდაკრეჭილი, უგონო, შავბნელი რამ. ებრაელებმა კარგად იცოდნენ, რაც იყო ეს. ამ თორმეტი წლის წინათაც ხომ ასე მოხდა, როცა „ტყავის ხელთათმანიანთა ძმობამ" დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა მოაწყო. ახლა სამხრეთ-დასავლეთიდან მოღოღავდა ეს საშინელება. დიდად გამოცდილი, გონიერი და კეთილი პაპი კლიმენტი პირადადაც წინაღუდგა მოსალოდნელ ამბებს, ბულებიც მოიშველა. შავმა ჭირმა ხომ არც ებრაელები დაინდო, როგორღა დავადანაშაულოთ ისინი ამ სენის გავრცელებაშიო. ებრაელების დევნის მიზეზი ჭების მოწამვლა კი არა, მათი კაპიტალი და მევალეთა ხელწერილებიაო. ებრაელებს ძარცვავდნენ და ხოცავდნენ ბურგუნდიაში, ჩრაინის სანაპიროებზე, ჰოლანდიაში, ლომბარდიაში, პოლონეთში, თორმეტ, ოც, ას, ორას თემში. ტიროლელი ებრაელები მოლოდინს მოეცვა. მარხულობდნენ, ლოცულობდნენ. ხელისუფალთათვის ძვირფასი საჩუქრების მირთმევას აზრი არ ჰქონდა. ეჭვი არ იყო, რომ ჰერცოგის ასული შეძლებისდაგვარად დაიცავდა მათ. მარკგრაფიც მამამისივით მოწყალე თვალით უყურებდა ებრაელებს, ხელს უწყობდა ქალაქებისა და ვაჭრობის აღორძინებას, მფარველობდა. მაგრამ თურმე სისხლსა და ოქროს დახარბებულ გამძვინვარებულ ბრბოს ვერც იმპერატორი აღუდგებოდა წინ, ვერც პაპი და ვერც ჯალათი. მხოლოდ ლოდინი დარჩენოდათ, ლოდინი, ლოცვა და საქმიანობა.

და აი, ანაზდად ერთ დღეში მოხდა ყოველივე. რივეს, როვერეტოს, ტრიენტს, ბოცენს ერთად დაატყდა თავს რისხვა. რივეში ებრაელები ტბაში დაახრჩვეს, როვერეტოში გაცოფებულმა, აღრიალებულმა ბრბომ აიძულა ისინი მაღალი კლდიდან გადაჩეხილიყვნენ უფსკრულში, ტრიენტელი ებრაელები ცეცხლში დაწვეს. ბოცენში უფრო მეტად ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი, ორგანიზებული ხოცვა-ჟლეტისათვის თითქოს არც კი

ეცალათ. მხოლოდ ისინი დახოცეს, ვინც თვალში მოხვდათ. მენდელ ჰირშის ოჯახიდან ცოცხლები გადარჩნენ მხოლოდ ჩიფჩიფა დედაბერი, ერთი რძალი და ერთიც პატარა ბავშვი.

მიუნხენში მარკგრაფმა ვერ შეძლო თავისი ებრაელების დაცვა; ჰალსა და ინსბრუკში იგი მამაცურად ჩადგა ებრაელებსა და ლაგამაწყვეტილ ბრბოს შორის. უფლებებისა და სამართლიანობის დამცველი იყო იგი. დახოცილთ აბა რაღა შემწეობას გაუწევდა. ამიტომ მკვლელთ ნადავლი წაართვა და თითქმის ხელცარიელი დატოვა. ხოლო ბავარიელმა და შვაბმა ბატონებმა მარკგრაფის სასარგებლოდ დაიწყეს იმ ვალების შეგროვება, რაც მკვლელებს მოკლულებისა ემართათ. თანაც ისეთი დაუნდობლობა გამოიჩინეს ამ საქმეში, როგორსაც თვით ებრაელებიც ვერ წარმოადგენდნენ. ბოლოს საქმეში კარლოსიც ჩაერია. მარკგრაფსაც და სხვა მმართველებსაც, რომლებსაც კი ებრაელები ამოუწყვიტეს, მათი ქონების წილი მოსთხოვა. გახურებული ვაჭრობა გაჩაღდა მათ შორის.

ძალმომრეობის ამბავი რომ შეიტყო, შეძრწუნებულმა მარგარიტამ მაშინვე ბოცენს მიაშურა. შუაღამით ჩავიდა ქალაქში. ჩირაღდნების მოლიცლიცე შუქზე უმოწყალოდ დანგრეული სახლი დაინახა: ბარგი-ბარხანით გატენილი პატარ-პატარა ოთახები პირწმინდად გამოეცარიელებინათ, ყველაფერი გაეპარტახებინათ და მოესვარათ. საკუთარი თვალით ნახა ქალიშვილების, ვაჟიშვილების, რძლების, სიძეების, ადრე აქ ფუტკრებივით მოფუსფუსე ნუშისთვალება ბავშვების გვამები; ზოგი მხეცურად იყო ნაგვემი და დასახიჩრებული, ზოგს კი ისე პატარა ჭრილობა ჰქონდა, ერთბაშად ვერც შეამჩნევდა კაცი, ფეხმარდნი, მოუსვენარნი აწ მშვიდად ესვენენ მიწაზე, მშვიდად ესვენა მენდელ ჰირშიც. სალოცავი მოსასხამი ეცვა, შუბლსა და ხელებზე სალოცავი თასმები ერტყა; ჭრილობა არ ანდა; ჩირაღდნების შუქით განათებული თითქოს თვინიერად, მრავლისმეტყველად, ალერსით, ნაზად, გონიერად იღიმებოდა. გეგონებოდათ, საცაა თავს გააქნევს და ღაღანით წარმოთქვამსო: „არაფერი ცუდი არ მომხდარა, ყოველივე ეს უბრალო რამაა. ადამიანები არცთუ ისე ცუდნი არიან, მხოლოდ თავს გაუვიდათ და ხეირიანად ვერც კი აზროვნებენ. ყველაფერი მშვიდად უნდა ავუხსნათ მათ“. მაგრამ იგი არაფერს ამბო-

ბდა, არ ღაღანებდა, ხელებს არ იქნევდა, მშვიდად იწვა. მას სურდა სიკეთე პირველ რიგში, რა თქმა უნდა, საკუთარი თავისთვის, მაგრამ ჰერცოგის ასულისთვისაც, მისი ტიროლისთვისაც ზრუნავდა. გონიერი ადამიანი იყო იგი, საქმიანი, დიდად არგებდა ქვეყანასაც, მარგარიტას საყვარელ ქალაქებსაც. იგი კი მოკლეს სულელურად, უაზროდ, მხეცურად. მერედა რისთვის? ჯიქერ, მკაცრად, დაჟინებით შეეკითხა მარგარიტა ვიღაც იქ მდგომს. „იმიტომ, რომ მაგან გაგვიჩინა შავი ჭირი!“ — უპასუხა იმ ვიღაცამ შეცბუნებით, სულელურად, ჯიუტად.

კუთხეში საცოდავად კნაოდა შემთხვევით გადარჩენილი ჩვილი ბავშვი, ერთი მორთულ-მოკაზმული ქალი ცდილობდა გაეჩუმებინა იგი, მკახე, გაბზარული ხმით უმღეროდა, დედაბერი რაღაცას ჩიფჩიფებდა.

მარგარიტა მიუახლოვდა, ბავშვის მოსაფერებლად ხელი გაიწვდინა. საოცრად დაღლილი იყო, უბედური. ჩირაღდნების შუქზე უცებ თავის ხელს დახედა — დიდ, ტლანქ, მახინჯ, ყვითელ ხელს: უშარილის წასმა დავიწყებოდა.

მიუნხენში, იმპერატორის მიერ წამოწყებული და საბოლოოდ შვილის ხელით აგებული ახალი სასახლის ერთ-ერთ დიდ დარბაზში იდგა ბარონესა ფონ ტაუფერსი, აგნესა ფონ ფლავონი, რომელსაც ცივად მისჩერებოდა მარკგრაფი ლუდვიგი. აგნესა თავისი ზოგიერთი მამულის გაყიდვის ნებართვის სათხოვნელად მოსულიყო. მყიდველი ერთი ადგილობრივი მცხოვრებიაო. ნამდვილად კი ყოველივე ამის უკან მესერე არტეზე იმალებოდა. მარკგრაფი კეთილი თვალით არ უყურებდა აგნესას. ბევრი რამ სმენოდა ამ ქალის აწეწილ-დაწეწილ ბოშურ მეუღნეობაზე. ლუდვიგის ქერაულვაშიან, გამხდარ, შავგვრემან სახეზე ვერაფერს ამოიკითხავდა ადამიანი. ნაცრისფერი, სუსხიანი თვალებით შესცქეროდა მთხოვნელს.

აგნესა გრძნობდა მის მტრულ განწყობილებას, მაგრამ სრულიადაც არ იმჩნევდა წყენას. ფარვანასავით გარს უვლიდა, მუქ-ლურჯი თვალებით შესცქეროდა, ნაზად უღიმოდა პატარა, ლამაზი, ბროწეულივით წითელი ტუჩებით, კიდევ უფრო რომ ამშვენებდნენ მის ქათქათა პირისახეს. ქალი მხიარული იყო, ზომიერად თავაზიანი. ფრთხილად, შეფარვით ცდილობდა ყი-

ნულის გალხობას, შიგადაშიგ დასცინოდა მის გულღრძოობას.

ბოლოს მარკგრაფი ქალს ყურადღებით დააცქერდა. უსაბართლოდ ექცევიანო, გაიფიქრა. მისი მეგობრები მხოლოდ იმას მოითხოვენ ქალისაგან, რომ იგი დღენიადაგ საოჯახო საქმეებში იყოს ჩაფლული, წარამარა კუდში დასდევდეს მსახურთ, სამზარეულოსა და სამრეცხაოს არ ცილდებოდეს. ეს ქალი კი, უდავოდ, გემრიელი ლუკმაა. ნაზი, გასათუთებული, მოხდენილი, თანაც ჯან-ღონით აღსავსე. გამოთხოვებისას მეტი სილბო გამოიჩინა, ვიდრე მისალმებისას. ისიც კი უთხრა, ერთხელ კიდევ მინახულეო.

თვალი გაადევნა, დიდხანს უყურებდა მიმავალს, ამოიხვნეშა. მერე მარგარიტა დაუდგა თვალწინ. ჰერცოგის ასული ისევ ფეხმძიმედ იყო. დიახ, ლამაზი არ ეთქმის მას! ხოლო ამ ქალს თუ შევადარებ, მთლად შემზარავია. ის კი მართალია, რომ ფრიად გონიერია იგი — ჩვენი მაულტაში. ყველანი დიდად აფასებენ, მაგრამ არ უყვართ. აგნესას კი მუდამ აღტაცებული ყიჟინით ეგებებიან.

ორივე ქალიშვილი დაეხოცა. ხალხი ღვთის რისხვას აბრალებს ამას. რა თქმა უნდა, მარკგრაფს ამტყუნებენ. რახან რომის პაპს ტიროლი თავისი გულის რჩეული კარლოსისათვის უნდოდა, ლუდვიგის ქორწინებას საიდუმლო აღთქმის წაბილწვად რაცხდნენ, მის შვილებს კი ბასტარდებს უწოდებდნენ. ზარების რეკვა შეწყდა, ხანძრებმა გადაბუგა იქაურობა, წყალდიდობამ წალეკა ქვეყანა, კალიებმა გააპარტახეს ყოველივე, შავი პირის ეპიდემიამ მოსრა ხალხი — ყოველივე ამაშიც მაკადანაშაულებდნენ.

რეგვენები! სქელკანიანი ვირები! ყეყეჩები! განა რა დიდი სიამოვნებაა დრუნჩიანი ქალის ქმრობა. კარგა ხანია იგი ყურადღებას აღარ აქცევდა მარგარიტას გარეგნობას. დღეს კი მისმა სიმახინჯემ ერთხელ კიდევ ჩასწყვიტა გული. ასეთი ცოლის პატრონი რომ გახდა, იმიტომაც დასცინის მთელი ევროპა. იგი ხომ ხელმწიფეა, მთელ გერმანიაში ყველაზე ძლევამოსილი პიროვნება. მისმა ალერსმა ქალაქები ააყვავა, მისი რისხვისგან ნაყოფიერი ველებიც კი იხრუკებოდნენ. იოლად როდი გამოუდიოდა ყოველივე ეს. დღე და ღამეს ასწორებდა, სინდის-ნამუსიანად ირჯებოდა. ღვთის წინაშე ძრწოლვის გარდ

სხვა რამ შიში არ ეკარებოდა მის გულს. პირნათლად იხდიდა თავის ვალს და ასე მიჰყვებოდნენ დღეები დღეებს. მერედა რისთვის? იმისათვის, რომ მთელი ევროპის სასაცილო გამხდარიყო?

ქვევით აგნესა ტახტრევანში ჯდებოდა. ირგვლივ ხალხი ეხვია, ქუდმოხდილი ბრბო აღტაცებით ყიჟინებდა. დრუნჩიანი მარგარიტას ადგილას აგნესა რომ ყოფილიყო, ხალხი „ღვთის რისხვაზე" არ ილაპარაკებდა არც კალიის შემოსევისა და არც შავი ჭირის გამო.

ნეტავ ზევით ხომ არ ამოიხედა ქალმა? საქციელწამხდარი მოწაფესავით ზურგით შეტრიალდა მარკგრაფი.

რამდენიმე კვირის შემდეგ მარგარიტამ მკვდარი ბავშვი შობა. მარკგრაფმა ცხვირი ჩამოუშვა, აშკარად დაეტყო გულცივობა. ლოცვა-კურთხევა აკლია მის ქორწინებას. ახლა მთელი იმედები ერთადერთ ვაჟიშვილზე აქვს. მაინჰარდი უწყინარი, ჩასუქებული ყმაწვილია, ნიჭიც მაინცდამაინც არაფრისა ეტყობა, ავადმყოფურია, არაფრით არა ჰგავს პაპამის ლუდვიგს, მარგარიტას მამას—კეთილ მეფე ჰაინრიხს უფრო დაემსგავსა.

ერთ კვირასაც არ გაევლო, რომ მარგარიტა ისევ შეუდგა საქმიანობას. ძველებური კეთილსინდისიერებითა და მოწადინებით მუშაობდა, მაგრამ ხალისი მაინც დაჰკარგა. ადრე რომ თავს ევლებოდა ქალაქებს, ახლა ამაზეც გულგატეხილი იყო. პატარა კაცუნა, ალერსიანი ებრაელი, რომელმაც ოსტატურად შთაბერა მათ სიცოცხლე, მოკლეს; შვილები, რომლებიც მან შობა, დაიხოცნენ. რასაც კი წაეკარებოდა, ყველაფერი იქცეოდა და ინგრეოდა. აღარაფერი ემორჩილებოდა, აღარ უვავილობდა მისი მზრუნველობით. მარკგრაფი? კეთილსინდისიერი, მაგრამ უგულო ადამიანია. ვაჟიშვილი? მსუქანი, უგერგილო ბავშვია. რაღა დარჩენია?

ბოლო ხანებში უფრო და უფრო დაუახლოვდა კონრად ფონ ფრაუენბერგს. ეს უსახური ოფიცერი, თვალებჩაწითლებული ალბინოსი ტრაუტზამ ფონ ფრაუენბერგის ვაჟი იყო—ექვს ძმაში მეხუთე. თვით ტრაუტზამი ერთი უბრალო ბავარიელი რაინდი გახლდათ. ერთხელ იმპერატორ ლუდვიგის წინა-

შე თავი უსახელებია ბრძოლაში და ამის მეოხებით კონრადი ჯერ კიდევ ბავშვობისას პაჟად ჩაურიცხავთ მეფის კარზე. მეორე მარკგრაფის ერთ-ერთი მხლებელი გახდა ტიროლში, სადაც უმცროსი ოფიცრის ჩინი დაიმსახურა, მაგრამ კარგა ხანს მაინც არავინ აქცევდა ყურადღებას. იმდენად შეუხედავი იყო, თანაც ბუზღუნა და ავყია, რომ ყველა გაურბოდა. ან კი რა მომავალი ელოდა უჩინარ სალდათს. მაგრამ ტიროლის ციხის ალყის დროს ისეთი თავხედური გამბედაობა გამოიჩინა, რომ ერთბაშად ამოტივტივდა და აღზევდა.

მარგარიტამ მთელი თავისი მისწრაფებები, ფერადოვნების, სიშრელის, თავგადასავლებისადმი ლტოლვა, ყველაფერი, რაც კი რამ შემორჩა იმისაგან, რასაც ბატონი ფონ შენა „გარდასულ დღეებს" უწოდებდა, ახლა ამ ტლანქ, უსახურ ფრაუენბერგს მიუსადაგა. ეს გომბეშოსავით პირგახეული ალბინოსი, ჯირკვამკლავებიანი, ხმახრინწიანი კაცი გრძნეულ უფლისწულად ესახებოდა. იგი ხომ მარგარიტასავითაა: ამ უხეში გარსის შიგნით ალბათ მგრძნობიარე და ნატიფი სული იმალება. ასეთი ტყავის პატრონი დიახაც რომ უხეში და მკაცრი იქნები. შესაბრალისი, ეული, ამოუცნობი! მარგარიტა განსაკუთრებით მეგობრულად ექცეოდა მას, თითქმის დედაშვილურად.

მკაცრად გატარებულმა, მოუსვენარმა ახალგაზრდობამ ფრაუენბერგი უგულო, ცბიერ ადამიანად აქცია. იცოდა, რომ საშინლად უსახური იყო, ამიტომ სულაც არ უკვირდა, ყველა რომ გაურბოდა. მაღლა თუ დასვამდნენ, თვითონაც ხომ გასთელავდა ხელქვეითთ. ამქვეყნად არაფერი სწამდა. ფული, ძალაუფლება, საკუთრება, ავხორცობა — აი, რა არისო ყველა ადამიანის მიზანი; ანგარება, ბატონობის სურვილი, მრუშობა— აი, რა ამოძრავებსო ყველას. რა ფასი აქვს ჯილდოს ან სასჯელს, სამართლიანობას, სიკეთეს. ყველაფერი ეს მოჩმახულია. ამქვეყნად მხოლოდ ორგვარი ადამიანები არსებობენ: ზოგი გაქნილია, ზოგი დოყლაპია, ცხოვრებაში ან გაუმართლებს კაცს ან არა. იგი სავსებით ეთანხმებოდა ერთ სიმღერას, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ქებისა და წადილის ღირსია მხოლოდ შვიდი სიამოვნება: პირველი — ჭამა, მეორე — სმა, მესამე — სტომაქის განთავისუფლება შეჭმულისაგან, მეოთხე — შესმულისა-

გან, მეხუთე — ქალთან ღამის გათევა, მეექვსე — ბანაობა, მე-შვიდე და ყველაზე უკეთესი კი — ძილი.

როდესაც ჰერცოგის ასულმა თავისი ყურადღება აღირსა მას, ერთი წუთითაც ეჭვი არ შეჰპარვია, რომ ეს ავხორცობა იყო და სხვა არაფერი. ან კი რა გასაკვირია, მახინჯმა რომ მახინჯი აირჩია. თითქმის აჰყვა კიდეც მის ნებას: იგი საღად, საქმიანად სჯიდა. დედამამისშვილებში მეხუთე ვაჟი იყო, თანაც ყოვლად უსახური, ამიტომ თავიდანვე გადაწურული ჰქონდა აღზევების იმედი, და მაინც ყურადაქცევტილი იყო, ფხიზლობდა, ყალყზე შემდგარი მუდამ მზად იყო ნახტომისათვის. და აი, ბრწყინვალე შემთხვევა მიეცა. ბედი მომეცი და სანებვეზე დამაგდეო, — სწორედ ისე დაემართა. ეშმაკის მაშხალა მრუშ დედაკაცს უცებ ვნების ალი მოედო და თვალი დაადგა ფრაუენბერგს? რაკი ასე მოხდა, იგი სარგებლიანად გამოიყენებს ამას.

მსახურსაც კი არ მორიდებია, გაშმაგებულ ლხინს მიეცა; უთავბოლოდ, უხამსად აქებდა დრუნჩიან მარგარიტას, მის ავხორცობას. ჩვეულებრივი სიძუნწეც კი დაძლია და თავის მსახურს ცალკე კათხა პირამდე გაუვსო ღვინით. სანთლის შუქზე დილამდე ილოთა და ყურები გამოუჭედა მსახურს შვიდ სიამოვნებაზე სიმღერით. რაც კი მომეპრიანება, ყოველივეს მივაღწევ ამ მაულტაშის შემწეობითო. განცხრომით გაიშოტა საწოლზე. დიახაც რომ ძილი ყველაზე უკეთესი რამაა ამქვეყნად. დაღლილობისგან მთელ ტანში ამტვრევდა. სახსრები აატკაცუნა. ყურებამდე გააღო პირი და დაამთქნარა. ერთი-ორჯერ მხარი იცვალა და დაიძინა.

ფრთხილად და ეშმაკურად მიიკვლევდა გზას, არასოდეს იბნეოდა. გრძნობდა, რომ მარკგრაფს არ უყვარდა და ცდილობდა მორიდებოდა. საერთოდ მუდამ ჩრდილში იყო მოფარებული. მაგრამ როგორც კი ცალკე მოიხელთებდა მარგარიტას, ეტიფრად მსუნაგობდა — ხან ციხე-კოშკს გამოსძალავდა, ხან ადგილ-მამულს, ანდა სასამართლოს შემოსავალს. ბოლოს და-ბოლოს ლანდესჰოფმაისტერობაც ჩაიგდო ხელში, თუმცა ძველებურად ისევ გულნამცეცა ოფიცრად დარჩა. არავის არაფრად აგდებდა, არაფერი სწამდა. და კვლავ სამად სამი საფიცარი ჰქონდა: ძალა, ფული, სიამოვნება.

მარგარიტას ამ ალბინოსის გარდა სხვა საოცნებო აღარა ჰქონდა რა. ფრაუენბერგიც მეტისმეტად მახინჯი იყო და სწორედ ეს აიმედებდა ჰერცოგის ასულს. ამ მიბრეცილ-მობრეცილი, საზიზღრად დაჯირკვებული ხორცის შიგნით ღრმა სული ექნება დამალულიო, ფიქრობდა. გონჯი კაცი სულაც არ უღვივებდა აშლილ ოცნებებს. მხოლოდ ეგაა, რომ აშაღლარივით გაუცინებდა ხოლმე, უტიფრად. მარგარიტა ან ვერ ამჩნევდა მის უბადრუკობას, ანდა ეგონა, თავის მწარე ხვედრსაა შერიგებული, განგებ სიტყვაძვირობს, ესირცხვილება თავისი შინაგანი სინაზისა და კეთილშობილების გამხელაო.

ბატონი ფონ შენა გულისტკივილით ატყობდა, რომ მარგარიტა, თუმცა მას საამისო რაიმე განსაკუთრებული მიზეზი არცა ჰქონდა, თანდათან შორდებოდა მარკგრაფს და თითქოს უნებურად უფრო და უფრო უახლოვდებოდა ფრაუენბერგს. ფონ შენას ზიზღსა ჰგვრიდა ჰერცოგის ასულის ასეთი მოქმედება. თავს შეურაცხყოფილად თვლიდა, რომ ესოდენ გულაზიზმა მარგარიტამ სწორედ ეს კაცი აირჩია. რა ჰქონდათ მათ საერთო? როგორ შეეძლო ჰერცოგის ასულს, რომ მისი — ფონ შენას ნატიფი, დახვეწილი სკეპტიციზმი შეეხამებინა ბავარიელის სულიერ სიცარიელესა და ციინიზმთან. ფონ შენას თავმოყვარეობა სასტიკად შელახა იმან, რომ მარგარიტამ ნდობა ამ ბოგანო კაცსაც უწილკერძა.

სხვა მხრივ კი მართლაც რომ აყვავდა ფონ შენა. ბედად შავმა ჭირმა დაინდო. დიდი შემკვიდრეობა მიიღო. ეგეც არ იყოს, ჟამიანობის შემდეგ კარგა ბარაქიანად შემოიმატა და კეთილმოაწყო თავისი ნოყიერი ადგილ-მამულები. მყუდროდ და შნოიანად ატარებდა დროს თავის ციხე-კოშკში, რომელიც გეზოვნებით მოერთო ლამაზი ნივთებითა და სურათებით; იჯდა წიგნებში ჩაფლული და სიამტკბილობდა, ხანაც ბაღში გაშვებული ფარშევანგების მზერით ერთობოდა. სამსახურისაკენ არც ახლა მიუწევდა გული, ფიქრიანი, ხალისიანი თვალებით გასცქეროდა თავის ხეხილის ბაღებს, სახნავ-სათეს მიწებს, ვენახებს. დღითი დღე ემატებოდა სინაზე, სიბრძნე, საკუთარ არსებაში იყო ჩაძირული, როგორც მწიფობაში შესული, სათუთად მოვლილი ნაყოფი. აბატ იოჰან ვიქტორინგელს, რომელიც ჰერცოგ ალბრეხტის მდივანი გამხდარიყო და კარგა გვარ-

იანად შეპარვოდა სიბერე, იქნებ მთელი ჰორაციუსი ჩაებულ-ბულებინა ფონ შენას მისასადაგებლად.

ამ მუუდრო სავანიდან იგი სიამოვნებით გაუწევდა შემწეობას მარგარიტას. ფონ შენა გულწრფელად ცდილობდა განემტკიცებინა მარგარიტასა და მარკგრაფის კავშირი. მის მცდელობას ისიც უწყობდა ხელს, რომ მარგარიტას ქორწინების გამო ატეხილი საეკლესიო აურზაური ამ ბოლო ხანებში თანდათან მიწყნარდა.

ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ იოჰან ბოჰემიელს, რომელიც ფაქტიურად უცოლოდ დარჩა, მობეზრდა ეკლესიის თვალში ვითომცდა ცოლიან კაცად ყოფნა. თავისი ძმის, კარლოს მეფის გონივრული პოლიტიკის წყალობით მისი მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდა და ამიტომ გადაწყვიტა მონაპოვარი კიდევ უფრო განემტკიცებინა ხელსაყრელი ქორწინებით. მაგრამ სანამ მეორე ცოლს შეირთავდა, ჯერ მარგარიტას უნდა გაყოფოდა ყველა წესის მიხედვით. ერთად მოვითათბიროთო, შეუთვალა თავის ცოლყოფილს. ისეთი საერთო სათქმელი გამოვძებნოთ, ორივესთვის ხელსაყრელი იყოს და არც ერთი არ დავმცირდეთო. მათი ინტერესები ახლა კი მართლაც დაემთხვა ერთმანეთს. მარგარიტამ ირწმუნა ასეთი საქმიანი შეხვედრის სარგებლიანობა და თანხმობა შეუთვალა.

ასე ეწვია იოჰანი ტიროლის ციხე-სიმაგრეს სტუმრის როლში. ამჯერად კი ფართოდ გაუღეს ჭიშკარი. დაფდაფებს დაჰკრეს, ნაღარები აახმიანეს, დიდი პატივით შეეგებნენ. იოჰანის ჩამოგრძელებულ სახეს ჯერაც შერჩენოდა ბიჭური იერი. აღუშფოთებლად შესცქეროდა მარგარიტას ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი თავისი პატარა მრგვალი თვალებით. უღიმღამო ხუმრობის კილოთი, მეგობრული ირონიით დაუწყო ჰერცოგის ასულს ლაპარაკი. ისხდნენ ერთად, ერთად იგონებდნენ განქორწინების მიზეზს, ხან აქედან მიუდგნენ საქმეს, ხან იქიდან, ზომავდნენ, ჭრიდნენ, კერავდნენ. ბოლოს ერთი აზრი შეიმუშავეს და შვებით ამოისუნთქეს. იოჰანსა და მარგარიტას თურმე მანამდე არა სცოდნიათ და მხოლოდ შეუღლების შემდეგ შეუტყვიათ, რომ ისინი მეოთხე თაობაში ერთმანეთის ნათესავები ყოფილან. და თუმცა ორთავენი გულმხურვალედ იყვნენ მოწადინებულნი, მაგრამ ცოლქმრობა არ გამოუვიდათ, ვინა-

ოდან იოჰანი ჯადოთი ყოფილა შეკრული. არადა, იოჰანს თუ-ორმე შეუძლია სხვა ქალს გაუწიოს ქმრობა. და რადგან მას სურს გააგრძელოს თავისი კეთილშობილი გვარი, ამიტომ უმორჩილესად სთხოვს პაპს ბათილად გამოაცხადოს მისი ქორწინება მარგარიტასთან. პაპი ბოჰემიელი ლუქსემბურგების მეგობარია და, ცხადია, უარს არ იტყვის ამ თხოვნის დაკმაყოფილებაზე. მოლაპარაკება რომ დაამთავრეს, იოჰანმა მარგარიტასთან ერთად ისაუზმა. ორივენი კარგ გუნებაზე იყვნენ.

— სულაც არ დაბერებულხართ, ბატონო მგლის ლეკვო,— უთხრა მარგარიტამ.

— თქვენ კი, ჰერცოგის ასულო მაულტაშ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც კარგი ვინმე ბრძანდებით, — მიუგო იოჰანმა.

ორივენი ქედმაღლურად შესცქეროდნენ ერთმანეთსაც და შექმნილ სიტუაციასაც; ყველაფერი შესანიშნავად მოგვარდა, ამიტომ ლამის სასიამოვნო დამოკიდებულებაც კი დამყარდა მათ შორის. *ურთიერთ*განდობილნი მეგობრულად განშორდნენ ერთმანეთს.

*

მარგარიტას ორივე ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ ტახტის მემკვიდრის საკითხი დაახლოებით ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორც ერთხანს კეთილი მეფე ჰაინრიხის დროს იყო. ერთადერთ მემკვიდრედ მაინჰარდი დარჩა, მაგრამ ბიჭუნა ჯანსუსტი იყო, დები კი პატარაობაშივე დაეხოცა. ამიტომ ძლევამოსილმა გერმანელმა ხელმწიფეებმა კვლავ ხარბი თვალი დაადგეს ტიროლს. ლუქსემბურგები მოლდოვასა და რაინის სანაპიროებზე თავიანთი სამფლობელოების გაფართოებით იყვნენ გართულნი და ამ მთაგორიანი ქვეყნისთვის საბრძოლველად არ ეცალათ. მაგრამ ვიტელსბახი და ჰაბსბურგი თავიანთი უფლებების უცილობლობას იშველიებდნენ და თვალგაფაციცებული დარაჯობდნენ, რომ ხელიდან არ გამოსცლოდათ ნადავლი.

კოპლი ალბრეხტ ჰაბსბურგი მომავლის გეგმებს ადგენდა. მართალია, მას დიდი იმედი არ ჰქონდა, რომ მოესწრებოდა ამ გეგმის განხორციელებას, მაგრამ სნეულებისაგან გულგაბოროტებული და დაბრძენებული უკვე კარგა ხანია, რაც ხვალინდელ დღეზე კი არა, შორეულ მომავალზე ზრუნავდა. სხვა არჩევანი არცა ჰქონდა: ან ხელში უნდა ჩაეგდო ტიროლი — დასავლეთისაკენ მიმავალი გზა, შვაბიის სამფლობელოებისაკენ გადებული ხიდი, ანდა საერთოდ აღარც კი უნდა ეოცნება დიდ-ჰაყრობელობაზე.

უპირველეს ყოვლისა შეეცადა, რომ თავის მხარეზე გადმოეგბირებინა დიდი ადგილ-მამულის მფლობელი ეპისკოპოსები, ტრიენტსა და ხურს ვიტელსბახების ჯავრი სჭირდათ. ისინი ეზად იყვნენ მიმხრობოდნენ ჰაბსბურგს, რომელიც გვარიანად ანებივრებდა მათ. ასევე გულუხვი და თავაზიანი იყო ალბრეხტი ტიროლელი გავლენიანი თავადების მიმართ. ბატონ ფონ შენას, მაჩის ფოგტებსა და ბატონ ფრაუენბერგს მიუბოძა ტიტულები, ჩინები და თანამდებობანი, რომლებიც დიდ ჯაფას არ მოითხოვდნენ და მსუყე შემოსავალს კი იძლეოდნენ.

ყველა ღონეს ხმარობდა, რათა დამეგობრებოდა თვით მარკგრაფს და მისი ნდობა დაემსახურებინა. ლუქსემბურგელი, რომ დაესხა თავს, მან ხომ არ უშილთახა და ფლანგიდან არ შეუტია, პირიქით, შუამავლადაც კი დაუდგა მოშუღართან. ბოლოს იმასაც მიაღწია, რომ ერთ-ერთი თავისი ქალიშვილი ცოლად შერთო ტიროლის ტახტის მემკვიდრეს — ჩია, უწყინარ, ფუნჩულა მაინჰარდს. გარდა ამისა, საერთოდ ყაირათიან, მომჭირნე ალბრეხტს ერთხელაც არ დასცდენია უარი მუდამ ხელმოკლე მარკგრაფის თხოვნაზე და გულუხვად აძლევდა სესხს, ამიტომ იგი დიდად დავალებული იყო ალბრეხტისაგან

ერთხელაც ლუდვიგს უცებ საკმაოდ ბევრი ფული დასჭირდა, ავსტრიელის ფინანსურმა მრჩეველებმა კი ციოვად განუცხადეს, ამჯერად ვერავითარ შემწეობას ვერ გაგიწევთო. სალარო-ში ისე დაგვიცარიელდა, რომ, თუმცა დიდად ვწუხვართ, მაგრამ ძველი ვალების გასტუმრება უნდა მოგთხოვოთო. მარკგრაფი საშინლად შეცბა, ბრაზი მოეკიდა, გამგმირავი მზერა ან მწარე სიტყვა უნდოდა მოემარჯვებინა, მაგრამ თავი შეიკავა, ტუჩები მოიკვნიტა და სიტყვის უთქმელად გაბრუნდა.

პირადად მოველაპარაკები ალბრეხტსო, გაიფიქრა. მაგრამ სიამაყე ვერ დაძლია. მეორე შეხვედრისას ჰაბსბურგთა ფინანსურმა მრჩეველებმა გულუბრყვილო კილოთი გამოუცხადეს ტიროლელს, ვალის გასტუმრების შესანიშნავი და იოლი გზა გაგიგიძებნეთო. თურმე შეიძლება, რომ მარკგრაფმა ძველი თუ ახალი ვალების დაფარვის მიზნით ავსტრიას რამდენიმე წლის ვადით გირაოდ მისცეს ზემო ბავარია. ასეთი გაერთიანებისა დ. უფრო იაფი მმართველობის წყალობით მიღებული დანაზოგით ალბრეხტი მოკლე ხანში შეძლებს მარკგრაფის ვალის ამოღებას ზემო ბავარიის შემოსავლიდან.

ასეთი რჩევა რომ მოისმინა, მარკგრაფს მიწის ფერი დაედო, გამგმირავი თვალებით შეხედა მათ. დახეთ, არც კი იღიმეებიან! მკაცრ, ჩინოვნიკურ სახეებზე სრული სიმშვიდე ანატია. ყელში თითქოს რაღაც გაეჩხირა, მოვიფიქრებო, ამის თქმაღა მოახერხა. თავი დაუკრა და წასვლა ანიშნა.

მარტო რომ დარჩა, თავი ჩაქინდრა, უგუნებოდ იჯდა კარგა ხანს. განა უსირცხვილობა არაა ასეთი რამის მოთხოვნა? მაგრამ ალბრეხტი გონიერი კაცია, თანაც მეგობრობს მარკგრაფთან. ალბათ სულაც არ უნდოდა მისი წყენინება. თუმცა რა გაენყობა. იქნებ სხვა გზით არც კი შეიძლება ფულის შოვნა. შემოსავალი უნდა დათმოს; მაგრამ ეს ხომ ბავარიის გაჩუქებას არ ნიშნავს. ერთი რამ ცხადზე უცხადესია — რაკი ვიტელსბახთა გვარეულობის უფროსი წარმომადგენელი იძულებულია თავისი სამემკვიდრეო მიწების მმართველობა ჰაბსბურგს გადასცეს, მიუხედავად ყოველგვარი გარანტიისა, მაინც სამარცხვინო, თაემოსაჭრელი ამბავია ეს.

როცა თავის საბჭოს აცნობდა ამ წინადადებას, ისე მშვიდად ლაპარაკობდა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს განსაკუთრებული. ბოროტი თვალით შესცქეროდა მრჩეველებს, გულში ჩამალული ღვარძლიანი დაცინვა ხომ არ წაცდება ვინმესო. ეჰ, ნეტავი ცოცხალი იყოს მისი მეგობარი კონრად ფონ ტეკი! მაშინ ასეთი უნდობლობა ზედმეტი იქნებოდა. ყველაფერს ადვილად მოინელებდა. მაგრამ კმარა გულჩვილობა! ორიოდ სიტყვით მოკლედ მოსჭრა სათქმელი. თავისი შეხედულება არც კი გაუმხელია. მრჩეველებს სთხოვა აზრის გამოთქმა.

ლაპარაკი ფრაუენბერგმა წამოიწყო. სხვებისა არ იყოს, მა-

ნაც კარგად იცოდა, რომ ავსტრიელთა წინადადება ნამდვილი გამოძალვა იყო. პირადად მას არაფერი ესაქმებოდა არც ლუდვიგთან, არც ალბრეხტთან, არც ბავარიასთან, ტიროლთან, ავსტრიასთან. ჰაბსბურგი უფრო მდიდარიც იყო და ფრიად გონიერიც. ალბათ ამით დასჯაბნისო მარკგრაფს. ეგეც არ იყოს, ალბრეხტმა თანამდებობების მიბოძებითა და დიდი ფულით მოისყიდა ფრაუენბერგი. ამიტომ მას მხარი უნდა დაეჭირა ჰაბსბურგის წინადადებისათვის. მაგრამ თუ ფრაუენბერგი ახლა ლუდვიგის დაყოლიებას შეეცდება, მარკგრაფი მაშინვე ეჭვს აიღებს. მით უმეტეს, რომ უამისოდაც ჭირის დღესავით ეჯავრება. საქმე კი ისეა, რომ უნდა მარკგრაფს თუ არ უნდა, სულ ერთია, სხვა გამოსავალი არა აქვს და ადრე თუ გვიან კბილების ღრჭენით მაინც მოაწერს ხელს ამ დამამცირებელ გარიგებას. ამიტომ კონრად ფრაუენბერგს თამამად შეუძლია იეშმაკოს, გაითამაშოს ბავარიელი პატრიოტის როლი და თავგამოდებით ეაჯოს თავის ხელმწიფეს უარყოს ეს უტიფარი ავსტრიული გეგმა. მით უმეტეს, რომ ამით არაფერი შეიცვლება, რადგან მარკგრაფი იძულებული იქნება საკითხი მაინც ჰაბსბურგის სასარგებლოდ გადაწყვიტოს.

მარგარიტა აღფრთოვანებით შეხვდა ჰაბსბურგის წინადადებას. ეს გარიგება დიდძალ ფულს შემოიტანს და საშუალება მიეცემათ ერთხელ და სამუდამოდ გაისტუმრონ ყოველგვარი ვალები, რომლებიც ჯერ კიდევ კეთილი ჰაინრიხის მეფობის დროიდან მოჰყვებათ. ამ უღელს რომ მოიცილებენ თავიდან, მაზინ მართლა აყვავდება მისი საყვარელი ქალაქები! ბავარია კი მუდამ მიტმასნილი იყო მათ სამფლობელოსთან. ჰერცოგის ასული იოლად დათმობს მას ფულის გულისათვის. ფონ შენამ და მენდელ ჰირშმა ფულის ფასი ასწავლეს, მისი ძალა დაანახვეს მარგარიტას. რის მაქნისია ზორზოხა ტანი, თუ საკმაო სიხლი არ ჩქეფს მის ძარღვებში? ახლა ქვეყნის ძარღვები სისხლით აივსება, დიახ, გაჯანსაღდება ქვეყანა, მისი საყვარელი მთაგორიანი მიწა-წყალი, აყვავდება მისი მშვენიერი ქალაქები.

მარკგრაფი პირქუშად უსმენდა ჰერცოგის ასულს. ახლა მაინც ხომ აშკარაა, რომ მარგარიტა უცხოა მისთვის. ლუდვიგი ბავარიელია, ვიტელსბახია. იმპერატორის შვილი მიჩვეუ-

ლია ქვეყნებზე ბატონობას, ერთი ქვეყანა რას მიქვია, მთელ საბყაროზე ოცნებობს იგი. მარგარიტა კი ტიროლელია, მისი ფიქრების მიჯნა იქაა, სადაც მთების საზღვარი თავდება. მისი თვალსაწიერი მხოლოდ მთის ძირამდე ჩადის, გავაკებულ მიდამოებს კი ვეღარ წვდება. ტიროლელი წვრილფეხა გრაფის ქალია, შეზღუდული, ანგარიშიანი, და მეტი არაფერი. იგი კი რომის იმპერატორის პირმშო გახლავთ, ქვეყნიერების მპყრობელი, უფლებამოსილებით აღჭურვილი პიროვნება. მხოლოდ საკუთარი თავისა და ღმერთის წინაშე აგებს პასუხს. მარტო სიმახინჯე კი არა, კიდევ სხვა რამ უფსკრულია მათ შორის.

ახლა სათნო ფონ შენამ წამოიწყო საუბარი. ამ წუთს ლუდვიგი ზიზღით იყო გამსჭვალული მის მიმართ. რაღა თქმა უნდა, ისიც მარგარიტას აზრისა იქნება, ტიროლელია, ბავარიელი ხომ არაო. ორივე ქვეყნის ფულადი ამბების მოგვარება მხოლოდ საკუთარი ჯიბით, სამწუხაროდ, არ ხერხდება, თქვა შენამ. ამიტომ კარგი იქნება, თუ კეთილშობილ ბედაურს — ბავარიას ჩვენი მეგობარი ჰაბსბურგის საჯინიბოში გავაძალებთ მცირე ხნით. სანაცვლოდ იმდენ შვრიას მივიღებთ, რომ შეგვეძლება კარგად გამოვკვებოთ ქურანი ტიროლი. ეგეც არ იყოს, განა გვაქვს სხვა გამოსავალი?

დიახ, განა გვაქვს სხვა გამოსავალი? ჰოდა, ეგაა თავი და თავი ამბავი. უარი უაზრობა იქნება, რაც უნდა მტკიცე საბუთები მოვიშველიოთ. დამცირებას უნდა შერიგებოდნენ. მარკგრაფმა თავი დახარა, სქელი, მოკლე კისერი ჭარხალივით გაუწითლდა. უხეშად მიუგდო მადლობა საბჭოს წევრებს. ყურად ვიღებ თქვენს მოსაზრებებსო. ყველამ იცოდა, რასაც გადაწყვეტდა იგი.

დაბოღმილი გაემგზავრა ცხენზე ამხედრებული მარკგრაფი ლუდვიგი ტიროლის ციხიდან. მცირე ამალა იახლა და ჩრდილოეთისაკენ გასწია, სანამ ბავარიას ჰაბსბურგებს გადასცემდა, ზოგიერთი წვრილმანი საკითხი უნდა გადაეწყვიტა მიუნხენში.

უღიმღამო ოქტომბრის თვეა. გულისგამაწვრილებლად, ნაღელისმომგვრელად ცრის. რას წარმოადგენს ადამიანის ყოფა?

ძლევამოსილი მეფე ხარ, მაგრამ უმეტესი ნაწილი იმისა, რასაც აკეთებ.—მთელი ეს საზეიმო ცერემონიები, მანიფესტები, ხალხის წინაშე გამოსვლები მხოლოდ გულს გირევს, სულს გითრგუნავს. შთამომავლობით მიღებული მემკვიდრეობა ჰაბსბურგს უნდა დაუთმო, თანაც თავაზიანად გაუღიმო და უთხრა: „ასწილ მოგაგოს უფალმა!“ ბრაზით კბილები გააკრაჭუნა. ანაზდად მამის ჩამქრალი ცისფერი თვალები მოელანდა. რას ეტყოდა ახლა იგი თავის ვაჟიშვილს!

იქ, შინ კი ყველას უხარია. საზიზღარი ფონ შენა, ჭკუის კოლოფი, ყველას დასცინის და თანაც თავხედურად იღიმება. ფრაუენბერგი კი უნამუსო ერკემალია, უტიფრად ბღაოდა ვიტელსბახების ღირსებებზე, ბავარიის წინაშე ვიტელსბახთა მოვალეობებზე, გულში კი ღვარძლიანად ნიშს უგებდა. არადა, ამ უწმინდურმა მონამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ვიტელსბახი იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო. მაულტაში მხოლოდ თავის ტიროლზე ფიქრობს, ბავარია კი საალებმიცემო საგნად მიაჩნია, რომელსაც ადვილად გაიმეტებს, ოღონდ კი ბლომად გულდენები და ვერონული მარკები ჩაიგდოს ხელში. ამ გონჯმა დედაკაცმა მთელი ქრისტიანული სამყაროს დასაცინი გახადა. ო, როგორ ეზიზღება! იჯდა და ხარბად უსმენდა უჯიშო ფრაუენბერგის, ამ მათხოჯი ალბინოსის ხრინწიან ლაპარაკს! მისი ცოლი! ჰერცოგის ასული! ფუი, დრუნჩიანი!

ღვთის გულისათვის, აბა ერთი თქვით, რა ნახა მან კარგი ამ ცხოვრებაში? ხომ არ აჯობებს, მიუნხენში მიმავალმა, სანამ იქ სამსალას შესვამდეს, ნაკლებ მწარე რამ იგემოს? რა მოხდება, ტაუფერსში რომ შეუხვიოს და საკუთარი თვალით ნახოს, როგორ მიდის იქ საქმე. დიდი დრო არ მოუნდება ამას. რაც უფრო გვიან მოხდება უსიამოვნო ამბავი, განა მით უკეთესი არაა?

მარკგრაფს ეგონა, რომ აგნესას დიდად გააკვირვებდა ტაუფერსში სტუმრობით. მართალია, როცა მეკარემ მოახსენა — მარკგრაფი ლუდვიგი მობრძანდება თავის ამალითო, ღრმად ამოისუნთქა და ნაზად გაიზმორა, თანაც კმაყოფილების ღიმილი გაუკრთა მარწყვივით წითელ ტუჩებზე, მაგრამ ხელმწიფე გულგრილი თავაზიანობით მიიღო და სულაც არ დატყობია აღფრთოვანება. ძვირფასი ჭურჭლით გაწყობილ სუფრაზე დი-

დებული სადილი გაუმართა, მაგრამ მაინც არაფერში ეტყობოდა ის თავმომწონე ფუფუნება, რისთვისაც ძრახავდნენ მას. იგი დიახაც რომ არ იშურებდა ამ ფუფუნებას ნაკლებად პატივსაცემი სტუმრების, თუნდაც წვრილფეხა იტალიელი ბარონებისათვისაც.

ლუდვიგი თვალს არ აშორებდა ქალს. სანთლები აანთეს, ბუხარში კეთილსურნელოვანი შეშა იწვოდა. დროდადრო მსახურთ ხილი და ტკბილეული შემოჰქონდათ. ჯვარცმას ეფიცავ, მომხიბვლელი ქალია! არცაა გასაკვირი, ამდენს რომ ჭორაობენ მასზე. მაგრამ, ეტყობა, იოლად არ დაგიახლოვებს. საკმაოდ ცივი, თითქმის დამცინავი კილოთი ესაუბრებოდა აგნესა. თავი შორს ეჭირა. დინჯმა, უგერგილო მარკგრაფმა რამდენიმე უკბილო საქებარი სიტყვა უთხრა. ქალმა მშვიდი მზერით უპასუხა, სათქმელს ვერ მიუხვდა. რა უკარება ყოფილა.

მით უფრო მოულოდნელი იყო, როცა მეორე დღეს ცივაღ სთხოვა, თუ ნებას დამრთავთ, მეც დაგემგზავრებით მიუნხენი. საკენ. ჩემს დასაც მოვინახულებ და, ეგეც არ იყოს, საქმეები მაქვს ბავარიაშიო.

მარკგრაფი შეყოყმანდა და ერთხანს ხმაც ვერ ამოიღო. დიდად არ ეამა ასეთი თხოვნა. ალაპარაკდება ხალხი. ლუდვიგს დინჯი კაცის სახელი აქვს და არც ასაკით შეჰფერის ასეთი ამბები, რატომ უნდა გაიხადოს თავი საჭორაოდ. მაგრამ მანდილოსანს როგორ ჰკადროს უარი. აგნესა კი სწორედ რომ მანდილოსანია. ასეთ პატარა რამეზე როგორ აწყენინოს სტუმართმოყვარე მასპინძელს? ბუზღუნით, უხეშად, უნიათოდ მიუგო, დიდად მოხარული ვიქნებიო.

მგზავრობის დროს აგნესა თავდაჭერილი იყო, მოკრძალებული, თითქმის არ გამოსულა თავისი ტახტრევნიდან. მოფარდაგულში განმარტოებულიყო და ტკბებოდა წარმატებით, გამარჯვებას ზეიმობდა. მისი მეტოქე ამ დროს ტიროლის ციხეში იჯდა, ამაყობდა ბრანდერბურგის მარკგრაფის, ბავარიის ჰერცოგის, ტიროლის გრაფის მეუღლის ტიტულებით. ღირსეული, დიდად პატივსაცემი ქმარი ჰყავს. მარგარიტამ შვილები გაუჩინა მას. თვითონაც შეეგუა და ისიც შეიგუა. აგნესა ფონ ფლავონი კი, დახეთ, რა ლაღად დასეირნობს მეტოქის სამემკვიდრეო ადგილ-მამულში.

მიუნხენში ლუდვიგი ისე ქედმაღლურად იქცეოდა თავისი საქმეების მოგვარებისას, თითქოს თავს ძალას ატანსო. აგნესამ ჩასვლისთანავე თავაზიანი, მაგრამ თავშეკავებული მადლობა მოახსენა და გამოეთხოვა. მარკგრაფი სიამოვნებით გაატარებდა მოსაწყენ საღამოებს აგნესასთან ერთად. პირველად უარი შეჰოუთვალა ქალმა, მეორეღ რომ მიიპატიჟა ლუდვიგმა, ეწვია. მარკგრაფი შეეჩვია მას. აგნესა ქალაქიდან გაემგზავრა დის მოსანახულებლად. ლუდვიგს მიუნხენში საქმე აღარა ჰქონდა, მაგრამ ფეხს ითრევდა, აგნესას ელოდებოდა, სურდა ერთად დაბრუნებულიყვნენ უკან.

აფერადებული გვიანი შემოდგომა იდგა, როცა მიუნხენიდან წამოვიდნენ ისინი. აგნესა ტახტრევანს აღარ აფარებდა თავს, ლამაზად მორთულ-მოკაზმულ ცხენზე იჯდა, ამაყად თავაწეული გვერდიგვერდ მოჰყვებოდა მარკგრაფს.

ბავარიის გასხვისების წყალობით უამრავი ფული დატრიალდა ქვეყანაში. მრეწველობა გამოცოცხლდა. დიდი მუშაობა გაჩაღდა მარილის საბადოებში, მაღაროებში. გაჰყავდათ გზები, გაიოლდა და მოწესრიგდა სავაჭრო ურთიერთობანი. იზრდებოდა, ფართოვდებოდა ქალაქები. მედიდურად დასეირნობდნენ ცხვირაბზეკილი მოქალაქენი. უფრო და უფრო მაღალ სახლებს აშენებდნენ, მდიდრული დგამ-ავეჯით აწყობდნენ, ხელოვნების ნაწარმოებებით რთავდნენ. სიმაღლისაკენ მიიწევდნენ კედლები, კოშკები, რატუშები, ეკლესიები. მოქალაქეთა ოჯახებში მშვენიერი ჭურჭლით გაწყობილ სუფრაზე საყოველდღეო ამბად იქცა ფრინველის ხორცი, საამო და სურნელოვანი ღვინო. წვრილფეხა თავადების მეუღლეებზე უკეთ იცვამდნენ მოქალაქეთა ცოლები — აბრეშუმი არ აკლდათ, ბაფთები, ძვირფასი თვლები, თავსამკაულები, შლეიფები.

როდის შემდეგ დაიწყო ესოდენ ბედნიერი გარდატეხა? მას უკან, რაც მარკგრაფი ულამაზეს აგნესა ფონ ფლავონს დაუახლოვდა. მაინც რა საოცრად ლამაზია ეს კურთხეული აგნესა ფონ ფლავონი! ალბათ, სწორედ მას დაებადა ბრწყინვალე აზრი, რომ გაესხვისებინათ ბავარია და მთელი ენერგია, მთელი ფული ტიროლისათვის მოეხმარათ. ღმერთო დიდებულო, ყოველი შენი სიკეთე მიანიჭე ჩვენს უტურფეს აგნესა ფონ ფლავონს! რა

თქმა უნდა, ღვთის რჩეულია იგი, რა თქმა უნდა, მისი ზეციური სილამაზე ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევითაა სხივმოსილი. ამ მახინჯ დრუნჩიანს კი ღვთის შეჩვენება არ სცილდება. ყოველი საქმე მისი დაწყევლილია. შვილები დაეხოცა. რასაც კი წაეკარა, ყველაფერი გააპარტახა შავმა ჭირმა, ხანძრებმა, წყალდიდობამ, კალიამ. კრულია ყოველი მისი რჩევა, ყოველი მისი ნამოქმედარი. ბავარიასთან კავშირიც ხომ მისი ბრალია, მერედა რამდენი უბედურება მოჰყვა ამას! განა მან არ იხმო დაუნდობელი, ხარბი ბავარიელი ბარონები, რომლებმაც სისხლი ამოწოვეს ქვეყანას? სულში ჩაისვა ნაძირალა ფრაუენბერგი. ლანდესჰოფმაისტერადაც კი გახადა. კიდევ კარგი, რომ მარკგრაფმა ზურგი შეაქცია დრუნჩიანს. ბოლოს მაინც ხომ გაარჩია შავი და თეთრი. ახლა კი დაუღგათ ტიროლელებს ბედნიერი დრო-ჟამი. ღმერთმა აკურთხოს ჩვენი ძვირფასი, ულამაზესი აგნესა ფონ ფლავონი!

გზის გასწვრივ ჩამწკრივებულ ხალხს, სახლებსა და ხეებს აგნესა ერთნაირად უყურებდა, აღტაცებული ყიჟინა ისევე აუცილებელი იყო მისთვის, როგორც სამკაულები. კმაყოფილი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, ამაყად მიაბიჯებდა აღფრთოვანებულ, თვალგაფაციცებულ ადამიანთა შორის, არც მარჯვნივ იხედებოდა, არც მარცხნივ, თხელ, თამამ ტუჩებზე სიამაყე ეხატა მედიდურად თავაღებულს. ხალხი კი ზეიმობდა.

*

ქმრისა და შვილისაგან გამიჯნული მარგარიტა საკუთარ თავში ჩაიკეტა დათრგუნვილი. მხოლოდ ერთ რამეზე შეეძლო ფიქრი: აგნესასა და მის გამარჯვებაზე. ნახულობდა ფონ შენას, ნახულობდა ფრაუენბერგს: ხედავდა, როგორ ლაღად ამოისუნთქეს ქალაქებმა, როგორ გაფართოვდნენ, გაიზარდნენ. მისი ნაღვაწი, მისი ნათესია ეს. მას კი გულ-ღვიძლი ამოაცალეს, სულით ხორცამდე განძარცვეს, წაართვეს ის, რაც ყველა ქალის კუთვნილებაა. მაგრამ მიზანი მიღწეულია. ეს ერთადერთი ნუგეში მაინც შერჩეს.

ფონ შენა შორსმჭვრეტელი, გამჭრიახი გონების ადამიანი

იყო. ხედავდა, რომ ხალხმა მაულტაშის ნაღვაწი ყოველი საქმე ლამაზმანს მიაწერა, და ცდილობდა, როგორმე აეცილებინა მარგარიტასათვის ასეთი მწარე ამბის შეტყობა, საშინლად მტკივნეული თვალის ახელა. იმასაც ხედავდა, რომ ლუდვიგი უფრო და უფრო იხლართებოდა ტაუფერსის ბადეში. თუმცა ჯერ კიდევ მთლად არ დანებებია, უსასოოდ უძალიანდება, რეტდასხმულია, რადგან პირველად იგემა ასეთი სიშლეგის სიტკბოება. ლუდვიგს ჯერაც ეს ყველაფერი თავგადასავალი ჰგონია, რომელსაც ბოლო მოეღება. მაგრამ მალე, სულ რაღაც ორი-სამი კვირის შემდეგ, ალბათ გვიანღა იქნება. ნებაყოფილობით და საბოლოოდ შეიკრავს ხელ-ფეხს.

ფონ შენას უნდოდა, რომ კვლავ მარგარიტას დაბრუნებია და იგი. უნდოდა, რომ მარგარიტას დაბრუნდებოდა ხალხის კეთილგანწყობილება. ეს უკანასკნელი ნუგეში მაინც რად უნდა წართმეოდა ჰერცოგის ასულს.

უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო, რომ ეკლესიას მოეხსნა მისთვის სულელური განკვეთის განაჩენი. ეკლესიიდან განკვეთის დამღის გამო უფრთხის ხალხი, უფრთხის ქმარიც. თუმცა იოჰანთან ახლა იგი წესისა და რიგის მიხედვით იყო განქორწინებული და ეკლესიის თვალში ცოლქმრული ერთგულების დამრღვევად აღარ ითვლებოდა, მაგრამ ლუდვიგთან შეუღლება ჯერაც არ იყო დადასტურებული პაპის მიერ. მათი ცოლქმრობა ეკლესიას დანაშაულებრივ თანაცხოვრებად მიაჩნდა, ხოლო მათი ვაჟიშვილი, კრონპრინცი მაინჰარდი, ბასტარდად ითვლებოდა. ეკლესიას კვლავაც განკვეთილი ჰყავდა მარგარიტაცა და მისი ქმარიც, არც მათ ქვეყანას ჰქონდა ინტერდიქტი ახსნილი. მართალია, მარკგრაფმა ბევრჯერ გაგზავნა ხალხი ავინიონში, ნებისმიერი ანაზღაურება შესთავაზა პაპს, მაგრამ პაპს იმპერატორი კარლოსი აგულიანებდა და ამიტომ მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე.

კლიმენტი რომ აღსრულდა, რომის პაპად აირჩიეს ინოკენტი შეექვსე, რომელიც ჰაბსბურგთა გავლენას განიცდიდა. ბუნებრივია, ალბრეხტს სურდა, რომ მისი ქალიშვილი ყოფილიყო არა ბასტარდის, არამედ ეკლესიის მიერ ტიროლის კანონიერად აღიარებული მემკვიდრის ცოლი. ფონ შენა მისთვის უჩვეულო მოწადინებით შეუდგა ამ საქმის მოგვარებას. ჯერ

ლუდვიგს მოეთათბირა, შემდეგ ალბრეხტთან წავიდა, მერე მარგარიტას ეწვია. მიუნხენი და ვენა მოიარა, ბოლოს ტიროლში დაბრუნდა.

ალბრეხტმა თავის მხრივ გარკვეული პირობა წამოაყენა. იგი მომავლისათვის თესავს. მისი ქალიშვილი მაინჰარდთან შეუღლების მეოხებით მთაგორიანი ქვეყნის მეპატრონეობის უფლებას მიიღებს. მაგრამ მაინჰარდი ვიტელსბახთა გვარის წარმომადგენელია. ამიტომ ვიტელსბახებს, გარკვეული ვითარების დროს, შეუძლიათ ხელი გაიწვდინოხ ტიროლისაკენ. ეს ავბედითი ქვეყანა, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, საბოლოოდ ყოველთვის მისი ხდება, ვინც ხალხს კანონიერ მფლობელად მიაჩნია. თუმცა მაულტაში არ უყვარს ხალხს, მაგრამ რაღაც რელიგიური გარდუვალობით მაინც ტიროლის ძველთაძველი გრაფების ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ თვლის მას. მხოლოდ მასა აქვს უფლება განაგოს ქვეყნის ბედი; ვისაც იგი გადასცემს ქვეყანას, ხალხიც მას დაუჭერს მხარს. ალბრეხტი ლუდვიგ ვიტელსბახს არაფერს სთხოვს, მაგრამ მარგარიტასაგან სულიერი ანდერძი უნდა მიიღოს. იმ შემთხვევაში, თუ თვით იგი, მისი ქმარი ლუდვიგი, მისი ვაჟი მაინჰარდი ისე დაიხოცებიან, რომ პირდაპირი მემკვიდრეები არ დარჩებათ, ტიროლი ავსტრიის ჰერცოგთა მფლობელობაში უნდა გადავიდეს. წმინდა ფორმალობაა, მხოლოდ წმინდა ფორმალობაო, არწმუნებდა იგი ფონ შენას. თანაც ეს მხოლოდ წარმოუდგენელ, არასასურველ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს. მაგრამ რას იზამთ, ასეთი პედანტი ვარ, ანდერძს აუცილებლად მარგარიტა უნდა აწერდეს ხელს. ამას მტკიცედ მოვითხოვო. სანაცვლოდ კი შეჰპირდა, რომ რომის პაპი განკვეთასა და ინტერდიქტს ახსნიდა ლუდვიგსა და მარგარიტას.

ფონ შენამ ხელსაყრელად მიიჩნია ასეთი გარიგება. მას საერთოდ მუდამ ერჩია მხიარული და თავაზიანი ავსტრიელები ამ უხეშ და მძვინვარე ბავარიელებს.

მარგარიტა მარტოდმარტო იჯდა და ანდერძს წერდა. გვიანი საღამოა იყო. მაშ ასე, ჰაბსბურგებს უნდა უანდერძოს ეს ქვეყანა. ჯერ ლუქსემბურგს მოუტანა იგი მზითვად, შემდეგ ვიტელსბახს. ახლა რომ ჰაბსბურგს გადაულოცოს, ვითომ ამით

რა დაშავდება. კოპლი ალბრეხტი უდავოდ ყველაზე უფრო გონიერი და შორსმჭვრეტელია გერმანელ ხელმწიფეთა შორის. მისი შვილი რუდოლფიც ენერგიული და ჭკვიანია. საქმიანი ხალხია ეს ჰაბსბურგები. ალბათ ტიროლსაც კარგ მმართველობას გაუწევენ. უკვე ახლა მათ ხელშია ავსტრია, კარინთია, კრაინა, შვაბიის ნაწილი, გერცი, ზემო ბავარია, არც ტიროლს მოაკლებენ მზრუნველობას.

ტიროლი! მარგარიტას ტიროლი! სულ ახლახან შეძლო ბავარიისაგან მისი ჩამოშორება, აწ კი მხოლოდ მეშვიდე ქვეყნად უნდა გადაიქცეს იგი, სხვა ექვსი ქვეყნის მომდევნოდ, თანაც მისი მმართველები უცხოელი მეფეები გახდებიან. ოი, მარგარიტას ტიროლო!

სიფიცხე რა საჭიროა. ყოველივე ეს მხოლოდ შორეულის მარჩიელობაა. ჯერ ხომ ცოცხალია მისი ვაჟი. ეს კია, რომ იგი ისე ჭკვიანი და მამაცი არაა, როგორც რუდოლფი, როგორც ალბრეხტის სხვა ვაჟები. იქნებ ცოტა გონებაშეზღუდულიც იყოს. მაგრამ მაინც მისი შვილია, გრაფ მაინჰარდის შვილიშვილის შვილი. უცხოებს რა ესაქმებათ ტიროლში? თუნდაც რომ ნამდვილი იდიოტი იყოს მისი ვაჟი, იგი მაინც ტიროლელია.

ჩუმად, ჩუმად. განა ვინმეს ცუდი უნდა მისთვის? ეს ხომ მხოლოდ იმ შემთხვევისათვის იწერება, თუ უმემკვიდროდ გადაეგება... ჭკვიანი, ღვარძლიანი ალბრეხტი, კოპლი ჰაბსბურგი მეტისმეტად შორს იყურება. მაინც საოცარია, რატომ სწორედ მარგარიტას მიერ ხელმოწერილი ანდერძი მოინდომა? მისი ქნარი ხომ მარკგრაფია, იმპერატორის შვილი, ვიტელსბახი. არადა, ალბრეხტი მარგარიტას ხელმოწერას მოითხოვს, ლუდვიგისა არ სურს.

საინტერესოა, რაზე ფიქრობს ამ ამბავზე ლუდვიგი. არც ისაა ნაკლები ფხიანი. ჰაბსბურგებთან კარგ ურთიერთობაშია. ნეტავ მას რატომ არ მოეთათბირენ ამ საქმეზე?

ნუთუ გონიერმა ალბრეხტმა უკვე იცის, რა შორსაა ახლა მარკგრაფი მარგარიტასაგან. ადრე რომ მომხდარიყო ეს, ლუდვიგი უეჭველად მასთან ერთად მოითათბირებდა. ახლა იგი ტიროლში არაა. ბავარიაშია. აგნესასთან ერთად. ჰერცოგის ასული ერთ წერტილს მისჩერებოდა. არცთუ მაინცდამაინც მწარე ნაღველი უშნოდ უბრიცავდა დიდ ტუჩებს. ან კი რატომ

არ უნდა ისიამოვნოს ლუდვიგმა ფონ ფლავონთან? აგნესა ძალიან ლამაზია. მარკგრაფი კი ახალგაზრდა აღარ არის. თანაც გადაღლილია, ბავარია ხომ მოიშორა თავიდან. ცოტა ქარი ამოიღოს. აგნესა ძალიან ლამაზია. რატომ არ უნდა ისიამოვნოს მასთან ლუდვიგმა?

მძიმედ წამოდგა, ამოიხვნეშა. კიდევ ერთხელ გადაიკითხა ანდერძი. ვრცლად და დაწვრილებით შეედგინა: „წყალობითა უფლისათა ჩვენ, მარგარიტა, კანონიერი მფლობელი ბრანდენბურგის სამარკგრაფოსი, ბავარიის საჰერცოგოსი, ტიროლის საგრაფოსი, ყველა ქრისტიანს, ვინცა იხილავს, წაიკითხავს, ან გაიგონებს ამა დაწერილს, აწ და მარადის, ვესალმებით და ვამცნობთ ქვემორე თქმულსა. დაე, ნუ ინებებს უფალი მწყალობელი ამას, მაგრამ თუ მოხდა ისე, რომ ჩვენცა და მაღალკეთილშობილი ხელმწიფე. ყველასათვის გულით საყვარელი ჩვენი მეუღლე მარკგრაფი ლუდვიგ ბრანდენბურგელიც გარდავალთ ამა ქვეყნით და არ დავტოვებთ კანონიერ მემკვიდრეთ, აგრეთვე, თუ ჩვენი ძვირფასი შვილი, ჰერცოგი მაინჰარდიც აღსრულდება — რასაც ღმერთი არ ინებებს — პირდაპირ კანონიერ მემკვიდრეთა უყოლად, ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი საჰერცოგოები და საგრაფოები, მიწები და სამფლობელოები, აგრეთვე ტიროლის ციხე და სხვა ციხეები, მონასტრები, ციხე-სიმაგრეები, ქალაქები, ბაზრები, სოფლები და იქ მცხოვრებნი კანონიერ მემკვიდრეობასა და საკუთრებაში გადაეცეთ ჩვენს ძვირფას ბიძებს, ავსტრიის ჰერცოგთ“.

მარგარიტას ხელიდან გაუსხლტდა გრაგნილი, პერგამენტი შრიალით დაეხვა მაგიდაზე. ოთახიდან გამოვიდა, ფეხების ფლატუნით გაეშურა თავისი ოთახისაკენ. გრძელი გზა აირჩია, რომელსაც ჩვეულებრივ ყოველ საღამოს გაივლიდა ხოლმე დაძინების წინ. უსიცოცხლო ნაოჭებად ჩამოსორსლილ ბრწყინვალე ტანსაცმელში გამოწყობილი გონჯი ქალი მარტოდმარტო მილასლასებდა დარბაზებში, საცხოვრებელ ოთახებსა და დერეფნებში, სანთლის ვეება ჩრდილი მიუძღოდა წინ. სართველ სახელოსნოსთან შეჩერდა. მძიმე კარი თითქმის უხმაუროდ გაიღო. გოგონებს უკვე დაემთავრებინათ მუშაობა, ოთახში მათთან ერთად რამდენიმე მსახურიც იყო. ყველანი შემოხვეოდნენ ერთ ახალგაზრდა ტანმორჩილ მოახლეს, რომელიც შე-

ცბუნებული იღიმებოდა, ირგვლივ კი ერთი ხორხოცი იყო—წიკვინებდნენ, ხარხარებდნენ. როგორ? ნუთუ მაინც ვერ ხვდება? თუკი ასეა, იგი მთელ ტიროლში ერთადერთი მიუხვედრელი ადამიანი ყოფილა. მაშ, კიდევ ერთხელ. ვაი-მარია საძაგელი და მახინჯია, სადაც ფეხს დაადგამს, ყველაფერი იღუპება, ხმება. ოქრო-მარია ზეციური სილამაზით ბრწყინავს, რასაც მიეკარება, ყველაფერი ყვავილობს, სადაც ფეხს დაადგამს, ყველგან ოქრო ჩხრიალებს. აბა, მაშ ვინაა ოქრო-მარია? ა... აგნ... როვორც იქნა სახე გაუნათდა მოახლეს. აგნესა ფონ ფლავონი? რაღა თქმა უნდა. ვაი-მარია? უჰ! უსაზღვრო გაკვირვება გამოეხატა სახეზე. ახლა კი მოახლე გოგოც გადაფიჩინდა სიცილისაგან.

ამ წივილ-კივილსა და ხორხოცში ჰერცოგის ასული არავის დაუნახავს. სანთლით ხელში მდუმარედ იდგა კარის ჩრდილს მოფარებული, ნელა მიხურა კარი. ლასლასით გაჰყვა დერეფნებს, უკანვე დაბრუნდა იმ ოთახში, სადაც ანდერძი დატოვა. გრაგნილი გახსნა. „წყალობითა უფლისათა, ჩვენ, მარგარიტა...“ პერგამენტი აშრიალდა. კალამი ჩააწო, გულმოდგინედ, აუჩქარებლად მოაწერა ხელი.

კოჭლი ალბრეხტი ვენის სასახლეში იჯდა, ხალათს ზემოდან საბანიც წამოეხურა. გვერდით, მაგიდაზე, სხვა ქაღალდებს შორის მარგარიტას ანდერძი იდო. იქვე იყვნენ ალბრეხტის ვაჟიშვილი რუდოლფი, ხურის ეპისკოპოსი და მხცოვანი აბატი იოან ეიქტრინგელი, მოხუცი ჰერცოგი უკვე ნაზიარები იყო. თვითონაც კარგად იცოდა, რომ რამდენიმე საათში აღსრულდებოდა. იჯდა სავარძელში და ცახცახებდა, თუმცა საბანიც მოეხურათ მისთვის და ოთახიც მეტისმეტად გაეთბოთ. ლამის ნეტარი ტკივილით გრძნობდა, რომ სიცოცხლე ნელ-ნელა ქრებოდა. და მაინც, როგორც ყოველთვის, მშვიდი და ნათელი იყო მისი მზერა, თითქოს ნაღვლიანი მხიარულებაც კი გამოსჭვიოდა თვალთაგან.

რუდოლფმა მესამედ იკითხა, დანარჩენ ძმებსაც ხომ არ დავუძახოთო. მას ქერა თმა ჰქონდა, ენერგიული მზემოკიდებული სახე, არცთუ მაღალი კუთხური შუბლი, არწივისებური ცხვირი და წინგამოწეული ქვედა ტუჩი. ყოველივე ეს თავდა-

ჯერებული, დინჯი კაცის იერს აძლევდა. კოჭლმა ალბრეხტმა მესამედაც უარი უთხრა რუდოლფს. ბიჭები საქმით არიან გართულნი, ჩემმა სიკვდილმა რად უნდა შეუშალოს მათ ხელიო.

ნელა სუნთქავდა, ჯანსაღ ხელს შლიდა, ხრიდა, ისევ შლიდა. კარგი ცხოვრება გაატარა, რამდენადაც კი საერთოდ შესაძლებელია კარგი იყოს ადამიანის ცხოვრება. მთელი მისი სიცოცხლე გულმოდგინება და გარჯა იყო, წარმატებაც იყო. მუშაობდა თავისი თავისათვის, მუშაობდა თავისი ქვეყნისათვის. თანხმობა ჰქონდა საკუთარ თავთან, თანხმობა ჰქონდა ადამიანებთან, თანხმობა ჰქონდა ღმერთთან.

მისი შვილი რუდოლფი კარგ მემკვიდრეობას მიიღებს. რა ბედნიერება და ღვთის წყალობაა, რომ ალბრეხტი მოესწრო ამას — საკუთარი თვალით იხილა საბუთი, რომლითაც ტიროლი შემოემატა. მისი სამფლობელო მტკიცედ შეიკრა ახლა, შვაბიიდან უნგრეთამდე ჰაბსბურგთა მიწა-წყალია. კეთილი ქრისტიანი ხელმწიფეების კვერთხმა გააერთიანა ის, წესრიგი და კეთილდღეობა დამყარდა იქ. მისი ვაჟები გონიერნი და მტკიცენი არიან. ჰოდა, რისთვის უნდა შეაწუხოს ისინი თავისი სიკვდილით.

დიახ, წუთისოფელს ეთხოვება იგი — უკანასკნელი ძმა სამთაგან. იოჰან ლუქსემბურგი უაზრო სიკვდილმა იმსხვერპლა, სულელურმა რაინდულმა სიკვდილმა იმ ბრძოლაში, რომელშიც სულაც არაფერი ესაქმებოდა მას. ბავარიელი ლუდვიგი შემთხვევით, ტყუილუბრალოდ დაიღუპა ნადირობის დროს, აწეწილ-დაწეწილი საქმეები დატოვა, არც მტკიცე ლარი და ხაზი ჰქონია ცხოვრებაში ოდესმე, არც სხვათაგან გამორჩეული იერი, უგემურად, ულაზათოდ მოკვდა. ისევე უაზრო და არაფრის მთქმელი იყო მისი სიკვდილი, როგორც საერთოდ მთელი მისი ცხოვრება. ალბრეხტი არასოდეს იწოდებოდა რომის იმპერატორად, არასოდეს ილტვოდა რომის გვირგვინისაკენ, არცა ყოფილა მისი მფლობელი, არცა ნდომებია იგი. მაგრამ კარგად რომ ავწონ-დავწონოთ, — ამის გაფიქრებაზე მშვიდად, ეშმაკურად გაიღიმა მომაკვდავმა, — უმძლავრესი სამთაგან ყოველთვის თვითონ იყო. დიახ, იგი იყო მთელი ქრისტიანული სამყაროს უზენაესი მსაჯული და ყოველთვის ყველაფერი ისე კეთდებოდა, როგორც მას სურდა.

ახლა კი ძალიან დაიღალა. რუდოლფთან შეხმიანება ინდოშა, მაგრამ მხოლოდ ყრუ ხროტინი აღმოხდა. რუდოლფი მაშინვე მოტრიალდა. სულთმობრძავმა ჯანსაღი ხელის ცეცებით შვილის მკლავს დაუწყო ძებნა. ვერ მიწვდა, უსასოოდ ჩამოეკიდა ხელი. მძიმედ ჩამოუვარდა თავი.

რუდოლფი მის გვერდით იდგა, ვაკკაცურად, მტკიცედ. ახლა იგი ჰაბსბურგთა მეთაურია, გერმანელ ხელმწიფეთა შორის ყველაზე ძლევამოსილი. ხურის ეპისკოპოსი ლოცულობდა. მხცოვანი აბატი ვიქტრინგელი თავის დამკვნარ ყავისფერ ხელს უთათუნებდა მარგარიტას ანდერძს: „შეევქმენ მე ძეგლი, სპილენძზე მეტად ხანგამძლე", — ძველთაძველი კლასიკოსის სიტყვები ჩაიბურტყუნა მან. შემდეგ ალბრეხტთან მიფრატუნდა და ახლაღა მიხვდა, რომ უკვე მომკვდარიყო იგი. თავს ძალა დაატანა, წელში გაიმართა, დაბარბაცდა, ისევ გაიმართა, რამდენადაც შეეძლო ხმას სიმტკიცე შემატა, რამდენჯერმე მაინც ჩაუწყდა ხმა, ბოლოს ძლივს წარმოთქვა: Defunctus est Albertus de Habsburg, inperator Romanus"[1].

ეპისკოპოსმა და რუდოლფმა ერთმანეთს გადახედეს: განსვენებულს არასოდეს უტარებია ეს ტიტული, არც არასოდეს ილტვოდაო მისკენ. ბერიკაცმა ისევ თავს ძალა დაატანა და, თუმცა კვლავ ბარბაცებდა, მაინც გაიმეორა საზეიმო ხმით: „გარდაიცვალა ალბრეხტ ჰაბსბურგი, რომის იმპერატორი". ეს წარმოთქვა და ისევ საკუთარ ნაუუბში შეიყუჟა, მაგიდასთან მიფრატუნდა, პირჯვარი გამოისახა, ბუტბუტს მოჰყვა.

მიუნხენის სასახლის წმინდა მარგარიტას პატარა სამლოცველო დიდკაცობითაა გაჭედილი. გარეთ — მკრთალი ბრინჯაოსფერი შემოდგომა, შიგნით — ბრწყინვალე დიდებულთა თორნი, სასულიერო პირთა მდიდრული მანტიები; ერთმანეთთან ლამის ჩახუტებულნი დგანან ავსტრიის ჰერცოგები, რუდოლფი, ლეოპოლდი, ფრიდრიხი, მათი კანცლერები და მარშლები, იოჰან ფონ პლაცჰაიმი, პილგრიმ შტრაინი, ბავარიელი და ტიროლელი რაინდები, მარშლები, ბურგგრაფები, ობერ-ეგერმაისტერები, მარკგრაფის ლანდესჰოფმაისტერები, ძმები ფონ შენები, ფრაუენბერგი, კონრად კუმერსბრუკერი, დიპოლდ ჰელი. სამღვდელო კარის თავადებს იისფერი და მე-

[1] გარდაიცვალა ალბერტ ჰაბსბურგი. რომის იმპერატორი (ლათ.).

წამული ტანსაცმელი აცვიათ. აქვე არიან ზალცბურგის, რეგენსბურგის, ვიურცბურგის, აუგსბურგის ეპისკოპოსნი, დეკანოზები, პრობსტები, ეკლესიის წინამძღვარნი, ტიროლელი მღვდლები ტაიზენდორფი და პიბერი. ფრიალებენ სამღვდელო და საერო დროშები. ხრჩოლავს საკმეველი. სამლოცველოს გარეთ იმდენ ხალხს მოუყრია თავი, ჯარი ძლივს აკავებს. ფანჯრები ხალხითაა გაჭედილი, შემოდგომის მზით აბზინვარებულ ხეებზე, კედლების თავებზე, ყველგან, სადაც კი ფეხის მოკიდება შეიძლება, ხალხია მოზღვავებული.

სამლოცველოში ლუდვიგი და მარგარიტა მუხლმოდრეკილნი დგანან პაპის კომისრების, ეპისკოპოს პავლე ფრაიზინგელისა და აბატ პეტრე სანკ-ლამპრეხტელის წინაშე. გუშინ მარკგრაფი და მარგარიტა ოფიციალურად განაქორწინეს და აწ ცალ-ცალკე ცხოვრება უბრძანეს. დღეს კი ეპისკოპოსმა საზეიმოდ წაიკითხა პაპის დეკრეტი განსპეტაკების თაობაზე: „რამეთუ ლუდვიგ ბავარიელმა, პირმშომ ლუდვიგ ბავარიელისა, რომელიცა რომის იმპერატორს უწოდებდა თავს, ყოველი შეასრულა, რაიცა პაპმა მოითხოვა მისგან, და თვითონაც პირადად აღიარა, თუკი რამ შეუცოდავს ეკლესიის წინაშე, იგი — პავლე ეპისკოპოსი და აბატი პეტრე, აწ პაპის კომისრებად მოვლინებულნი, ხსენებულ მეფესა და დედოფალ მარგარიტას, მიუხედავად მათი მეტისმეტად ახლო ნათესაობისა, უბოძებენ უფლებას კვლავ დაქორწინდნენ და კანონიერად მიიჩნევენ მათგან უკვე ადრევე ნაშობ უფლისწულს მაინჰარდს. წმენდენ ბიწიერებისა და უპატიურობის ყოველგვარი დამღისაგან, უბრუნებენ მათ უფლებებს ისარგებლონ პრივილეგიებით, ლენებით, ადგილ-მამულით, კვლავ იღებენ მათ ეკლესიის კალთის ქვეშ. ათავისუფლებენ მათ მიწებს ინტერდიქტისაგან“.

და აი, ბავარიასა და ტიროლში კვლავ გახსნეს ეკლესიათა კარები, რომლებიც მრავალი ათეული წელი დაკეტილი იყო. დიდი ხნით დადუმებული ზარები კვლავ შეირხნენ და ახმიანდნენ. რელიგიურ აღტყინებას მოწყურებული ხალხი ეკლესიას მიაწყდა. ქალები და კაცები, რომლებიც ისე გაიზარდნენ, რომ არც წირვა უნახავთ და არც ზარების რეკვა სმენიათ, პირველად ესწრებოდნენ წირვა-ლოცვას, გაბრუებულნი დალივლივებდნენ წმინდა სამების სადიდებელი კეთილხმოვანი, დიდებული და დამათრობელი ლოცვის ტალღებზე.

— ამის შემდეგ აღარაფერი მესაქმება ჰაბსბურგებთან!— ბრაზიანად, ოფიცრის უხეში ხმით დაიღრიალა ქვემო ბავარიის ჰერცოგმა სტეფანმა და მაგიდაზე ეღრიალით მოიხროლა რკინის თაფლანი. წამოდგა და ოთახში სიარულს მოჰყვა. ოთხკუთხა შუბლის ქვეშ შემჯდარი თვალებით ცივად შეჰყურებდა თავის ძმას — მარკგრაფს, რომელიც მაგიდასთან იჯდა თავჩაქინდრული. ხარის ქედივით მოუჩანდა მას დაძაბული კისერი. მიუნხენის სასახლის დიდ დარბაზში გვარიანი ცეცხლი ენთო, მაგრამ მაინც საკმაოდ ციოდა, ფანჯრებს გარეთ წყლიანი თოვლის ფიფქები ცვიოდა.

— მაშასადამე, არა... — ძლივს ამოღერღა მარკგრაფმა დაარგუნვილი ხმით. — რაკი ეგრეა, ჩემო ბატონო, ვუბრძანებ, რომ სხვა საბუთი გაამზადონ, როგორც შევთანხმდით.

ჰერცოგმა სტეფანმა აბზეკილი სქელი ულვაშების ქვეშ შემალა ტუჩები. ძმასთან ახლოს მივიდა და თავისი უკმეხობის ბიზეზი განუმარტა:

— ბოლოს და ბოლოს რამდენჯერ მოვრიგებულვართ მემკვიდრეობის უსიამოვნო ამბებში. არასოდეს ერთმანეთი არ მოგვიტყუებია. თითოეული ჩვენთაგანი ნათლად და მტკიცედ იცავდა საკუთარ ინტერესებს, არც ზედმეტი სიტყვა დაგვცდენია, არც უთქმელი დაგვიტოვებია რამე. არასოდეს გვიცდია ერთმანეთის დაყოლიება. ექვსივე ძმას საშინლად გვტკიოდა გული, როცა იძულებული ვხდებოდით ნაკუწ-ნაკუწად დაგვექუცმაცებინა ჩვენი მიწა-წყალი და ვიტელსბახების საგვარეულო დაგვეკნინებინა. მაგრამ სხვა საშუალება, სხვა გზა არ არსებობდა და ჩვენც ზედმეტად მიგვაჩნდა ფუჭი ლაყბობა ამ საგანზე. მაგრამ, ჩემო ბატონო, — სტეფანმა მუქარით აღიმაღლა ხმა და წიკვინით განაგრძო,—მაგრამ თქვენ, ჩვენს გვარში უფროსმა ძმამ, რატომ დაუშვით, რომ ტიროლის ანდერძი ჰაბსბურგების სასარგებლოდ ყოფილიყო შედგენილი. აი ეს მაიძულებს, ვილაპარაკო. ვიცი, თვით ტიროლელების საქმეა ეს და მე არ მეხება. არც არასოდეს ჩავრეულვარ თქვენს საქმეებში. მაგრამ ეს ანდერძი მაინც ძალიან მტკენს გულს. სისხლს მიშხამავს და ამიტომ დუმილი არ შემიძლია.

მარკგრაფმა არაფერი უპასუხა. მკაცრი, სუსხიანი თვალე-

ბით უაზროდ მისჩერებოდა სივრცეს. ბევრად ხნიერი ჩანდა ძმასთან შედარებით, თუმცა წლოვანებით დიდად უფროსი არ იყო. და რადგან ბუნებით ფიცხი ლუდვიგი, მოსაუბრეს სიტ-ყვას რომ არ შეარჩენდა ხოლმე, ახლა მოხრილი იჯდა და უაზ-როდ დუმდა, ჰერცოგმა სტეფანმა კილო შეარბილა და ისე განაგრძო:

— ალბათ იტყვით, რომ ეს თქვენი ცოლის ნამოქმედარია და არა საკუთრივ თქვენი, და რომ ეკლესიიდან განკვეთისა და ინტერდიქტის მოხსნა კარგი საფასურია ქალალდის ერთ საეკ-ვო ნაგლეჯში. მართალი ბრძანდებით. მაგრამ თქვენს ადგილზე რომ ვყოფილიყავი, მე ამას არ დავუშვებდი, არც რომელიმე ჩვენი ძმა იზამდა ამას, არც მამაჩვენი, ცოცხალი რომ ყოფი-ლიყო.

მარკგრაფი ისევ დუმდა, კვლავ უცნაურად ჩაფერფლილი იყო. სტეფანი დიდად გააკვირვა ამ მკაცრი და ფიცხი კაცის ასეთმა დაბნეულობამ. ამიტომ ლამის მობოდიშებით უთხრა:

— ვიცი, ადვილი არაა, როცა კაცს ცოლად დრუნჩიანი ჰყავს და ლანდესჰოფმაისტერად კი — ფრაუენბერგი.

როცა მარკგრაფი მარტო დარჩა, ისეთი ყრუ, უძლური, უსასოო ბრაზი მოერია, როგორიც არასოდეს განეცადა. რას ნიშნავდა ეს? იგი თავის ციხე-დარბაზში იმყოფება და უმცრო-სი ძმა სტეფანი, სრული არარაობა, უფერული არსება, ჭირსაც რომ წაუღია მისი საზიზღარი ქვემო ბავარია, პატარა ბიჭივით ტუქსავს მას? როგორ მოხდა, რომ მან მშვიდად მოუსმინა ამ არამზადას? აი თურმე სადამდე მისულა საქმე? მაშ, ასე დაუ-ძლურდა იგი?

მაგრამ სტეფანმა სიმართლე უთხრა, და ეს იყო მთავა-რი. ახლა ჰაბსბურგები ერთობლივად მართავდნენ ქვეყანას, უფროსობა კი გამჭრიახი რუდოლფისათვის მიენდოთ. იგი იყო მათი მოთავე, ისინი ერთ მთლიან ბირთვს წარმოადგენდნენ, ერთსულოვნად უძღვებოდნენ მთელ თავიანთ მიწა-წყალს. ვი-ტელსბახების გვარეულობა კი დაიშალა და ექვს ნაწილად და-ქეცმაცდა. მარკგრაფი უფროსია ძმათა შორის და ეს არ უნდა დაეშვა. მაგრამ განა მარტო ეს? მისი მიზეზით მოხდა ისიც, რომ სასწორი ჰაბსბურგების მხარეს გადაიხარა. ყველაფერი კი ებ-რაელთა დარბევით დაიწყო. ეს იყო პირველი შეცდომა. თა-

ვისი ებრაელები ისევე რომ დაეცვა, როგორც ეს კოქლმა ალბ-
რეხტმა გააკეთა, მისი საფულე არასოდეს იქნებოდა ცარიელი
და გახვრეტილი. მაშინ არც თავის ბავარიას მისცემდა ოდეს-
მე ავსტრიელ ფინანსისტებს. ახლა ისინი ბლომად დასახლდ-
ნენ ბავარიაში, მაგრად მოიკიდეს ფეხი, თავის ნებაზე უფრო-
სობენ, ყველაფერს კონტროლს უწევენ. და ყველგან—ვიტელ-
სბახთა ლომის გვერდითაც, ქვემოთაც, ზემოთაც — ჰაბსბუ-
რგების წითელი ლომიც დაბრძანებულა. მარკგრაფი გრძნობ-
და, რომ მამის დიდრონი უძრავი თვალები მისჩერებოდნენ.
სუნთქვა ეკვროდა. ძმა მართალია.

ამაზე აღარ უნდა იფიქროს. შეცდომა დაშვებულია. ებრა-
ელები დახოცილები არიან, ცოცხლად გადარჩენილთ ვერავი-
თარი დაპირებებით ვეღარ შემოიტყუებ უკან. ფული აღარაა.
ქვეყანა გაპარტახებულია და მას ჰაბსბურგი მართავს.

სისულელეა! თავი და თავი ამბავი ეს კი არაა. ამის გულ-
ისათვის არავინ საყვედურობს მას. მთავარია ანდერძი. ანდერ-
ძი, რომელიც შეადგინა მისმა უსახურმა ცოლმა მაულტაშმა.
აი რას უნდა ჩასჭიდებოდა იგი, აი რა არ უნდა დაეთმო მას.
თვითონაც კი გაეხარდა, რომ შეძლო ყოველივე მარგარიტას-
თვის გადაებრალებინა. რაო, რა უთხრა ძმამ? ადვილი არაა,
როცა კაცს ცოლად დრუნჩიანი ჰყავსო. ღმერთმა ხომ უწყის.
რომ მართლაც არაა ეს ადვილი. ლუდვიგმა თანდათან გაიღ-
ვივა გულში ყრუ ბრაზი ამ ქალის მიმართ. მაულტაშია ყველა-
ფერში დამნაშავე, ჰაბსბურგთან გარიგებაც მისი ბრალია. გო-
ნჯია, მათხოჯი, დრუნჩიანი, თანაც ის ფრაუენბერგი, ნამდვილი
გომბეშო, უჯიშო ნაძირალა გაიხადა საყვარლად. მაგათ დაღუ-
პეს მარკგრაფის ბავარია. მაგათ გაუხადეს მთელი ევროპის და-
საცინად საქმე ლუდვიგს. მამასთან ერთად ბოლთას რომ სცემ-
და ოთახში, ჯერ კიდევ მაშინ ავს ეუბნებოდა გული, ჯიუტად
უარობდა მაულტაშის ქმრობას. ლუდვიგი ერთხანს გაშტერე-
ბული იჯდა. ოხრავდა, ქშენდა, ბურტყუნებდა.

აგნესასთან გაეშურა. ქალი ტახტზე იწვა. მის წინ ბაზიერთ-
უხუცესი იდგა. აგნესას ხელზე თათმანი ეცვა, ახლახან ნაყიდ
შევარდენს ეთამაშებოდა. ქალი მაშინვე მიხვდა, რომ მარკ-
გრაფს მასთან ლაპარაკი სურდა, მაგრამ განგებ ალოდინა. ისეე

ფრინველს ელოლიავებოდა, წვრთნიდა, ბაზიერთუხუცესს გვერდიდან არ იცილებდა.

ლუდვიგმა ბოლოს და ბოლოს, როგორც იყო, გამოსცრა კბილებში, რომ დღეს არც შევარდნით ნადირობისათვის ეცალა და არც სპორტისათვის. რაო, ბატონი მარკგრაფი ცუდ გუნებაზეა? გაანაწყენეს? საბრალო... ჰერცოგმა სტეფანმა? ამას კი არ მოელოდა! ჰერცოგი ხომ უაღრესად თავაზიანია? მარკგრაფის ცოლის ანდერძის თაობაზე ილაპარაკა? ბავარია-ჰაბსბურგის შეთანხმებაზეც? ამაზე არა? ამაზეც, მაგრამ გაკვრით?

ნეტავი მოიფიქრებდეს ეს ქალი და თავის შევარდნიანად გაისტუმრებდეს ამ რეგვენს! მაგრამ, მგონი, საერთოდ არც კი აპირებს ამას. ნუთუ მისთვის სულერთია, რომ სტეფანმა ამ. ღენი უფლება მისცა საკუთარ თავს? ნუთუ მისთვის არაფერს ნიშნავს, რომ იგი ძმასთან საუბრის შემდეგ პირდაპირ მასთან მივიდა? შევარდენმა ფრთები გაშალა, მერე ისევ მოკეცა. აგნესა ეალერსებოდა ფრინველს, მოსაფერებელ სახელებს ეძახდა. უდიდესი ფარული ზეიმით აღვსილიყო მთელი მისი არსება. აღსრულდა! ნუთუ დადგა ნანატრი წუთი და აგნესას ბეტოქის სახლი, ეგეთის ჯაფით ნაგები, დაიქცევა?

მაშასადამე, ბავარია-ჰაბსბურგის შეთანხმებაზეც ულაპარაკია ჰერცოგ სტეფანს? არა, იგი საერთოდ ვერ ერკვევა პოლიტიკაში. მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, ყოველთვის უკვირდა, თუ ესოდენ ძლიერმა და გონიერმა მეფემ რატომ გადასცა ქვეყნის მმართველობა სხვას. თითქოს სხვათა შორის ჩაილაპარაკა ეს აგნესამ, როდესაც შევარდენს ჩაჩს ახურავდა თავზე. თანაც ბაზიერთუხუცესს წაეკინკლავა, ნეტავ რამდენ ხანს უნდა ვაშიმშილოთ შევარდენიო. გულში კი ზეიმობდა: უკანასკნელი წვეთიც კი უნდა გამოიწუროს ტიროლიდან და მთელი ეს წვენი მოხმარდეს ბავარიას. უნდა მოახერხოს, რომ რაც კი რამ შეუქმნია მის მეტოქეს, ყოველივე გაცამტვერდეს.

დათრგუნვილი იჯდა ლუდვიგი, ბოღმა ახრჩობდა. სულელია იგი. ბავშვიც კი მიხვდებოდა საქმის ვითარებას. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეთმო მას ბავარიის მმართველობა. ისიც კი აჯობებდა, რომ მესერე არტეზესათვის გირაოდ გადაეცა თავისი ქალაქები და მთელი შემოსავალი. მაგრამ არსებობს

მარგარიტას ანდერძი და ამას ახლა აღარაფერი ეშველება. თუმცა მმართველობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ვადა ხომ რამდენიმე თვეში იწურება. მარკგრაფი უარს იტყვის ვადის გაგრძელებაზე და რაც მოსახდენია, მოხდეს.

აგნესა ტახტზე იწვა და ყურადღებას არ აქცევდა მას. ბაზიერთუხუცესი არც კი აპირებდა წასვლას. აგნესა რომ მარტო ყოფილიყო, ლუდვიგი მივარდებოდა მას, მაგრად შეარჯლოევდა: „როგორ ბედავ ჩემს აბუჩად აგდებას! უარს ვიტყვი ხელშეკრულებაზე! კინწისკვრით გავყარი ჰაბსბურგელ მოხეელებს! ნუ მამასხარავებ, მრუშო დედაკაცო!“ და ისეთ დღეს დააყრიდა, რომ აღარც დაცინვის გუნებაზე იქნებოდა და აღარც შევარდენთან თამაშისა. მაგრამ ბაზიერთუხუცესი ბრიყვული მოწიწებით იდგა და ფეხს არ იცვლიდა, აგნესა კი ზედაც არ უყურებდა ჰერცოგს.

კონრად ფონ ფრაუნბერგი მოლაპარაკებას აწარმოებდა ბრიქსენის ეპისკოპოსის მრჩევლებთან. ბოლო ხანებში საეპისკოპოსო მთლიანად დაექვემდებარა მარკგრაფს. კონრადი აშკარად აგრძნობინებდა ამას მოსაუბრეებს. კმაყოფილი სახით იჯდა ოფლში გაღვათქული მოციქულების წინ, ჩაწითლებული პატარა თვალებით მისჩერებოდა, წრიპინით ელაპარაკებოდა, ნელ-ნელა უნთებდა ცეცხლს, წვეთ-წვეთად ბოღმავდა. ბოლოს და ბოლოს ზიზღით, დაუნდობელი სიძულვილით რაღაცა ნამცეცები მიუყარა გამათხოვრებულ ლაქუცებს. მისი მდივანი, შეუხედავი კლირიკოსი, მდუმარედ იჯდა და კეთილსინდისიერი მორჩილებით ოქმს წერდა.

მრჩევლები რომ წავიდნენ, ფრაუენბერგმა მდივანს რამდენიმე წერილი დააწერინა თავის მამულებში მომუშავეთა სახელზე. წარამარა ერთი და იგივე უნდა უჩიჩინო ამ ბატონებს. როდემდე უნდა იყვნენ ეგეთი დოყლაპიები, სამკუდიანმა სატანამ რომ წაიღოს მაგათი თავი. ამცირებენ და ამცირებენ გადასახადებს, ვადას უგრძელებენ ბეგარას, ვალდებულებებს, ხოლო როცა ვინმე დასასჯელია, სულელურ გულჩვილობას იჩენენ. მხოლოდ სამარცხვინო ბოძზე გაკვრას ან ციხეს უსჯიან ქურდს, აქაოდა, გაჭირვებამ აიძულაო! სისულელეა! ყველა გაჭირვებით სჩადის ამას! მკლავი უნდა მოჭკვეთონ არამზადას,

როგორც აქამდე იქცეოდნენ. განა შეიძლება ბრაკონიერის შეცოდება იმის მომიზეზებით, რომ მას ოჯახი ჰყავს? მის ნანადირევსაც ჰყავდა ოჯახი. განა ქურდმა შეიცოდა იგი? მის ადგილ-ნამულში სამუდამოდ უნდა გადაივიწყონ ეს ახალმოდური ჰუმანიზმი. ფრაუენბერგი კარნახობდა, ქშინავდა. თვინიერი მდივანი ყველაფერს იწერდა.

მარტო რომ დარჩა, უსახურმა კაცმა უფერული თმა უკან გადაიყარა, გაიზმორა, დივანზე წამოწვა, სახსრები გაატკაცუნა, ზანტად დაამთქნარა. ძალიანაც კარგადაა ეს ქვეყანა მოწყობილი, სხვისა რა ვთქვათ, და იგი ერკვევა ამ ამბავში. ეშმაკმა დალახვროს ყველაფერი, თვითონ კი გვარიანად იხეირა. მარკგრაფი ერთ ადგილზე არ ჩერდება, ხან აგნესასთანაა, ხან სხვაგან. რატომაც არ უნდა იქცეოდეს ასე? განა დრუნჩიანს ულამაზესი აგნესა არა სჯობია? მართალია, როცა მარკგრაფი აქ არაა, ფრაუენბერგს დიდი ჯაფა ადგას: აქეთ — მაულტაში, იქეთ — ტიროლი. ბევრი სამუშაო აქვს, ჯოჯოხეთური შრომა უწევს. მაგრამ შემოსავალიც არ აკლია. ლუდვიგიც ხელს უწყობს, არავითარ ახსნა-განმარტებას არ სთხოვს.

გულმოდგინედ დახედა თავის სქელ, წითელ, დაჯორჯილ ხელებს. ადრე, ჩანს, დიდად არ აფასებდა თავის მამაკაცურ ღირსებებს. ჯერ შენ თვითონ უნდა ირწმუნო საკუთარი თავი, მერე ქალებიც გირწმუნებენ. თითიც რომ დაუქნიოს, რომელი ძუკნა არ გამოიქცევა მაშინვე მისკენ. იზმორება, სტევენს, ავად იღიმება. ზანტად დგება, იღებს ტუშს, მელანს, პერგამენტს. როცა არ გეძინება, სწორედ რომ კარგი თავშესაქცევი საქმეა ეს. დღეს რატომღაც განსაკუთრებით უნდა ხატვა. ფონ შენას ჰგონია, რომ იგი ბრიყვია. ფრაუენბერგს სილამაზის დაფასება არ შეუძლიაო. შენა სულელი არაა, მაგრამ თუ იგი ფიქრობს, რომ მხოლოდ მას შეუძლია დააფასოს, რაც გემრიელად მოწრგვალებულია, გლუვია და სასიამოვნოა ხელის მოსაკიდებლად, ძალიან ცდება ეგ მანჭია! ფრაუენბერგი პერგამენტს შლის. ოო, შან კარგად იცის სილამაზის ფასი. თავის საყვარელ სიმღერას სტევენს ამ ცხოვრების შვიდ ნეტარებაზე და იწყებს მუშაობას. სიამოვნებით აფჩენს ხახას, ტუჩებს აწლაპუნებს, ბუყბუყებს, ჭყივის, აბოყინებს. ჯერ კონტურს შემოხაზავს,

მერე ფუნჯს აცოდვილებს, რაღაცას ხატავს. თანდათან ისახება ქალის ტანსაცმელი, მკერდი, სახე. კონრადი მუშაობაშია ჩაფლული.

თავს ზევით სწევს. მის ზურგს უკან მარგარიტა დგას. გონჯი სახე განსაკუთრებით სულელურად დაღმეპია. ცხადია, რომ იცნო. არავითარი აზრი არა აქვს დამალვას, უარს. უტიფრად შესცქერის ჰერცოგის ასულს, ტუჩებს ბრიცავს, ხრინწიანი ხმით წარმოთქვამს:

— ამულეტია.

— ამულეტი? ეს? ქალის ნატიფი პორტრეტია ამულეტი?

იგი კი, ვითომცდა გულუბრყვილოდ, უტიფრად პასუხობს: რა თქმა უნდა. მარგარიტამ იცის, რომ კონრადს მასთან დავა აქვს საზღვრების თაობაზე. გარდა ამისა, ისიც მხედველობაში ვისაღებია, რომ ამ ქალმა აშკარად მავნე პოლიტიკური გავლენა მოიპოვა მარკგრაფზე.

მარგარიტა პირქუშ, მეტყველ, ჯიქურ მზერას არ აცილებს კონრადს. კონრადი აინუნშიც არ აგდებს ამას, გულცივად თვალს უსწორებს ჰერცოგის ასულს. მომეცით ეგ ნახატი, ეუბნება ბოლოს ქალი.

— რატომაც არა, ინებეთ? — წრიპინით პასუხობს იგი. ამ ამულეტს ღვთიურობისა მართლაც არაფერი სცხია. მკითხაობისთვისაც გამოდგება, საკუთარ ნება-სურვილსაც შეიძლება დავუმორჩილოთ. ჰერცოგის ასულს ამ ქალისათვის ალბათ ისევე არ ემეტება კეთილი სურვილები, როგორც თვითონ მას — კონრადს. გაიღრიჭა, მეტისმეტად მდაბლად დახარა თავი და ისე მიაწოდა პორტრეტი.

მარგარიტა მარტოა, დიდხანს გულდასმით ათვალიერებს ჩანახატს. თმა ოქროსფერია, თვალები გადმოკარკლული—უმწეოდ დათხუპნულ სახეზე ორი უაზრო ცისფერი ლაქა. მარგარიტა უმარილით გათეთრებული ხელებით თმიდან სარჭს იძრობს, ნელ-ნელა გულმოდგინედ უმიზნებს და ცისფერ ლაქებს ჩხვლეტს. მაგრამ პერგამენტი მაგარია და არ იხევა, უფრო ძლიერად აწვება სარჭს და თანდათან ბოლომდე ხვრეტავს, პერგამენტი შრიალებს. თვალების ადგილზე ორი კიდეებშემოფლეთილი ნახვრეტი ჩნდება.

მარკგრაფი წამოდგა. ათ წუთსაც არ გაგრძელებულა საუბარი. მხოლოდ საქმეზე მოითათბირეს. კითხვა-პასუხი ცივი საქმიანობის ზღვარს არ გასცილებია.

— დაგვრჩა ტაუფერსის საკითხი, — წარმოთქვა მარგარიტამ.

— გადავდოთ, — თავი აარიდა მარკგრაფმა.

— მთელი წელიწადია, ასე გრძელდება, — მიუგო მარგარიტამ. — ბოლოს და ბოლოს უნდა გადავწყვიტოთ.

— კარგი. თქვენ რა გნებავთ? — მტრული კილოთი შეეკითხა მარკგრაფი.

ტაუფერსის საკითხი იმაში მდგომარეობდა, რომ აგნესა ფონ ტაუფერსსა და ფრაუენბერგს შორის დავა წარმოიშვა საჭღვრების თაობაზე. აგნესა ეფარებოდა ბრიქსენის ეპისკოპოსს, რომელმაც მას მისცა ლენი და არა ფრაუენბერგს. ფორმალურად აგნესაა მართალი, საქმის არსის მიხედვით კი — ფრაუენბერგი. საკმარისია მარკგრაფმა მოინდომოს, რომ ბრიქსენმა მყის უარყოს თავისი პრეტენზიები, აგნესა კი მამულს დაკარგავს. ეპისკოპოსის მრჩეველები ფიქრობდნენ, რომ ეს ლუდვიგისათვის ხელსაყრელი არ იყო, ამიტომ თავს ნებას აძლევდნენ და ჯიუტად ეწინააღმდეგებოდნენ ფრაუენბერგის მოსაზრებებს საზღვრის თაობაზე.

გახელებული მარგარიტა ცდილობდა გაებათილებინა საეპისკოპოსოს მოსაზრებანი. პირქუში მარკგრაფიც ჯიუტად იმეორებდა პოლიტიკურ მოტივებს, რომელთა გათვალისწინებით ამ მომენტში დაუშვებლად მიაჩნდა ეპისკოპოსის განაწყენება. არც მარგარიტა თმობდა თავის ნათქვამს, არც ლუდვიგი, პირგამეხებულნი ძალას უსინჯავდნენ ერთურთს.

მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის თანდათან იზრდებოდა უფსკრული, დღემდე ერთხელაც არ უჩხუბიათ გამეტებით. მარკგრაფს სიტყვაც არ დასცდენია არც ანდერძის თაობაზე, არც ფრაუენბერგთან ურთიერთობაზე. არც მარგარიტას წარმოუთქვამს ჯერ მის გასაგონად აგნესას სახელი. ახლა კი მეტისმეტად ფიცხობდნენ, კამათობდნენ, მუქარასაც არ ერიდებოდნენ, ისე იყვნენ გახელებულნი, თუმცა რაზედაც დაჯობდნენ, სულაც არ ღირდა ამდენ ჩხუბად. გამძვინვარებულნი იდგნენ ერთმანეთის პირისპირ. მარკგრაფს მშვიდი ვაკაცური სახე

ცოფმორეულივით მობრეცოდა. მარგარიტა კი ნაძალადევ სიმშვიდეს ინარჩუნებდა და დამცინავად, გესლიანად ელაპარაკებოდა.

ლუდვიგს მოთმინების ფიალა აევსო, თავი ვეღარ შეიკავა და გაბოროტებით, დამცინავად მიუგდო:

— მთელი ეს ამბავი ხომ მხოლოდ შენი მაიმუნის, იმ ფრაუენბერგის გულისათვის წამოიწყე.

მარგარიტას მიწის ფერი დაედო, სუნთქვა შეეკრა, მძულვარებით შეხედა მას. მერე კი ხრინწიანად ამოილაპარაკა:

— დიახ, დიახ, დიახ! მე არ დავუშვებ, რომ კანონი დაირღვეს შენი როსკიპის გულისათვის.

მარკგრაფმა ნერვიულად მომუჭა ხელები, თორემ, ცოტაც და, გაარტყამდა. ჩხუბი საერთოდ არა სჩვეოდა, მაგრამ ახლა კი გამეტებით დააცხრა თავს ჰერცოგის ასულს:

— კუდიანო! მახინჯო! აყროლებულო! ზიხარ შენს მაიმუნთან და იგონებ რაღაც საზიზღარ სისულელეებს! განა სირცხვილად ის არ მეყოფა, ეგეთი ცოლი რომ მყავხარ, ღვთისაგან დაღდასმული! ახლა სახელიც გინდა ლაფში ამომისვარო? ძაგისთანა მათხოჯი კიდევ კაცებს ეკიდები? თუმცა რა, კარგად შეწყვილდით.— დრუნჩიანი და მაიმუნი. — უცებ დადუმდა, ძუბლზე ძარღვები დაებერა და ისეთი მძვინვარე სახით დაიძრა მისკენ, რომ მარგარიტა უცებ მაგიდის მეორე მხარეს გახტა. — არ მოგცემ ნებას! — ყვიროდა იგი. — მე მოვკლავ მას! ქვეყნის დასაცინად არ გავიხდი თავს!

*

ამ დროს ფრაუენბერგი ტაუფერსის ციხე-დარბაზში იჯდა, ჩაწითლებული თვალები მოეჭუტა და ისე შესცქეროდა აგნესას.

— მე და თქვენ მოვრიგდებით, — წივანა ხმით განაცხადა მან. — თქვენ მდიდარი ბრძანდებით, არც მე ვარ ღარიბი. ნუთუ არ შეგიძლიათ ცხოვრება სასახლის კარის გარეშე? მე შემიძლია. ჩემთვის ეს მხოლოდ იმის საბაბია, რომ თქვენ შეგხვდეთ. — წითელი სქელი ხელით ქალის ქათქათა ნატიფ

ᲩᲙᲚᲐᲕᲡ ᲔᲐᲚᲔᲠᲡᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲒᲜᲔᲡᲐ ᲘᲦᲘᲛᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ. ᲫᲐᲚᲐᲪ ᲐᲥᲕᲡ, ᲜᲔᲑᲘᲡᲧᲝᲤᲐᲪ, ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲑᲐᲪ. — ᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲣᲪᲙᲣᲝᲐ, — ᲮᲠᲘᲜᲬᲘᲐᲜᲘ ᲮᲛᲘᲗ ᲩᲐᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲧᲐ ᲙᲝᲜᲠᲐᲓᲛᲐ. — ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲣᲪᲙᲣᲝ, ᲕᲘᲜᲔᲛ ᲒᲒᲝᲜᲘᲐ. — ᲘᲧᲓᲐ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲔᲡ ᲞᲘᲠᲒᲐᲤᲚᲐᲨᲣᲚᲘ, ᲡᲐᲮᲔᲦᲐᲥᲦᲐᲥᲐ, ᲞᲘᲠᲢᲘᲢᲘᲗᲕᲔᲚᲘ, ᲢᲐᲜᲩᲐᲤᲡᲙᲕᲜᲘᲚᲘ, ᲯᲛᲣᲮᲘ, ᲣᲢᲘᲤᲐᲠᲘ, ᲛᲐᲮᲘᲜᲯᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲓᲐ. — ᲐᲡᲔ ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲓ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲔ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲕᲐᲠᲗ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ. — ᲛᲘᲡᲘ ᲣᲮᲔᲨᲘ, ᲛᲝᲙᲚᲔ, ᲮᲐᲠᲑᲘ ᲗᲘᲗᲔᲑᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲛᲙᲚᲐᲕᲖᲔ ᲖᲔᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲖᲔᲕᲘᲗ ᲛᲘᲪᲝᲪᲐᲕᲓᲜᲔᲜ.

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲣᲗᲘᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲤᲘᲥᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲥᲐᲚᲡ ᲠᲐᲘᲛᲔᲡ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲑᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲢᲔᲮᲘᲚ ᲓᲐᲕᲐᲨᲘ.

ᲐᲒᲜᲔᲡᲐᲡ ᲢᲣᲩᲔᲑᲖᲔ ᲜᲐᲖᲘ ᲦᲘᲛᲘᲚᲘ ᲓᲐᲡᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲘᲢᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲔᲑᲠᲣᲔᲑᲘᲜᲐ, ᲐᲛ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲢᲙᲑᲔᲑᲝᲓᲐ. ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ, ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ, ᲨᲔᲣᲛᲩᲜᲔᲕᲚᲐᲓ ᲐᲑᲐᲛᲓᲐ ᲝᲠᲐᲕᲘᲡ ᲑᲐᲓᲔᲨᲘ ᲛᲐᲠᲙᲒᲠᲐᲤᲡ. ᲬᲣᲠᲑᲔᲚᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲬᲝᲕᲓᲐ, ᲡᲣᲚᲨᲘ ᲣᲥᲕᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲘᲞᲧᲠᲝᲑᲓᲐ.

ᲛᲐᲠᲙᲒᲠᲐᲤᲘ ᲛᲝᲛᲨᲘᲠᲜᲔ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲤᲮᲘᲖᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲤᲚᲐᲒᲒᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲠᲕᲔᲝᲓᲐ. ᲐᲒᲜᲔᲡᲐ ᲙᲘ ᲣᲑᲝᲓᲘᲨᲝᲓ ᲘᲡᲔᲗ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲦᲔᲑᲐᲖᲔᲪ ᲐᲓᲠᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲤᲘᲥᲠᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲣᲐᲠᲘ ᲓᲐᲪᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲚᲣᲓᲕᲘᲒᲡ, ᲥᲐᲚᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲓᲣᲛᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲮᲝᲕᲐᲠᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲒᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲠᲝᲜᲘᲣᲚᲘ, ᲫᲚᲘᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲛᲩᲜᲔᲕᲘ, ᲖᲘᲖᲦᲜᲐᲠᲔᲕᲘ ᲒᲐᲪᲘᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲪᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲖᲣᲠᲒᲘᲡ ᲨᲔᲥᲪᲔᲕᲐ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲐᲓ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲡᲖᲔ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘ, ᲗᲮᲝᲕᲜᲐ, ᲚᲐᲜᲓᲦᲕᲐ. ᲐᲡᲔ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲛᲝᲗᲝᲛᲯᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ ᲔᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ, ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲩᲐᲘᲗᲠᲘᲐ ᲮᲔᲚᲒᲐᲛᲚᲘᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲤᲣᲤᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲫᲘᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲗᲮᲐᲠᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲘᲛᲘᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲘᲢᲐ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲥᲛᲜᲘᲓᲐ.

ᲐᲜᲐᲖᲓᲐᲓ ᲘᲡᲔᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲔᲡᲔᲠᲔ ᲐᲠᲢᲔᲖᲔ. ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲡᲐ, ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲐᲗᲒᲐᲜᲐᲪ ᲙᲘ ᲜᲐᲮᲣᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲐᲛ ᲣᲩᲘᲜᲐᲠ, ᲗᲐᲕᲐᲖᲘᲐᲜ ᲙᲐᲪᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲢᲧᲣᲞᲔᲑᲘᲕᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲫᲛᲐ ᲐᲮᲚᲓᲐ. ᲣᲙᲐᲜ ᲛᲝᲮᲔᲓᲕᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲠᲔᲤᲐ, ᲛᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲓᲝᲔᲑᲘ, ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲑᲘ. ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲘᲢᲐᲡ ᲒᲣᲚᲪᲘᲕ ᲖᲘᲖᲦᲡ ᲘᲒᲘ ᲒᲣᲚᲜᲝᲓᲒᲘᲜᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲠᲘᲗ ᲔᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲝᲓᲐ. ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲐ ᲒᲠᲐᲤᲡ ᲰᲐᲑᲡᲑᲣᲠᲒᲗᲐ ᲕᲐᲚᲔᲑᲘ.

ახლა ლუდვიგს, თუ მოისურვებდა, შეეძლო ბავარიის ხელ-შეკრულებაზეც კი უარი ეთქვა. თუმცა ეგაა, რომ თანხა, რომელიც მან ფლორენციელს მისცა, სამჯერ მეტი იყო ავსტრიელების მოთხოვნილთან შედარებით. როგორც ჩრდილივით გამოჩნდა, ასევე ჩრდილივით უცებ სადღაც გაქრა მესერე არტეზე.

ტაუფერსის ციხეს ესტუმრა. ამ ჩია ტანის თავაზიანი კაცუნას მნახველი როგორ წარმოიდგენდა, თუ მას ოდესმე შეეძლებოდა თავშეუკავებელი მძვინვარება აგნესას წინაშე? აი ახლაც პირისპირ ისხდნენ ისინი: აგნესა და მესერე არტეზე. გულზიარად უღიმოდნენ ერთმანეთს. მართლაც რომ მშვენიერი ქვეყანაა, მდიდარი, დალოცვილი. ღვინოცაა აქ, ხილიც, პურიც. თვალს ახარებს აყვავებული, კეთილმოწყობილი, გამრჯე ქალაქები. არტეზე ვეღარ ძღებოდა წამგლეჯობით, აგნესა აქეზებდა. აქეზებდა მას და ამით ჰერცოგის გონჯ ასულს უთხრიდა ძირს. მესერე არტეზესაც ამჯერად გამდიდრებაზე მეტად ის ეწადა, რომ დაენგრია, მიწასთან გაესწორებინა მტრის მიერ ნაგები შენობა, ძირფესვიანად ჩაეფუშა დამარცხებული, მოკლული ებრაელის საქმე. აგნესა ჰერცოგის ასულს უთხრიდა სამარეს, არტეზე მკვდარ მტერს ჯიჯგნიდა.

ქვაცა მაქვს და კაკალიცო, სწორედ ისე იყო ფრაუენბერგის საქმე. პირგაფლაშულს ვარდისფრად უღაელაეებდა ტიტველი სახე. ტაუფერსის სასახლის პატარა კოხტა დარბაზში დივანზე იყო გათხლაშული. მის წინ აგნესა იჯდა. ოთახში მზემ შემოიხედა. კონრადმა თვალები მოკუტა, ზანტად გაიზმორა, დაამთქნარა, სახსრები აატკაცუნა. აგნესა დაჟინებით სთხოვდა, ელაქუცებოდა, ემუქრებოდა. ევედრებოდა — ტრიენტში გამაცილეო. იმედიც კი არ გქონდესო. ცივად უპასუხა ფრაუენბერგმა. ეგეთი სისულელეები მარკგრაფს მოსთხოვეო. აგნესამ ძლივს შესამჩნევი ზიზღნარევი გაკვირვებით შეაქცია ზურგი. ასეთი ფანდით იგი ყოველთვის იმორჩილებდა მარკგრაფს. ფრაუენბერგმა კმაყოფილებით გადაიხარხარა. მხარი იცვალა. და რადგან ქალი კვლავ იბუტებოდა, მთქნარებას მოჰყვა. გაიზმორა და მშვიდად, გემრიელად დაიძინა, ხმამაღალი ხვრინვა ამოუშვა. ერთი საათის შემდეგ გამოეღვიძა. ბინდდებოდა. აგნესა ისევ გამწყრალი იჯდა მოპირ-

დაპირე კუთხეში. ზანტად წამოდგა, ქალთან მივიდა, ტლანქად ჩაბღუჯა, გვერდით მოიწვინა დივანზე. ქალი არ გაძალიანებია.

როგორც მოეხასიათებოდა, ისე ექცეოდა აგნესას, ძალლივით ახვეწნინებდა ალერსს, ასულელებდა ათასგვარი დაპირებებით, რომლებსაც, რა თქმა უნდა, არ უსრულებდა. რა ექნა ქალს? გაეძევებინა? კონრადი მხოლოდ სიცილს დაიწყებდა. მართლაც სასაცილო იქნებოდა ეს ამბავი. სხვა ვინ ეგულებოდა ასეთი გონჯი? ასეთი უტიფარი? ასეთი ჩაბღუჯვა სხვას ვის შეეძლო? არავინ იყო მსგავსი მისი.

ქალი მისი უხეში ალერსის ნებას დაჰყვა. ალმაცერად თვალი შეავლო მის მაძღარ, ცბიერ, ხორციან, დამცინავ სახეს. რა საშინლად მახინჯია! რა ძლიერი და უხამსია! ქალს ცნობისმოყვარეობა აღეძრა: ნუთუ ამ თავდაჯერებულ, უტიფარ სახეს არაფერი შეაკრთობს და შეაშინებს?

შემპარავად, ხუმრობა-ხუმრობით შეაგულიანა მარკგრაფი მის წინააღმდეგ. ადრევე კარგად მომზადებულ, ნოყიერ სნულში ჩავარდა თესლი. თესლი გაღვივდა, ყლორტი ამოუშვა, ზრდა დაიწყო. როგორა თქვა ჰერცოგმა სტეფანმა? იოლი როდია ასეთი ცოლის ყოლა, თანაც თუ ისეთი ლანდესჰოფმაისტერი გყავს, როგორიც ფრაუენბერგიაო! კმარა. ყელთამდე სავსეა ლუდვიგი. მთელი ევროპის დასაცინი გახდა. არა! იგი ბოლოს მოუღებს ყოველივე ამას მიუნხენში, ერთი დაკვრით ჯერ ჰაბსბურგთა უსინდისობას ალაგმავს, მერე ამ არამზადა, ნაძირალა ფრაუენბერგს!

— აბა კარგად შემომხედე, მარგარიტა, — ფეხიფუხით, საგანგებო, თვალშისაცემი სიდინჯით უთხრა ფრაუენბერგმა ჰერცოგის ასულს. — კარგად შემომხედე. იქნებ მალე ეეღარც კი ეღირსო ამ სიამოვნებას.—და რადგან მარგარიტამ გაოცებული თვალები მიაპყრო, წრიპინით განაგრძო:—მე, რასაკვირველია, ლამაზი კაცი არა ვარ, მაგრამ მეორე ჩემნაირი არ მოიძევება. ვისაც მე მოვწონვარ, კარგს იზამს, თუ გულმოდგინედ დამაკვირდება, რათა დამიმახსოვროს. მალე საყურებელი აღარავინ ეყოლება. ჩემს წინააღმდეგ რაღაც მზადდება. მარკგრაფი ისე მიყურებს, თითქოს შუბზე უნდა ამაცვასო.

სამწუხაროდ. შუბი ძნელი საშოვნელი არ უნდა იყოს. მიბრძანა, რომ თან ვეახლო მიუნხენში. იქ უფრო ადვილი იქნება ამის აღსრულება. კეთილ, პატიოსან ყმაწვილს გუფიდაუნს, რომელიც დასანახავად ვერ მიტანს, და კუმერსბრუკს წამოცდათ ეს. კარგად დამაკვირდი, მარგარიტა, და როცა აღარ ვიქნები, გამოთვერი და სიზმარში მიხილავ. სულის მოსახსენიებელი ლოცვა არა მჭირდება! კარგი დედაკაცი ხარ, ჰერცოგის ასულო მაულტაშ!—გაიცინა მან და მხარზე ხელი დაჰკრა მარგარიტას. საყვარელი სიმღერის სტვენას მოჰყვა შვიდ ნეტარებაზე, თვალი ჩაუკრა ქალს და განიერი ნაბიჯებით გააპარტა.

მარგარიტას კრინტიც არ დაუძრავს. მდუმარედ იჯდა დიდი, ძძიმე მაგიდის წინ. ღია მწვანე ფერის სახიანი კაბა ეცვა ოავით ფეხამდე უმარილწასმულს. მის წინ გროვად ეწყო აქტები და სხვა ქაღალდები. ბნელ, ჩახუთულ ოთახში თითქოს ისევ ესმოდა სიმღერა, რომელსაც ფრაუენბერგი სტვენდა.

ჰო, ალბათ, მართალია იგი. ამქვეყნად მხოლოდ ის შვიდი სიამოვნება არსებობს, რომლებსაც უმღერის ლექსი.

არასოდეს უკან არ იხედა. პირველად რომ დაამარცხეს, გააცამტვერეს, უკან არ დაუხედია. მტვრისა და ნაცარტუტიდან ხელახლა ააშენა მთელი ეს ქვეყანა, ჭრელ-ჭრული, ხმაურიანი, ხალხმრავალი ქალაქები, საკუთარი ნახელავი. ახლა კი უნდათ, რომ სისხლის ნაკადი, რომლითაც ასაზრდოებდა იგი ამ ქვეყანას, სხვა კალაპოტში გადააგდონ, ბავარიისკენ ან სხვა მხარისაკენ უქციონ პირი; ყოველივე უნდა გაფლანგონ და განიავონ იმ მრუში დედაკაცის გულისათვის? მარკგრაფს არაფერი უთქვამს მისთვის, მაგრამ ხმა მაინც დაირხა და მარგარიტას ყურსაც მისწვდა ის ამბავი, რომ ლუდვიგი ჰაბსბურგებთან დადებული ხელშეკრულების გაუქმებას აპირებდა. მარგარიტას ქალაქები, მისი ტიროლი გაძვალტყავდება, გაპარტახდება, ლაფში ამოისვრება.

ამასაც არ ჯერდება მარკგრაფი, სურს წაართვას ფრაუენბერგი, მახინჯი, ეული კაცი, მისი საკუთრება. იქნებ მართლაც უხამსი ადამიანია იგი, მაგრამ მაინც ხომ მისია, მარგარიტასი. ამ ქვეყანაზე მხოლოდ ეს ერთადერთი ადამიანია მისი. და ამ ერთადერთის წართმევა მოუნდომა. კარგად ახსოვს, როგორ ყვიროდა მარკგრაფი მათი ამასწინანდელი ჩხუბის დროს: „მე

მოვკლავ მას! ქვეყნის დასაცინად არ გავიხდი თავს!“ თითქოს ახლაც ჩაესმის მძულვარებით აღსავსე ხმა. თითქოს ახლაც ხედავს მის შეშლილ თვალებს. კონრადს ალღო არ ღალატობს. მკვლელობის სუნი ტრიალებს ჰაერში. მიუნხენში თუ გაჰყვება მარკგრაფს, ცოცხალი ვეღარ დაბრუნდება.

დარბაზში მარგარიტას გადახჩუებული, ჩამომჭკნარი ფრეილინა როტენბურგი შემოვიდა. ჩაახველა. იტალიელი ვაჭარი გეახლათ პალერმოდან, თქვენ რომ დაიბარეთო, მოახსენა ჰერცოგის ასულს. მარგარიტას გულის გადაყოლების საბაბი ეძლეოდა და სიამოვნებით მოიწვია იგი. ცოცხალი წაბლისფერი თვალები ჰქონდა მოსულს, შავ-ყვითელი სახე, კარგა გვარიანად მსუქანი ეთქმოდა. ვაჭარი ხელცარიელი არ მოსულა, რაც კი საუკეთესო საქონელი ჩამოეტანა, მარგარიტას გაასინჯა. რას არ ნახავდით აქ: ჭრელ ფრინველებს, წმინდა აბრეშუმის შალებს, ქსოვილებს, ძვირფას თვლებს, იშვიათ ნელსაცხებელებს, უცხო ტკბილეულს. ვაჭარმა და მისმა ნოქარმა მარჯვედ წინ გაუშალეს საქონელი. მარგარიტა სათითაოდ არჩევდა ყველაფერს. შეკითხვებს აძლევდა, უგულისყურო ოდ ისმენდა პასუხებს, მეტისმეტი გაცხოველებით ლაპარაკობდა. აი, ეს რა არის? მქრქალი ნახევრად ძვირფასი ქვისაგან ნაკეთი პატარა დოქი, ძალიან ლამაზი ფორმისაა, თავდახურულია, თავდაბეჭდილიც კი. — ეს? ო, ჰერცოგის ასული მცოდნე ქალბატონი ბრძანდება, ქალბატონ ჰერცოგის ასულს უტყუარი გემოვნება აქვს. ეს მართლაც რომ იშვიათი ნივთია. მთლიანი ქვისგანაა ნაკეთი, საოცრად კეთილშობილი ფორმა აქვს, ლამაზად მომრგვალებული! დიდოსტატის ნახელავია, ჭეშმარიტად დიდოსტატის! მოწყალება მოიღეთ და დააკვირდით მასზე გამოკვეთილ გამოსახულებებს. აი, იმპერატორი ჰოჰენშტაუფენი, ფრიდრიხ მეორე, ეს კი ებრაელთა მეფე სოლომონია, ეს—სავოიის დედოფალი, მეოთხე მხარეს კი— სულთანი ბოაბდილი, ბერბერიის უდიდესი და უმკაცრესი მეუფე. ამ პატარა დოქში სითხეც იშვიათი ასხია. არც სუნი აქვს, არც ფერი, არც გემო. ერთი წვეთიც რომ დალიოს ვინმემ, სანთელივით ჩაქრება ერთ საათში. ძვირფასი, კეთილშობილი დოქია.

ჰერცოგის ასულმა ბევრი რამ იყიდა, თანაც თითქმის ამოურჩევლად, ამჯერად არც კი შევაჭრებია, ისე გადმოალაგებინა

შალები, ტკბილეული. განსაკუთრებით სამკაულები, ორ-ფრთაკრელი ფრინველიც იყიდა. იყიდა აგრეთვე ის პატარა დოქი.

მერე მაგიდას მიუჯდა. საჭმელი მოატანინა. ჭამდა მარტოდ-მარტო, ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი. სუფრაც უძვირ-ფასესი ჭურჭლეულით იყო გაწყობილი, იშვიათი კერძები, ოქ-როს ჯამები, თეფშები. გვერდით ოთახში მუსიკა უკრავდა. ფა-ციფუცით აქეთ-იქით დარბოდნენ მსახურები, პაჟები, მზარეუ-ლები. მარგარიტა გულიანად შეექცეოდა საჭმელს. ფრაუენ-ბერგი მართალია. მართლაც, რომ ცხოვრების ერთი შვიდთაგა-ხი სიამოვნებაა ეს. გარშემო გროვად ეწყო ნაყიდი ნივთები, ძალები, მათ შორის პატარა დოქიც. უმარილით გათეთრებუ-ლი ხელებით შეექცეოდა საჭმელს: ცხელ კერძს, თევზს, შემწ-ვარ-მოხრაკულს, უგემრიელეს უცხოურ ტკბილეულს, დღეს რომ იყიდა იმ ვაჭრისაგან. ზედიზედ ყლაპავდა ლუკმებს, ხარბად ისხამდა პირში ღვინოს. დაბინდდა, უზარმაზარი მძიმე სანთლები აანთეს. მარტოდმარტო იჯდა დაზორზოხებული, ვეებერთელა, გახევებული დედაკაცი. ჭამდა და ჭამდა.

აი, წინ უდევს ანდერძი. მარკგრაფმა პირადად მოსვლა ვერ გაბედა. შიკრიკის ხელით მოკლე, თავაზიანი წერილი გამოუგ-ზავნა, ხელი მოაწერეო, სთხოვდა.

მარგარიტამ მაშინვე ფონ შენა იხმო. და როცა მოვიდა იგი, მაშინ კი ვეღარ შეიკავა თავი, მთელი ბოღმა ამოანთხია. ჰაბს-ბურგებთან დადებული ხელშეკრულება მართლაც რომ დასარ-ღვევია. დაინგრა და განადგურდა ძვირფასი ოსტატური არხი, რომლითაც მისი ქალაქებისკენ მასაზრდოებელი წვენი მოე-დინებოდა, სიკეთე მოედინებოდა. და ყოველივე ამის შემდეგ ხელის მოწერას სთხოვენ მას? თითქოს ქვიშაზე მდგარიყოს, ისე ეცლება მიწა ფეხქვეშ. მთელი მისი ცხოვრების მიზანი დაიღუ-პა. მდინარის წყალივით გაუსხლტა ხელიდან, უაზროდ, სულ-ელურად.

მდუმარედ უსმენდა ფონ შენა. ჩამომჭკნარი სახე უცნაურ ნაოჭებს დაეღარა. მარგარიტას მწუხარება, მისი სასოწარკვე-თილება იმდენად სტკენდა გულს, რომ მგონი საკუთარ თავსაც არ უმხელდა ამას. საბრალო ქალი! საბრალო ჰერცოგის ასული

ძაულტაში! ერთი თითის დადებაზე უფრო ვიწრო პირი რომ გქონდეს, უფრო მკვრივი კუნთები — მაგ ლოყებზე, მშვიდად და ბედნიერად იცხოვრებდი, ტიროლი და რომის იმპერიაც უფრო სხვაგვარი იქნებოდა, ვიდრე ახლაა. ფონ შენა საკუთარ თავს ებრძოდა. უაზრო სანტიმენტალობაა!

ძაგრამ როცა ლაპარაკი წამოიწყო, უკვე სავსებით დამშვიდებული იყო. დაღლილი, გაბზარული ხმით განუცხადა მარგარიტას, რომ ხელის მოწერაზე უარის თქმა არაფერს არგებდა; ფორმალურად არც კი არის საჭირო მისი ხელმოწერა, მარკგრაფს მხოლოდ პრესტიჟისათვის ჭირდება ეს: თუ ხელს მოაწერს, ხელშეკრულების გაუქმებისას განზე მაინც არ დატოვებენ.

მარგარიტა დუმდა. და როცა ფონ შენამ დაინახა, როგორი დადარდიანებული იჯდა ეს ჯმუხი, ბეჭგანიერი, დაბნეული, ჩაფერფლილი არსება, ისევ მოეკუმშა გული. რითაც კი შემეძლება, დაგეხმარებიო, უთხრა მარგარიტას. იგიც ხომ ტიროლელია. მასაც დიდად აწუხებს ის ამბავი, რომ ცხოველმყოფელი, შრომისმოყვარე, გაფურჩქნილი ტიროლი ამ მძინარა, ჩლუნგ, უხეშ ბავარიელებს უნდა მიუგდონ ზვარაკად. თავს ძალა დაატანა, რადგან ძნელად გასაბედი საქმე გადაწყვიტა; რის მაქნისია გულჩვილობა. ფონ შენა ფეხზე წამოდგა და ირონიაშეპარული საზეიმო ხმით განუცხადა მარგარიტას: თუ თქვენ ინებებთ, მზადა ვარ ცოტა რამ მაინც გადავარჩინო, ამ მთაგორიანი ქვეყნის მმართველობა და ბურგრაფობა ვიკისროო. ჰერცოგის ასულმა უმარილწასმული სქელი ხელი გაუწოდა. ფონ შენამ გრძელი, ჩამომჭკნარი, დუნე ხელი შეაგება მას.

მცირე ხნის შემდეგ ფრაუენბერგი ეწვია მარგარიტას. გამოსათხოვრად მოვიდა. აბჯარაჩხრიალებული იდგა მის წინაშე, ბზინვარე ჩაფხუტიდან ვარდისფერი, ტიტველი, უტიფარი, გომბეშოსმაგვარი სახე იღიმებოდა. ერთიღა დარჩენია მას — "თაინთქას წყვდიადში, უგზოუკვლოდ გადაიკარგოს, რომ ვეღარსად იპოვოს მარკგრაფმა, რადგან სიკვდილი სულაც არ უნდა. მიუნხენისკენ გზად მიმავალი ხელსაყრელ მომენტს შეარჩევს და გაუჩინარდება. იგი მამაკაცია და აინუნშიც არ აგდებს ცხოვრების აღმა-დაღმა ტრიალს. მარგარიტა კარგი დიაცია და მისგან მეტი სიამოვნება ახსოვს, ვიდრე ზოგიერთი კოხ-

ტატუჩიანისაგან. ყოველ შემთხვევაში, მასთან ყოფნა უფრო საინტერესო იყო. მაშ ასე, ღმერთი იყოს მისი შემწე.

მარგარიტამ შეახსენა, რომ ერთხელ მან ამულეტი მისცა მავანი და მავანი ქალის ავი თვალის წინააღმდეგ. ახლა მას უნდა, რომ სამაგიერო სიკეთე მიუზღას. ქალმა მქრქალი პატარა დოქი გაუწოდა კონრადს. ისეთი სითხეა შიგ, არც სუნი აქვს, არც გემო; ვინც მას შესვამს, მაშინვე ან ჯოჯოხეთში აღმოჩნდება ან სამოთხეში. ამიტომ სანამ ფრაუენბერგი წყვდიადში გაუჩინარებას მოინდომებდეს, ჯერ ეს დოქი გაიხსენოს და დაფიქრდეს.

ფრაუენბერგმა ხელი დასტაცა პატარა დოქს, კბილები დაკრიჭა. ოი, რა ეშმაკის კერძია ეს დედაკაცი. მაშ, არც სუნი აქვს, არც გემო? ჰმ, მართლაც რომ ღირს ამაზე დაფიქრება.

მარგარიტამ საჩქაროდ დასძინა: მე არაფერი მითქვამსო. ერთმა სიცილიელმა დააჯერა თურმე ფიცით. და რახან მისი მეგობარი ამბობს, რომ ისინი ვეღარასოდეს ვერ შეხვდებიან ერთმანეთს, იგი საჩუქრად აძლევს ამ პატარა დოქს. როგორც უნდა ისე მოიქცეს. მას ხომ არაფერი უთქვამს.

აბჯარასხმულმა ზორზოხა კაცმა ხრინწიანად ამოიწრიპინა ჯავშანთა გროვიდან — დიდად მადლობელი ვარ თქვენიო. მართლაც რომ ეშმაკის კერძი დიაცია. ძლივს ასწია რკინის ხელი, მხარზე დაარტყა მარგარიტას: „ჩვენო დრუნჩიანო". მძიმე ნაბიჯით გაეშურა რკინებში ჩაჭედილი, ულრიალა, გომბეშოსავით პირდაფჩენილი. თავისი საყვარელი სიმღერის სტვენას მოჰყვა.

ქვემოდან ბუკ-ნაღარების ხმა მოისმა, გამგზავრების მაუწყებელი. მარკგრაფი არც კი დამშვიდობებია. მარგარიტას ფანჯარასთან უნდოდა მისვლა, მაგრამ ტანი ვერ დაიმორჩილა. მაგიდას მიესვენა მკვდარივით გაფითრებული, რუხი, ფერ-უმარილით შეღებილი გვამი.

სექტემბერი იდგა. მოწითალო-ოქროსფრად აფერადებულიყო მიდამო. ცხენებზე ამხედრებული მარკგრაფი და მისი ამალა ერთხანს თეთრად მოლივლივე ხიმზეეს ვრცელი ტბის ნაპირს მიჰყვებოდა. გრილი ნიავი უბერავდა. სქელი მოცისფრო-რუხი ნისლით შებურვილი მთები უკან მოიტოვეს მგზავრებმა.

ლუდვიგი შესანიშნავ გუნებაზე იყო. მუქი მსუბუქი აბჯარი ეცვა, მუზარადი მოეხადა, რომელიც მსახურს—აზნაურ ჭაბუკს მოჰქონდა, ნიავი საამოდ უგრილებდა მოკლედ შეკრეჭილ თავს. ახალგაზრდულ ჯანზე იყო. მკაცრი, მონაცრისფრო-ცისფერი თვალები უჩვეულოდ უბრწყინავდა შავგვრემან ვაჟკაცურ სახეზე. ძალიან კარგად მოიქცა, ავსტრიელების გაძევება რომ გადაწყვიტა. ახლა იგი თავისი ქვეყნის სრული ბატონ-პატრონია. ჰაბსბურგთა წითელო ლომო, შორს ვიტელსბახთა ცისფერი დროშიდან! უხაროდა, რომ ამიერიდან ყველგან თავის მოხელეებს დასვამდა და ძირფესვიანად ამოძირკვავდა ამოსაძირკვს.

დიახ, ამოძირკვავს. ფრაუენბერგის ამბავიც გადაწყვეტილი აქვს. ამ ღამითვე მოუთავებს ხელს, რაინდულად შეებმება, იარაღით ხელში. ეჭვიც არ ეპარება, რომ სასურველი ბოლო ექნება ამ შერკინებას. მაშინ კი გაიწმინდება ჰაერი, ამოისუნთქავს კაცი. მარგარიტას ალბათ აღარც კი ინახულებს; იჯდეს თავის ტიროლის ციხეში, თვითონ იგი მიუნხენში იცხოვრებს, ხანაც ინსბრუკში, ბოცენში და იქიდან მართავს ქვეყანას თავისი შეხედულებისამებრ. თუ დათანხმდა მარგარიტა, ხომ კარგი, თუ არადა — კიდევ უკეთესი. აგნესას აღარ მიეცემა საბაბი, რომ მდუმარე და კადნიერი დაცინვით ზურგი შეაქციოს, რაც ასე ახელებს მას. მარკგრაფს ამხნევებდა იმის შეგნება, რომ თავი დააღწია სულელურ მერყეობას, ახლა მან კარგად იცოდა, რაც ეწადა. ასე ჭაბუკურ, ხალისიან გუნებაზე დიდი ხანია აღარ ყოფილა. ეხუმრებოდა ბერხტოლდ ფონ გუფიდაუნს, თავის ერთგულ კუმერსბრუკს. თვით ფრაუენბერგსაც კი გულციცი არ ხეინობით უყურებდა. აი მობრძანდება იგი, უნაგირზე უშნოდ მოთხლაშული, ზორზოხა ტანის, ვარდისფრად სახეალაჟღაჟებული, ბრწყინვალე ბეჭთარში ჩაჭედილი, რაღაცას დუდღუნებს, ეშმაკურად და გულარხეინად მოუჭუტავს ჩაწითლებული თვალები და ისე უმზერის მზით გაჩახჩახებულ, გალაღებულ ქვეყანას, არადა, იგი თითქმის უკვე მკვდარია. მარკგრაფმა თავისთან იხმო, გვერდით ამოიყენა და ისე განაგრძო გზა. ფრაუენბერგი უწმაწურ ანეკდოტებს, უტიფარ ქარაგმებს არ ერიდებოდა. ლუდვიგი ხარხარებდა, კილო აუბა, ენამწარედ კენწლაობდნენ, სალდათურად, უხეშად ერთობოდნენ.

მზე შუბის წვერზე არ დამდგარიყო, რომ ნაადრევად შეუდ-

ვნენ პურის ჭამას. ღია ცის ქვეშ შეექცეოდნენ საკმელს, ბევრს სვამდნენ, მცირე ხნით დასასვენებლად წამოწვენ. მერე ისევ დალიეს, ცხენებზე შესხდნენ. ლუდვიგმა ახლა კი დაიხურა ჩაფხუტი, მიუნხენამდე ასე უნდოდა ეკლო. ფრაუენბერგი შორიახლო მოსდევდა, მარკგრაფი კი ცდილობდა გვერდით ჰყოლოდა იგი. გზა განაგრძეს. მხედრები დაბლობს მიჰყვებოდნენ, უკან ვოიტოვეს ნისლით შებურვილი მთები. ვრცელი და ულიმლამო, ლამის უკაცრიელი იყო ველი, მზის შუქზე იშვიათად თუ გამოჩნდებოდა სადმე რაინდის მიყრუებული, უბადრუკი სახლის სახურავი, პატარა დაბა-სოფელი. დეზი ჰკრეს ცხენებს. საღამოხანს მიუნხენში იქნებიან.

მარკგრაფისა და ფრაუენბერგის მასლაათი თანდათან მინელდა. ბოლოს სულაც დადუმდნენ ისინი. ლუდვიგი საშინელ დაღლილობას გრძნობდა, სუნთქვა უჭირდა, მსუბუქი აბჯარიც კი ემძიმებოდა და სულს უხუთავდა. იქნებ მეტი მოუვიდა სმა? გზის ბარჯვნივ სოფელი გამოჩნდა, რატომღაც უცნაურად დამრგვალებულიყვნენ სახლები, გამოხუნებული, ჭუჭყიანი ფერი ედოთ, თუმცა მზე უხვად ანათებდა, თანაც თითქოს ერთმანეთზე იყვნენ დახროვილნი.

ვიღაცამ ჩაილაპარაკა: „ამ სოფელს ცორნედინგი ჰქვია“.— ვინ თქვა ეს? გუფიდაუნმა თუ კუმერსბრუკმა?

უცებ მარკგრაფმა ჯერ მუზარადზე იტაცა ხელი, მერე ჯავშანზე, გვერდულად გადმოეშვა ცხენიდან, გახსნილი მუზარადი გადაძვრა თავიდან. კუმერსბრუკი და მხლებელი ჭაბუკი მაშინვე იქ გაჩნდნენ, ხელი შეაშველეს მარკგრაფს. მუზარადი მტვერში გაგორდა. ლუდვიგს სუდარის ფერი დაედო სახეზე, ყბა ჩამოუვარდა. მკვდარი მარკგრაფის სქელი კისერი შიშისმომგვრელი კი აღარ იყო ახლა, უბრალოდ რაღაც ბლაგვსა და სქელსა ჰგავდა. დაზელვა დაუწყეს, თან ბუტბუტით ლოცულობდნენ. ახლო მყოფთა ჩოჩქოლში უცებ ფრაუენბერგის არხეინი, უტიფარი ხმა გაისმა.

— საოცარი ამბავია. გაშლილ მინდორში, მიუნხენის ახლოს, სწორედ ისე დაემართა, როგორც მამამისს.

ბერხტოლდ ფონ გუფიდაუნმა მუქარის თვალი შეავლო. ფრაუენბერგმა თვალები მოუტა, პირქუშ მზერას გაუძლო, წაისისინა:

— რამე ხომ არ გნებავთ? — გუფიდაუნი აუჩქარებლად მიტრიალდა, პასუხი არ გასცა.

ცხედარი დაასვენეს წმინდა მარგარიტას სამლოცველოში, ძიუნხენის სასახლის მახლობლად. ურიცხვი სანთელი ენთო. ულრიხ ფონ აბენსბერგი, ჰიპოლტ ფონ შტეინი და ხუთი სხვა ბარონი საპატიო ყარაულში იდგნენ. მათ შორის ფრაუენბერგიც იყო. მაგრამ მალე მთქნარება დააწყებინა და იქაურობას განერიდა. საწოლზე გაიშოტა, სტვენას მოჰყვა, სახსრები აატკაცუნა, ტუჩები ააწკლაპუნა, მშვიდად ამოუშვა ხვრინვა.

წიგნი მეხუთე

ლანდსჰუტში, თავის რეზიდენციაში იმყოფებოდა ჰერცოგი სტეფანი. მან ეს-ესაა გასცა განკარგულება, თუ ვინ უნდა ხლებოდა მიუნხენში. იგი თავისი უფროსი ძმის, მარკგრაფის მისასალმებლად მიეშურებოდა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა გაეძევებინა ჰაბსბურგები ქვეყნიდან. ჰერცოგი სტეფანი დიდად ამაყობდა, რომ არსებითად სწორედ მან უბიძგა ძმას ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად. ჰერცოგმა მედიდურად ასწია თავი; მოკლე, სქელი, წაბლისფერი ულვაშები უმშვენებდა სახეს. ალბათ მისმა ენერგიულმა სიტყვამ იმოქმედა ასე ძლიერად ლუდვიგზე. მიუნხენში რომ ჩავა, მიიხედ-მოიხედავს და ეგებ ვიტელსბახთა შორის მტკიცე კავშირის შექმნაზეც იფიქროს. ხოლო თუ იგი და ლუდვიგი მტკიცედ გადაწყვეტენ, — ჯანდაბას ყველაფერი, — რატომაც არ უნდა დაამყარონ მათ მშვიდობა ვიტელსბახთა შორის, რატომაც არ უნდა ძედულაბდნენ ისინი, ვითარცა ჰაბსბურგები? განა ჰაბსბურგები კი არ კინკლაობენ მამლებივით თავიანთ საქმეებზე, როცა უცხო თვალი არ უყურებთ? მაგრამ სხვათა წინაშე მხარდამხარ დგანან და ისე ლაპარაკობენ ერთმანეთთან, სულ თაფლი ამოსდით პირიდან. კარგია, რომ ლუდვიგმა ბოლოს და ბოლოს გაბედა გადაწყვეტილების მიღება. სტეფანი კი მანამდე არ მოისვენებს, სანამ ვიტელსბახთა დაქუცმაცებული გვარეულობა კვლავ არ გაერთიანდება.

აბჯარ-აბგარი მოართვეს. სამგზავროდ აწყობდნენ სტეფანს. მაგრამ ამ დროს მიუნხენიდან შიკრიკი მოვიდა, მარკგრაფის სიკვდილის ამბავი მოიტანა. ჰერცოგი სტეფანი ერთ ადგილას გახევდა, პირი დააღო, თითები უცნაურად გაფშიკა. მერე ერთბაშად დაიღრიალა, თავისი ხალხი იხმო, ნახევრად აღკაზმული ოთახში სირბილს მოჰყვა, მბრძანებლურად იქნევდა ხე-

ლებს, წამდაუწუმ ეცვლებოდა გამომეტყველება, ხან მრისხანედ იღუშებოდა, ხან გადაეტკიცებოდა სახე, მოკლე სქელი ულვაშები ზედა ტუჩთან ერთად უტოკავდა.

ათასგვარი შესაძლებლობანი აუკრიფდა თვალწინ. მაინჰარდი ჯერაც უმწიფარი ბავშვია, ავადმყოფური, გულუბრყვილო, გონებასუსტი, აშავე დროს მისი ვაჟის, ფრიდრიხის უერთგულესია.

მაშ ასე, ვიტელსბახების ბედი ახლა სტეფანის ხელთაა. უნდა გააერთიანოს ორივე ბავარია, შეარიგოს ბუნტისთავი ძმები — ჰოლანდიელი, ბრანდენბურგელი, პფელცერის მთავრები. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მიხვდნენ ისინი, ხომ უნდა მოთვინიერდნენ. რას წარმოადგენს თითოეული მათგანი — ლუდვიგი, ალბრეხტი, ვილჰელმი, რუპრეხტი? ცალ-ცალკე ისინი არარაობანი არიან. მაგრამ ვიტელსბახთა გვარეულობა დიდი ძალაა. სტეფანისგან წარმოდინდება კეთილი ძალა; მისი რწმენა, მისი პატიოსანი, ღვთისმოსავი, უანგარო ნებისყოფა დაეჰკურება მათ, ისინი დაჰყვებიან მის ნებას.

მძიმედ დაეშვა სკამზე, სახიდან გადაერეცხა ნაძალადევი სალდათური ყოყლოჩინობა, მხრები ჩამოუვარდა. არაფერი არ გამოვა! მწველი, ფუჭი ოცნებაა. ამას ვერ შეძლებს. მართალია, ხელსაყრელი შემთხვევა ეძლევა, მაგრამ ასეთ ტვირთს ვერ ასწევს. მამამისი, იმპერატორი, მასზე ბევრად ძლიერი იყო, მაგრამ გამჭრიახობა არ ეყო და დაუმთავრებელი დარჩა თავისი საქმე. სტეფანი ბევრად უფრო სუსტია და როგორღა უნდა ძეაკოწიწოს დაქუცმაცებული, დაჩეხილ-დანაწევრებული?

მისი ძმა გზაში მოკვდა. ცუდი ნიშანია. ლუდვიგი არასოდეს ჰყვარებია მას მაინცადამაინც, ერთხელაც არ უსაუბრიათ გულახდილად. ექვსი ძმანი იყვნენ და არასოდეს ცდილან ერთმანეთთან დაახლოებას. უნდობლად უსაფრდებოდნენ ერთურთს, აქაოდა, მეორემ მეტი არ წაგლიჯოს მამისეულ მემკვიდრეობასო. მაგრამ ლუდვიგი წესიერი კაცი იყო, იოლი ცხოვრება არ შეხვდა: დრუნჩიანი შეირთო ცოლად, მძიმე მსხვერპლი შესწირა დინასტიას. და აი ახლა მოკვდა იგი, გაფურჩქვნის ხანაში აღსრულდა. ვიტელსბახების შარავანდედს ბრწყინვალება დააკლდა, თანდათან ქრება იგი.

სტეფანს გაახსენდა, პაპმა ბული რომ წაიკითხა ეკლესიიდან

მამამისის განკეთაზე: „წყევლამან ამან უწიოთ შვილთა მისთა: განაძევონ სახლთაგან თვისთა ისინი და ჩავარდნენ მტრისა ხელში და დაიღუპონ“. იგი მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი იყო და ვერ გაიგო ამ საზეიმოდ თქმული მრისხანე, პათეტიკური სიტყვების აზრი, მაგრამ ეგ კია, რატომღაც ჟრუანტელმა დაუარა ტანში, სამუდამოდ დაამახსოვრდა. მას შემდეგ ბედი აღარ წყალობდათ ვიტელსბახებს. მათი სამფლობელოები დაიშალა. ძმები ერთმანეთს აეშალნენ. ჩრდილო-დასავლეთით ფლანდრიის პროვინციებს დედა-ბატონი მართავდა ძმებს შორის ყველაზე ნიჭიერ ვილჰელმთან ერთად. მაგრამ დედა-შვილს შორის შუღლი ჩამოვარდა. ვილჰელმმა დედამისის ჯარები სისხლიან საზღვაო ბრძოლაში გაანადგურა, მაასის შესართავთან. დედამ თავის სიძესთან, ინგლისის მეფესთან შეაფარა თავი. ამპარტავანი ქალი იყო, მუდამ ნაღვლიანი, შვილებთან საერთო ენას ვერ ნახულობდა. მის წინ ვაჟები მუდამ უხერხულად გრძნობდნენ თავს. დედა ცოცხალი აღარაა, სიამაყით, ზრუნვითა და მწუხარებით დაღლილი მოკვდა. ხოლო ძმათა შორის ყველაზე ნიჭიერი და მოსიყვარულე ვილჰელმი ჭკუიდან გადაცდა, დედასთან მტრობამ გადარია, უცხო ქვეყანამ დაასნეულა. არა, ბედი არ წყალობთ ვიტელსბახებს. აღსრულდა მათზე წყევლა, თუ სიტყვასიტყვით არა, აზრით ხომ მაინც აღსრულდა. სტეფანი ერთ წერტილს მიაშტერდა. ძმის სიკვდილი საშუალებას აძლევდა, ავალდებულებდა, რომ ტიროლს დაპატრონებოდა, ხელიდან არ გაეშვა სამხრეთის მიწები. ხელებზე დაიხედა. მძიმე, დუნე, უსასოო მოეჩვენა ისინი. განა ასეთ ხელებს რამე შეუძლია?..

სისულელეა. ალბათ საუზმეზე ბევრი დალია სურნელოვანი ღვინო. ეგაა და ეგ. ღვინომ დაუმძიმა სისხლი, აზრი დაუბინდა. განა ცუდი ბომბავალი ესახება წინ? მაინჰარდი სუსტი უმაწვილია, ადვილად მოითოკება. ეშმაკმა დალახვროს, მას მაინც იოლად დაიმორჩილებს სტეფანი. წელში გაიმართა, მოკუმულ ტუჩებს მოკლე, სქელი, წაბლისფერი აბზეკილი ულვაშები ვერ უმალავდა. დიახ, სტეფანი შეადუღაბებს ვიტელსბახებს და განადიდებს მათ.

აბჯარი მომართვითო, ბრძანა. ახლა მით უფრო უნდა წავიდეს მიუნხენში. კვლავ დაიღრიალა სალდათურად. ვაჟიშვილი ფრიდრიხი იხმო.

უფლისწულმა ფრიდრიხმა უკვე იცოდა მარკგრაფის სიკვდილის ამბავი. ათასგვარი გეგმა დაისახა, ენერგია მოუზღვავდა. მაინჰარდი ჭაბუკური აღტაცებით ეთაყვანებოდა მას. სწორედ მაინჰარდის მეოხებით ფრიდრიხი ახლა მამაზე უფრო ძლევამოსილია. აშოლტილი, ტანკენარი ყმაწვილი კაცი იყო ფრიდრიხი, ფართო, კუთხოვან, ჯიუტ შუბლზე მუქი თმა ჩამოზრდოდა. პატარაობიდანვე ზიზღით იყო გამსჭვალული ირგვლივ მყოფთა მიმართ. იმპერატორის ერთადერთ ღირსეულ შვილიშვილად მიაჩნდა თავი. ბრაზით კბილებს აკრაჭუნებდა, როცა ხედავდა, თუ როგორ ქუცმაცდებოდა ვიტელსბახების ავლადიდება. ქედმაღლურად ეწინააღმდეგებოდა მამის სიტყვასაც და საქმესაც, რადგან ხედავდა, რომ არც მკლავის ძალა ჰყოფნიდა და არც სიმარჯვე ისეთი ჯიშიანი, ნერვიული და ჭირვეული ბედაურის ასალაგმავად, როგორიც ვიტელსბახთა საგვარეულო იყო. უფლისწულ ფრიდრიხს კი დიახაც რომ ეყოფა ძალაცა და ალღოც. იგი მოათვინიერებს ამ ბედაურს.

შუღლითა და იდუმალი ზიზღით აღსავსე ტანკენარი, ამაყი ფრიდრიხი მამის წინ წარსდგა. ჰერცოგი სტეფანი ფრიდრიხს უფრო იღბლიანად და ნიჭიერად თვლიდა, ვიდრე საკუთარ თავს, თავის სრულყოფად მიაჩნდა იგი, მისი სიფიცხე და ამპარტავნობაც კი მოსწონდა. მაგრამ თავს ვერ იკავებდა, როცა ვაჟი მეტისმეტად უტიფრად აუმხედრდებოდა ხოლმე; უფრო და უფრო გაუხშირდათ ცხარე შეხლა-შემოხლა.

სტეფანმა სალდათურად, მოკლედ განუცხადა შვილს, მარკგრაფი მოულოდნელად გარდაიცვალა. მის დასაფლავებაზე მივდივარ მიუნხენში და კვირაზე ცოტა მეტ ხანს დავყოფ იქო. ფრიდრიხი კი ჯერჯერობით ლანდსჰუტში დარჩება, საქმეებს ჩაუდგება სათავეში და სახელმწიფო ბეჭდის მცველი იქნება, ხოლო თუ რაიმე ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრება, მაშინვე მალემსრბოლს გაუგზავნის მიუნხენში. ფრიდრიხი ჩაფიქრდა. აქამდე არასოდეს მიუღია მას მამისგან ასეთი რწმუნებანი: ნეტავ რა იმალება ყოველივე ამის უკან? ეჭვიანი მზერა მიაპყრო მამას. აჰა! ჰერცოგი მარტო მიდის მიუნხენში, მას აშინებს ფრიდრიხის გავლენა მაინჰარდზე, ამიტომ უნდა მისი აქ დატოვება.

ფრიდრიხმა თავი მაღლა ასწია, ცოცხალი თაფლისფერი

თვალები შეანათა მამას, უტიფრად განუცხადა, გულშიაც ვერ გავივლებ ჩემი მეგობრის მიტოვებას ასეთი მწუხარების ჟამს და ამიტომ, ცხადია, მეც წამოვალ მიუნხენშიო. ოთახში ამ დროს ორი თუ სამი დიდგვაროვანი ფეოდალი და ერთი ყმაწვილი აზნაური იყო. სტეფანი წამოენთო და ხრინწიანი ხმით იკითხა, ხომ არ შეიშალა ჩემი შვილიო. განცვიფრებული ელოდა ყველა, თუ რა მოხდებოდა. მშვილდივით მოზიდულმა ფრიდრიხმა უპასუხა: რასაკვირველია, ჭკუაზე ვარ. ყოველი წესიერი რაინდი და თავადი გაიზიარებს ჩემს აზრს და დამეთანხმებაო. აბჯარასხმული ჰერცოგი მუქარით მიუახლოვდა შვილს. ჭაბუკი ერთხანს ადგილიდან არ დაძრულა, მერე უცებ შეტრიალდა და ოთახიდან გავარდა. ცხენს მოახტა — ვერავინ გაბედა მისი შეჩერება — და სამხრეთისაკენ, მიუნხენისაკენ გაქუსლა.

ჰერცოგს გაეცინა, ჯერ წყენით, შემდეგ სიამრენებით. ოთახში მყოფთ გაეხარდათ, ამგვარად რომ შეტრიალდა საქმე, და ისინიც სიცილს მოჰყვნენ.

„დახეთ, რა ჭინკა ბიჭია ფრიდრიხი!"—წარმოთქვა ჰერცოგმა. „ნამდვილი ჭინკაა ჩვენი ბრწყინვალე უფლისწული!" — კვერი დაუკრეს სხვებმაც.

მაგრამ სტეფანი თანდათან მოიღუშა. საკუთარი შვილი არ ემორჩილება. როგორღა შეძლებს იგი ვიტელსბახთა ფიცხი გვარეულობის მოთოკვას?

ცხენზე შეჯდა. დიდი ამალის თანხლებით მძიმედ გაქუსლა იმავე გზით, რომელსაც ფრიდრიხი გაჰყვა.

ახალგაზრდა მაინჰარდს მამის სიკვდილი ობერ-ეგერმაისტერმა ფონ კუმერსბრუკმა შეატყობინა. ფრთხილად, შორიდან მოუარა სათქმელს. ფუჭად ჩაუარა მოწადინებამ: თვრამეტი წლის ყმაწვილი ვერა და ვერ მიუხვდა. ასე რომ ფონ კუმერსბრუკი იძულებული გახდა მიუკიბ-მოუკიბავად ეთქვა, მარკგრაფი გარდაიცვალაო.

მაინჰარდმა ფართოდ გახელილი თვალები დაბნეულად მიაპყრო კუმერსბრუკს. ამ ამბავმა, როგორც ჩანს, ნელ-ნელა შეაღწია მის კეთილ გოგორა თავში, ოფლმაც კი დაასხა. ძალა არ შესწევდა წარმოედგინა, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას და რა ვალდებულება ეკისრებოდა თვით მას. ახლა

იგი ჰერცოგი გახდა. ალბათ ძალიან დამღლელია ეს, ბევრი სიძნელე შეხვდება, დიდი შრომა მოუწევს. გაცილებით ერჩია სოფლის პატარა ბარონი ყოფილიყო. ალბათ ქვეყანას და საერთოდ ყველას ძალიან ეწყინება მამამისის სიკვდილი. იგი ხომ საქმიანი და ენერგიული კაცი იყო. დედამისი მარგარიტა კი, როგორც ეს თავისმა მეგობარმა ფრიდრიხმა აუხსნა, თავაშვებული, საზიზღარი ქალია. ღმერთო დიდებულო! სიმართლე რომ ითქვას, არც მამას ეცალა ოდესმე მისთვის და არც დედას. მამის სიკვდილი გულზე არც კი გაკარებია, მხოლოდ ეგაა, რომ რაღაც ტვირთი დააწვა მხრებზე, ძალ-ღონის დაძაბვა, ფიქრი მოითხოვა მისგან.

ჯიბიდან პატარა მღრღნელი ამოიყვანა, რომელიც მუდამ თან დაჰყავდა. ეს ცრძელკუდა ზაზუნა გულმოდგინედ გაეწვრთნა და, როცა სახელს — პეტერს დაუძახებდა, ცხოველი ხვდებოდა, მას რომ უხმობდნენ. პატრონის დასტვენაზე მაშინვე მასთან გამორბოდა, მასთან ერთად ჭამდა, ეძინა. ჭაბუკმა მაინჰარდმა გულდაწყვეტით, მშმუნვარედ შეხედა ზაზუნას, ხელი გადაუსვა.

გვიან გაუარა ამ უაზრო დაბნეულობამ და შეცბუნებამ, ისიც მხოლოდ მას უკან, როცა მიხვდა, რომ ახლა უწინდელზე მეტად ელოლიავებოდნენ. კარისკაცებს — გენერლიდან და მაღალი ჩინის მოხელეებიდან უკანასკნელ ლაქიამდე — ახლა განსაკუთრებული ერთგულება, მზრუნველობა, პირმოთნეობა ეხატათ სახეზე. თანდათან მიხვდა ყოველივე ამის აზრსა და მნიშვნელობას. მოეწონა კიდეც და ახლა ამ გრძნობებით თამაში, მათი გაღვივებაც კი მოუნდა. ერთმანეთის საწინააღმდეგო, უაზრო ბრძანებებს იძლეოდა და მერე სიამოვნებით უყურებდა, თუ როგორი გულმოდგინებით სრულდებოდა მისი სიტყვები. ხან აქეთ აგზავნიდა ხალხს, ხან იქით, ტკბებოდა იმით, რომ თვინიერი, ბრმა მორჩილების გამომეტყველება არ სცილდებოდა მათ სახეებს.

მის აღზევებას, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთი ადამიანი არ აგდებდა არაფრად. ეს გახლდათ ფრაუენბერგი. ამ ზორზოხა კაცის შეხედვაზე ყოველთვის უსიამოვნო გრძნობა ეუფლებოდა, მისი გაზიპული ტიტველი სახე, გომბეშოსავით ყურებამდე გახეული პირი, უფერული თმა, ჩაწითლებული თვალები

თითქოს რაღაც იდუმალ მუქარას გამოხატავდნენ. ჭაბუკს ამ ალბინოსის მხიარული კილოც კი აშინებდა. აი, ახლაც ფრაუენბერგი მასთან მივიდა, მოწყალედ გაუღიმა, ხრინწიანი ხმით მამობრივად ჩაულაპარაკა:

— რაო, ახალგაზრდა ჰერცოგო? იქნებ გეძნელება, ჰა? თავგზა არ უნდა დაგებნეს! როგორმე მოვუვლით საქმეს. — ამაზრზენი ხორციანი ხელი ჩასჭიდა ჭაბუკის უცოდველ ფაფუკ ხელს. თვალი ჩაუკრა, მაგრამ არა მორიდებით, არა მორჩილად, არამედ მხიარული, დამცინავი ქედმაღლობით, მერე შეტრიალდა და თავისი საყვარელი სიმღერის სტვენით წავიდა.

მაგრამ აი ცხენი მოაგელვა ფრიდრიხმა, მთლად ოფლში გაღვათქულმა, აღელვებულმა, აღტაცებულმა. მაშინვე ახალგაზრდა ჰერცოგის ოთახში შეავიდა. ბიძაშვილები ერთმანეთს გადაეხვივნენ. მაინჰარდმა მეგობრის გვერდით შვება იგრძნო. ფრიდრიხმა მამასთან წაკინკლავების ამბავი მოუთხრო, მაინჰარდი აღფრთოვანდა. ახალგაზრდული ენერგიითა და პატივმოყვარეობით აღსავსე ტანკენარმა, შავგვრემანმა უფლისწულმა თავი აიშვა და ქერათმიანი, ჩასუქებული, თვინიერი ძაიხჰარდიც აიყოლია. ძაინჰარდი კი გულუბრყვილო, მრგვალი ცისფერი თვალებით აღტაცებით მისჩერებოდა მას და თავს ბედნიერად გრძნობდა, ასეთი შესანიშნავი მეგობარი რომ ჰყავდა. გულახდილად უამბო, რა ამპარტავნულად და უსიამოვნოდ მოექცა ფრაუენბერგი. ფრიდრიხი აღშფოთდა, ფეხები დაბაკუნა. არ შეეარჩენ ამასო, განაცხადა. ფრაუენბერგი იხმო. თავი არც შეუბრუნებია მისკენ, ისე მიუგდო ქედმაღლურად — მიუნხენში ჰერცოგს მისი სამსახური არ ესაჭიროება და წინადადებას აძლევს გზაში შეეგებოს და გამოაცილოს დაქვრივებული ჰერცოგის ასული, რომელიც, უეჭველია, უკვე გამოემგზავრა ბავარიისაკენ. ფრაუენბერგმა მშვიდად, უტიფრად, გულუბრყვილო ირონიული ღიმილით შეხედა ყმაწვილკაცებს და მიუგო, რომ სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას მუდამ მისი მწყალობელი მარკგრაფის დაკრძალვის სამზადისში, მაგრამ ისიც დიდ პატივად მიაჩნია, არანაკლებ მწყალობელი ჰერცოგის ასულის გაცილება რომ დაავალეს. დარწმუნებული ვარ, დასძინა ფრაუენბერგმა მამობრივი მზრუნველობით, ახალგაზრდა ბატონები უჩემოდაც მოაგვარებენ საქმეს აქ. მიუნხენ-

ში. თვალები მოჭუტა, ჯერ ერთს შეხედა, მერე მეორეს და ოთახიდან გავიდა.

ფრიდრიხი საკმაოდ მკაფიო პოლიტიკური პროგრამით ჩაძოვიდა და ცდილობდა, სანამ სხვები — მამამისი, ჰერცოგის ასული, ჰაბსბურგი — ჩაერეოდნენ საქმეში, მანამდე შთაეგონებინა თავისი მოსაზრებები ბიძაშვილისათვის. მას სულაც არ მოსწონდა მმართველობის ადრინდელი, ვიტელსბახური მეთოდი, როდესაც ბიურგერებს თავადაზნაურობასთან დასაპირისპირებლად აწინაურებდნენ და ქალაქებს ციხეების ხარჯზე უწყობდნენ ხელს. ეს გაუბედავი, ფრთხილი, უფრო ვაჭრებისა და წვრილი მედუქნეების შესაფერი პოლიტიკა, რომელიც არარაინდს სრულფასოვან ადამიანად თვლიდა, ზიზღს ჰგვრიდა ფრიდრიხს. მას უცილობელ ჭეშმარიტებად მიაჩნდა, რომ ქვეყნის ბურჯი იყო ქრისტიანული რაინდობა და მეფე, რომელთაც მხოლოდ ერთი შეზღუდვა სწამდათ — მათ მიერვე შექმნილი რაინდული კანონები. მაგრამ ახლანდელ მეფეებს სიამაყე აღარ გააჩნიათ, ყოველ ნაბიჯზე დათმობაზე მიდიან, კომპრომისზე თანხმდებიან, თავიანთ ძალაუფლებას არათუ განადიდებენ, პირიქით, აკნინებენ კიდეც. საჭიროა თავადაზნაურობის განმტკიცება, ხოლო ყველა ქვემდგომს ქედი უნდა მოახრევინონ და სამეფო ტახტის საფეხურებად აქციონ. რას მიქვია ფული, ვაჭრობა, ქალაქები? მტვერი უნდა გადაეცალოს რაინდობის ძველებურ ნათელ კანონებს, მათ უნდა ეყრდნობოდეს ქვეყანა და სახელმწიფო.

გულუბრყვილო მაინჰარდი გაფაციცებით ისმენდა მეგობრის სიტყვებს. ფრიდრიხი ბოლოს პრაქტიკულ საქმეებს შეეხო. მაინჰარდმა ეს იდეები უნდა განახორციელოს თავის ქვეყნებში. ბავარიაში ჯერ კიდევ არიან ძველებური წრთობის ბარონები, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე აბუჩად იგდებდნენ ბილწ ბიურგერებს. დაე მაინჰარდმა ძველებურ რაინდულ გაერთიანებათა მკაცრი წესდების საფუძველზე ამ ბარონებისა და არისტოკრატებისაგან შეადგინოს ნადირობისა და ტურნირების მოყვარულთა საზოგადოება, მსგავსად მრგვალი მაგიდის რაინდთა და მაღალკეთილშობილთა სხვა კლუბებისა. მაგრამ ამ კავშირის ძიზახი ჯანა ძხოლოდ სპორტული გართობები იქნება. მთელი ერის განახლების საფუძვლად უნდა იქცეს იგი.

უპირველეს ყოვლისა მან ხელთ უნდა აიღოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა და ეს უფლებები ჩამოართვას მინისტრთა კაბინეტს, რომელიც გამოფიტულ ღვთისმეტყველთა და მოხელეთაგანაა შედგენილი.

მაინჰარდი სულითა და გულით დათანხმდა. მმართველობის ტვირთი ძალიან აშინებდა მას. ახლა იგი განთავისუფლდა ამისაგან და თავს ბედნიერად თვლის, რომ ყოველივე ასე კარგად წარიმართა, რომ სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტისას გვერდით ეყოლება სპორტის მოყვარულნი და რაინდები გენიალური მეგობრის ფრიდრიხის მეთაურობით.

დასხდნენ და ერთად შეადგინეს იმ ბარონების სია, რომლებიც კავშირში უნდა მიეღოთ. პირველ რიგში ულრიხ ფონ აბენსბერგი, ულრიხ ფონ ლაბერი, ჰიპოლტ ფონ შტაინი ჩაწერეს; შემდეგ—ჰოჰენრაინი, ფრაიბერგი, პინცენაუ, აგრეთვე ტრაუტზამ ფონ ფრაუენჰოფენი, ჰანს ფონ გუმპენბერგი, ოტო ფონ ძაქსლრაინი. ზოგიერთი პიროვნება საეჭვოდ მიიჩნიეს, საჭირო იყო ხანგრძლივი და გულმოდგინე განსჯა. ახალგაზრდა ჰერცოგმა ჯიბიდან ამოიყვანა თავისი ზანზუნა. თავროკა ცხოველი მაგიდაზე იჯდა, კუდს აქიცინებდა, ყურადღებით ადევნებდა თვალს სიების შემდგენელთ. ეაბუკები ისეთი გატაცებით მუშაობდნენ, რომ ტვინი უხურდათ.

როდესაც საღამოს ჰერცოგი სტეფანი ჩამოვიდა მიუნხენში, ბავარიის მთავრობა თითქმის უკვე შედგენილი იყო. ფრიდრიხი თავგამოდებით არწმუნებდა ბიძაშვილს, რაც შეიძლება ფრთხილად იყავი ჰერცოგ სტეფანთანო. ამიტომ ბიძასთან საუბრისას მაინჰარდი ჯიუტობდა, გულს არ უხსნიდა. ჰერცოგს უნდოდა მაინჰარდი საზღვრებისა და გადასახადების საქმეში რამდენიმე პრინციპულ საკითხზე დაეყაბულებინა. მაინჰარდი პასუხს აერიდა და ფრიდრიხის რჩევით განუცხადა, სანამ მამას არ დავასაფლავებ, ამაზე ნუ ვილაპარაკებთო. ჰერცოგი სტეფანი კარგად მიხვდა, რომ ამ ჯიუტი პასუხის უკან ფრიდრიხი იყო ამოფარებული. ბრაზობდა, უხაროდა.

მერე ის იყო, მარგარიტაც ჩამოვიდა და იმავე დღეს საზეიმოდ ჩამობრძანდა ჰერცოგი რუდოლფ ავსტრიელიც. მარკგრაფი დიდის პატივით დაკრძალეს. ხოლო აგნესა ფონ ფლავონი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ყველაზე მეტად შავი ფერი

შვენოდა. დამსწრენი დროდადრო თავს ანებებედნენ კატაფალკის, დაქვრივებული ჰერცოგის ასულის, რაინის პფალცგრაფების, ავსტრიისა და ზემო და ქვემო ბავარიის ჰერცოგების ყურებას და აგნესას მისჩერებოდნენ.

ახალგაზრდა ჰერცოგ მაინჰარდს მიესივნენ მარგარიტა ტიროლელი, ჰერცოგი სტეფან ქვემობავარიელი, ჰერცოგი რუდოლფ ავსტრიელი, ყველანი მოითხოვდნენ ბრძანებულებებს, ხელშეკრულებებს, ხელის მოწერას. მაგრამ კეთილი, დამყოლი ჰაბუკი ფრიდრიხის გავლენით მტკიცედ უძალიანდებოდა მათ. მარკგრაფის დაკრძალვიდან მესამე დღეს ჩამოყალიბდა არტურის წრე — ბავარიელ რაინდთა კავშირი. მას სათავეში ჩაუდგნენ მაინჰარდი და ფრიდრიხი, ფონ აბენსბერგი, ფონ ლაბერი, ფონ შტაინი. წევრებად მიიღეს ორმოცდათორმეტი ზემო და ქვემობავარიელი ბარონი. დედასაც და ჰერცოგებსაც, რომლებმაც გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება მოსთხოვეს, მაინჰარდმა განუცხადა, რომ შებოჭილია რაინდული ფიცით და ვერც ვერაფერს იტყვის და ვერც ვერაფერს გააკეთებს თავისი მეგობრებისა და არტურის წრის რწმუნებულთა უკითხავად. განცვიფრებით შესცქეროდნენ მაინჰარდს სტეფანი, მარგარიტა, რუდოლფი. დახეთ, აზნაურთა ხროვამ როგორ ჩაიგდო ხელში ჰაბუკი. უნდობლად ყნოსავდნენ ერთმანეთს. მხოლოდ სტეფანმა იაზრა უმალ, რაშიც იყო საქმე. „ნამდვილი ჭინკაა!“ — ბობოქრობდა უკმაყოფილო.

ულრიხ ფონ აბენსბერგს ცოლად ჰყავდა აგნესა ფონ ფლავონის უფროსი და. მისი მეშვეობით გაიცნო ფრიდრიხმა აგნესა. მაშინვე შეუყვარდა. აგნესა იოლად დაჰყვა ახალგაზრდა, ტანკენარი, ფიცხი უფლისწულის გულისწადილს. არტურის წრის პატრონესობაც იკისრა. მისი საყვარელი ფერების დროშის კურთხევას დაესწრო, ფრიდრიხს უთხრა:

— უფლისწულო ფრიდრიხ, სულითა და გულით მომწონს თქვენი პოლიტიკა.—და როცა დროშა აგნესას წინაშე დახარეს, ფრიდრიხმა მგზნებარე გულწრფელობით წარმოთქვა შესატყვისი ფორმულა: „Pour toi mon âme, pour toi ma vie“. აგნესა საჭურველაჩხრიალებულ რაინდთა შორის მიმოდიოდა, არავის აკლებდა ტკბილ სიტყვას. ცისფერ ნუშისებრ თვალებს მალიმალ თანაგრძნობით მიაპყრობდა ხოლმე შავგვრემან ფრიდრიხს, თხელი თამამი ბაგეებით უღიმოდა აბენსბერგს,

გრძელი თეთრი თითებით ეალერსებოდა ჰერცოგ მაინჰარდის ზაზუნას. ყველანი აღტაცებულნი იყვნენ, სვებედნიერად გრძნობდნენ თავს.

*

— ნება მომეცით, მოვახსენო თქვენს კეთილშობილებას, თუ როგორ მოკვდა მარკგრაფი, — უთხრა ფრაუენბერგმა მარგარიტას.

მარგარიტა ძალიან გასუქდა, მომჩვარული კანი საზიზღარ ნაკეცებად ეკიდა მაიმუნის დრუნჩივით წინგამოშვერილი პირის გარშემო. მთელი სახე დანაოჭებოდა და დამეჭეჭებოდა, ფერუმარილი ვეღარ ფარავდა მათ.

— დიახ, — წარმოთქვა ფრაუენბერგმა და კბილები დაკრიჭა, — იშვიათად მინახავს მარკგრაფი ისეთ ხალისიან გუნებაზე, როგორც იმ დღეს იყო, როცა ქალაქიდან გავედით. ორივემ კარგად გადავკარით. სულ მის ახლოს ვიყავი. გვერდულად ჩამოცურდა ცხენიდან. სახე მაინცადამაინც არ მოპრანჭვია. საოცარია, რომ მიუნხენის ახლოს დაეცა დამბლა. სწორედ მამამისივით დაემართა.

მარგარიტამ არ უპასუხა. გახევებული, არაფრის მთქმელი მზერა გაძოსჭვიოდა ჩვეულებრივ მეტყველ თვალთაგან.

— აბა, აბა, ჰერცოგის ასულო მაულტაშ, — განაგრძობდა კონრადი წივანა ხმით, — მაინჰარდს სულ ადვილად მოვუვლით. ცოტა მფრთხალია, მაგრამ საერთოდ არაა ურიგო ყმაწვილი. ის ტუტუცი ქვემობავარიელი, შავ-შავი ფრიდრიხი შეუჩნდა. თუმცა მოვიცადოთ. კოცნა კი მაინც დავიმსახურე,— გაიღიმა ფრაუენბერგი. მაგრამ როცა მარგარიტამ მისი დაფჩენილი პირიდან ამოსული ჰაერი შეისუნთქა, აცახცახდა, უკან დაიხია. — კარგი, არ გინდა, ნუ გინდა, — გულარხეინად მიუგო ფრაუენბერგმა.

ჰერცოგ რუდოლფ ავსტრიელთან ერთად მიუნხენში ჩამოვიდა ღრმად მოხუცი აბატი ვიქტორინგელი. მთლად მიხრწნილიყო, ჩამომჭკნარიყო, ფოთოლივით ცახცახებდა, დროდადრო

რაღაცას ჩიფჩიფებდა გაუგებრად, თვალები თითქმის სულ დახუჭული ჰქონდა. მარგარიტას მოუალერსა. ბერიკაცს უფრო გამომშრალი კანი ჰქონდა, ვიდრე ჰერცოგის ასულს.

— ჩემი კარგი გოგო, — უთხრა მარგარიტას.

მერე ის იყო, თავისთან იხმო ბერიკაცი ჰერცოგის ასულმა. უამბო პატარა დოქის ამბავი, ფრაუენბერგთან თავისი საუბარიც სიტყვასიტყვით გადასცა. აღსარება არ ყოფილა ეს, ბევრად მეტი იყო, ვიდრე აღსარება. მოკუნტული, ჩაფერფლილი მოხუცი უძრავად იჯდა მის წინ, მარგარიტა ვერც კი მიხვდა, ყველაფერი გაიგო თუ არა. თუმცა სულერთია: მთავარი ის არის, რომ ცოცხალი არსების წინაშე აღიარა ყოველივე. მაგრამ როცა სათქმელი დაამთავრა, ბერიკაცმა ძველი კლასიკოსის ხათქვამი გაიხსენა: „ამ ქვეყნად ბევრი რამაა საშინელი, უსაშინელეს ადამიანის გულისა არა არის რა“.

აგნესა გაურბოდა ფრაუენბერგს, გულცივად, დამცინავად ეჭცეოდა. კონრადმა დაყვავებით ჰკითხა:

— ცუდ გუნებაზე ბრძანდებით, გრაფის ასულო? აღარ მოგწონთ ჩემი სახე? — მერე მხარზე ხელი დაჰკრა, კბილები დაკრიჭა, დაიწრიპინა: — სულელი ხარ, აგნესა, ქარაფშუტა ბიჭებს გადაეკიდე. გგონია, რომ ძველ ნავში წყალი ჟონავს? ნამდვილი სულელი, ბატისტვინა ხარ, ჩემო კარგო აგნესა. — მოუალერსა, ბღლარძუნი დაუწყო. მაგრამ რახან ქალი განერიდა, კეთილად გაიცინა. დივანზე გაიჭიმა, გადაბრუნდა, ლაზათიანად დაამთქნარა.

ჰერცოგმა რუდოლფ ჰაბსბურგმა ხარბად დასტაცა ხელი საბუთებს, რომლებიც საზეიმოდ და მრავალმნიშვნელოვნად გადასცა მას მისმა გონიერმა კანცლერმა, ხურის ეპისკოპოსმა. ჰერცოგმა მაშინვე თავი ჩარგო ქაღალდებში, რამდენჯერმე გადაიკითხა. საერთოდ მშვიდი და თავშეკავებული, საშინლად აღელდა. ქაღალდებს ალერსით გადაუსვა ხელი. მთელი გულისყურით უსმენდა იურიდიულად ფრიად განსწავლული ეპისკოპოსის განმარტებებს. კანცლერი ლაპარაკობდა ამ მოულოდნელად ნაპოვნი საბუთების გახსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. რუდოლფმა კიდევ ერთხელ გადაიკითხა ისინი. საზეიმოდ და მოწიწებით ეამბორა პერგამენტს, მუხლი მოიყარა, ლოცვა და-

იწყო. მადლიერების გრძნობით შეპყრობილმა ორივე ხელი ჩაშოართვა ეპისკოპოსს, რომელიც სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა.

ჰერცოგ რუდოლფს მამისაგან გამოჰყვა გონებაცივი საქმიანობის, რეალურად არსებულისა და შესაძლებელის მკაფიოდ გარჩევის უნარი. მან იცოდა, რომ ჰაბსბურგთა გვარეულობა ჯერ საკმაოდ არ მოღონიერებულიყო და იმპერატორის გვირგვინით დაკისრებულ ვალდებულებებს ისე ვერ იტვირთავდა, რომ თვითონ არსებითი ზიანი არ მოსვლოდა. იმპერატორის ღირსების დაცვა ძალ-ღონის ამაოდ დახარჯვას, სასიცოცხლო წვენების დაკარგვას ნიშნავდა. ვიტელსბახებმაც და ლუქსემბურგებმაც საკუთარ ზურგზე იწვნიეს ეს. ერთი გზალა დარჩენოდა: ჯერხნობით გონივრულად უარი ეთქვა გარეგნულ ბრწყინვალებაზე, მაგრამ შიგნიდან ისე განემტკიცებინა თავისი ძალები, რომ დროთა განმავლობაში თავისთავად რგებოდა იმპერატორის გვირგვინი, ვითარცა უძლიერესს. სწორედ ასეთ პოლიტიკას მიჰყვებოდა განსვენებული ალბრეხტი და წარმატებასაც აღწევდა.

საღად თუ განსჯიდა საქმის ვითარებას, რუდოლფს სხვა გზა არც ჰქონდა. ყოველნაირად აიძულებდა იგი საკუთარ თავს, რომ ამ ფარგლებს არ გასცილებოდა. მაგრამ ეგაა, რომ მამამისივით თავშეკავებული არ იყო; კოშლი ალბრეხტი თავისი რეალური ძალების შეგნებით კმაყოფილდებოდა. რუდოლფი ვერაფრით ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ მის ზემოთ კიდევ იყო ვიღაც სხვა, მისი სიუზერენი, რომელიც სრული უფლებამოსილებით რომის იმპერატორს უწოდებდა თავის თავს. რას მიქვია ვიღაც კარლოსი, ერთი თვინიერი, დამშლევებული, ლოყებჩაცვენილი კაცი, რომელსაც მუდამ მოუვლელი აქვს ხუჭუჭა წვერი. ისევე, როგორც იგი, რუდოლფიც დიდი მიწაწყლის მფლობელი იყო, მასავით აარსებდა უნივერსიტეტებს, ააგო ტაძრები, სასახლეები, უნივერსიტეტი ვენაში, უზარმაზარი ტაძარი. კარლოსმა ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით და გვირგვინი დაიმკვიდრა; უაზრობა იქნებოდა ახლა ძალების, საერთო ძლევამოსილების განიავება მხოლოდ გარეგნული პრესტიჟის გულისათვის. მაგრამ გონების ვერავითარი საბუთი

ვერ ეპრიდა. კარლოსის უპირატესობა გულს უფლეთდა, წვავდა, ბუგავდა, აწამებდა რუდოლფს.

მეტისმეტად ამაყი იყო იგი და სულაც არ უნდოდა, რომ კანცლერს შეემჩნია მისი შინაგანი ტანჯვა. მაგრამ გონიერი ეპისკოპოსი მაინც მიუხვდა სატკივარს. ახლა იგი იმაზე ფიქრობდა, თუ რა წამალი არგებდა მის ხელმწიფეს.

და აი, ერთ საღამოს ანაზდად გონება გაუნათდა მას. აბატმა იოჰან ვიქტრინგელმა, რომელსაც ყოველთვის სიამოვნებით ხვდებოდა ხოლმე, ეს-ესაა ღამე მშვიდობისა უსურვა მას. აბატი, ჩვეულებისამებრ, თავის ოთახში ჩაიკეტა, რათა განეგრძო მსოფლიოს ჟამთა აღწერა, რაზედაც უკვე დიდი ხანია მუშაობდა. თავის სამუშაოს იგი განსაკუთრებული კეთილსინდისიერებით ეკიდებოდა, ხელნაწერს ჩაკეტილში ინახავდა, არავის უჩვენებდა. ვინაიდან ბოლო ხანებში ღრმად მოხუც აბატს წერა აღარ ძალუძდა, ერთ სანდო ბერს იხმარდა ამ საქმეში, მას კარნახობდა ისტორიას. ბერს წმინდა აღთქმა დაადებინა, რომ ერთ სიტყვასაც კი არ გათქვამდა დაწერილიდან. ყველა სადავო ‘ძემთხვევაში აბატს მიმართავდნენ ხოლმე. მის ქრონიკაში ჩაწერილი ისეთივე უტყუარ ჭეშმარიტებად ითვლებოდა, როგორც სახარება.

და აი, როცა აბატი გამოემშვიდობა, კანცლერმა გულში გაივლო: „რასაც აბატი წერს, ისტორიად ითვლება, ისტორიაა. და მაინც მხოლოდ ქაღალდია ეს. ყოველივე აღბეჭდილი, უფლებები, პრივილეგიები ხომ ქაღალდია. კარგად რომ ჩაუფიქრდეს კაცი, მთელი ქვეყნიერება ქაღალდზეა დაფუძნებული. კარლოს ბოჰემიელს გონიერი სწავლული თეოლოგები ჰყავს, მათ ქაღალდზე აღბეჭდილი პრივილეგიების მთელი კედელი აღმართეს მისი გვირგვინის ირგვლივ. განა ჩვენ აქ, ვენაში, უფრო სულელები, ნაკლებ განსწავლულები ვართ, ვინემ ისინი იქ, პრაღაში?“

კანცლერი აბატთან გაეშურა. ჰერცოგ ალბრეხტის სიკვდილი მოაგონა. ისიც შეახსენა, თუ როგორ წარმოთქვა მაშინ აბატმა: „Defunctus est Albertus de Habsburg, imperator Romanus“. ეს სიტყვებიო, უთხრა კანცლერმა, ჩირაღდანივით ანთია ჰერცოგ რუდოლფის გულში, ვითარცა სამლოცველოში მარადიული კოცონი, ისე ანთია, დღედაღამ ანთია. მხცოვანი

აბატი ყურს უგდებდა მის ლაპარაკს, უკვე მთლად ჩამქრალი თვალებით შესცქეროდა. კანცლერი ფრთხილად, მიკიბულ-მოკიბულად, ნართაულად ამბობდა სათქმელს. ბერიკაცი რაღაცას ჩიფჩიფებდა.

და აი, ანაზდად გამომზეურდა ეს საბუთები. სწავლულმა აბატმა სასახლის არქივში იპოვა ისინი. დამტვერილი, ყველასაგან მივიწყებული ეწყო კუთხეში პერგამენტის უძვირფასესი გრაგნილები. დაუჯერებელი ამბავია.

ეს ხომ, კანცლერის სიტყვით, გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ისტორიული შემთხვევითობა. უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ამ საბუთებს. მათ შეეძლოთ ჰაბსბურგთა აღზევება ახალ, მძლავრ, მაღალ კვარცხლბეკზე, თვით რომის იმპერატორის გვერდით დაყენება.

მღელვარებისაგან ათრთოლებული რუდოლფი გულმოდგინედ კითხულობდა საბუთებს. სულ ხუთი სიგელი იყო. მათ ხელს აწერდნენ რომის იმპერატორები ფრიდრიხ პირველი, ჰაინრიხ მეოთხე; შედგენილი იყო კეისრისა და ნერონის ეპოქებში. სიგელები ამტკიცებდნენ, რომ ჰაბსბურგთა გვარი გამორჩეული უნდა ყოფილიყო ყველა სხვა გერმანელ თავადთა გვარეულობებს შორის; იგი თავისუფლდებოდა მძიმე მოვალეობათაგან, აღჭურვილი იყო განსაკუთრებული უფლებებით; ჰაბსბურგები აღიარებული იყვნენ უპირველეს, უფროს და ყველაზე საიმედო საიმპერიო თავადებად.

რუდოლფმა ნელა ასწია ფიქრიანი თვალები, კანცლერს შეხედა. კანცლერმა დინჯი, მშვიდი, გულღია მზერა შეაგება მას. რუდოლფმა მაგიდიდან სიგელები აიღო, გულში ჩაიხუტა და მტკიცედ განაცხადა, რომ მზადაა მიიღოს ის ღირსებანი და მოვალეობანი, რომლებსაც ამ საბუთებით ავალებს მას უფალი.

უდიდესი აღფრთოვანებით ამცნო მთელ ქრისტიანულ სამყაროს, რომ მიაკვლია ისეთ სიგელებს, რომლებიც მას უმაღლეს პრივილეგიებს ანიჭებდა. საზეიმო ელჩები აახლა პაპს, იმპერატორს, ყველა სამეფო კარს. საზეიმო წირვა-ლოცვა გაიმართა ჰაბსბურგთა ქვეყნების ყველა ეკლესიაში. რუდოლფი საკუთარი დიდების გრძნობით განიმსჭვალა და ბრძანა, რომ სამლოცველო მოეწყოთ იმ ოთახში, სადაც დაიბადა იგი — ჰაბსბურგთა მეთაური, რომელსაც გამოამზეურებინა უფალმა ეს სიგელები.

გერმანელ ხელმწიფეთა კანცელარიებში ბევრ მოხელეს გაკვირვება ეწერა სახეზე. ბოჰემიელის, ბრანდენბურგელის, პფალცის გრაფების იურისტები ერთად იკრიბებოდნენ, ფრთხილად მსჯელობდნენ ამ მოვლენაზე, ერთმანეთს შესცქეროდნენ, ყველას ერთი სიტყვა ეკერა პირზე, მაგრამ ვერც ერთს ვერ წარმოეთქვა იგი ხმამაღლა.

ბოლოს მაინც ითქვა ეს სიტყვა. იტალიიდან ჩამოიტანა იგი ვილანიმ, ჟამთააღმწერმა. ეს იყო მკაფიო და არაორაზროვანი დასკვნა პეტრარკასი, რომელსაც საგანგებოდ მიმართეს ამის თაობაზე. და სიტყვა იგი იუწყებოდა: სიგელები, რომლებიც ამტკიცებენ ჰაბსბურგთა სამეფო კარის განსაკუთრებულ პრივილეგიებს, სიყალბეა, უხეში სიყალბე! მაგრამ უცხოელის დასკვნის გამეორებას მაინც ვერავინ ბედავდა.

დიდად უკმაყოფილო იყო იმპერატორი კარლოსი ჰაბსბურგთა მოქმედებით. ლამის გული აუცრუვდა თავის ძვირფას რეგალიებზე, როცა შეიტყო, რომ მის მეტოქეს ასეთი სიგელები ჰქონია. მეტისმეტად საეჭვოდ ეჩვენა ამ საბუთების უტყუარობა, განსაკუთრებით კეისრისა და ნერონის დასტური, თუმცაღა ქაღალდები უზადო ლათინურით იყო დაწერილი. მაგრამ პეტრარკას დასკვნის შემდეგაც კი მერყეობდა, საკუთარ თავსაც ვერ არწმუნებდა მათ სიყალბეში.

ჰერცოგი რუდოლფი დღენიადაგ თავის უძვირფასეს საბუთებს ჩაჰკირკიტებდა, მეათასედ კითხულობდა მათ, ლამის ზეპირად სწავლობდა, ცდილობდა საკუთარ გულში აღებეჭდა ყოველი ასო, პერგამენტის შრიალიც კი. კანცლერი და აბატი იოჰანი გულმოდგინედ თვალყურს ადევნებდნენ რუდოლფს. მრავალმნიშვნელოვნად, კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ ჰერცოგი სულ უფრო და უფრო მეტად იმსჭვალებოდა თავისი ახალი უფლებებით, თავისი რწმენის სიმბოლოდ იხდიდა მათ.

ტიროლში დაბრუნებული მარგარიტა საოცრად გამოფიტული, დარეტიანებული იყო. სახელმწიფო საქმეები სულაც აღარ აინტერესებდა. ყოველგვარ განკარგულებას შიკრიკის ხელით მიუნხენში უგზავნიდა ახალგაზრდა ჰერცოგს ხელმოსაწერად. იქ კი კვირაობით, თვეობით ეწყო ისინი უქმად. მრჩევლები საკუთარი შეხედულებისამებრ მართავდნენ ქვეყანას, მეტისმე-

ტად ფრთხილობდნენ, ორპოფობდნენ, გადამწყვეტ სიტყვას სახვალიოდ ინახავდნენ, რამეთუ არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, ბოლოს და ბოლოს ვინ ჩაიგდებდა ხელში ძალაუფლებას — ვიტელსბახი, ჰაბსბურგი, მაულტაში, თუ არტურის წრე? ამიტომაც ჭიანურდებოდა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა.

ბარგარიტა მთლად ძალამილეული იყო. რა სიძნელე არ გადალახა, რომ ზეაღმართულიყო, მერე ლაფში დასცეს, მაგრამ მაინც წამოიმართა. ახლა კი გამოირკვა, რომ ყოველივე მხოლოდ ლიტონი, სულელური, ფლიდი, უტიფარი სიტყვები ყოფილა და სხვა არაფერი. სისპეტაკე, სიკეთე, ძალა, წესრიგი, აზრი და მიზანი — ისეთივე ფუჭი სიტყვები ყოფილა, როგორც რაინდულობა, კეთილშობილება. ფრაუენბერგი მართალია: ამქვეყნად მხოლოდ ის შვიდი სიამოვნება არსებობს, რომელთაც უმღერის ერთი უხამსი სიმღერა, — სხვა არაფერი.

უცნაური, ლამის პედანტური სიხარბით დაიწყო სიბერეშეპარულმა უსახურმა ქალმა თავისი ცხოვრების ხელახლა მოწყობა ამის შესაბამისად. საჭმელად რომ დაჯდებოდა, მაგიდაზე აურაცხელი ხორაგეული ეწყო, საათობით უნდებოდა ტრაპეზს, მის სამზარეულოში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბურგუნდიელი, სიცილიელი, ბოჰემიელი მზარეულები. დიდი ჯამებით სვამდა იგი მხურვალე, სქელ ღვინოებს. საზღვარი არ ჰქონდა მის გაუმაძღრობას: მოლუსკებს, იშვიათ თევზეულს, ფრინველს, ნანადირევს ათასნაირად ამზადებინებდა — ნუშის რძეში, სურნელოვან ღვინოში მომიხარშეთ, შემიწვით, გამომიცხვეთო. პირის პატივს არ იკლებდა, ხარბად მოითხოვდა სულ სხვადასხვანაირ სასუსნავს, თითქოს ეშინოდა, არაფერი დამრჩეს გემოს გაუსინჯავიო. ადრე წვებოდა დასაძინებლად, გვიან დგებოდა. დღისითაც კარგა ხანს ეძინა. ძილი ხომ ყველაზე უკეთესი რამაა. ფრაუენბერგისაგან ისწავლა ზმორება, ხმაურიანი მთქნარება, სახსრების ტკაცუნი. და აი წევს ეს ჩაგოდრებული, სიბერეშეპარული, საშინლად მახინჯი დედაკაცი და ხვრინავს გემრიელად. ხეშში თმა ჯაგარივით აბურძგვნია. სახეზე ნიღაბი ადევს — ვირის რძეზე მოზელილი ცომისა და ციკლამენის გახეხილი ფესვებისაგან დამზადებული. კანს ახალგაზრდობას უნარჩუნებსო.

ფრაუენბერგი კმაყოფილი იყო ჰერცოგის ასულის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით. დიახაც, გონიერი დედაკაცი გახლავთ ეს დრუნჩიანი. მიხვდა, რომ მისი მსოფლმხედველობა ყველაზე სწორია. წასაქეზებლად მხარზე ხელს ურტყამდა ხოლმე მარგარიტას. თვითონ იკისრა მისი სასიამოვნო სურვილების დაკმაყოფილება.

უცნაური ხმები დადიოდა ქალაქ მერანში, პასაიერის ხეობაში. ღამეული შეხვედრების გასაადვილებლად ტიროლის ციხის კუთხის ფანჯარასთან თითქოსდა ჩამოკიდებულია რკინის კალათი, რომელსაც ეზოში ჩამოუშვებენ და მერე ზევითვე ასწევენ პაემანზე მოსულთან ერთადო. იმასაც ამბობდნენ, რომ საპყრობილის კოშკში ძობეზრებული ფავორიტები არიან გამომწყვდეულებიო. ხალხი ზიზღით ლაპარაკობდა პასაიერის ხეობის პრივილეგიებზე, იქაურ სამიკიტნოებზე, მცხოვრებლებზე, რომლებიც თავისუფალი იყვნენ გადასახადებისაგან, თანაც ნადირობისა და ტყის ჩეხვის ნება ჰქონდათ დართული.

ჰერცოგის ასულმა უფრო სამხრეთით გადაინაცვლა. მისი პატარა სახლი თეთრად ქათქათებდა; ქვემოთ, შუადღის მზის ოქროსფერ ნისლში ლივლივებდა დიდი მოშავო-ლურჯი ტბა. ბროწეულის ბარდებში ტბისკენ გზას მიიკვლევდა ნახევრად დანგრეული ქვის საფეხურები, დიდ, საზეიმოდ მორთულ, აფერადებულ, ხავს დააცურებდა მოშავო-ლურჯ წყალზე ჰერცოგის უსახური ასული. ნავის კილთან დროდადრო ციმციმა თევზები ხტოდნენ. ნიჩბები რიტმული მოძრაობით აქაფებდნენ წყალს. მარგარიტა გემბანზე იწვა, ტრიუმიდან კი მუსიკა მოისმოდა.

ცხოვრების გზაზე ახლა ჭაბუკი ალდრიგეტო კალდონაცო შეხვდა. ჩვიდმეტი წლის ჯანღონიანი, თავდაუოკებელი ბიჭი. მოყვითალო-თეთრი ვნებიანი სახე, მოკლე ცხვირი, ცოცხალი, დიდრონი მუქი თვალები ჰქონდა ყმაწვილს. პირველად იგი ვერონაში ძეხვდა ჰერცოგის ასულს, შემდეგ ვიჩენცაში, სადაც კან გრანდე უმრწემესმა, ლომბარდიის უძლიერესმა ტირანმა, საზეიმო შეხვედრა მოუწყო მას. კასტელბარკოთა ბრწყინვალე გვარის განმგრძობი ჭაბუკი ალდრიგეტო ერთადერთი გადარჩა დაუნდობელ, სისხლისმღვრელ ბრძოლაში, რომელშიც მთელი მისი ოჯახი მონაწილეობდა. პირადად მას უკვე არაერთხელ

უბრძოლია თავგამეტებით. მისი ციხე-სიმაგრეებისა და ადგილ-მამულების უმეტესი ნაწილი ახლა მტრების ხელთ იყო. ლტოლვილი ჭაბუკი სახელგანთქმულ ვერონელს ეწვია სამეფო კარზე, თითქმის მუქარით მოითხოვა მისგან დახმარება, ბრძოლის გაგრძელება. იგი უკანასკნელი შთამომავალი იყო ძველთაძველი გვარეულობისა. უზომოდ განებივრებული, თავდავიწყებით ეძლეოდა ყოველ ახალ აღტყინებას, ქალებს უყვარდათ მისი ცეცხლოვანი, ბიჭური მოყვითალო-თეთრი სახე.

და აი იხილა მან მარგარიტა. იხილა, თუ როგორ მიჰყვებოდა სასახლის კიბის საფეხურებს მძლეთამძლე დელა სკალას გვერდით, ზარების რეკვაში მორჩილად თავდახრილი შეიარაღებული კარისკაცებისა და დროშების მწკრივთა შორის, ვით გახევებული შეღებილი ნიღაბი, ოქროულობითა და ძვირფასი ქვებით მორთულ უძვირფასეს საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი, ზღაპრულად მახინჯი ქალი. საოცრად უსიცოცხლო მზერა ხანგრძლივად შეაჩერა ჭაბუკზე ქალმა. ყმაწვილს, როგორც საერთოდ ყველას, რა თქმა უნდა, გაგონილი ჰქონდა ბუნდოვანი, საზარელი ლეგენდები, რომლებსაც ჰყვებოდნენ მასზე ხალხში: თუ როგორ გააძევა გულხარბმა ქალმა პირველი ქმარი, მოწამლა მეორე, უსაზღვრო წადილს აყოლილმა, როგორ დაძარხა ცოცხლად ძრავალი საყვარელი. „გერმანელი მესალინა“ შეარქვეს იტალიაში. ჭაბუკს დიდად ეამა, ჰერცოგის ასულის ყურადღება რომ მიიპყრო. ყრმას ხიბლავდა მისი ძალაუფლება, რომლის მეშვეობითაც იქნებ გაენადგურებინა კიდეც თავისი მტრები. ხიბლავდა მისი სახიფათო დიდება. იგი ახალგაზრდა იყო, ძველთაძველი გვარეულობის უკანასკნელი შთამომავალი. მას იზიდავდა ჰერცოგის ასულის სიმახინჯე.

ზაფხულის ორი თვე გაატარა ჰერცოგის ასულმა ყრმა ალდრიგეტოსთან ერთად ვრცელი ტბის ნაპირას. საშინლად ცხელი ზაფხული დაიპირა იმ წელიწადს. ღამეებსაც კი ღია ცის ქვეშ ათევდნენ. მარგარიტას ბრძანებით ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, პატარა ნახევარკუნძულზე, ძველრომაული ვილების ნანგრევებს შორის, ზეთისხილის ბებერი ხეების ქვეშ კარვები გაშალეს. ჰამაკებში იწვნენ, მწერებისაგან თავის დასაცავ წმინდა ბადეების ქვეშ. მოშავო-ლურჯი, ტყვიისფერი ტბა გართხმულიყო მათ წინაშე.

და მოხდა აუხსნელი რამ: აულაგმავ, მოყვითალო-თეთრ ყრმას შეუყვარდა ჰერცოგის უსახური ასული. ყმაწვილი ლამაზი იყო, ტანადი, მოყვითალო-თეთრი, ვითარცა ის დამსხვრეული ქანდაკებანი, რომლებიც აქა-იქ იდგნენ ზეთისხილის ხეების ქვეშ. დიდ, ძლევამოსილ, უძრავ, მომნუსხავ და უსახურ კერპსა ჰგავდა ქალი. აბა მას როგორ შეედრებოდნენ ახალგაზრდა, ტანკენარი, გულმხურვალე ქალიშვილები, რომლებსაც სუნთქვა ეკვროდათ ჭაბუკის მიახლოებაზე? ბატები არიან, ფუტუროები, ჩერჩეტნი, არარაობანი. ჰერცოგის ასული კი სრულიად განსაკუთრებული, განუმეორებელი, უბერებელი სიბრძნით აღსავსე ქალია, მთაგორიანი ქვეყნის მბრძანებელი, თავის გამოუცნობ, მძლავრ და ეულ განუმეორებლობაში ჩაკეტილი. ეს ქალი იქცა ყრმის ბავშვური ოცნებების განსახიერებად. ის, რაც ახლა ასე ძალუმ ეზიდებოდა მას ამ ქალისაკენ, დიდი ხანია აღარ იყო არც პატივმოყვარეობა, არც ანგარიშიანობა, არც ცნობისმოყვარეობა. როდესაც ჭაბუკი მისი თანდასწრებით ოცნებობდა იმ ვრცელ სახელმწიფოზე, რომელსაც ოდესმე შექმნიდა პოსა და დუნაის შორის არსებული სამფლობელოების გაერთიანებით, ხოლო მარგარიტა მისკენ ნელ-ნელა მიაბრუნებდა თავის ნაღვლიან, გაშეშებულ, აუწერლად მახინჯ სახეს, ვაჟს სიტყვა უწყდებოდა, დუმდებოდა. ქალის სახეში იყო რაღაც ისეთი, რაც გულს უბორკავდა, ერუანტელს გვრიდა, გამოუცნობად, ძალუმად ეზიდებოდა მისკენ. ასე ატარებდნენ მცხუნვარე შუადღეებს ისინი. ჰერცოგის ასული—ზონზროხა, ნაღვლიანი, მიმცხრალ ეპოქათა ძველთაძველი ლეგენდარული ცხოველი, აურაცხელი ბრძოლებით დაკოდილი, გაუთავებელი განცდებისაგან დაღლილი, და ყრმა — ტანწერწეტი, ლერწამივით მოქნილი, აულაგმავ დამპყრობთა უკანასკნელი ნაშიერი. შავი მგზნებარე თვალებით შესცქეროდა იგი მომავალს, რომელიც უკვე წარსულად ქცეულიყო მისთვის.

მარგარიტამ ბროწეული გაჭრა. სისხლისფერი წვენი გადმოღვარა უმარილით გათეთრებულ თითებზე. ბროლივით გამჭვირვალე მარცვლებს ნება-ნება იდებდა უზარმაზარ მახინჯ პირში, უსწორმასწორო, დიდი და ძლიერი კბილებით ღეჭავდა მათ. „საოცარია, — ფიქრობდა იგი, — ეს ბავშვი მიყურებს როგორ ვჭამ და არ ვეზიზღები. მგონი მართლაც უანგაროდ ვუყვარვარ.

დავბერდი, გამოვიფიტე, დავიშრიტე, და აი მომეკლინა ადამიანი, რომელსაც ვუყვარვარ!“ კრეტიენ დე ლაფერტი გაახსენდა, მოუხეშავი ხელი გადაუსვა ალდრიგეტოს შავ თმაზე. ბიჭმა უცებ ზევით ასწია თავი, ხელზე უკბინა. მერე უბოროტოდ გაიცინა. ვერცხლისფრად ბზინავდნენ, შუადღის ბუღში ციმციმებდნენ ტბის მთვლემარე ნაპირები.

იმ ხანებში, როდესაც ჰერცოგის ასული იტალიაში იმყოფებოდა, ტიროლში უფრო და უფრო გესლიანი და საზიზღარი ხმები ვრცელდებოდა მასზე. ალქაჯიაო, ღამღამობით სისხლსა სწოვს მამაკაცებსო, ერთდროულად ორ ადგილას შეუძლია ყოფნაო; როდესაც იგი ვერონაში იყო, ტრამინში უნახავთო ქალი, რომელიც ჰაერში მიაგელვებდა მუქ წითელ ცხენსო. ხელისუფლების წარმომადგენელნი სულ უფრო და უფრო ხშირად უჭრელებდნენ ზურგს იმ ადამიანებს, რომლებიც უპატივცემულოდ იხსენიებდნენ ჰერცოგის ასულს.

მოშვებული, გაზანტებული მარგარიტა გამუდმებით ტბის ნაპირას იწვა. საათები, დღეები, თვეები თითქოს ერთ ადგილას გარინდულიყვნენ. როდესაც ნავი ხეების ქვეშ მიცურავდა, ტბა ანაზდად თითქოს კვდებოდა, აჩქარებული ჩრდილები შიშარეული ცახცახით არღვევდნენ მწუხრის თბილ მთვლემარებას. ეგრეა, ეგრე: ყრმა ალდრიგეტოს უყვარს იგი. ჭაბუკი ტანადია, ლამაზი, ქალებს სურვილით თვალები ენისლებათ მის დანახვაზე, მას კი მარგარიტა უყვარს; მაგრამ უზომოდ დაშრეტილი, ძალამიხდილია იგი და აღარაფერი ახალისებს. ფრაუენბერგი გაიხსენა: ძილი ყველაზე უკეთესი რამაა. მხოლოდ ერთი უილაჯო სურვილი ჰქონდა ქალს: მუდამ ასე ეცხოვრა, ამ მწუხრის ჟამის მცხუნვარე მთვლემარებაში, მდუმარედ, ნელ-ნელა აორთქლებულიყო, ვითარცა წყალი მზეზე.

ამ ხანებში კი საბოლოოდ ჩამოყალიბდა მიუნხენელ ფეოდალთა კავშირი, არტურის წრე. დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს კავშირის შექმნა, მისი ცალკეული წევრების მიღება და რაინდად დალოცვა, დროშის კურთხევა, აგნესა ფონ ფლავონის აღზევება კავშირის დედოფლად. ზეიმის შემდეგ დიდი ტურნირი გაიმართა, ბანკეტები მოეწყო, ხალხმრავალი ნადირობა გაჩაღდა.

ახალგაზრდა, თავაწყვეტილ ფეოდალებს მალამოსავით ეამათ უფლისწულ ფრიდრიხის პრინციპები. ისინი ცოცხალნი არიან, ისინი ახალგაზრდები არიან, ისინი მთელ სამყაროს წარმოადგენენ! ძალაუფლების დაუცხრომელი ჟინით იყვნენ შეპყრობილი, ირგვლივ ყველაფრის განადგურება ეწადათ, ყვირილი, სიშმაგე, ხმაური, თავაშვებული მხიარულება სურდათ. თავიანთი მოზღვავებული, უმიზნო, უმაქნისი ჯაბუკური ენერგიით უნდოდათ აევსოთ მთელი სამყარო, რაღაც ხომ უნდა ეკეთებინათ, რამეში ხომ უნდა დაეხარჯათ ნიაღვარივით მოვარდნილი ძალ-ღონე. უფლისწულმა ფრიდრიხმა ძალაუფლებისადმი ამ ბობოქარ ლტოლვას ლამაზი, მყვირალა სახელი შეარქვა, ამ სახელში იყო აზრის, იდეის, იდეალის რაღაც ნატამალი. ახალგაზრდა, თავდაჯერებულმა, ჩხუბისთავმა ბარონებმა ერთბაშად განსაკუთრებული მისიის მტვირთველებად წარმოიდგინეს თავი. მათ მხარეზე იყო ღმერთიც, უფლებამოსილებაც, ძალაუფლებაც: ისინი ბედნიერები იყვნენ.

სხვაგან სად იმართებოდა ისეთი უზომო ჭამა-სმა, როგორიც მიუნხენის სამეფო კარზე? სხვაგან სად ეწყობოდა უფრო გრანდიოზული ნადირობა? სხვაგან სად იხოცებოდა ამდენი ხალხი ტურნირებზე? სად იყო ასეთი სადღესასწაულო ჟივილ-ხივილი? სტუმრების ფეხებთან მხოხავ მასხარებსა და ჯუჯაკაცებს რომ ნასუფრალი ხვდებოდათ აქ, ზოგზოგი პატარა ქვეყნის ხელმწიფის სუფრისთვისაც კი სანატრელი იყო. ფიცხობდნენ ახალგაზრდა ბარონები, სრულიად უცხო ადამიანებს თავს ესხმოდნენ: აგნესა ფონ ფლავონზე უფრო ღირსეული ქალი თუ არის ამქვეყნადო? — და როცა ეს უცხო კაცი პასუხობდა, არ ვიცნობ ამ მანდილოსანსო, მყის ორთაბრძოლაში იწვევდნენ მას და კლავდნენ. ნადირობის შემდეგ ღამით ღია ცის ქვეშ მოლხენას თუ მოინდომებდნენ, გასანათებლად ცეცხლს უკიდებდნენ სოფლებს, ჭალა-ტყეებს.

სამეფო კარზე მიღებული ცეკვები მეტისმეტად ნატიფი და რთული ეჩვენებოდათ. ფლეიტის ნაცვლად სტვირი ააკვნესეს, არფის მაგივრად ტუჩის გარმონი ააპყიპინეს. გლეხურ, ტლანქ ფერხულში ბზრიალებდნენ, ცეკვავდნენ რიდევანცს, ჰოპელდაის და სხვა უხეშ ცეკვებს, ბარძაყებზე იტყაპუნებდნენ ხელებს და ისე მღეროდნენ უხამს ლექსებს. დათვური ბაჯბაჯით

წრეს უვლიდნენ, ქალებს ჰაერში ისე ისროდნენ, რომ აფრიალებული კაბები თავზე ეხურებოდათ, მერე ყურთასმენის წამღებ ღრიანცელში უბოდიშოდ აკოტრიალებდნენ მიწაზე. უაზროდ, აზარტით თამაშობდნენ კამათელს, აგებდნენ სოფლებს, ციხეებს, ადგილ-მამულს, ზოგჯერ კვლავ უკან იბრუნებდნენ საჩუქრის სახით, ზოგჯერ კი წარბშეუხრელად კლავდნენ პარტნიორს. საქეიფო ადგილებში ბარბაცით დაეხეტებოდნენ უზომოდ გამომტყვრალნი, არწყევდნენ, ღრიალებდნენ უხეშ, ცინიკურ სიმღერებს. ღამღამობით მიუნხენის ქუჩებში გალეშილი მოქეიფეები ხმის ჩახლეჩამდე ჩხაოდნენ, ყვიროდნენ, დუდღუნებდნენ ფრაუენბერგის სიმღერას შვიდ ნეტარებაზე.

ჩასუქებული, გულკეთილი, მოყეყეჩო, მაგრამ კმაყოფილი და ამაყი ჭაბუკი მაინჰარდი გულარხეინად დასეირნობდა ამ ხალხში, მის საპატივცემულოდ გამართული ამ შესანიშნავი სადღესასწაულო ლხინის სულად და გულად წარმოედგინა თავისი თავი. ყველას გულმოწყალედ უღიმოდა, ხედავთ, დღესაც რა კარგად გამოვიდა ყველაფერიო, ამბობდა კმაყოფილი. სიყვარულით შესცქეროდა წარმოსადეგ, შავგვრემან უფლისწულ ფრიდრიხს. ეალერსებოდა ზაზუნა პეტერს, თავის აზრებს უზიარებდა ყურადღებით თვალებდაჭყეტილს: ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, სახელმწიფოს მართვა იოლი და მარტივი ყოფილა, გაცილებით უფრო სასიამოვნო, ვიდრე მეგონაო.

აგნესა ყურწაგდებულად, მაგრამ კეთილმოსურნედ ეხმიანებოდა მის ირგვლივ შემოკრებილი რუზრუზა ახალგაზრდების აღტყინებულ, მგზნებარე გრძნობებს. ბოლო ხანებში შეამჩნია, რომ კანი აქა-იქ გაუშრა, მოუდუნდა, ტუჩებისა თუ თვალების ირგვლივ პაწაწინა მომჩვარული ნაოჭები უჩნდებოდა, ხოლო თმა გაუხუნდა. უფრო ნელა, ზანტად მოძრაობდა, თითქოს მთელი სხეული ქონით ავსებიაო. მით უფრო აუცილებელი იყო მისთვის ამ ყმაწვილკაცების მგზნებარე აღტაცება, მათი ხმაურიანი თაყვანისცემა, ვითარცა დასტური მისი მომხიბვლელობისა. აგნესა ლივლივებდა ამ სიამოვნებაში, ნეტარებდა უფლისწულ ფრიდრიხის უსაზღვრო თაყვანებაში.

მაგრამ ბავარიისა და ლანდსჰუტის უფლისწულს ამ გაბმულ დროსტარებაში სულაც არ ავიწყდებოდა თავისი პოლიტიკური გეგმები. ხმაურსა და უხეშობას ვერ ამჩნევდა, ძალაუფლებას

ხედავდა მხოლოდ: აღვირახსნილობასა და სიბინძურეს ვერ ამჩნევდა, მბრძანებლობასა და ბრწყინვალებას ხედავდა მხოლოდ. არტურის წრის მეთაურებთან — აბენსბერგთან, ლაბერთან, ჰიპოლტ ფონ შტაინთან ერთად ხელთ იგდო მთელი სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობა. ახალგაზრდა ჰერცოგმა ყოველივე დაუთმო მათ, რისი მოხვეჭაც კი მოინდომეს: ძალაუფლება, პრეროგატივები, ბეჭედი, ყველა თავისი მოვალეობა. სახელმწიფოს მართავდნენ სუფრასთან, ნადირობისას. კათხა ღვინოს რომ გადაჰკრავდნენ, უტიფრად ართმევდნენ ქალაქებს მათ პრივილეგიებს, უაზროდ მძიმე გადასახადებს აწერდნენ გლეხებს. მთელი სიმკაცრით აღადგინეს ძველი დროის წესი, რომელიც გლეხს უკრძალავდა ნანადირევისა და თევზეულის ჭამას. ამის უფლება მხოლოდ ბატონებს ჰქონდათ. უზომოდ ძვირი ჯდებოდა შაინჰარდის სამეფო კარის შენახვა, არტურის წრის გართობანი და გაბმული ქეიფები. სახელმწიფო ქონება ნიავდებოდა, ქალაქთა გადასახადები, გამოსაღებები, შემოსავლები ხმარდებოდა არა საზოგადოებრივ საჭიროებას, არამედ არტურის წრეს. გადასახადები გაიზარდა. უზომოდ მომრავლებული გარეული ფრინველი და ცხოველი ზიანს აყენებდა ნახნავ-ნათესს, მაგრამ თუ გლეხი მოიწადინებდა მათგან თავის დახსნას, სიკვდილის პირამდე მიჰყავდათ იგი. არტურის წრის ზოგიერთი წევრი ვაჭართა ქარავანსაც კი ესხმოდა ხოლმე თავს; პირველ ხანებში ვითომდა ანცობით ჩადიოდნენ ამას, მერე და მერე კი გამდიდრების კარგა გვარიან საშუალებადაც გაიხადეს. და რაკი შარაგზებზე სიარული სახიფათო გახდა, თანდათან დაეცა ვაჭრობა და ხელოსნობა.

ქალაქები დრტვინავდნენ, გლეხობა კვნესოდა. ტიროლელი ბარონები საზღვართან იდგნენ. ჰერცოგ სტეფან ჰაბსბურგს ჯერ არაფერი მოემოქმედა, მაგრამ წარბები კი მრისხანედ შეეჭმუხნა. არტურის წრეს დროდადრო ფრაუენბერგი ესტუმრებოდა ხოლმე; მართალია, ამ კავშირის წევრობა არც ერთხელ არ შეუთავაზებიათ მისთვის, მაგრამ ეს სრულიადაც არ სწყინდა, ოხუნჯობდა, ახალგაზრდობას აქეზებდა; უნდა ითქვას, რომ ძალიანაც ეხერხებოდა ამ ვაჟბატონების აფუსფუსება. ჰერცოგმა სტეფანმა მკვახე წერილი გამოუგზავნა ვაჟს, თუ ახლავე არ დაბრუნდები ლანდსჰუტში, სამემკვიდრო ქვემო ბავარიას

დაკარგავო. უფლისწულმა ფრიდრიხმა არაფერი უპასუხა, მამის მოციქულს ბორკილები დაადო.

მიუხედავად იმისა, რომ ჰაბსბურგმა უფრო ფრთხილად და უხმაუროდ მოუსინჯა კბილი უფლისწულ ფრიდრიხს, მიუნხენში მასაც ხელი მოეცარა. ჰერცოგმა რუდოლფმა უნგრეთის მეფესთან კავშირი შეკრა იმპერატორ კარლოსის წინააღმდეგ. მაინჰარდს საიდუმლო წერილი მისწერა და მასაც შესთავაზა ამ კავშირში შესვლა, იმპერატორი ხომ ვიტელსბახების ნამდვილი მტერიაო. მაგრამ უფლისწული ფრიდრიხი ქედმაღლობის გამო მხოლოდ პრესტიჟის პოლიტიკას ცნობდა და რომის იმპერატორის გარდა იმპერიის არც ერთ თავადს არ თვლიდა ვიტელსბახების ტოლად. ამიტომ შეუძლებლად მიაჩნდა კავშირის შეკვრა უბრალო ტერიტორიულ მმართველებთან, მით უმეტეს უტიფარ ჰაბსბურგთან. არა და არა, რაც უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამას პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები, ვიტელსბახებმა წმინდა იდეალური მოტივების გამო ამაყად და კეთილშობილურად მაინც ერთადერთ მათ ტოლ გერმანელს — რომის იმპერატორს უნდა დაუჭირონ მხარი.

ტრაპეზის დროს ჰაბსბურგის — იმპერიის ამ პირველი, უფროსი და ყველაზე საიმედო ხელმწიფის საიდუმლო წერილი სამეფო კარის ერთ-ერთ მორთულ-მოკაზმულ მასხარას კუზზე მიაკრეს. ჭრელ-ჭრელებში გამოწყობილი ჯუჯა კაცი სტუმრებს შორის დარბოდა, წამდაუწუმ თავს დაბლა ხრიდა და ყველას უჩვენებდა კუზზე მიწებებულ საიდუმლო წერილს, რომელშიც ავსტრიელი საშინლად ლანძღავდა იმპერატორს. დაჭმუჭნილი და დათხუპნილი წერილი ფრიდრიხმა შემდეგ მაინჰარდის სახელით პრაღაში გაუგზავნა იმპერატორს და თავის მხრივ, როგორც ტოლმა ტოლს, მაღალფარდოვანი ბარათიც აახლა.

•

ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნახევარკუნძულს ნავი მოადგა. ბებერ აბატ იოჰან ვიქტრინგელს ორი ხუცესი ახლდა. დაკეტილ სკივრში თავისი ქრონიკა — „უტყუარ ამბავთა წიგნი" ედო, რომელსაც უკვე დასრულებულად თვლიდა.

ბერიკაცი მთლად ჩამოჭკნა და უზომოდ დაბრძენდა. რა არ ნახა თავისი ცხოვრების გზაზე, ყველა პიროვნებასა და ყველა

ამბავს მშვენიერი ლექსები მიუძღვნა, ყოველივე აწონ-დაწონა და ისე აღწერა თავის ქრონიკაში. და კიდევ თუ რამე მოხდებოდა, იგი მხოლოდ ვარიანტი იქნებოდა იმისა, რაც მან უკვე აღწერა. აბატმა შეიტყო, რომ ვიღაც იტალიელი, ფლორენციელი ჯოვანი ვილანიც მუშაობდა ასეთივე ვრცელი და საფუძვლიანი ქრონიკის შედგენაზე. თუმცა იოჰან ვიქტრინგელს ამქვეყნიური პატივმოყვარეობისა აღარა ეცხო რა, მაინც გული დაწყდა, როცა გაიგო, რომ ფრიად გონიერი და საქმეში ჩახედული ადამიანები დიდად აქებდნენ იტალიელის ნაშრომს. დიდებისმოყვარე უცხოელი აბატი სრულიად სხვაგვარად მიუდგა თავის ამოცანას: სენსაციურად შელამაზებული ამბები და მოვლენები აღწერა, რათა ამ გზით ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინა ქრონიკის წამკითხველ თაობებზე. კეთილსინდისიერი მეცნიერი აბატი კი გულმოდგინედ ჩალხავდა, ამოწმებდა, აზუსტებდა თარიღებსა და ფაქტებს და არასოდეს არ ივიწყებდა თავისი ნაშრომის საერთო მაღალ მიზანსა და დანიშნულებას. და აი დადგა დრო, როცა მან გადაწყვიტა საბოლოო წერტილი დაესვა. თავის მდივან-ხუცესს ეს უკარნახა: „სხვათათვის მიმინდვია უკეთ აღწერა მომავლის ამბავთა და ამით დამიბოლოვებია ჩემი ჩანაწერები, რომელნიცა ვეცადე დია კარგად და ისტორიისათვის ღირსეულის სახით აღმესრულებინა“... რაღაც ჩაიბურტყუნა, ჩაიხითხითა, თავისი დამჭლევებული ხელი მხარზე დაადო ხუცესს და ყალბი, მოჩვენებითი უდრტვინველობით უკარნახა ბოლო ფრაზა: „და თუ არ ფრიად კეთილ იყოს ნაღვაწი ჩემი, მომეტეოს მე, რამეთუ შევუდექ ამა საქმესა სადიდებლად წმიდისა და განუყოფელი სამებისა, რომელსაცა ვადიდებთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ“.

ბერიკაცი ზეთისხილის ხეებისა და ათასწლოვანი ნანგრევების ჩრდილში ისვენებდა. თავისი ნაშრომი ჰერცოგის ასულს მიართვა, დარწმუნებული იყო, რომ გულისხმიერი მოწაფე დამსახურებულად შეაფასებდა მის ნაღვაწს. მარგარიტა ჰამაკში იწვა, ჩაციებულ მანდარინის წვენს ისხამდა ხახაში; ტანადი, ზანტი, თეთრი ჭაბუკი ალდრიგეტო დაუდევარდ ამასხარავებდა უკბილო ბერიკაცს.

მწუხრი რომ ჩამოწვა და აგრილდა, მარგარიტამ მდივან-

ხუცესს ქრონიკის წაკითხვა უბრძანა. დაბალი ხმით, ზომიერად, მკაფიოდ წაიკითხა ხუცესმა აბატის წინათქმა და მიძღვნა. მრავალრიცხოვანი ციტატების მოშველიებით აბატი იოჰანი ლაპარაკობდა იმაზე, თუ როგორ იქცევა ისტორიად ცხოვრება და სინამდვილე, და რომ ცხოვრებისა და ყოფიერებისაგან არარა რჩება გარდა ისტორიისა, და რომ ისტორიაა საბოლოო მიზანი ყოველგვარი ქმედებისა და მისი შემდგომი პირველსაფუძველი. რა შთებაო დიდ მოღვაწეთაგან, გარდა მათი ხსოვნისა, მსგავსად იმ სურნელებისა, რომელსაც ტოვებენ ჩვენს ნაპირებთან ვაშლით დატვირთული გემები, როცა თვითონ უკვე კარგა ხანია სხვა სანაპიროებისაკენ მიცურავენ? ამ თვალსაზრისით ხატავდა იგი ბოლო ას ოცი წლის სურათს, ადამიანის ცხოვრების ხანმოკლეობის, ბუნების ცვალებადობის, ბედნიერების წარმავლობის, ამქვეყნიური დიდების მაცდურობის, არასაიმედობის სურათს.

მარგარიტა ფიქრობდა: „ყოველივე ეს ვიცი, მაგრამ ახლა აღარაფერი ეკარება გულს. ჩემი ცხოვრება წარსულს ჩაბარდა“. ხუცესი დაბალი ხმით განაგრძობდა მრავალთა ამბავთა თხრობას, ერთმანეთს ენაცვლებოდა ჭრელ-ჭრელი, გულუბრყვილო, ეშმაკური, კადნიერი, უწყინარი, ამაღლებული, უმნიშვნელო ამბები. ყოველი მოვლენა ცივი გონების თვალით იყო დანახული და თავის ადგილზე მოთავსებული, ქამთასვლას ამბები მოჰქონდა და მიჰქონდა. ინტერესით უსმენდა მარგარიტა, თანდათან თვითონაც ჩაიძირა მოვლენების ფერადოვან ნაკადში. აი, მაინჰარდი, ტიროლის დიდი გრაფი, ძლიერი, ეშმაკი, შეუპოვარი მმართველი: მარგარიტა ხომ მისი ნაწილი იყო. ჰერცოგის ასულმა თავისი გაიტანა და ხანგრძლივად დაქუცმაცებული მიწები კვლავ შეადუღაბა. თუნდაც ქალაქები, ადრე ხომ პატარ-პატარა, საცოდავი დასახლებები იყო! მარგარიტამ აქაც ყველა ღონე იხმარა და ქალაქები გაიზარდა, აყვავდა.

ახლა კი მთლად გამოეთიშა მარგარიტა ამ მდინარებას, დამდგარ, დამპალ გუბეს დაემსგავსა. ამ ნახევარკუნძულზე ცხოვრება მთლად უაზრობად ეჩვენა. ზეთისხილის ხეები, ძველთაძველი ნანგრევები, ფორთოხლის ბაღები, განა ყოველივე ეს სულელური, პრეტენზიული დეკორაცია არაა? რატომ ჩაიძირა ამ უსიცოცხლო, გამაბრუებელი, განმარტოებული ზაფ-

ხულის ტალღებში? მაშინ როდესაც იქ, მის ქვეყანაში მხეცური, შემაშფოთებელი, დამღუპველი მოვლენები ვითარდებოდა, როდესაც გერმანიის მეფეები ერთმანეთს ებრძოდნენ მისი საცოდავი, მოღიმარი, სულელი შვილის გარშემო. რას იქმოდა ამ დროს ჰერცოგის ასული? ლამაზი, ჯერაც უწიფარი ყრმა ალდრიგეტოთი იყო გატაცებული.

მეორე დღესაც „უტყუარ აბბავთა წიგნს" კითხულობდა მარგარიტა. ბერიკაცს სიამოვნებისაგან სახეზე ნათელი ეფინა, ჩვეულებას უღალატა და ცოტა გადაჰკრა კიდეც, თუმცა აკანკალებული ხელით სასმისი კარგად ვერ შეიმაგრა და ღვინო დაექცა, ციებიანივით აკანტურებდა თავს. ჰერცოგის ასულმა შიკრიკი აფრინა ვიჩენცაში, კან გრანდესთან, შეუთვალა: თათბირი მინდაო თქვენთან.

იდუმალი, კეთილი ღიმილით გამოეთხოვა ჭაბუკს, შავ, ბზინვარე თმაზე ხელი გადაუსვა, მოყვითალო-თეთრ ვნებიან სახეზე მოეალერსა. სამ დღეში დავბრუნდებიო, აღუთქვა. ჭაბუკი ჯერ ზანტად დანებდა მის ალერსს, მერე უცებ გამეტებით მოუპირა ღონიერი თითები მაჯაზე, მყის ხელი შეუშვა, გაუღიმა.

ვიჩენცაში დიდხანს არ გაგრძელებულა მისი საუბარი ბატონ დელა სკალასთან. გონიერი, ენერგიული იტალიელი კეთილად იყო განწყობილი ჰერცოგის ასულის მიმართ, რადგან მასთან მოკლედ და საქმიანად შეიძლებოდა ლაპარაკი. მარგარიტამ მიუკიბ-მოუკიბავად განუცხადა, ყრმა ალდრიგეტოსთან ეპიზოდი დასრულდაო. მეგობრული, თბილი მოგონებები დარჩება ამ ბიჭუნაზე, მაგრამ ვინაიდან სურს, რომ ეს მოგონებები უცვლელად ჩაიბეჭდოს გულში, დელა სკალას სთხოვს, რაიმე იღონოს ისეთი, რომ ეს ბიჭუნა გააქრონ. კან გრანდემ ყურადღებით შეხედა თავისი წაბლისფერი, გადმოკარკლული თვალებით, ენერგიულ, დაკუნთულ სახეზე რომ უელავდნენ, მიუხვდა სათქმელს, თავაზიანად დაუკრა თავი.

ზაფხულის პაპანაქების შემდეგ მარგარიტას შვება მოჰგვარა მშობლიური მთების ნიავმა. დიდი ზარ-ზეიმით არ დახვედრიან. ქვეყანა იტანჯებოდა. არტურის წრის მიუნხენის მთავრობა, აგნესას ჭირვეულობას აყოლილი, ცდებს ატარებ-

და ტიროლში, რითაც მძიმედ დაასნეულა ქვეყანა. ქალაქები უკაცრიელდებოდა, გაღატაკებული გლეხობა გმინავდა.

„დრუნჩიანი საბოლოოდ დაგვღუპავს. სისხლს გამოგვწოვს. ახლა, როცა მარკგრაფი მკვდარია, ცხადი გახდა, რომ ყოველი სიკეთე მისი ხელიდან გამოდიოდა, ყოველი ცუდი კი მარგარიტასგან“. მარგარიტამ მტკიცედ მოზიდა სადავეები. აღმოფხვერა ყველაზე საშინელი ბოროტმოქმედებანი, შეაჩერა მიუნხენიდან მომდინარე ბრძანებების აღსრულება. ხალხმა შვებით ამოისუნთქა: „ოჰ, როგორც იქნა, გამოგვესარჩლა აგნესა ფონ ფლავონი! დალოცვილია, ულამაზესი! ჩვენი ანგელოზია, ჩვენი მხსნელი!“

მარგარიტა ფონ შენას სასახლის ლოჯიაში იჯდა მასპინძელთან ერთად. კედლის ნახატებზე მიაბიჯებდნენ ფერადფერადი რაინდები, აყვავებული ხეობის გარეული, ლომოსანი რაინდი.

— რა კარგია, რომ გაიღვიძეთ! რომ გაიღვიძეთ! — თქვა ბატონმა ფონ შენამ.

ცად მიილტვოდნენ მთები, სხივმოსილნი და ალერსიანნი, ქვის ტალღები ერთმანეთს ეზვირთებოდნენ. გრილი სიო უბერავდა, მწიფდა მზით შეფერილი ხილი და ყურძენი.

— რატომ უფრო ადრე არ გამაღვიძეთ? — ჰკითხა მარგარიტამ.

— მარტოს უნდა გამოგევლოთ ეს ზაფხული, ჰერცოგის ასულო მარგარიტა, — უთხრა ფონ შენამ.

ფრაუენბერგმა ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა:

— დასანანია, რომ ასე მალე დასვით წერტილი, ჰერცოგის ასულო მაულტაშ. მშვენიერი ბიჭუნა იყო, ოქროსფერი, ქათქათა, სამხრეთელი. თანაც უსაზღვროდ ერთგული. ასეთებს ყოველდღე როდი შეხვდება ადამიანი. აბა აქ რა ყრია? შრომა, ტალახი, ნეხვი. გეცლიათ ამ მიუნხენელი ქეციანებისათვის, ბარემ მთლად გაცოფებულიყვნენ. თვითონვე გაიგუდებოდნენ სიშმაგისაგან.

ძნელი იყო მოგზაურობა თოვლიან იანვარში, მაგრამ ჰერცოგის ასული მაინც გაეშურა მიუნხენში. უნდოდა საკუთარი თვალით ეხილა, თუ როგორ პარპაშებდა ბავარიაში არტურის წრე. უნდობლად, ოფიციალურად შეხვდნენ დედაქალაქში.

როცა მარგარიტამ მაინჰარდს მაგრად მოჰკიდა ხელი და ახსნა-განმარტება მოსთხოვა, ყმაწვილი უმწეოდ ალუღლუღდა და სულელური ღიმილით განუცხადა, ჩემს მეგობარ რაინდებთან ერთად ვმართავ ქვეყანასო; რაღაც იბუტბუტა „დედაკაცის მმართველობაზე“, ბოლოს საგანგებოდ გაიჯგიმა და ლექსივით ჩაარაკრაკა ფრიდრიხისაგან განაგონი არისტოკრატიული პრინციპები, რომლებმაც გამარჯვება უნდა იზეიმონ მდაბიოთა და წვრილ მოხელეთა ახლანდელ ძალაუფლებაზეო. მარგარიტა ლანდსჰუტელ უფლისწულსაც ესაუბრა. ტანადმა, ქედმაღალმა ჭაბუკმა ზრდილობიანად განუცხადა, რამდენადაც ვიცი, სრულწლოვანი ბრძანდება მაინჰარდი, და ვისაც სურს, იმას მიანდობს სახელმწიფო ბეჭედს! თქვენს მშობლიურ რჩევა-დარიგებებს კი, რაღა თქმა უნდა, გულისყურით შეხვდებიანო. ეგ იყო და ეგ. სხვას ვერაფერს გახდა ჰერცოგის ასული.

ყველგან აგნესას სუფევას გრძნობდა. მისი ამორჩეული ფერები, მისი ზნე-ჩვეულებანი, ჭირვეულობა, გემოვნება, მიდრეკილება განსაზღვრავდა სამეფო კარის სახეს, ქვეყნის მმართველობის ხასიათს.

აგნესამ, როგორც ამას სათანადო წესი და რიგი მოითხოვდა, ჰერცოგის ასული მოინახულა. თავმდაბლად იჯდა ეს ტანკენარი ქალი მახინჯი, მოუხეშავი, ფერ-უმარილით გაზიპული, მორთულ-მოკაზმული მარგარიტას წინ. სახეზე გამარჯვების რწმენით აღსავსე თავაზიანი ღიმილი ეხატა, თავისი ღრმა ცისფერი თვალებით მრისხანე, გამჭოლ თვალებში შეჰყურებდა მეტოქეს. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. ალმოკიდებული სანდლის ძეშის სურნელება ავსებდა დიდ უღიმღამო ოთახს.

— თქვენ ახლა მუდმივად ბავარიაში ცხოვრობთ, გრაფის ასულო აგნესა? — თბილი, დაბალი ხმით ჰკითხა მარგარიტამ.

— სულაც არა, ჰერცოგის ასულო, — მკვახედ მიუგო აგნესამ. — ამ დღეებში ტაუფერსში ვაპირებ დაბრუნებას. თუმცა ჩემი იქ ყოფნა აუცილებელი არაა, ვინაიდან საქმის მცოდნე მოსამსახურეები მყავს; თანაც ბატონმა ფონ ფრაუენბერგმა პატივი დამდო და ჩემი მამულის მოვლა-პატრონობა იკისრა.

მდუმარედ და გულისყურით შესცქეროდა ჰერცოგის ასული აგნესას. ცოტა სიმსუქნე კი შეჰპარვოდა, მაგრამ კანი ძვე-

ლებურად ჰქონდა გადატკეცილი. მოქნილად, ლაღად იჯდა მარგარიტას წინ; ნაზი ყელი, რომელსაც ერთი ნაოჭიც კი არ აჩნდა, კენარად ამოზიდვოდა თალხი კაბის გულისპირიდან. ყმაწვილკაცების თაყვანისცემა, ალბათ, უკეთესი მალამო იყო მისი ახალგაზრდობის შენარჩუნებისათვის, ვიდრე აბაზანები და ფერ-უმარილი. თავდაჯერებულად, გამარჯვებული იერით იჯდა იგი, დამცინავი ღიმილიც კი გაჰქრობოდა ბაგეთაგან.

— ბოლო ხანებში დიდ დროს უთმობთ პოლიტიკას არა? — ჰკითხა მარგარიტამ.

— არა, ქალბატონო, — მიუგო აგნესამ და უცებ დაიძაბა. — ბატონი ჰერცოგი და უფლისწული ფრიდრიხი ზოგჯერ აზრს მეკითხებიან ხოლმე. უარის თქმა არ შემიძლია, ანკი რატომ არ უნდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება? მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ერთი სულელი ქალის აზრია და არაფრის პრეტენზია არა აქვს. — მეტისმეტად თავაზიანი კილოთი ესაუბრებოდა აგნესა ჰერცოგის ასულს.

— მე ვფიქრობ, თქვენი მოსაზრებანი ყოველთვის როდია სწორი, გრაფის ასულო აგნესა, — უთხრა მარგარიტამ. — გულახდილად რომ გითხრათ, დარწმუნებულიც კი ვარ, რომ თქვენი რჩევა ზიანს აყენებს ქვეყანას. მე მინდა ერთი რამ შემოგთავაზოთ, — განაგრძო მან ხალისიანი, თითქმის ხუმრობის კილოთი. — უკეთესი ხომ არ იქნება, მომავალში მხოლოდ ბავარიაზე რომ გამოთქვამდეთ თქვენს მოსაზრებებს?

აგნესამ კილო აუბა და გულითადი ხუმრობის ტონითვე უპასუხა:

—თქვენ ჩემი სიუზერენი ბრძანდებით, ჰერცოგის ასულო. მაგრამ განა ჰერცოგი მაინჰარდიც ჩემი სიუზერენი არ არის? როგორ უნდა მოვიქცე, თუ ჰერცოგს აუცილებლად სწორედ ჩემი აზრი აინტერესებს ტიროლის საქმეებზე? სულითა და გულით რომ მოვინდომო თქვენი ბრწყინვალების ყოველი სურვილის შესრულება, როგორ შემიძლია თავი ავარიდო მაინჰარდის მოთხოვნას და არ მოვახსენო ჩემი მართლაც რომ სულელური შეხედულებანი? ეგეც არ იყოს, განა თქვენი ერთი სულის შებერვა არ იკმარებს, რომ ჩემი სულელური ნალაყბევი მაშინვე ქარს გაჰყვეს?

მანდილოსნები ერთმანეთს შესცქეროდნენ, ორივენი იღი-

მებოდნენ. ლამაზ ქალს ბაგეთა ირგვლივ და თვალებში გამარჯვების გამომეტყველება გაუკრთა. სხვა საგანზე გადაიტანეს საუბარი. მიუნხენის სასახლის შენობაში რაღაც ცვლილებები მომხდარაო, თმის სამაგრი ახალი ბადის მოდა შემოსულაო პრაღიდან. მარგარიტას შეღებილ, სპილენძისფერ მშრალ და ხეშეშ თმაზე ოქროს მძიმე ბადე ეხურა, აგნესამ დაუდევრად გადაისვა ხელი ხშირ ოქროსფერ თმაზე: ვერა და ვერ შევეგუე ამ ახალ მოდასო.

იმპერატორი კარლოსი ნებიერად ცხოვრობდა ნიურნბერგში. ბოლო არ უჩანდა ქეიფებსა და ტურნირებს; ღებულობდა ქალაქის საბჭოს წევრებს, უცხო ქვეყნების მხატვრებს, მეცნიერებს. ხახგრძლივად, მშვიდად, საინტერესოდ ესაუბრებოდა მათ. აქ, პროვინციაში, იგი გულარხეინად ისვენებდა სახელმწიფო საქმეთაგან. მონაწილეობდა დიდ საკარნავალო ზეიმებში, რომლებსაც ეს მდიდარი ქალაქი აწყობდა მისი — რომის იმპერატორობითი უდიდებულესობის პატივსაცემად.

იმპერატორს ოთხკუთხად შეკრეჭილ წვერში ჭაღარა გამოერია, გამხდარი სახის კანს ნაცრისფერი დაედო და ნაოჭები გაუჩნდა. მაგრამ ოდნავ პაჭუა ცხვირს ზემოთ თვალები ცოცხლად უკიაფებდნენ, აწოწილ ძვალტყავა სხეულს ჯერაც შერჩენოდა მოქნილობა და სიმტკიცე.

იმპერატორი კმაყოფილი იყო. დაახანა, სანამ ძალაუფლება არ განიმტიცა, და მერე გაიჩინა შვილი. უფალმა აკურთხა მისი წინდახედული თავშეკავებულობა: ვაჟიშვილი შეეძინა, დიდი, ჯანსაღი ბავშვი, რომელიც იმპერიის მემკვიდრედ გამოადგებოდა. გაბედნიერებულმა მამამ აახენს ბავშვის წონა ოქროს ზოდი შესწირა. მერე მუხლი მოიყარა თავისი რელიკვიების წინაშე და წმინდანთა ნაწილებს შეღაღადა:

— მე, კარლოს მეოთხეს, რომის იმპერატორს, მყავს მემკვიდრე ძე. ძვირფასო, სათაყვანებელო წმინდანებო, წმინდა მოწამენო, ილოცეთ ვენცელისათვის, ჩემი ვაჟიშვილისათვის!

კმაყოფილი იჯდა ახლა ნიურნბერგში, ხარობდა თავის პოეტებთან და ხუროთმოძღვრებთან ურთიერთობით, პოლიტიკას გაურბოდა, ებაასებოდა თავის კანცლერს, მრავლისმნახველ, ცხოვრებისა და ადამიანთა ავ-კარგის მცოდნე ღვთისმე-

ტყველს, ლაღად საუბრობდა საღვთო და მიწიერ საგნებზე, ამ-დიდრებდა თავის რელიკვიათა და სხვა განძეულთა კოლექ-ციას, მარხილით სეირნობდა, მასკარადებით, ტურნირებით ერთობოდა.

და აი, ასეთი უღრუბლო თავშექცევის დროს, სად იყო და სად არა, უსახური ჰერცოგის ასული გამოეცხადა. ფრიად გა-ნაცვიფრა ამან იმპერატორიცა და მასთან დაახლოებული პირ-ნიც. მას შემდეგ, რაც კარლოსმა ერთხელ ალყა შემოარტყა მას ტიროლის ციხეში, საკმაოდ ცივი და ოფიციალური ურთი-ერთობა ჰქონდა მარგარიტასთან. მაულტაშის ჩამოსვლა, სწერდა იმპერატორის კანცლერი თავის მეგობარს, მაგდებურ-გის არქიეპისკოპოსს, განკითხვის დღის მოახლოების თხუთმე-ტი მანიშნებლიდან ერთ-ერთია. კანცლერი კარგა გვარიანად ლანძღავდა ამ გერმანელ მესალინას, ამ თანამედროვე კრიმ-ჰილდეს, რომელიც ურცხვად გამოცხადდა სამეფო კარზე, თუმცა მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ პირადი სიყვა-რულისა და პირადი სიძულვილის გამო მწუხარებასა და სიღა-რიბეში ჰყავდა თავისი ქვეყანაცა და თავისი ხალხიც. ისიც აღწერა, თუ როგორ იჯდა ტურნირზე ულამაზეს პრინცესა ჰოჰენლოეს გვერდით ლოჟაში ზორზოხა, მეპეპებიანი, გომბე-შოს მსგავსი, მიკიტანივით გაბერილი მარგარიტა.

კარგ გუნებაზე იყო იმპერატორი, თავის ყოფილ რძალს გულთბილად, ოდნავ შესამჩნევი დაცინვით შეხვდა. ჰაი, ჰაი, რომ ოდესღაც ორთავენი ახალგაზრდები იყვნენ. იმ ხანებში კარლოსის უმთავრესი საზრუნავი ის იყო, რომ როგორმე აღეკვეთა მამამისის მიერ იტალიაში წამოწყებული ავანტიურა, და ისინიც ხშირად საუბრობდნენ ხოლმე ერთმანეთთან გულახ-დილად. გონიერი ხელმწიფეა მაულტაში, მაგრამ, ჩანს, ზომა არ იცის. გაუმაძღრად ცდილობდა ყოველივეს დაწაფებოდა, ამიტომაც ყველაფერი დაკარგა. მან კი ჭკვიანურად შეძლო აე-ლაგმა თავისი ტემპერამენტი, რომის იმპერატორი გახდა, ვა-ყიშვილიც ჰყავს, რომელსაც შეუძლია მემკვიდრეობად დაუტო-ვოს მტკიცედ ნაგები სახელმწიფო. მარგარიტა კი აქეთ-იქით დაეხეტება, მაშინ როდესაც მისი სუსტი, კვიმატი ბიჭი, რომე-ლიც სათამაშოდ გაუხდია ყველას, ვისაც კი ამის ძალი შეს-წევს, უაზროდ აქუცმაცებს მის სამფლობელოს. კარლოსის

ძმა, იოჰანი ოდესღაც სამარცხვინოდ თავლაფდასხმული გაძევა მარგარიტამ ტიროლის ციხიდან, მერე კურიის წინაშე ისე შეატრიალეს საქმე, თითქოს მას იოჰანისაგან ჯანსაღი მემკვიდრე ვერ ეყოლებოდა. იმპერატორმა ცთუნებას ვერ გაუძლო და ჰერცოგის ასულს მაინც წარუდგინა იოჰანის ლამაზი, მოხდენილი ვაჟიშვილი. აბა თქვას ახლა მაულტაშმა, ვის უფრო უკეთესი მემკვიდრე ჰყავს — მას თუ იოჰანს?

მაგრამ ყოველივე ეს წარსულში იყო. მარგარიტამ ხმისამოუღებლად მოითმინა დაცინვა და დამცირება; მშვიდად იყო, იქნებ შენდელ ჰირშისაგან ისწავლა, რომ ყოველგვარი წინასწარი ფორმალობა მოეთმინა, ოღონდ კი თავისი მიზნისათვის ძიელწია. მერე კი მოჰყვა სამდურავს. უკმაყოფილება გამოთქვა არტურის წრის რაინდების უაზრო ბოროტმოქმედებათა გამო. იმპერატორი უსმენდა: ანცი ბიჭივით გულში ნიშნის მოგებით დასცინოდა. სავსებით თანაგიგრძნობო, დაარწმუნა, მაგრამ ისიც დასძინა, სწორედ ახლა, მრავალი წლის დაძაბული სახელმწიფო მოღვაწეობის შემდეგ, ცოტაოდენი დასვენების უფლება მივეცით თავს. ბოლოს და ბოლოს ყოველივე ეს ვიტელსბახების პირადი საქმეა. მიუხედავად ამისა, პრაღაში რომ დავბრუნდები, პატივს დაგდებ და მაგ საჩივარს განვიხილავო. მეორედაც შეეცადა მარგარიტა ზეგავლენა მოეხდინა იმპერატორზე, მაგრამ კვლავ ხელი მოეცარა და ტყუილუბრალოდ დაიმცირა თავი. კარლოსს, როგორც ჩანს, მტკიცედ გადაეწყვიტა შორიდან ეყურებინა ვიტელსბახთა გვარეულობის შინაგანი დაკნინებისათვის და თვითონ კი გულცივი ნეიტრალიტეტი დაეცვა.

საერთოდ კი, ასაკმოკიდებული იმპერატორი ჰერცოგის ასულს ოდნავ დამცინავი, ლამის პაროდიული გალანტურობით ექცეოდა, რაც სხვა დროს ძალიან გულს ატკენდა მარგარიტას. კარლოსს განსაკუთრებით სიამოვნებდა თავისი მოზეიმე არდადეგების უზომო მხიარულების, თავისი ბედნიერების, თავისი წარმატებების წარმოჩენა საბოლოოდ გასულელებული, დამარცხებული, პატივმოყვარე ჰერცოგის ასულის წინაშე. თავის კახცლერთან ერთად უბოროტოდ დასცინოდა მახინჯ მარგარიტას. იგი კი, ძვირფასეულობით დახუნძლული, ვითარცა კერპი, წარბშეუხრელად გვერდიდან არ სცილდებოდა იმ-

პერატორს. ხალხი გაოცებით შეჰყურებდა მარგარიტას. ჰერ-ცოგის ასულს კი მხოლოდ თავისი მიზანი ედგა თვალწინ: ტი-როლი, ქალაქები, აგნესას გაძევება, ქვეყნის გამოგლეჯა მისი კლანჭებიდან. ისე აჰყოლოდა ამ გულის ზრახვას, ვერც კი ხვდე-ბოდა, რომ სამეფო კარისათვის, მთელი ქალაქისათვის კარნა-ვალის სასაცილო გვირგვინად ქცეულიყო.

ჰერცოგის ასულთან საუბარმა დიდად გაამხნევა აგნესა. მარგარიტამ ზავი შესთავაზა მას, ბრძოლის გაგრძელებაზე უა-რი თქვა. პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ დამარცხებულად აღიარა თავი.

აგნესამ იცოდა, რომ არტურის წრეს თავისთავად არ ძა-ლუძდა ძალაუფლების ხანგრძლივად შენარჩუნება. ქალაქები, დიდგვაროვანნი, რომლებიც ამ წრეში არ იყვნენ გაერთიანე-ბულნი, ვერ იტანდნენ მას. საზღვარზე ჰაბსბურგი დადარაჯე-ბულიყო, ვიტელსბახიც იმუქრებოდა. ახლა თუ ჰერცოგის ასულიც შემოუტევდა სამხრეთიდან, მოკავშირის გარეშე ვერა ძალა ვერ იხსნიდა ქვეყანას.

მაგრამ ფრიდრიხს სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა ამაზე. ტანადი, შავგვრემანი უფლისწული ჯიუტად იმეორებდა მყვი-რალა ფრაზებს საკუთარ უფლებამოსილებაზე, თავისი მახვი-ლის უძლეველობაზე. აგნესას ძალიან მოეწონა ფრიდრიხი, მაგრამ უნებურად მოაგონდა ფრაუენბერგი, რომელსაც სი-ტყვის უთქმელად, ერთი დამცინავი ბოროტი გაღიმებით შე-ეძლო მთელი ეს ბიჭური გზნება არარად ექცია. აგნესამ ზან-ტად ამოიოხრა, უფლისწულს შავ თმაზე ხელი გადაუსვა, ფრთხილად დაუწყო შეგონება — მამაშენს, ჰერცოგ სტეფანს, შეურიგდიო. არწმუნებდა, ვიტელსბახები უნდა შეკავშირდეთ ჰაბსბურგისა და დრუნჩიანი მარგარიტას წინააღმდეგ საბრ-ძოლველადო. გველნაკბენივით შეკრთა ფრიდრიხი, მსწრაფლ შემობრუნდა, თავი ჯიუტად ასწია, საშინელ შეურაცხყოფად მიიღო ასეთი რჩევა — როგორ გამიბედეს დაზავების შემოთა-ვაზებაო. აგნესა დუმდა, თამამად მოხაზული ბაგეებით იღი-მებოდა, კვლავ თმაზე ეალერსებოდა უფლისწულს.

ორი თუ სამი კვირის შემდეგ სტეფან ქვემობავარიელმა რაინზე კავშირი შეკრა უმცროს და უფროს პფალცგრაფებ

რუპრეხტებთან, ქალაქის საბჭოსთან, მიუნხენისა და ბავარიის სხვა თერთმეტი ქალაქის ბიურგერებთან, აგრეთვე ოცდაორ ბავარიელ ბარონთან იმათ წინააღმდეგ, ვინც არტურის წრის რაინდებს უწოდებდნენ თავიანთ თავს და შუაში ჩაუდგნენ ჰერცოგ მაინჰარდსა და მის ადგილ-მამულებს, ქვეშევრდომებს. მოკავშირეებმა უარი თქვეს ეცნოთ მინისტრები, რომლებმაც ხელთ იგდეს მაიხჰარდის პრეროგატივები და ძალაუფლება, მისი მთელი უფლება-მოვალეობანი; ძალადაკარგულად გამოაცხადეს არტურის წრის ბეჭედი, გააუქმეს მათ მიერ გამოცემული კანონები და განკარგულებები. მოკავშირეებმა თავს იდვეს ვალდებულება, გამოეხსნათ ახალგაზრდა ჰერცოგი იმ სამარცხვინო მდგომარეობიდან, რომელშიც ჩააგდო იგი არტურის წრემ, ზეგავლენა მოეხდინათ მასზე, რათა სწორად გაეგო თავისი მეფური ძალაუფლება და უფრო გონივრულად გამოეყენებინა იგი.

არტურის წრის რაინდები საშინლად გაშმაგდნენ, მუქარით აიკლეს იქაურობა, მძევლად აიყვანეს რამდენიმე მიუნხენელი მოქალაქე, ქეციანი ძაღლებივით ფეხებით დაკიდებთ მეამბოხეებსო, განაცხადეს. ამ ხანებში კი ობერლანდის რამდენიმე ქალაქში განაიარაღეს და ტყვედ წაიყვანეს არტურის წრის ჯარები, მაგრად მიბეგვეს გადასახადთა ამკრეფი მოხელეები. არტურის წრის მიუნხენელმა წევრებმა მძევლებზე იყარეს ჯავრი, აბუჩად იგდებდნენ, იატაკის ფიცრებს ალოკვინებდნენ, ორი კაცი ჩამოახრჩვეს. მიუხედავად ამისა, წრის რაზმები დღითი დღე ილეოდნენ, ხოლო ჩრდილოეთით ჰერცოგი სტეფანი თავს უყრიდა ლაშქარს. მაგრამ პირველულ ბარონებს ფიქრადაც არ მოსვლიათ თავიანთი კავშირის დაშლა. მიუნხენის სასახლის მთავარ დარბაზში ხმლები გადააჯვარედინეს და საზეიმოდ ფიცი დადეს, რომ ერთსულოვნებას შეინარჩუნებდნენ და ბოლომდე იბრძოლებდნენ. ამ სცენას ჰერცოგი მაინჰარდიც ესწრებოდა, შეცბუნებული იდგა, საზეიმოდ მორთული, ბრიყვული იერით; სრულიად ზედმეტი იყო აქ, მალულად ეალერსებოდა თავის ზაზუნა პეტერს, გაცხარებით გაჰყვიროდა სხვებთან ერთად, როცა ისინი ფიცს დებდნენ, რომ არასოდეს, არასოდეს, არასოდეს არ დამორჩილდებოდნენ.

ამის შემდეგ აეწეწ-დაეწეწა ცხოვრება ახალგაზრდა ჰერ-

ცოგს. კარგად ვერც კი მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის თავს. უთავბოლოდ დაახეტებდნენ არტურის წრის რაინდების ციხე-კოშკებში, მოატარეს ლაბერის, პინცენაუს, მაქსლრაინის, აბენსბერგის ციხეები. ახალგაზრდები ნადირობდნენ, ლოთობდნენ. დროდადრო თავს ესხმოდნენ რომელიმე ურჩი ბარონის ციხეს. ხელთ იგდეს ვერტის ციხე, ობერ-ეგერმაისტერ ფონ კუმერსბრუკის — განსვენებული მარკგრაფის ნდობით აღჭურვილი პირის — ორი გამაგრებული ციხე-კოშკი. ჰერცოგის ხელმოწერილი ღონისძიებანი თანდათან ველურ და უაზრო ხასიათს ღებულობდნენ. საბაზრო სოფელი, რომლის შემოსავალი მოსალოდნელზე ნაკლები აღმოჩნდა, პირწმინდად გაასწორეს მიწასთან, ნეიტრალურად განწყობილი კუმერსბრუკი გაუსამართლებლად დასაჯეს სიკვდილით. ასეთ ღონისძიებებს შედეგად ის მოჰყვა, რომ ყველა ნეიტრალური ფეოდალი მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა.

მაინჰარდი სუსტი ჯანის ყმაწვილი იყო, გაუჭირდა ამდენი ნაჩქარევი და ხიფათიანი მოგზაურობა. სხვები რომ ლოთობდნენ, იგი მოწყენილი იჯდა, არაფერი აინტერესებდა, ზოგჯერ სკამზეც კი ჩამოეძინებოდა ხოლმე. მისი მოგზაურობა ბოლო ხანებში გაქცევას უფრო ჰგავდა. არტურის წრის რაინდები სამხრეთში აღარც ერთ ქალაქს, აღარც ერთ ციხეს აღარ ფლობდნენ. დევნილნი თანდათან დუნაისკენ იხევდნენ, სადაც ყველაზე საიძედოდ გამაგრებული ციხეები ჰქონდათ. ჯერ კიდევ აწერდნენ ხელს უტიფარ ბრძანებულებებს, უმკაცრესი სასჯელით ემუქრებოდნენ აჯანყებულთ. ჯერ ნოიბურგს შეაფარეს თავი, მერე — ერთგული აიხშტეტის ეპისკოპოსის მხარეს. ჰერცოგ სტეფანის ლაშქარმა მთელი ზემო ბავარია დაიპყრო. ბოლოს კი მაინჰარდი და მისი უკანასკნელი მომხრეები ალტმიულტალის დაბლობზე ფოიხტვანგენის ციხეში გამოიმწყვდიეს. აიხშტეტის ეპისკოპოსმა გადაწყვიტა გადაცმული გაპარულიყო ჰერცოგ მაინჰარდთან ერთად. ახალგაზრდა ჰერცოგი აღტაცებით დათანხმდა; ძალიან მოეწონა ტანსაცმლის გადაცმა, მაგრამ კარგად მაინც ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის ირგვლივ. ფოიხტურგს მიაღწიეს თუ არა, გლეხებმა ციცნეს, შეიპყრეს და უკანვე გააბრუნეს, ჰერცოგ სტეფანს მიჰგვარეს ინგოლშტადტში.

ფოიხტვანგენის ციხე დაეცა. უფლისწული ფრიდრიხი

არტურის წრის უკანასკნელი რაინდები ტყვედ ჩავარდნენ.

და აი ინგოლშტადტის სასახლეში პირისპირ იდგნენ ჰერცოგი სტეფანი და უფლისწული ფრიდრიხი. იქვე იყო აგნესა ფონ ფლავონ-ტაუფერსი. თოროსანი ჰერცოგი ბობოქრობდა: დაინგრა ქალაქები და სოფლები, დაიხოცა ხალხი, გაიფლანგა ფული! და ყოველივე ეს მოხდა იმ ბრიყვი ბიჭის მიზეზით! სალდათურად ღრიალებდა, ბოინჯოსფერ სახეზე სქლად ჩამოშლოდა ულვაშები. მის წინ ტანკენარი ჭაბუკი იდგა, ველური სიჯიუტით უელავდა თვალები, დაჭრილი ხელი ჩამოება, სახეზე მიწისფერი ედო.

— ცოდვას ეკლესიაში მოინანიებ, მთელი ხალხის თანდასწრებით აღიარებ მორჩილებას! — გრგვინავდა მამამისი. ჭაბუკი ბოროტად იღიმებოდა. — ყველაზე მყრალ დილეგში ამოგალპობ! — ცოფმორეული ყვიროდა ჰერცოგი.

აგნესა ხან ერთთან მიგოგმანდებოდა, ხან მეორესთან.

— სახვევი გამოსაცვლელია, — მზრუნველად წარმოთქვა ქალმა, ფრიდრიხის დაჭრილ ხელს სათუთად შეეხო.

— ოი, ეს ექიმები! — ბრაზობდა ჰერცოგი. — ყველანი შარლატანები არიან! — თვითონვე გაიქცა ექიმის მოსაყვანად, შესახვევი მასალის მოსატანად. — წყეული ჭინკა! — ილანძღებოდა იგი.

აგნესამ კარგი შუამავლობა გასწია. ცხარე კამათის შემდეგ ბოლოს და ბოლოს შეთანხმდნენ. არტურის წრის ყოველი რაინდის ბედიღბალზე, შეწყალების ან ამა თუ იმ სასჯელის თაობაზე თავიდან იწყებოდა ცხარე კამათი, მრისხანე აბობოქრება, ყვირილი, ლანძღვა-გინება. ჰერცოგმა სტეფანმა ორჯერ გააგზავნა კაცი ჯალათთან — მზად იყავიო. ბოლოს რის ვაი-ვაგლახით შეთანხმდნენ. მაინჰარდს მუდმივ რეზიდენციად მიუნხენი მიუჩინეს, ბეჭედი კვლავინდებურად უფლისწულ ფრიდრიხს ექნებოდა, მაგრამ ყოველი მისი ბრძანება უნდა დაედასტურებინა ქვემო ბავარიის ანდა პფალცის საბჭოს. მიუნხენსა და ლანდსჰუტ-ინგოლშტადტს შორის შუამავლობა აგნესამ იკისრა.

ჰერცოგი მაინჰარდი მორჩილად და მადლიერად იღიმებოდა. ამდენი ალიაქოთის შემდეგ მოსვენება მონატრებოდა. თავის ზაზუნას ეალერსებოდა.

*

მარგარიტა თავის მინისტრებს ეთათბირებოდა. ბჭობას ესწრებოდნენ ფოგტი ულრიხ ფონ მაჩი, ხუცესი ჰაინრიხ ტიროლელი, ტევტონთა ორდენის ბოცენელი კომტური გრაფი ეგონ ფონ ტიუბინგენი, იაკობ ფონ შენა. ბერხტოლდ ფონ გუფიდაუნი, კონრად ფონ ფრაუენბერგი.

მას შემდეგ, რაც ჰერცოგმა სტეფანმა ძალაუფლებაც ჩაიგდო ხელთ და გავლენაც მოიპოვა ზემო ბავარიაში, რა გზას ვეწიოთო?

ვიტელსბახებთან შეიძლება საერთო ენის გამონახვა. უნდა შევურიგდეთ იმასაც, რომ ბავარია კი არ დაეშორჩილება ტიროლს, არამედ, პირიქით, ტიროლი—ბავარიას. მაგრამ ეინაიდან ფაქტიური რეგენტი, ჰერცოგი სტეფანი, მიუნხენში კი არა, ინგოლშტადტში ან ლანდსჰუტში ზის, მმართველობის ცენტრი არცთუ ისე ახლოსაა ტიროლთან, ცენტრალიზაცია და გაერთიანება ამით ძნელდება და მთიან ქვეყანას ერთგვარი ავტონომიის პირობები ექმნება.

მაგრამ ჰერცოგ სტეფანის წინააღმდეგ ჰაბსბურგის ამხედრებაც ხომ შესაძლებელია. ჰაბსბურგი მხოლოდ მიწოდებას ელოდება. მართალია, სრულ დამოუკიდებლობას ვერც ამ გზით მიაღწევენ, მაგრამ ძლიერი, მყარი ხელისუფლება მაინც ხომ უზრუნველყოფილი იქნება.

ზანტად ბჭობდნენ შეკრებილნი, აუჩქარებლად იწონებდნენ ან იწუნებდნენ ნათქვამს. ბოლმა ახრჩობდა მარგარიტას. ნუთუ არავის მოუვა აზრად ყველაზე მარტივი გამოსავალი? ნუთუ მას არ ენდობიან? ჯერ ფონ შენას შეხედა, მერე გუფიდაუნს. დაღლილი, უაზრო თვალებით გასცქეროდნენ ისინი სივრცეს.

საოცარი იყო, მაგრამ აზრი, რომელსაც ასე ელოდა მარგარიტა, სწორედ ფრაუენბერგმა გამოთქვა. ყურებამდე გაიღიმა და განაცხადა: რახან ახალგაზრდა ჰერცოგი მართლაც ასე უსუსურია და სხვის ხელმძღვანელობას საჭიროებს, რატომ არ უნდა მივანდოთ ეს ხელმძღვანელობა მის ბუნებრივ მეურვეს, დედამისს, ჰერცოგის ასულს, რომელსაც ბევრად უფრო ძნელბედობის დროსაც კი ჰეშმარიტი მმართველობა გაუწევია? რის მაქნისია ვიტელსბახებთან მოლაპარაკება? ისიც იკმა-

რებს, მაინჰარდი ტიროლში რომ ჩამოვიყვანოთ. თუკი ბავარიელი ვაჟბატონები დააწანწალებენ მას თავიანთ საზიზღარ მივარდნილ სოროებში, ნუთუ ღვთის ან ეშმაკის მეოხებით ვერ შეეძლებთ ჩვენ მის ჩამოყვანას ტიროლში, სადაც ისედაც ევალება მას ყოფნა. ხოლო როდესაც იგი თავის ქვეყანაში იქნება, მაშინ ტიროლი გახდება ბავარიის მბრძანებელი. ჰერცოგ სტეფანს დიდი ჭოკმანი დასჭირდება, სანამ დუნაის ნაპირებიდან სამხედრო ავანტიურას წამოიწყებდეს მთიანი ქვეყნის წინააღმდეგ. ასეც რომ მოხდეს, ჰაბსბურგის იმედი გვექნება, როგორც ბუნებრივი მოკავშირისა. უკიდურეს შემთხვევაში სათანადო საზღაურით შეგვიძლია ფორმალურად უარი ვთქვათ ზემო ბავარიაზე და ტიროლის ავტონომიას დავჯერდეთ.

ავტონომიური ტიროლი—მარგარიტას გეგმაც სწორედ ეს იყო. ბავარია კი დანართი იქნება, თუ მაინცდამაინც, უამისოდაც შეიძლება. მაგრამ ტიროლი კი ტიროლელებს უნდა ეკუთვნოდეთ!

უპირველეს ყოვლისა მაინჰარდი ჰერცოგ სტეფანის გავლენიდან უნდა გამოეხსნათ და მიუნხენიდან სამშობლოში ჩამოეყვანათ. ტახტზე ასვლის შემდეგ ახალგაზრდა ჰერცოგი არც კი ყოფილა თავის სამშობლოში. სავსებით ბუნებრივია, რომ ხალხს სწადდა მისი ხილვა.

ფონ შენასა და გუფიდაუნის წინადადებით ბოცენში ქვეყნის წარმომადგენელთა ხალხმრავალი თათბირი მოიწვიეს. მოვიდნენ ქერათმიანი ჯმუხი კაცები, რომელთაც მოკლე გაბუშტული ცხვირები და ზანტი, ეშმაკური თვალები ჰქონდათ, მოვიდნენ შავწვეროსანი, მზემოკიდებული ხმელ-ხმელი კაცები, ვაჟკაცური კეხიანი ცხვირები და ცოცხალი გამგმირავი თვალები რომ ამშვენებდათ, მოვიდა მთიანი ქვეყნის სამი მეფისნაცვალი, კერძოდ ტიროლისა, ეჩის ხეობისა და ინას ხეობისა, მოვიდნენ ჰოფმაისტერები, ფოგტები და ბურგგრაფები, მოვიდნენ მსხვილი და წვრილი ბარონები, ქალაქებისა და მხარეების წარმომადგენლები. სულ ას ორმოცდაცამეტმა კაცმა მოიყარა თავი. ბოცენის ბაზრის აფერადებულ მხიარულ მოედანზე ზაფხულის მიწურულის ორი დღე, ორი ჩახჩახა მუქი ცისფერი დღე გალიეს თათბირში. აწონ-დაწონეს სიძნელეები, დინჯად, აუჩქარებლად, ფრთხილად განსაჯეს ყოველივე, უხეში, წრიპინა, ლა-

ღანა ხმები გაისმოდა. ეშმაკურად და ალალად შესცქეროდნენ ერთმანეთს თვალებში, მოუქნელად, მდოვრედ, მიამიტურად იქცეოდნენ, ხიფთანის კალთით იწმენდნენ სახიდან ოფლს. მთები კი იდგნენ, მურა-მეწამულნი, სოსანისფერნი, სულ ზევით კი თეთრად მოქობილნი.

გადაწყვიტეს წერილი მიეწერათ ახალგაზრდა ჰერცოგისათვის. ბარონების სახელით შვიდმა მოაწერა ხელი: უფროსმა ულრიხ ფონ მაჩმა, შენამ, ტროსტბურგმა, ჰაინრიხ ფონ კალტერნ-როტენბურგმა, გუფიდაუნმა, ფრაუენბერგმა, ბოჩ ფონ ბოცენმა; ბოცენმა, მერანმა, ჰალმა, ინსბრუკმა—ამ ოთხმა ქალაქმა დაუსვა ბეჭედი ყველა დანარჩენის სახელით.

წერილში ეწერა: „საყვარელო ჩვენო ბატონო! თქვენს მოწყალებას მოვახსენებთ, რომ ჩვენ—ბოცენში თავშეყრილნი, შევთანხმდით გთხოვოთ, რათა პირადად თქვენი, აგრეთვე მთელი ქვეყნის ღირსებისა და სარგებლობის გულისათვის დაბრუნდეთ ჩვენთან, რამეთუ ჩვენ დიდი ხანია გვწადია თქვენი ხილვა, როგორც უნდა იყოს კიდეც: თქვენ ხომ ჩვენი საყვარელი და კანონიერი ხელმწიფე ბრძანდებით. მეტი დაფასებაცა და პატივისცემაც გეკნებათ ჩვენთან, არცა არავინ გაგთვალავთ, როგორც გაგთვალეს ბავარიაში, რაზეც გვსმენია ჩვენ, და ქვეყანაცა თქვენი და ხალხიცა აქაური თავდახსნილი იქნებიან უცხოელთა ბოროტებისაგან. ჩვენთან, აქ, მთებში, ღვთის წყალობით, ყოველივე პატიოსნად და კეთილად ხდება, როგორც იყო ბედნიერ ჟამს—მამათქვენის დროს; ქვეყანაშიც და მის საზღვრებზეც მშვიდობა სუფევს. მოწყალეო ჩვენო ბატონო! გეაჯებით, ირწმუნეთ ჩვენი, რამეთუ კეთილი გვსურს თქვენთვის. გვერწმუნეთ, რომ მზადა ვართ თქვენ შემოგწიროთ მთელი ავლა-დიდება ჩვენი და სისხლი ჩვენი, და სხვათა კი ნუ მიენდობით!“

წერილი ფრაუენბერგმა წაიღო მიუნხენში. ბრწყინვალე ამალის თანხლებით გამოცხადდა და საზეიმო აუდიენციაზე გადასცა იგი დანიშნულებისამებრ. წარმატების იმედი სულაც არ ჰქონია, დარწმუნებული იყო, რომ სხვა ხერხის მომარჯვება დასჭირდებოდა.

ფრიდრიხმა სუფრაზე განაცხადა, რომ მისმა საყვარელმა ჰერცოგმა, ძვირფასმა ბიძაშვილმა მაინჰარდმა ტიროლის პრო-

ვინციიდან მიიღო ფრიად კურიოზული დოკუმენტი, რომელიც ჯერ კიდევ არ წაუკითხავს კეთილშობილი რაინდებისათვის. წერილი წაიკითხეს. დამსწრეებმა გაიღიმეს, მერე კი თავშეუკავებელი ხორხოცი ატეხეს. აგნესა იღიმებოდა, სეფექალები იცინოდნენ, როხროხებდნენ წელში ორად მოხრილი მამაკაცები. ხითხითებდნენ ლაქიები, სტვენდა მაინჰარდის ზაზუნა პეტერი. ჭყიოდნენ ბაყები.

— უჰ, ამ ტიროლელებს დამიხედეთ!—გაჰყვიროდნენ სიცილისაგან ჩაბჟირებულნი.

— დიახ, ასეთები არიან ჩვენი ტიროლელები!—წარმოთქვა მშვიდმა, ვარდისფრად ჩათქვირულმა ფრაუენბერგმა და ჩაწითლებული თვალები მოჭუტა.

—თქვენც ეგრე სასაცილოდ მიგაჩნიათ თქვენი ქვეშევრდომების წერილი, ბატონო ჰერცოგო?—ჰკითხა ფრაუენბერგმა. თუმცა მისი მისია წერილის გადაცემით დამთავრდა, მაინც დარჩა მიუნხენში და უმეტეს დროს მაინჰარდთან ატარებდა.

ახალგაზრდა ჰერცოგს მუდამ უსიამოვნო გრძნობა ეუფლებოდა ამ სქელი, გომბეშოსავით პირგახეული, ვარდისფრად აღაჟღაჟებული, პირტიტველი კაცის სიახლოვეს. მისი უხეში სითამამე შიშს გვრიდა ჭაბუკს. მაგრამ არც იმის ძალი შესწევდა, რომ განრიდებოდა. მოსწონდა კიდეც ეს ზონზროხა, მოცინარი, წივანა კაცი. სხვებს არა ჰგავდა იგი, უდიერად, მიუკიბ-მოუკიბავად, თავდაჯერებულად ლაპარაკობდა. რაღაც განსაკუთრებულ, ლამის სასიამოვნო უძლურებას განაცდევინებდა, მისი ნებისადმი მორჩილების სურვილს უღვივებდა. თვინიერი, ცოტა ყეყეჩი, ჩასუქებული ჰერცოგი გარდუვალი, შიშნარევი ცნობისმოყვარეობით გარს უვლიდა ალბინოსს.

ტიროლელთა წერილი მაინჰარდს სულაც არ ეჩვენა სასაცილო. პირიქით, სულსაც ეამა და გულსაც და მხოლოდ იმიტომ იცინოდა, რომ სხვები ხორხოცობდნენ და უტიფარ სისულელედ თვლიდნენ მას. ფრაუენბერგი, ასაკოვანი, გონიერი კაცი, ასე სერიოზულად რომ მოეკიდა ტიროლელთა წერილს, ნუგეში და დიდი სიხარული იყო ხაფანგში გამომწყვდეული, მოტყუებული ჰერცოგისათვის. ნდობით აღსავსე წერილმა რაღაც მიამიტური სიმშვიდე მოჰფინა მას. ერთი წუთით ისიც

კი მოეჩვენა, რომ არ არსებობდა არც მიუნხენი, არც მომქანცველი რაინდული ცერემონიალი, არც არტურის წრე, არც ვიტელსბახი. რა კარგია, ალბათ, მთის მდელოზე წოლა, მსუქან ძროხებს შორის, როცა ადამიანს მხოლოდ მსუბუქი ნიავის შრიალი და დროდადრო ძროხების ფშვინვა ესმით.

მის წინ ფრაუენბერგი იდგა, თვალებს ჭუტავდა. მაინჰარდი რაღაც ძალამ ახლოს მიიყვანა მასთან.

— ძალიან მიხარია, რომ სისულელედ არ მიგაჩნიათ ჩემი ტიროლელების წერილი,— უთხრა ჰერცოგმა და გულუბრყვილო, მრგვალი თვალები შეანათა მას.

— სისულელედ?—გზნებით შეესიტყვა ფრაუენბერგი.—იქ ყველა სიტყვა თავის ადგილზეა, ყოველი ასო მიზანს ხვდება! ვინც იმ წერილს დასცინოდა, თვითონ არის სულელი! ასე რომ არ იყოს, მე მას ხელს არ მოვაწერდი. მზადა ვარ დღესვე, ამ წუთშივე ორივე ხელი ისევ მოვაწერო მას!

მაინჰარდმა კიდევ ერთი გაუბედავი ნაბიჯი გადადგა ფრაუენბერგისაკენ.

— ო, როგორ დავიღალე და დავიბენი,—შესჩივლა მან.— ფრიდრიხიც უწინდებურად ალერსიანად როდი მექცევა. პირველად მეგონა, რომ ძალიან ადვილი იყო ქვეყნის მართვა. ახლა კი ვიცი: ერთნი ალთას მეწევიან; მეორენი ბალთას, ყველას ჩემი ხელში ჩაგდება სწადია.

ალბინოსმა თავისი საშინელი, სქელი ხელი მხარზე დაადო და წაისისინა:

— ეჰეი, ბიჭუნი, არ შედრკე, ბიჭუნი!

მაინჰარდი აკანკალდა ამ მსუქანი კაცის ხელის შეხებაზე, თავის დაღწევა უნდოდა, მაგრამ უფრო ახლოს მიეკრა.

— ახალგაზრდა ჰერცოგო, თქვენ მეგობრები გყავთ,—განაგრძო ფრაუენბერგმა, გაიღრიჭა და ალალად გაუსწორა თვალები.

მეორე დღეს ფრაუენბერგმა უთხრა:

— კაცმა რომ თქვას, რატომ ხართ ისევ აქ, ჰერცოგო? თუ თქვენი ტიროლელების წერილი გულს მოგეფონათ, მიჰყევით თქვენს გულისხმას!

ცხენებით სეირნობდნენ, სისხამი დილა იყო. ქვემოთ, მრავალრიცხოვან კლდოვან კუნძულებს შორის, მწვანე, ხასხასა

-იზარი ხმაურობდა, ვეებერთელა ტივი ფრთხილად მიჰყვებოდა წყლის დინებას, მეტივეები ხმაურობდნენ, გაჰყვიროდნენ, ცხენებმა ნაბიჯი შეანელეს. მაინჰარდი თავის ჩალისფერ ულაყზე იჯდა, დუნე, მსუქანი, თავჩაქინდრული.

— ეს ხომ არ შეიძლება,—მიუგო მან,—მე ხომ ეს არ შეიძლია.

— რატომ არ შეგიძლიათ? — დაჟინებით გაუმეორა კითხვა ფრაუენბერგმა. თავისი ცხენი გვერდით ამოუყენა, პატარა ბავშვივით აუწია ნიკაპი. ვინაა აქ უფროსი — თქვენ თუ სტეფანი?

— დიახ, ვინაა აქ უფროსი,—გაიმეორა მაინჰარდმა, მაგრამ მის ხმას სიფიცხე არ დასტყობია, ჭაბუკი ნაღვლიან ფიქრებს მიეცა. ალბინოსისადმი მისი ნდობა გაქრა, სევდა დაეუფლა, ვინაიდან იქ, ქვემოთ, ჩუხჩუხით მიედინებოდა იზარი, მას კი შიშსა ჰგვრიდა ფრაუენბერგი. ლამის იმავე დღეს სთხოვა ფრიდრიხს, უკანვე გაისტუმრეო იგი.

მეორე დილით ალბინოსს კრინტიც არ დასცდენია მაინჰარდთან ბავარიიდან წასვლაზე. მასთან ერთად მწვანე მოლზე იწვა მწიფობაში შესული ხეხილის ძირას. მღეროდა თავის სიმღერას შვიდ ნეტარებაზე და თან მამობრივად, გულღიად, მსუყედ განმარტავდა თავის შეხედულებებს. ასეთი მსოფლგაგება ძალიან მოსწონდა ახალგაზრდა ჰერცოგს. თავის ზაზუნას ეალერსებოდა, გულარხეინად იყო. ფრაუენბერგი გაიზმორა, სახსრები გაატკაცუნა, დაამთქნარა, ხვრინვა ამოუშვა. დიახ, ძილი ყველაზე უკეთესი რამაა. უცნაურად მონუსხული, მაგრამ მაინც ჩაშავებული, დამფრთხალი თვალებით შესცქეროდა მაინჰარდი ჩასუქებულ ფრაუენბერგს, რომელიც უდარდელად ხვრინავდა.

აგნესამ უთხრა ფრაუენბერგს:

— დიდხანს დაყოვნდით მიუნხენში, ბატონო ფრაუენბერგ. თქვენ ხომ დიდი თანამდებობები გიკავიათ ტიროლში. განა იქ საჭირო არა ხართ?

ფრაუენბერგი გაიღრიჭა, ისე ჩააქდო თავისი ჩაწითლებული თვალების მზერა, რომ ქალს სუნთქვა შეეკრა. სისინით მიუგო:

— რაღა თქმა უნდა, მხოლოდ თქვენი გულისათვის ვარ აქ, გრაფის ასულო აგნესა.

შეხვდნენ ერთმანეთს. ფრაუენბერგი მის დივანზე იწვა, საშინლად ცხელოდა. ოთახში დახუთული ჰაერი იდგა, სუნთქვაც კი ჭირდა. აგნესა ალერსით ხელს უსვამდა გაბიჟვინებულ, ვარდისფერ კანზე.

— განა მე უკეთესი წილი არ ავირჩიე?—ღიმილით უთხრა ქალმა.—მგონი გვარიანად მოვიწყე ცხოვრება.

ფრაუენბერგი გაიღრიჭა:

— ენახოთ, გვრიტუნია, ენახოთ.

ამაზე ამბობს, გვარიანად მოვიწყე ცხოვრებაო? გაიფიქრა ფრაუენბერგმა. აი მან კი მართლაც გვარიანად მოაწყო ყველაფერი. თუ ამ ბიჭის წაყვანას მოახერხებს ტიროლში, მისი მეშვეობით გამოჭერილი ეყოლება დედამისი, ხოლო დედამისის მეშვეობით—მისი შვილი. ფაქტიურად იგია ტიროლის რეგენტი. დიახ, იყავი მახინჯი, გონჯი, მაგრამ მაინც ყოველივეს მიაღწევ, თუ ცოტაოდენი ფხა გაქვს, ალღოიანად თუ წარმართავ საქმეს, ბედი თუ გაგიმართლებს.

კვლავაც შინაურულად ექცეოდა იგი ჭაბუკს, არ ჩქარობდა, ისევ და ისევ ამხნევებდა, აქებდა, აცდუნებდა, აღიზიანებდა, დაჟინებით აგულიანებდა. თავის მოკლე წითელ კლანჭებში იმწყვდეევდა. ტიროლისაკენ! დროა ტიროლს მიაშუროს მაინჰარდმა, დროა ეჩვენოს თავის საგრაფოს.

—მაშასადამე, გავიპაროთ?—გაუბედავად ლუღლუღებდა მაინჰარდი. რა გაპარვა, რის გაპარვა! მხოლოდ ეგაა, რომ დიდი ფაციფუცი არ უნდა ატეხონ და უხმაუროდ გაემგზავრონ. ერთხელაც იქნება გზას დაადგებიან მაინჰარდი. ფრაუენბერგი და ორი-სამი მსახური. დიდი ლაპარაკი არ სჭირდება ამას. ტიროლსა და ბავარიაში ისედაც ბევრს ტლიკინებენ. ამიტომაა სულ პატარა საქმეც რომ რთულდება. ამ კვირის ბოლოს უფლისწული ფრიდრიხი ინგოლშტადტში მიეშურება მამამისთან. ამ დროს წავლენ ისინიც. მაგრამ მეორე მხარეს, სამხრეთით, ტიროლისაკენ გაეშურებიან. დაე ზაზუნა პეტერმა კვლავაც იხილოს მშობლიური მთები.

— ჩემი შვილი ჩამოდის, ფონ შენა!—უთხრა მარგარიტამ და შავი მეტყველი თვალები აუკიაფდა. ფრაუენბერგს მალემს-

რბოლი გამოეგზავნა და შემოეთვალა—მაინჰარდი ბომყავსო.

— ძალიან გაიხარეთ არა, ჰერცოგის ასულო!—მიუგო საარივით აწოწილმა შენამ, დაიხარა, ალერსით მიაპყრო თავისი ნაცრისფერი, ძალზე დაბერებული თვალების მზერა,—აღარც კი მეგონა, თუ ოდესმე გახალისდებოდით.

მარგარიტა არ უსმენდა.

— ვიცი, რომ იგი უნიჭოა,—წარმოთქვა ქალმა.—ჩვენს ქვეყანაში ათასობით იქნებიან მასზე ნიჭიერნი. მაგრამ იგი ჩემი შვილია. იგი შექმნილია ჩვენი სამშობლოს მიწისაგან. აქაური ჰაერის, აქაური მთების წილი წილთაგანია. . მერწმუნეთ, ფონ შენა, იგი იხილავს ქონდრისკაცებს.

დიახ, მარგარიტამ კვლავ აღმართა ძველთაძველი იმედების დაფლეთილი, დახრილი დროშა. მთელი თავისი ნებისყოფა, სიცოცხლის მთელი ძალა ჩააქსოვა ვაჟიშვილის მოლოდინს. მოუხეშავი, უმარილით გათეთრებული ხელებით ეალერსებოდა თვინიერი, ჩასუქებული, ბენტერა ყრმის პორტრეტს.

წინ მსახური მიუძღოდათ, უკანაც მსახური მიჰყვებოდათ. მაინჰარდი და ფრაუენბერგი სამხრეთისაკენ მიაგელვებდნენ ცხენებს. წვიმდა. ოღროჩოღრო გზა ალაგ-ალაგ უსიერ ტყეში გადიოდა, ალაგ-ალაგ ჭანჭრობში იკარგებოდა. ძნელი იყო ავდრიან წყვდიად ღამეში სწორი გეზით სვლა. ისეთი თქეში წვიმა მოდიოდა, რომ ჩირაღდნების ანთება არც უცდიათ.

რაინდებს აბჯრები არ ეცვათ. სველ ტანსაცმელს ორთქლი ასდიოდა, ტყავის კოლეტები მძაფრ სუნს გამოსცემდნენ. მდუმარედ მიდიოდნენ. მძინარე სოფელს რომ ჩაუვლიდნენ ხოლმე, ძაღლების ყეფა ესმოდათ.

სოფელ ლენგრისში შეისვენეს. რამდენიმე საათის შემდეგ ფრაუენბერგმა გზის განგრძობა მოინდომა. მაგრამ დაღლილი მაინჰარდი უგუნებოდ იყო. თუმცა იმდენად ხანგრძლივ მგზავრობას არ მოექანცა, რამდენადაც განცდილ მღელვარებას. ყველაზე ძნელი გზა ჯერ კიდევ წინ ედოთ. დასახლებულ ადგილებს ერიდებოდნენ და ამიტომ უდაბური რისის გზით უნდა ევლოთ ტიროლისაკენ. ფრაუენბერგი მაინჰარდის ნებას დაჰყვა და სოფელ ლენგრისის ფუნდუკში გადაწყვიტა ღამის გათევა.

ფრაუენბერგი და მაინჰარდი თივაზე დაწვნენ პატარა ბნელ ოთახში. სენაკს დაბალი ჭერი ჰქონდა, ღუმელი ბოლავდა, მაგრამ არ ათბობდა, მყრალი სუნი იდგა. სარკმლიდან წვიმა და ქარი შემოდიოდა. ფრაუენბერგი გემრიელად ხვრინავდა. კუთხეში რაღაცას ხრავდა ვირთხა. მაინჰარდს ტანში ამტვრევდა დაღლილობისაგან, მაგრამ რული არ ეკარებოდა. კანი ექავებოდა, თვალები ეწვოდა. უბედურად, წამებულად რაცხდა თავს. ისიც კი აღარ ახსოვდა, თუ რისთვის მიდიოდა ტიროლში, სიამოვნებით დაბრუნდებოდა მიუნხენში. მაინჰარდს დედასთან შეხვედრა აშინებდა—იგი ხომ უზომოდ სქელი, მახინჯი, ძალაუფლების მოყვარე ქალია. ჭაბუკმა ალბინოსს გადახედა. ფრაუენბერგი ვეება ჯირკს ჰგავდა, მშვიდად ეძინა, ქშინავდა, ხვრინავდა. მაინჰარდს ეშინოდა მისი, მაგრამ ფრაუენბერგი ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც შეეძლო მისთვის შემწეობა აღმოეჩინა. უხეშად ნაჩორკნი კათხიდან, გვერდით რომ ედგა, გაუბედავად მოსვა ძალადაკარგული ლუდი, თვალი გააყოლა ბუზს, რომელიც ფრაუენბერგის სახეზე დაცოცავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, სულაც არ უფრთხობდა ძილს. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ხმადაბლა შეეხმიანა მძინარეს:

— ბატონო ფონ ფრაუენბერგ!

ალბინოსმა მაშინვე გაიღვიძა, უბოდიშო ხმით დაიწრიპინა:

— რა იყო?

— არაფერი, — დამნაშავესავით მიუგო ჭაბუკმა. — შიშმა ამიტანა... ვერ ვიძინებ.

— რაკი აგრეა, გზას გაუდგეთ,—გადაწყვიტა ფრაუენბერგმა და მაშინვე ზეზე წამოხტა.

— არა, არა,—ეაჯებოდა მაინჰარდი.—ცოტა კილაპარაკოთ. ალბათ ეს დამამშვიდებს.

— სულელი ბიჭი,—ჩაიბურტყუნა ფრაუენბერგმა.

— მამაჩემს რომელი უყვარდა მეტად—ტიროლი თუ ბავარია?—ჰკითხა მაინჰარდმა.

ფრაუენბერგმა თვალები მოჭუტა.

— ჯერ, ალბათ, ტიროლი, მერე ბავარია, — მიუგო მან.

— მერე კი მოკვდა, არა?—ჰკითხა ახალგაზრდა ჰერცოგმა.

— ჰო, მერე მოკვდა.

რამდენიმე საათი ღრმად ეძინა მაინჰარდს, და როცა გამო-

იღვიძა, ველარსად იპოვა ზაზუნა პეტერი. ახალგაზრდა ჰერ-ცოგი და მსახურები ძებნას შეუდგნენ. ფრაუენბერგი აბუზღუ-ნდა, დროს რატომ ვკარგავთო. ბოლოს მაინც იპოვეს მკვდარი ზაზუნა იმ თივაში, რომელზედაც ფრაუენბერგი იწვა: ზაზუნა, ალბათ, პატრონს გაუსხლტა და თივაში თავშეფარებული ფრა-უენბერგმა გასრისა თავისი მძიმე ტანით. მაინჰარდი ბწუხარედ მიეჩერდა მკვდარ პეტერს. ახალგაზრდა ჰერცოგს თითქოს დამ-ბლა დასცა დამთრგუნველმა სევდამ. უმწეო შიშით შესცქე-როდა ალბინოსს, რომელმაც გამოართვა მისთვის ესოდენ სა-ყვარელი საბრალო ზაზუნას მძორი, უკანა ფეხებში მოჰკიდა ხელი და სტვენით მოისროლა კუთხეში.

— ახლა კი ცხენებს მოვაჯდეთ!—ბრძანა მან.

მდინარეს აჰყვნენ აღმა. ხეობა თანდათან დავიწროვდა, უფ-რო დაიკლაკნა; ძნელად შესამჩნევი ვიწრო გზა კვალში ჩაუდ-გა ბობოქარი, მომწვანო-თეთრი მდინარის მიხვეულ-მოხვეულ კალაპოტს. ირგვლივ—გაუვალი ტყე, გაწუწული ხეები, ქვე-მოთ — აქაფებული, მღვრიე-მწვანე, უთვალავი მცირე კლდო-ვანი კუნძულებით დაფლეთილი, ხმაურიანი, სწრაფი მდინარე, ნაძვის კენწეროებს შორის — სევდიანი, რუხი ცა. დამრეცი კლდეები ზოგჯერ ისე ახლოს ებჯინებოდა გზას, რომ ცხენები მალიმალ ფრთხებოდნენ და რის ვაივაგლახით განაგრძობდნენ სვლას.

მერე ორად გაიყო გზა, ახლა ისინი უსიერ წიწვნარში მი-დიოდნენ, ნაპირ-ნაპირ მისდევდნენ ბობოქარ მდინარეს, რო-მელიც ვიწროებში ძლივს მიიკვლევდა გზას. ირგვლივ სიჩუ-მე, უსაზღვრო მარტოობა მეფობდა. კოკისპირულად წვიმდა, წვიმდა გადაუღებლად. ისეთი თქეში მოდიოდა, რომ ამ რუხ, სევდიან სინესტეში ფრაუენბერგის სტვენაც კი უხალისოდ გა-ისმოდა, თანდათან ისიც მინელდა, ბოლოს სულაც შეწყდა.

მდინარის ხევს, რომელსაც აქამდე მიჰყვებოდნენ ისინი, გზა გადაუღობა მაღალმა ქედმა. ამფითეატრივით მორკალუ-ლიყო ციცაბო, მოთეთრო-ყავისფერი ვეება კლდოვანი კედე-ლი. გადაღმა ტიროლი იყო. ღამე ამ ხევში გაათიეს. ფრაუენ-ბერგი და მსახურები ღია ცის ქვეშ დარჩნენ, პაწაწინა, ფარღა-ლალა, უმწეო ქოხი, რომელსაც შემთხვევით გადაეყარნენ აქ, ჰერცოგს დაუთმეს წვიმისაგან თავშესაფარად.

მოკრუნჩხული იჯდა ამ ქოხში ჰაბუკი მაინჰარდი, ჰერცოგი ‹ბავარიისა, მარკგრაფი ბრანდენბურგისა, პფალცგრაფი რაინისა, გრაფი ტიროლისა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ყურები დაეცქვიტა, ხომ არავინ მიყურებს, ხომ არავინ მისმენსო, თუ სძინავთო მათ. და როცა დარწმუნდა, რომ მარტოდმარტო იყო, აზრი აღარ ჰქონდა თავშეკავებას. საშინლად ძრწოდა, უმწეოდ, უზომოდ უბედურად თვლიდა თავს. გულუბრყვილო მრგვალი თვალებიდან ჯერ კურცხალი გადმოუგორდა, მერე კი ღვარად დაედინა ცრემლი სულელურად სქელ ლოყებზე. ტიროდა იმიტომ, რომ ფრაუენბერგმა ზაზუნა პეტერი გაუპყლიტა, ტიროდა იმიტომ, რომ ესოდენ მაღალი იყო ეს კლდოვანი კედელი, რომელიც ხვალ უნდა გადაელახა მას.

აგნესა საშინლად განცვიფრდა, ასე მარჯვედ და უტიფრად რომ გაიტაცა ჰერცოგი ფრაუენბერგმა. ქალს მოსწონდა იგი; მოხერხებული ვარო, სწორედ მაგან უნდა თქვას. უხალისოდ, ისე, რომ წარმატების არავითარი იმედი არ ჰქონია, მაინც მოინდომა ხელი შეეშალა ფრაუენბერგის გეგმის განხორციელებისათვის. უმჯობესი იქნებოდა თვით ფრიდრიხისათვის მიენდო ეს საქმე, მაგრამ იგი ახლა ინგოლშტადტში იმყოფებოდა. ამიტომ იძულებული გახდა თვითონ გაეშვა მდევარი.

მალემსრბოლნი, მცირერიცხოვანი შეიარაღებული რაზმები აფრინა საზღვრისაკენ. შეუმჩნეველად უნდა ემოქმედა, ხალხის ყურადღება არ უნდა მიექცია ამ ამბისათვის. ხომ ვერ გამოაამჟღავნებდა, რომ ჰერცოგს ძალით აკავებდნენ და არ უშვებდნენ მის საგრაფო ტიროლში.

როდესაც ლტოლვილებმა უკან მოიტოვეს კარვენდელის მონადირის სახლი, ფრაუენბერგმა გული დაიარხეინა, უკვე სამშვიდობოს ვართო. ააბენის ტბისაკენ მიმავალ მარჯვე უღელტეხილამდე რამდენიმე საათის გზა რომ ჰქონდათ დარჩენილი, ხე-ტყით მოვაჭრის აღალი შეეჩეხათ. ეს კაცი ამ მიდამოებში ყიდულობდა ხოლმე ხე-ტყეს და ერთხელ არ დაყაბულდა ალბინოსს, რომელიც ძალით თავს ახვევდა თავის პირობებს. ამის გამო მაგრად გააშოლტინა იგი ფრაუენბერგმა. ერთი პირი იყო, ფრაუენბერგმა აღალზე თავდასხმა და ამ ვაჭრის თავიდან მოშორება მოინდომა, მაგრამ აღალს ექვსი მსახური მო-

სდევდა და ერთიც რომ გაქცეოდათ, კიდევ უფრო დიდ ხიფათში ჩავარდებოდა ჰერცოგი. ამიტომ ფრაუენბერგმა გადაიფიქრა ხე-ტყით მოვაკრისათვის ანგარიშის გასწორება და, თუმცა აქაური გზების მცოდნე მსახურებმა დროზე გააფრთხილეს, ჰლუმზერის იოლი უღელტეხილის ნაცვლად მაინც ძნელი და უჩვეულო გზა აირჩია ლამზენის უღელტეხილზე გადავლით შვაცისა და ფრაინდსბერგისაკენ დასაშვებად.

ცხენები ზედ კლდის ძირას დატოვეს და გვერდით ხევს გაჰყვნენ. ციცაბო კალაპოტში ნაკადული მოჩუხჩუხებდა, ალაგ-ალაგ სულაც იკარგებოდა, თითქოს მიწამ პირი უყოო. გზის მცოდნე მსახური წინ მიდიოდა. ტირიფის ბარდები, ტორფიანი ჭაობები გაიარეს, წვიმა კი ისევ ასხამდა. ხეები მოელოდნელად გაფართოვდა. ამ ადგილებისათვის სრულიად უჩვეულო ნეკერჩხლები დაინახეს. მთელი ჭალა იყო ნეკერჩხლებისა. უძრავად იდგნენ თქეშა წვიმაში ბებერი, ჯმუხი ხეები. მათ ფოთლებსა და წვიმის ნიაღვარში ოდნავ ისასებოდა თეთრი კლდოვანი კედელი, რომელსაც ხეობა ჩაეკეტა. კლდეები ისე აზიდულიყვნენ, რომ ხეების ტოტებში მათი მწვერვალები არც კი მოჩანდა. სიოც არ უბერავდა, ბებერი, პირქუში, სუდარისფერი ხეების ფოთლებიდან წყნარად, რიტმულად წვეთავდა წვიმის წყალი.

მაინჰარდს გზის გაგრძელება აღარ ძალუძდა. წვიმას არ მოერიდნენ და ღია ცის ქვეშ შეისვენეს, სასმელ-საჭმელი ამოალაგეს. მაინჰარდი კრიჭაშეკრული იყო. შიშისაგან ძრწოდა, ვინაიდან კლდოვანი კედლის წვერი არც კი მოჩანდა. ვერასოდეს ავაღწევ იმ სიმაღლეზე, ვერ გადავალო გადაღმა, ფიქრობდა იგი. ისე იყვნენ გამომწყვდეულები ამ ხევში, ამ ცხედრებივით უსულოდ აყუდებული ხეების ქვეშ. თითქოს ქვეყნის დასალიერში მოხვედრილიყვნენ.

კვლავ აჰყვნენ აღმართს. პირველ ხანებში არცთუ ისე ძნელი იყო სვლა, ნელა მიდიოდნენ, მთის ნაკადულის ხვეულებს მისდევდნენ. წინ მსახურნი მიეშურებოდნენ, მარჯვე ბილიკებს ეძებდნენ. მაინჰარდს სხვა დროსაც უვლია ასეთ გზებზე, მაგრამ ახლა დამბლადაცემულივით იყო. კუნძებივით დაუმძიმდა ფეხები, უძლურებისაგან ოფლად იღვრებოდა, სუნთქვა უჭირდა. სველ ქვებზე ფეხი უსხლტებოდა, ფრაუენბერგი მალიმალ

ხელს შეაშველებდა ხოლმე, მაგრამ ჭაბუკი ყოველ მის მიკარებაზე კრთოდა. რაც უფრო მაღლა მიცოცავდნენ, მით უფრო მეტი ზიზღით, მეტი დაცინვით მოსჩერებოდა ეს კლდოვანი კედელი, თითქოს ისიც თანდათან ზევით მიიწევდა, გადაულახავი ხდებოდა.

ირგვლივ დამჭკნარი ალპიური ვარდები, ძირს გართხმული ჯაგნარი, თოვლი. მსახურნი თანაბარი ნაბიჯით მიიწევდნენ წინ. ჰერცოგი უკან მიჰყვებოდა მათ, გაუბედავად დგამდა ნაბიჯებს, წამდაუწუმ ფეხი უსხლტებოდა, მალიმალ ჩერდებოდა. ანაზდად ერთ-ერთმა მსახურმა ნაბიჯი შეანელა, ყურები ცქვიტა, ფრაუენბერგს გადახედა. მანაც გაიგონა უცხო ხმა, მაგრამ ძარღვიც არ შეტოკებია ტიტველ პირისახეზე. ხე-ტყის ვაჭარმა ალბათ მაინც ატეხა განგაში.

— ხალხია, ანდა ცხვარი ძოვს,—ჩაილაპარაკა მან გულგრილად, ფეხს აუჩქარა, მსახურნიც აჩქარდნენ.

მაინჰარდს შესვენების იმედი ჰქონდა. ბრაზი მოერია, როცა მიხვდა, რომ მისი თანმხლებნი ამაზე არც კი ფიქრობდნენ. მერე თითქოს ბურანში გაეხვიაო, მორჩილად დაჰყვა ფრაუენბერგის ნებას. ერთი წუთითაც რომ გაჩერდებოდა ქარის ამოსაღებად, მაშინვე საშინელი ერეოლა აიტანდა. თოვლი თანდათან გაღრმავდა, ახალგაზრდა ჰერცოგი ყოველ ნაბიჯზე შიგ ეფლობოდა.

ფრაუენბერგი შექმნილ მდგომარეობას მთელი სიცხადით აფასებდა. თოვლი რომ არა, იქნებ მართლაც გადაეთრია მაინჰარდი ამ უღელტეხილზე. მაგრამ ახლა ეს თითქმის შეუძლებელია. ეგეც არ იყოს, მაინჰარდი ჯიუტობდა, ნაბიჯს უნელებდა, ზანტობდა.

მსახურნი დაწინაურდნენ. ფრაუენბერგი შედგა.

— რაო, ჭაბუკო ჰერცოგო, დაიღალეთ?—წაისისინა მან.

მთლად ღონემიხდილი, აქოშინებული მაინჰარდი უსასოოდ ჩაჯდა თოვლში. ფრაუენბერგი თავის საყვარელ სიმღერას სტვენდა. ტვინი უხურდა დაძაბული ფიქრებისაგან. მაშასადამე, ჩაეშალა განზრახული. ამ აზრს უკვე შეურიგდა. მერე რა მოხდება? კვლავ ვიტელსბახებს დაუთმოს მაინჰარდი, რომელსაც ამ ხელმოცარული გაპარვის შემდეგ უფრო მაგრად ჩასჭიდებენ კლანჭებს? კარგი იქნებოდა მაინჰარდის მეშვეობით

თავის ნებაზე ეტარებინა ჰერცოგის ასული. მაგრამ ესეც ჩაიშალა. რაკი ასეა, უმჯობესი იქნება მარტო ჰერცოგის ასულთან ჰქონდეს საქმე, ხოლო ვეტელსბახების თავმომაბეზრებელ კონტროლს ერთხელ და სამუდამოდ გამოეცლება ყოველგვარი ნიადაგი.

სტვენას განაგრძობდა. მათარა მოიყუდა და ღვინო მოსვა. მერე მაინჰარდსაც მიაწოდა.

— უნდა ავჩქარდეთ, ჭაბუკო ჰერცოგო,—ეს უთხრა და ხელი გაუწოდა, წამოდგომაში შეეშველა.

— არ შემიძლია, — დაიჩივლა მაინჰარდმა და ძლივძლივობით წამოდგა, — და არც მინდა, — დასძინა ჯიუტად.

— ჰოო?—გაიღრიჭა ფრაუენბერგი.—არ გინდა და ნუ გინდა, ბიჭუნი.—ჩვეულებრივი გულკეთილობით წაისისინა მან, მაგრამ მის ხმას ისეთი კილო დაჰყვა, მაინჰარდმა უნებურად ზევით ასწია თავი. ფრაუენბერგი თვალებს აღარ ჭუტავდა, მახვილი მზერა გააყოლა უკვე საკმაოდ შორს წასულ მსახურთ, მერე უმაწვილს მიაშტერდა. მაინჰარდს გულუბრყვილო მრგვალ თვალებში შემაძრწუნებელი შიში გამოეხატა, სუსტი, ახროტინებული ხმა აღმოხდა. მოკლე, მსხვილი ბავშვური ხელებით ძალუმად ჩაეჭიდა ალპიური ვარდის ტოტებს, ფეხებით თოვლში ჩაეფლო. ფრაუენბერგი გაიღრიჭა და მშვიდად წარმოთქვა:—აბა, გაემგზავრე ჭაბუკო ჰერცოგო!—თავისი წითური მსუქანი ხელებით ნელ-ნელა ააგლეჯინა გაშეშებული თითები კლდეზე ჩაჭიდებულ ჭაბუკს, უფსკრულის თავზე ხელში აიტაცა და წაისისინა:—მშვიდობით, ბიჭუნი!—და ხელი გაუშვა. ჭაბუკის სხეული რამდენჯერმე დაეხეთქა კლდეს, ღრმად არ ჩავარდნილა, სადაც დაეცა, იქვე დარჩა.

ფრაუენბერგმა მჭახე მბრძანებლური სტვენით მსახურნი იხმო, უსიტყვოდ მიუთითა უფსკრულისაკენ. თავქვე დაეშვნენ. საშინლად დასახიჩრებოდა სხეული უსულო მაინჰარდს, ფაფუკ კეფაზე ორი ღრმა ჭრილობა აჩნდა. მდევარს დაელოდნენ. მალე თავს წამოადგათ ორი ოფიცერი და რამდენიმე მსახური. ფრაუენბერგმა განუცხადა—მე და ჭაბუკმა ჰერცოგმა ზაზუნების დაჭერა ვინდომეთ, მას კი ფეხი დაუსხლტა და გადაიჩეხაო. მუხის ვეება ჯირკივით იდგა ოფიცრების წინ, ჩასისხლიანებული თვალები ზოეჭუტა, მის კოლეტს კვლავ მძაღე

სუნი ასდიოდა. სველი თოვლის ფიფქები ეცემოდა გვამს. ცივმა ნიავმა წამოუბერა. მუზარადები მოიხადეს, დასახიჩრებული სხეულის ირგვლივ მდუმარედ იდგნენ თოვლში.

*

ტიროლის ციხის დარბაზებსა და ტალანებში ქალი დაფრატუნებდა, ლუღლუღებდა, ყმუოდა, ეცემოდა, ისევ ფეხზე დგებოდა, კვლავ აქეთ-იქით დაეხეტებოდა. მეტისმეტად დიდი უფორმო ქვედა ყბა უსასოოდ ჩამოვარდნოდა, საზიზღრად გამოხუნებული სპილენძისფერი, ალაგ-ალაგ მოყვითალო-ჟალარა თმა ჩამოშლოდა. ტიკივით გაბერილ, ჩაჯირკვებულ ტანზე გრძელი ღამის პერანგის მაგვარი რაღაც ეცვა, ჩამოსორსლილ ვეებერთელა ძუძუებზე ზეწარი შემოეხვია ერთი ბოლოთი, მეორე ბოლოს იატაკზე მიათრევდა. აყმუვლებული, მოლასლასე, ლუღლუღა დედაკაცი ვიღაც გამომთვრალი ეგონათ მსახურებს, უცებ ვერც კი იცნეს ჰერცოგის ასული.

მალემსრბოლმა სისხამ დილით მოიტანა სიკვდილის ამბავი. მარგარიტამ საწოლში შეიტყო ეს. წამოდგა, ნელი ნაბიჯით ჩაუარა დაბნეულ, შეშინებულ მოახლეებსა და პაჟებს, აყმუვლდა, თვალებში თითქოს სინათლე ჩაუქრა, ზეწარი გაითრია თან.

ფონ შენამ უკანვე შემოიყვანა საწოლ ოთახში. და აი, იჯდა ახლა იგი, გაყინული თვალებით გაჰყურებდა სივრცეს, ნაკუწ-ნაკუწა აზრები უფუსფუსებდა თავში.

რამდენი ცხედარი ჩამოიტოვა უკან თავის გზაზე! მოაგონდა კრეტიენ დე ლაფერტის თავი, უფერო და უგემო საწამლავი, რომელმაც სიცოცხლე მოუსწრაფა მარკგრაფს, საკუთარი ქალიშვილები, შავი ჭირის დამსკდარი ბუბონები რომ მოეფინათ ტანზე, სალოცავ მოსასხამში გახვეული ებრაელი მენდელ ჰირში, ღიმილის ბიჭუნა ალდრიგეტო, მაინჰარდი. და ეს იმის გამოა, რომ საშინლად მახინჯია იგი. ამიტომ ჩაუდგა კვალში სიკვდილი. ყოველი კუთხე-კუნჭულიდან გამოფიტული თავის ქალები უმზერენ.

უძრავად იჯდა. შუადღემ მოატანა, მოსაღამოვდა. ჩამომჭკნარმა ფრეილინა ფონ როტენბურგმა ჰკითხა, სადილს ხომ არ ინებებთ, ჩაცმას ხომ არ ისურვებთო. იგი კი უძრავად იჯდა. გახევებული. რამდენი ცხედარია მის გზაზე! იმიტომ, რომ იგი მახინჯია.

ბიტენვალდზე გადმოვლით მოასვენებდნენ ტიროლში მაინჰარდს. ფრაუენბერგი მოაცილებდა ცხედარს. გულში ეცინებოდა. თავისი მკვდარი სიუზერენების გადმოსვენებით მაინც ხომ მოითბობს ხელს.

დათრგუნვილი შეხვდა ქვეყანა თავის ხელმწიფეს. საზეიმო თავყრილობაზე მოიწვია დედამ თავისი ვაჟი და აი დახეთ, როგორ ჩამოვიდა იგი. წვიმასა და თოვლს არ მორიდებია ხალხი. გზის გასწვრივ გამოეფინენ. მძიმე ნაბიჯით მოემართებოდნენ მეცხედრენი. რეკდნენ ზარები, შემოსილი სამღვდელოება შეეგება მათ; ქუდმოხდილნი იდგნენ რაინდები, მოსამართლენი, მოხელეები. მათ გასწვრივ ლივლივით მიცურავდა კუბო, ტიროლის მთის ფერდობს აჰყვა, ინსბრუკში თავქვე დაეშვა, აღმა ბრენერი გაიარა, დაღმა იაუფენის უღელტეხილი გადავლო, პასეიერი მოიტოვა უკან. პირჯვრის წერით თვალს აყოლებდნენ სამგლოვიარო პროცესიას, მძიმე, სევდიანი ფიქრები უტრიალებდათ თავში. იგი ხომ ტიროლის უკანასკნელი გრაფი იყო. არ გაუმართლა მაულტაშმა ქვეყანას. პირველი ქმარი გააძევა, მეორეს საეჭვო სიკვდილი წამოეწია, ახლა სამშობლოს უნახავი შვილიც მოუკვდა. ყოველივე ამას ხომ თან ერთვოდა ომები, აჯანყებები, წყალდიდობა, ხანძრები, შავი ჭირი. ბედასლი ცხოვრება ჰქონდა ტიროლს ჰერცოგის ასულ მაულტაშის დროს.

გაქვავებული მარგარიტა ციხის კარიბჭესთან ელოდა მეცხედრეთ. ძაძებში მოსილს უფრო ეტყობოდა სახეზე წასმული უმარილი. და აი, ციხის ეზოში მარტოდმარტო გაჰყვა იგი საკაცეს. თოვდა. კუბოს უკან მძიმედ მიაბიჯებდა აბჯარასხმული ტანჯმუხი ფრაუენბერგი.

მაინჰარდის სიკვდილის ამბავმა მთელი მიუნხენი განაცვიფრა. არავის სჯეროდა ბრმა შემთხვევისა, მხოლოდ ის ვერ გამოეცნოთ, ფრაუენბერგი მარტო თავისი ნებით მოიქცა ასე, თუ

ჰერცოგის ასულის დავალება შეასრულა; მაგრამ ამ ეპვის ხმამაღლა გამოთქმა ვერავის გაებედა. მხოლოდ სენსაციების მოყვარე წუწკი ფლორენციელი ისტორიკოსი ჯოვანი ვილანი, კეთილსინდისიერ იოჰან ვიქტრინგელის მოქიშპე, რომელიც სწორედ იმხანად მიუნხენში იყო რაღაც საარქივო გამოკვლევების გამო, ამტკიცებდა, ახალგაზრდა ჰერცოგის ძალდატანებითი მოკვდინება უტყუარი ფაქტიაო. დამაჯერებლობის კვალობაზე გულმოდგინედ ჩამოთვალა ყველა მიზეზი, რომელთაც შეეძლო და უნდა გამოეწვია ასეთი ბოროტება. თავის ქრონიკაში ელეგანტური, სიტყვაკაზმული თავი მიუძღვნა ამ ამბავს და მერე ყველას უკითხავდა მას, ვისაც კი მოსმენა არ ეზარებოდა.

სტეფანი, ფრიდრიხი, აგნესა ბრაზით იხრჩობოდნენ, ფორიაქობდნენ. მანამდე აზრადაც არავის მოსვლია, თუ ასე უბრალოდ, ცინიკური უხეშობით გაიხსნებოდა კვანძი. რაც აგნესამ და ფრიდრიხმა ერთმანეთი გაიცნეს, მას შემდეგ ეს პირველად აეშალნენ ერთმანეთს. უკანვე უნდა გაგებრუნებინა ფრაუენბერგი, სანამ ის აქ იყო, მიუნხენიდან ფეხიც არ უნდა მოგეცვალაო, ეუბნებოდა აგნესა. ფრიდრიხი კი ეპასუხებოდა, თვალი უნდა გედევნებინა მაინჰარდისათვის; ერთი დღით წავედი, და მაშინვე ყველაფერი ყირაზე დადგა. ვერავის ენდობი ამ ქვეყანაზეო. გასაცოდავებული იდგა მათ შორის ჰერცოგი სტეფანი. აღრევაც გული უგრძნობდა ამას, ბედი არ წყალობდა. ეჰ, ალბათ, არ უწერია მას ვიტელსბახთა გვარეულობის კვლავ აღზევება ქრისტიანულ სამყაროში. ერთმანეთთან დავა რომ უშედეგო გამოდგა, პირი შეკრეს და დათქვეს, ყველა ღონე ვიხმაროთ ბავარიის შესანარჩუნებლადო. ტიროლამდე კი ხელი არ მიუწვდებოდათ, რადგან საზღვრების გაშიშვლება სახიფათო იყო, საკმარისი სამხედრო ძალა არ გააჩნდათ. ითათბირეს და გადაწყვიტეს, აგნესა წასულიყო ტიროლში და იქ მოესინჯა ნიადაგი.

მცირე ამალის თანხლებით ეწვია იგი ტიროლის ციხეს. მარგარიტამ იმავე დღეს მიიღო იგი. სადა შავ კაბაში გამოწყობილი, ვარდისფრად აღაჟღაჟებული, სახეგადატკეცილი, ქერათმიანი ახალგაზრდა ქალი ჰერცოგის ასულის წინ იჯდა. მარგარიტას უზომოდ ესვა უმარილი, მკლავებზე და ჯუჯა ყელზე ძვირფასი ქვების სამკაულები უბზინავდა, ატლასსა და ფარჩაში

გამოწყობილიყო. დიდად დასაფასებელია ასეთი თავაზიანობა ზამთარში მოგზაურობის სიძნელეს რომ არ შეუშინდით და ჩემი შვილის წინაშე უკანასკნელი ვალის მოსახდელად ჩამობრძანდითო, მშრალად და ცერემონიულად უთხრა მარგარიტამ აგნესას. აგნესამ ალერსიანი და გულუბრყვილო თვალები მიაპყრო ჰერცოგის ასულს და უპასუხა, რომ ეს მისი ვალი იყო ყველა იმ სიკეთის საპასუხოდ, რაც მას ტიროლის სამეფო კარმა უწყალობა. ისიც დასძინა, განსვენებულთან მე განსაკუთრებით ახლო ურთიერთობაში ვიყავი. სიტყვები არ მყოფნის იმის სათქმელად, თუ როგორი თავზარი დამეცა, ეს საშინელი ამბავი რომ შევიტყეო. თეთრი, ფართო, მბრძანებლური, ნიღაბიანი შეღებილი სახე მისკენ მიაპყრო მარგარიტამ, თვალი თვალში გაუყარა და ჰკითხა, ჰერცოგის ხილვას ხომ არ ინებებთო. აგნესა თითქოს შეყოყმანდა, რადგან მკვდრის ნახვა საერთოდ აშინებდა, მაგრამ მაინც დაეთანხმა. სამლოცველოსკენ გაემართნენ. ერთი მათგანი მძიმედ მიაფლატუნებდა დანაოჭებულ ფარჩეულს, მეორეს კი თავი ლაღად აეწია ზევით, კეკლუცად მიაბიჯებდა. ახალგაზრდა ჰერცოგი უძვირფასეს კატაფალკზე იწვა. ირგვლივ საკმეველი ხრჩოლავდა. ცხედართან ყარაულებად იდგნენ ვერცხლის აბჯარში გამოწყობილი რაინდები. ჰერცოგის ასულმა დამხვდურთ ანიშნა და კუბოს მძიმე სახურავი ახადეს. მსუქანი, თეთრი, მშვიდი, მაგრამ საშინლად დასახიჩრებული და შეცვლილი სახე ჰქონდა მიცვალებულს. გვამს უკვე სუნი მისცემოდა, თუმცა ბალზამები და სურნელოვანი ბალახები უხვად ეხმარათ. ბზინვარე ლითონის საცხედრედან ხრწნის მყრალი სუნი ამოვარდა. აგნესა დაბარბაცდა, ფერი წაუვიდა. მარგარიტამ გარეთ გაიყვანა იგი.

მერე ისევ ჰერცოგის ასულის სავანეში ბუხართან დასხდნენ მანდილოსნები. მარგარიტამ უბოდიშო კილოთი უთხრა აგნესას:

— უკანასკნელად მიუნხენში რომ ვისაუბრეთ ერთ საგანზე, ახლა იმან უკვე დაკარგა ყოველგვარი აზრი, გრაფის ასულო. ჩემი ვაჟი ისევ ჩემთანაა და არა მიუნხენში.

აგნესა დააბნია მოსაუბრის ლაღმა კილომ, ვერც ნართაულს მიუხვდა, ამიტომ პასუხიც არ გასცა. მოლოდინით შესცქეროდა ჰერცოგის ასულს.

ჰერცოგის ასული კი ისევ იმ საშიში დარბაისლური სილაღით განაგრძობდა:

— თქვენ ცოლად გაჰყევით კრეტიენ დე ლაფერტს, და იგი მოკვდა. თქვენ გინდოდათ, რომ ბავარიის მორჩილად გაგეხადათ ჩემი საყვარელი ქალაქები, და ისინი ძლივს გადაურჩნენ დაღუპვას. მერე მარკგრაფთან დაიჭირეთ კავშირი, და ისიც მოკვდა. თქვენ ჩემი შვილის რწმუნებებით აღიჭურვეთ, და აი ისიც მკვდარია. ნუთუ არ ფიქრობთ, რომ ყოველივე ამის შემდეგ აქ — ჩემთან, ტიროლში ჩამობრძანება, ზედმეტი სითამამეა? —ამას რომ ეუბნებოდა, თითქოს სასხვათაშორისო ამბავზე ლაპარაკობდა ჰერცოგის ასული, მაიმუნივით წინგამოშვერილი მახინჯი კბილ-ტუჩით იღიმებოდა, უმარილით შეღებილი სახე, გვამს რომ მიუგავდა, კიდევ უფრო ეპრანჭებოდა ნაძალადევი თავაზიანობით. ოდნავ დაიხარა კიდეც და, რაც სხვა დროს არასოდეს გაუკეთებია, ცბიერი ალერსით მკლავზე ხელი დაადო აგნესას. გახევებული იჯდა ფერმიხდილი გრაფის ასული.

— მე არ ვიცი, რა გნებავთ თქვენ,—წაილუღლუღა მან.

— ძალიან კარგად მოიქეცით,—განაგრძო მარგარიტამ,— თვითონვე რომ ჩამობრძანდით. თორემ მე მომიხდებოდა თქვენი მოწვევა. მერწმუნეთ, ჩემი მოწვევა ისეთი იქნებოდა, რომ აუცილებლად ჩამობრძანდებოდით.

— არ მესმის თქვენი,—წარმოთქვა აგნესამ გაფითრებული ბაგეებით.

— დიახ, — უცებ საუბარი შეწყვიტა მარგარიტამ და წამოდგა.—ჰერცოგის დაკრძალვამდე თქვენ ჩემი სტუმარი ხართ. სხვა გზა არაა, უნდა მოითმინოთ, სამზადისი დიდ დროს მოითხოვს.

— მე კი მინდოდა, დაკრძალვამდე ტაუფერსში მეცხოვრა,— ჩაილაპარაკა აგნესამ, რომელიც ისე იყო დამფრთხალი, რომ ლამის ხმა უწყდებოდა.

— არავითარ შემთხვევაში,—ფიცხლად შეეპასუხა ჰერცოგის ასული.—აქ დარჩებით. განა თქვენ და თქვენი ახლობლები მრავალჯერ არ სტუმრებიხართ ტიროლს? წასვლაზე არც კი იფიქროთ,—საბოლოოდ მოუჭრა მან და კარამდე მიაცილა აგნესა.—ვინ იცის, რა ფათერაკი შეგხვედროდათ მგზავრობი-

სას, — მსახურმა თავის ოთახამდე მიიყვანა აგნესა. და როცა გრაფის ასულმა კარის ზღურბლს გადააბიჯა, კართან შეიარაღებული მცველები დადგნენ.

მარტო დარჩენილი მარგარიტა ბოლთის ცემას მოჰყვა, მისი უცნაურად ფრთაშესხმული სიარული უშნო ცეკვას ჰგავდა.

ვაი, რა იოლად ჩაუვარდა აგნესა ხელში. ბევრად უფრო სასიამოვნო იქნებოდა, გაჭირვებით რომ მოეტყუებინა აქ,— დიდხანს ეზილა ცომი, სანამ ღვეზელს გამოაცხობდა. მაგრამ რას იზამ, ეგეთები არიან ეს სახეგადატკეცილნი: ლამაზები, მაგრამ სულელნი.

მარგარიტა სასახლიდან მარტო გავიდა. დათოვლილ ვენახებში დასეირნობდა, აღმა-დაღმა დაეხეტებოდა. პირდაპირ თოვლში ჩაჯდა, ხელებიც ჩარგო ცივ, ფაფუკ თოვლში, გუნდებს კრავდა, ახრაშუნებდა. გადააგდებდა გუნდას, ახლა მეორეს აკეთებდა, იმასაც აგდებდა.

უნდა დაამციროს, გათელოს, დაფლითოს, გასრისოს, მძორის საზიზღარ ნაგლეჯებად აქციოს იგი! უნდა დატკბეს მისი შიშით, მისი სევდით, მისი მწუხარებით, ვინემ არ დასამარდება აგნესას სილამაზე, როგორც დასამარდა ჰერცოგის ასულის შვილი, რომელიც იქ, სამლოცველოში იხრწნება ახლა.

კარგა ხნის შემდეგ ჩამომჭკნარი ფრეილინა ფონ როტენბურგი თავისი ქალბატონის ძებნას რომ შეუდგა, უცებ ისეთი რამ შემოესმა, რაც ბოლო წლებში აღარ გაუგონია. ჰერცოგის ასული მღეროდა. მღეროდა თოვლში ჩამჯდარი, მისი მახინჯი ყელიდან ლაღად მოედინებოდა დაბალი, თბილი, მეტყველი ხმა.

ჰერცოგის ასულმა უპირველესად ფონ შენა იხმო. დასაზუსტებელი დააზუსტა: მაინჰარდი, რა თქმა უნდა, გრაფის ასულ ფონ ფლავონ-ტაუფერსის მიზეზით გადაიჩეხა კლდიდან. მარგარიტას ფიქრადაც არ მოუვა ამ საქმის მიფუჩეჩება. პირიქით, სამაგალითოდ უნდა დასაჯოს დამნაშავე. ფონ შენა დიდად შეაძრწუნა ამ ნათქვამმა, რა არ იღონა, რომ ჰერცოგის ასულს უარი ეთქვა ასეთ განზრახვაზე. დაუმსახურებლად, მაგრამ მაინც ძალიან უყვარსო ხალხს აგნესა. სახიფათოა მის წინააღმ-

დეგ ხელის აღმართვა. სამფლობელო, ძალაუფლება, გავლენა შევუკვეცოთ, მაგრამ სხვას კი ნურას მოვიმოქმედებთ, რამეთუ მეფური გონიერების საწინააღმდეგო იქნებაო ეს.

მარგარიტა ნერვიულად, მკვახედ შეეპასუხა, მშვენივრად ვიცი, გულზე რომ არ ვახატივარ ხალხს. ამაზე უარესი რაღა მომელის. ჰოდა, დასანანიც არაფერი მრჩებაო.

— არა, შეიძლება დასანანად გაგიხდეთ საქმე! — მისთვის უჩვეულო გაგულისებით უპასუხა ფონ შენამ. — ხომ შეიძ-ლება ამან აჯანყება გამოიწვიოს, ეს კი სწორედ მისწრება იქ-ნება ვიტელსბახებისათვის.

მარგარიტა წამოენთო და მტკიცედ განაცხადა, რომ არავი-თარ შემთხვევაში აღარ სურს ძალაუფლების მოზიარედ იყო-ლიოს ის ქალი. ამას ურჩევნია, სულაც უარი თქვას ტახტზე. ისეთი აგზნებული თვალებით იმზირებოდა, აშკარა იყო, რომ გონების კარნახს ვეღარ ემორჩილებოდა. აღელვებული ფონ შენა გრძელი ნაბიჯებით ბოლთას ცემდა. თუ მაინც დაჟინებით მოითხოვთ ამას, ღვთის გულისათვის, უზენაესი სასამართლო მაინც შეკრიბეთო, ურჩია ბოლოს. რაინდთა კანონიერი სასა-მართლოს გარეშე კი, თუ ღმერთი გწამთ, არაფერი მოიმოქ-მედოთო აგნესას წინააღმდეგ.

მარგარიტამ ფრაუენბერგი და რამდენიმე ფრიად გავლენი-ანი ფეოდალი მოიწვია სათათბიროდ. ჰერცოგის ასული მყის მიხვდა შემაძრწუნებელ სინამდვილეს: ყველა მისი წინააღმ-დეგია, ყველას აგნესას მხარე უჭირავს. მაგრამ თითო-ოროლას გარდა, ყველა მზადაა ახლავე გასცვალოს თავისი მოსაზრება გარკვეულ საფასურზე. აგნესას წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება მარგარიტას ახირებად მიიჩნიეს. მერე რა, იყოს ახი-რება. ისინი მზად არიან მხარი აუბან ჰერცოგის ასულის ჟინს, თუკი მსუყე გასამრჯელოს მიიღებენ ამაში.

ყველა თავისას ითხოვდა, ყველა წაგლეჯაზე ფიქრობდა. მარგარიტას გული ეკუმშებოდა, სიმწრით კბილებს აკრაჭუნე-ბდა. აი, დგანან მის წინაშე ეს ერთგული ქვეშევრდომები და პატრიოტულად ორპოფობენ, გულში კი ვერაგულად იცინიან— დადე საფასური და წაიღე ნაყიდიო.

ბარონებმა მოითათბირეს, აწონ-დაწონეს თავიანთი მოთ-ხოვნები. ჰერცოგის ასულს ფრაუენბერგმა ამცნო მათი ნათათ-

ბირევი. მიუკიბავ-მოუკიბავი, ურცხვი პრეტენზიები წამოაყენეს მათ: მარგარიტამ მინისტრთა ახალი კაბინეტი უნდა შეადგინოსო, მაგრამ იმ პირობით, რომ მასში შევიდნენ ფრაუენბერგი, შენა, ბერხტოლდ ფონ გუფიდაუნი, ძმები ფონ მაჩები, ტევტონთა ორდენის ლანდესჰაუპტმანი და ფოგტი ეგონ ფონ ტიუბინგენი, ჰაინრიხ ფონ კალტერნ-როტენბურგი, დიპოლდ ჰელი, ჰანს ფონ ფროინდსბერგი. ეს ბატონები, რომლებიც თანახმანი იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ ფონ ფლავონის გასამართლებაში, მოითხოვდნენ, რომ მთელი იურიდიული და ადმინისტრაციული ძალაუფლება ქვეყანაში ფაქტიურად მათ ხელთ ყოფილიყო. მარგარიტას პირობა უნდა დაედო, რომ მათი თანხმობის გარეშე არავითარ სახელმწიფოებრივ საქმეს არ გადაწყვეტდა, არ დანიშნავდა და არც მოხსნიდა მოხელეებს, არც ერთ უცხო სახელმწიფოსთან არ გააფორმებდა რაიმე შეთანხმებას, ხელშეკრულებას. არც მინისტრთა შეცვლის უფლება აღარ ექნებოდა მას. ხოლო თუ სიკვდილის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო რომელიმე მინისტრი გამოაკლდებოდა კაბინეტს, მის სანაცვლოს დანიშნავდა არა ჰერცოგის ასული, არამედ თვით კაბინეტი.

ბარონთა მოთხოვნები წინ ედო მარგარიტას. მარტო იყო. ისე ჭმუხნიდა შუბლს, რომ ფერ-უმარილი ნაფლეთ-ნაფლეთ ცვიოდა სახიდან. ამ საბუთებზე ხელის მოწერა იმას ნიშნავდა, რომ გაეწირა ქალაქები, მთელი ქვეყანა უტიფარი ბარონების ფეხქვეშ სათელად მიეგდო. მერე მიდგებოდნენ ისინი ამ ქვეყანას, თავიანთ ხარბ კბილებს დაასობდნენ და მსუყე-მსუყე ლუკმებს ჩამოკბეჩდნენ. ამ საბუთებზე ხელის მოწერა იმას ნიშნავდა, რომ ტიროლი დაქუცმაცებულიყო წვრილ-წვრილ ფეოდალურ მამულებად, სამარცხვინოდ გაეწირა ის დიდი საქმე, რომელსაც აი უკვე მთელი საუკუნეა მისმა წინაპრებმა და თვითონაც ფული, ნერვები, სიცოცხლე შეალიეს.

ანაზდად თვალწინ დაუდგა გრძელწვერა პაწაწინა არსება, რომელიც ერთხელ უკვე იხილა მაულტაშის ციხის მახლობლად კლდეთა ნაპრალებში. მოწიწებით თავს უკრავდა ეს არსება ჰერცოგის ასულს, ბებრული თვალებით მიშტერებოდა, ელაპარაკებოდა.

მარგარიტამ ძალა მოიკრიბა და ქონდრისკაცი განაძევა. და-

იქეც, ქვეყანავ, დაიქეცით, ქალაქებო! მუხლი მოიყარე, ქედი მოიხარე ვასალთა კადნიერების წინაშე! ასე ეგების! ანგარიში უნდა გაუსწოროს იმ ქალს. უაზრობაა ბარონთა მოთხოვნებზე უარის თქმით მისი დანდობა. სულერთია, იგი კელავაც განაგრძობს მარგარიტას საქმეთა იავარყოფას. ჭიად გასჩენია ამ ქვეყანას ის ლამაზმანი, ყოველი ბოროტება მისი უტიფარი, ავხორცული სილამაზის ნაყოფია. ბოლო უნდა მოუღოს მას, გაანადგუროს, აღგავოს ამა ქვეყნიდან, მიწასთან გაასწოროს. სანამ ეს ქალი ცოცხალია, მთაგორიან ქვეყანას სიმშვიდე არ ეღირსება.

რაკი ღმერთს გული გადაუშალა, ალალმართლად შეეძლო ეთქვა, რომ დიახაც ჰქონდა ისეთი წუთები, დღეები, კვირეები, როდესაც ერთი პატივმოყვარე აზრიც არ გაუვლია ფიქრად, მხოლოდ იმის სპეტაკი მისწრაფება ასულდგმულებდა, ქედი მოეხარა ბედისწერის წინაშე, ბოლომდე აღესრულებინა თავისი ვალი. ის ლამაზმანი კი, პატივმოყვარე, ფუტურო ქალი, ლაღი თამაშით უნგრევდა ყოველივეს, რაც მარგარიტას ესოდენი ჯაფით, დამცირებით, მსხვერპლის გაღებით ჰქონდა მოპოვებული. ამას სჩადიოდა ისეთი ადამიანი, ვისაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რა ძნელი იყო ყოველივე ამის შექმნა. განა ეს სამართალია? განა სამართლიანია, რომ ცარიელი, სულელური, ბილწი, საზიზღარი რამ, მხოლოდ იმიტომ, რომ გაპრიალებული ნიღბითაა შემოსილი, ყოველივეს განაგებდეს, ირგვლივ ყოველივეს ნთქავდეს, ერთ კუთხე-კუნჭულსაც არ ტოვებდეს აღფრთოვანებისათვის, ტანჯვით მოპოვებული სიბრძნისათვის? შეუძლებელია, რომ ღმერთს სურდეს ეს. იგი უნდა დაემხოს. უცნაურ, ნეტარ ტანჯვას განაცდევინებდა იმის შეგნება, რომ განუყრელად დაუკავშირდა ერთმანეთს მისი და იმ ქალის ბედი და რომ მას ხვდა წილად ყოველივეს დაბოლოება. არც გადადება შეიძლება, არც მიმალვა, არც ნიღაბს ამოფარება, არც ამ უზარმაზარ საფასურს უნდა შეუშინდეს და კომპრომისი ეძიოს, ბოლომდე უნდა მიიყვანოს ეს საქმე.

ფრაუენბერგი პასუხის შესატყობად ეახლა ჰერცოგის ასულს. მარგარიტამ ტლანქად დაადო ხელი ბარონთა მოთხოვნების საბუთს, თავი ზევით ასწია, ფრაუენბერგს შეხედა, მშვიდი, წყნარი ხმით უთხრა:

— არამზადებო! გამომძალველნო!

ფრაუენბერგმა გულცივად, ქირქილით მიუგო:

— დიახ, ჰერცოგის ასულო მაულტაშ, ჩვენ იაფი არ ვღირ-ვართ!

მარგარიტამ ხელი მოაწერა.

მარტო რომ დარჩა აგნესა, საშინელმა სისუსტემ შეიპყრო. ღმერთო მოწყალეო, ეს რა ჩაიდინა? თავაზიანი ღიმილით თვითონვე ჩაუვარდა ხელში მტერს. სად ჰქონდა ტვინი? მაინჰარდის სიკვდილი თავსდატეხილი რისხვა და გამოცდაა მაულტაშისათვის, მაგრამ თვით მისთვის, აგნესასთვის, კიდევ უფრო დიდი ელდაა. მაინჰარდის თავიდან მოცილებისა და ბავარიაზე მოულოდნელი, ვაქკაცური უარის თქმის შემდეგ გამარჯვებული ჰერცოგის ასული დარჩა. აგნესას ახლა ვერა და ვერ გაეგო, თუ როგორ მოხდა, რომ ასეთი ვითარების დროს თვითონვე მოცუნცულდა თავისი მეტოქის სახლში და დააგვირგვინა მისი გამარჯვება?

სრულიად მარტოდმარტო იყო, ეული, დაბნეული. ოთახში ციოდა, აგნესას აკრეჭილებდა. ნუთუ მართლა სცივა? რაღაც უცნაური, აქამდე უცნობი გრძნობა ეუფლებოდა, ყელში უჭერდა, სუნთქვის საშუალებას აღარ აძლევდა. ადრე იგი ყოველთვის კადნიერი და თავდაჯერებული იყო, ყოველგვარ ვითარებაში პირველობას ინარჩუნებდა, როგორც მოეხასიათებოდა, ისე მბრძანებლობდა მამაკაცებზე. ახლა იგი ყოვლად უმწეოა და მარგარიტაც ისე მოექცევა, როგორც მოესურვება. შიშისა და სიცივისაგან იტანჯება. ღრმა ცისფერი თვალები ძველებური სითამამით აღარ უელავენ. მზერა ჩაეფერფლა, მოქნილი ტანი ჰქონდა, ახლა კი მხრებში მოხრილა, ქათქათა თეთრ ხელებზე კანი მოქმუჭნია, გადატკეცილ სახეზე წვრილი ნაოჭები დასჩენია.

საღამომდე ასე იჯდა სენაკში. მერე სანთელი შემოიტანეს, ბუხარში ცეცხლი დაუნთეს, საქმელი დაუდგეს მაგიდაზე. თავს ძალა დაატანა, ჭამა, გათბა, გამოცოცხლდა. არაფერია! ცხადია, უსახური მარგარიტას მიზანი ის იყო, რომ დაემარცხებინა, დაეშინებინა, ფეხქვეშ გაეთელა იგი. სხვა რამეს ვერც კი გაბედავს. განა მთელი ქვეყანა აგნესას მხარეზე არაა? მარგარიტა

მახინჯია, ამიტომ სურს, რომ აგნესა მხდალი მაინც გამოდგეს. არა, ამ სიამოვნებას არ მიანიჭებს იგი ჰერცოგის ასულს. წელში გაიმართა, ძველებურად, თამამად, კადნიერად აუკიაფდა თვალები. მადიანად ისადილა, მეორედ მოითხოვა კერძი, ლაქიებს გაეხუმრა. ღრმად, მშვიდად, დიდხანს ეძინა.

როცა მეორე დღეს ფრაუენბერგი ეწვია, აგნესა შესანიშნავ გუნებაზე დაუხვდა, კამფეტებით იტკბარუნებდა პირს, რაღაც ფუქსავატურ შაირს ამღერებდა ბარბითზე. ოთახის ძველებური დგამ-ავეჯი დაიწუნა, მათ დაცინვას მოჰყვა. ფრაუენბერგი გაიღრიჭა: რა თქმა უნდა, უსახურ ჰერცოგის ასულს არ შეუძლია ისე მოდურად და კომფორტულად მოეწყოს, როგორც აგნესას სჩვევია ეს. მერე თავზე ხელი გადაუსვა, თვალები მოჭუტა, მამობრივი ზრუნვით უთხრა, ხომ გაფრთხილებდი, არ გადაჰკიდებოდი იმ ღლავებს, ხომ გეუბნებოდი, ცუდად დამთავრდება-მეთქი ეს ამბავი. აგნესამ მოურიდებლად ჰკითხა, იმ მახინჯის დავალებით თუ მოსულხარ ჩემთან, იცოდეთ, ჩემი დაშინება არც ისე იოლიაო. მაინც ნეტავ რა განუზრახავთ მათ? კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ამბავი? ალბინოსმა ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა, ალბათ უზენაესი სასამართლო გაგასამართლებსო. აგნესამ უპასუხა: იჩქარონ, ძალიან მომწყინდა ტიროლში ყოფნაო. მოახლე და მკერავი ქალი მოითხოვა, უნდოდა შესაფერისი კაბა სცმოდა სასამართლოზე. ფრაუენბერგმა აღუთქვა, რომ მის ყველა ბრძანებას შეასრულებდნენ. მარტო რომ დარჩა, აგნესამ ისევ კამფეტი ჩაიდო პირში, ბარბითი ააყღარუნა.

*

ჰერცოგის ასულმა მოიწადინა, რომ უზენაესი და უსაიდუმლოესი სასამართლოს სხდომა, რომელსაც განაჩენი უნდა გამოეტანა აგნესასათვის, საგანგებო, საზეიმო ვითარებაში ჩატარებულიყო. სასამართლოს დარბაზის გვერდით სამ ოთახს შეიარაღებული დარაჯები იცავდნენ, რათა გარეთ არ გაეღწია საიდუმლო ამბავს. შავებში გამოწყობილი სასამართლოს ცხრა წევრი მდუმარედ იჯდა. მარგარიტა ტიტულების მდიდრული ნიშნებით მორთულ-მოკაზმულიყო.

აგნესას სადა ალისფერი კაბა ეცვა, რომელიც დარბაზობას ან შინაურულ დღესასწაულს უფრო შეეფერებოდა. თამამად, თავდაჯერებულად იქცეოდა. დარწმუნებულ იყო, რომ უსახური მარგარიტა მასზე ხელის შემართვას ვერ გაბედავდა და მთელი ეს ბრწყინვალე, საზეიმო ვითარება მხოლოდ მის დასაშინებლად იყო გამოგონილი. ყველაფერი ეს მხოლოდ იმიტომ კეთდებოდა, რომ მშვენიერი აგნესა დაემცირებინათ გონჯი მარგარიტას წინაშე. ამიტომაც გადაწყვიტა, ამ სიამოვნებას არ მივანიჭებო მათ.

ტიროლის სამეფო კარის ხუცესმა, რომელიც მდივნის მოვალეობას ასრულებდა, საბრალდებლო აქტი წაიკითხა: გრაფის ასული ფონ ფლავონ-ტაუფერსი თავიდანვე ცდილობდა ქვეყნისათვის დამღუპველი და მავნე ზეგავლენა მოეხდინა მაინჰარდზე. როდესაც ახალგაზრდა ჰერცოგმა მოინდომა ტიროლში დაბრუნებულიყო და ამ გზით ხელიდან დასხლტომოდა მას, — ქვეშევრდომებთან ჰერცოგის შეხმატკბილება კი საფრთხეს უქმნიდა აგნესას გეგმებს, — მან ძალდატანებით მოინდომა მაინჰარდის ხელში ჩაგდება და სწორედ ამ მიზეზით დაიღუპა ახალგაზრდა ჰერცოგი.

აგნესამ განაცხადა, რომ ფრიად გაკვირვებულია ყოველივე ამით. ნუთუ ესოდენ ძლიერ და გონიერ პირებს სურთ, განზრახ მტრულად ახსნან სრულიად უბრალო და ცხადზე უცხადესი ფაქტები. დიახ, იგი გულითადად მეგობრობდა ახალგაზრდა ხელმწიფესთან, ჯერ კიდევ. მამამისიც მეგობრობდა მასთან, ნდობას უცხადებდა. ზოგჯერ იგი თავისი უსუსური ქალური ჭკუა-გონებით რაიმე რჩევას აძლევდა ხოლმე ჭაბუკ ჰერცოგს, მისდა სასარგებლოდ და მისივე ქვეყნის ასაყვავებლად. ამას აკეთებდა ალალმართალი გულით, ვით შეჰფერის ეს ერთგულ ქვეშევრდომსა და კეთილსინდისიერ ქრისტიანს. როდესაც ჰერცოგი მაინჰარდი ტიროლში გამოემგზავრა, ხოლო ჰერცოგმა სტეფანმა მოულოდნელად ამცნო მიუნხენში ჩამოვედიო, აგნესამ შიკრიკები დაადევნა მაინჰარდს და წერილით შეუთვალა, ასეთ დროს გიჯობს მიუნხენში დაბრუნდეო. სამწუხაროდ, მისმა შიკრიკებმა ცოცხალს ვეღარ მიუსწრეს ჰერცოგს. ყოველივე ეს უდავო და ცხადი ფაქტია. მე დიდად ცოდვილი გახლავართო, ღიმილით დასძინა აგნესამ, მაგრამ

ჰერცოგ მაინჰარდთან ურთიერთობაში, ჩემი ქალური ჭკუა-გონებით რომ განვსაჯო, ერთი ისეთი სიტყვა არ დამცდენია, სულ მცირე აზრიც კი არ მქონია ისეთი, რომელსაც თამამად ვერ გავუმხელდი ხალხსა და ღმერთსო.

აგნესა ფეხზე არც კი წამომდგარა, ისე იძლეოდა ჩვენებას, კადნიერად, მკვახე, უაპელაციო კილოთი ლაპარაკობდა. სადა ალისფერ კაბაში გამოწყობილი ახალგაზრდა, სახეგადატკეცილი, პირმცინარი ქალი გულღიად იჯდა შავებით მოსილი პირქუში მოსამართლეების წინაშე.

მარგარიტამ განაცხადა, რომ მან ჯერ კიდევ მიუნხენში ყოფნის დროს ურჩია გრაფის ასულ ფონ ფლავონს არ ჩარეულიყო ტიროლის საქმეებში, მაგრამ ფონ ფლავონმა ყურად არ იღო ეს. აგნესა შეეპასუხა: როგორც ჩანს, ქალბატონმა ჰერცოგის ასულმა მაშინ სწორად ვერ გამიგო. ტიროლის სამეფო კარის ხუცესმა გრაფის ასულის მიერ გაგზავნილი ოფიცრების ჩვენებები წაიკითხა, ისინი ფიცის ქვეშ ადასტურებდნენ, რომ აგნესამ უბრძანა ძალით წაეყვანათ ჰერცოგი მიუნხენში. ყველამ ფრაუენბერგს გადახედა. მას, რა თქმა უნდა, შეეძლო ამ ჩვენების დადასტურება. მაგრამ იგი გულგრილად იჯდა, თითქოს არც კი ეხებოდა ეს. აგნესამ განაცხადა, ოფიცრების ჩვენება, თუკი საერთოდ მართლაც მისცეს მათ ის, წმინდა წყლის ცილისწამებაა. ფრაუენბერგი გაიღრიჭა.

ჰერცოგის ასული უძრავად იჯდა, მშვილდივით დაძაბული, შავი ფარჩის კაბა გაფხორვოდა ჯირკვ ტანზე, ღირსებათა ნიშნები ოქროსფრად უბრჭყვიალებდა. და უცებ, ჩამოვარდნილ სიჩუმეში, სრულიად მოულოდნელად, ისე რომ თავიც არ აუწევია, ალაპარაკდა იგი: მშვიდად გადმოალაგა სათქმელი, დაუზოგავად, შიშვლად, შეუფერადებლად. სადაც არ უნდა ეღვაწა მას თავისი ქვეყნისათვის — მთებში, ეჩზე თუ ინაზე, იტალიის ტბებიდან ვინემ იზარამდე, ყველგან გზაზე ხვდებოდა აი ეს ფონ ფლავონი და ყველგან, ყოველთვის ხელს უშლიდა. ჰერცოგის ასული დინჯად ლაპარაკობდა, ერთხელაც არ აუმაღლებია ხმა. ილაპარაკა ქალაქებზე, თავის ღონისძიებებზე, იმაზეც, თუ როგორ ეწინააღმდეგებოდა ყველაფერში აი ეს ქალბატონი ფონ ფლავონი. ისიც თქვა, თუ როგორ იბრძოდა ფი-

ნანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, აი ამ ქალბატონმა ფონ ფლავონმა კი ხელახლა მოიწვია მთებში იტალიელი ბანკირი მესერე არტეზე, რომელიც გაძევებული ჰყავდა მარგარიტას. ილაპარაკა ტიროლის ავტონომიაზე და იმაზეც, რომ აი ეს ქალბატონი ფონ ფლავონი ყოველთვის ცდილობდა სისხლისმსმელ ბავარიელს ჩაეგდო ხელში ტიროლი. ილაპარაკა არტურის წრეზე, ინგოლშტადტსა და ლანდსჰუტზე. ნელ-ნელა ამოდიოდა მისი მახინჯი პირიდან უბრალო, საღი, გონივრული სიტყვები. ზომიერად, მონოტონურად, ვით ქვიშის მძიმე მარცვლები, ცვიოდნენ ეს სიტყვები, მოედიხებოდნენ უწყვეტ ნაკადად, და ისე ჩაქოლეს ნაზი, შუქმფინარი აგნესა, რომ ბოლოს და ბოლოს სხივმოსილება დაკარგა მან, ჩაფერფლილ, უმწეო არსებად იქცა. ჰერცოგის ასულმა სათქმელი მოამთავრა, სიჩუმე ჩამოვარდა, მკაფიოდ ისმოდა ბუხარში აალებული შეშის ტკაცუნი. მოსამართლენი წელში მოხრილნი პირქუშად ისხდნენ და დუმდნენ.

აგნესამ განაცხადა, არაოდეს მომიწადინებია რაიმე სახელმწიფო საქმეზე ზეგავლენის მოხდენა. თუ მკითხავდნენ, ვპასუხობდი, ისიც უნდომლად, და თავს არავის ვახვევდი ჩემს რჩევასო. ქალი მიხვდა, რომ მისი სიტყვები მიზანს არ მოხვდა და ვერავინ დაარწმუნა. და უცებ წამოიმართა იგი — მხიარული, ლაღი, ჰაეროვანი, ამაყი, თვალი მოავლო მამაკაცებს, ჯერ ერთს შეხედა, მერე მეორეს, და ასე წარმოთქვა: თუკი საერთოდ რაიმე ცოდვა მაქვს, ერთადერთი ისაა, რომ ვარსებობ ამქვეყნად. მაგრამ რა ვქნა, ასეთად შემქმნა ღმერთმა. სანამ სიცოცხლის შუქი არ ჩამქრობია, ადამიანებს ვერ დავუშლი თვალის ადევნებას, აღტაცებას.

ყველამ აგნესას შეხედა, ხუცესმაც კი გააჩერა თავისი წრიპინა კალამი. დაღლილი ნაცრისფერი თვალებით თავით ფეხამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა იგი ფონ შენამ, მის ცისფერ თვალებს მონუსხულივით მიაჩერდა ხმელ-ხმელი სამართლიანი ეგონ ფონ ტიუბინგენი, ქშინვა ამოუშვა კეთილსინდისიერმა, გულკეთილმა ბერხტოლდ ფონ გუფიდაუნმა, ჩაწითლებულ თვალებს ჭუტავდა ფრაუენბერგი. აგნესამ იგრძნო, რომ მისი ეს სიტყვები არ დარჩენილა ხმად ღაღადისად. თავისი არსების რომელიღაც ნაწილი გამოაცალკევა აგნესამ, ორივე ხელით ზევით

ასწია, მამაკაცებს გაუწოდა, თავისი მტრის წინაშე იამაყა ამით. ინებეთ! იხილეთ! აი როგორი გახლავართ მე! ტკბებოდა ამ შთაბეჭდილებით, შვებით სუნთქავდა, ნეტარებდა.

ამ დროს შეამჩნია, რომ უსახური ჰერცოგის ასულიც ეცქეროდა მას: ლამაზი ქალის ცისფერი თვალების მზერა გონჯი ქალის თაფლისფერ თვალებში ჩაიძირა. და ანაზდად აგნესამ მარგარიტას სახეზე ღიმილი დაინახა. დიახ, ჰერცოგის ასულის უმარილწასმულ თეთრ სახეზე მსუბუქმა ღიმილმა გადაიარა, და ეს ღიმილი არ იყო თვალთმაქცური, იგი გულწრფელად იღიმებოდა. აგნესა მყის მიხვდა, რომ მარგარიტას სათანადო ზომები მიეღო, მისი გამარჯვება წინასწარვე განწირული იყო, დაღუპვა ელოდა მას. კანკალი აუვარდა, სახე ჩაეფერფლა, მუხლები მოეკვეთა, იძულებული გახდა დამჯდარიყო.

ჰერცოგის ასული უცებ. გაუფრთხილებლად შევიდა მისჯილის ოთახში. აგნესამ თავშეკავებულად, მშვიდად მოისმინა განაჩენი. მარტო რომ დარჩა, ისევ გაიმხნევა გული, უსახური მარგარიტა ვერ გაბედავს სიტყვა საქმედ აქციოსო. მაგრამ როცა გაახსენდა მარგარიტას იდუმალი ღიმილი, გულიდან ისეთი კაეშნის მომგვრელი ცივი ჟრუოლა ამოუცოცდა, როგორიც ადრე არასოდეს განეცადა. ჰერცოგის ასული რომ დაინახა, თავს ძალა დაატანა, გული დაიმშვიდა, თავაზიანად წამოდგა ფეხზე, მცირე ხნის შემდეგ სკამი შესთავაზა მოსულს.

მარგარიტამ უთხრა:

— თქვენ ნართაულად ბრძანეთ, გრაფის ასულო, რომ ჩემსა და თქვენს შორის არის კიდევ რაღაც, გარდა კანონიერი მეფური სიმკაცრისა თავისი ქვეშევრდომის მიმართ, რომელიც მორჩილებაზე უარს ამბობს და თავის ქვეყანას ზიანს აყენებს. დაიჯერეთ, რომ გარდა ხელმწიფობისა მე სხვა ვინმედ ყოფნა არ შემიძლია, ვინაიდან ჩემი სახელით ლაპარაკობს შეურაცხყოფილი ქვეყანა. ჩემი ბრძანებები ქვეყნის გრძნობებია. — ღრმა რწმენით, თავდაჯერებულად, ქედმაღლურად წარმოთქვა ეს მარგარიტამ.

აგნესა გულისყურით, თავაზიანად უსმენდა. ვერა და ვერ მიმხვდარიყო, თუ რა სურდა ჰერცოგის ასულს. მხოლოდ ერთი რამ ამოიცნო: „რაღაც უნდა ჩემგან. გულახდილი საუბარი

სურს. თავის მართლება სწადია. ხედავთ, რა სუსტი პოზიციები ჰქონია. გრძნობს, რომ დამარცხდა და ახლა ჩემი გაცურება უნდა. არ უნდა გავება მის მახეში. უარი უნდა ვუთხრა. რაც არ უნდა დამპირდეს, უარი უნდა ვუთხრა".

მარგარიტა მიხვდა, რომ აგნესამ ვერ გაუგო. ახლა მეორე მხრიდან შემოუარა. დაღლილი, ოდნავ აჩქარებული, მაგრამ მაინც შემრიგებლური კილოთი უთხრა:

— თქვენ მუდამ მჯობნიდით, გრაფის ასულო. სავსებით ვაღიარებ ამას. შეგიძლიათ ახლაც დატკბეთ გამარჯვებით. ჩემი პატივმოყვარეობა და ჩემი ინტერესები სრულიად სხვა მიმართულებითაა მიპყრობილი. მერწმუნეთ, რომ ეს ასეა. მე მიხდა მქონდეს გარანტია, რომ მომავალში ზიანს აღარ მიაყენებთ ტიროლს. აღიარეთ მოწმეთა თანდასწრებით და დაამოწმეთ საკუთარი ხელმოწერით, რომ თქვენი მოღვაწეობა ვნებდა ჩემს ქვეყანას. დაიფიცეთ სახარებაზე, რომ დღეის ამას იქით თავს აარიდებთ ყოველგვარ პოლიტიკურ მოღვაწეობას. მაშინ მე გავაუქმებ სასიკვდილო განაჩენს. თქვენი ლენები ჩემს ხაზინას დაუბრუნდება. თქვენ მიიღებთ თავისუფლებას და ტიროლიდან წახვალთ.

აი თურმე როგორ მახეს უგებენ. აგნესა გულში დასცინოდა მარგარიტას. ვერასოდეს ვერ გაბედავს ჩემს მოკვლას. ნუთუ ისეთ ყეყეჩად მთვლის, რომ მის სიმხდალეს ხელი შევუწყო?

აგნესამ უპასუხა:

— ასეთ ქაღალდს მე ხელს არ მოვაწერ. მე ვარსებობ, მე ვცოცხლობ ამ ქვეყანაზე—აი ესაა მთელი ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობა. დამაფიცეთ, რაზეც გენებოთ. მაგრამ ვერც თქვენ და ვერც მე ვერაფერს შევცვლით, როცა მამაკაცი თვალს შემავლებს, იგი ჩემს ნებას დაჰყვება და არა თქვენსას.—აგნესა თავით ფეხამდე ათვალიერებდა მარგარიტას, მისი ცისფერი თვალების მზერა ზიზღით და დაცინვით დაცოცავდა ჰერცოგის ასულის სხეულზე. ეს ცისფერი თვალები დასცინოდნენ მარგარიტას მახინჯ, მაიმუნივით წინგამოშვერილ დრუნჩს, მომჩვარულ ლოყებს, ნაოპებით დასერილ საზიზღარ ყბას, მთელ მის სხეულს, უშნოდ ჩაჯირკვებულ ტანს. ამ ცისფერი თვალების მზერამ შეაღწია უმარილის ქვეშ, დამცინავად შეეხო გამოშშრალ, დამეჭეჭებულ, აქერცლილ კანს.

ჰერცოგის ასული არასოდეს ყოფილა ასე შეურაცხყოფილი, ძლივს დაიოკა უსაზღვრო ნაღველი.

— გრაფის ასულო, მე მომანდეთ იმის გადაწყვეტა, საჭიროა თუ არა თქვენი მოსპობა,—უთხრა მარგარიტამ, მაგრამ ამ დაცინვას აშკარად ეტყობოდა არაგულწრფელობა.—ვგონებ გადამეტებით აფასებთ საკუთარ თავს. ჩემთვის საკმარისი იქნება, თუ ხელს მოაწერთ განცხადებას.

დუნე, უსუსური იყო მარგარიტას პასუხი. თვითონაც კარგად მიხვდა ამას. აგნესაც მიხვდა ამას და გული სიამით აევსო. ახლა კი დარწმუნდა იგი, რომ ჰერცოგის ასული ვერასოდეს ვერ მოიყვანდა სისრულეში განაჩენს. რაიმეზე ხომ არ დაეთანხმოს? რაიმე ხომ არ დაუთმოს? რატომ, სულელი ხომ არაა.

— გულწრფელად ვწუხვარ, რომ არ შემიძლია თქვენი სურვილის შესრულება, — მიუგო აგნესამ და ამ დათაფლული, კადნიერი სინანულის პირმოთნე ინტონაციით თითქოს პირი ჩაიგემრიელა.

ჰერცოგის ასული წამოდგა. მტკიცე იყო მისი გადაწყვეტილება: უნდა მოსპოს ეს ქალბატონი! ქვეყანა მოითხოვს ამას. ღმერთს სურს ეს. პირისაგან მიწისა უნდა აღიგაოს იგი. სუნთქვა აღარ შეიძლება, ფეხქვეშ მიწა იწვის, სანამ იგი სუნთქავს, სანამ დააბიჯებს ამ მიწაზე. მძიმე ნაბიჯით მივიდა კარამდე, თითქოს სნეული, დაკოდილი, მახინჯი, სევდიანი ცხოველი ყოფილიყოს. მსუბუქი ნაბიჯით, თავაზიანად მიაცილა იგი აგნესამ.

მინისტრები დაჟინებით სთხოვდნენ მარგარიტას აგნესას შეწყალებას. ამ პროცესის შემდეგ ვეღარ გაბედავს ხრიკების მოწყობას ტიროლის წინააღმდეგო. სანამ ტიროლის შინაგანი საქმეები ასე აწეწილ-დაწეწილია, ჰერცოგის ასულმა არამც და არამც არ უნდა იღონოს რაიმე გადამწყვეტი ღონისძიება აგნესას წინააღმდეგ. მინისტრებს ისიც დიდად აწუხებდათ, რომ გრაფის ასულის დაპატიმრების, სასამართლო პროცესის, განაჩენის ამბავი ქვეყანას არ მოსდებოდა.

ფონ შენა უმტკიცებდა მარგარიტას, ხალხი არასოდეს დაიჯერებს, თითქოს აგნესას ავის ჩადენა შეეძლო; გრაფის ასულ-

ზე რომ ხელი აღმართოს. ამით საშინელ, ფანატიკურ სიძულვილს გამოიწვევს საკუთარი თავის მიმართ. არც განაჩენს, არც კაბინეტს არ ძალუძს აღკვეთოს ათასგვარი მითქმა-მოთქმა ამ მკვლელობაზე. უდანაშაულოდ დაღვრილ სისხლზე. ღრუბელი გამოჩნდება ცაზე, ჭექა-ქუხილი ატყდება, საქონელი დაიხოცება, ყველაფერს ღვთის რისხვად ჩათვლიან. აი ჰერცოგის ასულის დანაშაულის სამაგიეროს გვიხდის უფალიო. დაკინებით მისჩერებოდა თავისი გონიერი, ნაცრისფერი თვალებით, სთხოვდა, აფიცებდა არ აჩქარებულიყო, მაინჰარდის დაკრძალვამდე მაინც გადაედო ეს საქმე.

მარგარიტამ მშვიდად უპასუხა:

— არ შეიძლება, ფონ შენა. ანგარიში უნდა გასწორდეს, ფონ შენა.

ფრაუენბერგი მარტო იჯდა და სვამდა. ღამე იყო. კუთხეში მსახური ხვრინავდა. ფრაუენბერგმა წიხლი წაკრა, შეშა შეუკეთე ცეცხლშიო, უბრძანა. ღვინო დაალევინა. ჩუმად უსტვენდა თავის სიმღერას. ფიქრობდა. ლოგიკა! ლოგიკა! თუ ჰერცოგის ასული თავისას გაიტანს და აგნესას ბრალს დასდებენ სახელმწიფო ღალატში ან დასჯიან, სულერთია, აჯანყება მაინც იფეთქებს, და ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია, შექმნილ ვითარებაში შეძლებენ თუ არა ბარონები ძალაუფლების შენარჩუნებას. ხოლო თუ დრუნჩიანის სურვილი არ შესრულდა, ისეთი ჯიუტია იგი, მაინც არ მოეშვება თავისას და მიღწეულით დატკბობის საშუალებას არ მისცემს მას. მაშ როგორ მოიქცეს? ლოგიკა! ლოგიკა! ფიქრობდა. სვამდა. ფიქრობდა. სახე გაუნათდა. გაღრიჯა. მსახურს ღვინო შეასვა. რაღაც წაისისინა. დაიძინა.

მეორე დღეს აგნესასთან მივიდა. ხალისიან გუნებაზე დაუხვდა ქალი, დიდად ესიამოვნა მისი მისვლა. მოწყენილობას აღარ ვუჩივიო, უთხრა. თავს მახვევია სტუმრები, აი დღეს შენ მეწვიე, გუშინ უსახურმა მომინახულაო. მითხრეს, რომ მშვიდობიანად მორიგებულხართო, იცრუა ფრაუენბერგმა, თუმცა მარგარიტას მსგავსი არაფერი უთქვამს მისთვის. აგნესამ ეშვის თვალით გადახედა მას. ფრაუენბერგმა თვალები მოჭუტა, მარგარიტას კილვას მოჰყვა. ტკბილი არაყი მოგიტანეო, უთხრა ქალს. აგნესამ დალია. დივანზე იწვა იგი, ქათქათა მოღერებული ყელი სიცილისაგან უთრთოდა. ფრაუენბერგი ეარ-

შიყებიდა. მეტისმეტად მხიარულობდა აგნესა, შესანიშნავ გუნებაზე იყო. ფრაუენბერგის მოტანილი არაყი მართლაც რომ განსაკუთრებული გამოგდა. აგნესას სწრაფად მოეკიდა სასმელი. კარგად გამაცურეო, უთხრა ფრაუენბერგს, როცა ცხვირწინ ამაცალე მაინჰარდი. მაგრამ რაც იყო, იყო. ნაწყენი მაინც არა ვარ შენზე. ნამდვილი მამაკაცი ხარ, ერთადერთი მამაკაცი, რომელმაც ჩემი გული მოინადირაო.

ქალი დივანზე იწვა, სასიამოვნოდ ძალმიხდილი.

რა დაბალი ოთახებია ტიროლის ციხეში! ჭერი თანდათან დაბლა იწევს, სულ დაბლა და დაბლა. კინრად, შეეყუდე ჭერს, თორემ დაიხრჩობა აგნესა. ჭერი უკვე სულს უხუთავს, თავშეუკავებლად ხარხარებს ქალი. იქნებ. სასიკვდილო ხროტინია ეს?

ფრაუენბერგი თავზე ადგა ქალს, თვალები მიეპუტა, ელოდა. საქმეში ჩახედული კაცივით ყურადღებით დასცქეროდა. თავი დააქნია, როცა ქალი ჯერ გვერდზე გადაბრუნდა, მერე კი ისევ ზურგზე, მიაცინარე პირი ფართოდ გააღო ჰაერის ჩასასუნთქად და ახროტინდა. მერე სახე დაემანჭა ქალს, ხელები გაასავსავა, დივნიდან დაბლა გადმოცურდა.

მცირე ხნის შემდეგ მის მოახლეებს დაუძახა. კაბინეტის დანარჩენ წევრებს აცნობა, რომ უაზრობაა ჰერცოგის ასულთან დავა გრაფის ასულ ფონ ფლავონის შეწყალებაზე. ვინაიდან გრაფის ასულმა, ალბათ, ვერ გაუძლო ამდენ მღელვარებას და ეს-ასაა სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალაო.

როცა მარგარიტამ აგნესას სიკვდილის ამბავი შეიტყო, ყრუ სიცარიელე იგრძნო, თითქოს ერთბაშად მოდუნდა. აქამდე მთელი მისი არსება აღსავსე იყო ერთი მიზანსწრაფვით: აგნესა. ახლა ყოველივე ეს გაქრა, დარჩა მხოლოდ ცარიელი გარსი.

ნამცეც-ნამცეც აკოწიწებდა სულიერ ძალებს იგი. გალაღებული, ფრთაშესხმული, ხალისიანი უნდა ყოფილიყო ახლა, რადგან მისი ქვეყნის დამღუპველი უკვე მკვდარია და აღარაფერი ემუქრება სამშობლოს. მაგრამ არა, პირიქით, უფრო და უფრო მეტად ეუფლება ყრუ. უაზრო მძვინვარება. აქამდე სულ იმის ცდასა და ნატვრაში იყო, მტრის დამხობას მოსწრებოდა,

როცა დამარცხებული აგნესა სიკვდილის მოლოდინში იძულებული შეიქნებოდა წარმოეთქვა: „საცოდავი არარაობა ვარ, საბრალო არსება, შენ კი—ხელმწიფე, უზენაესი, მიუწვდომელი. ღვთის რჩეული“. აგნესას სიკვდილი კი არ იყო მისი მთავარი მიზანი, ასეთი აღიარების მოსმენას ნატრობდა. ახლა კი მარგარიტა უტიფრად გაძარცვეს, მოტყუებით ხელიდან გამოჰგლიჯეს სიძულვილი, შურისგება, გამარჯვება, — საძულველი მტერი გამოსტაცეს და ახლა იგი მისთვის მიუწვდომელ ნაპირზეა მოსვენებული. უტიფრად, უხეშად, ურცხვად მოტყუებულია მარგარიტა, აგნესა კი ხელიდან გაუფრინდა, თვალმიუწვდომელ შორეთს მიაშურა ლაღმა, მოღიმარემ, დაუჯაბნელმა.

მარგარიტა ბობოქრობდა, ცოფებს ყრიდა. რის მაქნისია ახლა ის მსხვერპლი, რომელიც გაიღო მან? რისთვისღა მიუგდო თავისი ქვეყანა გულხარბ ბარონებს საჯიჯგნად, გასწირა საკუთარი და თავისი წინაპრების ნამოღვაწარი, სამარცხვინოდ ქედი მოიხარა სიხარბისა და კადნიერების წინაშე? აგნესა ხომ მაინც გაუსხლტა, დამცინავი, მოღიმარი.

უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა ფრაუენბერგს. ჩასუქებული კონრადი კი მშვიდად იდგა მის წინ, გულცივად ფეხებგალაჯული. ეს პირტიტველი, ვარდისფრად აღაჟღაჟებული კაცი მარგარიტას წყევლა-კრულვას ისე იცილებდა, ვით კედელი შეყრილ ცერცვს.

ჰერცოგის ასულმა მინისტრთა საბჭო მოიწვია. ადრე თუ მუდამ იმორჩილებდა ხოლმე თავს, ახლა სადავემიშვებული, ბრაზისაგან ჩახლეჩილი ხმით, ენის ბორძიკით ლაპარაკობდა, ჯიუტად მოითხოვა, ახლავე გამოაქვეყნეთ სასამართლო პროცესის მთელი მასალები და განაჩენი, ხოლო ცხედარი ძაღლის ლეშივით ჩაფალით მიწაშიო. თუ ასე არ მოიქცევით, მე დამბრალდებაო მისი უეცარი სიკვდილი. მინისტრებმა მტკიცე, ერთსულოვანი უარი განაცხადეს. მათი უმრავლესობა, ისევე როგორც საერთოდ მთელი ქვეყანა, მართლაც მას სდებდა ბრალად აგნესას მოულოდნელ, საეჭვო სიკვდილს. ისინი გულწრფელად აღშფოთებული იყვნენ მარგარიტას მკრეხელური მოთხოვნით, რომ მისი საძულველი მეტოქის ვერაგული მკვლელობა სამართლიან პატრიოტულ აქტად გაესაღებინათ. ახლა იმასაც კი ფიქრობდნენ ისინი, მორალურად სავსებით გამართ-

ლებულია ჩვენი ადრინდელი წამგლეჯობაო: მართლაც უმაქ-
ნისია ყოველგვარი სიტყვიერი გარანტიები, რაკი ასეთი დაუნ-
დობელი და ავისმოქმედია ეს ქალი. ისე კი თითქოს გულზე
ლოდი მოეხსნათ, ასე მოულოდნელად რომ მოგვარდა კონფ-
ლიქტი, და არავითარი სურვილი აღარ ჰქონდათ ხელახლა გა-
ემწვავებინათ საქმე. გამყივანი ხმით მკაფიოდ ჩამოაყალიბა
მინისტრების მოსაზრებანი ფრაუენბერგმა: მაინც რა სურს
ჰერცოგის ასულს? ღმერთმა თვითონ დასაჯა დამნაშავე. ქვეყ-
ნის დამღუპველი მკვდარია. ვეღარავის გადაეღობება გზაზე.
ამაზე მეტი რა უნდოდა ჰერცოგის ასულს, ამაზე მეტს ხომ
ვერც ინატრებდა. კუბოში ჩასვენებულის სიძულვილი კი ქრის-
ტიანს დიახაც რომ არ შეჰფერის. ხალხიც არ იქნება გასამტყუ-
ნარი, აჯანყებით რომ გვიპასუხოს ამაზეო. ფონ მაჩმა კი დას-
ძინა: ხალხი მართლაც უდიერად იხსენიებს ჰერცოგის ასულს.
ისიც შეტყობილი მაქვს, რომ გრაფის ასულის სიკვდილმა ზოგ-
ზოგან შფოთი გამოიწვია. მაგრამ ვინაიდან ჩვენ, მინისტრები,
ჰერცოგის ასულის მხარეზე ვართ, ასეთ არეულობას ძალიან
ადვილად მოვუღებთ ბოლოს. შფოთის ბევრი მოთავე უკვე
გაკოჭილია, მათ საჯაროდ გაროზგავენ და ამის შემხედვარე
დანარჩენებიც ხმას ჩაიწყვეტენ. ხოლო თუ მიცვალებულს შე-
ეურაცხყოფთ, უკმაყოფილება საყოველთაო ხასიათს მიიღებს
და მაშინ კი მე ვეღარაფერს ვიღონებ და ხელები დამიბანიაო.
კეთილსინდისიერმა გუფიდაუნმაც გამოთქვა თავისი აზრი. დი-
ნჯად ლაპარაკობდა, ფრთხილად არჩევდა ყოველ სიტყვას. დი-
დი შინაგანი ჟიდილის შემდეგ იგი დარწმუნდა, რომ ჰერცოგის
ასულის ხელი არ ერია აგნესას სიკვდილში. დამნაშავე მოკვდა.
სიცოცხლეზე უფრო მეტი რა საფასურით შეიძლება დანაშა-
ულის გამოსყიდვა მიწიერ მსაჯულთა წინაშე? განსვენებულის
ხსოვნის შეურაცხყოფა სულაც არ შეჰფერის ისეთ კეთილშო-
ბილ, მაღალზნეობრივ ქალს, როგორიც ჰერცოგის ასულია.
ეს თქვა და მორცხვად დაჯდა, რადგან საერთოდ იშვიათად
გამოთქვამდა ხოლმე საჯაროდ თავის აზრს. ყველამ მოიწონა
მისი ნათქვამი.

ჰერცოგის ასულმა ფონ შენას გადახედა. ნერვიულად ფრჩ-
ხილებს აფხაჭუნებდა იგი მაგიდაზე, დუმდა.

მარგარიტა მაინც თავის ნათქვამზე იდგა. აღელვებით, ენის

ბორკილით ბუტბუტებდა, რომ არ დაიხევდა უკან. ჩემი პრესტიჟის გულისათვის მოვითხოვ ამასო.

მაგრამ მინისტრები არ ნებდებოდნენ. ადრე მიღწეულ შეთანხმებას იმიზეზებდნენ. მერე კლანჭებიც გამოაჩინეს, განაცხადეს, არასოდეს არ დავთანხმდებით მიცვალებულის შეურაცხყოფაზეო. მარგარიტა გამწარებით ყვიროდა, რომ მას არ ემორჩილებიან, რომ ეს ბუნტია. მინისტრებმა უპასუხეს, გულდამშვიდებით ვისმენთ თქვენს საყვედურს, სინდისი გვკარნახობს, ასეთი ურჩობა ქვეყნისა და თვით ჰერცოგის ასულის ინტერესებითაა გამართლებულიო. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მიცვალებულის დაცვას მთელი ქრისტიანული სამყარო მოუწონებდათ. მარგარიტა იძულებული გახდა დაეთმო.

უძლური ბრაზი ახრჩობდა. არამზადები, მხდალები ყოფილან მისი მინისტრები! დახეთ, როგორ უხარიათ, რომ განაჩენის სისრულეში მოყვანა საჭირო აღარაა! უსირცხვილოდ გაიცურეს მარგარიტა! ქვეყანა ხელიდან გამოსტყუეს და მერე კი სამარცხვინოდ თავი დაიძვრინეს შეთანხმების პირობის შესრულებისაგან. არამზადები! ყალთაბანდები! გამომძალველნი! დახმარებისათვის საზღვარგარეთს მივმართავო, იფიქრა. მაგრამ ვიტელსბახები აგნესას ნაფიცი დამცველნი არიან და არც ჰაბსბურგელია სულელი, რომ მიცვალებულის წინააღმდეგ ამხედრებით თავიდანვე გაიფუჭოს სახელი.

ბოლოს თავგანწირული, უმწეო რამ მოიფიქრა მიცვალებულის დასამარცხებლად: მაინჰარდის დაკრძალვა სწორედ მაშინ დანიშნა, როცა აგნესა უნდა დაესაფლავებინათ. ვინც ტაუფერსში წავიდოდა აგნესას დაკრძალვაზე, იგი ჰერცოგის დასაფლავებას ვერ დაესწრებოდა. გახელებით, ჯიუტად მოუწოდებდა იგი ქვეყანას აერჩია: ან იგი ან მიცვალებული.

თვალგაშტერებული, მდუმარედ, ლამის გაველურებული იჯდა იგი ტიროლის ციხეში, უცდიდა, თუ ვინ მოვიდოდა მასთან. ვინ წავიდოდა აგნესასთან. ისევე როგორც მთელმა ქვეყანამ, თვითონაც კარგად იცოდა გულის სიღრმეში, რომ აგნესამ თავისი სიკვდილით სძლია მას. მარგარიტა ვერავითარი ძალით, ვერავითარი ეშმაკობით ვეღარ მისწვდებოდა მას.

*

კაბინეტის წევრები თათბირობდნენ—უნდა გადაეწყვიტათ, რომელი მათგანი დაესწრებოდა ახალგაზრდა ჰერცოგის დასაფლავებას და ვინ წავიდოდა ტაუფერსში. შეთანხმდნენ: ყოველ მათგანს თვითონვე გადაეწყვიტა ეს, თვითონვე ეკისრა პირადი პასუხისმგებლობა. უმრავლესობა გრაფის ასულ ფონ ფლავონის დაკრძალვაზე აპირებდა წასვლას. მათ ხომ ხელი არ ურევიათ აგნესას სიკვდილში. რატომაც არ უნდა გაიგოს ეს ხალხმა? ფრაუენბერგმა, ტევტონთა ორდენის კომტურმა ეგონ ფონ ტიუბინგენმა და კეთილსინდისიერმა, მოუქნელმა გუფიდაუნმა ტიროლის ციხეში დარჩენა გადაწყვიტეს.

გვიანობამდე ფხიზლობდა იმ საღამოს იაკობ ფონ შენა, მაგრამ მაგიდაზე გაშლილ გრაგნილს არ კითხულობდა. უთანაბრო, გაჯგიმული ნაბიჯებით ბოლთას ცემდა. ჯერ იფიქრა, თავს მოვიავადმყოფებ, არც ტაუფერსში წავალ და არც აქ გამოვჩნდებიო. მას სულაც არ აინტერესებდა მთელი ამ ამბის პოლიტიკური მხარე, იგი სრულიადაც არ იყო პატივმოყვარე და არავითარ ანგარიშს არ უწევდა ბრბოს აზრსა და გრძნობებს. მაგრამ მას თავიდანვე აღელვებდა ამ ორი ქალის შუღლი და მტრობა. ახლა კიდევ უფრო მეტად აწუხებდა ცოცხალსა და მკვდარს შორის გამართული ბრძოლა. მარგარიტამ შემწეობა სთხოვა მას. პირველად მოხდა, რომ ფონ შენამ უარი უთხრა ჰერცოგის ასულს. შენას სულაც არ უნდა ამ ბრძოლაში ჩაბმა, არც ერთის მხარეზე არ სურს ყოფნა. არ სურს.

იქნებ მხოლოდ მან ერთმა იცის ამ ბრძოლის ნამდვილი მიზეზი. მარგარიტა, ვით ხელმწიფე, მართალია. აგნესა ვნებდა ქვეყანას, და ტიროლის ბედია, რომ მოკვდა იგი. მაგრამ საკითხავია, ვინ აღმართა მსახვრალი ხელი: მარგარიტა ხელმწიფემ თუ მარგარიტა ქალმა? რატომ განუმზადეს სიკვდილი აგნესას: იმიტომ, რომ იგი ვნებდა ქვეყანას, თუ იმიტომ, რომ ლამაზი იყო? ძნელი სათქმელია. უტყუარი მხოლოდ ისაა, რომ აგნესა ულამაზესი ქალი იყო პოდან დაწყებული ვინემ დუნაიმდე. ფონ შენას უკვე სიბერე შეეპარა. იქნებ ამიტომ მერყეობს იგი.

მაგრამ ქედის მოხრას ჯერ კიდევ არ აპირებს, არ უნდა აღიაროს თავისი სიბერე. ურიგოდ მოიქცა ჰერცოგის ასული. ფონ შენა შეურიგდა მის საშინელ დრუნჩს, ჩვარივით ჩამოკი-

დებულ ლოყებს, საზიზღარ სიმახინჯეს, მაგრამ ვერ შერიგებია მის სიძულვილს მკვდრის მიმართ, უბრალო, პატიოსანი გრძნობა ეურჩება ამას. ამიტომ სილამაზის მხარეზე უნდა დადგეს იგი. ფონ შენა ტაუფერსში გაემგზავრება.

პუსტერტალიდან ბრუნეკის გავლით უწყვეტი ნაკადი მიედინებოდა ტაუფერსში. აქაური მთები არასოდეს მოსწრებიან ამდენი ხალხის ნახვას. რის ვაივაგლახით მიიკვლევდნენ ისინი გზას ღრმა თოვლში. ფართო შარა გატკეპნეს ფეხით. ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ყინვაში ათევდნენ ღამეს. სულ მალე კარვების ქალაქი გაჩნდა აქ, ათასობით ემატებოდა ხალხი, მოდიოდნენ კაცები, ქალები, ბავშვები. ზამთრის სიძნელე ვერ აშინებდა მათ. ყველგან გაისმოდა მარგარიტას წყევლა-კრულვა. ავსულს, კუდიანს უწოდებდნენ მას. საზიზღრად, ვერაგულად მოკლა ამ ეშმაკის კერძმა კეთილი, თვინიერი აგნესაო. აი, ანგელოზივით წევს ახლა იგი ტაუფერსის სამლოცველოში; ვითომც სანთლისაგან იყოს ჩამოსხმული, ისე ლამაზია, თითქოს წმინდანი წვეოდეს ეკლესიას. უწყვეტ ნაკადად მოედინება ხალხი მის სახილველად. ყველა ასაკის, ყველა წოდების ადამიანები მოდიან—ბარონები, გლეხები, ქალაქელები. ყველა ერთნაირად ღელავს, წუხს; ყველა ერთნაირადაა აღშფოთებული ჰერცოგის ასულის ნამოქმედარით.

ტიროლის ციხის სამლოცველოში კი მიტოვებული მაინჰარდი, ტიროლის უკანასკნელი გრაფი ასვენია. მხოლოდ ოფიცრები და სასახლის ჩსახურნი არიან აქ. ისინი, ვისაც ევალებოდა აქ დარჩენა.

ორიოდ სიტყვა ძლივს ამოილუღლუღა, ისე გაიარა გაქვავებულმა მარგარიტამ აჩურჩულებული ხალხი, თითქოს ვერც კი შეამჩნიაო თავისუფალი ადგილები. პირქუშად გასცა უკანასკნელი განკარგულებანი. განა ბატონი ფონ შენა აქ არაა? არა, იგი ჯერ კიდევ არ მოსულა. ნაშუადღევს ისევ იკითხა: ჯერ კიდევ არ მოსულა? არა, ბატონი ფონ შენა არ მოსულა. შიკრიკი აფრინა ფონ შენას ციხეში. ბატონი ფონ შენა შინ არაა. ტაუფერსში წასულა.

ფონ შენაც...

მაინჰარდის გვამი გახრწნის მძაფრ სუნს გამოსცემდა, ნელ-

საცხებლები, საკმეველი ვერ აბათილებდა მას. სამლოცველოში შეკრებილთ სუნთქვა ეკვროდათ. საპატიო ყარაულში მდგომი ოფიცრები ყოველ საათში იცვლებოდნენ.

შუაღამის სამ საათზე მარგარიტა სამლოცველოში შევიდა. მდუმარედ დაჯდა თავისი ნახევრად გახრწნილი შვილის გვერდით, გვამის ლპობის სუნს არ მორიდებია. საპატიო ყარაული შეიცვალა, შეიცვალა მეორედ, შეიცვალა მესამედ. იგი კი კვლავ გაუნძრეველად იჯდა მიცვალებულის გვერდით.

მაშასადამე, ფონ შენაც...

მტერი იხმო, მკვდარი მტერი, მბრძანებლურად იხმო იგი. გამოეცხადა. მარგარიტამ დავა დაუწყო. იგი კი ხმას არ იღებდა, იღიმებოდა. ჰერცოგის ასულმა გადმოულაგა და გადმოულაგა მთელი მისი შეცოდებანი, ის კი უაზროდ, პატივმოყვარედ, კადნიერად კეკლუცობდა თავისი უმწეო, გადატკეცილი, ურცხვად ვნებიანი სილამაზით. აქ, ამ სამლოცველოში, სადაც განისვენებდნენ ტიროლელი გრაფები, რომლებმაც ერთ დროს დაიმორჩილეს და შეადუღაბეს ძლიერი, მდიდარი, ლამაზი მთაგორიანი ქვეყანა, მარგარიტამ ყველაფერი გადმოუშალა თავის მტერს. რაც კი რამ დაენგრია, დაეღუპა, წაებილწა, ყველაფერი უთხრა დაუფარავად. იგი კი წინ და უკან დაფარფატებდა, ლაღი, მიუწვდომელი. ხრწნაც კი არ გაკარებოდა, იღიმებოდა, დაფარფატებდა, დუმდა.

ფონ შენაც...

იმ ქალმა გაიმარჯვა. მარგარიტა იყო მართალი, მაგრამ იმ ქალმა გაიმარჯვა. მარგარიტამ იგი მოსპო, მან კი გაიმარჯვა. განადგურებულია, მკვდარი, მაგრამ გამარჯვებული. ყველანი მას ეახლენ. ფონ შენაც...

მეორე დღეს აბოლდა საკმეველი, ამღერდნენ მოზარენი, კუბო ჩაუშვეს, ქვის ფილები პირიპირს მიადეს და სამარხი დახურეს. მაგრამ ცერემონიას შინაგანი გამოხმაურება არ გამოუწვევია. მოზარეთა გლოვის სიმღერა არ აყვავილებულა გულში, ყველა წესი ცივად სრულდებოდა, დაკრძალვის მცირერიცხოვანი დამსწრენი გახევებულნი, შემცბარნი იდგნენ, იყინებოდნენ.

ტაუფერსის მახლობლად კარვების ქალაქში გლოვის სუფრა გაეშალათ. აბრიალებულ კოცონებთან ხალხი თბებოდა, აქვე

წვავდნენ და ხარშავდნენ კერძებს. წოდებათა შორის მკვეთრი საზღვარი წაშლილიყო. გლეხები, რომლებსაც ჩვეულებრივ სასტიკად ეკრძალებოდათ კანონით თევზისა და ნანადირევის ჭამა, ახლა სიამოვნებით შეექცეოდნენ მას თალგამისა და მეავე კომბოსტოს ნაცვლად. ქალაქის მცხოვრებნი მათ ძეხვებითა და მოხარშული ღორის ხორცით უმასპინძლდებოდნენ. გამამხნევებელ ყინვაში ნაღვლიანი გულჩვილობით ქელეხობდნენ, უზომოდ ჭამდნენ და უზომოდ სვამდნენ. კარგად შექეიფიანებულნი აღტაცებით იხსენიებდნენ განსვენებული გრაფის ასულის ფონ ფლავონის ანგელოზისებრ სილამაზეს, თვინიერებას, გულკეთილობას. წყევლა-კრულვას უთვლიდნენ დრუნჩიანს, ეშმაკის კერძს, ავსულს, მკვლელს. და მკვდარი აგნესა ხალხის მეხსიერებაში შეიმოსა აკრძალული შემწვარი ხორცის სურნელებითა და უხვად შესმული ღვინის საამო ზარხოშის შარავანდედით.

მარგარიტა მარტოდმარტო უჯდა აღაპის მდიდრულ სუფრას. გაფხორილი კაბა ეცვა, უხვად წაესვა ფერ-უმარილი, ოქროულობითა და პატიოსანი ქვებით მორთულიყო; ალმების, სამხედრო ნიშნების, შტანდარტების ქვეშ მარტო მიჯდომოდა იგი ძვირფასად გაწყობილ მაგიდას. მოღიმარ ფრაუენბერგს, გუფიდაუნსა და ეგონ ფონ ტიუბინგენს პაჟებისა და მზარეულებისაგან ნაირნაირი კერძები მოჰქონდათ, ზეიმურად დგამდნენ მაგიდაზე. მარგარიტა გამართული იჯდა, არ იძროდა. ზღაპრულად უხვი კერძები შემოჰქონდათ და ხელუხლებლად გაჰქონდათ უკან. ასე გადაიხადა შვილის სამსაათიანი აღაპი ჰერცოგის ასულმა.

ფრაუენბერგის მდივანს, დინჯ, მორჩილ დიაკონს დიდი ჯაფა დაადგა. მინისტრებმა ურცხვად, უტიფრად ისარგებლეს ხელშეკრულებით, რომელიც ძალისძალათ წაგლიჯეს ჰერცოგის ასულს, და შეუდგნენ ქვეყნის დანაწილებას ერთმანეთს შორის. აქეთ-იქით არიგებდნენ ნაჩუქრობის სიგელებს, უზენაეს მოწყალებებს, პრივილეგიებს. არტურის წრის მმართველობა უდიდეს ლმობიერებად გამოჩნდა ამ განუკითხავ ძარცვაგლეჯასთან შედარებით, ჰერცოგის ასულის კაბინეტმა რომ დააკანონა...

ფრაუენბერგმა ღრეჭა-ღრეჭით მოხვეტა აგნესას შემოგვ
დარჩენილი მემკვიდრეობა, პერგინის ციხე და ადგილ-მამულიც,
რივის აღმოსავლეთით კი პენედის ციხეც ხელთ იგდო; ჰაინრიხ
ფონ კალტერნ-როტენბურგი ნონსბერგის მთაზე კაგნოს ციხე-
სიმაგრეს და სოფელს დაეპატრონა; ჰანს ფონ ფრაინდსბერ-
გმა შტრასბერგის ციხე-სიმაგრეც მიითვისა და ადგილ-მამულიც
შტერკინის მახლობლად. ძმები ფონ მაჩები ყველაფერს წაე-
პოტინენ, რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდათ. სათავისოდ მოი-
თხოვეს ნაუდერსი, ქალაქი გლურნსი და მთელი ის ოლქი: ეიე-
რსის საპრობსტვო, იუფალის ციხე შნალის დაბლობზე.

ბერხტოლდ ფონ გუფიდაუნსა და ტევტონთა ორდენის კო-
მტურს ეგონ ფონ ტიუბინგენს სულაც არ მოსწონდათ ეს ამ-
ბები და თვითონაც ხელი არ გაუსვრიათ ძარცვა-გლეჯით. კა-
ბინეტის დანარჩენ წევრებში მხოლოდ დამცინავ ღიმილს იწ-
ვევდა მათი ასეთი გულუბრყვილობა.

ფონ შენა ნაღელიანად თავს აქნევდა თავისი კოლეგების
ასეთი სისარბის გამო. ბოლოს კი მაინც გადაწყვიტა: სჯობს მე
გავაკეთო ეს, ვინემ სხვამო. თითქოსდა უხალისოდ, მაგრამ მა-
რჯვედ იგდო ხელთ რაინეკის მამულები, მერე ამას აპანის ცი-
ხე და ოლქიც ზედ მიაყოლა, დასასრულ კი ისე ააღელვა სა-
სტიკმა გულჩვილობამ და სიხარბემ, რომ კავალეზეს მახლობ-
ლად ლუგანოსაც დაეპატრონა.

გახევებული, მდუმარე მარგარიტა ხელს აწერდა ყველა-
ფერს, რასაც კი მიუტანდნენ. ერთ თვეში თავისი ქვეყნის თით-
ქმის ნახევარი გაასაჩუქრა და დააგირავა.

•

იანვრის საშინელ სუსხში ხუთი მამაკაცი გადადიოდა კრი-
მლერ-ტაუერნის მაღლობზე. ნამქერში ეფლობოდნენ, მერე
რის ვაივაგლახით ამოდიოდნენ მყარ თოვლზე, საშინლად ეკა-
წრებოდათ სახე და ხელები ყინულებსა და ქვებზე. ხეობიდან,
ცბიერი თოვლიანი ველებიდან თითოეულს ჩუმად მოსდევდა
სიკვდილი. ორი დათვი თავიდანვე აედევნა მათ, დროდადრო
მიუახლოვდებოდნენ ხოლმე, ყნოსავდნენ. სამი დღე და სამი
ღამე იარეს მგზავრებმა, სანამ სოფელ პრეტაუს მახლობლად
ადამიანის საცხოვრებელს არ წააწყდნენ.

ესენი იყვნენ ავსტრიის ჰერცოგი რუდოლფი, მისი ჰოფ-

მაისტერი ბატონი ფონ რაპახი, მისი კამერარიუსი ბატონი ფონ ლასბერგი და ორიც კიდევ მსახური.

ჰაბსბურგს, რომელიც იმხანად შტაიერმარკში, იუდენბურგში იმყოფებოდა, შიკრიკის ხელით დეპეშა გაბოუგზავნა მაშინ შვაბიაში, ტიროლის საზღვართან მყოფმა მისმა კანცლერმა. ხურის ეპისკოპოსი იოჰანი ტიროლის ამბებს იტყობინებოდა, მაინჰარდის სიკვდილის შემდეგ შექმნილ უთანხმოებას ამცნობდა და მოწიწებით, მაგრამ დაჟინებით სთხოვდა ჰერცოგს, რაც შეიძლება მალე ჩასულიყო ტიროლში.

რუდოლფს დიდხანს არ უფიქრია. ვიტელსბახები ალბათ ერთმანეთს ჰამენ მაინჰარდის დანატოვარი ბავარიული მემკვიდრეობის გამო და ტიროლისათვის სადა სცალიათო. სავსებით მართალია კანცლერი. მთავარი ისაა, რომ ახლავე, რაც შეიძლება სწრაფად, ბავარიის გვერდის ავლით, უმოკლესი გზით ჩავიდეს იქ და მარგარიტას გამოეცხადოს. ვენაში დაბრუნდეს? ჯარი წამოიყვანოს? არა, იუდენბურგიდან პირდაპირი გზით მიაშურა რადშტადტს, პინცგაუს, შემდეგ კი, თუმცა დაბეჯითებით ურჩევდნენ ხელი აეღო ზამთარში ტაუერნის გადავლაზე, მაინც თავისი გაიტანა და პრეტაუში, არენტალში ჩავიდა. ტაუფერსში დაკრძალვიდან მობრუნებულ ხალხს შეერია, ვერავინ იცნო. გზაში შეიტყო ახალი სამინისტროს შექმნის, მისი არნახული უფლებამოსილებისა და ძარცვა-გლეჯის ამბები. ბრუნეკში ჩავიდა. ოც იანვარს, მარგარიტას ერთპიროვნული მმართველობის მეთოთხმეტე დღეს, იგი უკვე ბოცენში იყო.

და აი იგი აქაა. მისი ქვეყანა, რომლის დასაპატრონებლად ათეული წლები იბრძოდნენ თვითონაც და მამამისიც, აი ეს ქვეყანა ახლა ხელში ჩაუვარდათ გათავხედებულ ბარონებს, რომლებიც დღითი დღე აქუცმაცებენ მას. იგი სულ მარტოდმარტოა; მთელი მისი თანმხლები ჯარი ორი ოფიცრისა და ორი ჯარისკაცისაგან შედგება. მართალია, ავსტრიიდან წამოსვლისას ბრძანა, რომ ჯარებს ტიროლის საზღვრებთან მოეყარათ თავი, მაგრამ სანამ ეს განხორციელდება, იქნებ უკვე დაანაწილონ კიდეც ეს ქვეყანა. ძალიან კარგად იცის, რა სახიფათო მდგომარეობაშიც იმყოფება, სავსებით შესაძლებელია, როს აღვირახსნილი, გამხეცებული ბარონები პირადად მასაც კი არ მოერიდონ და ხელში ჩაიგდონ იგი, თუმცა ეს დიდხანს ვერ

გაგრძელდება. ასეც რომ მოხდეს, ხომ შეეცდებიან ისინი, რომ ათასნაირი გარანტიები და დაპირებები გამოსძალონ. მაგრამ, როგორც ყოველთვის, არც ახლა ძალუძს ლოდინი. ვეღარ იოკებს სურვილს, ახლავე უნდა აღასრულოს თავისი მისია, საკუთარი თავის მტკიცე რწმენა აქვს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, პირადად თვითონ როგორ მოიქცევა.

ფრაუენბერგმა მსახურს უბრძანა, ჩემი მოსვლის ამბავი მოახსენეო ჰერცოგს. სამინისტროს წარმომადგენლად გამოაცხადა თავი. გაფაციცებული იდგა ჰერცოგის წინაშე. ჰერცოგი ცივად, თავშეკავებულად შეხვდა. ფრაუენბერგი ნიადაგის მოსინჯვას შეუდგა. თვალები მოჭუტა, ნდობით მიაპყრო მზერა ჰერცოგს, თამამად უთხრა: კაბინეტი მზადაა სცნოს მარგარიტას ანდერძი ჰაბსბურგთა სასარგებლოდ, მხოლოდ იმ პირობით, თუ რუდოლფი გარანტიას მისცემს მინისტრებს, რომ სულ ცოტა თორმეტი წლის განმავლობაში მაინც ხელშეუხებელი იქნება მათი უფლებები და პრივილეგიები.

რუდოლფი შესცქეროდა ბრგე, ზორზოხა კაცს, რომელიც საშინლად ეზიზღებოდა. მან კი შეთქმულივით ეშმაკურად ჩაუკრა თვალი, თითქოსდა ერთი ყალთაბანდი ვაჭარი სარფიან, მაგრამ არცთუ მთლად სინდისიერ გარიგებაზე უთანხმდებაო მეორე ვაჭარს. ჰაბსბურგმა ქედმაღლურად უპასუხა: უცნაური ზნე-ჩვეულებები გაგჩენიათო ტიროლში. ჰაბსბურგთა სამფლობელოში კი თავმოძულებულის მეტი ვერავინ გაბედავდა ასეთი რამ შეეთავაზებინა თავისი ხელმწიფისათვის. რამდენადაც მისთვის ცნობილია, გერმანიის ხელმწიფეები მხოლოდ ღვთისა და იმპერატორის წინაშე აგებენ პასუხს, ხოლო ჰაბსბურგი, თავისი სამეფო კარის განსაკუთრებულ პრივილეგიათა საფუძველზე, იმპერატორის წინაშეც კი არაა პასუხისმგებელი. ფრაუენბერგი მშვიდად შესცქეროდა მას და ელოდა, თუ ამ თეორიული ხასიათის ზოგადი შესავლის შემდეგ როდის დაიწყებოდა კონკრეტული, პრაქტიკული საკითხების გარჩევა. ჰაინრიხმა ცივად დააბოლოვა სათქმელი: იგი მზადაა შეამოწმოს, თუ რამდენად უფლებამოსილია ბარონების პრივილეგიები. ალბინუსმა თავისი გომბეშოსებური პირი დააფჩინა და უტიფრად, თავდაჯერებით, მხიარულად წაისისინა: თუკი ასეა, მორიგდებიან ისინი. იგი დარწმუნებულია, რომ შემოწმების

დროს ჰერცოგი დიდსულოვნებას გამოიჩენს. ტიროლშიც მუდამ დიდსულოვნება მეფობდა და არავის არასოდეს გამოუთქვამს ეჭვი ჰაბსბურგთა გვარეულობის განსაკუთრებულ პრივილეგიათა დამადასტურებელ საბუთებზე, რომლებიც ამდენი ხნის შემდეგ ყოვლად უცნაურ ვითარებაში იპოვნეს.

და ამ დროს მოხდა საოცარი რამ. ჰერცოგმა ნელა, მშვიდად ასწია თავისი წვრილი, ღონიერი, გამხდარი ხელი. მზემოკიდებული ხელის ზურგით ორჯერ სთხლიშა მოსაუბრეს პირტიტველ ვარდისფერ სახეში, ჯერ მარჯვენა ლოყაზე გაუტყლაშუნა, მერე მარცხენაზე.

ფრაუენბერგი უძრავად იდგა. მისი ნაცემი სახე წყენას კი არა, უზომო გაოცებას გამოხატავდა. ჩაწითლებული, უწამწამო თვალებით მიშტერებოდა ჰერცოგს, მის დაბალ, კუთხოვან, ენერგიულ შუბლს, კეხიან ცხვირს, გამობერილ ქვედა ტუჩს, წინგამოწეულ ნიკაპს. ალბინოსმა თვალები დაახამხამა. მხრები აიჩეჩა, თითქოსდა ბოდიშს იხდისო, თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა.

მარტო რომ დარჩა, რუდოლფმა ღრმად ამოისუნთქა, გაიღიმა, ხელები გაშალა, გაიცინა.

ფრაუენბერგმა გულში გაიცინა: მისი თავიდან მოშორებაც შეიძლებოდა, მაგრამ ეს საქმე ისე იოლად არ ჩაივლის, როგორც ადრინდელნი. თანაც, რუდოლფმა ალბათ წინასწარ მიიღო სათანადო ზომები და ზურგი გაიმაგრა. კაცს თუ ჭკუა აქვს, ახლა გარიდება ჯობია. რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, შენს ნებაზე რომ ვეღარ პარპაშობ, მაგრამ როცა კაცს ეგეთი კეფა და ეგეთი ყბა აქვს!.. ეჰ, რაც არი, არი. ცოტა ქონება როდი დავაგროვე. ვინ იფიქრებდა, თუ ასეთი კარიერა მომელოდა. ახლა მთავარი ისაა, რომ რაც შეიძლება მეტი შევინარჩუნო. რის მაქნისია გაუთავებელი სიხარბე? ვირი ხომ არა ვარ. როცა დიდი ხიფათია მოსალოდნელი, მე ვიცი ჩემი ზომა. ისე კი მაინც გული დაწყდება ადამიანს. მაგრამ როცა კაცს ეგეთი კეხიანი ცხვირი აქვს...

ფრაუენბერგი თავისი საყვარელი სიმღერის სტვენას მოჰყვა, ხმამაღლა დაამთქნარა, სახსრები გაატკაცუნა, დაიძინა.

სარივით წელგამართული ახალგაზრდა ჰერცოგი ამაყად, მაგრამ მაინც მოკრძალებით იდგა მარგარიტას წინ. გულჩათხ-

რობილ, გახეევებულ ქალს მიესალმა და სამძიმარი მოახსენა შვილის დაკარგვის გამო. შემდეგ თავაზიანად, მაგრამ ჯიქურ გადავიდა საქმეზე. ყველა სამეფო კარზე განთქმულია მარგარიტას სახელი, მტკიცე, გონიერ მმართველად მიიჩნევენ მას, და სწორედ გასაკვირია, რომ ერთპიროვნული ძალაუფლების მპყრობელი გახდა თუ არა, სულ რამდენიმე დღეში აეწეწა ქვეყნის საქმეები. საოცრად გადაება ერთმანეთს სამწუხარო ამბები მის ოჯახში—სულ ცოტა დრო გავიდა მარკგრაფის სიკვდილიდან და მაინჰარდიც გამოეცალა ხელიდან. ამან ალბათ ისე იმოქმედა მარგარიტაზე, რომ თავის ნიჭსა და გონიერებას ვეღარ იყენებს. მაგრამ ახლა ისე, როგორც არასდროს, სჭირდება მთიან ქვეყანას მტკიცე ხელი. საზღვარზე ბავარია იმუქრება; ვიტელსბახების თავდასხმის შემთხვევაში არც ლომბარდიელები დაიკრეფენ გულზე ხელს; ხარბი, გაუმაძღარი ბარონები სვავებივით ძიძგნიან ქვეყანას. დაე, მარგარიტამ აწონ-დაწონოს ყოველივე; იქნებ ის დიდი ნდობა, რომელიც გამოუცხადა მან ავსტრიის სამეფო კარს თავის ანდერძში, უკვე ახლავ იქცეს საქმედ—იქნებ ახლავ აჯობოს, რომ ტიროლის მმართველობა ავსტრიელებს გადასცეს. უძრავად იჯდა ბებერი, ტანჯმუხი ქალი ახალგაზრდა ჰერცოგის წინ, გამოვარდნილი ვეება ყბა არც კი შეტოკებია, სქელი შეღებილი ხელები მკვდრის მკლავებივით უსასოოდ ელაგა მძიმე შავი ფარჩის კაბაზე.

რუდოლფმა ნაცრისფერი, კრიალა, მკაცრი თვალების მზერა მიაპყრო მას, მცირე ხანს იყუჩა და მერე ისევ ალაპარაკდა. ბუნდოვანი დაპირებებით როდი მინდა გაცდუნოთო. ჰაბსბურგთა მმართველობა მუდამ მტკიცე და სამართლიანი იყო. ტიროლს არავითარი უპირატესობა არ ექნება ჰაბსბურგების სხვა სამფლობელოებთან შედარებით. მაგრამ ერთს კი დაჰპირდება ვით ხელმწიფე ხელმწიფეს: ტიროლის მმართველობა კვლავაც მტკიცე, სამართლიანი და გონივრული იქნება. რაც შეეხება პირადად ჰერცოგის ასულს, ბევრად უფრო მდიდრულად და ბრწყინვალედ იცხოვრებს, ვიდრე ბარონების დროს.

მარგარიტა კვლავ დუმდა, უაზრო, დატანჯული თვალებით იმზირებოდა. დასასრულ ეს უთხრა ჰერცოგმა: არ გაჩქარებთო. დაე ჰერცოგის ასულმა მარტომ მოიფიქროს პასუხი: საკუთარ გულისხმასა და ღვთის შთაგონებას მიუგდოს მხოლოდ ყური.

ჰერცოგი მარტო იმასა სთხოვს მარგარიტას, რომ ნდობა გამოუცხადოს და წინასწარ აკვიატებულ აზრს ნუ დაუპირისპირებს მის წინადადებას. მარგარიტამ ჩახლეჩილი ხმით მიუგო:

— მოსაფიქრებელი არაფერია. გენდობით. ვაღიარებ, რომ თქვენი მოსაზრებანი სავსებით სწორია.

ჰერცოგის ასული წამოდგა, უმარილწასმული ხელები მშვიდი, საოცრად დუნე, უსიცოცხლო მოძრაობით ისე გაშალა, თითქოსდა უნდოდა ეჩვენებინა, აი, ნახეთ, ხელთ აღარაფერი შემრჩაო. დიახ, მართლაც აღარაფერი შერჩა, ყველაფერი გამოეცალა ხელიდან: ტიროლიც, თავისი ქალაქებიც, წინაპრების—ძლიერი, შეუპოვარი მაინჰარდისა და ალბერტის ნაშრომ-ნაღვაწიც, ჰაინრიხის ნაღვაწიც, პირადად თავისი ნაღვაწიც. არარას მქონეა ახლა—შიშველ-ტიტველი მათხოვარია.

რუდოლფს სანტიმენტალობა არა სჩვეოდა, მით უმეტეს პათეტიკა; მაგრამ ისიც კი უჩვეულოდ და ღრმად შეაძრწუნა ამ ამბავმა: მის წინაშე თვინიერად იდგა ჰერცოგის ასული—აღარას მქონე, თავის ხვედრს მორჩილად შერიგებული, მეფური ბრწყინვალებისა და ბედისწერისაგან დაღლილ-დაქანცული. ჰერცოგმა მუხლი მოიყარა მის წინაშე და განუცხადა — თქვენგან სალენო მფლობელობაში მიღებულად მივიჩნევ ამ ქვეყანას, მხოლოდ მმართველი ვიქნებიო მისი.

მთელ სამფლობელოს მოედვნენ მარგარიტას შიკრიკები, ჰერცოგის ასულის წერილები და ბრძანებები ჩამოარიგეს ყველგან. ყველას ამცნეს მისი გადაწყვეტილება: განსაკუთრებულ ვითარებათა გამო, აგრეთვე-იმ მიზეზით, რომ ქალთა სქესს სისუსტე სჩვევია, მას არ ძალუძს ისე მართოს ქვეყანა, როგორც სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს ამას, არ ძალუძს ჯეროვნად დაიცვას მცხოვრებნი, არცა თავისი თავი. ამიტომ, ყურად იღო რა მინისტრებისა და ხალხის წარმომადგენელთა რჩევა, თავის საყვარელ ბიძაშვილებსა და ახლო ნათესავთ, ავსტრიის ჰერცოგთ გადააბარა ტიროლისა და გერცის ღირსსანეტარო საგრაფოები, აგრეთვე მთელი ადგილ-მამული მდინარე ეჩის გაყოლებაზე, ინის ხეობა ტიროლის ციხითურთ და მასთან ერთად ყველა ციხე-სიმაგრე, მონასტრები, ქალაქები, ველ-მინდვრები, მთები, ლენები, სოფლები, საფოგტოები, ოლქები, გადასახადები, შემოსავლები, ბეგარები, სავარგულები,

ჭალები, მდელოები, ვენახები, ხოდაბუნები, ტბები, წყალმდინარეები, სათევზაო ტბორები, ნაკრძალები, ერთი სიტყვით, მთელი მამისეული მემკვიდრეობა. და იგი საზეიმოდ უბრძანებს თავის პრელატებს, აბატებს, მთელ სამღვდელოებას, აგრეთვე ბურგგრაფებს, ფოგტებსა და ჩინოვნიკებს ტიროლსა და მისი ქვეყნის სხვა მხარეებში, და მთელს მოსახლეობას აწ და სამარადისოდ შეჰფიცონ ავსტრიის ჰერცოგებს, ვითარცა თავიანთ კანონიერ მმართველებსა და ხელმწიფეებს.

სულ მალე, წინააღმდეგობის გაუწევლად, ყველამ დადო ერთგულებისა და მორჩილების ფიცი. სამ თებერვალს შეჰფიცა ბოცენმა, ხუთში—მერანმა, ცხრაში—შტერცინმა, ათში — ინსბრუკმა. მაგრამ ყველა ბარონმა როდი გამოიჩინა ისეთი კეთილგონიერება, როგორიც ფრაუენბერგმა, მყის რომ დამორჩილდა საყოველთაო ნებას. უსუსური წინააღმდეგობა სცადეს მათ, ვიტელსბახებთან გააბეს კავშირი, ჩრდილოეთის ამხედრება მოინდომეს ჰაბსბურგთა წინააღმდეგ. როდესაც რუდოლფი ჰალში ჩავიდა ქალაქის ფიცის მოსასმენად, საქმე აშკარა აჯანყებამდე მივიდა და თვით ჰერცოგის სიცოცხლეც საფრთხეში აღმოჩნდა. მაგრამ ჰალის მცხოვრებლებმა საკადრისი პასუხი გასცეს ბარონების დამქაშებს, ქალაქმა ინსბრუკმა მშველელნი გამოუგზავნა ჰაბსბურგს. გამოირკვა, რომ ქალაქებს მტკიცედ გადაეწყვიტათ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, მხარი დაეჭირათ რუდოლფისათვის და აელაგმათ ბარონებისა და ბავარიელი არისტოკრატი მოხელეების თვითნებობა. რამდენიმე დღის შემდეგ ჰერცოგმა რუდოლფმა სიამაყით აცნობა თავის მეგობარს, ვენეციელ დოჟს, ლორენცო ჩელზის: „მშვიდობიანი გზით, განსაკუთრებული წინააღმდეგობის გარეშე, შევძელით ხელთ აგვეღო მთიანი ქვეყნის — მამაჩვენისაგან შეპირებული მემკვიდრეობის მმართველობა. კეთილშობილმა გვარეულობებმა და გლეხებმა ფიცი დადეს და გვაღიარეს თავიანთ ხელმწიფედ. გერმანიიდან იტალიაში მიმავალი ყველა გზა და გადასასვლელი, შეწევნითა ღვთისათა, ჩვენს ხელთაა“.

მარგარიტა ზედმიწევნით კეთილსინდისიერად შეუდგა მმართველობის გადაცემის საკირკიტო და რთულ საქმეს. მხოლოდ აუცილებელ საჭიროებათა გამო მოსულ ხალხს იღებდა, მხოლოდ საქმეზე ელაპარაკებოდა მათ. მერე თავისი ჩამომჭკნარი

ფრეილინა ფონ როტენბურგი და ორიც სხვა ლაქია შეიპირა, რომ უჩუმრად წასულიყო თავისი ყოფილი სამფლობელოდან. მაგრამ რუდოლფს არ უნდოდა, რომ ასე ჩუმად, ზარ-ზეიმის გარეშე გასცლოდა ჰერცოგის ასული იქაურობას. ბრძანა, ყოველგვარი უმაღლესი პატივი მიაგეთო ამგზავრებულ მეფექალს. სამფლობელოს საზღვრამდე ბარონებმა მიაცილეს, ქალაქის ჭიშკრამდე—სამღვდელოებამ და დიდებულებმა. მაგრამ მარგარიტას ცხენშებმული ტახტრევანი მოფარდაგებული იყო და გარედან მხოლოდ ბინდბუნდად თუ გაარჩევდა კაცი მის გახევებულ ფიგურას. ცნობისმოყვარეობითა და შიშით უმზერდა ხალხი, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. აი მიემგზავრება ეს სნეული, განდევნილი, დამაქცევარი, კუდიანი, მკვლელი, ავხორცი, გაუმაძღარი, უსახური, დრუნჩიანი. ათასგვარი სულელური, დაუნდობელი ლეგენდები აედევნენ ჰერცოგის ასულს. მის ციხეკოშკებში ხომ არ გაისმისო დავიწყებული იარაღის ბოროტი ჟღარუნი? კაზემატებსა და ღილეგებში ხომ არ ჩხრიალებენო მისგან მოკლულთა ძვლები? ადამიანები შორს უვლიდნენ მის საყვარელ ადგილებს, უწმინდურია იქაურობაო, ბავშვებს აშინებდნენ: თუ დამჯერნი არ იქნებით, დრუნჩიანი წაგიყვანთო. საქონელიც კი არ ძოვდა აბიბინებულ მსუყე ბალახს მაულტაშის ციხე-სიმაგრის ახლო-მახლო საძოვრებზე.

როდესაც ტახტრევანი ინსბრუკს გასცდა, ნაღვლიან, ჩაფიქრებულ მარგარიტას მშვიდი ხმა შემოესმა: „კეთილი მგზავრობა, ქალბატონო ჰერცოგის ასულო“. შიშისაგან შეკრთა, ჩამომჭკნარ ფრეილინა ფონ როტენბურგს ჰკითხა: ვინაა? მაგრამ მას არაფერი გაეგონა. მარგარიტამ ფარდა გადასწია და დაინახა ორი პაწაწინა წვერებიანი არსება, წკუპწკუპა ნაბიჯებით მიჰყვებოდნენ გზის კიდეს, ბებერი, გონიერი თვალებით შესცქეროდნენ ჰერცოგის ასულს, მოყავისფრო-ჟუჟყისფერი ძველებური ჩაჩები მოეხადათ, მდაბლად უკრავდნენ თავს. მარგარიტა გამოერკვა, მხრები ჩამოუშვა. მსუქანმა უსახურმა ქალმა მძიმედ ჩაქინდრა თავი.

ხიმის ოლქს მიაღწია ბავარიის საზღვართან. საპატიო ყარაული დახვდა იქ, მისალმების ნიშნად შუბები ასწიეს. უკრავდა მუსიკა, დროშები დაეხარათ. მაგრამ ფარდები არ გახსნილა, ტახტრევანმა ტორტმანით გადაიარა საზღვარი, ბავარიისაკენ

გაემართა. როგორც კი თვალს მიეფარა ჰერცოგის ასული, საზღვრის დარაჯებმა, ბრძანების თანახმად, მთქნარება-მთქნარებით, სტვენა-სტვენით ნელ-ნელა დაუშვეს ტიროლის გრაფის ასულის მძიმე ლამაზი ალმები, მათ ნაცვლად აღმართეს ახალი, სადა, ხასხასა დროშები, რომლებზედაც ჰაბსბურგთა წითელი ლომები ეხატა.

ჯანიანი მოახლე ნიჩბებთან იჯდა და პატარა კუნძულ ფრაუენინზელიდან წამოსულ მძიმე ნავს ხიმზეეს ტბის ტალღებზე მიაცურებდა. შუადღე იდგა, ძალიან ცხელოდა. უძრავად გაწოლილიყო თეთრი, განიერი, მშვიდი ტბა. ნავში მსხდომი სასულიერო პირები—ხურის ეპისკოპოსი კანცლერი იოჰანი და ღრმად მოხუცი ვიქტორინგელი აბატი უგუნებოდ იყვნენ. აბატის მოქიშპე ფლორენციელი ჟამთააღმწერელი ჯოვანი ვილანი განსაცვიფრებელ ხმებს ავრცელებდა, ბავარიის საჰერცოგოს, ბრანდენბურგის სამარკგრაფოს, ტიროლის საგრაფოს კანონიერი მფლობელი საშინელ გაჭირვებაში ცხოვრობს ტახტიდან გადადგომის შემდეგო. შიმშილით კლავსო ჰაბსბურგი. და აი ეს ორი კეთილშობილი პირი ჰერცოგ რუდოლფის დავალებით მიდიოდა ფრაუენხიმზეეში, სადაც იმჟამად ცხოვრობდა მარგარიტა, რათა დაეყოლიებინათ იგი ვენაში ან სადმე სხვაგან, სადაც თვით ინებებდა, გადმოსახლებულიყო და მისთვის საკადრის ფუფუნებაში გაეტარებინა დარჩენილი სიცოცხლის წლები. ჰაბსბურგმა ხომ თავიდანვე მისცა მას უმდიდრესი შემოსავალი ოთხი ადგილ-მამულისა—გრისისა ბოცენის მახლობლად, შტაინისა მდინარე რიტენზე, ამრასისა და სანკტ-მარტინისა ცირლის მახლობლად, თან შტრასბერგისა და პასეიერის ციხე-სიმაგრეების, ქალაქ შტერცინგის შემოსავალიც უბოძა. გარდა ამისა, წლიური რენტა ექვსასი გირვანქა ვერონული ვერცხლი დაუნიშნა. ასე რომ, ჰერცოგის ასულის სიმდიდრე მეტოქეობას გაუწევდა გერმანიის ნებისმიერ სამეფო კარს. მაგრამ ვერც ეპისკოპოსის თავაზიანმა, გონივრულმა რჩევამ, ვერც აბატის ლათინურმა ციტატებმა და მოშველიებულმა ისტორიულმა მაგალითებმა ვერ აცთუნეს მარგარიტა.

—ცხოვრებისათვის იგი უკვე მკვდარია,—წუწუნებდა ეპისკოპოსი ლათინურად.—მისთვის ახლა სულერთია, მშვიდობა იქ-

ნება ტიროლში თუ ომი. როცა ვუამბობდი, როგორ შემოიკრეფ ვიტელსბახები, რა საშინელი ძარცვა-გლეჯა გაჩაღდა ინის ველზე, ისე მისმენდა, თითქოს ამინდზე მელაპარაკოს.

უძრავად გაწოლილიყო ტბა, თეთრად ლივლივებდა, ნიჩბები რიტმულად ტყლაშუნობდნენ წყალზე. მოხუცი დუმდა.

— თანაც მისი შემოსავალი დღითი დღე იზრდება,—განაგრძო კანცლერმა. — ერთი პფენიგიც არ აკლდება, პირწმინდად უგზავნიან ყველაფერს. ოქროთი აივსო მისი ციხეები. ალბათ უზომოდ მდიდარია იგი. ჰერკულესსა ვფიცავ!—დაასკვნა მან ბრაზით,—ის იტალიელი კი უსვინდისო ცილისმწამებელი და ბოროტი მაძაგებელია, უნიკო პასკვილანტია!

ბერიკაცს დიდად ეამა მეტოქის ასეთი დახასიათება.—სამართლიანად ბრძანებთ, თქვენო უსამღვდელოესობავ,—ძლივს ამოიჩიფჩიფა მან.—არავის ეპარება ეჭვი, რომ იგი საზიზღარი, სულმდაბალი მოლაყბეა!

პატარა კუნძულის ნაპირზე, მცოცავ მცენარეებსა და მეტისმეტად ჭრელ მინდვრის ყვავილებში დაუდევრად ჩაცმული და უმარილით შეღებილი ჰერცოგის ასული იჯდა და ნავს ადევნებდა თვალს. ირგვლივ სრული მყუდროება სუფევდა, მხოლოდ კოღოების ბზუილი ისმოდა, დროდადრო ნამძინარევი ხმით ჭყიოდა წყლის ფრინველი. ნიავიც კი არ იძვროდა, გავარვარებულ ჰაერში თევზის, ბადეების, წყალმცენარეთა სუნი იდგა, ნავი ნელა მიცურავდა, მეორე, უფრო დიდი კუნძულის უბეს გასცდა, შეუხვია და თვალს მიეფარა.

მეთევზეების მოყვითალო-ნაცრისფერი დაბალი სახლიდან ჩამომჭკნარი ფრეილინა გამოვიდა, სადილად იხმო ჰერცოგის ასული. მარგარიტა წამოდგა, ზანტად გაიზმორა, ფეხების ფლატუნით გაემართა სახლისკენ. ყბა მაიმუნივით გამოშვეროდა წინ, ვეებერთელა უფორმო ლოყები ჩვარივით ჩამოჰკიდებოდა, უმარილი ვეღარ უფარავდა მეჭეჭებს. მშვიდმა, თვინიერმა ფრეილინამ მობრეცილი კარი გაუღო. შემწვარი თევზის სუნი გამოვარდა ოთახიდან. მარგარიტამ სიამოვნებით შეისუნთქა, შინ შევიდა.

რედაქტორი თ. მგელაძე
მხატვარი ზ. კაპანაძე
მხატერული რედაქტორი რ. მახარაძე
ტექნიკური რედაქტორი ე. ხუციშვილი
კორექტორი ქ. ქაუთარაძე
გამომშვები ნ. მაჭარაშვილი

გადაეცა წარმოებას 24/VI-74 წ.,
ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/II-75 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 2. 84×108 1/32
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 15,75
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,51
ტირაჟი 20.000 შეკვ. № 52
ფ ა ს ი 73 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, შეგობრობის გამზ. № 7
Тбилисская книжная фабрика Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7